



ლელა შათირიშვილი

**ბასილი ანკურელი და მისი თხზულების
ქართული თარგმანი**



კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKEIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

LELA SHATIRISHVILI

**BASIL OF ANCYRA AND THE GEORGIAN
TRANSLATION OF HIS WORK
“ON THE TRUE PURITY OF VIRGINITY”**

TBILISI
2016

ღელა შათირიშვილი

ბასილი ანკურელი და მისი თხზულების

„ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“

ქართული თარგმანი

თბილისი
2016

რედაქტორი

ნესტან ჩხიკვაძე

საგამომცემლო-სარედაქციო ჯგუფი

ირმა ბერიძე

ლანა გრძელიშვილი

თათა კარანაძე

ლადო პერანიძე

გარეკანზე: ალაჰანის მონასტერი (თურქეთი). ლაშა გაბელიას ფოტო, 2014.

ISBN 978-9941-9497-2-2

© ლელა შათირიშვილი, 2016.

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2016.

სარჩევი

შესავალი.....	8
---------------	---

ნაწილი I

ბასილი ანკურიელის ცხოვრება და მოღვაწეობა

თავი I სამი ბასილი ანკურიელი – ორი მოწამე და ერთი ეპისკოპოსი ...	11
თავი II ცნობები ბასილი ანკურიელის ავტორობის შესახებ.....	21
თავი III ბასილი ანკურიელის ცხოვრების გზა.....	28

ნაწილი II

ბასილი ანკურიელის მსოფლმხედველობისათვის

თავი I ბასილი ანკურიელის ფიზიოლოგიის ცოდნა.....	34
თავი II რამდენიმე ფიზიოლოგიური ცნების გაგებისათვის.....	43

ნაწილი III

ბასილი ანკურიელის თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ტექსტოლოგიურ- ფილოლოგიური ანალიზი

თავი I ქართული ნუსხები და მათი ურთიერთმიმართება.....	54
თავი II ბასილი ანკურიელის თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ რედაქციები და გამოცემები სხვადასხვა ენაზე.....	64
თავი III ქართული თარგმანის სავარაუდო ბერძნული დედნის	

დადგენის ცდა	67
თავი IV ბასილი ანკკრიელის თხზულების ქართული თარგმანი.....	70
• მატება.....	72
• მოკლება	75
• დედნის მონაცემის ცვლილება.....	77
თავი V ბიბლიური ციტაცია ბასილი ანკკრიელის თხზულებაში „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ და მის ქართულ თარგმანში	80
• პირდაპირი ციტაცია.....	82
• დაახლოებითი პერიფრაზი	84
• ასოციაციური პერიფრაზი.....	85
• ცალკეული შემთხვევები.....	85
თავი VI თხზულების ქართული თარგმანის ენობრივი ანალიზი.....	87
თავი VII რიტორიკული ხერხები ბასილი ანკკრიელის თხზულებაში და გადმოტანის საშუალებები ძეგლის ქართულ თარგმანში	109
თავი VIII ძეგლის ლექსიკა.....	116
• სინონიმები	118
• *** (ლექსიკური ერთეულები: „სიმია“, „კომენტი“, „შაბათობნ და შაბათობა“, „ეზოფსმოძღუარი“)	121
დასკვნები	130
გამოყენებული ლიტერატურა	134
თქმული წმიდისა ბასილისი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ-კაბადუკიელისაჲ ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს	143
ლექსიკონი	242
კომენტარები	261
ინგლისური რეზიუმე	273
პირთა საძიებელი	285

წინამდებარე გამოცემა წარმოგიდგინთ IV საუკუნის ბიზანტიელი ავტორის, ანკერიის ეპისკოპოსისა და ყოფილი ექიმის, ბასილი ანკერიელის, თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ ქართულ თარგმანს. თხზულება თეოლოგიური და სამედიცინო ცოდნის საფუძველზე აგებული ტრაქტატია.

გამოცემა საყურადღებოა მათთვის, ვისაც სიღრმისეულად აინტერესებს ქრისტიანული აზროვნების ისტორია. წიგნის ავტორი საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იღებს და საით წარმართავს ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყარო ადამიანის შეცნობის, მისი ბუნების სრულყოფის თემაზე არსებულ ცოდნას. შესაბამისად, მასში განხილულია მედიცინის ისტორიის საგულისხმო საკითხებიც.

ნაშრომის უმთავრეს ღირსებად გვესახება ავტორის მიზანი ბიზანტიური სივრცის ზოგადკულტურული პროცესების ფონზე განიხილოს ქართული სალიტერატურო ენისა და მწერლობის განვითარების, საქართველო-ბიზანტიის კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები. ავტორი საგანგებოდ წარმოაჩენს XI საუკუნის ქართველი მოღვაწის, გიორგი ათონელის, უმთავრეს მთარგმნელობით პრინციპს – ქართული ენის ბუნების, მისი სტრუქტურის შეურყვნელად მიაღწიოს სათარგმნი ტექსტის შინაარსობრივსა თუ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. ვფიქრობთ, ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

წინამდებარე წიგნში განხილულ საკითხთა ფართო სპექტრი წარმოდგენილია სამ მონაკვეთად. გამოკვლევას ერთვის ტექსტი ლექსიკონითა და სრული სამეცნიერო აპარატით. შრომა შესრულებულია ქართული ხელნაწერთმცოდნეობისა და ისტორიულ – ფილოლოგიური მეცნიერების ტრადიციული აკადემიზმით. იგი დიდ სარგებლობას მიუტანს არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მკვლევრებს, არამედ იმ ახალგაზრდებსაც, რომელნიც მზად არიან დაიცვან და იკვლიონ ქართული წერილობითი კულტურული მემკვიდრეობა.

ნესტან ჩხიკვაძე

შესავალი

ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და დამკვიდრების პირველი საუკუნეები თავისი ხასიათით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. ბერძნების მინიერმა, წარმართულმა რელიგიამ ადგილი დაუთმო ქრისტიანობას, დაიწყო ანტიკური საზოგადოების სულიერი გარდაქმნის პროცესი, მაგრამ ანტიკური ადამიანის სულიერი ფერისცვალება ძალიან ნელა ხდებოდა. საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობდა გაორებული რწმენით. მიუხედავად ამისა, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან, ანუ ქრისტეს აქეთ, თანდათან ყალიბდებოდა ქრისტიანული იდეოლოგია, რომელიც პირველი საუკუნიდან მოყოლებული უფრო და უფრო მეტ მომხრეებს იძენდა. ქრისტიანობა არ ვითარდებოდა განყენებულად, ითვისებდა ყოველივე მისაღებს ანტიკური კულტურისაგან.

ადრეული ქრისტიანობის საწყის ეტაპზევე გაჩნდა წარმართული ფილოსოფიის ქრისტიანობისაკენ წარმართვის ტენდენცია. ამის საფუძველს წარმოადგენდა ახალი სარწმუნოების მოთხოვნა, რომ ქრისტიანული ღმერთის რწმენამდე მისვლა შესაძლებელია თვითწარმადებით, რომ ადამიანმა უნდა შეიმეცნოს სულიერება და ასე გააცნობიეროს ღმერთთან მისვლის გზები. ამგვარი შერწყმით ერთმანეთს ემთხვევა მეცნიერება და რწმენა, რომელიც საშუალებაა თვითშემეცნებისა (ჭელიძე 1998: 13). საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისი გავლენა გაავრცელა ბიზანტიის ფართო საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე. ეს პროცესი დაგვირგვინდა ახალი ბიზანტიური კულტურის წარმოშობით. IV საუკუნე იყო გარდამავალი ეპოქა – ფინალი უკვე გავლილი ისტორიისა, ამასთან დასაწყისი ახალი ქრისტიანული პერიოდისა. „ბიზანტიური ფილოსოფიის განვითარებისა და სწრაფი აღმავლობის საფუძველი მომზადდა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის, ბერძნული ფილოსოფიისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ურთიერთგადაჯაჭვით“ (ჭელიძე 1998: 128).

IV საუკუნე გავიდა ცხარე საღვთისმეტყველო დისკუსიებში. ადგილობრივსა თუ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განიხილავდნენ ქრისტიანულ საეკლესიო კანონებს. ამ გზით ყალიბდებოდა ქრისტიანული მორალი.

ქრისტიანობის განმტკიცებასა და გაძლიერებას ემსახურებოდა სასულიერო მწერლობის მრავალი დარგი, მათ შორის ასკეტიკა, რომლის განვითარებასაც ხელი შეუწყო სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბებამ. ასკეტიკა ეგვიპტეში ჩაისახა და განვითარდა. ამ დარგის თხზულებები შეიცავენ მოძღვრება-ქადაგებებს, რომლებიც გამოიყენებოდა „ბერ-მონაზონთა წრეში, რადგან იგი იყო უშრეტი წყარო გონებრივი და ზნეობრივი აღორძინებისა და წარმატებისა“ (კეკელიძე 1980: 546). ბიზანტიური ასკეტიკური მწერლობის კლასიკურ ხანად ითვლება IV

და V საუკუნეები. ასკეტიკის ჟანრს განეკუთვნება ბასილი ანკკრიელის ტრაქტატი „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“. იგი ეძღვნება ფიზიოლოგიისა და ზნეობის საკითხებს.

ბასილი ანკკრიელი მოღვაწეობდა ბიზანტიაში 336-360 წლებში. იგი იყო ანკკრიის ეპისკოპოსი, უაღრესად განათლებული პიროვნება, მიღებული ჰქონდა სამედიცინო განათლება. იგი, როგორც წმიდა იერონიმე იუწყება, იყო ყოფილი ექიმი (De viris illustribus 89 (PL 23. 731C). მიუხედავად სასულიერო მოღვაწეობისა, ბასილი ანკკრიელი წარმატებით იყენებდა თავის პირველ საქმიანობას და ზნეობის ქადაგებისას კარგად უხამებდა ერთმანეთს სამედიცინო და თეოლოგიურ შეხედულებებს.

თხზულებაში ნათლად იკვეთება რწმენისა და ცოდნის აღიარების პრობლემა. ავტორი ცდილობს, თეოლოგიურ-გნოსეოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, დიეტეტიკურ-ჰიგიენურ ცნებებზე დაყრდნობით გააშუქოს თავისი თხზულების თემატიკა ისე, რომ მოსაბეზრებელი არ გახადოს მკითხველისათვის. შესაძლებელია, სწორედ ამან განაპირობა მისი ტრაქტატის დიდი პოპულარობა.

თხზულების მიხედვით, ამჟამად, რომ ასკეტური ცხოვრების წესი არ ვითარდებოდა განყენებულად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ურთიერთკავშირის სულსა და სხეულს შორის, უხრწნელების მსურველის ცხოვრების რეჟიმსა და კვების საკითხებს, ზოგადად უხრწნელების აღთქმის დამდებთა ღვანლს.

ბასილი ანკკრიელის ტრაქტატში არის მოცემული მდებრობითი სქესის ქალწულის სახე. ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა იდეალი ქალწულისა (შეიძლება მოიაზრებოდეს ორივე სქესის წამომადგენელი – ლ. შ.), რომელსაც ახალი რწმენის მემკვიდრეობით ეძლევა საშუალება ზურგი აქციოს ტრადიციულ ოჯახურ დანიშნულებას და გავიდეს ცხოვრების იმ ასპარეზზე, რომელზეც შეიძლება საზოგადოებაში განსხვავებული ადგილის დამკვიდრებას, რაშიც იგულისხმება ქალწულის როლი.

თხზულება წამოჭრის მრავალ საინტერესო საკითხს. მასში თავმოყრილია სხვადასხვა თემა და რიტორიკული სახე, რომლებიც გავრცელებული ხერხი იყო IV საუკუნის მწერლობაში.

ბასილი იწყებს უშუალოდ სამყაროს შექმნით და ყოველი ცოცხალი არსების სქესებად დაყოფაზე ამახვილებს ყურადღებას, შემდეგ მოძღვრავს ქალწულს ცხოვრების ყველა ასპექტში – იქნება ეს კვება, საზოგადოებაში გამოჩენა, ფიქრი, ეკლესიასა და თავყრილობებისას მოქცევის წესი; წარმოაჩენს თეოლოგიურ კავშირს ცხოვრების უბინო წესსა და სამოთხეს შორის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალწულის, როგორც უფლის სასძლოს, ცხოვრებაში. ავტორი ვრცლად საუბრობს განცდებისა და ტკივილის შესახებ, რაც ახლავს მინიერ ქორწინებას ღვთიურ ქორწინებასთან შედარებით, ხორციელ ინროებას არა მარტო საკვების მიღებასთან ან უბინოებასთან დაკავშირებით, არამედ თავის შეზღუდვას ადამიანებთან ურთიერთობაში – გათხოვილ ქალებთან, მამაკაცებთან, თავის შეზღუდვას ყოველდღიურობაში, ქალწულთა ანგელოზური ცხოვრების წესის საკითხებს.

ამგვარი პრობლემატიკის წამოჭრაში, ავტორის არგუმენტაციის დამაჯერებლობაში უდიდეს როლს ის თამაშობს, რომ ბასილი თანაბრად ფლობს სამედიცინო და სასულიერო განათლებას.

ამ თხზულებისადმი მნიშვნელოვან ინტერესს იჩენდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. იგი სხვადასხვა ენაზე არის თარგმნილი. მაგ., XIV ს.-ში ბერძნული ტექსტი ითარგმნა ლათინურ ენაზე, მასზე გაცილებით ადრეულია სლავური ვერსია (IX ს.). ათონის ქართულ სამწერლო კერაში XI ს.-ში გიორგი მთაწმიდელს შეუსრულებია ტრაქტატის ქართული თარგმანი.

გიორგი მთაწმიდელი, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, შესანიშნავად ფლობს თავის მშობლიურ ენას – ქართულს და ასევე იმ ენას, რომლიდანაც უხდება თარგმანის შესრულება – ბერძნულს. მთარგმნელს მშობლიური ენის ცოდნა ბერძნულიდან თარგმნისას წარმოაჩენს როგორც თვალსაჩინო ლინგვისტს, რომელიც სრულყოფილად არის დაუფლებული ენის ბუნებას, მის მორფოლოგიურ-სინტაქსურ სტრუქტურას.

ბასილი ანკურიელის თხზულების ბერძნული ტექსტისა და ქართული თარგმანის შესწავლა არის უმნიშვნელოვანესი იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აღიქვა იგი მთარგმნელმა და როგორ შეძლო მისი გადმოტანა თავის მშობლიურ ენაზე. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს უდიდესი საეკლესიო მოღვაწისა და მთარგმნელის საქმიანობის უკეთ გასაცნობად. თხზულება გვიჩვენებს იმ ენობრივ ფორმებს, რომლებიც ასახულია XI-XII სს. ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

გიორგი მთაწმიდელი ცდილობს, შეინარჩუნოს ორიგინალის შინაარსობრივი პათოსი და სულისკვეთება. მას არ გადმოაქვს ტექსტი სიტყვასიტყვით, სათარგმნ მასალას ექცევა გარკვეული თავისუფლებით, ცვლის სიტყვათწყობას, პასიური ფორმები გადმოაქვს ქართულისათვის ბუნებრივი პირიანი ფორმებით, მაგრამ ეს ყოველივე ემსახურება ბერძნული დედნის აზრის სრულყოფილად გადმოცემას ისე, რომ ქართველმა მკითხველმა სიღრმისეულად გაიაზროს თხზულებაში წამოყენებული თითოეული ნიუანსი, ყოველი სიტყვა, ფრაზა, პასაჟი და მიბაძვის ნიმუშად დაისახოს იგი. თარგმნილ ტექსტში, ორიგინალისაგან განსხვავებით, არსებული ზოგი ნიუანსის წყალობით აქცენტი არის გამძაფრებული ან შერბილებული, რაც მთარგმნელის დამოკიდებულებაზე მიანიშნებს ამა თუ იმ საკითხისადმი.

ბასილი ანკურიელის თხზულება „ქალწულებსა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათვის“ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების საინტერესო ეტაპს წარმოაჩენს ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებაში.

I ნანილი

ბასილი ანკურიელის ცხოვრება და მოღვაწეობა

I თავი

სამი ბასილი ანკურიელი. – ორი მონამე და ერთი ეპისკოპოსი

წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ IV საუკუნის II მესამედში ბიზანტიაში, ანკურიაში¹, მოღვაწეობდა სამი პერსონა, სახელად ბასილი, რომელთა ზედწოდება არის „ანკურიელი“. ამ სამი პიროვნებისგან ერთი იყო ანკურიის ეპისკოპოსი 336-360 წლებში, ჰომოიუსიანელების, ანუ ზოშიერი არიანელების წინამძღოლი. იგი სარგებლობდა ფართო ერუდიციითა და დიდი მჭევრმეტყველების უნარით დაჯილდოებული ადამიანის რეპუტაციით. მას ჰქონდა განსაკუთრებულად მღელვარე ცხოვრება და უდიდესი როლი ითამაშა არიანიზმის ისტორიაში (PG. LXVII, 352 A; 1030 A; Janin 1932: 1104). იგი იყო ავტორი ასკეტიკური წანრის თხზულებისა „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“. ორი სხვა ბასილისაგან კი ერთი იყო ბასილი ანკურიის ეკლესიის ხუცესი, ხოლო მეორე – ბასილი ანკურიელ-კესარიელი. ისინი, როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, ივლიანე განდგომილის ზეობის ყამს მონამებრივად აღესრულნენ, მღვდელი – 363 წ., ანკურიელ-კესარიელი – 362 წელს; პირველის ხსენება არის დაწესებული 22 მარტს, მეორისა კი – 1 იანვარს.

ბასილის, ანკურიის ხუცესის და მღვდელმონამის, მოღვაწეობის შესახებ ცნობები შემოუნახავს მეტაფრასულ თხზულებას: „თუჴსა ივნისსა კჴ: ღუანლი ნმიდისა და დიდებულისა მღდელმონამისა ბასილისი“. არსებობს თხზულების ბერძნული ტექსტი სათაურით „Μαρτυριον του αγιου Βασιλειου πρεσβυτερου“ და მისი ლათინური თარგმანიც სათაურით: “Basilius presb. M. Ancyrae – sub Iuliano-Mart 22] Jun.28” (Acta 1865: 377-378, *12-*15; BHG 1957: 85 [242]).

ქართულად თარგმნილი ტექსტი დაცულია კრებულებში: ხეც. A-19 (X), S-417 (XII), H-1760 (XV); ქსიმ. K-3 (XVI), K-103 (1839), ცაგერი 16 (1839) (გაბიძაშვილი 2004: 154.) „ბასილი ანკურიელის წამებას“ განვიხილავთ ორი ნუსხის მიხედვით. ესენია: ხეც. S-417; ქსიმ. K-3².

¹ ანკურია (დღევანდელი ანკარა, თურქეთის დედაქალაქი, ყოფ. ანგორა, ძვ ბერძ. ანკირა, შდრ. ანკურია (ქსიმ K-3: 299v).

² მიუხედავად იმისა, რომ ამ ნუსხების გადაწერის თარიღები დაცლებულია ერთმანეთს, მათ შორის ტექსტოლოგიური განსხვავება სრულიად უმნიშვნელოა. მაგ., მრავალთა ხეც. (S-417)|| მრავალთა

S-417 (S ფონდის აღწერილობა, 1959: 517-521) XII საუკუნის ხელნაწერია, შედგება 235 ფურცლისაგან, ფურცლის ზომაა 23,5 X 34; ნაწერია ქალაქდზე, არის გაცვეთილი, დალაქავებული. ტექსტი შესრულებულია შავი მელნით, სათაურები – სინგურით; აქვს ტყავგადაკრული ყდა.

ხელნაწერი წარმოადგენს იენისის თვეში საკითხავ მეტაფრასულ ცხოვრებებს. საკითხავების თვე და რიცხვი აღნიშნულია სინგურით ხელნაწერის ზემო კიდეზე. კრებულში თხრობა ბასილი მღვდელმონამის ღვანლის შესახებ წარმოდგენილია 31-ე საკითხავად. აღწერილობაში მითითებულია, რომ ტექსტი „თუშსა იენისსა კმ: ღუანლი წმიდისა და დიდებულისა მღვდელმონამისა ბასილისი“ განთავსებულია 215v-220v-ზე, მაგრამ, ტექსტის კითხვის პროცესში გაირკვა, რომ აკინძვისას ხელნაწერში ფურცლები გადაადგილებულია, იგი მოულოდნელად წყდება 218v-ზე, შემდეგ გრძელდება და მთავრდება 224r-225v-ზე, თხზულება სრულადაა მოღწეული; 219r-223v-ზე კი მოთავსებულია ფრაგმენტი პეტრესა და პავლეს ცხოვრებიდან.

K-3-ში (ქსიმ (K) აღწერილობა 1953: 15-24) ჩვენთვის საინტერესო ტექსტი 34-ე საკითხავია. ხელნაწერი 752 ფურცლისაგან შედგება, ფურცლების ზომაა 41X27,5, ნაწერია ქალაქდზე, აქვს ტყავგადაკრული ყდა. თხზულების ტექსტს უკავია 299v-305r; ნაწერი შესრულებულია ნუსხურით, 2 სვეტად, თითო სვეტში 32 სტრიქონია. მეტაფრასული კრებული, ანდერძის მიხედვით, შეწერილი ყოფილა ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის, შემდეგ დაკარგულა. იგი მოუძიებიათ და კვლავ ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ გიორგი ლიპარტიანსა და მის თანამეცხედრეს ხვარაშანს (ქსიმ (K) აღწერილობა 1953: 15-24).

თხზულების – „ღუანლი წმიდისა და დიდებულისა მღვდელმონამისა ბასილისი“ – შინაარსი ადვილად გაარკვევს, რომ მის მთავარ მოქმედ გმირს არაფერი აქვს საერთო „ქალწულებისათვს“ ავტორთან; თუმცა ის ეპოქა, რომელიც ტექსტიდან გამოსჭვივის, უცნობი არ უნდა ყოფილიყო არც ერთი ბასილისთვის: არც ეპისკოპოსისათვის, არც ხუცესისათვის. საქმე ის იყო, რომ ორივე მათგანი ანკკრიაში მოღვაწეობდა ერთსა და იმავე დროს და ორივე მხურვალე დამცველი იყო თავისი სარწმუნოებრივი პოზიციისა. ისინი დაისაჯნენ თავიანთი მრწამსის გამო: პირველი გადასახლეს ილირიაში (Janin, 1932: 1107)¹, მეორე კი – საშინელი ტანჯვის შემდეგ მონამებრივად აღესრულა. შესაძლებელია, ისინი ერთმანეთის პირისპირაც წარმდგარიყვნენ, როგორც განსხვავებული მრწამსის მქონენი, მართლმადიდებელი და არიანელი. ეს ვარაუდი რომ არ არის საფუძველს მოკლებული, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

ქსიმ. (K-3); მარქუ (S-417) || მარქ (K-3); შენდა (S-417) || შენსა (K-3); მსხუშრბლი (S-417) || მსხუერპლი (K-3); საიდუმლოთა (S-417) || საიდუმლოთა (K-3); საძულელო (S-417) || საძულელო (K-3); პილასიოს (S-417) || პილასიოს (K-3) და ა.შ.

¹ ილირია ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან რომაელებმა დაიპყრეს, შედიოდა მაკედონიის პროვინციაში; ახ. წ. აღ. III ს.-ში ილირია დაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. ილირიელები, ინდოევროპული ჯგუფის ხალხები, ცხოვრობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდ.-დასავლეთსა და ნაწილობრივ აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში (ქსე, 1980: 107).

მეტაფრასი გვამცნობს, რომ ბასილი იყო კაცი, რომელიც ყოველ ადამიანს ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას შეაგონებდა და „საეშმაკოსა გზიდან მოაქცევდა“. მას მძიმე დროში მოუხდა მოღვაწეობა, რადგან იმ დროს გამრავლდნენ ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლნი. ეს მებრძოლნი იყვნენ „მოსილნი სამოსლითა ცხოვართათა“, ხოლო შინაგანად ჰგავდნენ სულელებზე მონადირე მტაცებელ მგლებს. მათ წინააღმდეგ განწყობილი მღვდელი ბასილი დადიოდა მთელ ქალაქში და ცდილობდა, განემტკიცებინა მოქალაქეთა რწმენა, რომ ჰქონოდათ „სისრულე სარწმუნოებისა“ და ამგვარად აეცილებინა მათთვის ბოროტი სატანჯველი.

ბასილი ხუცესმა, ანუ პრესვიტერმა (ასე იხსენიება იგი ბერძნულსა და ლათინურ ტექსტებში), შეაფერხა კონსტანტინოპოლის კრებაზე ვინმე ევდოქსიოსი, მაკარი და ევგენი (იყო ამ სამი ადამიანის „დამაყენებელი“, ანუ შემაჩერებელი, შემაფერხებელი, „დამმორჩილებელი,“ ხელის შემშლელი (აბულაძე 1973: 129. სარჯველაძე 2001: 64.)). უფლის მოყვარულმა მორწმუნემ ასევე დიდი წინააღმდეგობა გაუწია პალესტინის კრებაზე თავმოყრილ ორას ოცდაათ ეპისკოპოსს. განსაკუთრებით გაძლიერებულა ქრისტიანების დევნა და აღზევებულა სულის დამლუპველი „ხენეში სულნი უგრძობელთა და უსიტყუშლთა გებისანი“ ივლიანე განდგომილის ჟამს, რომლის სჯულმაც „იპყრა წელიწადად და სამთა თთუშთადმდე კერძოთა პალატათათა.“ ანკკრიაში ბასილი ღმერთს ადიდებდა და „ნებითა მამისათა“ შესთხოვდა ბნელის განქარვებას. ერთხელ ბასილი გაკიცხა „ეშმაკთა მსახურების“ ერთ-ერთმა აღმსრულებელმა მაკარი შევლდომილმა, რომელმაც საკადრისი პასუხი მიიღო მართლმორწმუნისაგან. უსჯულოებმა შერისხული ბასილი მიჰგვარეს სატორნინე მთავარს, რომელმაც ცცადა მისი გადაბირება, მაგრამ ამაოდ. ბასილის პოზიციით შემფოთებულმა მთავარმა „ბრძანა დამოკიდებულისა ხუცთა“ (ფხეკა – აბულაძე 1973: 564; სარჯველაძე 2001: 282) ... ბასილი კი ღმერთს ჰმადლობდა, რამაც იგი ღირს-ყო, რომ ამ გვემის წყალობით ეხილა აღთქმული სამკვიდრებელი. ნამებით რომ ვერას გახდნენ მტარვალნი, სატორნინე მთავრის ბრძანებით, მონამე საპყრობილეში ჩააგდეს. საპყრობილეში მიყვანისას ბასილს შეხვდა „ფელიქს არანმიდაა“, ურჩია თვითმპყრობელისა და ღმერთების ერთგულება, მაგრამ ვერც მან აცთუნა მარტვილი. მთავარმა მეფე იულიანეს აცნობა ბასილის შესახებ. მან კი ბასილი მღვდლის გადასაბირებლად გაგზავნა თავისი თანამოაზრენი, ელპიდი და პილასიოსი. მათ ნიკომედიიდან წაიყვანეს მღვდელი ასკლიპიონი და მიაშურეს ანკკრიას, სადაც შეიტყვეს, რომ პყრობილი დილეგში დღე და ღამე გალობით ღმერთს ადიდებდა.

მეორე დილით პილასიოსი დილეგში მივიდა ბასილთან, მაგრამ ხუცესმა ამხილა მიგზავნილი, რომელსაც განეგდო ღვთის ნათელი და იმჟამად წარმართებს ემსახურებოდა. მონამემ ღმერთს კვლავ შესთხოვა მფარველობა და შემწეობა ბოროტებასთან ბრძოლაში.

მეფის მოციქულებისთვის აშკარა გახდა ბასილის შეუვალობა; სამაგიეროდ, მთავარმა სატორნინემ, მეფის დაშქამთა მომადლიერების მსურველმა, მოინდომა მისი მკაცრად დასჯა. ბასილი მოაყვანინეს. მონამემ პირჯვრით „დაიბეჭდა

თავი“ და სატორნინე მთავარს მიმართა, ემოქმედა სურვილისამებრ. მან კი ბრძანა ჩამოკიდებულის მკაცრად განსხივვა, რომ ტკივილებს გაეტეხა მისი სიმტკიცე. წმიდა ბასილი არც ამ სასჯელს შეშინებია. უმოწყალოდ ნაწამებ ხუცესს, სატორნინეს ბრძანებით, მძიმე ჯაჭვი დაადეს და დილეგში ჩაადგეს.

რამდენიმე დღეში მეფე იულიანემ ანკურიაში მიაღწია. თეატრონის აღსრულების შემდეგ ელპიდიმ აუწყა მას ბასილის შესახებ. იულიანემ ბრძანა ურჩი ქრისტიანის მიყვანა. მეფის წინაშე წარმდგარმა ბასილმა დაუფარავად ამცნო მას თავისი პირუთენელი დამოკიდებულება და „სალმობიერი სიკუდილი“ უწინასწარმეტყველა. თავდაპირველად მეფეს სურდა პრესვიტერის გათავისუფლება, მაგრამ ამგვარი წინასწარმეტყველებით განრისხებულმა ბრძანა შვიდი საშოლტე ტყავის გაძრობა. ბრძანების აღსრულების შემდეგ წამებულმა ითხოვა იულიანეს ნახვა. მეფე დათანხმდა მასთან შეხვედრას, მას ეგონა, ბასილი გონს მოეგო, მაგრამ მისგან კვლავ მოისმინა ყრუ, უსიტყვო და „მორწუნეთა ჯოჯოხეთში“ ჩამყვანებელი კერპების აუგი. განრისხებულმა იულიანემ ბრძანა მისი ძლიერად „ხუცტაჲ“. ბასილი ლოცვით იქარებდა ფიზიკურ ტკივილებს. შემწუხრებისას მარტილი წაიყვანეს დილეგში.

„ანტიოქიად მიმოგზაურობისა მყოფელმან მთავარმან“ (ქსიმ K-3: 304vII) ბრძანა, მანამ ეტანჯათ ბასილი, სანამ კერპებს არ იწამებდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში, სიკვდილით დაესაჯათ. ბასილს უთხრეს ეს ყოველივე და დაუწყეს წერტა („დაგუმერა,“ ჩხვლეტა, ტანჯვა – აბულაძე 1973: 542; სარჯველაძე 2001: 272). ამ წამებით აღესრულა კიდეც იგი.

ეს მოხდა 28 ივლისს (sic).

როგორც ვხედავთ, ამ მეტაფრასულ თხზულებაში ბასილი ანკურიელი წარმოგვიდგა ხუცესად და არა ეპისკოპოსად.

თხზულებაში მოხსენიებული ბასილი და ჩვენი საკვლევი პიროვნება ერთი და იგივენი რომ არ არიან, ამას ადასტურებს მეტაფრასის ტექსტი, ხოლო, თუ თარიღებსაც მოვიშველიებთ, კიდევ ერთხელ გამოჩნდება ამ ფაქტის უტყუარობა. ქართულ მეტაფრასში მოხსენიებული ბასილი ეწამა ივლიანე განდგომილის ზეობის დროს, რომელიც 361-363 წწ. განაგებდა ბიზანტიას (История Византии 1967: 173). ბასილი, ანკურიის ეპისკოპოსი, კი 360 წელს განდევნეს ილირიაში, ე. ი. 361 წ., ივლიანეს ტახტზე ასვლისას, იგი უკვე ჩამოცილებული იყო სასულიერო ცხოვრებას. ივლიანეს გარდაცვალების დროს ის კვლავ ცოცხალია, რადგან იობიანეს სახელზე 363 წელს დაწერილ საჩივარსა თუ შუამდგომლობას ისიც აწერს ხელს (Janin 1932: 106). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდით ის ისტორიული ასპარეზიდან უნდა გაუჩინარებულიყო ვალენტის მეფობის დასაწყისში (Cavallera 1905: 14). თანაც ბასილი ანკურიელი ეპისკოპოსი, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, არსად არასდროს მოიხსენიება მართლმადიდებელ მღვდლად, რომელმაც შემდგომ შეიცვალა მრწამსი – გახდა არიანელი.

ამას გარდა, ეპისკოპოს ბასილი ანკურიელის ცხოვრებაზე დაკვირვებით და მეტაფრასის ბასილის ცხოვრების გზის გაცნობით, ამ თხზულებაში მოყვანილ ის-

ტორიულ ფაქტებზე დაყრდნობითა და ეკლესიის ისტორიაში არსებული ფაქტების გათვალისწინებით, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს ორი პიროვნება ერთმანეთის წინაშე უნდა წარმდგარიყო ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციით 335-336 წლებში იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში გამართულ საეკლესიო კრებებზე. ტექსტის მიხედვით, ერთი მხრივ, ბასილი პრესვიტერი ებრძოდა წარმართებს, ხოლო, მეორე მხრივ, ებრძოდა იმ ქრისტიანებსაც, რომლებიც ნიკეის ფორმულას არ იზიარებდნენ. ამაზე უნდა მიუთითებდნენ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოხსენიებული კონსტანტინოპოლისა და პალესტინის კრებები და მონაწილენი. ტექსტში ვკითხულობთ: „...იყო ესე ბასილი-ევდოქსიოფს და მაკარის და ევგენის და სხუათა მრევლთაგან კონსტანტინოპოლის ზედა თქუმული-სა კრებისა შეკრებასა დამაყენებელ და სარწმუნოზაჲ განმკაცრებით ეპყრა. ესე პალესტინესცა ორას ოცდაათა ეპისკოპოსთა ზე განკადნიერდა მქონებელი მასწავლელთა ღირსთა კაცთა ტრფიალთა უფლისათაჲ“... (ქსიმ, K-3: 300rI-300rII).

ბასილი მღვდელმონაშე ბასილი ეპისკოპოსის თანამედროვე იყო. მის თვალწინ ხდებოდა არიოზისა და მისი მომხრეების დაცემა და კვლავ სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე დაბრუნება. ჩვენი აზრით, ტექსტში მოხსენიებული კონსტანტინოპოლისა და პალესტინის კრებებში უნდა იგულისხმებოდეს 335-336 წლებში გამართული კრებები და შეკრებები, რომლებზეც ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ მართმადიდებლები და არიანელები, გამარჯვება კი ამ უკანასკნელთ დარჩათ. კონსტანტინოპოლისა და პალესტინის კრებების ერთმანეთის გვერდით მოხსენიება კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს (თუმცა აქ მცირეოდენი ანაქრონიზმიც შეიმჩნევა, ჯერ მოხსენიებულია კონსტანტინოპოლის კრება, რომელიც 336წ. გაიმართა, შემდეგ კი პალესტინის კრება, რომელიც 335 წელს მოხდა. ამგვარი უზუსტობა ალბათ იმისი ბრალია, რომ ავტორი მოიხსენიებს ამ ფაქტებს, როგორც წარსულში მომხდარ ამბებს, ამიტომაც სიზუსტის დაცვას ვერ ახერხებს. ვფიქრობთ, მას მიეტყვება ეს აღრევა, რადგან ჩვენთვის საინტერესო თხზულება არის ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოები და არა ისტორიული).

335-336 წლებში გამართული კრებების შესახებ ასე მოგვითხრობს საეკლესიო ისტორია (Болотов 1918: 46-52): 335 წელს შესრულდა კონსტანტინე I დიდის ზეობის 30 წელი, ამავე დროს დასრულდა იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე ბაზილიკის შენება. კურთხევაზე ყველა ეპისკოპოსი იყო ხმობილი. ისინი წინასწარ უნდა შეკრებილიყვნენ ქ. ტუროსში და განეხილათ ალექსანდრიის ეკლესიის საკითხი, რომელიც მართლმადიდებელი მრწამსისა იყო. იმპერატორმა დაბეჯითებით მოითხოვა ათანასე ალექსანდრიის ეპისკოპოსისაგან კრებაზე დასწრება. ისიც 50 ეპისკოპოსის თანხლებით გამოცხადდა. კრების მონაწილეთა რიცხვი 180-ს შეადგენდა. ათანასე ალექსანდრიელი, მარკელოს ანკვირიელი და მაქსიმე იერუსალიმელი ედგნენ მართლმადიდებლებს სათავეში, მაგრამ უმრავლესობა ევსებოზის მომხრე იყო (Болотов 1918: 46-47).

335 წელს ტუროსის საეკლესიო კრებამ ათანასე ალექსანდრიელს აუკრძალა ტახტზე ჯდომა და ალექსანდრიაში ჩასვლა. ამის შემდეგ კრების მონაწილენი

გამგზავრნენ იერუსალიმში. აქ უკვე ერთმანეთს შეხვდნენ ნიკეის კრების მონაწილენიცა და განდევნილებიც (იგულისხმებია არიოზის მომხრენი). ახლა არიანელები გახდნენ მსაჯულნი, გაასამართლეს ათანასე და დააბრუნეს არიოზი.

336 წელს არიანელებმა დაადანაშაულეს ათანასე ალექსანდრიელი. კონსტანტინე I-მა კი იგი ისე ჩამოაშორა ტახტს და გადაასახლა გალიაში (დღევანდელ საფრანგეთში), რომ ალექსანდრიის ტახტზე არავინ გაუმწესებია. ასე გაიმარჯვეს არიანელებმა მართმადიდებლებზე, მაგრამ ეს გამარჯვება არ იყო საბოლოო. 336 წელს კონსტანტინოპოლის კრებაზე არიანელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს მართმადიდებლებზე, კერძოდ, ეპისკოპოს მარკელოსზე. ის მართმადიდებელი იყო და პალესტინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ სურდა, დამოუკიდებლად შებრძოლებოდა არიანელებს, ამიტომ დაწერა ვრცელი პოლემიკური წერილი არიანელთა წინააღმდეგ და წარუდგინა კონსტანტინეს. ავადმყოფ იმპერატორს არ შეეძლო სერიოზულად განეჭვრიტა ამ პოლემიკური წერილის არსი. მან წერილის შეფასება მიანდო კრებას და თავისთან დაახლოებულ პირებს. ევსები ნიკომიდიელმა დაწერა გამაბათილებელი წერილი (Basilides 1918: 129), თეოდორე ჰერაკლიელმა, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა, არამართმადიდებლურად მიიჩნია თხზულება. ამის შემდეგ მარკელოსი დაამხეს და მის ნაცვლად ანკვირის სასულიერო ტახტი დაიკავა ჩვენმა საკვლევმა პერსონამ ბასილი ანკვირელმა (Basilides 1918: 51-52).

მეტაფრასი „ბასილი ანკვირელის წამებაში“ გვამცნობს, რომ, როდესაც კრება გაიმართა პალესტინაში (335 წ., ტუროსის კრების შემდეგ), ბასილი მღვდელმონაშემ დაუპირისპირდა 230 ეპისკოპოსს ჭეშმარიტი სარწმუნოების მხარდასაჭერად. ბასილი ანკვირელის დასწრება და მართმადიდებელთა პოზიციის გასაძლიერებლად კრებაში მონაწილეობა სრულიად სარწმუნო ფაქტი უნდა იყოს, რადგან მისი მღვდლობის დროს ანკვირის ეკლესიას განუზომლად დიდი ავტორიტეტი ჰქონია (Acta 377). მღვდელმონაშემ ბასილი უნდა ყოფილიყო მარკელოს ანკვირელის ამაღლებაში, რომელიც, თანმხლებ პირებთან ერთად, წარმოადგენდა მართმადიდებელთა ფრთას.

ბასილი ხუცესს მართმადიდებლების დასაცავად ბრძოლა გაუგრძელებია კონსტანტინოპოლის კრებაზეც. თხზულებაში მოხსენიებული კონსტანტინოპოლის კრება უნდა იყოს 336 წელს ჩატარებული კრება, რომლის დროსაც ბასილი მღვდელმონაშემ შეაფერხა სამნი, სავარაუდოდ, სასულიერო პირები, უფრო ზუსტად კი არიანული ფრთის წარმომადგენლები: ევდოქსიოსი, ევგენი და მაკარი.¹

მოხსენიებული ხალხი უნდა ყოფილიყო თანამოაზრეთა სამეული, რომელთაგან ერთ-ერთი – ევდოქსიოსი – არის IV საუკუნის 30-იან-70-იან წლებში ცნობილი პიროვნება, რომელიც მოგვიანებით გახდა მემარცხენე ცენტრისტი არიანულ მოძრაობაში. კაპადოკიაში დაბადებული ევდოქსიოსი იყო ანომელების ლიდერი, იგი გახდა გერმანიკუმის ეპისკოპოსი არიანელთა მხარდაჭერით, მიიღო

¹ ეს სამი პირი რომ არიანული მრწამსისა იყო, ამას ადასტურებს Acta Sanctorum-ი, რომელშიც ბერძნულ ტექსტს ახლავს კომენტარი არშიაზე, იხ. *13 (გვ. 337);

მონაწილეობა IV საუკუნეში გამართულ მრავალ საეკლესიო კრებაში. 358 წელს მან ხელში ჩაიგდო ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტი, თუმცა მალე იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა იგი. 360 წელს მოწყობილ კონსტანტინოპოლის კრებაზე ედოქსიოსმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობას მიაღწია.¹ ამ კრებაზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა ფრთის არიანელი ეპისკოპოსები და არა მართლმადიდებლები და არიანელები, გამარჯვებას მიაღწიეს აკაკი კესარიელმა და ედოქსიოსმა თავიანთ მომხრებთან ერთად. ამიტომ ვითვალისწინებთ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ფაქტებს და შესაძლებლად მიგვაჩნია, დავუშვათ ვარაუდი, რომ ბასილს მარკელოსის, თავისი ეპისკოპოსის, დასაცავად 336 წლის კონსტანტინოპოლის კრებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ამ კრებაზე დაამხეს ანკურიის ეპისკოპოსი მარკელოსი და ეპისკოპოსად აირჩიეს შემდგომში ზომიერი არიანული ფრთის წარმომადგენელი ბასილი ანკურიელი. აი, აქ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ ბასილი ანკურიელი ეპისკოპოსი და ბასილი ანკურიელი მღვდელმონაწილე. ცხადია, ბასილი მღვდელმონაწილე დაიცავდა მართლმადიდებლობის მომხრეთა პოზიციას ბასილი ანკურიელი ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ. შესაძლებელია, ხუცესი ბასილი ზოგადად შემდეგაც ებრძოდა არიანული ფრთის წარმომადგენლებს, მაგრამ 360 წლის კონსტანტინოპოლის კრებაში ნაკლებად გაერეოდა, რადგან არ ეგულებოდა თანამოაზრენი.

ამრიგად, ქართული წყაროების მიხედვით, ცნობილი ბასილი ანკურიელი მღვდელმონაწილე არც ჰომოიუსიანელთა მეთაურია და ვერც თხზულების ავტორობას მივანერთ. იგი არის მონაწილე, აღსრულებული 362 წელს და მისი ხსენება მეტაფრასულ კრებულებში K-3 და S-417-ში შეტანილია 28 ივნისს, პირველში – 34-ე საკითხავად (ქსიმ K-3: 299v), მეორეში კი – 31-ე საკითხავად (ხეც. S-417: 215v-220v).

„ბასილი ანკურიელის წამების“ ბერძნული ტექსტის სათაურში მისი ხსენების დღედ მითითებულია ორი თარიღი. ესენია: 22 მარტი და 28 ივნისი (BHG 1957: 85, [242]).

ტექსტის ქართული თარგმანის ორივე ნუსხაში თხზულების დასასრულს ბასილი მღვდელმონაწილის გარდაცვალების დღედ მითითებულია 28 ივლისი (შესაძლებელია, ეს გადამწერის შეცდომაც კი იყოს და შემდეგ გავრცელდა ასე), მაგრამ თხზულება შეტანილია 28 ივნისის საკითხავებში (ხეც. S-417 მხოლოდ ივნისისთვის საკითხავებს წარმოადგენს).

როგორც ირკვევა, ლათინურ აქტებში წმინდანის აღსრულების დღედ მიჩნეულია 28 ივნისი. ბერძნული აქტების მიხედვით, ბასილი მღვდლის აღსრულების დღედ დასახელებულია 29 ივნისი. ზოგიერთი ვარაუდით, ბასილი უნდა აღსრულებულიყო 29 ივნისს (ახ. სტილით 12 ივლისს), 362 წელს, და შისი მოხსენიება პეტრეპავლობის გამო გადაიტანეს 22 მარტს (Полный Месяцеслов 1901: 82, 113).

ამავე მონაცემს უმნიშვნელო სხვაობით იმეორებს კიდევ ერთი წყარო. მასში ვკითხულობთ, რომ ბასილი ანკურიის ხუცესი, რომლის ხსენება 22 მარტს არის,

¹ ედოქსიოსისა და მისი საქმიანობის შესახებ იხ. I ნაწილი, თავი III, ბასილი ანკურიელის ცხოვრების გზა, 27-32.

იყო ეკლესიის მშენებელი, ძლევამოსილი, კეთილსინდისიერი, უბედურების მომხრე-
რელი, ქრისტიანული სარწმუნოების მხურვალე დამცველი. იგი ხშირად ამხელდა
გზააზნეულ ერეტიკოსებსა და წარმართებს. იულიანე განდგომილის დროს ქრის-
ტიანობის უშიშრად ქადაგების გამო მისცეს სასტიკი წამებას 362-363 წწ.-ში. მას
ყოველდღიურად ხდიდნენ შვიდ-შვიდ საშოლტე ტყავს და, როცა ტყავი სრულიად
შემოაფლითეს, სიკვდილის წინ დადალეს გახურებული შანთებით. ზოგის აზრით,
ის გარდაიცვალა 29 ივნისს. მისი მოხსენიება გადატანილია 22 მარტს (Булгаковъ
1993: 124.6 წმინდანთა ცხოვრება 2003: 241).

სრულიად განსხვავებულია ერთ-ერთი კომენტარი ლათინურ ენაზე (Acta 1856:
378). ყურადღება ექცევა თხზულებაში მოყვანილ ერთ ფაქტს, კერძოდ, იმას, რომ
ბასილი, რომელიც მტკიცედ იცავდა თავის მრწამსს იმპერატორისაგან, ანკკრიი-
დან ანტიოქიაში გადავიდა. იულიანე განდგომილი თებერვალში ანტიოქიაში ჩა-
ვიდა. ბასილთან შეხვედრის შემდეგ მბრძანებელმა გადაწყვიტა მისი სასტიკად
დასჯა. ბასილის წამება რამდენჯერმე განმეორდა და აღესრულა კიდევ იმპერა-
ტორთან დაცილების შემდეგ. ეკლესია ბასილის მიცვალების თვედ მარტს მიიჩნე-
ვს (Acta 1856: 378). თუკი იმპერატორი თებერვალში აღმოსავლეთ ნაწილში მოგ-
ზაურობდა და მაშინ გასცა ბასილის წამებით მოკვდინების ბრძანება, 22 მარტის
მისი აღსრულების თარიღად გამოცხადება არ უნდა იყოს საეჭვო.

22 მარტის, 28 ივნისის გარდა, ბასილი მღვდელმონაშის მოხსენიების დღედ
სახელდება კიდევ 22 და 28 იანვარი (Полный Словарь [д.р.]: 450).

წმინდა ბასილის მონამებრივი ცხოვრების დასასრულის მიკუთვნება 28 იან-
ვრისათვის ახსნილია იმით, რომ ბოლანდისტები 28 ივნისს 28 იანვრით ასწორებენ,
რადგან, მათი აზრით, იულიანე განდგომილი ანტიოქიაში მოგზაურობდა ზამთარ-
ში და იქ 363 წელს ანკკრიიდან ჩავიდა (Полный Месяцеслов 1901: 113).

ერთი ვერსიით, ქრისტიანები პატივს მიაგებენ წმ. მონაშის სხეულს (Булгаковъ.
1993: 124), მეორე ვერსიით კი ივნისის ან იანვრის თვის ბასილის აღსასრულად
გამოცხადება შეცდომაა, ი-ნით დაწყებულ თვეთა სიმრავლე იმან გამოიწვიო, რომ
ძველად თვეთა აღსანიშნავად თვის პირველ ასოებს წერდნენ მხოლოდ (Acta 1856:
378).

ადრეულ (X-XI სს) ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში 22 მარტსა და 28
ივნისს ბასილი ანკკრიელის ხსენება არ გვხვდება.

ბასილი ანკკრიელის ხსენება 22 მარტს XVII-XVIII სს. შედგენილ ქართულ თვე-
ნებსა და სადღესასწაულოებში დასტურდება. ესენია: ხეც A-59 კრებული (XVII-
XVIII: 156r-v) (ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა, 1973: 187), ხეც
A-425 სადღესასწაულო, დომენტი კათალიკოსის რედაქციისა (1718: 398v) (ქარ-
თულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა, 1986: 77), ხეც S-2569 სვინაქსა-
რი (1756: 256) (ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1965: 75-76),
ხეც S-3627 სადღესასწაულო (XVIII: 319v) (ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის
აღწერილობა 1967: 93), ხეც S-4931 სადღესასწაულო (XVIII: 464v) (ქართულ ხელ-
ნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1969: 186) და სხვ¹.

¹ XVII-XVIII სს ჰიმნოგრაფიის შესახებ (იხ. ქავთარია: 1977).

ეს კრებულები უმეტესად მოგვითხრობენ, რომ იგი იყო მღვდელი ანკვიის ეკლესიისა. ივლიანე განდგომილის მეფობისას, „მწვანელებელ იქმნა რა“ ეკლესია ანკვიისა, ზათორილო მთავრის მიერ ანკვიელისა იწამა. მონამე ჯერ დამოჰკიდეს ძელზე, მერე გვერდები გადაუფხიკეს, ტყავი გახადეს და გახურებული რკინებით დადაღეს. წამებისას აღესრულა კიდევ. ზოგიერთ ხელნაწერში მარტის თვის 22 რიცხვში მოცემულია შესხმა „წმიდისა ვასილი მღვდლისა ანკვიის ეკლესიის“ (იხ. ხეც S-4931; 464v ხეც S-3627: 319v).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თვენი ანტონ I კათალიკოსის რედაქციისა, რომელიც გადაუნუსხავს მიხაილს მცხეთაში. მასში 23-ე საკითხავადაა შეტანილი ხოტბა „თთუჴსა მარტსა კბ. წმიდისა მღუდელ-მონამისა ვასილი ხუცისა ანკვიის ეკლესიისა“ (ხეც A-235: 52r-54v) (ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა 1980: 51) ეს საკითხავი ანტონ კათალიკოსს უნდა შეეთხზა და შეეტანა თვენი.

საეკლესიო კალენდარში გვხვდება კიდევ ერთი წმინდანი ბასილი, რომელსაც იხსენიებენ I იანვარს, მაგრამ იგი არის არა ბასილი დიდი, კესარია-კაბადუკიის ეპისკოპოსი, არამედ მონამე ბასილი. იგი ანკვირაში აწამეს, ხოლო კესარიაში ლომებს დააგლეჯინეს (Полный Месяцеслов 1901: 113; Булгаковъ 1993: 6; წმინდანთა წიგნი 2003: 11), ამიტომ უწოდებენ ანკვიელ-კესარიელს. მისი წამებაც ივლიანე განდგომილის დროს უნდა მომხდარიყო, 362 წელს. ზოგი მონაცემით მისი მოხსენიება 2 იანვარს ხდებოდა. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელისეულ დიდ სვინაქსარში ბასილი ანკვიელის ხსენების დღედ 2 იანვარია დასახელებული (Полный Месяцеслов 1901: 113; Булгаковъ 1993: 6; წმინდანთა წიგნი 2003: 11; Acta 1856: 83-84). ეს მონამე უნდა განვასხვაოთ წმ. ბასილი ანკვიელი პრესვიტერისაგან. ეს ბასილი ანკვიელი (კესარიელი) ეწამა ქრისტიანობის მტკიცედ დაცვის გამო დაახლოებით 362 წელს. მრავალი საშინელი წამების შემდეგ ანკვიასა და კონსტანტინოპოლში იგი ლომებს დააგლეჯინეს კესარიაში (Полный Месяцеслов 1901: 1).

სამი ბასილის არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის დადასტურებული (Полный Словарь [б. г.]: 450-451). ერთ - ერთი ბასილი, ანკვიელ-კესარიელად წოდებული, ივლიანე განდგომილის დროს იქნა დადანაშაულებული პრეფექტ სატურნინეს მიერ ქრისტიანობის აღმსარებლობასა და აღიარებაში. ურყევად გადაიტანა ყველანაირი ტანჯვა-წამება, ბოლოს გაგზავნილი იქნა კესარია-კაბადუკიაში, სადაც ველურ მხეცებს დააგლეჯინეს. ხსენების დღეა 1 (2) იანვარი. მეორე ბასილი უნდა ყოფილიყო ანკვიის ხუცესი, წმიდა მონამე. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა თავისი სამწყსოს მიმართ გამორჩეულთ მზრუნველობით. თავის მრევლს იცავდა არა მარტო წარმართული კერპთაყვანისმცემლობისაგან, არამედ არიანული მოძღვრებისაგანაც. სდევნიდნენ არიანელებიცა და წარმართებიც ივლიანე განდგომილის დროს. მან ივლიანე განდგომილს უწინასწარმეტყველა მოახლოებული და საშინელი დაღუპვა, რის გამოც იმპერატორმა წარმართებს უბრძანა მისი სასტიკი წამება. ხსენების დღეა 22 მარტი. მესამე ბასილი კი იყო ექიმი, შემდეგ ეპისკოპოსიც ქალაქ ანკვიისა (336-360),

ნახევრად არიანელთა პარტიის მეთაური; იგი ყოველთვის გამოდიოდა ევდოქსიანელებისა და აკაკიანელების წინააღმდეგ. 360 წელს გაძევებული იქნა არიანელების მიერ. მისი თხოვნები მარკელოსის წინააღმდეგ და „ქალწულებისათვის“ არ შემონახულა.

გამოდის, რომ IV საუკუნის II მესამედში მოღვაწეობდა სამი ბასილი ანკურიელის ზედწოდებით. ცხადია, სამივე ერთდროულად ანკურიის ეპისკოპოსი ვერ იქნებოდა, აქედან მხოლოდ ერთია ეპისკოპოსი, ჰომოიუსიანელთა მეთაური, ყოფილი ექიმი, თხოვნა „ქალწულებისათვის“ ავტორი, რომელიც არასდროს შეურაცხავთ წმინდანად ან მონამედ. მეორე არის მღვდელმონამე, აღსრულებული 22 მარტს (28 ივნისს), ხოლო მესამე ბასილი ხუცია, ანკურიელ-კესარიელი, რომელიც იხსენიება I (2) იანვარს.

მიუხედავად სახელებისა და ზედწოდებათა დამთხვევისა, ახლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სამივე ბასილი სხვადასხვა მოღვაწეა, რომელთაგან ორი ყოფილა მღვდელი და მონამე, მესამე კი – ეპისკოპოსი და სასულიერო წრეებში ფრიად აღიარებული პიროვნება, ჩვენი საკვლევი პერსონა ბასილი ანკურიელი.

ცნობები ბასილი ანკვრიელის ავტორობის შესახებ

ძველ ქართულსა და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში დასტურდება თხზულება „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“. იგი, როგორც ტექსტის ბერძნული რედაქციის შესწავლისას გაირკვა, „მთელი ძველი ტრადიციის თანახმად ბასილი დიდის სახელითაა ცნობილი“ (Leroy 1972: 196). შესაბამისად, ქართულ ხელნაწერებშიც ტრაქტატი მიენერება ბასილი კესარიელ-კაბადუკიელს¹. ადრეული ქართული წერილობითი წყაროების მიხედვითაც იგი ბასილი დიდის ნაწარმოებად არის გამოცხადებული (კეკელიძე 1957: 21; Peradze 285). ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენში მხოლოდ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი, რომ მისი ავტორი არის არა ბასილი დიდი, კესარიელ-კაბადუკიელი, არამედ ბასილი ანკვრიელი (ქაჯაია 1987: 4, 155-156. ქაჯაია 1992: 154-155).

ტრაქტატის მიკუთვნება ბასილი დიდისადმი ევროპულ გამომცემლებსა და მეცნიერებში ჯერ კიდევ გვიან შუასაუკუნეებში იწვევდა ეჭვს, ამიტომაც ამ თხზულებას ფსევდობასილურად, ფსევდოეპიგრაფად მიიჩნევდნენ და ანონიმურ ნაწარმოებად თვლიდნენ (Cavallera 1905: 5).

ტექსტი პირველად ბეჭდურად გამოიცა 1535 წელს, შესრულებულია ვენეციაში დე საბიოსთან, მოიცავს 135-156 გვერდებს (Leroy 1972: 196). ამ გამომცემაში იგი ჯერ კიდევ ბასილი დიდის თხზულებადაა მიჩნეული. ამავე ტომში მოთავსებულია ბასილი დიდის „ასკეტიკონი.“

1721-1730 წწ.-ს პარიზის მავრისტთა გამომცემაში, რომელიც ეკუთვნის გარნიეს და მარანის, ტრაქტატი ბასილი დიდის თხზულებებთან ერთად არის მოთავსებული (Leroy 1972: 195), მაგრამ არაავთენტურ ნაწარმოებათა, ანუ ნაყალბევთა, შემოქმედებაში რიცხვს მიეკუთვნება (Cavallera 1905: 5; ქაჯაია 1992: 23). ანონიმურად აღიარებს მას XIX საუკუნეში მოღვაწე მკვლევართა ნაწილიც. მაგ., 1860 წლის Vive-ს გამომცემა „საერთო ისტორია წმიდა ავტორებისა“ (Cavallera 1905: 5, შენ.

¹ ხეც A-55 (344r-387r), ხეც A-66 (196-270), ხეც A-927 (220v-261v), Ath-49 (203v-205v), PG. XXX, 669-810. ძველ ქართულ მწერლობაში ბასილი დიდის სახელით დაცულია ორი თხზულება სათაურით „ქალწულებისათჳს“, რომელნიც გაცილებით უფრო მცირე მოცულობისანი არიან ჩვენს საკვლევ თხზულებასთან შედარებით და არც მსჯელობის თვალსაზრისით ჰგავანან მას. საკითხავი „ქალწულებისათჳს“ – „არა თუ ცუდად რაიმე იყო მოსლვა...“ და „ქალწულებისათჳს“ – „შორის მრავალთა საბრკელთა სდგათ, შ, ქალწულნი, წმიდანო“... ეს თხზულებები მოღწეულია მრავალთაგვებით და სხვადასხვა კრებულებით. ისინი წინაათონური პერიოდის თარგმანებს განეკუთვნებიან. აღსანიშნავია, რომ ეს თხზულებები Ath-11-ის მიხედვით ატარებენ ბასილი დიდის სახელს, ხეც A-95-სა და ხეც A-19-ში კი – იოანე ოქროპირისას. (ქაჯაია 1992: 21; მაისურაძე 1999: 177; მელიქიშვილი 2000: 6-7; კეკელიძე, 1957: 21(N 15-16-17) Peradze 285.

2) უპირატესობას წმიდა ბასილზე მეტად ანონიმს ანიჭებს და მოკლე დასკვნას გვთავაზობს, რომ იგი არის ნამდვილი (Cavallera 1905: 5). ამ ტრაქტატის სტილზე მომუშავე Cf. Tillemont-ი (Cavallera 1905: 5), რომლის მსჯელობაც მკაცრია, ავტორის შესახებ ამბობს: „უნდა ვაღიაროთ, რომ დასაწყისსა და ბოლოში იგი (ტრაქტატის ავტორი – ლ. შ.) ბევრ ისეთ რამეზე საუბრობს, რასაც წმ. ბასილის მოკრძალებულობა უთუოდ შეამოკლებდა, ანდა სულაც გამორიცხავდა“ (Cavallera 1905: 9, შენ.1). „მისი (ტრაქტატის ავტორის – ლ. შ.) გრძელი, ბუნდოვანი და, შეიძლება ითქვას, მოსაწყენი სტილი საგნებზე მსჯელობისას ერთობ დაშორებულა წმ. ბასილის მჭევრმეტყველებისაგან, სადაც არაფერია გამოტოვებული და არც არაფერია ზედმეტი“ (Cavallera 1905: 5 შენ.2). სხვა, უფრო გვიანდელი ავტორები, რომლებიც იკვლევდნენ წმიდა ბასილის მემკვიდრეობას, ამის შესახებ არაფერს ამბობენ (Cavallera 1905: 13-14, შენ.9).

ამდენად, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ევროპელ მეცნიერთა და გამომცემელთა აზრი ზემოხსენებული ტრაქტატის ავტორის ვინაობის შესახებ ორად იყო გაყოფილი. ამ ორჭოფულ ვითარებაში გარკვეულობა შეიტანა მამა ფერდინანდ კავალერამ, რომელმაც 1905 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „ბასილი ანკურიელის „ქალწულებისათვის“ გამოთქვა მოსაზრება, რომ ღირსშესანიშნავი ტრაქტატი „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ უნდა მიეკუთვნოს IV საუკუნის II მესამედის მოღვაწეს, 336-360 წლებში ანკურიის (გალათიის¹) ეპისკოპოსს, ჰომოიუსიანელთა პარტიის ლიდერს, წინამძღოლს, ბასილი ანკურიელს. მისი მოსაზრება გახდა შემდგომში მკვლევართა და მეცნიერთათვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი (Cavallera 1905: 5-14).

მამა F.G Cavallera ამ ვარაუდის გამოთქმისას დაეყრდნო თხზულების სტილს, ისტორიულ მონაცემებს და ავტორის სამედიცინო ცოდნას, რომელიც თვალსაჩინოაა წარმოდგენილი ტექსტში. მისი აზრით, „თხზულების ბუნდოვანი, ერთფეროვანი სტილი და ზოგჯერ სტილის სავალალო სიტლანქე“ (Cavallera 1972: 5). ცხადლივ მოწმობს, რომ მისი ავტორი არ არის კესარიის ეპისკოპოსი. მკვლევარი მსჯელობისას იმონმებს ბასილი ანკურიელის თანამედროვის, წმიდა იერონიმეს, ცნობას, რომელიც იუწყება, რომ ჰომოიუსიანელთა წინამძღოლი ბასილი იყო ანკურიის ეპისკოპოსი, ყოფილი ექიმი, ეკუთვნოდა ანკურიის სასულიერო ტახტზე თავისი წინამორბედის მარკელოსის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური თხზულება და ტრაქტატი „ქალწულებისათვის“ (PL. 23: 731C). შემდეგ კი მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს თხზულებაში არსებულ ორიოდ დეტალზე. ერთი, რომ ავტორი ეპისკოპოსია და, მეორეც, იგი თავის თხზულებას უგზავნის სხვა ეპისკოპოსს, სახელად ლეტოიოსს (ქართული ტექსტის მიხედვით, ლიტოიეს). თხზულების ბერძნული ტექსტის სათაურში მითითებულია ადრესატი, ეპისკოპოსი ლეტოიოს მელიტინელი: „Περὶ τῆς ἐν παρθενίᾳ ἀληθινῆς ἀφθαρσίας πρὸς Ἀητούσιον ἑπίσκοπον Μελιτυῆς.“ (PG.30: 669A).

ქართულ თარგმანში კი დაკონკრეტებულია ავტორი: „თქუმული ბასილი კესარიელ-კაბადუკიელისა ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისა-

¹ გალათია Galatia ქვეყანა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში (გიგინიევილი 1985: 38).

თვს“(ქალწულ. 1,1). ტექსტის დასაწყისში, ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგ-მანშიც, ავტორი მიმართავს ლეტოიოსს (ლიტოიეს), როგორც თავის თანამოაზრეს: “ἔπισκόπου ἰμάτῳσχε Λητόιε” I (PG 30, 672A) „ზიარო სულისა ჩემისაო, ლიტოიე“ (ქალწულ.1,2).

მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ადრესატზე და ცდილობს მისი ვინაობის გარკვევას. მან მიძღვნის ამგვარი ფორმა ფრიად მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია და სრულიად სამართლიანადაც. საქმე ისაა, რომ არსებობს ერთი დოკუმენტი, კერძოდ, მანიფესტი საეკლესიო კრებისა, რომელიც ბასილი ანკურიელმა მოიწვია თავის საეპისკოპოსო ქალაქში 358 წელს (PG. XLII, C. 403-426). ამ მანიფესტს 12 ეპისკოპოსი აწერს ხელს, რომელთაგან უმრავლესობა ცნობილი არ არის. დოკუმენტს პირველ პირად ბასილი აწერს ხელს, მეოთხეა – ლეტოიოსი: “καὶ ἔστιν ὁ πατριάρχης Βασιλείου, Ευσταθίου, Ψερέχου, Λετίου”... (PG. XLII, 524C).

F. Cavallera ისტორიულ ფაქტებს იშველიებს, იუწყება, რომ პირველი ეპისკოპოსი, რომელიც მელიტინის ტახტზე არის ცნობილი, ურანიოსია, 363 წლის ანტიოქიის კრების მონაწილე. მას ენაცვლება ოტრეუსი (PG. LXVII, VI, 12, 1322 C), რომელიც 381 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრების დროს ჯერ კიდევ არის მელიტინის სასულიერო ტახტის საჭეთმპყრობელი, მისი მემკვიდრე კი უნდა იყოს ლეტოიოს მელიტინელი (ეს ის ცნობილი ეპისკოპოსია, რომელმაც ბასილი დიდის ძმას, გრიგოლ ნოსელს, მისწერა ეპისტოლე (დიდი სჯულის კანონი 1975: 509). ამ ცნობებზე დაყრდნობით, მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ მელიტინის ცნობილი ეპისკოპოსის გარდა, მისი რომელიმე წინამორბედიც ყოფილიყო მისი სეხნია. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, ვინ იყო 358 წელს მელიტინის ეპისკოპოსი.

ფაქტების ისტორიულ ჭრილში გააზრება მამა F. Cavallera-ს აძლევს საშუალებას, მკითხველს არჩევანი შესთავაზოს ორ ჰიპოთეზას შორის: თუკი ბასილის მეგობარი მელიტინელი ეპისკოპოსია, მაშინ სათაურში დარჩება: “πρὸς Λητόιον ἐπίσκοπον Μελιτηνῆς” (PG. XLII, 524C), ხოლო თუკი ბასილის მეგობარი არ არის მელიტინელი ეპისკოპოსი, მაშინ სათაური, შესაძლებელია, იკითხებოდა უბრალოდ, მარტივად: “Βασιλείου πρὸς Λητόιον περὶ τῆς παρθενίᾳ”... შემდეგ კი მოგვიანებით ბასილი და ლეტოიოსი (ლიტოიე) შეიცვალნენ უფრო ცნობილი და გვიანდელი სეხნიებით (Cavallera 1905: 8). სხვათა შორის, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ქართული ტექსტის მიხედვით, სათაურში მოხსენიებულია მხოლოდ ავტორი. შესაძლებელია, თავიდან მართლაც არ იყო დაკონკრეტებული ბასილის ზედწოდება, ადრესატი მელიტინელი ეპისკოპოსი ლეტოიოსი (ლეტოიე) კი იქ მოხსენიებული არ არის. ლეტოიეს ხსენებას ვხვდებით მხოლოდ ტრაქტატის დასაწყისში და ისიც ზედწოდების გარეშე (ქალწულ. 1, 2).

მკვლევარს მიაჩნია, რომ ბასილი ანკურიელისათვის თხზულების მიკუთვნება ძალზე ბუნებრივად ახსნიდა იმ თავისებურებას, რამაც თავგზა აუბნია კრიტიკოსებს. ამისი მიზეზი, მისი აზრით, ის არის, რომ ავტორი ისე შორს მიდის, რომ, მიუხედავად თავისუფალი მეტყველებისა, რომელსაც იყენებდნენ ბერძენი

საეკლესიო მოღვაწენი, მაინც ერთგვარი უხერხულობით იკითხება ის ადგილები, რომლებიც ჩვეულებრივ ფიზიოლოგიური ტრაქტატებისათვისაა განკუთვნილი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ტრაქტატს წერდა არა ბასილი კესარიელი, არამედ ბასილი ანკურიელი, ყოფილი ექიმი, მისი თავშეუკავებლობა აღარ გამოიწვევს გაკვირვებას (Cavallera 1905: 9).

თხზულების მიხედვით, მკვლევარს უჭირს ავტორის სარწმუნოებრივ კრედოზე მსჯელობა. სამებაზე ავტორის აზრი ძლივს საცნობია ზოგი აქა-იქა გაბნეული არასაკმარისად სახასიათო პასაჟით (Cavallera 1905: 10).

F. Cavallera ნაშრომში იძლევა ნახევრად არიანელთა სინოდის ტექსტისა და თხზულების ტექსტის ფრაგმენტულ შედარებას. იგი ცდილობს, გაერკვეს ამ ორი წერილობითი წყაროს საერთო წარმომავლობაში, მაგრამ თხზულებების დეტალურ შედარებას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან სინოდის თეოლოგიური ტრაქტატი საკმაოდ მოკლეა, ხოლო „ქალწულებისათვის“ ლიტურატიურული ძეგლია, ხატოვანი გამოთქმებითა და შედარებებით. მიუხედავად ამისა, მისი აზრით, თხზულებებს სტილი მაინც ანათესავებს (Cavallera 1905: 12).

მამა F. Cavallera შეეცადა ტრაქტატი დაეთარილებინა. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ თხზულება 358 წლის შემდგომ პერიოდს არ უნდა განეკუთვნებოდეს. ერთი, რომ ბასილს აღარ დასცალდებოდა მისი შეთხზვა კონსტანციუსის ზეობის ბოლო წლებში (358-361 წწ.) (История Византии 1967: 170-172), რადგან 360 წელს ის ჩამოაცილეს სასულიერო ტახტს და ილირიაში გადაასახლეს. მეორეც, „გასაოცარი ამბავია და ძნელად ასახსნელიც: იმ შემთხვევაში, თუ თხზულება სამების ორთოდოქსიის სრული გამარჯვების შემდგომ პერიოდს განეკუთვნება“, რატომღა ასახელებს ავტორი მარკიანეს ერესს (Cavallera 1905: 11, შენ. 10):

„ეგრეთვე მარკიონ და შემდგომნი მისნი მწვალებელნი, რომელთა წვალება სოფელსა შინა დასთესეს და სავენებელ მრავალთა იქმნნეს ვნებისა მისთვის სულთაჲსა, დაღაცათუ ადრევე. მოკუდეს, არამედ სამარადისოდ უმწარეს იქმნების სატანჯველი მათი“ (ქალწულ. 33, 6).

“ὄστω Μαρκίαν καὶ οἱ λοιποὶ τῶν αἰρετικῶν ἑγκαταστειράντων τῷ βίῳ δόγματα βλάπτουσιν, ἀπάντων τῶν ἐξ αὐτῶν ἔντεῦθεν βλαπτομένων, μικροτέροις τοὺς προκατάρξαντας τῆς κακίας κολαστερίοις, καὶ πάσαι ὀμῶς τεθνεῶντας, ἐκεῖ παραδιδόντων” 33 (PG. 30, 737 A).

ავტორი ნაწარმოების დასასრულს ანომელებზე ბუნდოვანი მინიშნებით კმაცოფილდება. როგორც ჩანს, არ იცოდა, რა კონკრეტული სახელი უნდა ეწოდებინა ამ ერესისათვის, ამის გამო მას იხსენიებს, როგორც „ახალ ერესს“ (Cavallera 1905: 11, შენ. 11).

F. Cavallera-ს ამ დაკვირვებათა საფუძველზე გამოტანილი დასკვნის მიხედვით:

1. თხზულება „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ არ არის წმ. ბასილი დიდის ნაწარმოები. მასში უნდა დავინახოთ უწინ დაკარგულად მიჩნეული თხზულება ბასილი ანკურიელისა.

2. ადრესატად დასახელებული ლეტოიოსი (ლეთოიე) არის არა გრიგოლ ნოსელის თანამედროვე მელიტინელი ეპისკოპოსი, არამედ სულ სხვა ეპისკოპოსია,

რომელიც მეოთხე კაცად ხელს აწერს 358 წლის ჰომოიუსიანელთა ტრაქტატს (PG. LXII, 425 A; Cavallera 1905: 6, შენ. 6).

3. ტრაქტატი უნდა მივიჩნიოთ 358 წელზე ადრე შეთხზულად.

მკვლევარმა თავისი მოსაზრება მოგვიანებით კვლავ გაიმეორა (Dictionnaire 1937: 1283), მაგრამ არც მანამდე და არც შემდეგ მას არავინ შეჰკამათებია. F. Cavallera-ს მიერ მოყვანილი მასალა იმეორებს იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც ავტორს წარმოდგენილი აქვს 1905 წლის პუბლიკაციაში და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ არაფერი ეწინააღმდეგება იმ თვალსაზრისს, რომ ტრაქტატი „ქალწულებისათვის“ ბასილი ანკურიელის თხზულებად გამოცხადდეს. ეს გაიგივება საერთოდ ყველამ მიიღო, განსაკუთრებით კი ბარდენკოვი. მკვლევარი ასევე არ ცვლის უწინდელ თვალსაზრისს ამ ლიტერატურული ძეგლის შექმნის თარიღის შესახებ და მას ისევ 358 წ.-მდე შექმნილად აცხადებს.

1932 წ.-ს, F. Cavallera-ს პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე, გამოვიდა R. Janin-ის საენციკლოპედიო ნაშრომი, რომელიც ყველაზე სრულყოფილია ბასილი ანკურიელისადმი მიძღვნილ საენციკლოპედიო ნაშრომებს შორის. სტატიის ავტორი იმონმებს წმ. იერონიმეს ცნობას, რომელიც თხზულებას „ქალწულებისათვის“ ბასილი ანკურიელს აკუთვნებს (Janin 1932: 1106).

1943 წელს პარიზში გამოქვეყნდა ნაშრომი (Vaillant 1943: I-VIII), რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თხზულება ბასილი დიდისაა. შეიძლება ითქვას, ეს პუბლიკაცია არის ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ნაშრომი, რომელშიც ტრაქტატის ავტორზე განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული. მკვლევარი აღნიშნავს, რომ დასკვნები იმის შესახებ, თითქოს ბასილი დიდი თავისუფალი იყოს ტრაქტატზე პასუხისმგებლობისაგან და ნაშრომი უნდა ეკუთვნოდეს უცნობს, უფრო ღვთისმოსავურია, ვიდრე ფილოლოგიური. იგი გადამწყვეტად არ მიიჩნევს მანამდე არსებულ არგუმენტებსაც, რომელთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ „ქალწულებისათვის“ მიმართულია ეპისკოპოს ლეტოიოსისადმი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო მემკვიდრე 381 წლის საეკლესიო კრებაში მონაწილე ოტრეუსისა. ლეტოიოსს შეეძლო ტახტის დაკავება მელიტინის კათედრაზე 379 წელს. მაგრამ, შესაძლებელია, მიძღვნის ჩამატება მისი ნომინაციის შემდეგ მოხდა, მით უმეტეს, რომ ლეტოიოსს ბასილი დიდის ძმამ, გრიგოლ ნოსელმა, მიუძღვნა კანონიკური ეპისტოლე.

ავტორი ყურადღებას მიმართავს ტრაქტატის დასაწყისში არსებული ფრაზის – „ἐπίσκοπον ἰμπίσχυε λείπει“–ს მნიშვნელობაზე. ეს ფრაზა, მისი აზრით, შესაძლებელია, ნიშნავდეს „ეპისკოპოსთა თანამშრომელს.“

პუბლიკაციაში გაანალიზებულია მეორე მიზეზი, რომელიც გამოიყენება იმის სამტკიცებლად, რომ „ქალწულებისათვის“ აპოკრიფული (ანონიმური) ძეგლია. ტექსტს ახასიათებს აშკარა სტილური განსხვავება იმ თხზულებებისაგან, რომლებიც ბასილი დიდის უეჭველ ნაწარმოებებად ითვლება. მკვლევარს უმართებულოდ ეჩვენება საკითხის ამგვარად დაყენება და ამ ტრაქტატის ბასილი დიდისათვის ნაკლებ შესაფერისად გამოცხადება. იგი არ მიიჩნევს, რომ ტრაქტატი ფიზიოლოგიურია. მისი აზრით, ბასილი დიდი მიუთითებდა ყველა საფრთხეს, რაც ემუქრე-

ბოდა ქალწულთა სათნოებას, რადგან ისინი ცხოვრობდნენ რთულ ეპოქაში და ეს საფრთხეები რეალური იყო.

A. Vaillant-ი აცხადებს, რომ თხზულებაში ფიზიოლოგია ეყრდნობა ფსიქოლოგიას, იგი ძირითადად პლატონურია. ავტორს მიაჩნია, რომ მრავლადაა ციტატები პლატონური და ნეოპლატონიზმის ფილოსოფიიდან და ეს საკითხავი არის საბუთი პლატონური ფსიქოლოგიის გავლენის შესახებ ასევე ცხოვრების გონებრივ ორგანიზაციაზე. მკვლევარის აზრით, „ქალწულებისათვის“ დოქტრინა ეფუძნება პავლე მოციქულის 37-ე თავს (სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს კორინთელთა I, VII, 25-37 - ლ. შ.). ტრაქტატი არის მანამდელი ძველი, სანამ ქალთა მონასტრები დაარსდებოდა, ამიტომ ავტორი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც წარმართავდა ქალწულების აღთქმადამდებელი დედების ცხოვრებას. ამდენად, მისაღები უნდა იყოს მოსაზრება, რომ კაბადოკიაში სამონასტრო ცხოვრების ორგანიზატორი ბასილი ჩაითვალოს ტრაქტატის ავტორად. თავისი ძმის იდეები კი განავითარა გრიგოლ ნოსელმა. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ თხზულებას თავისი ადგილი უჭირავს „კანონებისა“ და „ჰექსაემერონების“ („ექუსთა დღეთათვის“) გვერდით.

გამოთქმულ მოსაზრებას ბასილი კესარიელ-კაბადუკიელის ავტორობის შესახებ დიდი გავლენა არ მოუხდენია მანამდე მიღებულ თვალსაზრისზე, რომ თხზულება ბასილი ანკურიელს ეკუთვნის. ამისი დასტური უნდა იყოს პუბლიკაცია „კვება და ქალწულება ბასილი ანკურიელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებებში“ (იხ. Janini 1950: 187-197). თავად გამოკვლევა ეხება კვების საკითხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ სათაურშივე ჩანს ბასილი ანკურიელის ავტორად აღიარების ფაქტი.

ჩვენი საკვლევი თხზულება ბასილი დიდს მიენერება გ. მინის პატროლოგიაში (PG. XXX, 669-810). თხზულების შესავალში აღნიშნულია, რომ ამ თხზულებას ყურადღებას აქცევდნენ ძველი მწერლები თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში. მითითებულია ისიც, რომ თხზულება განსხვავდებოდა სტილით მისი ხელიდან გამოსული სხვა თხზულებებისაგან (PG. XXX, 668-670). პატროლოგიის ინდექსში ფრჩხილებში მინერილია ბასილი ანკურიელის სახელი, ე.ი. ეს უზუსტობა გასწორებულია (Indices 23). (აღსანიშნავია, რომ პატროლოგიის ინდექსის შემდგენელი არის ის F. Cavallera, რომელსაც ეკუთვნის ჰიპოთეზა ბასილი ანკურიელის ავტორობის შესახებ).

1972 წელს F.J. Leroy-მ პარიზში გამოაქვეყნა ტექსტოლოგიური გამოკვლევა, რომლის სათაურია „ხელნაწერი ტრადიცია ბასილი ანკურიელის ტრაქტატისა „ქალწულებისათვის“, რომელშიც ის იმომბებს მამა F. Cavallera-ს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მავრისტთა შემდგომ, რომელთაც ტრაქტატი არაავთენტურ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნეს, აღარავის უფიქრია დაეცვა თვალსაზრისი, რომ ეს ნაწარმოები ბასილი კესარიელისაა. F. Cavallera-ს თვზის მას შემდგაც არავინ შეჰკამათებია, რაც ავტორმა თავისი მოსაზრება გაიმეორა 1937 წ. (Leroy 1972: 196).

შედარებით ხშირია ცნობები ბასილი ანკვრიელის შესახებ მოგვიანებით გამოცემულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში, რომლებიც შესაძლოდ მიიჩნევენ მის ავტორობას ტრაქტატის „ქალწულებისათვის“ (the Oxford dictionary 1958: 139; the Oxford dictionary 1991: 268; Angelo Di Berardino 1990: 348; Altaner 1980: 89. Herder 1958: 31-32). ბასილი ანკვრიელის თხზულებადაა შეტანილი იგი CPG-ში 2827 De Virginitate (CPG I 1974: 139).

განსაკუთრებით საყურადღებოა T. M. Shaw-ს გამოკვლევები. მან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა სხეულისა და სქესის ტვირთის შესწავლის საქმეში. მის გამოკვლევებში სხვა ავტორებთან ერთად ღირსშესანიშნავი ადგილი ეთმობა ბასილი ანკვრიელსა და მის ტრაქტატს „ქალწულებისათვის“ (Shaw 1997: 579-596; Shaw 1998: 81-92; 184-187; 235-238). მკვლევარი თავის წიგნში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დაწვრილებით განიხილავს ჩვენთვის კარგად ცნობილ ადრეულ ლიტერატურას, რომელიც ეხება ბასილი ანკვრიელს და მის თხზულებას.

რუს მკვლევართა და მეცნიერთათვისაც XIX საუკუნეშივე ყოფილა ცნობილი ბასილი ანკვრიელისა და მისი თხზულების შესახებ. ისინიც ისევ და ისევ გვანუგვანებენ ნმ. იერონიმეს ცნობას, რომ ბასილის არც პოლემიკური წერილი მარკელოსისადმი და არც მისი თხზულება „ქალწულებისათვის“ არ შემონახულა (Брокгауз 1892: 579; Полный [б. г.]: 451).

ქართულ სამეცნიერო ცნობიერებაში პირველად ნინო ქაჯაია შემოიტანა ბასილი ანკვრიელის ავტორობის საკითხი F. Cavallera-სა და F.J. Leroy-ს პუბლიკაციებზე დაყრდნობით (ქაჯაია 1987: 155-156; ქაჯაია 1992: 154-155). მას შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თხზულება ბასილი ანკვრიელის ნაწარმოებად არის მოხსენიებული (მელიქიშვილი 2000: 17, სქოლიო 42).

ჩვენს ხელთ არსებულმა წერილობითმა წყაროებმა და სამეცნიერო ლიტერატურამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ბასილი ანკვრიელის ავტორობის საკითხს დიდხანს აკვირდებოდნენ მკვლევრები და მეცნიერები. მათ გამოთქმულ ვარაუდთაგან ფიგურირებდა ორი:

1. თხზულება ანონიმურია;
2. თხზულებაში უნდა დავინახოთ მანამდე დაკარგულად მიჩნეული ბასილი ანკვრიელის „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“, რაც უმრავლესობისათვის (გარდა A. Vaillant-ისა) მისაღები გახდა.

ამრიგად, ბასილი ანკვრიელი უნდა გამოცხადდეს თხზულების ავტორად და წყაროებში ბასილი დიდის ტრაქტატად მიჩნეული „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ თავის ნამდვილ ავტორს მიეკუთვნოს.

ბასილი ანკვრიელის ცხოვრების გზა

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ბასილი ანკვრიელის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები ასე წარმოგვიდგება: ბასილი, ანკვრიის ეპისკოპოსი, ზომიერი არიანელების წინამძღოლი იყო IV ს.-ში.

335 წელს ტკროსის საეკლესიო კრებაზე, რომელზეც აღმოსავლეთის მამები დათანხმდნენ ათანასე ალექსანდრიელის გადადგომას (Болотов 1918: 47,129; Chapman 1912: 1), მის დასაცავად გამოვიდა ანკვრიის მაშინდელი ეპისკოპოსი მარკელოსი. იგივე მარკელოსი იერუსალიმში გამოვიდა არიოზის წინააღმდეგ. იერუსალიმიდან იგი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, კონსტანტინე I დიდს¹ მიართვა თავისი წიგნი, რომელიც პოლემიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო და, როგორც ჩანს, ემსახურებოდა ნიკეის რწმენის დაცვას. იმპერატორმა წიგნის განხილვა მიანდო კონსტანტინოპოლის 336 წლის კრებას. ამ კრებამ დაამხო მარკელოსი და ეპისკოპოსად აირჩია ბასილი, რომელიც იყო მარკელოსის მემკვიდრე (Болотов 1918: 51-52; Janin 1932: 1104; Chapman 1912: 1). ბასილი იყო თავისი დროის უღირსეულესი პიროვნება, სერიოზული ღვთისმეტყველი (Болотов 1918: 52).

343 (344) წელს კონსტანტიმ² მოითხოვა კონსტანციუსისაგან ჩატარებულიყო მსოფლიო საეკლესიო კრება იმპერიის დასავლეთ ნაწილში. შეიკრიბა დასავლეთის 94 თუ 96 ეპისკოპოსი და 76 ეპისკოპოსი აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთის წმინდა მამები აღმოჩნდნენ უმცირესობაში (Болотов 1918: 62; Janin 1932: 1104-1105). მამათა წინასწარი მოლაპარაკებები იმით დამთავრდა, რომ აღმოსავლეთის მამები სარდიკიიდან (დღევანდელი ქ. სოფია) გაიპარნენ იმ მიზეზით, რომ კონსტანციუსის სპარსელებზე გამარჯვების გამო აღველინათ ლოცვა. ისინი შეჩერდნენ ფილიპოპოლში, სადაც ჩაატარეს კრება, უწოდეს სარდიკიის კრება, რომელზეც გაკიცხულ იქნა 9 ეპისკოპოსი: ათანასე ალექსანდრიელი, მარკელოსი და სხვები (Болотов 1918: 63).

¹ იმპერატორ კონსტანტინე I დიდს გარდაცვალების შემდეგ სამი ვაჟი დარჩა, რომელთაც გაინაწილეს რომის იმპერია. აღმოსავლეთს მართავდა კონსტანციუსი (შდრ. Constantius) (337-361), გალიას – კონსტანტინე II უმცროსი (337-340), ხოლო იტალიას – კონსტანტი (337-350). კონსტანციუსმა მოიმორა ძმები თავიდან და 353 წლიდან ის იყო იმპერიის ერთპიროვნული მმართველი. მრწამსით იგი ემხრობოდა არიანულ ფრთას (История Византии 1967: 170).

² კონსტანტი (337-350) განსაკუთრებით გაძლიერდა თავისი ძმის, კონსტანტინე II უმცროსის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. IV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. იგი ნიკეის მრწამსს ემხრობოდა (История Византии 1967: 170).

არც დასავლეთის მამები დარჩნენ ვალში, გახსნეს კრება და ბასილი ანკკრიელი, რომელიც მონანილეობდა ფილიპოპოლის საიდუმლო შეკრებაში, არ ცნეს ეპისკოპოსად, სამაგიეროდ, რეაბილიტირებული იქნა მარკელოსი. ამავე კრებაზე მონანილეებმა დაამხეს სტეფანე ანტიოქიელი, აკაკი კესარიელი და 11 არიანელი ნინამძლოლი (Болотов 1918: 64; Janin 1932: 1105. Chapman 1912: 1).

ამ კრების შემდეგ კონსტანტიმ კონსტანციუსს მოსთხოვა კრების დადგენილების აღიარება. ამის შედეგად გადასახლებიდან დააბრუნეს ათანასე ალექსანდრიელი, მარკელოსი და სხვები. 346 წელს მარკელოსი დაბრუნდა ანკკრიაში (Болотов 1918: 65), მაგრამ განაჩენის აღსრულება ადვილი არ იყო, რადგან ბასილს შეჩვეული მოსახლეობა აჯანყდა (Болотов 1918: 65; Janin 1932: 1105). მართალია, განდევნილი მართლმადიდებლები დაუბრუნდნენ სასულიერო ცხოვრებას, მათ შორის მარკელოსი დაუბრუნდა ანკკრიის სასულიერო ტახტს, მაგრამ არცთუ დიდხანს, რადგან მათი მდგომარეობა არ იყო მყარი, კონსტანტის სიკვდილის შემდეგ 350 წელს კი მათი პოზიციები კიდევ უფრო შეირყა (Болотов 1918: 66, Janin 1932: 1105). კონსტანციუსის მმართველობის დროს ბასილმა დაიკავა თანამდებობა ანკკრიაში (Janin 1932: 1105. Chapman 1912: 1). ამის შემდეგ იგი კვლავ არის ნიკეელების მონინალმდებელთა პირველ რიგებში და ეს ჩანს არიანელების მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯში (Janin 1932: 1105).

351 წელს სირმიუმში შედგა ევსებთან ელთა საეკლესიო კრება, რომელშიც ბასილი ანკკრიელმაც მიიღო მონანილეობა. კრებას დაესწრო თვით იმპერატორი კონსტანციუსი. ბასილი ანკკრიელსა და სირმიუმის ეპისკოპოსს, ფოტინოსს (Φωτεινός εις. Болотов 1918: 131) შორის გაიმართა დისპუტი. ბასილმა დაამარცხა მოკამათე და იმპერატორმა დაამტკიცა ფოტინოსის გასამართლება (Болотов 1918: 133; Janin 1932: 1105). ფოტინოსი ეპისკოპოსობამდე იყო ანკკრიის დიაკვანი (Болотов 1918: 132; Chapman 1912: 1), მარკელოსის მონაფე, მაგრამ მისი მომხრე არასდროს ყოფილა. ბასილს შემდგომში ჰქონდა კამათი არიანელ აეტიოსთან (PG. LXV: 525A-528B; Болотов 1918: 72; Chapman 1912: 1). როდესაც არიანული პარტია დანაწევრდა და ოთხ ფრთად¹ დაიყო, ბასილი ანკკრიელი გახდა ნახევრად არიანელების, უკიდურესი მემარჯვენეების, მეთაური, რომელთაც უწოდებდნენ ჰომოიუსიანელებს. ისინი თვლიდნენ, რომ შვილი ყოველმხრივ ჰგავს მამას, თვით არსითაც და ჰიპოსტასითაც (Болотов 1918: 73; Janin, 1932: 1105). 358 წელს ანკკრიაში გაიმართა ეკლესიის კურთხევისთან დაკავშირებული კრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბასილი და ეს იყო ჰომოიუსიანელთა ოფიციალური აღიარება (Болотов 1918: 46-52; Janin 1932: 1105).

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 357 წელს თუ უფრო გვიან, როცა გარდაიცვალა ლეონტი ანტიოქიელი, კონსტანციუსის სასახლის კარზე იყო ჰერმანიკუ-

¹ ეს ოთხი ფრთა იყო შემდეგი: 1) უკიდურესი მემარცხენეები, ანუ ანომელები; 2) მემარცხენე ცენტრი, ანუ ევდოქსიანელები; 3) მარჯვენა ცენტრი, ანუ აკაკი კესარიელი და მისი მომხრეები; 4) უკიდურესი მემარჯვენეები, ანუ ბასილი ანკკრიელის მომხრეები. უკიდურესი მემარცხენეები მიიჩნევდნენ რომ შვილი არ ჰგავს მამას, მარჯვენა ცენტრი კმაყოფილებოდა იმის აღიარებით, რომ შვილი მსგავსია მამისა, მაგრამ არ განმარტავდნენ, რითი იყვნენ ისინი ერთმანეთის მსგავსნი (Болотов 1918: 73).

მის ეპისკოპოსი ევდოქსიოსი, აშკარა არიანელი (არიანელთა მარცხენა ცენტრის მეთაური), უსიმპათიო პიროვნება, რომელიც შეხედულებებს ძალიან ხშირად იცვლიდა. მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ლეონტი ანტიოქიელი, მან ითხოვა თავის მრევლთან გაშვება, სინამდვილეში კი გაემგზავრა ანტიოქიაში, განუცხადა იქაურ ეპისკოპოსებს, რომ იგი იქნებოდა ეპისკოპოსი ლეონტის ნაცვლად, გამონახა მათთან საერთო ენა და მოახერხა მათი მიმხრობაც (Болотов 1918: 74; Chapman 1912: 1; PG. LXXXII 1061B-C-D). ანტიოქიის ტახტზე აღსაყდრებულიმა ევდოქსიოსმა დაიწყო ბასილიანელთაგან თავისი მრევლის განმენდა და უკიდურესი არიანული მრწამსის მქონეთა აღზევება, სცადა აეტიოსის დიაკვნის ხარისხში აღზევება. მან მალე ანტიოქიაში მოიწვია კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ აკაკი კესარიელი და ურანოს ტკრელი. მათ განსაჯეს ჰომოიუსიანელთა და ჰომოუსიანელთა შეხედულებანი, დაამტკიცეს სირმიუმის მეორე ფორმულა, სადაც უარყოფილი იქნა 'ομοιουσα-ცა და 'ομοιουσα-ც.¹

გიორგი ლაოდიკიელმა მიმართა აღმოსავლეთის ეპისკოპოსებს წერილით, აცნობა ანტიოქიის კრების გადაწყვეტილება და სთხოვა მათ ანტიოქიაში მართლმადიდებლობის გადარჩენა. ამ წერილში მოთხრობილი იყო, რომ ევდოქსიოსმა მხარი დაუჭირა აეტიოსს (Chapman 1912: 1). პირველად მას გამოეხმაურა ბასილი ანკურიელი, მოიწვია კრება ანკურიაში (დღევანდელი ანკარა) 358 წელს აღდგომის წინ². მან კრებაზე წაიკითხა გიორგის წერილი და მიმართა ეპარქიის ეპისკოპოსებს.

მიმართვას მოჰყვებოდა კრების მრწამსის გადმოცემა, რომელიც მთავრდებოდა 18 ეპისკოპოსის ანათემით – დანყებული მარკელოსით დამთავრებული ანომეელებით (Болотов 1918: 74-75; Chapman 1912: 1). მამები ამტკიცებდნენ, რომ შვილი მსგავსია მამისა არა მხოლოდ ენერგიით, არამედ არსითაც. და, რომ ღმერთმა შობა ძე არა მხოლოდ (თვითმფლობელობით) ("ο κατ' εξουσιαν") არამედ, "κατ'ουσιαν"(არსითაც) (Болотов 1918: 75).

¹ სირმიუმის II ფორმულის თანახმად, არის ერთი ღმერთი, ყოვლისმფლობელი და ერთი ძე ღვთისა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. არ უნდა იყოს ლაპარაკი ორ ღმერთზე, რადგან თვითონ უფალი ამბობს: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“ (იოვანე, XX, 17) ამიტომაც ის არის ყველას ღმერთი, როგორც თქვა მოციქულმა: (რომაელთა, III 29): „ანუ ჰურიათა-მე ხოლო არსა ღმერთი და არა წარმართთაიცა? ჰე, წარმართთაიცა“. რომაელთა, III 30: „ვინათგან ერთ არს ღმერთი, რომელმან განამართლის წინადაცუთელი სარწმუნოებითა და წინაუცუთელი მითვე სარწმუნოებითა“. ყველა ადგილი წმიდა წერილისა მას ეთანხმება და გაურკვეველობა არ არის. ზოგს აშფოთებს საკითხი 'ομοιουσα-სი და 'ομοιουσα-სი, ან ე.წ. 'ομοιουσα-სი. ეს არ არის ეკლესიის სარკვევი, რადგან წმინდა წერილში ამ გამოთქმებს არ ვხვდებით. კაცობრიობის გონებას არ ძალუძს ჩასწვდეს ქრისტეს შობის საიდუმლოს არსს, ამასთან არავის ეპარება ეჭვი, რომ მამა აღმატებულია შვილზე. ყველა ორჭოფობის გარეშე თანხმდება იმ აზრს, რომ მამა უპირატესია შვილზე, რასაც შვილიც ემონმება: „...მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამა ჩემი უფროს არს ჩემსა“ (იოვანე XIV, 28). სწორია ისიც, რომ არსებობს ორი პირი, მამა და შვილი, რომელიც ექვემდებარება მამას. მამას არა აქვს საწყისი, უხილავია, უკვდავია, შვილი კი იშვა მამისაგან, როგორც ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან (Болотов 1918: 67-68).

² ამ კრების ამბავი აღწერილია Ἐπιστολὴ ψευδοσυμβου Ἀγκυρίτης; PG. LXII, 404A-425A: (Janin 1932: 1105; Chapman 1912: 1)

კრებამ ელჩობა გაგზავნა კონსტანციუსთან და მოითხოვა ევდოქსიოსის წინააღმდეგ ბრძოლა, მართლმადიდებლობის დაცვა. წარგზავნილები იმდენად წარმატებულად მოქმედებდნენ, რომ კონსტანციუსმა განაცხადა, რომ იგი მოატყუეს. ეს იყო ჰომოიუსიანელთა დიდი გამარჯვება. ევდოქსიოსი და 70 ეპისკოპოსი გადასახლებაში გაიგზავნა (Болотов 1918: 75; Janin 1932: 1105). შედგა სირმიუმის მესამე საეკლესიო კრება, რომელზეც ბასილი ცდილობდა, იმპერატორისათვის შთაეგონებინა თავისი მოწინააღმდეგეებისადმი მკაცრი ზომების გატარების აუცილებლობა. ამ პერიოდისათვის კონსტანციუსი თავს ნახევრად არიანელთა მფარველად აცხადებდა.

გადასახლებული არიანელები არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, მიაღწიეს კიდევ იმას, რომ კონსტანციუსმა გადაწყვიტა მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა, მაგრამ ეს უკიდურეს არიანელთა საქმეს არ წაადგებოდა, რადგან აღმოსავლეთში უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ძე არსით მსგავსია მამისა, დასავლეთში უმრავლესობა ნიკეის კრების მომხრე იყო. ეს ორი უმრავლესობა ერთმანეთს რომ შეხვედროდა, ორივე ნაწილი შეიცნობდა თავისი თვალსაზრისის ერთიანობას და უკიდურეს არიანობას სამუდამოდ დაასამარებდა. ამიტომ დაყოფის პრინციპი ამოქმედდა და გადაწყდა ორი კრების მოწვევა ერთის ნაცვლად.

კრებები ჩატარდა სელევკიასა და არიმინიუმში 359 წელს. მანამდე კი შედგა სირმიუმის IV ფორმულა.¹ კრებამდე შედგა სხდომა სირმიუმში, სადაც ჩავიდა ბასილი. კონფერენცია (სხდომა) მთელ ღამეს გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ: გერმანიუს სირმელი, გიორგი ალექსანდრიელი, ურსაკიუსი, ვალენსი, მარკუს არეფუსიელი (Chapman 1912: 1). მარკუსმა წამოაყენა ახალი მრწამსი იმპერატორის თანდასწრებით – 22 მაისს. ფორმულას ხელს აწერდა ყველა ეპისკოპოსი. იგი ცნობილია „დათარიღებული კრედოს“ სახელით (Болотов 1918: 77; Chapman 1912: 1).

იმპერატორის ბრძანებით გამოტოვებული „κατα παπτα“ ანუ „ყოველმხრივ“, „ყოვლად, ყოვლით“ ჩაამატეს. ამ ფაქტით უკმაყოფილო ბასილი ანკრიელმა შედგენილ დოკუმენტს მიანერა: „მწამს და ვეთანხმები ზემოთ დაწერილს, რომ ძე მსგავსია მამისა ყოველმხრივ. ხოლო სიტყვა „ყოველმხრივ“ მესმის ისე, რომ ძე მსგავსია მამისა არა მხოლოდ ნებით, არამედ ჰიპოსტასითაც და არსითაც“, როგორც ღმერთი ღვთისაგან, როგორც სიბრძნე და ძე ღვთაებრივი ღვთისაგან და მამისაგან. მოკლედ, შვილი ყოველმხრივ (κατα παπτα) ჰგავს მამას (PG. XLII: 444 B). ის, ვინც ამბობს, რომ ძე მსგავსია მამისა რალაციით (κατα τι), ის

¹ გვენამს მამა ყოვლისა მყრობელი და შვილი მხოლოდშობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და წინა დაუსაბამოსა, უწინარეს ყოველთა ყამთა და უწინარეს საცნაურთა არსისა, უვნებელად შობილი ერთისა ღმრთისაგან, მგავსად შობილი, რომლის შობასაც ვერავინ სწვდება, გარდა მისი მამისა. ჩვენ ვიცით, რომ იგი გარდამოხდა ზეცით და ყოველნი განგებულუბანი აღასრულნა და გვენამს სულიწმიდა. ხოლო რადგან სიტყვა 'ისთა შემოტანილი მამათაგან უცნობია ხალხისათვის, რადგან არ გვხვდება წმინდა წერილში, უნდა იქნეს ამოღებული ხმარებიდან და აღარ იხსენიებოდეს 'ისთა-თან მიმართებით. ასევე არ უნდა იხმარებოდეს სიტყვა 'υπόστασις მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან. ძეს კი მივიჩნევთ მამის მსგავსს ყველაფერში (κατα παπτα), როგორც გვასწავლის წმინდა წერილი (Болотов 1918: 76).

უცხოა და განზეა განმდგარი კათოლიკე ეკლესიისაგან (Болотов 1918: 76; Chapman 1912: 1).

ეს ხელმონერა ბასილმა წარუდგინა ვალენსს. მას აქვე გადასცეს ბასილიანელთა მიერ შედგენილი მემორანდუმი, რომელშიც იყო მოცემული მტკიცება, რომ სიტყვა ουσια არ არის წმინდა წერილში ჩანერილი, თორემ ამ აზრს იგი ყოველთვის და ყველგან მოიცავს (Болотов 1918: 76; Chapman 1912: 1). ვალენსი და ურსაკიუსი გაემგზავრნენ დასავლეთში ამ ფორმულით, მაგრამ არიმინიუმში არ მიიღეს ახალი ფორმულა, რომელშიც, ფაქტიურად, არაფერი იყო ახალი, დაამტკიცეს ნიკეის სიმბოლო. ამის მერე დაამხეს ვალენსი და ურსაკიუსი, როგორც ერეტიკოსები.

359 წლის სექტემბერში, სელევკიაში, საეკლესიო კრებაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ნახევრად არიანელთა უმრავლესობა, მათ მხარი დაუჭირეს კირილე იერუსალიმელმა, მისმა მეგობარმა ტარსუს სილვანუსმა და წმინდა ჰილარიმ (Chapman 1912: 2). კრებაზე აკაკიანელებმა წამოაყენეს მრწამსი, რომლის წყალობითაც იმპერატორ კოსტანციუსის კეთილგანწყობა მოიპოვეს (Janin 1932: 1106. Chapman 1912: 2). ისინი ამბობდნენ, რომ აღარ გამოიყენებდნენ სიტყვას ομοουσιος, რადგან ასეთი რამ არ იყო მოცემული წმინდა წერილში, ამასთან აღიარებდნენ, რომ შვილი ჰგავს მამას (Болотов 1918: 78). ამის შემდეგ ჰომოიუსიანელებმა ვერ მიაღწიეს მიზანს. ბასილი, სილვანუსი და ელუსიოსი წავიდნენ ერთად ელჩად კონსტანტინოპოლში კოსტანციუსთან, მაგრამ დაიგვიანეს, რადგან აკაკიმ გადაიბირა იმპერატორი (Болотов 1918: 80). ამ მომენტიდან მოყოლებული ბასილის პარტია მალე დაიშალა და დაკარგა თავისი მნიშვნელობა (Janin 1932: 1105).

360 წ. საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლში განიხილეს ორივე მრწამსი ἡ ὁμοιουσιος და ἡ ὁμοουσιος შესახებ და დაუშვეს მხოლოდ ჰომოიუსიანელეზი, რომლის ლიდერი გახდა აკაკი კესარიელი (Болотов 1918: 80. Chapman 1912: 2) ევდოქსიოსთან ერთად. აკაკი კესარიელი, იმისთვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინა და მწვავე შეტევით დაეფანტა უკიდურესი მემარჯვენეები, დასცილდა ანომელებსა და ევდოქსიანელთა დარჩენილ ნაწილებს. რეაქცია რომ შეენელებინა, სცადა ახალი მეკავშირეები ეპოვა. მაგ., 360 წელს ანკვირის კათედრაზე აღსაყდრდა ათანასე ალექსანდრიელი (Болотов 1918: 80-81), რომელიც საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო ბასილიანელთადმი (Болотов 1918: 79).

ამავე საეკლესიო კრების შემდეგ გადაასახლეს ბასილის მეგობრები (Chapman, 1912: 2). ბასილს ბრალი დაედო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, მასვე ბრალდებოდა არეულობის გამოწვევა სირმიუმში, რადგანაც აქეზებდა ერთგულებს ეპისკოპოსების წინააღმდეგ. იგი შერაცხეს დამნაშავედ, ფიცის გამტეხად (Janin 1932: 1105-1106). ბასილი ეპისკოპოსი განდევნეს ილირიაში. 361 წელს კონსტანციუსი გარდაიცვალა (Chapman 1912: 2).

ბასილს ამის შემდეგაც არ მოუსვენია და გადავიდა მაკედონიუსის მხარეზე, რომელმაც შექმნა პარტია ბასილის მომხრეებისა და მემარჯვენე ცენტრის საფუძველზე. 363 წელს მან სხვა გადაყენებულ ეპისკოპოსებთან ერთად ხელი მოაწერა საჩივარსა თუ შუამდგომლობას იოზიანე იმპერატორის (მხარს უჭერდა

ნიკეელებს) სახელზე, რომ მას გაეტარებინა მკაცრი ზომები ანომეელების წინააღმდეგ, მოეწვია დიდი საეკლესიო კრება ეკლესიის გასაერთიანებლად ნამდვილ ორთოდოქსიაში, მაგრამ იობიანემ სარწმუნოებრივ საკითხებში თავი არაკომპეტენტურად გამოაცხადა (Βολτοσ 1918: 73,85; Janin 1932: 1106).

ბასილი, შესაძლებელია, კიდევ დაბრუნდა იულიანე განდგომილის მიერ გამოცხადებული გენერალური ამნისტიით, მაგრამ ვერ დაიკავებდა თანამდებობას ანკურიში, რადგან ანკურიის საეპისკოპოსო ტახტზე უკვე იჯდა ათანასე ალექსანდრიელი. იგი თუ არ მოკვდა, 364 წელს, შესაძლებელია, დასწრებოდა ლამპსაკოსის საეკლესიო კრებას ვალენტის პერიოდში (Βολτοσ Β.Β. 1918: 85; Janin 1932: 1106).¹

ზოგიერთი მკვლევარი ბასილი ანკურიელის აღსასრულის შესახებ არაფერს ამბობს, ზოგიერთი ცნობით, იგი 364 წელს გარდაიცვალა ილირიაში (Altaneri: 289; The Oxford 1958, 138-139), ზოგიერთი თვალსაზრისით, იგი უნდა ასპარეზიდან გაუჩინარებულიყო იმპერატორ ვალენტის ზეობის ხანაში. ბასილი ანკურიელის შეფასება ადვილი არ არის. წმ. ათანასეს აზრით, იგი იყო მორწმუნე არიანელი და საკმაოდ კარგად მალავდა თავის ნამდვილ გრძნობებს, მაგრამ მისი მტრად აღთქმა არ იქნებოდა მისაღები, რადგან ის ლებულობდა ნიკეის ყველა დოგმას, მხოლოდ ეჭვი ეპარებოდა ტერმინში „ἡ ἰσότης“ (Janin 1932: 1107) (ერთარსი, თანაარსი (რაფავა 1974: 110-126; ჭელიძე 1996: 145)). წმ. ათანასე ძმებს უწოდებდა ბასილსა და მის მომხრეებს, განუმარტავდა ტერმინს „ἰσοῖστος“. მას სურდა ბასილიანელები მოექცია ნიკეის მრწამსისაკენ (Cavallera 1905: 14).

ბასილი ანკურიელის მრწამსის გარკვევა ჭირს მისი ნაწარმოების „ქალწულე-ბასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ მიხედვითაც. ტრაქტატი მეტისმეტად შეუსაბამოა საიმისოდ, რომ ჰიპოსტასებზე ვიმსჯელოთ, რადგან ავტორის აზრი სამებაზე ძლივს საცნობია, გაბნეულია აქა-იქ.

ბასილი ანკურიელი, წყაროების მიხედვით, მოიკვეთეს, როგორც არაორთოდოქსი, დასაჯეს. ბუნებრივია, გაქრობა ელოდა მის თხზულებებს და, მართლაც, მის ნაშრომს მარკელოსის წინააღმდეგ ჩვენამდე არ მოუღწევია, ტრაქტატი „ქალწულებისათვის“ ბასილი დიდს მიაწერეს უხსოვარი დროიდან.

ჩვენი აზრით, ეს მოხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ბასილი დაახლოებით ერთ ეპოქაში მოღვაწეობდა, არამედ იმიტომაც, რომ, მართლმადიდებლის სახელს ამოაფარეს ბასილი ანკურიელის ის თხზულება, რომელიც დიდად იყო პოპულარული და გასანადგურებლად არ ემეტებოდათ.

¹ ლამპსაკოსის კრება 365 წ. ჩატარდა (Chapman 1912: 2).

II ნანილი

ბასილი ანკვირიელის მსოფლმხედველობისათვის

I თავი

ბასილი ანკვირიელის სამედიცინო განათლება

ბასილი ანკვირიელის ტრაქტატი ნათელი დასტურია იმისა, რომ სასულიერო მოღვაწეობაში ავტორი წარმატებით იყენებს თავის პირველ საქმიანობას, ზნეობის ქადაგებისას კარგად უთავსებს ერთმანეთს სამედიცინო და თეოლოგიურ შეხედულებებს.

თხზულების ერთ-ერთ ბოლო ნაწილში იგი წერს, რომ მკურნალობის ხელოვნების მცოდნენი სენისმოქმედ წამალთა ცოდნით და „ჯორცის ჯელოვნების“ მემკვიდრეობით სძლევენ ავადმყოფობას, თუ სადმე ნააწყდებიან. სასულიერო პირებიც თავს მოვალედ მიიჩნევენ, რომ თავიანთ სულიერ შვილებს, მთელ საზოგადოებას ბრძნული მეტყველებით ასწავლონ ცოდვისაგან თავდახსნის გზები (ქალწულ. 66, 9-10). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბასილი ანკვირიელი გვევლინება ერთდროულად სხეულისა და სულის მკურნალად.

თხზულების ხასიათის შესახებ ევროპელ მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. მაგ., R. Janin-ი, რომელიც განიხილავს ბასილი ანკვირიელის თხზულებაში კვების საკითხს, აღშფოთებას ვერ მალავს, რომ თხზულების ტექსტის დიდ ნაწილში არის საუბარი ხორციელი სიამოვნების პათოლოგიის შემთხვევებზე. მკვლევარს მიუღებლად ეჩვენება, რომ ტრაქტატის შემთხვევლი, სასულიერო პირი და ექიმი, რომლის მიზანიც ქალწულების, უხრწნელების ქადაგებაა, ადგილს უთმობს ამგვარ პასაჟებს (Janini 1950: 187-190).

ზოგიერთი მოსაზრებით, ბასილი ანკვირიელის თხზულებაში ფიზიოლოგია ეყრდნობა ფსიქოლოგიას, იგი ძირითადად პლატონურია (Vaillant 1943: II).

სრულიად გასაზიარებელია და მნიშვნელოვან მოვლენად გვესახება ნაშრომი, რომელშიც შესანიშნავად არის განხილული სხეულის ტვირთის პრობლემატიკა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხზულება „ქალწულებისათვის“ არის ის შემთხვევა, როდესაც სამედიცინო და ფიზიოლოგიური პარამეტრების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასკეტური ცხოვრების განვითარებაში (Shaw 1998: 82).

ჩვენი მხრივ, დავეძინოთ, რომ ავტორი, ბასილი ანკვირელი, თეოლოგიურ-გნოსეოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, დიეტეტიკურ-ჰიგიენურ ცნებებზე დაყრდნობით საინტერესოდ აშუქებს თავისი თხზულების თემატიკას, რომლის განხილვის ობიექტია მდედრობითი სქესის ქალწული (გარკვეულწილად მამრობითი სქესის ქალწულიც – ლ. შ.), რომელსაც ქრისტიანული გაგებით ევალება უბინობა.

ტრაქტატში ბასილი ანკვირელი ხაზს უსვამს ქალისა და მამაკაცის ხორციელი ბუნების თვალნათლივ წარმოჩენის აუცილებლობას, რომ უკეთ დაანახვოს საზოგადოებას ქალწულების უპირატესობა. ქალწულმა რომ დაიცვას უბინობა, ქალწულებრივი სული, უნდა გააცნობიეროს ქალისა და მამაკაცის სხეულის ნაწილების ხასიათი, თვისებები და გულისნადილი, ვინაიდან ორგანოებმა იმდენივე იციან ერთმანეთის შესახებ, რამდენიც თავიანთ თვისებებზე. მაგ., ბაგეებმა იციან ტრფიალი. არც გული უკარნახებდა სხვა ორგანოებს, რომ არ სცოდნოდა მათი ბუნება. სანამ ადამიანი არ არის ზრდასრული, სხეულის ნაწილები და ცოდვის რჯული, დადუმებული არიან მაგრამ გულისთქმა თავისი გზით მიდის. პირუტყვებისთვის არავის უსწავლებია, მაგრამ ისინი მაინც აღასრულებენ ბუნებით საქმეებს (ქალწულ. 65, 1-5).

უხრწნელების მსურველი, ცოდვას რომ წინააღმდეგობა გაუწიოს, უნდა ერკვეოდეს, საიდან მოდის ხორცის საცთურება. ამიტომაც დგას თხზულების ცენტრში ქალწულის ხორციელი ბუნების გაცნობიერების საკითხი. ეს კიდევ უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო ხდება სასულიერო პირისაგან, ამავე დროს ექიმისაგან, რომელიც აანალიზებს სხეულის ნაწილების თვისებებს და ამჟღავნებს მეტად საინტერესო პროფესიულ ცოდნას რელიგიასა და მედიცინაში.

ავტორი ტრაქტატში მსჯელობას იწყებს უშუალოდ ღვთის მიერ სამყაროს შექმნით და იუწყება, რომ დამბადებელმა (θεογονος) შექმნა ყველა ცოცხალი არსება, ისინი ხორცით შემოსა და დაანესა, რომ მსგავსმა ყოველი მსგავსად შვას; ადამიანიცა და პირუტყვიც დაყო მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებად და ერთმანეთს განუკუთვნა (ქალწულ. 3, 5-7; Shaw 1997: 157).

ღმერთმა ყოველ არსებას გამრავლებისათვის სქესობრივი კავშირი დაუნესა. მას შემდეგ ქვეყნიერებაზე გრძელდება სიცოცხლე და აღსრულება ბრძანება ღვთისა: „აღორძნდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანა“ (დაბადება, 1, 28). ამ დებულებას თხზულებაში მოჰყვება ქალწულის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა. ესენია: კვება, ვნებები, ოცნებები, სურვილები, ზრახვები, ეკლესიური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ღმერთმა ქალი მამაკაცის ნაწილიდან წარმოშვა, მას დაუმორჩილა და მათი ურთიერთობა სქესობრივ ნადილზე, „სურვილისა და ტრფიალების ნათელზე“ დააფუძნა, მათი ერთად ცხოვრების საფუძვლად სიყვარული დაანესა. ამრიგად, ერთისაგან შექმნა ორება და ორისაგან კვლავ ერთი დაამტკიცა (ქალწულ. 3, 13).

ორივე სქესის წარმომადგენელს ფუნქციებიც ღვთისაგან მიენიჭა. ქალსა და მამაკაცს შორის მოვალეობები ასე განაწილდა: „ძლიერება, სიმტკიცე და შრომისმოყვარეობა მამაკაცის“ თვისებებს შეადგენს, როგორც პირველდაბადებულისა (ქალწულ. 3, 15), ქალს კი დედობის დიდი ინსტინქტი ებოძა, რომ „ტომთა

შემდგომებისა სიყუარული ძლიერად აღსძვრიდეს სულსა მისსა“ (ქალნულ. 3, 15). ეს თვისება მას იმისთვის სჭირდება, რომ არ გაექცეს ქმრის სიყვარულს შობის სიძნელისა და შვილების აღზრდის გამო (ქალნულ. 3, 16). თავის მხრივ, არც ქმარმა უნდა მოიბეზროს ცოლი უძღურების გამო და მიატოვოს, ამიტომ ორივეს შორის ენით გამოუთქმელი სიყვარული და გულისნადილი უნდა არსებობდეს, რომ ურთიერთსიყვარულმა შეკრას ისინი. განსაკუთრებით ქალს აქვს უნარი თავისი ბუნებით მამაკაცი დაატყვევოს, მაგნიტივით მიიზიდოს (ქალნულ. 3, 16-19). ქალი გულისნადილს უღვივებს მამაკაცს და იმონებს, რომ არა მარტო შვილიერებისათვის იცხოვროს მასთან, არამედ ტრფიალების საფუძველზე სქესობრივი ტებობა განიცადოს. ამიტომაც ტოვებს კაცი მშობლებს და ცოლს ირთავს (ქალნულ. 3, 20-23). ქალის აგებულება, ღვთის ნებითა და განწესებით, არის ნაზი, უჩვილესი, რომ შეხებით, სიარულით, მზერით და სხეულის თითოეული ნაკეთის ფუფუნებით მამაკაცის საღბუნი იყოს (ქალნულ. 3, 24).

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მოიტანა მრავალი სიახლე. იგი გახდა ცხოვრების წესის შეცვლის გზა. ამ იდეოლოგიის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ქალნულს მოესურვოს ზეციურისაკენ, ამაღლებულისაკენ სწრაფვა, გაუჩნდეს უქორწინებლობის სურვილი. მიზნის შესრულებაში ხელისშემშლელად რომ არ მოეკლინოს ხორციდან მომდინარე სხვადასხვა საფრთხე, უნდა გაიცნობიეროს მათი არსი. ამრიგად, ქალნულების მსურველის მიზანია, რომ მოახერხოს სულის გამიჯვნა სხეულის ბუნებისაგან, დაუმორჩილოს თავისი სურვილი სხვა ტიპის ვნებებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქალნული უნდა შეენიანაღმდეგოს სქესობრივ წადილს და ნაყროვანებას, იმის მიუხედავად, რომ სხეულს ღმერთმა მიანიჭა ეს უნარ-ჩვევები მხოლოდ სასარგებლო მიზნით (Shaw 1998: 85, შენ. 13).

გრძნობის ორგანოების ფუნქციის გაცნობიერება უდიდეს როლს თამაშობს ქალნულის ცხოვრებაში. ქალნულების დამცველი მოვალეა, გაერკვეს იმ საცთურთა არსში, რომელმაც შეიძლება მისი სული ჩააგდოს ცოდვის მორევში ხუთი გრძნობის მეშვეობით.

ბასილი ანკვრიელი განიხილავს ხუთ გრძნობას და გრძნობის ხუთ ორგანოს, მათ რაობას, მათ გავლენას სხეულსა და სულზე. იგი წერს: „ნივთი გულისთქუმი-საი ერთსახე არს და, ვითარცა წყაროა რაამე, ჳორცთაგან აღმოდის და, ვითარცა ხუთთა ნაკადულთა მიმართ, ხუთთა საცნობელთა მიმართ განიყოფის და მათ მიერ შინაგან საგრძნობელთა შევალს და უხილავთა მიმართ სულისათა დის“ (ქალნულ. 4,6). ამ ხუთი გრძნობიდან ერთ-ერთია:

1. მხედველობა ანუ „სახედველი“ (ὄρασις, ἔασι, ἦ) მისი ორგანოს, თვალის, მეშვეობით, გონებაში აღიბეჭდება „რაამე სახე“ და უწმინდური „ხატი“ და იქმნება პრეცენდენტი ამ ჩვენებით (ოცნებით – φαντασια), ზმანებით სულის შემფოთებისა. როცა ხორციელი თვალი ღიაა, მაშინ სულის თვალები დახუჭულია (ქალნულ. 5, 1-2).

2. მაცთურების წყაროა სმენა, ანუ „სასმენელი“ (ἀκοή ἦ). ქალნულმა სმენა არ უნდა გაუხსნას ყველაფერს „განუკითხველად“ (უკრიტიკოდ). მან უჯერო სიტყვები უნდა განაგდოს, როგორც დამპალი და მყრალი საკვები (ქალნულ. 5, 3).

3. გემოსხილვის (γεμισ) ფუნქციაა, რომ დაატკბოს გემო. თხზულების დასაწყისშივეა ხაზგასმული, რომ ხორცის საცთურისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს და მრავალ გულისნადილს წარმოშობს გემოსხილვისა და ცოდვის შეხება, რომელიც სიძვას აღმოაცენებს. მას წინ მიუძღვის ნაყროვანება და უკან მიჰყვება სიძვა (ქალწულ. 5, 10; 6, 6). ნაყროვანება სიძვას ეალერსება და ზრდის გემოთა მეშვეობით, რომ გამოკვების ხორცი. მის სიღრმეებში გამოკვებილი სხვადასხვა გემო თავდაუჭერლად დულს და ხორცის აღძრვის წყალობით სიძვის ნდომით ავსებს სულს (ქალწულ. 6, 7).

4. შეხება ('აჲ, 'ი) გრძნობათა შორის ყველაზე მოღალატეა, რადგან მას აქვს უნარი, მისწვდეს არა მხოლოდ გარეშე სანახავს, არამედ სულის სიღრმესაც. მის ხელში უფრო მძლავრია ბოროტება, რადგან, როცა „სიკეთეს“ თავს დაატყდება, მტაცებლის გრძნობით აღიჭურვება და საბრალო ობიექტს მოინადირებს (ქალწულ. 5, 6-7).

შეხება, რომელიც ხორცად აქცევს სულს (ქალწულ. 6, 2) (σάματουσα 'აჲ), ორგანოა: უხორცო ხელისმიერი (ασάματα χείρεις) (ქალწულ. 5, 12) და ხორციელად ხელისმიერი (σάματα χείρεις) (ქალწულ. 5, 12) უხორცო შეხებაში იგულისხმება შორიდან, მანძილიდან შეხება თვალთ, სმენით ყნოსვით, რომელიც მთელ სხეულს აფორიაქებს. ხორციელი შეხება უშუალოდ ფიზიკურ შეხებას გულისხმობს: მათ შორის ქალის კონტაქტს მამაკაცთან, საჭურისთან, ქალთან და ა. შ. შეხების ეს სახეები იწვევენ ხორციელი ბუნების გახსენებას, აღზნებას, გაღიზიანებას, რაც საკმარისია ცოდვის სხეულში შესასვლელად.

ამრიგად, ქალწულმა გრძნობის ორგანოების გასაკონტროლებლად საცნობელთა კარზე მცველად ღვთისმოშიში აზრი უნდა დაადგინოს, თავის აზრებსა და ფიქრებს ზომიერი და მშვიდი მიმართულება მისცეს, რომ სხეულში ვნება ურცხვად არ გავრცელდეს (ქალწულ. 4, 7-8).

ქალწულების მსურველს დიდ საცთურს უქმნის კვება და სხვადასხვაგვარი საკვები. ამ საკითხის გაშუქებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ადამიანი შედგება ორი საწყისისაგან – სულისა და სხეულისაგან, პირმეტყველისა (τό λογικόν) და პირუტყყულისაგან (το αλογικόν), მსგავსად „სანარმართოთა მათ ზღაპართაჲსა“. ადამიანი დამბადებულმა ააგო „ვითარცა ვირდევი“ (κοενταρος, 'ო) რომელიც თავიდან წელამდე არის ადამიანის მსგავსი, ხოლო „წელთაჲთგან და დამართ მსგავს არს ცხენისა“ (ქალწულ. 7, 2). წელს ზევით ნაწილები მართავენ გონებას, სულიერ სურვილებს, ანუ პირმეტყველს. პირმეტყველებით ხერხდება პირუტყყულის დათრგუნვა და ბუნების მძლავრების სიბრძნით წარმართება (ქალწულ. 7, 2). წელს ქვევით სხეულის ნაწილები კი ემსახურებიან პირუტყყული, ხორციელი სურვილების აღტყინებას, ნაყროვანებასა და სიძვას. ეს ორგანოებია: მუცელი, ანუ მუცლის ღრუ, ცმელი (მუცლის ქონი), ლვიძლი, თირკმელები, ანუ ის, რაც მოთავსებულია „წელთაჲთგან და დამართ“. მუცელი არის წყარო პირუტყყულად ადამიანის განპოხებისა (ქალწულ. 68, 4), რადგან საზრდელის გარეშე ხორცის ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო საჭმლის მიმღები ორგანო მუცელია.

ბასილი დაბეჯითებით იმეორებს, რომ ღორმუცელობა მრავალ საცთურს აღძრავს, რადგან სქელი მუცელი არა მარტო აგებულებისაგან არის სქელი და ბუნებითი, არამედ იმის გამოც, რომ მასში ჩადის მსუყე და ნოყიერი საკვები, რომელიც გონებას ამღვრევს, პოხიერად ედება. მეორე მხრივ, იმავე გონებას, ანალიტიკურს, გამჭრიახსა და სიბრძნით გამომკვლევს, უსულო-ჰყოფს და დაშრეტს ფრიად განვრილებული მუცელი, ხორცის უძღურებით მოშლილი (ქალწულ. 10, 4-5).

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს საკვების ზომიერად მიღების აუცილებლობას. ამ პრობლემის გაშუქებისას იგი მიმართავს მეტაფორულ სახეს და „წორცის ცხენის“ მეშვეობით წარმოაჩენს სხეულის სიჯიუტეს. საჭმლის სიმრავლის გამო თვითნებობას, ურჩობას იწყებს ადამიანის „წორცის ცხენი“ და იქით გაიტაცებს მხედარს, საითაც სურს (ქალწულ. 8, 4-5). ზოგიერთი მოსაზრებით, ეს არის პლატონური ხატი, რომელიც ძალიან მოსწონთ ასკეტიკური ჟანრის ავტორებს (Shaw 1998: 86).

ბასილი ანკკრიელი სხეულისადმი ასეთ მოპყრობას კატეგორიულად არ იწონებს. მისი აზრით, არაფერი ისე არ დასწევს ძირს სულის ფრთებს, როგორც ხორცის სიმძიმე. ფრთების უძღურება სულს არ მისცემს ზეცაში აფრენის საშუალებას, სიკეთის მოპოვებას გაუძნელებს უძღურებით, უკვე მოპოვებულ მშვენიერებასაც მოშლის (ქალწულ. 10, 2-3).

ბასილის ეს თვალსაზრისი ძალიან ჰგავს პლოტინეს თვალსაზრისს ადამიანში სულის მოქმედების ორგვარობაზე, რომელთაგან ერთია გონთან დაკავშირებული სული, მეორე კი ცხოველური მოთხოვნილებებით დამძიმებული სული. გრძნობადის ტყვეობაში მყოფი სული მორჩილების გამო ემსგავსება იმ ფრინველს, რომელსაც თავისი ბუნების მიხედვით, ფრენის უნარი აქვს, მაგრამ მალლა ვერ ფრენს (ჭელიძე 1998: 209).

როგორც არ არის სასურველი, მრავალფეროვანი სანოვაგით გალადდეს „წორცის ცხენი“, ისე არც ის შეიძლება, რომ მოღვანეობით (იგულისხმება ასკეტიკური ცხოვრება ლ. შ.) მისი სიარული შეფერხდეს, შიმშილმა მოაშთოს იგი და მისი ძალი უსარგებლო გახადოს (ქალწულ. 8, 4, 6).

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ბასილი ანკკრიელი მონისა და მეუფის შესახებ მსჯელობის დროს. მეუფეში იგი გულისხმობს სულს, მონაში კი – ხორცს. კვების რეჟიმის არასწორად წარმართვის შემთხვევაში (პროდუქტის გადაჭარბებული მიღებით ან მისი სრულიად აღკვეთით) მეუფე თავად ხდება მონის მონა (ქალწულ. 11, 3-5, 13-14; Shaw 1998: 89).

ავტორის აზრით, მორწმუნეობის მსურველმა საკვები უნდა მიიღოს ზომიერად, რადგან საკვების მორიდება ან რომელიმეთი ურცხვად გაძლომაც ჭეშმარიტად პირუტყვეებაა (ქალწულ. 10, 6-7). ხორცის ინროება უნდა იყოს არატენდენციური: „ნუ მისდრკები მარჯუენით, გინა მარცხენით“ (ქალწულ. 11, 7).

ბასილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ ორგანოებზე, რომლებიც მუცელის ღრუშია მოთავსებული. ესენია: ღვიძლი, ნაღველი, თირკმელი.

ნაყოფანებისა და გულისთქმის ორგანო არის ღვიძლი, რომელშიც რჩება ნალველი. ძველ ქართულ სამკურნალო კრებულებშიც ხაზგასმულია, რომ ღმერთმა „ტანის ძალი ყველა ღვიძლშიგან გაყო და სტომაქისა ძალი ღვიძლმან მიიღის. ღმერთმა ღვიძლი სტომაქისა ცეცხლად დაჰბადა, რომელი საჭმელი აადულოს და მასთან მიიზიდოს. რომელი საჭმელი მჭურვალი და ჯმელი არის, იგი ღვიძლსა თანა და ნალველსა თანა მივა... თირკმელები კი ღმერთმა დაბადა ... საძირკველად ტანისა, თესლი კი ყოველი მისგან გამოვა“... (კუხიანიძე 1997: 107, 109).

თირკმლის ფუნქცია ბასილისთვის, როგორც ექიმისათვის, ზედმინევნით კარგადაა ცნობილი. იგი წერს, რომ თირკმელებში დულს ვნება და მათგან გამოვა „გრგენაჲ და მცენარებაჲ თესლისა“ (ქალწულ. 68, 11).

ბასილი ანკკრიელი დასკვნით თავში იყენებს მოსეს მიერ ხბოს დაჭრის მეტაფორულ სახეს იმისათვის, რომ მოღვაწემ გააცნობიეროს, თუ როგორ უნდა მიუძღვნას თავი სულიერ ცხოვრებას. მოსემ იცოდა, რომ უნდა მოეწყლა ღვიძლის კიდე და არა მთელი ღვიძლი, მუცლის ქონი, რომელიც მუცელს ფარავს და არა მთელი მუცელი და არა მხოლოდ თირკმელთა ცხიმი, არამედ თირკმელები ქონთან ერთად.

ღვიძლი სურვილის ორგანოა, ხოლო ღვიძლის კიდე არის ცოდვიანი სხეულის ნაწილი, რომელშიც ცოდვიანი სურვილები არსებობენ საღვთოს საპირისპიროდ. ამრიგად, ქალწული დაჭრის ღვიძლის კიდეც, მოსეს მსგავსად, როცა უფალი მოიხილავს მის ნადილებს.

ცნობილია ისიც, რომ სხეული საკვების გარეშე ვერ ცოცხლობს, მაგრამ როცა შემოძარცვულია მუცლის ქონი, მუცელი რჩება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სამსახურში.

ბოლოს ბასილი წერს: „ხოლო ვინაჲთგან თირკუმელთა არცა ცხორებისა მიმართ ვხედავთ საჭიროდ, ვითარცა მუცელსსა, და არცა გულისთქმისა განთვსებულსა მას, ხოლო გულისთქუმისა კერძსა მივითუალავთ მისგან შვილიერებისათვის, ვინაჲცა არა ხოლო თუ ცმელსა ოდენ მათსა, არამედ თვთ მათცა მრგულიად დავსწუავთ ცეცხლითა, რამეთუ შესაძლებელ არს თვნიერ თირკუმელთაცა, ესე იგი არს თვნიერ ქორწინებისაცა ცხორებად და ანგელოზთა მობაძავისა მოქალაქობისა ამასვე სოფელსა შინა წარმართებად“ (ქალწულ. 68, 9).

საკვების მიღებისას მორწმუნის ასაკის გათვალისწინებაც საჭიროა. ხაზი ესმება მოხუცისა და ახალგაზრდის კვების განსხვავებულობას. მაგალითად, ახალგაზრდას ბუნებითი მხურვალეობა (ენერჯია) სჭარბობს, ამიტომაც აღარ არის საჭირო საზრდელისმიერი ენერჯიის გარედან შემატება... (ქალწულ. 8, 6). ზოგადად, როდესაც ახალგაზრდას ხორცის ენერჯია მოეძალემა, ცეცხლს წმინდა წყაროს წყალი უნდა დაასხას და სიტყვის ძალით მყუდროებასა და სიმშვიდეს მისცეს თავი. დაუძღურებულ მოხუცებს კი საჭმელ-სასმელით უნდა შეენიოს ადამიანი, რათა ძალა მიეცეთ (ქალწულ. 8, 7).

უხრწნელების მსურველისათვის საფრთხეა, თუკი შეუნებელი მარხვა დაეზარება. მაშინ მოღვაწეობით მისაღები სიკეთე მის წინააღმდეგ იქნება მიმართული მისივე უგუნურების გამო, რადგან ორგანოს დაზიანებისა და ფუნქციის დარღვევის მიზეზით ვეღარ შეძლებს წიგნის კითხვას, ლოცვას და უფალზე ფიქრს,

ძმათათვის კეთილი საქმის ქმნას, მსახურების შესრულებას, ვეღარც მორჩილებას მოახერხებს (ქალწულ. 11, 11).

ტრაქტატის დასასრულს ავტორი დასკვნის მეშვეობით აფრთხილებს მორწმუნეობის მსურველებს: ვინც შეუდგება გემოსმოყვარეობას, ნაყროვანებას და ასე მოინდომებს გულისნადილის ცთუნებების ჩახშობას¹ და გულისნადილისთვის თავის წარკვეთას, ვერ წარკვეთს, არამედ მოსპობის ნაცვალად გემოსმოყვარეობას შვიდჯერ უფრო ააღორძინებს და მეძავობისა და უწმინდურების მეშვეობით გულისნადილის მონა გახდება (ქალწულ. 67, 7).

თხზულების მიხედვით, მარხვისათვის ყველაფრის მიღება არ შეიძლება. საკვების კალორიულობის ცოდნა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საკვების გამოყენების საქმეში. ავტორი წერს: „სიპოხესა ჭამადთაჲსა სიბრძნით განვარჩევდეთ“ (ქალწულ. 8, 12). საკვების შერჩევისას მათი თვისების გარკვევა ხდება 4 ელემენტის მეშვეობით (ქალწულ. 9, 9; 12, 8).

ბასილი ანკრეიელი იყენებს საყოველთაოდ მიღებულ ფილოსოფიურ საექიმო პრინციპს, რომელსაც კლასიკური მედიცინა ემყარება. ეს პრინციპები გულისხმობს ჰიპოკრატეს (Гипократ 1936: 196-211) ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემას, რომლის მიხედვითაც სხეულში ხდება წვენების (humores) ცირკულაცია. ამ სისტემაზეა აგებული საბერძნეთისა და შემდგომ არაბეთის მედიცინა. ჰიპოკრატეს ეს სისტემა დაედო საფუძვლად კლაუდიუს გალენის სამედიცინო მოძღვრებას, რომელიც სამართლიანად ითვლება ახლო აღმოსავლეთისა და არაბეთის სამოქალაქო მედიცინის ფუძემდებლად.

ქართულად თარგმნილ სამედიცინო კრებულებშიც¹, რომლებიც ბერძნულიდან და არაბულიდან მომდინარეობენ, დამონშემულია ჰიპოკრატისა და გალენის შეხედულებები, მაგ., „დიდი ბრძენი გალიანე ასე ბრძანებს“ (კუხიანიძე 1997: 112) „ჯალინოზ იტყვის“ (ნიგნი სააქიმო 1936: 29)... „ბაყრატს (ჰიპოკრატეს) და ჯალინოზს (გალენს) უთქვამთ“ (ნიგნი სააქიმო 1936: 29)...

ისტორიულ და ტრადიციულ მედიცინაში მკურნალობის აუცილებელ პირობად არის წარმოდგენილი საკვების თვისებების მითითება, თითოეულის სიმხურვალე, სიგრილე, სინოტივე და სიხმელე.

ჰუმორალურ-პათოლოგიური სისტემის მიხედვით, ქვეყანაზე არსებობს ოთხი სტიქიონი: წყალი, ჰაერი, ცეცხლი, მიწა. ადამიანთა სხეულში მას უთანაბრდება ოთხი ელემენტი, წვენი, სითხე, ანუ ხილთი. ესენია: სისხლი, ზაფრა, სევდა, ბალღამი. ცეცხლი მხურვალაია, ჰაერი-გრილი, წყალი-ნედლი, მიწა-ხმელი. თვისებათა მიხედვით სხეულის ეს წვენები, ანუ ხილთები (ხილტები) ლაგდებაინ შემდგენიარად: სისხლი მხურვალაია და ნედლი, ზაფრა, ყვითელი ნალველი, მხურვალაია და ხმელი, ბალღამი, ნახველი, გრილია და ნედლი, სევდა კი, შავი ნალველი, გრი-

¹ აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის სამედიცინო-პროფილაქტიკური ხასიათის კრებულებადაა მიჩნეული „უსწორო კარაბადინი“ (XI) და „ნიგნი სააქიმო“ (XII-XIII), რომლებიც იმდენად ამომწურავად აშუქებენ სამედიცინო-პრაქტიკულ საკითხებს, შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭოთ. ამ ძეგლებში არის მოცემული ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები, ჰიგიენის, ავადმყოფობის კლინიკის, დიაგნოსტიკის, დიეტეტიკის, მკურნალობის საშუალებანი (Шенгелия: 1984, 47).

ლია და ხმელი. ამ ოთხი ელემენტის შეზავება არის პირობა ჯანმრთელობისათვის. ნორმალური შეზავების მოშლა ამა თუ იმ ელემენტების გაძლიერებით ან შემცირებით იწვევს ავადმყოფობას. ამ საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისს ბასილი ანკვრიელიც ავითარებს და წერს, რომ საჭიროა შეერთება ოთხი ნივთისა, რომლისაგანაც ვართ აგებულნი. ესენია: მინა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი (ქალნულ. 9, 9).

ცნობილია ასევე, რომ კლასიკური მედიცინის ურყევ პრინციპს წარმოადგენს ავადმყოფობისადმი წინააღმდეგობის განევა საწინააღმდეგო საშუალებებით, ანუ „*contraria contrari*“ (დავით ბაგრატიონი 1985: 58).

ეს პრინციპი, როგორც ექიმად განსწავლული პროფესიონალისათვის, ბასილი ანკვრიელისათვისაც კარგად იყო ცნობილი. იგი წერს, რომ სხეულის ბუნებითი მხურვალეობა გარეშე ნივთთა მოკლებით მცირდება, უძლურება გარეშე მხურვალეობის მეშვეობით აღმოიფხვრება. ამდენად, ოთხი ნივთის ნაკლოვანებას მუდამ საჭმლით სჭირდება წახმარება, ხელის შეწყობა, ხოლო გადაჭარბებულს – დაკლება (ქალნულ. 9, 9). იმისათვის, რომ სხეულის წვენების პროპორცია იქნეს შენარჩუნებული, რომელიმეს უნდა რაიმე შევმატოთ, რომელიმეს რაოდენობას მოვაკლოთ, რომელიმე გავამკაცროთ, რომელიმე შევარბილოთ, რომელიმე შევცვალოთ, რომელიმე შევავიწროვოთ, რომელიმე დავამდაბლოთ, რომ ყოველივე შეუწყობლობისაგან განშორებულმა ოთხმა ელემენტმა შეწყობილი, „მორთული ჯმა“ გამოსცეს, რომლისაგანაც არის აგებული სხეული სულის კეთილი გალობით (ქალნულ. 9, 11).

ბასილი ანკვრიელი თავის თხზულებაში უხრწნელების მსურველს მიუთითებს, რომ იგი უნდა ხედავდეს საკვების არა მარტო გარეგნულ მხარეს, არამედ უნდა ერკვეოდეს მის ძალასა და ბუნებაშიც. საჭიროა საჭმლის გაცნობიერება. საკვები შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ მრავალი ვნება მოუტანოს მორწმუნეს (ქალნულ. 10, 4).

ავტორი ქალნულების მსურველს ამცნობს, რომ თვით მარხვისათვის გავთვალისწინებული საკვებიც მოსარიდებელია, რადგან თესლეულს (σπαραγισ), ცერცვეულსა და მხალეულს (λαχαιον) შორისაც საკმაო რაოდენობისაა მცენარეები, რომლებიც „ანგარებისა სახისაებრ იქმნებიან მარჯვე საზრდელად მოლუანისა“. ასეთი საკვები სხეულის სიღრმეს აშფოთებს, ქავილსა და ქავილის მსგავსს გამოვნებას აღძრავს სხეულში, რაც არანაკლებ ამღვრევს და აღაშფოთებს ხორცს (ქალნულ. 8, 14).

მარილი მნიშვნელოვანი ყურადღების საგანია ბასილი ანკვრიელისათვის. ავტორი კატეგორიულია მოთხოვნისას, რომ ასეცტმა მარილი (τοεισμα) არ უნდა გამოიყენოს შეუზღუდავად. ავტორი მიუთითებს მოღვაწეთა მაგალითზე, რომელთაც უარი თქვეს საკვების მიღებაზე და მხოლოდ მარილს იყენებდნენ პურთან ერთად. ასეთი არ ფიქრობდნენ, რომ მარილი თესლმცენარეა, ხორცს ზიანს აყენებს და ცოდვის საქმის ხელის შემწყობია (ქალნულ. 9, 3).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ეგვიპტელები გაურბოდნენ მარილს რიტუალური განწმენდის დროს, რადგან მარილი აძლიერებს მა-

დას. ისინი თავს იკავებდნენ მარილის მიღებისაგან იმ მოტივითაც, რომ ის ინვე-
გს აღგზნებას თავისი სიმბურვალის გამო. მარილი, გადმოცემით, ცხოველებშიც
აძლიერებს ხორცის ნადილს (Shaw 1998: 88, შენ. 23). ხილიც ისეთივე საზიანოა,
როგორც ზემოთ ჩამოთვლილი საკვები. ხილი გულისნადილის ანკესია (Shaw
1998: 88).

პური (μῦτος) ზომიერად უნდა მიიღოს კაცმა, რადგან იგი კაცის გულს გა-
ნამტკიცებს. თუკი ვინმე სანოვავეს მიიღებს პურის ნაკლებად მირთმევის მიზნით,
ამგვარი კვების წესიც მიუღებელია, რადგან იგი სანოვავე კი აღარ არის, არამედ
პური. საქმლის სიმრავლე აანაზღაურებს პურის სიმცირეს და გემოთმოყვარებად
გადაექცევა მოღვანეს. არა მარტო საკვები, არამედ მარილიც კი პურთან ერთად
შეზღუდულად უნდა გამოიყენოს ასკეტმა (ქალწულ. 9, 7).

ავტორი რამდენჯერმე ასახელებს ღვინოს. იგი არ მიიჩნევს სასურველად,
რომ ახალგაზრდამ ეს სასმელი კვების რაციონში შეიტანოს, რადგან ღვინო ენ-
ერგიით ავსებს სხეულს. ეს კი, შესაძლებელია, უზნეობის მიზეზად ექცეს მას
(ქალწულ. 8, 10). ავტორი მოგვიანებით კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ღვინო
ახალგაზრდამაც და ასაკოვანმაც მცირედ უნდა მიიღოს, რომ არ დაარღვიოს ის
წონასწორობა, რომლის დაცვაც სხეულს სულის აღზევებაში სჭირდება (ქალწულ.
12, 5-6). მარხვა არის საუკეთესო საშუალება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად
(Shaw 1998: 81). სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ ბასილის ნაზრების
შედარებამ კლაუდიოს გალენის, რუფიუს ეფესელის, აეტიოს ამიდას (Shaw 1997:
161-164) სამედიცინო კონცეფციებთან ნათელი გახადა კიდევ ერთხელ, რომ მისი
სამედიცინო განათლება და ფიზიოლოგიის ცოდნა ემყარება იმ შეხედულებებს,
რომლებიც იყო მოწინავე და წამყვანი IV საუკუნეში.

ამრიგად, ბასილი ანკვრიელის თხზულების ცენტრში დგას სხეული სულთან
ერთად. თხზულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ხორციელი საქმიანობის
წნორი წარმართვა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, მითითებულია: „უკუეთუ
ჰნებავს ზიარებისათვის ზრუნვა მისი, სიმრთელისაცა მისისა მოღუანებაჲ საჭირო
არს, ხოლო რაჟამს არა აქუნდეს ჳორცთა ძალი თვსთა მსახურებათა სრულყოფად,
უგუნურებისა საქმე არს ესე...“ (ქალწულ 8,8). ეს კი ნიშნავს, რომ ჯანმრთელი
სხეული არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ უბინოების მოსურნემ სუ-
ლისათვის ზრუნვა შეძლოს და დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი უფლის წიაღში.

რამდენიმე ფიზიოლოგიური ცნების გაგებისათვის

ბასილი ანკრიელი ტრაქტატში ვრცლად და დამაჯერებლად საუბრობს, რათა დაინტერესებული ადამიანები გაარკვიოს უბინოების ჭეშმარიტებაში, მის უპირატესობაში მიწიერ ცხოვრებასთან შედარებით. ავტორი გვევლინება მასწავლებლად, ჭკუის დამრიგებლად და კეთილ მრჩევლად. მისი მიზანია, დამოძღვროს მორწმუნეობის ყველა მოსურნე, უბინოების დაცვის ყველა მსურველი. ამიტომაც იგი განმარტავს ჭეშმარიტი სათნოებისაკენ სწორ გზაზე მავალთა ზნეობას, ქადაგებს სულიერ და მორალურ ღირებულებებს. მისი ქადაგება ემყარება იმ პერიოდისათვის არსებულ საეკლესიო ნორმებს, რომლებიც უკვე შემუშავებული იყო და არსებობდა მოციქულთა კანონებში, ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, წმინდა მამების ნააზრევში, სასულიერო მწერლობის ნიმუშებში. ამასთან ბასილი ავითარებს თხზულებაში პოპულარულსა და მონინავე იმ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ კონცეფციებს, რომლებიც დიდად იყო მიღებული ბიზანტიაში მისი მოღვაწეობის დროს, IV საუკუნის II მესამედში, და შემდეგაც.

ბასილი ანკრიელის თხზულების იდეალია ქალწული, მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელსაც ქრისტიანული გაგებით ევალება უბინოება. ის არ არის ოჯახის პატრონი, მისი ცხოვრების წესი განსხვავებულია ტრადიციულად მცხოვრები ქალისაგან. ის არის ქალწული (რაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნების გამოხატულებაა), თავისუფალი პიროვნება, რომელსაც ქრისტიანული სარწმუნოება აძლევს საშუალებას, ხორცისა და სულის უხრწნელებით ღმერთს მიუძღვნას თავი და ახალი ასპარეზი იპოვოს, რაც მისთვის საზოგადოებაში თვითდამკვიდრების საშუალება იქნება.

თხზულების ერთ-ერთ ბოლო ნაწილში ირკვევა, რომ ავტორის მიზანი იყო ზოგადად ქალწულების არსის განმარტება, რადგან სასულიერო პირთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ზრუნვა როგორც ქალწულებზე, ასევე მამაკაცებზე, საჭურისებზე, ქვრივებზე და ყველაზე ერთად, რომ ისინი უნდა გაერკვნენ თავიანთთვის სასარგებლო და მავნე თვისებების რაობაში (ქალწულ. 65, 8).

ავტორისათვის ცნებები „ქალწულება“ და „ქალწული“ არის ზოგადად უხრწნელებისა და უხრწნელის სინონიმები და ითქმის ორივე სქესის წარმომადგენელთა მისამართით, „საჭურისობა“ და „საჭურისი“ კი მამაკაცების უხრწნელებას აჭნიშნავს და სამი სახისა არსებობს. თხზულების თემატიკის მიხედვით, შვე-

ცადეთ გაგვერკვია ფიზიოლოგიურ ცნებათა – „ქალწულება“, „ქალწული“, „საჭურისობა“, „საჭურისი“ – არსი.

ტრაქტატში ხაზგასმითაა მითითებული, რომ უხრწნელებისათვის გზის ძიება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მაცხოვარი მოევლინა კაცობრიობას, თავს იდო კაცობრიობის ცოდვები, უხრწნელების სიკეთე ამ ნუთისოფელშივე მიანიჭა მსურველს და განადიდა იგი. მაცხოვარმა ქორწინების გამოცდილება არ მიიღო, რადგან თავად უხრწნელი ქალწულისაგან ხორციელადაც უხრწნელად იშვა და, როგორც ადამმა დაუდო სათავე ამ ცხოვრებას ქორწინების გულისნადილით, ასევე მაცხოვარმა მისცა დასაბამი საუკუნო ქალწულებას (ქალწულ. 54, 9-10).

ავტორი ეტაპობრივად ავითარებს მსჯელობას ქალწულების შესახებ. იგი საუბრობს ხორციელ ქალწულებაზე, ქალწულთა კვების რეჟიმზე, იმ საცთურებზე, რომლებსაც ინვესს ხუთი გრძნობა გრძნობის ორგანოების მეშვეობით; ამას მოჰყვება მსჯელობა სულიერ ქალწულებაზე, საჭურისებსა და საჭურისობაზე. ბასილი ანკვირელი ზოგჯერ თავის საუბარში საკმაოდ საჩოთირო საკითხებს ეხება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ექიმი იყო, ყველაფერი გასაგები გახდება.

ბასილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება იმ მისიას, რომელიც თავს იდო. ამიტომაც დანვრილებით ჩხრეკს თითოეულ საკითხს. მსჯელობას რომ მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, ავტორი იმონმებს შესაბამის ადგილებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალწულების ქადაგებას ჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების ნიაღშია საძიებელი. ტრაქტატში გატარებული მოსაზრების მიხედვით, რომელიც ემყარება საყოველთაოდ ცნობილ თვალსაზრისს, ქალწულების აუცილებლობას არც ძველი და არც ახალი რჯული არ მიუთითებს. არც მოსეს რჯული ანებსებს ქალწულებას, არც სახარებაში იძლევა მაცხოვარი ამგვარ მცნებას, რადგან მისთვის კარგად იყო ცნობილი კაცისა და ქალის ხორციელი ბუნება. მოსეს რჯულის სათნობად მოხსენიებულია მცნება: „არა იმრუშო!“ (გამოსლვათა 20, 14), მაცხოვარი კი ბრძანებს: „არც გსურდეს!“ (მათე, 5, 27-28). მოსეს მოძღვრება იესო ქრისტემ სრულ-ყო, მაგრამ ქალწულება „არც ძუელსა შინა დადვა... შჯულად და არცა ახალსა“ (ქალწულ. 55, 11).

ბასილი ანკვირელი იძლევა ახსნას, თუ რატომ არ განიხილებოდა ქრისტიანობამდელ სამყაროში ქალწულება, როგორც სულიერი და ზნეობრივი მოვლენა. ავტორი მიმოიხილავს ქალწულების რაობას სამოთხეში და მიუთითებს, რომ სანამ ადამი სამოთხეში იყო, „არა მისცა თავი თვისი დედაკაცსა“, მხოლოდ სამოთხიდან გასვლის შემდეგ, პირველი ცოდვის შემდეგ, გაიგო ქალის რაობა, რომ ბუნების მოკვდავებისათვის შთამომავლობით მაინც ეცა ნუგეში. ახლაც სამოთხეს რომ დაუბრუნდეს ქალწული, იმავე უხრწნელებასა და უბინო ცხოვრების ფუფუნებას ეზიარება (Shaw 1998: 184-187). სამოთხიდან გამოსვლისას ევა დაინყველილ იქნა, მანამდე კი ადამთან ერთად იყო ბედნიერი და თავისუფალი ნყველისაგანაც და ხრწნილებისაგანაც (ქალწულ. 54, 14-15).

ბასილი ავითარებს აზრს, რომ სქესებად, ორ სანყისად, მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებად, კაცობრიობა უკვე იყო დაყოფილი სამყაროს შექმნის უამს, სქესობრივი ლტოლვის თვისება და ტრფიალი უკვე იყო ღვთის შექმნილი, მაგრამ სქესობრივი ცხოვრების აქტს ადგილი ჰქონდა მხოლოდ პირველი ცოდვის შემდეგ. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამსა და ევას შორის ტრფიალი მაშინ დაიშვა, რაც ისინი სამოთხიდან გამოვიდნენ (ქალწულ. 54, 12). ქორწინებაც ღმერთმა შექმნა და დაუშვა იგი არა როგორც ბოროტება (ქალწულ. 56, 14).

მიუხედავად ცოდვისა, ღმერთი ადამიანების მიმართ მაინც მონყალე აღმოჩნდა, ამიტომაც ისინი ქორწინების საკრველით შეამტკიცა, უკვდავება ქორწინების მეშვეობით მიანიჭა ადამისა და ევას მოდგმას. მათ შთამომავლობის დატოვება და გამრავლება უბრძანა, რადგან მაშინ შეუძლებელი იყო კაცობრიობისთვის უხრწნელების შჯულის დადება. ღმერთი თავად ხედავდა „კაცთა უკეთურებითა აღძრულთა მათ ბრძოლათაგან... შობილთა მათ განლევასა..“ (ქალწულ. 55, 3-4).

ქრისტეს მოსვლის შემდეგ, როდესაც კაცთა მოდგმისა და „ნაყოფთა მიერ“ (ქალწულ. 55, 5) ყოველმხრივ სავსე იყო ქვეყნიერება, კვლავ აღმოცენდა ქალწულებისა და უხრწნელების ცნებები, მაგრამ არჩევანი, ღვთის ნებით, ისევ და ისევ ადამიანის ნებას მიენდო.

ბასილი ანკვირეილი აღწერს ქალწულების არსს და განიხილავს ამ ცნების რაობას. მისი აზრით, ქალწულება არის ადამიანის მიერ უხრწნელი ღმერთის მიბაძვა და მიმსგავსება. უბინოების მსურველმა (ქალი იქნება თუ მამაკაცი) ამის მისაღწევად დიდი შრომა უნდა გასწიოს. უხრწნელება ორ ეტაპად ხორციელდება და ერთმანეთს განაპირობებს – ხორციელი უბინოება უნდა დაედოს საფუძვლად სულიერ უხრწნელებას, ის უნდა გახდეს პირობა სულის სინმიდისა. ამასთან უხორცო სულის ქალწულება უხრწნელად იცავს ხორცს. როცა მორწმუნე ამ ჭეშმარიტი მშვენიერების სიკეთეს აცნობიერებს, ხორცს ღირსების მხეველად გამოიყენებს.

ქალწულებისა და ქორწინების შედარებისას ავტორი, ცხადა, პირველს ანიჭებს უპირატესობას. ის არაერთგზის იმეორებს, რომ ქალწულების სიკეთე უფალს ყველასათვის არ დაუნესებია სავალდებულოდ – იგი დაანესა პატივად სათნოებისმოყვარე სულისათვის და მორწმუნეს მისცა არჩევანის საშუალება ბუნებასა და მცნებას შორის. რჯული არ კრძალავს ქორწინებას, უფალმა ადამიანის ნებას მიანდო უხრწნელების სურვილი, რადგან ეს შესანიარავი ღვთისმოყვარე სულისაა და არ ჰგავს ქორწინებას.

ბასილი ანკვირელს მიაჩნია, რომ უმრავლესობას თუმცა აქვს წარმოდგენა ქალწულების რაობაზე, მაგრამ არ ზრუნავს ჭეშმარიტი უხრწნელებისათვის.

ძველ დროში, ადრექრისტიანულ ხანაში, სავარაუდოდ, მანამ, სანამ ბერმონაზვნობა ჩამოყალიბდებოდა და მერეც არსებობდნენ უბინოდ ცხოვრების მსურველი ქალწულები, რომლებიც დებდნენ ქალწულების აღთქმას, მაგრამ არ ეკურთხებოდნენ მონაზვნებად, ცხოვრობდნენ თავიანთი მშობლებისა და ნათესავების ოჯახებში, იმოსებოდნენ სამოქალაქოდ, მაგრამ თავს უძღვნიდნენ ღმერთს, საზეიმოდ დებდნენ ფიცს ეპისკოპოსთა წინაშე, რომ სამუდამოდ დაი-

ცავდნენ ქალწულებას. ისინი ითვლებოდნენ ქრისტეს სასძლოებად, უფალს სწორავდნენ თავიანთ უხრწნელებას, რის გამოც ეკლესიის მიერ იწოდებოდნენ წმიდა ქალწულებად. უბინობის აღთქმის დამდებნი ვეღარ ბედავდნენ ქორწინებას, რადგან ჩაითვლებოდნენ ქრისტეს ორგულებად (Правила 1996: 371). თუმცა, როგორც ჩანს, დადებული ფიცის გატეხა მაინც ხდებოდა. ამ მიზეზის გამო ავტორს საგანგებოდ უხდება ზემოთ ხსენებული შემთხვევების განხილვა. ზოგჯერ ქალწული დებდა უხრწნელების აღთქმას, მაგრამ იმის გამო, რომ ხორცის წადილს ვერ ერეოდა, არღვევდა მას, თხოვდებოდა. ბასილი ანკკრიელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღთქმის დამრღვევი ვერ იპოვის კანონიერ მეუღლესთან ბედნიერებას იმის გამო, რომ ვნება რყვნის ქორწინების წესს.

ამგვარი ფაქტები ბასილი ანკკრიელის ეპოქაშიც, მანამდეც და შემდგომაც მრავლად უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ცოდვის შესახებ საუბარია სჯულისკანონშიც (დიდი სჯულის კანონი 1975: 272). (იხ. IV მსოფლიო კრება, კანონნი ხალკიდონს შეკრებულთა მამათანი, ივ (16). ქალკედონის კრებამ განიხილა ადრეული კანონები და დაადგინა აღთქმის დამრღვევთა განკვეთა ეკლესიიდან. მაგრამ ამ კანონის არსებობის მიუხედავად, გადაწყვეტილება შეიძლებოდა განეხილა ეპისკოპოსს და გულმონყალეა გამოეჩინა, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ეპისკოპოსს შეეძლო, ამგვარი ქორწინება კანონიერად ეცნო. ეს, როგორც ჩანს, ქრისტიანული საზოგადოების განწყობის ასახვა იყო. ამით უნდა ავხსნათ ბასილი ანკკრიელის დამოკიდებულებაც აღთქმის დამრღვევების ცოდვიანობის მიმართ.

ქალწულების აღთქმის დამრღვევებს ეხებათ აგრეთვე ანკკრიის ადგილობრივი კრების მე-19 კანონი (Правила 1996: 21). ეს კრება 314 წელს ჩატარდა. ხსენებულ კანონში ლაპარაკია დანაშაულზე, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ არა მრუშობა, არამედ კანონიერი ქორწინება, რომელსაც შეუდგა უბინობის აღთქმადადებული ქალწული. ამკარაა, რომ კანონი ასეთებს ადებდა მეორედ ქორწინების სასჯელს, რომელიც ითვალისწინებდა წმინდა ზიარების აკრძალვას ერთი წლით (იხ. ბასილი დიდი, 4) (დიდი სჯულის კანონი 1975: 476). უბინობის აღთქმადადებული ქალწულის ქორწინება სიძვის ან მრუშობის ცოდვის რანგში რომ განხილულიყო, აღთქმის დამრღვევებს წმინდა ზიარების მიღება აეკრძალებოდათ 4 წლით (იხ. ბასილი დიდი, 22) (დიდი სჯულის კანონი 1975: 486). ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული და დამტკიცებული ბერმონაზვნობის ინსტიტუტი. ის IV საუკუნის II ნახევარში იქნა მიღებული და თანაც კანონის დამრღვევთა სასჯელი უფრო მკაცრი იყო (Правила 1996: 22).

ბასილი ანკკრიელი თხზულებაში განმარტავს, თუ რა სახით უნდა წარემართათ მორწმუნეებს თავიანთი მოღვაწეობა, ქალწულების აღთქმის დარღვევის ცოდვა რომ აეცილებინათ თავიდან. ესენია: ბრძოლა ცთუნების წინააღმდეგ; ხორცის მოკვდინება. უხრწნელი სულის უმანკოება არის ჭეშმარიტი მონაპოვარი მორწმუნისათვის, რომელიც მოვალეა, დათრგუნოს ქალური წადილი, ხორცის შეგინებისაგან თავი შორს დაიჭიროს, მოთმინებითა და ღვთის სიყვარულით სძლიოს ხორციელ სურვილებს (იგულისხმება გემოს, ნაყროვანების, გულისთქმის ცთუნებები), რომლებიც უწმინდურებას წარმოშობენ (ქალწულ. 7, 1).

როგორც ცნობილია, ქალწულების ყველა მსურველს არ შეეძლო ღვთის გზას დასდგომა, თუ მას გარკვეული ასაკი არ შეუსრულებოდა. ქალწულების დამცველის ასაკს რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამის შესახებ ცნობებს ეხვდებით „დიდ სჯულისკანონში“. მაგ., ბასილი დიდი ამბობს, რომ 16-17 წლის მორწმუნეს აქვს უფლება დადოს ქალწულების აღთქმა. უფრო პატარების აღთქმას ის „საბავშვო ასაკად“ თვლის. ტრულის კანონი 10 წლის ასაკიდან მიიჩნევს შესაძლებლად ქალწულების აღთქმის დადებას, რადგან ამ პერიოდისათვის ეკლესია უფრო გაძლიერდა, მორწმუნენი განმტკიცდნენ რწმენითა და სასოებით. ადრეულ ხანაში, პავლე მოციქულის დროს, 60 წლის ქალებს ენიჭებოდათ ეს უფლება. საერთოდ კი მაინც ეპისკოპოსზე იყო დამოკიდებული აღთქმის დამდებთა ასაკის გადანიშნვა (Правила 1996: 526-527).

ბასილი ანკურიელი მორწმუნის კონკრეტულ ასაკს არ მიუთითებს, მაგრამ წერს, რომ ქალწულის ასაკიც გამოსაძიებელია და საკითხავი, რადგან, თუ იგი ახალგაზრდაა, მცნების წესის აღსასრულებლად ეკლესიაში მარტო არ უნდა მივიდეს, არამედ წესიერ და ღირსეულ ქალწულებთან ერთად (ქალწულ. 19, 4). ქალწულს ეკრძალებოდა კონტაქტი მამაკაცთან, საჭურისთან, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთანაც კი. ბასილი ანკურიელი ცხოვრებისეული მაგალითების მოხმობით ცდილობს ამგვარი მოთხოვნის გამართლებას, მიაჩნია, რომ ადამიანები თავისთავად სახიფათონი არიან. თხზულებაში ვკითხულობთ, რომ საჭურისს არა აქვს ქალის შვილიერების შიში და შეუძლია სიცოფე ჩაადენინოს (ქალწულ. 61, 28; 62, 11; 63, 4-5). ქალწული ქალს რომ მიუახლოვდეს სარეცელზე, შესაძლებელია გაიხსენონ თავიანთი ხორციელი ბუნება და ერთმანეთი გააღიზიანონ, რაც ცოდვის ხორცში შესასვლელად საკმარისია (ქალწულ. 62, 9; 63, 4). ქალწულს მორიდება მართებს მამაკაცისაგანაც (ქალწულ. 62, 11). ბასილი კატეგორიულად მოითხოვს ქალწულისაგან, რომ მას მამაკაცი არ შეეხოს, სარეცელი წმიდად შეინახოს (ქალწულ. 59, 7). ამას აქვს თავისი ახსნა: ვინც მამაკაცის გამოცდილებას მიიღებს, ის გამოუცდელი ველარ იქნება, შეიძლება, სინანულიც დაეუფლოს, შეინანოს კიდევ, მაგრამ უხრწნელებას ველარ დაიბრუნებს (ქალწულ. 59, 11), (ე.ი. სულიერი ქალწულება მისთვის მთავარია, მაგრამ ხორციელი უხრწნელებაც სულიერი ქალწულების მნიშვნელოვანი პირობაა).

ბასილი ანკურიელის აზრით, შედეგი ასეთია:

1. ქალწულების დაცვა არის გზა განღმრთობისაკენ, რადგან იგი „უხრწნელებასა ღვთისასა მობაძეჲ-ჰყოფს კაცსა და მიახსენებს (ქალწულ. 2,1).“

2. მორწმუნისათვის არის ზეციურ სასუფეველში დამკვიდრების საშუალება, როცა მასთან (ქრისტესთან) მივა. ის (ქრისტე) წყალობით მიმართავს მორწმუნეებს: „დაადგერიო ჩემ თანა და მე თქუნ თანა“ (იოვანე, 15, 4).

3. ქალწულება არის ანგელოზთა მიბაძვა. ანგელოზნი „თვნიერ ჯორცთა შინა“ იცავენ უხრწნელებას ღვთის წინაშე, ხოლო ქალწულების დამცველნი მინაზე, ქვეყნიერებაზე, ამ წუთისოფელში, ეშმაკის ბრძოლისაგან შევიწროვებულნი, ანგელოზთა სათნოებას ბაძვენ და ღვთისათვის მარხულობენ.

„ქალწულების“ ცნებას უშუალოდ უკავშირდება ტერმინი „ქალწული“, რომელიც, საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობით – ფიზიკური უხრწნელების მნიშვნელობით, ძველი აღთქმის ტექსტებშიც გვხვდება. მაგ.,

„და იყოს ქალწული, რომელსა ვჰრქუა მე“... (დაბად. 24,14.)

„ხოლო ქალწული შუენიერ იყო ხილვითა ფრიად, და ქალწული იყო, მა-
მაკაცი არა უწყოდა მან“ (დაბად. 24,1 6).

ქალწულისაგან მაცხოვრის შობის შესახებ ძველ აღთქმაშია ნაწინასწარმეტყველეთ: „ამისთვისცა თვით უფალმან მოგცეს სასწაული თქუენ: „აჰა, ქალწულ-
მან მუცლად-ილოს და შვეს ძე და უნოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ესაია.7გ.14).

მათე მახარებელი კი თავის სახარებაში გვამცნობს: „ესე ყოველი იქმნა, რაჟთა
აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინასწარმეტყუელისათა თქუმული.
„აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უნოდიან სახელი მისი ემმანოელ, რო-
მელ არს თარგმანებით: „ჩუენ თანა არს ღმერთი“ (1, 22-23).

ბასილი ანკვირელი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ ქალწული არის
ღვთისათვის შენირული (ქალი იქნება თუ კაცი), გვაუწყებს, რომ ქალწულებრივი
სული ქრისტეს ხატით არის ავსებული და მასში ადგილი არ უნდა დარჩეს მანკიე-
რებისათვის, რომელსაც უნარი აქვს, შეავსოს სიცარიელე და ნაბილნოს.

ქალწულს უბინოების ღოცვა-კურთხევა აქვს მიღებული. თუ ის უხრწნელ სიძეს
შეუერთდება, მხოლოდ და მხოლოდ სინმინდესა და უბინოებას შეინარჩუნებს.

ქალწულს, უპირველეს ყოვლისა, ევალება, სულით განიწმინდოს ბინიერები-
საგან, რომ თავისი ქცევით ჭეშმარიტი ქალწულება შეამკოს. სამაგიეროდ, უნდა
ძალუძდეს, დამალოს თავისი გარეგნული მშვენიერება, არ ეცადოს თავის მოწონე-
ბას. თუ ბუნებრივი სილამაზე არ გააჩნია, არც დამშვენება ისურვოს (ქალწულ.
16,1).

ქალწულის უბინოებას საფრთხეს უქმნის გრძნობათა ორგანოები, რომელთაგან
ხუთი გრძნობა ხუთ წყაროდ ამოედინება. ესენია: ხედვა, სმენა, გემოსმოყვარება,
შეხება, ყნოსვა. ქალწულების გასაგონად ავტორი კატეგორიულად აცხადებს: ნუ
იმრუშებს ქალწული ენით, თვალით, სმენით, შეხებით, გონებით, რომ არ გახრწნას
თავისი ბუნებითი მშვენიერება. მისი ხორცი, ანუ ტაძარი მეუფისა, უნდა იყოს
მომზადებული, სული კი იმგვარად შემკული – როგორც წმინდა რძალი (ქალწულ.
27, 1-2).

ქალწულს ევალება მორიდება, მორცხვობა, რომ მეტყველება პატიოსნად და
წმინდად დაიცვას. მისი წარმოთქმული სიტყვა მსმენელთათვის სასარგებლო უნდა
იყოს და ისეთი, რომ საღვთო ფასეულობათა გაგებაში დაეხმაროს მათ. ქალწულს
უნდა ჰქონდეს უნარი, რომ თავისი ქცევით, ზნეობრივი ნორმებისადმი პატივის-
ცემით გავლენა მოახდინოს გარშემო მყოფთა მორალზე, რომ მისმა ხილვამ, სია-
რულმა, მოძრაობამ ყველა განაწყოს მოწინებით და თითოეული მნახველის ცნო-
ბიერებას კეთილ მაგალითად ექცეს (ქალწულ. 22, 8-12).

მნიშვნელობა არა აქვს ქალწულის სოციალურ წარმოშობას, არის ის „მხევალი,
უაზნო, მკოდავი, მთხოვარი“. ზეციური სიძე მას ცათა დედოფლად წარმოაჩენს
და თავისი უხრწნელებით იქნება პატივცემული ღვთისაგან (ქალწულ. 26, 3).

ქალწულის ცხოვრების წესი განსხვავდება ქორწინებულის ცხოვრების წესისაგან. განსხვავება დიდია: უქორწინებელი ზრუნავს უფლისათვის, ქორწინებული ამ ცხოვრებისათვის, ამ ნუთისოფლისათვის.

ბასილი ანკრეიელი დაბეჯითებით განიხილავს უქორწინებლობისა და ქორწინების არსს (ქალწულ. 21, 2-12), ერთმანეთს ადარებს ამ ორ მოვლენას და აშკარა უპირატესობას პირველს ანიჭებს, რადგან თავის უხრწნელად დაცვა არის გამობატვა ადამიანის თავისუფალი ნებისა, სურვილისა, მიემსგავსოს ქრისტეს, რაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ნიშნავს უფლის ნიაღში დაბრუნებას. ამაში მას უნდა დაეხმაროს შინაგანი ძალისხმევა, ჭიდილი, ბრძოლა, რომ დაძლიოს წინააღმდეგობანი. ქორწინება კი მხოლოდ თავისუფლების დაკარგვის პირობაა და მრავალი უსიამოვნების მიზეზი. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ მოგვითხრობს ამ საკითხებზე, ამიტომაც საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პერიფრაზს თანამედროვე ქართულით:

ის ქალწული (აქ მდებდრობითი სქესის წარმომადგენლებზეა საუბარი), რომელიც მოკვდავ ქორწილს ეზიარება, ორი სხეულის ერთობის გამო ორმაგ ზრუნვაში ჩაფარდება და ორი გვამითა და ერთი სულით ინვალებს, იძულებული გახდება, ქმრის ღირსება და ნაკლი თვითონაც გაიზიაროს. შვილოსნობისას თითოეული შვილის გაჩენას სულს ამოაყოლებს, განვალდება. თუ კარგი ქმარი შეხვდა, შიშით იქნება, სიკვდილმა არ წაართვას; თუ ეს საფრთხე მაინც არ ასცდა, დარდისაგან დაილევა. ქალს თუ ქმარი ცუდი გამოადგება, გათხოვება ტანჯვად ექცევა, ველარ გაიგებს, რა ამჯობინოს – ქმრის სიკვდილი და დაქვრივების სიმწარე, თუ ქმრის სიცოცხლე. ცხოვრება კი სასტიკად მოექცევა ცუდი მეუღლეობისათვის და მისი სული სამუდამოდ განილევა. დედას თუ კარგი შვილები ეყოლება, მათი სიკვდილის შიში გაუჩნდება. თუ ქალი უშვილო აღმოჩნდება, თავისი იღბლის გამო უმძიმეს ყვედრებას უნდა გაუძლოს. ქალი ქვრივობისათვისაც უნდა იყოს მზად. თუ უშვილო დაქვრივდება, აღარც ქალწულია, აღარც დედაკაცი, აღარც დედა; ან შესაძლებელია, ქვრივს ობოლთა ზრდა დასჭირდეს, მაშინ გამუდმებულ სულთქმასა და ცრემლში მოუწევს არსებობა. ასეთი ქალები საბრალონი არიან და ამ ცხოვრებაში მწუხარების საგნად მოჩანან.

ქმარი ცოლს მზითევის მეშვეობით ყიდულობს, ქალი ხდება თავისი მეუღლის მხევალი და კარგავს თავისუფლებას. ქალი ქორწინებით მრავალ პრობლემას უღებს კარს, რადგან ყოველ ქორწინებას ახლავს სულის წყევლა, რომ მწუხარებითა და ტკივილით შვას თავისი შვილები და ქმარი გახდეს მისი ბატონ-პატრონი (ქალწულ. 23, 2-24).

ამ მხრივ, გაცილებით მოგებიან მდგომარეობაშია ქალწული, რომელმაც ქმრის უღელზე უარი თქვა და ღმერთს შესწირა თავი. ქორწინებაზე უარის თქმით იგი გასცილდა შვილთა შობის ტკივილებს, გათავისუფლდა მოკვდავი ქმრის მონობისაგან და ქორწინების ბოროტისაგან, გაემიჯნა ამ ცხოვრებაში ცოდვისაგან ნაქსოვ ბადეებს. კერძოდ, განშორდა ქორწინებას – ხორცის ხრწნილებას, უხრწნელი ხორცის მეშვეობით უფლის რძალი გახდა და უბინო ცხოვრებით უფლის სათნოება შეიყვარა (ქალწულ. 22, 7 - 24, 2).

ბასილი ანკურიელი შორსმჭვრეტელი რიტორია, ამიტომ ითვალისწინებს იმასაც, რომ ქალწულების არსის ქადაგება, შესაძლებელია, ვინმემ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, საღვთო მცნებას ამოეფაროს, ქორწინებისაგან „თავისუფალ იქმნეს“, მაგრამ ეს მხოლოდ იმისათვის მოიმოქმედოს, რომ არავინ დაუნესოს მას კონტროლი თავის საქციელზე, იხეტილოს, ურიდად იაროს, „სადაცა ენებოს“; ეს გახდეს ქორწინების ბორკილებისაგან თავის არიდების უმთავრესი მიზეზი და არა ღვთის ჭეშმარიტი სიყვარული. ავტორი კიცხავს მათ, ვინც ამგვარად გაიგებს ქორწინებისაგან გათავისუფლების არსს და დაბეჯითებით აცხადებს, რომ ასეთებს ჭეშმარიტების სიტყვა ქალწულს არ უნოდებს, რადგან ისინი სწავლობენ უქმობას, ამოუებას, ფიქრობენ უჯეროსა და ცუდს (ქალწულ. 19, 1-11).

ქალწულის იდეალი უნდა იყოს: ნუთისოფლის ფუფუნების დათმობა – გულისთქმის, გემოთმოყვარების, სიმდიდრის უარყოფა და მიქცევა ღვთისადმი, რომ სათქმელი ჰქონდეს: კეთილია ღვთისადმი ჩემი მიახლება და სასოება.

თხზულების ბოლო ნაწილში ავტორი მსჯელობს ცნებებზე – „საჭურისობა“ „საჭურისი“, „გამოსაჭურისება“. ამ და ამგვარი ბუნების ადამიანებს იცნობდნენ ოდითგანვე. ეს ეხება მამაკაცებს. მათ შესახებ ძველი აღთქმის წიგნებში ვკითხულობთ:

1. „ხოლო იოსებ შთაიყუანეს ეგვიპტედ და მიიყიდა იგი პეტეფრი, საჭურის-მან ფარაოსმან, მზარეულთა მთავარმან...“ (დაბად. 39.1).

2. „და განურისხნა ფარაო ორთავეს მათ საჭურისთა, ღვთისმცნესა მას და მეპურეთმოძღუარსა“ (დაბად. 40.ა.2).

3. „და ნაყოფისაგანი ყანათა და ვენაჭათა თქუენთა ათეული მიიღოს, და მისთა საჭურისთათჳს და მონათა“ (I მეფეთა 8. გ. 15).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში იგულისხმებიან ფიზიკური ნაკლის მქონე მამაკაცები. მათ გარკვეული თანამდებობებიც ეკავათ ხოლმე. ესაია წინასწარმეტყველი წერს საჭურისების შესახებ, რომ ისინი ნუგეშცემულნი არიან ღვთისაგან და შეუძლიათ თავიანთი სათნოებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ ღვთის საბრძანისში.

„...ნუ იტყვნ საჭურისი, ვითარმედ: მე ვარ ხე ჯმელი“ (ესაია 56,3)...

„რამეთუ ამას იტყვს უფალი: საჭურისთა, რაოდენთაცა დამარხენ ბრძანებანი ჩემნი და აღირჩინენ, რომელნი მე მნებვან, და შეენოდიან აღთქუმათა ჩემთა (ესაია 56,4). „მივსცე მათ სახლსა შორის ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა ადგილი სახელოანი, უმჯობესი ძეთა და ასულთასა, და სახელი საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა მოაკლდეს“ (ესაია 56,5).

ესაია წინასწარმეტყველი ზოგადად საუბრობს საჭურისებზე, სახარებაში კი მაცხოვარი საჭურისებს სამ განსხვავებულ ჯგუფად აწინააღმდეგებს. სამივეს „საჭურისნი“ ეწოდებათ. მათ შესახებ მათეს სახარებაში ვკითხულობთ:

„არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი

თქსნი სასუფეველისათკს ცათაჲსა. რომელნი შემძლებელ არს დატენად, დაიტენ (თ. 9,12)".

ბასილი ანკკრიელი ერთმანეთს უპირისპირებს წინასწარმეტყველისა და სახარებისეულ ინტერპრეტაციას საჭურისებზე, ხაზს უსვამს სახარებისეული თვალსაზრისის სრულყოფილებას ძველი აღთქმის წიგნებთან შედარებით (ქალწულ. 57, 5-6). ამასთან ეყრდნობა ახალი აღთქმის წიგნებს, იყენებს თავის სამედიცინო განათლებას და ამომწურავად აანალიზებს საჭურისობას. მისი აზრით, საჭურისობა შეიძლება იყოს გზა როგორც ღვთისაკენ მიახლოებისაკენ, ასევე ცოდვისაკენ. სამივე კატეგორიის მამაკაცი „გამოსაჭურისებულია“, ოღონდ სხვადასხვანაირად. უფალს საჭურისობა კანონად, სავალდებულოდ არ დაუნესებია, მსგავსად ქალწულებისა, არამედ იგი პატივად დააწესა და არჩევანი ადამიანს მიანდო (ქალწულ. 60, 19).

ის მორწმუნე მამაკაცი, რომელმაც უფალს აღუთქვა თავისი უბინოება, რომელმაც ქრისტეს მოძღვრებით აირჩია უხრწნელი გზა ცხოვრებაში, გონებით მზად არის, ღმერთს განუკუთვნოს თავი, იწოდება ქალწულად, ქალთა მსგავსად, მაგრამ ამავე დროს ავტორი მას იხსენიებს საჭურისად, ღვთისათვის გამოსაჭურისებულად, რომელსაც ისევე ევალება უხრწნელების დაცვა, როგორც ქალწულს. ავტორის აზრით, ამ წუთისოფელში უბინოდ მცხოვრებნი, გონებითა და სულით საღმრთონი საჭურისნი, იქნებიან უდიდეს პატივში ზეციურ სასუფეველში (ქალწულ. 57, 1-6; 58, 2; 60, 1-12). ავტორი ცნებებს „საჭურისი“ და „ქალწულება“ ან „ქალწული“ ერთმანეთის გვერდით ხმარობს. მაგ., „ეკითხა რაჲ უფალსა ქალწულებისათკს, სახე იგი საჭურისთაჲ წარმოთქუა“ (ქალწულ. 56, 7); „სამნი უკუე სახენი გამოსაჭურისებისანი გჳრუენა უფალმან ქალწულებისა მიმართ უხრწნელებასთან მიმყვანებლნი“ (ქალწულ. 66, 11).

ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნონ ისინიც, ვინც ახალგაზრდული გამოუცდელობით გამოისაჭურისა თავი ფიზიკურად, მაგრამ ხორცის გამოსაჭურისებასთან ერთად ნებით – გონების გამოსაჭურისებით, ღვთაებრივ უხრწნელებას ეზიარა, ყოველგვარ ბოროტებას გაემიჯნა, ასრულებს იმას, რაც ნებაჲს უფალს და იცავს მის მცნებას. საჭურისობა, ანუ საშუალება ქალწულებისა, უხრწნელებისა არის ანგელოზური ცხოვრების წესი (ქალწულ. 60,8).

არიან საჭურისნი, რომლებიც ცათა სასუფეველისათვის ქალწულებას იცავენ, ქორწინებას და მინიერ ცხოვრებას შეურაცხყოფენ, მაგრამ ისინი დაბადებით, დედის მუცლიდან, არიან საჭურისნი. ამგვარნი უბინოდ იმიტომ კი არ იქცევიან, რომ ქალწულების სიყვარულით უარი თქვეს ქორწინებაზე, არამედ მათ ხრწნილებას ზურგი აქციეს იძულებით, ბუნების მძლავრებით.

არიან კაცთაგან გამოსაჭურისებულნი, რომელთაც სინმინდის დაცვის მიზნით, ვილაცის რჩევით, ფიზიკურად დაისაჭურისეს თავი. მათ, მართალია, აირჩიეს ცხოვრების წმინდა გზა, მაგრამ ისინი საკუთარი თავის სათნოებად კი არ იცავენ ქალწულების უხრწნელებას, არამედ თავიანთ უბინოებას აჩვენებენ იმათ, ვინც აიძულა, ამგვარი ღონისძიებისათვის მიემართათ. ასეთი მამაკაცები ემსგავსებიან მარქენალ ხარებს, რომელთაც ბრძოლის სურვილი შერჩათ, უბრალოდ,

რქები აღარ აქვთ. ავტორი განსაკუთრებით დაუნდობელია ამგვარი საჭურისები-სადმი. მათ საქციელს პირუტყვობას უწოდებს (ქალწულ. 63, 3 - 64, 6).

საჭურისობის შესახებ საკითხის ირგვლივ ინტერესი და შეხედულებანი ადრე-ქრისტიანული ეპოქისათვისაც არ ყოფილა უცხო. ეს საკითხი გაუთვალისწინებიათ მოციქულთა კანონებში: 21-24-ში (დიდი სჯულის კანონი 1975: 218). ამ კანონებში არ არის ლაპარაკი იმ ადამიანებზე, რომლებიც სულით აღწევენ სრულყოფილებას, რომლის შესახებაც მაცხოვარი ბრძანებს მათეს სახარებაში (თ. 19,12); წინააღმდეგობა არ ხვდებათ მათაც, ვინც დაბადებით ასეთია. განსაკუთრებული მსჯელობის საგნები არიან ადამიანები, რომლებმაც განაჩენი გამოუტანეს საკუთარ თავს. მათი ამგვარი საქციელი არის სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ისინი არ იქნან მიღებულნი წმინდა დასში.

როგორც ჩანს, უშუალო მიზეზი მოციქულთა ამ კანონის მიღებისა იყო ბასილიანელთა სექტა, აღორძინებული II საუკუნეში, რომლის მიმდევრებმაც თავისებურად გაიგეს მაცხოვრის სიტყვები და ასონი დაიკვეთეს. ამ სექტის წინააღმდეგოდ იქნა მიღებული კანონი, რომელიც აჩვენებს, რომ ეს არაადამიანური საქციელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ნიკეის I-მა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (325) პირველივე კანონად კიდევ ერთხელ განიხილა ეს საკითხი (Правила 1996: 173). „თუკი ვინმე სნეულების გამო მკურნალთა მიერ იქნა წინადაკვეთილი, ან ბარბაროზთა მიერ, ან ბატონის მიერ, შეუძლია გახდეს მღვდელთა დასის წევრები. თუკი ვინმე ჯანმრთელი გამოისაჭურისებს თავს, მას მღვდლობის უფლება აღარ ექნება“ (დიდი სჯულის კანონი 1975: 231).

ნიკეის კრების ეს კანონი მოციქულთა კანონს ეყრდნობა, მაგრამ ერთ-ერთი მოსაზრებით, კანონი გამოიცა მღვდელთმთავარ ლეონტი ანტიოქიელის გამო, რომელსაც უყვარდა ერთი ქალი, იგი შინ ჰყავდა და მისი გაშვება არ სურდა. თავისი საქციელი რომ დაეფარა, ასო დაიკვეთა. ეესტათი ანტიოქიელმა განკვეთა ლეონტი წმინდა მსახურებისაგან და, როგორც ნიკეის კრების თავმჯდომარემ, ჩანს, დაარწმუნა კრების მონაწილენი, აღედგინათ ძველი კანონი საჭურისებზე, რაც კრებამ აღასრულა კიდევ მოციქული კანონის მეშვეობით (Правила 1996: 173-174.). „პირველად და მეორედ კოსტანტინეპოლის შინა შეკრებულისა კრებისა“ 8 (მე-8) კანონიც ეთანხმება ნიკეის I კრებისა და მოციქულთა კანონებს (დიდი სჯულის კანონი 1975: 441).

ბასილი ანკვირელი იმ ეპოქის მოღვაწეა, როცა ჩატარდა ნიკეის კრება, როცა, როგორც ჩანს, აქტუალური იყო ეს პრობლემა. ამიტომაც იგი მოვალედ თვლის თავს, თავის შრომაში დანვრილებით აღწეროს თვითგამოსაჭურისების მავნეობა და შენდობასაც კი ითხოვს, რომ ვრცლად უხდება საუბარი, მაგრამ თავს იმით იმართლებს, რომ საჭიროა, შეაჩერონ ეკლესიაში უჯერო საჭურისთა, ასოს მომკვეთელთა კრებული და თვითგამოსაჭურისების უწესოება აღმოფხვრან, რადგან ეს საქმე აშკარად ეშმაკისაგან მოდის. იგი წარმართთა შორის იყო გავრცელებული, ახლა ამ ცხოვრების ამაოებამ შემოიღო და წარმოაჩინა. მაშინაც და ახლაც მოჩვენებითი სინმინდის სახით ბოროტებამ გაიმარჯვა ადამიანთა ბუნებაზე (ქალწულ. 62, 3). ავტორი მეტაფორულად, მრავალი მაგალითის გამოყენებით მსჯელობს ამ

მავნე ჩვევის შესახებ. ხაზგასმით აცხადებს, რომ ეს არ არის თავდახსნის გზა. თავისი სამედიცინო განათლების გამოყენებით აღწერს ფიზიკურად დასაჭურისებული მამაკაცის ფიზიოლოგიურ აღძრვას, ადარებს მას ბუნებითი ცხოვრების წესით მცხოვრებ მამაკაცს. დასკვნა ასეთია: ეს საქმე არის ბოროტი და გამრყენელი უფლის რწმენისა (ქალწულ. 61, 2 – 62, 10 – 64, 18).

ამრიგად, „ქალწულებას“ სხვადასხვანაირი გააზრება აქვს ბასილი ანკკრიელის თხზულებაში. ქალწულება, ჩვენი საკვლევი ტექსტის მიხედვით, არის:

1. ანგელოზური ცხოვრების წესი. თუ ადამიანი დაძლევეს ხორცის სიამოვნებას, ნაყროვანების სიტკბობას და ამ წუთისოფელში ხორციელი ინროებით წარმართავს თავის ცხოვრებას, შესაძლებელია ანგელოზთა მიბაძვაზე ლაპარაკი.

2. ქალწულება უფრო სულიერი უპირატესობაა, ვიდრე ხორციელი, რის საჩვენებლად არის კიდევ შექმნილი ეს თხზულება. ვისაც სურს ქალწულების გვირგვინის დადგმა, მან უნდა შეიმეცნოს ჭეშმარიტება, უბინოების უდიდესი ღირსების არსი, რათა თავისი უმეცრებით უაღრეს სიკეთეს არ მოშორდეს.

1. ქალწულებაში, ტექსტის მიხედვით, იგულისხმება უქორწინებლობა.

საჭურისობასაც, ისევე როგორც ქალწულებას, სხვადასხვა გააზრება აქვს:

1. საჭურისობა, გამოსაჭურისება არსებობს სამი სახისა:

ა) დაბადებით საჭურისობა;

ბ) ღვთისათვის გონებით გამოსაჭურისება;

გ) თავის ფიზიკურად გამოსაჭურისება ღვთის სიყვარულისა და უბინოების შენარჩუნების სურვილით. საჭურისობის ამგვარი სახეობა განსაკუთრებული გაკიცხვისა და გმობის ობიექტი იყო ისტორიულადაც და თხზულების მიხედვითაც.

2. საჭურისთაგან განსაკუთრებული დაფასების ღირსია ის, ვინც გონების გამოსაჭურისებით ღვთაებრივ უხრწნელებას ეზიარება.

3. საჭურისობა, ქალწულების მსგავსად, არის ანგელოზური ცხოვრების წესი.

III ნანილი

ბასილი ანკრავიელის თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ტიქსტოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზი

I თავი

ქართული ნუსხები და მათი ურთიერთმიმართება

ბასილი ანკრავიელის თხზულება „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“, რომელიც ხელნაწერებში მიეწერება ბასილი დიდს, დიდად პოპულარული ყოფილა არა მარტო ბიზანტიაში, არამედ ყველა იმ ქვეყანაში, რომლებსაც რელიგიური, კულტურული თუ პოლიტიკური კავშირი ჰქონია მასთან. ბასილი ანკრავიელის ტრაქტატი რომ გაცილებით დიდი მონონებით სარგებლობდა, ვიდრე გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ანალოგიური ხასიათის თხზულებანი, ამას მონიშნავს ბერძნულ და ლათინურ ენებზე არსებული ნუსხების რაოდენობა (Leroy 1972: 196-197). ცნობილია თხზულების სლავური ვერსიაც (Vaillant 1943: I-VIII).

თხზულებამ „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ქართულ ენაზე დღესდღეობით ოთხი ნუსხით მოაღწია. ესენია: Ath-49 (XI ს.), ხეც. A-55 (XI ს.), A-927 (XII ს.), A-66 (XVIII ს.). A-55 და A-66 არსებობა A-927-სა და Ath-49-ზე ადრე იყო დადასტურებული.

A-55 XI ს. ასკეტიკურ-ჰომილეტიკური ხასიათის ფრიად საგულისხმო კრებულია. იგი 440 ფურცლისაგან შედგება, ფურცლების ზომაა 36X24, შესრულებულია ქალაღზე, ჩასმულია ტყავგადაკრული ფიცრის ყდაში. ნაწერი დაზიანებულია, ფურცლები აღუდგენიათ ძველადვე, დაუნებებიათ ქალაღით, შიგადაშიგ ტექსტი გაუცხოველებიათ. მთელი კრებული ნუსხურიტაა შესრულებული, ნაწერია ყავისფერი მელნით, სათაურები – სინგურით. ხელნაწერს ახლავს რვეულებრივი სათვალავი ქართულად (ჩვენი საკვლევი თხზულება განთავსებულია მე (45-50)-ნ რვეულებზე) და ფურცლობრივი სათვალავი ლათინური ანბანით. Ir-ზე არის მხედრულით შესრულებული მინაწერი: „...გრიგოლ ნოსელის ნათარგმნი დიდი ნიგნი,“ Iv-ზე ასევე მხედრულით ვკითხულობთ: „წმიდა მამა ღვთივსულიერი გრიგოლ ნოსელი – შეინყალე.“ 441-ე ფურცლად ჩაკრულია მომცრო ზომის ქალაღი, რომელზედაც ფანქრით შესრულებულია ლექსი, მხედრულით ნაწერი.

ხელნაწერი, მინაწერის მიხედვით, 1855 (ჩყნე) წლისათვის ეკუთვნოდა „დიდ მცხეთის სობოროს“. ეს მინაწერი ტექსტსა და ზოგადად ხელნაწერშიც გარკვეული სიხშირით მეორდება. 418r-ზე გვიანდელი ნუსხურით შესრულებული მინაწერი იუწყება, რომ „ესე წიგნი დაუნერია ელიაზარს“.

A-55 შეიცავს 29 საკითხავს. მასში უპირატესად შეტანილია გრიგოლ ნოსელის ნააზრევი, მაგრამ კრებულში ასევე შედის ბასილი დიდის, ნექტარი კონსტანტინოპოლელის, ათანასე ალექსანდრიელის, თალასი მონაზონის, ეგნატი ღმერთშემოსილის და სხვ. თხზულებები. მათი ქართული თარგმანები შესრულებულია ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის მიერ.

ჩვენი საკვლევი თხზულება A-55-ში შეტანილია 21-ე საკითხავად. მისი სრული სათაურია: „[თქუმული] წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ-კაბადუკიელისაჲ. ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს. – „მრავალნი, რომელნი სიძესა ჩუენსა ქრისტესა შეუდგან“... ტექსტი სრულია და მოიცავს 43 ფურცელს, ანუ 86 გვერდს – 344r-დან 387r-მდე (აღწერილობა A 1974: 147-153).

ტექსტის ადგილები, განსაკუთრებით გვერდების პირველი და მეორე სტრიქონები, უმეტესად გადარეცხილია. ნაშლილი სტრიქონები მოგვიანებით გაუცხოველებიათ იმ ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით, რომლებიც მოქმედი იყო იმ პერიოდისათვის. ერთი ფურცელი (383 r-v) შუაზე ყოფილა გახეული და, სავარაუდოდ, მე-19 ს.-ში აღუდგენიათ, დაუნებებიათ ყვითელი ქალაღით. ის ადგილები, რომლებიც ქალაღდმა დაფარა, აღუდგენიათ შავი მელნით და ზოგიერთი მცირეოდენ განსხვავებული იკითხვისით.

გაცილებით ადრე ტექსტი ჩვენთვის უცნობ პირს შეუსწორებია, გამოტოვებული ადგილები მიუწერია არშიებზე, სავარაუდოდ, მასვე შემოუხაზავს სამიოდე ადგილი იმიტომ, რომ ტექსტში ერთი და იგივე პასაჟი გადანერილია ორჯერ (345rI, 367vI, 372rI).

A-66-ც (აღწერილობა A 1974: 230-234) არის ასკეტიკურ-ჰომილეტიკური ხასიათის კრებული, გადანერილი XVIII ს.-ში; ხელნაწერის პირველი ნაწილი გადაუნუსხავთ 1710 წელს, მეორე ნაწილი კი – XVIII ს.-ის 30-იან წლებში. თხზულებას ერთვის გადამწერის ანდერძი, რომელიც იუწყება, რომ იგი გადაუნერია მთავარდიაკონ ელისე საგინაშვილს მეფეთმეფე ლევანის ძის, კათალიკოზ დომენტის ბრძანებით. თ. ჟორდანიას აღწერილობაში დაწვრილებით არის მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ მთავარდიაკონ ელისე საგინაშვილს ეს სამუშაო შეუსრულებია საბერძნეთში, კუნძულ ტენედოსზე (Описание 1901: 65-66). ამას იუწყება ანდერძი: „ქრისტე, ადიდე ორსავე შინა ცხოვრებესა პანკრეტიონ-შარფანდელი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი დომენტი, ამინ; რომელმან თჳსითა საფასითა აღმანერინა წმიდაჲ ესე წიგნი წმიდის სამებისათჳს მე ცოდვლს მათ მთავარდიაკოს ელისეს საგინასშვლს. ვინც ჴელად მიიღოთ, ლოცვაჲ ყავთ, დაინერე ქალაქსა ტენედოსს“ (370v).

კრებული 382 ფურცლისაგან შედგება, დაწერილია ქალაღზე ნუსხურით, გამოყენებულია შავი მელანი. ფურცლების ზომაა 22,5X30. ტექსტი გადანერილია

ორი ხელით: I ნაწილი – 2r-147v – ანონიმის მიერ, II ნაწილი 152r-380v-ს ჩათვლით კი გადაუწერია ელისე საგინაშვილს.

კრებულში შესულია იოანე დამასკელის, ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, თალასი მონაზონის, ბასილი კესარია-კაბადუკიელის, ეგნატი ღმერთშემოსილის, გრიგოლ ნოსელის, თეოდორიტეს, მაქსიმე აღმსარებლის თხზულებები. ხელნაწერში სულ 13 თხზულებაა. თარგმანები შესრულებულია არსენ იყალთოელის, ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის, გიორგი მთაწმიდელის, თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ.

ტრაქტატი „ქალწულებისათვის“ კრებულში მე-7 საკითხავადაა შეტანილი. მისი სრული დასახელებაა: „თქუმული წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისა ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისთვის.–„მრავალნი, რომელნი სიძესა ჩუენსა ქრისტესა შეუდგენ“... ტექსტი სრულია, მოთავსებულია 196r-270r-ზე და უკავია 74 ფურცელი.

თხზულებას ახლავს გადამწერის ანდერძი: „ქრისტე, ადიდე ორსავე შინა ცხოვრებასა, სულით და ჳორცით განაძლიერე და განამტკიცე და დაუმორჩილენ ქუეშ მფერხთა მისთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი პანკრატონ შარავანდედს, იესეან-დავითიან-სოლომონიანს მეფეთ-მეფის ლევანის ძეს, კათალიკოს-პატრიარხს დომენტის, ამენ. და მეცა, ცოდვილს საგინასშვლს მთავარდიაკოს ელისეს, შენდობა და კურთხევა ჩემზედა, რომლისა ბრძანებითა სრულ ვყავ“ (270r) (აღწერილობა A 1974: 232; Описание 1901: 42-46).

კ. კეკელიძე თავის ნაშრომში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ ჩვენი საკვლევი თხზულების ავტორად, ცხადია, ბასილი დიდს აცხადებს. მითითებულია, რომ ტექსტი მოთავსებულია ორ ხელნაწერში – ხეც: A-55-სა და A-66-ში. ბერძნული ტექსტის წყაროდ კი დასახელებულია – PG. 30, 669-810 (ეტყუდები 1957: 21).

ტრაქტატის მთარგმნელის ვინაობაზე არც ამ ნაშრომშია ნათქვამი რაიმე. საერთოდ, მკვლევარი წყაროებთან ერთად უთითებს ხოლმე მთარგმნელსაც, თუ, რა თქმა უნდა, აქვს ცნობა მის შესახებ (1957: 21).

კ. კეკელიძის მონაცემებს ეყრდნობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა ინსტიტუტისეული A-55-ისა და A-66-ის აღწერილობებში მოთავსებული შენიშვნებიც (აღწერილობა A 1974: 151 232). ტრაქტატი „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტის უხრწნელებისათვის“ არა მარტო ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, არამედ უცხოელთათვისაც ორი ნუსხით – A-55, A-66 – იყო ცნობილი.

გრიგოლ ფერაძე იმეორებს კ. კეკელიძის მონაცემს. მას მე-10 ნომრით აქვს შეტანილი თავის საძიებელში ამ თხზულების სათაური და დასაწყისი (Peradze 285). მის ინფორმაციას ეყრდნობა ბიზანტიური პატრისტიკული თხზულებების კატალოგი, რომელიც მოკლედ ცნობილია როგორც კლავისი (CPG I 1974: 2827).

1963 წელს ჟ. გარიტმა გამოაქვეყნა კ. კეკელიძის ბიბლიოგრაფია რომელშიც 132-ე ნომრად შესულია „ეტიუდების“ V ტომი, რომელშიც მოცემულია თხზულების სათაური და წყაროები (Le Muséon 1963: 132, 469-470).

M. Van Esbroeck-ის მეშვეობით ხელნაწერები A-55 და A-66 გამხდარა ცნობილი F.J. Leroy-სთვის. მკვლევარი რატომღაც A-55-ს XV საუკუნით ათარიღებს, უთითებს ფფ. 344-387, A-66-ის თარიღს კი, 1710 წ.-ს, ნაწილობრივ სწორად იმონმებს. I ნაწილი, მართლაც, XVIII საუკუნის I ათწლეულშია შესრულებული, II ნაწილი კი გადანერილია ამავე საუკუნის 30-იან წლებში და ხელნაწერში მართლაც მოიცავს ფფ. 196-270. ამასთან მას დამოწმებული აქვს ჟორდანიასეული აღწერილობაც (Leroy 1972: 197, შენ. 2).

თხზულების მესამე ნუსხას მიაკვლია ნინო ქაჯაია A-927-ში (ქაჯაია 1992: 155). ეს ხელნაწერი შეიცავს ბასილი დიდის თხზულებებს და XII ს.-შია გადანერილი. A-927 (Описание 1902: 201-202) არის „ითიკა“, ბასილი დიდის თხზულებების კრებული, XII ს.-ში შესრულებული ქალაღზე. იგი 261 ფურცლისაგან შედგება. მისი ზომაა 42x28, აქვს გვიან გაკეთებული რვეულებრივი სათვალავის ნაშთები. მაგ. 14v, 80r-ზე არის ფურცლების ანბანური სათვალავი მხედრულით. 8v-დან 26r-მდე 8-8 ფურცლის ფარგლებში ანბანური სათვალავი ნუსხურით, 56r-დან ბოლომდე კი ვხვდებით სომხურ ანბანურ სათვალავს. ეს სათვალავები ერთმანეთს არ შეესატყვისება და არც ერთი არ არის სწორი. ქალაღი დაზიანებულია, ახალი რესტავირებული. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია და ძნელად იკითხება, განსაკუთრებით ბოლო ფურცლები (კრებულის ბოლო თხზულება არის ჩვენი საანალიზო ძეგლი). ზოგიერთი ადგილი XVIII საუკუნეში გაუცხოველებიათ. ხელნაწერს აქვს შავი ფერის ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ნაწერია ნუსხურით. XVIII საუკუნის ხელით დაწერილია ფურცლები 1-7; 195-196. კრებული სამი ნაწილისა და 48 საკითხავისაგან შედგება.

ცნობილია, რომ ბასილი დიდის ბერძნული τα ηθικα-ს კორპუსში გაერთიანებულია ამ კაბადუკიელი მამის მორალური ჰომილიები, ასკეტიკური ხასიათის სწავლანი და „ფსალმუნთა თარგმანება“. ეს ქადაგებები ცალ-ცალკე კრებულებში გვხვდება, მაგრამ A-927 არის პირველი კრებული, რომელშიც ორივე სახის ქადაგებებია შეტანილი, რაც ბერძნული კრებულების გავლენით აიხსნება. გვიანდელ კრებულებში თხზულებათა გაყოფის არც ერთი შემთხვევა არ არსებობს (ქაჯაია 1992, 37). ეს ხელნაწერი კი სტრუქტურული თვალსაზრისით სცილდება საქართველოში გადანერილ ამ ტიპის ხელნაწერებს და დგება Ath-32-თან, რომელიც თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ, 977 წ.-ს. ათონური ხელნაწერი უნიკალურია, როგორც ათონზე გადანერილთაგან ყველაზე ძველი. იგი 27 საკითხავს შეიცავს. 21 მათგან ბასილი დიდის ჰომილიაა (ბასილი კესარიელის სწავლათა... თარგმანი 1983: 010). ამის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ A-927 საქართველოს ფარგლებს გარეთ არის გადანერილი (რაც უფრო სარწმუნოა), ან გადამწერს სხვა ხელნაწერი ჰქონია ხელთ (ქაჯაია 1992: 44).

მოცემულ კრებულში ტექსტს „ქალწულებისათვის“ წინ უსწრებს კიდევ ერთი ასკეტიკური შინაარსის თხზულება „თქუმული, რამეთუ სრული იგი საქმე მოლუანებისა“ (ქაჯაია 1992: 43-44; მელიქიშვილი 2000: 16-17, სქ. 42). 48-ე საკითხავად კი შესულია ბასილი დიდის თხზულებად მიჩნეული ჩვენი საკვლევი ტექსტი „[თქუმული] წმიდისა ბასილისი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ-კაბადუკიელისაჲ. ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ (A-927: 220v-261v).

უხდა იტევას, რომ A-921-ში ძეგლისი ყველა საკითხავი დასილი დიდი სახელს ატარებს. თხზულების სათაური შესრულებულია სინგურით, მთელ ტექსტში სათაურის შემდეგ მხოლოდ სამი სტრიქონია გაცხოველებული. ნაწერი შესრულებულია ბაცი ყავისფერი მელნით, ადგილ-ადგილ იგი ისეა გადარეცხილი, რომ პრაქტიკულად აღარ იკითხება, ამოკითხვა ვერ ხერხდება პარალელური ტექსტის მოშველიებითაც. 227r-ზე, I სვეტში, ერთი სიტყვა „შთავრდომილი“ წითელ წერტილოვან ჩარჩოშია ჩასმული, 233r II სვეტში კი წითელ წერტილოვან ჩარჩოში ჩასმულია ფრაზა „რაფთა არა ვინაფთავან“. ამგვარი აღნიშვნით გამოყოფილი ადგილები თხზულების პარალელურ ნუსხებში არ დასტურდება. ალბათ ამიტომაც ჩასვეს ჩარჩოში.

მეოთხე ნუსხა, რომელშიც დადასტურებულია ჩვენი საკვლევი ტექსტი, არის Ath-49. ამ კრებულში ბასილი ანკურიელის თხზულების არსებობა სულ ცოტა ხნის წინ გაირკვა. ხელნაწერი-49 ძირითადად შეიცავს გრიგოლ ნოსელის თხზულებებს. ბასილი ანკურიელის ტრაქტატი მოღწეულ ნაწილში მოჰყვება გრიგოლ ნოსელის „ქებათა-ქებათას“, არის ყველაზე ბოლო საკითხავი. ამის გამო ტექსტი ძალიან დაზიანებული და ნაკლულია, ფრაგმენტულია. შესაძლებელია, იგი ამავე მდგომარეობაში იყო, როდესაც რ. ბლეიკმა აღწერა. ამიტომაც აღმწერელს ტექსტი შეუმჩნეველი დარჩა.

Ath-49 წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფს, გადანერილია თეთრ ეტრატზე XI საუკუნის შუა წლებში. ტექსტი შესრულებულია ყავისფერი მელნით საზედაო ასოები და სათაურები კი – სინგურით. გვერდზე 50 სტრიქონია, ხშირად სტრიქონთა რაოდენობა იცვლება, ნაწერია წვრილი კუთხოვანი ნუსხური მჭიდროდ ტექსტში მუხლები გამოყოფილი არ არის. კრებულში ფურცლობრივი პაგინაცია არ ჩანს, ამიტომ პაგინირება მომხდარა უკვე ფოტოპირისა. ხელნაწერ უყდოა, გადაკრული აქვს შავი ქსოვილის გარეკანი (Catalogue 1934: 135-138).

ბასილი ანკურიელის თხზულება Ath-49-ში იწყება 203v-ს 25-ე სტრიქონიდან გაბმული ტექსტი იკითხება 204v-ს ბოლომდე და მოიცავს თავებს: 1. 1 - 4. 3 ფოტოს 205r-ზე შემორჩენილია თხზულების მე-14. 8 – მე-15. 8 თავების ფრაგმენტები. ეს ნაწილი ძალიან დაზიანებულია, 205v-ზე კი ტექსტის ისევ ის ფრაგმენტია, რომელიც 204v-ზეა მოთავსებული, მოიცავს თთ. 3. 9 - 4. 3 -ს, ე. ი. სულ რამდენიმე მუხლს. ფოტოზე ჩანს კიდევ ეტრატის ნაკუნი, მაგრამ ფოტო იმდენად ბუნდოვანია, რომ სიტყვების ამოკითხვა შეუძლებელია.

ამ ოთხი ნუსხიდან ქრონოლოგიურად უძველესი Ath-49 მხოლოდ ფრაგმენტებს შეიცავს, დაზიანებულია; რამდენიმე ფურცელი აკლია A-927-საც, სრულყოფილადაა მოღწეული A-55, ჩინებულ მდგომარეობაშია A-66. ამიტომაც A ლიტერიო აღვნიშნავთ ყველაზე უკეთ გადარჩენილ ადრეულ ხელნაწერს – A-55, B-თი – A-66, C-თი – A-927-ს, D-თი კი – Ath-49-ს.

ნუსხების ტექსტოლოგიურმა შედარებამ გვიჩვენა, რომ მათ შორის არსებობს გარკვეული სხვაობანი, ამდენად, ნუსხების თავისებურებათა ანალიზის დროს შეიძლება დავუშვათ რამდენიმე ვარაუდი:

1. მთარგმნელს ჰქონდა ჩვენს ხელთ არსებული ბერძნული ორიგინალისაგან განსხვავებული ტექსტი;

2. ხელნაწერთა გადამწერებმა შეცვალეს ესა თუ ის ადგილი;

3. გადამწერებმა დაუშვეს შეცდომები.

თვალში მოსახვედრია, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე მუხლი ნუსხებში სხვადასხვაგვარადაა გამოყოფილი.

ვარიანტული სხვაობების მნიშვნელოვანი წილი მოდის ხელნაწერების ორთოგრაფიაზე, რადგან ოთხივე ნუსხის ორთოგრაფი გადანერის დროისათვის არსებული ენობრივი ტრადიციის ამსახველია.

სამ ადრეულ ნუსხაში ACD ორთოგრაფიული თავისებურებანი მცირეა. D ნუსხის გადამწერი, რომელიც ამავე დროს მთარგმნელიცაა, და A ნუსხის გადამწერი განუხრელად იცავენ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება კ-ის ნაცვლად თვითოეული (AD). ერთადერთხელ არის დადასტურებული კ-ს ნაცვლად უი ბგერათა ჯგუფი ფორმაში „ზაკუსა“ (A), ზოგჯერ ო და უ ცვლის ერთმანეთს, ხოლო მსაერთოდ არ არის დამახასიათებელი AD-სთვის არც სახელობით ბრუნვაში, არც ნათესაობითსა და მოქმედებითში, არც ფუძეებში. BC ტექსტებში თვალში საცემია ე-სა და მ-ს აღრევა. მ-ს განსაკუთრებული სიჭარბე B-ს ახასიათებს. უე ჯგუფი BC-ში უმ-დ წარმოდგება.

B ხელნაწერი გამორჩეულია იმითაც, რომ ახასიათებს იოტამეტობა. ი ჩნდება სახელებში (მამეაკაცისა (4,3); საედუმლოსა (54, 5)), მასდარის ფორმებში (მაძულეებელთა (4,5); დინებესა (4,7)) და ზმნებშიც კი (განეშორე (9, 2); აძულეებდენ (13,9); დადვე (15, 4); პოვამცა (49, 7)). ამ ასოს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქარაგმის ნიშანი უზის, გვხვდება ბოლოკიდურ ბგერადაც და სიტყვის შუაშიც ფუძისეული ხმოვნის შემცვლელად. ზოგჯერ გაშლილადაც არის დანერილი. B ნუსხაში აღრეულია უი-ს, კ-სა და ვ-ს ხმარებაც განიზრახვდენ (B) || განიზრახვიდენ (48, 14); განკითხვთ (B) განკითხვით (43, 5) და ა. შ.

ACD ხელნაწერებში სიტყვათა დაქარაგმების პრინციპი საყოველთაოდ მიღებული ნორმების მიხედვით გვხვდება. გადამწერები ნაკლებად აქარაგმებენ ბრუნვის ნიშნებს, თემისა და მწკრივის ნიშნებს, ზოგადად ლექსიკურ ერთეულს. სამაგიეროდ, B-ში სიტყვები იმდენად გაურკვეველადაა ზოგჯერ დაქარაგმებული, რომ პარალელური ტექსტის გარეშე ჭირს კიდევ მათი გაგება, მაგ., ბნბესა – ბუნებასა (4, 5); თანრლრს – თანანარუვალ არს (13, 11); გამოსხე – გამოსახა (49, 7).

ეს არის ორთოგრაფიულად ის საერთო და განსხვავებული, რაც ახასიათებს ოთხივე ნუსხას.

იკითხვისებით ნუსხები ძირითადად მიჰყვებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ ოთხიდან განსხვავებული ნაკითხვებით ყველაზე უფრო გამორჩეულია A-55, ანუ A ნუსხა. ამ ნუსხას არშიებზე აქვს გაკეთებული შედარებით გვიან შესრულებული მინაწერები, რომლებიც წარმოადგენს ტექსტში გამოტოვებული ფრაზების ჩამატებას. ეს ფრაზები თავის დროზე გადამწერს ან გამორჩა, ან შეგნებულად გამოტოვა (რაც

ივეთვის უფრო საბიძუთა), ან აკოხდა აიოი, რომელიც ეს ფოაზეი აო იყო შესული. ისინი უკლებლივ დასტურდება C ნუსხებში, ეს ნაკითხვები უნდა ყოფილიყო ქართული თარგმანის ავტოგრაფში, D-ში, რომლის მოღწეულ ნაწილში დღეს მხოლოდ ნუსხაში ჩამატებულ ფრაზათაგან ერთილად გადარჩენილი. ამ ფრაზების უმეტესობა დასტურდება ბერძნულ ტექსტში, ზოგი კი მთარგმნელისაა.

A ნუსხაში ფრაზის, ან სიტყვის ჩამატების ადგილი აღნიშნულია განსხვავებული ტექნიკური ნიშნებით. შეიმჩნევა ორგვარი ტექნიკური ნიშანი, რომელთაგან ერთია ერთმანეთის ქვეშ სიგრძეზე შესრულებული რამდენიმე წერტილი მეორე კი ორი პანანინა მუცელშეკრული რგოლი, რომლებსაც მოჰყვება ჩამატებული ფრაზა ან სიტყვა. წერტილებს ჩამატების ნიშნად გადამწერი იყენებს, ხოლო რგოლებს – ტექსტის ჩამსწორებელი. საჭიროდ მივიჩნევთ, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ გადამწერი ამჩნევს ტექსტში დაშვებულ თავის შეცდომას და თავად ასწორებს უზუსტობას, როცა საჭიროდ მიიჩნევს (A-55: 354rI, 356rII, 364rI, 374vI, 367rII, 367vII). დაკვირვება აჩვენებს, რომ ხელნაწერში გამოტოვებული ფრაზებიდან არც ერთი არ არის ჩასწორებული გადამწერის მიერ. ე. ი. მას საჭიროდ არ მიუჩნევია ჩამატება, ან უბრალოდ იმ პირში, საიდანაც იწერდა, არ არსებობდა ეს ადგილები. მოგვიანებით, მათი არარსებობა შეუმჩნევია ვილაცას, საგულდაგულოდ შეუდარებია ნუსხის ტექსტი თხზულების რომელიღაც ხელნაწერთან, ან, დასაშვებად მიგვაჩნია, ვივარაუდოთ, დედანთან, და პრაქტიკულად ტექსტში არსებული ყველა განსხვავება თუ შეცდომა გაუსწორებია.

გვიან შუა საუკუნეებში A-ში გაუცხოველებიანთ გადარეცხილი და ნაშლილი ადგილები, XIX ს.-ში კი ხელნაწერისათვის მთლიანად გაუკეთებიათ რესტავრაცია – იმ დროისათვის ტექსტში არსებული დაზიანებული ადგილები ქალაქდით გაუმაგრებიათ და ნაკითხვები შავი მელნით აღუდგენიათ.

საილუსტრაციოდ მოვუხმობთ ნუსხაში ნაკლულ, სავარაუდოდ, გადამწერის მიერ ამოღებულ (გამოტოვებულ) და მოგვიანებით კვლავ ჩამატებულ ფრაზებს.

1. „ზემოვსენებულთა ამათგანსა, არამედ ქებასა ხოლო ზემოთქუმულთა მათ სათნოებათასა წარმართებად კეთილისა კმა-ყოფად ჰგონებენ“ 1. 1 (BCD);

2. „ტკბილთა და გემოვანთა უძღებად განულებს თავსა თვსსა და შეიწყნარებს თავსა თვსსა“ 5, 10 (BC);

3. „ესრეთ სიმრავლემან საქმელთამან, ღონისძიებითა მოპოვნებულმან, ნაკლულევანება-იგი პურისაჲ აღმოავის“ 9, 7 (BC);

4. „უღონო არს, რომელი ცეცხლსა შეეხოს ჳელითა უკუეთუმცა და ნუვისა ტკივილთა თანა წარჰჳდა“... 14, 6 (BC);

5. „ესე ყოველნი, ვითარცა ჯაჭუნი, ურთიერთარს დამოკიდებულნი, საქმიოცოდვისა შეხებასა დამწინდებელ იქმნებიან“ 15, 11 (BC);

6. „მომაჴსენებელად საღმობათა შობისათა და განმაახლებელად ტკივილთა ქმრისათა და სამარადისოთა სულთქუმათა და ჭირთა და ცრემლთა მიერ ისურების“ 23, 13 (BC);

7. „რამეთუ არავინ არს მათგანი, რომელი არა ყოველსავე ხედავს“ 29, 6 (BC).

8. „და რამეთუ ქორწინება ბუნებითი არს და შჯულიცა ამცნებს სჯულსა მას ბუნებისასა. ხოლო ქალწულება, ვინაჲთ გან აღმატებულ არს შჯულსა ბუნებისასა, არა დამონებულ არს შჯულისადა“ 55, 13 (BC).

A ნუსხაში სხვისი ხელით ჩამატებულია ის თანდებულები და ნაწილაკები, რომლებიც გადამწერს გამორჩა (ან არ შეიტანა; მის ხელთ არსებულ გადასაწერ ტექსტში არ იყო – ლ. შ.) მუშაობის პროცესში.

A ნუსხა გამორჩეულია არა მარტო ფრაზებისა და უმცირესი ელემენტების კავშირებისა და ნაწილაკების გამოტოვებით, არამედ განსხვავებული იკითხვისე-ბითაც.

1. თავისა თვისა მიმართ (A) || თავისა მიმართ თვისა 3, 19 (BC).

ამ შესიტყვებას ბერძნულში შეესაბამება "προς εαυτήν". ქართულში მისი ადეკვატური შესატყვისი არ არსებობს, მაგრამ ვფიქრობთ, ის ვარიანტი უფრო ზუსტად ჩაითვლება, რომელიც BC ნუსხებში გვხვდება, A-ს გადამწერი მას ისე ცვლის, როგორც თავად მოსწონს და მიიჩნევს მართებულად.

2. მიერ (A) || მიმართ 4, 7 (BC)

"προς εαυτον" ალბათ მართლაც უფრო მართებული იქნებოდა, ყოფილიყო „მიმართ“, ისე, როგორც ეს BC ნუსხებშია დადასტურებული. ამ შემთხვევაშიც იკითხვისის გადამწერისეულ ცვლასთან უნდა გვექონდეს საქმე.

3. და გზა გმობისა (A) || საგზალ გმობისა 22, 13 (BC)

"επιδοι" სიტყვას ბერძნულად აქვს ორივე მნიშვნელობა. ნუსხის გადამწერმა ჩ ნუსხისაგან განსხვავებული, სინონიმური მნიშვნელობის დაფიქსირება ამჯობინა.

4. ცოდვისაგან დამბრალ (A) || ცოდვისაგან დამბრმალ 27, 10 (BC)

ბერძნულ ორიგინალში ამ ადგილად ზის სიტყვა "τετρακλαμεινας", რაც ნიშნავს დამბრმალს. ტექსტში ამ ადგილას ლაპარაკია ცოდვილ ადამიანზე, რომელსაც ჰგონია, რომ მის ცოდვას ვერაფერ ამჩნევს, ამ თავისი უგუნურებით არის მართლაც დამბრმალი, ანუ დაბრმავებული. ამ შემთხვევაშიც გადამწერისეულ ინტერპრეტაციასთან უნდა გვექონდეს საქმე, ან, შეიძლება, სულაც შეცდომასთან.

5. სიყვარულითა აღაორძინეს (A) || სიყვარულითა აღიძრნეს 36, 9 (BC)

BC –ს იკითხვისს უჭერს მხარს ბერძნული – διακειμαι აღორძინებას არ ნიშნავს, ის აღძრვის ეკვივალენტი.

6. ზრახვითა (A) || სახითა 48, 14 (BC)

A ნუსხაში ალიტერაციულად ყდერს ეს ფრაზა: „საქმეთა მათ შურისათა განიზრახვიდენ გონებითა და ზრახვითა და გულისზრახვითა“, ბერძნულში მისი შესატყვისია "ενοιαν τα σχεματα μετα τον μορπον", ანუ „გონებითა და გულისზრახვითა სახის მეშვეობით“. σχεματα-ს ქართულში რამდენიმე სიტყვა შეესატყვისება, მათ შორის, შეიძლება ის გადმოვიდეს, როგორც გულისზრახვა, μορφε (Вейсман 1899: 827) კი მხოლოდ და მხოლოდ სახეს, გამოსახულებას აღნიშნავს. ვფიქრობთ, ქართულ დედანში მოცემული იყო „სახითა“ და არა „ზრახვითა“, მაგრამ გადამწერმა ალიტერაციული ხერხით ამჯობინა სათქმელის გადმოცემა, „სახითა“ ფორმის ნაცვლად „ზრახვითა“ ფორმის შეტანა არჩია ტექსტში, ან შე-

საძლებელია, გადამწერს ჰქონდა ქართული ტექსტის ისეთი პირი, რომელშიც ფრაზა უკვე მზამზარეულად იყო მოცემული და ასევე გადმოიტანა A ნუსხაში.

ამგვარი სხვაობები, რომლებიც A ნუსხაში აღმოვაჩინეთ, მიუთითებენ, რაც ეს გადამწერის მცდელობაა, შეცვალოს ტექსტის ზოგიერთი მონაცემი, ან იწინერს ისე, როგორც ეს მის ხელთ არსებულ ხელნაწერშია, ანდა ეს მონაცემე სხვაობენ მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ გადამწერმა შეცდომით შეიტანა ისი გადასაწერ ტექსტში.

BC ნუსხების მონაცემები ერთმანეთს ძირითადად ემთხვევა. შესაძლებელია, ნუსხა C- სგან იყოს გადამწერილი. ამ აზრს განვიმტკიცებთ ერთი ადგილი ორი ხელნაწერიდან.

პაპათა მამათა (A), || პაპთა და მამათა 60, 4 (BC).

ბოლო ორ ნუსხაში ლექსემა „პაპათა“ არ არის დაქარაგმებული. იგი ზუტად ერთნაირად არის გადამწერილი. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ შეგვიძლ დაეუშვათ ვარაუდი BC ნუსხების საერთო წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მოსაზრება ეყრდნობა მხოლოდ ერთ შემთხვევას და ამიტომ ამ თვალსაზრის დაბეჯითებით მტკიცება სათუო ხდება.

განსხვავებული იკითხვისები B და C ხელნაწერებშიც ფიქსირდება.

დაქსნილობანი (AC) || სალმობანი 12,6 (B)

ბერძნულ ორიგინალში „დაქსნილობას“, რაც ნიშნავს „დაშლას“, „დარღვევას“ შეესაბამება ἀσθεσία ანუ სიტყვასიტყვით „უძლურება“. ტექსტში ლაპარაკია ახა, გაზრდისა და მოხუცის მიერ ღვინის მიღების ზომიერებაზე, რომ ამ სასმელ ჭარბი სმით ან სრულიად მიუღებლობით ორგანიზმს უძლურება არ მოეძალო სიტყვა „სალმობა“ ჭირსა და ავადმყოფობას ნიშნავს. შეიძლება XVIII საუკუნე როცა ეს ტექსტი კიდევ ერთხელ გადაიწერა, „სალმობანი“ უფრო გასაგები იყვიდრე – „დაქსნილობა“. ამიტომაც გადამწერმა ფორმა „სალმობა“ არჩია „დაქსნილობას“.

გადამწერის შეცდომებით გამოწვეული განსხვავებანი არცც ცოტა შეიძლება მოიძებნოს ნუსხაში.

1. განასივის (AC) || განავსის 14, 7 (B)

2. განმზადის (A), განჰმზადის (C) || განმიზიდის 15, 19 (B)

ბერძნული შესატყვისი აქ AC-ს წაკითხვას უჭერს მხარს, B-ს იკითხვი გადამწერის შეცდომა უნდა იყოს.

3. ეტყინებოდეს მას ჳორცნი მისნი (AC) B-ში წაკითხვა გადამწერს გამორწნია 31, 2.

4. ამის ცხორებისა განყოფადსა მას აღდგომასა და უხრწნელებასა (AC), B-გამორჩენილია 53, 9. გადამწერის შეცდომები C ნუსხაშიც მოიძებნება.

1. სიცბილით (AB) || სიცილით 40, 3 (C);

2. პატივად (AB) || მარტივად 55, 12 (C).

3. „...ეკრძალებოდის და რომლითამე კადნიერ იქმნებოდის და ურიდ უგლიმ, არამედ რაითა ყოველნივე ბინნი და ნაბრძკლნი და ბრალთა მომატყუ

ბელნი მიზეზნი შორითვე უჩინო-ყვენეს და იქმნეს წმიდა სულით და ჯორცით და რაჲთა არარას“... 46, 1 (AB).

C-ში ეს ადგილი საერთოდ არ არის გადაწერილი.

ამრიგად, ბასილი ანკკრიელის თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვს“ ნუსხათა ურთიერთმიმართება ასეთია:

1. ABC ნუსხების საერთო წყაროა გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფი Ath-49, ანუ D ნუსხა.

2. ის განსხვავებანი, რაც A ნუსხას გააჩნია, შეიძლება იყოს ან გადამწერი-სეული, ან მომდინარე იმ დედნიდან, რომელითაც ის სარგებლობდა.

3. BC ხელნაწერებში არსებული განსხვავებანი გადამწერებს უნდა მიეკუთ-ვნოს, მათ მიერ შეცვლილად ჩაითვალოს შემდეგი მიზნით:

ა) სათქმელისათვის შთამბეჭდაობის მისანიჭებლად;

ბ) ან უბრალოდ, სიტყვის, ფრაზის, შესიტყვების შეცდომით გადაწერის გამო.

4. ოთხივე ნუსხაში მრავლადაა ორთოგრაფიული სხვაობანი, რაც უმთავრე-სად განაპირობებს კიდევ მათ განსხვავებულობას.

II ტაპი

ბასილი ანკურიელის თხზულების „ქალწულებსა შინა ჭეშმარიტის უხრწნელებისათჳს“ რედაქციები და გამოცემები სხვადასხვა ენაზე

ბასილი ანკურიელის თხზულების ბერძნული რედაქციის შესწავლის გაირკვა, რომ იგი ბასილი დიდის სახელითაა ცნობილი (Leroy 1972: 196). ეს თხზულება რომ დიდად პოპულარული ყოფილა, ამას ადასტურებს ნუსხათა რადენობა არა მარტო ბერძნულსა და ლათინურ ენებზე, არამედ სლავურად ქართულად. არსებობს ტექსტის უძველესი ბეჭდური გამოცემები (ვენეციურ პარიზული). XX ს. 70-იანი წლების დასაწყისში იცნობდნენ ტექსტის დაახლოებულ 52 ხელნაწერს (ბერძნულსა და ლათინურს), რომელთაგან 7 განეკუთვნება X ს. ხოლო 8 – XI ს.-ს (Leroy 1972: 196).

ბერძნული ხელნაწერი ნუსხები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: I - T ჯგუფი და II - A ჯგუფი. ჯგუფი მოიცავს 8 ხელნაწერს, რომელთაგან 3 ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. იგივე ვითარებაა T ჯგუფის ხელნაწერთა შორისაც. ჯგუფი კიდევ ორ ნაწილად იყოფა. I ნაწილში შედის 23 ნუსხა, რომელიც უფრო უნიფიცირებული ჩანს, ვიდრე II ჯგუფი, რომელიც შეიცავს ძალიან ნაკლებ ინდივიდუალურ-ბერძნულ ხელნაწერს და ტრანსლიტერაციის ერთ დამოუკიდებელ ცაგ (P). ტექსტის ბერძნულ ნუსხებს შორის მიმართება შესწავლილი აქვს ფრანგ მეცნიერს J. Leroy-ს, რომელიც ჩატარებული შრომის საფუძველზე იძლევა სატერესო დასკვნებს. კერძოდ, ირკვევა, რომ არსებობს განსხვავებანი ხელნაწერ შორის და ბეჭდურ ტექსტსა და ნუსხებს შორის. ეს შედარება 1-5 თავების ბაზაზე წარმოებული (Leroy 1972: 201). მკვლევარს დაკვირვება უჩვენებს, რომ ტექსტი თავს იჩენს დამატება, ინვერსია, გამოტოვება, ორთოგრაფიული თავისებურებები, ამ შედეგების გამო ჩნდება შეკითხვა: რა მიზანს ემსახურებოდა ამგვარი სწორე (ცვლილება - ლ. შ.) შესაძლებელია, ეს ხდებოდა პურისტული და გამაკეთილმობილებელი მიზნებით, როგორც ბასილის ავთენტურ ნაწერებში (Leroy 1972: 201).

თხზულების T რედაქციის ბერძნული ნუსხები დაცულია: ათენში, ათინის ივირონის ლავრაში, ფლორენციაში, ლონდონში, მილანში, მოსკოვში, მიუნხენში, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში, სმირნაში, ვატიკანში, ვენეციაში, ვენაში (Leroy 1972: 204-207).

არსებობს რამდენიმე მეტაფრასული რედაქციაც ბერძნულ ენაში. ესენია: I - A სამი მათგანი არის დაცული ათონის ხელნაწერთა შორის (Leroy 1972: 198). II - A სამი მეტაფრასული ტექსტები ახალ ბერძნულ ენაზე დაცულია ათენში, სტამბოლში, რეგენსბურგში (Leroy 1972: 205-207).

ბასილი ანკვირელის თხზულების ბერძნული ტექსტის I ბეჭდური გამოცემა 1535 წელს განეკუთვნება, დაბეჭდილია ვენეციაში წმინდა ბასილის სახელით. ამავე ტომში არის შესული ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ და მხოლოდ სამი I ნიგნი „ემონის წინააღმდეგ“ (Leroy 1972: 195). ამ გამოცემას საფუძვლად დაედო პარიზის 969-ის ტექსტი და იგი ხელახლა გამოიყენეს მავრისტებმა (Leroy 1972: 201), რომლებმაც თხზულება „ჭეშმარიტი ნამუსიანობა ქალწულებაში“, ანუ „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უზრუნველებისათვის“ შეიტანეს დიდ გამოცემაში და იგი არაავთენტურ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნეს. ეს გამოცემა უმთავრესად ეყრდნობა მოგვიანო ხანის ხელნაწერებს, რომთაგან 6-7 ქალაქის ნუსხაა და დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (Leroy 1972: 195-196).

არსებობს ტექსტის ერთი თარგმანიც ცოცხალ დასავლურ ენაზე, რომელიც გამოცემულია XVI ს.-ში, 1566 წელს (Leroy 1972: 198).

იტალიელი მამები და მავრისტები საკმაოდ დიდ დროს უთმობდნენ ტექსტის შესწავლას. ერთ-ერთი ასეთი რევიზიის დროს მამა ამბროსე Traversariuss, kamaldule-ად წოდებულს, უნდა მოეცა ამ თხზულების ლათინური ვერსია, რომელმაც მრავალი ხელნაწერის მეშვეობით მოაღწია ჩვენამდე. მან ეს თარგმანი მიუძღვნა კარდინალს და შესრულებული უნდა იყოს 1431 წელზე ადრე (Leroy 1972: 198, შენ.1). Mbrose Traversarius-ს ვერსიის რამდენიმე ხელნაწერი ინახება: ბოლონიაში, დრეზდენში, ფერარაში, ფლორენციაში, მილანში, მოდენაში, პადუაში, რომსა და ვატიკანში (Leroy 1972: 207).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ძველი ლათინური ვერსია. ძველი ლათინურის მსგავსად არ არსებობს არაბული და სირიული ტექსტები (Leroy 1972: 197, შენ.2).

სლავური თარგმანი ტრაქტატისა „ქალწულებისათვის“ მიეკუთვნება ძველი ბულგარულის გვიანდელ ეპოქას, დაახლოებით X ს.-ის II ნახევარს. ამ თხზულების თარგმანი დაუდევარი და არათანამიმდევრულია, ზოგჯერ – მექანიკური და ზოგჯერაც – საკმაოდ თავისუფალი. იგი გადაკეთებული და სახეცვლილია. ეს ტრაქტატი ძალიან პოპულარული ყოფილა ძველ ბულგარულ პერიოდში და ჩვენამდე უამრავი ასლით მოაღწია (Vaillant 1943: IV). „ქალწულებისათვის“ თარგმანი ჰგავს წმიდა ბასილის „კანონთა“ თარგმანს, რომლის ძველი სლავური ფრაგმენტი აღმოუჩენია ლავროვს „ზოგრაფის“ ფურცლების სახით. ფრაგმენტი ძალიან მოკლეა საჭირო დასკვნების გამოსატანად, მაგრამ შესწავლით მიღებული შთაბეჭდილებით, შეიძლება ითქვას, რომ ბასილის „კანონებისა“ და ჩვენთვის საინტერესო თხზულების თარგმანის სტილი ერთნაირია (Vaillant 1943: IV-V).

ტრაქტატის სლავური თარგმანის კიდევ ერთი ნაწილია ჩვენამდე მოღწეული. ეს არის ანასტასი სინელის „კითხვა-მიგებანი“, რომლის თარგმანი დაცულია დაცულია სვიატოსლავის კრებულში. ეს თარგმანი შესრულებულა „ოქროს საუკუნეში“. კრებულში ვხვდებით იმ თავის ნაკვეთებს თხზულებიდან, რომელშიც საუბარია საჭურისებზე (Vaillant 1943: V).

თხზულება „ქალწულებისათვის“ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც დასტური ძველი ბულგარული ცივილიზაციის დაკნინების ეპოქაში თარგმნილი ლიტერატურ-

რის ნიმუშისა. მისი ლექსიკა საგრძნობლად არის შეცვლილი და განიცდის ძველ სლავური ლექსიკის მოძალეხას.

არსებობს „ქალწულებისათვის“ რუსული რედაქციის ორი ხელნაწერი, X საუკუნეში შესრულებული. ერთი ინახება სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, მოიცავს 215v-269r, ხოლო მეორე ხელნაწერი 110 (496) დაცული მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში. თხზულება განთავსებულია 226r-339r (Vaillant 1943: V-VI).

ეს ხელნაწერები ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე ორიგინალის ორ დამოუკიდებელ ასლს¹. ზოგჯერ A და B ხელნაწერები სცილდებიან ერთმანეთს (უმეტესად საქმე გვაქვს მატერიალურ შეცდომებთან), მაგრამ ზოგჯერ ეთანხმებიან ერთმანეთს, რითიც ინარჩუნებენ თავიანთი არქეტიპის დამახინჯებულ და გაუგებარ ტექსტს. ორიგინალიდან ტექსტი იმდენად ერთგულადაა გადატანილი, რომ ორიგინალის შეცდომებიც კი არის შენარჩუნებული (Vaillant 1943: VI). ეს ორიგინალი უნდა ყოფილიყო საკმაოდ ძველი საფიქრებელია, ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის XIII საუკუნის ხელნაწერი, მომდინარე ძველბულგარული ორიგინალის უშუალო ასლიდან ან ერთ-ერთი მომდევნო თაგანიდან (Vaillant 1943: VI).

X საუკუნის სლავური ვერსია, რომელსაც გამოცემაში ფრანგული თარგმანი ახლავს, არ შეესაბამება მთლიან ტექსტს: ხელნაწერს ხარვეზი აქვს იმ ადგილას ბერძნულის 10-სა და 21 თავებს რომ შეესატყვისება (PG. 30: 688 A 13-716 2). მხოლოდ 32-სა და 43 თავებს მოეპოვებათ ზუსტი ეკვივალენტი სლავურად ბერძნულის ბევრი პასაჟი გამოტოვებულია. რაკი ბერძნულში შემოკლების კვალ არ ჩანს, ალბათ ამგვარი შერჩევა მთლიანად მთარგმნელის მიეკუთვნება (Lero 1972: 197, შენ. 3). მართალია, სლავურად არ არსებობს „ქალწულებისათვის“ სრულ თარგმანი, მაგრამ მისი დიდი ნაწილი შემონახულია. შემოკლებელი დაკმაყოფილ და ტექსტის შეკვეცით. ტექსტს აქვს ბევრი ხარვეზი, მაგრამ ბერძნულთან შედარება იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ, შესაძლოა, სლავურთან შეთანხმებით საკმაოდ სარწმუნო ტექსტის დადგენა.

¹ A. Vaillant-ის გამოკვლევაში ეს ხელნაწერები აღნიშნულა A და B ლიტერებით.

ქართული თარგმანის სავარაუდო ბერძნული დედნის დადგენის ცდა

ის ცვლილებები, რომლებსაც იძლევა ბერძნული ნუსხები ბერძნული ვულგატისაგან, ანუ ბექდური გამოცემისაგან განსხვავებით, მოცემულია ქართულ თარგმანშიც. ამისი მიზეზი უნდა იყოს ის ბერძნული დედანი, რომლითაც სარგებლობდა მთარგმნელი გიორგი მთანშიდელი, მაგალითად:

1. "τῶν ἀρετῶν ἐπιστήσα" 1 (PG XXX 672 A, შენ. 35).

„ბუნებისა (τῶν φθῶν) მათისა გულისხმა-გიყავ შენ“ (1, 3).

არსებული სხვაობა, სადაც τῶν ἀρετῶν ფორმის ნაცვლად არის გამოყენებული φθῶν ნაკითხვა, როგორც PG გვაუწყებს, ყოფილა editio Veneta-ში, რასაც ეთანხმება კიდევ ხუთი კოდექსი. შენიშვნაში მითითებულია, რომ φθῶν არასწორი ნაკითხვაა. ამ მცდარ ნაკითხვას მიჰყვება ქართული თარგმანი.

2. "τῆς ἑσούτης ἑσσοίᾳς" 1 (PG XXX 672 B, შენ. 37).

„გონიერთა გულს მოდგინებთა...“ (1, 4).

ქართული გულს მოდგინებთა უფრო შეეფერება ერთ-ერთი კოდექსის ფორმას διασοίᾳς-ს და კარდინალ Mazarini-ის კოდექსის ἑσσοίᾳς-ს, ἑσσοίᾳς კი სიტყვა-სიტყვით არის „კეთილგანწყობა.“

3. "καθ' ἑαυτὴν κάλλους θεραπείαν ἐπάγεται" 2 (PG XXX 672B. შენ. 40).

„...კეთილისა მის მსახურებისა მწველად იწმარებს...“ (2, 3).

ზოგადად ტექსტში κάλλους გადმოოდის ხოლმე როგორც „მშვენიერება“, მაგრამ ორ კოდექსში გამოყენებულია ფორმა τὸ καλόν - კეთილი. ქართული თარგმანიც კოდექსების ნაკითხვას მიჰყვება.

4. Παρθεῖαν δὲ ἐκείτην 2 (PG XXX. 672C. შენ. 41).

„ქალწულება მისთვის და კუალად თვთ“ (2, 6).

ამ ადგილას ბერძნულში არის მხოლოდ Παρθεῖαν, ეს ორი სიტყვა კუალად თვთ უცხოა ბექდური გამოცემისათვის, სამაგიეროდ, არის ორ ნუსხაში. მას მიჰყვება ქართულიც.

5. "τῆς δὲναμιν ἑλεφός" 3 (PG XXX 676B. შენ. 56).

„...გულისთქუმა მისიულებიეს...“ (3, 20).

ბექდურ გამოცემაში უპირატესობა ენიჭება ფორმას δὲναμιν - ძალა, ზოგიერთ ნუსხაში კი ყოფილა ἡδονή, ანუ გულისთქმა. აქ ქართული მისდევს ნუსხებს.

6. "ἄσπερ δὲ τισιν θηράτρων τοὺς ἔμπεσόντας ἄγρεύει πάντας" 5 (PG XXX 680B. შენ. 71).

„ვითარცა სანადიროთა რაიმე გრძნობითა მათითა აღიჭურვის და გარე-
შეიცვის და შთავრდომილსა მას მოინადირებს“ (5, 7).

ბერძნულში დაბეჭდილი ტექსტი ამ წაკითხვას არ იძლევა, სამაგიეროდ ყოფი-
ლა ნუსხა, სადაც გვხვდება სიტყვა "οπλασ - იარაღი. ამ წაკითხვას უჭერს მხარს
ქართული (მდრ. აღიჭურვის).

7. "...ἡδονὰς πολυμῶρφας βλαστάει" 6 (PG XXX 681C.შენ. 81).

„მრავალსახეთა გულისთქუმათა აღმოაცენებს“ (6, 5).

πολυμῶρφας - სიტყვასიტყვით ნიშნავს „მრავალსახოვნად“, არის ზმნიზედა,
ქართულში კი თარგმნილია, როგორც ზედსართავი სახელი. ის, რომ თარგმანში
გვაქვს მრავალსახეთა, შეიძლება ეთანხმებოდეს ერთ-ერთ ბერძნულ ნუსხას,
რომელშიც არის ფორმა πολυμῶρφος, ანუ ზედსართავი სახელი.

8. "σθειαρὸν τόν" 8 (PG XXX 685B.შენ. 95) - „ჯორცთა ძალი“ (8, 8).

ერთ-ერთ კოდექსში ყოფილა "σθειαρὸν τὸ σμα"- ძლიერი სხეული, რასაც
ეთანხმება ქართული თარგმანიც.

9. "ἔσῃ γὰρ, φεσίμ" 13 (PG XXX 696A. შენ. 25) - „და იყოს მიერითგან,
მსგავსად თქუმულისა“ (13, 5).

ნაბეჭდ ტექსტშია "ἔσῃ - იყავ“, ქართულში არის ფორმა „იყოს“- εστι. ასე
ყოფილა პარიზულ გამოცემაში. მას მიჰყვება ქართული თარგმანიც.

10. "... τῆς ἀλεθῶς παρθένου" 16 (PG XXX 704 B. შენ. 55) - „ჭეშმარიტისა
ქალწულებისასა“ (16, 1).

ბეჭდურ გამოცემაში არის „..ἀλεθῶς παρθένος“, ხუთ ნუსხაში ყოფილა "τῆς
ἀλεθῶς παρθένιας“ ანუ „ჭეშმარიტი ქალწულება.“

11. "Ἦστε καὶ κατὰ φύσιν πρὸς ὅσας ἑκαίρας λαλεῖ ἡ παρθένος" 20
(PG XXX 712B. შენ. 82) - „და ეგრეთვე ჳმაცა ქალწულისაჲ კრძალულმცა არს
და პატიოსან“ (20, 13).

κατὰ φύσιν, რომელსაც მხარს უჭერს PG, დასტურდება პარიზულ გამოცემაში,
მაგრამ ერთ-ერთ კოდექსში ყოფილა იკითხვისი 'εἰ φασί, ხოლო ოთხ დანარჩენ-
სა და ვენეციურში - 'ἡ φασί. გამოცემისას უპირატესობა მიენიჭა κατὰ φύσιν
ფორმას, მაგრამ მთარგმნელს უნდა ჰქონოდა ისეთი ტექსტის პირი, რომელშიც
იკითხებოდა ფორმა 'ἡ φασί - ჳმაცა.

12. "Συνέφερε γὰρ ἕκεινα τὰ αἰσθῶν (τολμῶ ἔλπειν)..." 41 (PG XXX 752
B. შენ. 63).

„უმჯობეს იყო კაცისა მის (ვიკადრო და ვთქუა), უკუეთუმცა არა შობილ
იყო...“ (41, 8).

წაკითხვა "ἔλ μὴ ἑγγυήθῃ“ „უკუეთუმცა არა შობილ იყო...“ არის მხო-
ლოდ პარიზულ გამოცემაში. მას არც ვენეციური და არც სხვა რომელიმე ძველი
ნიგნი, ხელნაწერი და ნაბეჭდი, მხარს არ უჭერს. ქართულ თარგმანში კი სწორედ
ეს ფორმა გვხვდება.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა თითქმის ყველა ის სხვაობა,
რომლებიც ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებამ მოგვცა. სხვაობები
არცთუ ბევრია, ჩვენს გამოკვლევაში არ შესულა მხოლოდ მცირე რაოდენობა მს-

გავსი მაგალითებისა. სავარაუდოდ, ჩვენი მთარგმნელის ხელში უნდა ყოფილიყო საკმაოდ კარგად გამართული ბერძნული პირი.

ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად რა ტექსტს იყენებდა სათარგმნად გიორგი მთანმიდელი, მაგრამ ნათელია, რომ მის ხელთ არსებული პირი უნდა ყოფილიყო ბერძნული A T 28 ჯგუფის რომელიმე ნუსხა.

IV ტაპი

ბასილი ანკვრიელის თხზულების ქართული თარგმანი

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ბასილი ანკვრიელის თხზულება „ქალწულებას შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ გიორგი მთანმიდელისეული თარგმანითა ჩვენამდე მოღწეული. ამას ადასტურებს ისიც, რომ თხზულების ნუსხა დაცული გიორგის ავტოგრაფად მიჩნეულ კრებულ Ath-49-ში. ის დღესაც ათონზე ინახება ამდენად, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მთარგმნელს ათონზე მოღვაწეობის უამ უნდა შეესრულებინა ტრაქტატის თარგმანი.

გიორგი მთანმიდელი, როგორც ჩანს, დიდ ინტერესს იჩენდა ქალწულების უან რის ასკეტიკური თხზულებებისადმი. მას მოუხდენია გრიგოლ ნოსელის თხზულებას „ქალწულებისათჳს და საღმრთოესა მოქალაქობისა“ ეფთვიმე მთანმიდელისეული თარგმანის რედაქტირება, შეუტანია შესწორებები, ჩამატებები ეფთვიმესეულ თარგმანში ბერძნულ ორიგინალთან შედარების საფუძველზე (ზვიადაძე 2004: 5-6).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ათონის სალიტერატურო სკოლა X-XI სს ში ინტენსიურ მნივნივრულ საქმიანობას ეწეოდა. ამ მთარგმნელობითი სკოლის უმთავრესი მიზანი იყო ბერძნული ტექსტის ზედმიწევნით გადმოტანა და ძველ თარგმანების შესწორება ბერძნულის მიხედვით. მაგრამ ამ მთარგმნელობით სკოლამ მთლიანად ვერ განწყვიტა კავშირი ძველ ტრადიციასთან, რომელიც უპირატესობას აძლევდა თავისუფალ თარგმანს (კეკელიძე 1980: 61-62, 252; ეტიუდებ 1956: 185-186).

ჩვენს ხელთ არსებული ქართული თარგმანიც რამდენადმე ამჟღავნებს ათავისებურებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი თხზულების მთარგმნელმ შესანიშნავად იცის ბერძნული ენა, ანუ ის ენა, საიდანაც თარგმნის და ასევე ჩინებულად ფლობს ქართულ ენას. მთარგმნელი ყველგან ახერხებს ქართული ენის ბუნების დაცვას, ამჟღავნებს ორიგინალის უზადო ცოდნას და მას უხამებს ქართულ ენობრივ რესურსებს, რაც სძენს თარგმანს შინაარსობრივსა თუ მხატვრულ ღირსებას. მისი მთარგმნელობითი მეთოდის გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ მთარგმნელი ისე მოჰქცევია ქართულ ტექსტს, როგორც „ჩუშნსა ენასა მოვიდოდ და წესი საქმესა ეძიებდა“ (აღწერილობა A 1985: 68-69).

გიორგი მთანმიდელი ბრმად არ ემონება დედნის ყველა ელემენტს. მაშეუძლია გაავრცოს, დააზუსტოს ან შეცვალოს დედნის მონაცემი. ეს კი იმისთვის სჭირდება, რომ გასაგებად მიიტანოს მკითხველამდე ტექსტის შინაარსი და ამავე დროს დაიცვას ქართული ენის ბუნება.

საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ თარგმანის ორ სახეობას დედანთან ადეკვატურობის გათვალისწინებით. ამის მიხედვით, თარგმანი შეიძლება იყოს თავისუფალი, ანუ დინამიკურ-ეკვივალენტური და ზუსტი, სიტყვასიტყვითი, ანუ ფორმალურ-ეკვივალენტური.

თარგმანის ტიპებად დასაყოფად უნდა გათვალისწინებულ იქნეს მთარგმნელის მიზანი და მისი მთარგმნელობითი ოსტატობა, თარგმანის შესრულების დრო და მთარგმნელის დამოკიდებულება სათარგმნი ტექსტისადმი – რამდენად არის ის მოკრძალებული ორიგინალისადმი, თუ ცდილობს თავისი მოსაზრებებიც ჩაურთოს ტექსტში (Barr 1979: 279-323; Brok 1979: 1; 1992: 1-13).

თუ მთარგმნელი ორიენტირებულია მკითხველზე და ცდილობს, ორიგინალში გადმოცემული აზრები მას მიანოდოს მაქსიმალურად გასაგები ფორმით, შესთავაზოს თარგმანის ენისათვის დამახასიათებელი კულტურული ეკვივალენტი (იდიომატური გამოთქმები და სხვ. შდრ. გიორგი მთანმიდელის ანდერძი: „ჩუწნ რომელი ჯერ-იყო, ჩაგვრთავს და რომელი ჯერ-იყო, დაგვკლია, ვითა ჩუწნსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმესა ეძიებდა“), ამით შეძლებს მკითხველში აღძრას ისეთი ემოცია, როგორც შეიძლებოდა მას ჰქონოდა თხზულების ორიგინალის კითხვისას, ასეთი თარგმანი არის დინამიკურ-ეკვივალენტური (Brok 1992: 4-5).

ზუსტი, ანუ ფორმალურ-ეკვივალენტური თარგმანის შემთხვევაში, როცა მთარგმნელს მკითხველი მიჰყავს ორიგინალთან, ის ცდილობს, ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსიცა და ფორმაც, მისი ყურადღება განსაკუთრებითაა მიქცეული ორიგინალისადმი და უკვე შემდგომ ტექსტის სემანტიკური ადეკვატურობისადმი. სიტყვასიტყვითი თარგმანის მიმდევარისათვის უმთავრესია იმდენად ახლოს იყოს ორიგინალის ფორმასთან, რომ მკითხველი თარგმანს გაეცნოს ორიგინალის პოზიციიდან (Barr 1979: 80; Brok 1992: 4-5).

რა თქმა უნდა, ასეთი კლასიფიკაცია მაინც არ არის ზუსტი, სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღინიშნება, რომ, როგორც წესი, ასეთი არც ერთი თარგმანი არ არის ბოლომდე თანმიმდევრული (Brok 1992: 5-6; Barr 1979: 294). იმის გასარკვევად, თუ რა ხარისხით არის თარგმანი თავისუფალი ან ზუსტი, საჭიროა, თარგმანის შედარება ორიგინალთან, მისი შესწავლა (Brok 1992: 5; Barr 1979: 280). ამგვარი მიდგომა იძლევა საშუალებას, განისაზღვროს, თუ რამდენად შეძლო მთარგმნელმა თავისი ნამუშევრით მიზნის მიღწევა.

გიორგი მთანმიდელის მიერ თარგმნილი ბასილი ანკვრიელის ტრაქტატის შედარებამ ბერძნულ ტექსტთან გვიჩვენა, რომ იგი ბერძნულ ორიგინალს საკმაოდ თავისუფლად ეკიდება, ქართულ ტექსტში უხვადაა ჩანართი სიტყვები, ფრაზები, რომლებიც ანალოგს ვერ პოულობენ ბერძნულ დედანთან, ორი ან მეტი შესატყვისით გადმოტანილი ცალკეული სიტყვა და სხვ. თარგმანში ასევე გვხვდება გადასხვაფერებელი ადგილები, გვაქვს კლების შემთხვევებიც, ქართულად გადმოტანილი არ არის სიტყვები ან ფრაზები.

ამ ზოგადი სურათის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „ქალწულებისათვის“ ქართული თარგმანი არის თავისუფალი, ანუ მთარგმნელი გვთავაზობს ორიგინალის დინამიკურ-ეკვივალენტს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელსაც მთარგმნელი მიმართავს თხზულებაში, არის ჩართვა, ანუ მ ა ტ ე ბ ა, რაც სხვადასხვა შემთხვევაში ვლინდება:

A. გიორგი მთანმიდელი თხზულებას თარგმნის ქართული გრამატიკული ნორმების მიხედვით, ბერძნულისათვის დამახასიათებელი ჰასიურის და მიმღებური კონსტრუქციები ზმნის პირიანი აქტიური ფორმებით გადმოაქვს, მაგალითად:

"Τοῦ γὰρ ὄντως καλοῦ ἡ ψυχὴ φαντασίαν λαβῶνσα, καθάπερ τινὶ πτεροῦ πρὸς αὐτὸ τῆ ἄφθαρσίᾳ πτερωθεῖσα, καὶ τῷ ὁμοίῳ τὸ ὁμοιον, τῆ ἔν ἑαυτῷ ἄφθαρσίᾳ φεμί, τὸν ἄφθαρτον θεὸν θεραπεύεσθαι μόνως πρὸς ἄξιαν ἄθροῦσα τὴν τοῦ σώματος παρθευιάν, θεράπαιναν εἰς τὴν τοῦ καθ' ἑαυτῆς κάλλους θεραπεύειαν ἐπάγεται, καὶ παρέδρον ἁοχλήτως προς τὴν τοῦ θεοῦ θεωρίαν τάυτη ἔχειν ἂεὶ βουλομένη, τὰς ἑνοχλόστας αὐτῆ τοῦ σώματος ἡδονὰς ἄπορρωτάτω ἑλαύνει" 2 (PG. XXX, 672. B-C).

„რამეთუ რაჟამს ჭემპარიტისა მის სიკეთისა შუენიერება განიცადოსულმან, ვითარცა ფრთითა რაჟთმე, უხრწნელებითა ფრთოვან-იქმნები მისსა მიმართ და მსგავსითა მსგავსსა, რომელ არს უხრწნელება, მსახურებას ხოლო უხრწნელისა ღმრთისასა განიცდის ღირსად და ჯორცთა ქალწულებას კეთილისა მის მსახურებისა მვევლად იწმარებს და სამარადისოდ ღმრთისა მიმარცხედვისა და წინაშე მდგომელად უშფოთველად ამისი ქონება განიზრახის და შემაშფოთებელთა მათ მისთა ჯორციელთა გულისთქუმათა შორად წარიოტებს“. (2,3).

გიორგი მთანმიდელს თარგმანში ბერძნული მასდარული კონსტრუქციები პირიანი ფორმებით აქვს გადმოცემული: λαβῶνσα-განიცადოსულმან; πτερωθεῖσα-ფრთოვან-იქმნების; ἄθροῦσα-განიცდის; βουλομένη-განიზრახის.

B. მთარგმნელი აღადგენს წინადადების ნაკლებ ნევრებს. მაგ., ქართულ თარგმანში არს ჩართულია მთარგმნელის მიერ, რადგან ეს აუცილებელი ქართული ენის გრამატიკული ნორმების დასაცავად.

"...ἀλλὰ τὶ τοῦτων ἑκαστον " 1(PG XXX, 672 A)

„...თუ რაჟ არს თითოეული ამათი“... (1, 2).

"...ὡςχὶ τῆ κατασκευῆ καὶ τῆ φύσει παχεῖα"...10 (PG XXX, 689A).

„...ზრქელი მუცელი არათუ აგებულებისაგან არს ზრქელ და ბუნებით“ (10, 4)

C. მთელი თარგმანში უხვადაა ოსტატურად გაქართულებული წინადადებები მატების ხარჯზე. მთარგმნელს მიმღებური კონსტრუქციები უმრავლეს შემთხვევაში რთული ქვენყობილი წინადადებებით გადმოაქვს.

1. "ὡς ἂν τὸ ἄχημα τῶν κατὰ τὰ ἄλλα ἄισθῆσεις ἄφῶν ἂν ἐλῶσα"...6 (PG, XXX, 681 B).

„[თანა-აც ქალწულსა] ...სრულიად მოიძულოს, რომელი იგი სხუათა მათ საცნობელთა ეტლ-ექმნების, რომელი-იგი უკუეთუ მოიკლას, მის თანა მოიკლვიან ყოველთავე მათ საცნობელთა ბოროტნი იგი ნივთნი და სახენი“ (6, 3-4.)

ავტორი ამ მოხაკვეთში საუბრობს ქალხულების გვირგვინზე, ხოლო ძთარე მნელმა ამ მნიშვნელოვან ფაქტზე ყურადღების გასამახვილებლად ეპითეტად ადურთო სიტყვა „ჭეშმარიტი“.

2. "ἡπατόσῃσαι τὰ ἔσονται σπυδάσ... " 2 (PG XXX, 673 A)

„მოსწრაფე ვიქმენ სწავლად ჭეშმარიტებისა და განზრახვად მათ თვის უმჯობესისა.“ (2, 9).

ავტორი ამბობს, რომ ისწრაფებს უპასუხოს დანარჩენებს, რომ უმეცრები გამო კეთილს არ განუდგენ, ხოლო მთარგმნელმა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ აღენიშნა ქალხულების ღირსება, ღვთისადმი თავდადების უპირატესობა მიწიე ცხოვრებასთან შედარებით და მრჩეველად მოვლენოდა მსმენელსა თუ მკითხველს ზემოთ ხაზგასმული სიტყვები ჩაუმატა.

3. "Ὁσ μίαν οὖν τὴν κατὰ τὴν μίξιν ἄφῃς μόνισι, ἄλλ ὀλοισ τὸ γένε τῆς πολυμόρφου ἄφῆς, ἔξ ἦς τὸ πᾶν εἶδος διὰ τῶν ἁισθησῶν φέεται, τ παρθένα ἐπιμείλῳ ἀφθορον φυλακτέον." 15 (PG XXX, 704 A)

„ვინაცა არაერთისა ხოლო განმხრწნელთა შეხებათაგანისაგან თანა-აც კრ ძალვია ქალწულსა და განუხრწნელად დაცვია, არამედ ყოველთავე მრავალფერ თა მათ ტომთა შეხებისათა, რომელნი-იგი აღმოაცენებენ საცნობელთა მიერ პირად-პირადთა მათ შეგინებათა. ყოვლითაგანვე ჯერ-არს ყოვლითა მოლუანებით განკრძალვია და განუხრწნელად დაცვია სულისა“ (15, 12).

დამოდვრის, დიდაქტიკური ინტონაცია დაჰყვება ბერძნულ ტექსტსაც, მაგრამ მოკლე ფრაზებისაგან შედგენილი ბერძნული წინადადება ქართულად დამშვენებულია გავრცობილი შედარებებით, ერთი სიტყვა გადმოტანილია დამოკიდებულ წინადადებით. სიტყვასიტყვით ბერძნული ტექსტი ასე უღერს: „ამგვარად არა მხოლოდ შეერთების შეხებისაგან, არამედ მრავალნაირ (მრავალფეროვან) შეხებათ მთელი გვარისაგან, რომლისაგან წარმოიშობა ყველა სახეობა საცნობელთა მიერ თანა-აც ყურადღებით კრძალვია ქალწულს.“

J. მთარგმნელი თავის შესრულებულ თარგმანს კიდევ უფრო მეტად რომ შესძინოს შემეცნებითი ღირებულება, რომ დატოვოს წარუშლელი შთაბეჭდილები მკითხველზე, გააძლიეროს ექსპრესია, ამატებს ცალკეულ სიტყვებსა და შესიტყვებებს. ამასთან ეს ჩართვა-შემატება ემსახურება აზრის ნათლად გადმოცემას და სათქმელის მხატვრულ დახვეწას. მაგალითად:

1. "ἡσ ἄν μῆτε διὰ φασῆς ταύτης λόγος ῥυείς, προς ἡδονῆν τὸν ἄκουστί τοῖς λόγους φαρμάξειε, μῆτ ἔξῃσιν αὐτῆς διὰ τῆς ἄκοῆς λόγος παρὰ τισ ἔμπεσας, τῆν καρδίαν ἄσῆς προς ἔπιθυμίαν κυμῆσῃ" 13 (PG XXX, 696A).

„რათა არცა სიტყუა შევიდეს სმენილი ჳმისა მიერ და მონყლას გონებ. იგი მსმენელისა მის, ვითარცა ისარმან წამლენამან, და არცა უჯეროა რამე გვრიობა შეუჭდეს მას შინა და აღძრას გული მისი გულისთქუმითა მსგავსად ღელვათა“ (13, 4).

φαρμάξειε უფრო მონამლვია, ვიდრე მონყლვა, მაგრამ მთარგმნელი უმატებ შედარებას „ვითარცა ისარმან წამლენამან“ და ამით დაბეჯითებით მიუთითებ რომ სასმენელთა მეშვეობით გონებაში მოხვედრილი ურიგო სიტყვა და აზრ

უცილობლად სულის დამლუპველია. შემდეგ აზრი გრძელდება „μητ' ἔξασθεν αἰσθῆς δὲ τῆς ἀκοῆς λόγος παρὰ τινος ἔμπεσας“, რაც ნიშნავს: „კვლავ არცა რაიმე სიტყვა შთავარდეს სასმენელსა“ ქართულად ეს უფრო მკვეთრია: „არცა უჯეროა რაიმე გურიობა შეუჭდეს მას შინა“.

2. „...κατὰ δὶανοίαιαν τὸν ἑράμεινον ἔντετυπαμένον ἄσπῆ, μεθ' ἑαυτῆς ἄει περιφέρει“... 13 (PGXXX 697 A).

„და იგი ბოროტნი სახენი, მის შორის გამოსახულნი, მიმოაქუნდენ მარადის“ (13, 13).

„სახენი, მის შორის გამოსახულნი“, რომ არიან ბოროტნი, ეს მთარგმნელის დამატებაა. აქაც ნეიტრალურ ტექსტს გიორგი მთანმიდელი ურთავს თავის დამოკიდებულებას.

მ ო კ ლ ე ბ ა :

A. მთარგმნელი ზოგჯერ ამოკლებს დედანს. შემოკლებას იყენებს ზოგიერთი დეტალის მიმართ, არ თარგმნის სიტყვებსა და შესიტყვებებს, ამოკლებს ფრაზებს, რომ ლაკონური და ადვილად გასაგები გახადოს აზრი.

1. "Ἐπειδὴ οὐκ παρθενία μὲν, τὴν ὄντως φημί, ἄσ' ἠδὴ γε ἔν ὀλιγῶ φθᾶσας ὁ λόγος ὑπέδειξε, καὶ προῖᾶν ἔτι σαφέστερον δείξει, τοῦ κατὰ ψυχῆν ἀφθόρου κάλλους (δὲ ὁ καὶ τὰ σώματος ἔκπινεῖται καλὰ) ἔστιν ἑξαίρετος" ... 2 (PG XXX 672 D- 673 A)

„და ვინაფგან, ვითარცა ვთქუთ, და ჭეშმარიტი ქალწულება უხრწნელისა მისთვის სულისა სიკეთისასა იქნებისა (რომლისთვის ჯორცთაცა იგი კეთილნი მოლუანებანი სრულ-იქმნებიან)“ (2, 7).

ქართულ ტექსტში არ არის ბერძნულის: "ἄσ' ἠδὴ γε ἔν ὀλιγῶ φθᾶσας ὁ λόγος ὑπέδειξε, καὶ προῖᾶν ἔτι σαφέστερον δείξει".- „რაც უკვე მოკლედ თქმულმა სიტყვამ გამოაჩინა და შემდგომ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება“.

2) "ἀπάντων δὲ τὸ καθ' ἑκαστον τῶν γραφέντων κάλλος τε καὶ τοὺς τύπους, ἀλλὰ καὶ τὴν θεοειδῆ τῶν ἑγγραφέντων μορφῆν θαυμαζόντων, καὶ μακαριζόντων, τὸν θεῖον ζωγράφου ἑκείνου, ὅτι καλῶς τῷ ἔν σαρκὶ βίῳ ἔχρησατο, ὑπὸ τούτῳ τῷ τοῦ σώματος περιβολαίῳ συκτος καὶ ἡμέρας τοιαύτας γραφὰς παρὰ πᾶσαν τῶν θεατῶν ἑλπίδα φιλοκάτω χεῖρι τῷ τῆ' ψυχῆς πίνακι εἰχαραξας" 30 (PG XXX 732 A).

„არამედ უკრდეს მათ ღმრთივბრწყინვალეობა აღწერილთა მათ და შუენიერება და შეასხმიდენ სანატრელსა მას მხატვარსა, რამეთუ კეთილად იჭუშია ჯორცთა ესე ცხორება და კეთილისმოყუარითა ჯელითა ღამე და დღე ესევითარნი ესე შუენიერებანი აღწერნა“ (30, 5-6).

ამ ნაწყვეტის პირველი ბერძნული წინადადებიდან თარგმნილია მხოლოდ სიტყვა „შუენიერება“ და მას ქართულ ტექსტში სხვა ადგილი აქვს მიჩენილი. უნდა იყოს: „...და ყველა დახატულიდან თითოეულის მშვენიერება და სახე...“ არაა თარგმნილი „μορφῆ“, ანუ „გამოსახულება“.

მთარგმნელს არ გადმოაქვს ქართულად ფრაზები:

ა. οπισ τῶν τῶν τῶν σαμαίσι περιρῶσιν - ან კოლოციით დაფარული

ბ. παρὰ πᾶσαν τῶν θεατῶν ἑλπίδα - მხილველთა იმედის სანინაალმდეგო

გ. τῶ τῆς ψυχῆς πίνακι - სულის დაფაზე

ასე რომ, ზემოთ მოტანილი ბერძნული მონაკვეთის შემოკლებული თარგმან ქართული.

ბ. მთარგმნელი გაურბის მრავალსიტყვაობას, აზრი გადმოაქვს მოკლედ, რას მსუბუქად ააგოს ფრაზა და ადვილად გასაგები გახადოს სათქმელი.

1. "τῶ δὲ μὴ ἔχειν σθεναρὸν τὸν πρὸς τὴν γυμνασίαν τῶν ἑπιβαλλόντων τῶ δρόμῳ ὑπερετούμενον" ... 8(PG XXX 685 B)

„არა აქუნდეს ჯორცთა ძალი თვსთა მსახურებათა სრულყოფად“... (8, 8) თარგმანი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: „რათა სრულ-ყოს ვარჯიშით მსახრის მსახურებათათვის სრბოლა“...

2. "διὰ τοῦτο προσήκει καὶ τὴν κατάστασιν, ἄς ἔχει, τοῦ σώματος, καὶ τῆς ποιότητος τῶν τροφῶν θεωρεῖν" ... 8 (PG XXX 685 B)

„ვინაეცა თანა-გუაც ძალისაცა განცდად ჯორცთასა და სიძობესა ჭამადთა“ (8, 10). მისი თანამედროვე თარგმანი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: „ამ გამო საჭიროა განხილვა როგორც სხეულის მდგომარეობისა, ისე საკვების ტრისხისა“.

3. ..."καὶ διὰ τῶν τροφῶν ἐξῆσθαι τὸ θερμὸν, ἵνα μὴ ἡ πολυχύμοις τῆς φαίς τὴν οὐσαν ἐκ φύσεως, πιμέλην ἐκ προσθήκης ἰσχυροῦσιν, ἡ τῆς τῶν οἴνου ἔγχυσει ζέουσαν τοῦ σώματος τὴν ἀκμὴν ἐτι μᾶλλον ἐξάψαντες, κατὸν τῶν Ἑλλήνων σοφῶν, πῦρ ὄντως ἐπὶ πῦρ ὀχετεύαμεν" 8(PG XXX 685 B-D)

„...და ჭაბუკ რაე ვიყვნეთ და ბუნებითი მჭურვალეზა გუმძლავრობდეს, არც რა შევსძინებდეთ საზრდელთა მიერსა მჭურვალეზასა გარეთ, რაეთა არა აღვარო ძინოთ მდულარეზა იგი სიჭაბუკისაე შთასხმითა ღვინისაეთა და ცეცხლი ცეცხლზედა დაურთოთ და საჭუმილი ვნებათაე აღვტეხოთ“ (8, 10).

ბერძნული ტექსტის ზოგიერთი ადგილი ქართულად არაა თარგმნილი. ნაშთი მოვადგენთ თარგმანს რიგის მიხედვით:

ა. καὶ διὰ τῶν τροφῶν ἐξῆσθαι τὸ θερμὸν - და ჭამადის მიერ დამატებული მხურვალეზა

ბ. πιμέλην ἐκ προσθήκης - დამატებულს ცხიმოვანი (ქონიანი) საზრდოთი

გ. κατὰ τὸν τῶν Ἑλλήνων σοφῶν - როგორც ბრძენი ბერძენთაგანი იტყობს მთარგმნელი უთარგმნელად ტოვებს ავტორის სუბიექტურ ჩანართებს. ასეთ შემთხვევები თარგმანში მრავლადაა.

4. "Προγαγὸς γὰρ, ἄς ἂν εἴποι τις, καὶ προμηθεῖρι ἡ μὲν διὰ τῆς ὀμοματος ἀφῆ, τῆς διὰ χειρῶν προλαβάνουσα πόροθεν γίνεται. Ἀυτὴ δὲ ἂν ἡ διὰ χειρῶν φημι, τῆς κατὰ τὴν συμπλοκὴν θερμότερα θεράπαινα" ... 14 (PG XXX 697 C-D)

„რამეთუ, ვითარცა წინამორბედი და წინადამწინდებელი, იქმნების თუალი მიერი შეხება ველთა შეხებისა შორითგან მომხდელ და მერმე უგლიმი იგი მკვალვი ველით შეხებისა და მოხუევისაე“ (14, 4).

‘ω’ ‘αυ’ ‘ἔιποι τι, φημι – რომლებიც არის ბერძნულში, ქართულ ტექსტში არ არის გადმოტანილი.

C. მთარგმნელი ლაკონურად თარგმნის ფრაზებს ტექსტიდან ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად. დედანში გამოთქმული აზრი არ იცვლება, თარგმანი კი ამითი მეტ ღირსებას იძენს და ქართული ენის შესაძლებლობები კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოჩნდება, მაგალითად:

“Ὅστω δὲ τὸν κόσμον, φεμί, ‘αφ’ ‘εἶδος τοῦ Ἀδὰμ ἀνθρώπων γένους, καθ’ ἅπασαν γῆν, κυρίας ἑμισῶν διαφοραῖς πεπληρωμένον ἀποδείσαι προθέμενος· ‘αφ’ ἑἶδος δὲ ἑκάστου τῶν ἀλόγων ἔιδους, κατὰ τὸν ὁμοίον τρόπον τετραπόδων τε καὶ ἑρπετῶν” 3 (PG XXX 673 C)

„და ეგრეთვე ერთისა ადამის მიერ მეუღლითურთ ბევრელთა ტომთა მიერ ყოველი სოფელი განავსო, ვითარცა ინება. და ყოველთა პირუტყუთა და ოთხფერჯთა და ქუენარმავალთა და მფრინველთა და თევზთა და ყოველთა მცურვალთა მიერ ზღუანი და ჯმელნი განაშუენნა“ (3, 9-10).

მთარგმნელმა II წინადადებაში ქართულად აღარ გადმოიტანა *αφ εἶδος*, რადგან იგი წინა წინადადებაში იყო და აღარ გადატვირთა ფრაზა.

დედნის მონაცემის ცვლილება

A. მთარგმნელი „ჩამატება-დაკლებასთან“ ერთად ცვლის კიდევ ტექსტის მონაცემებს. ეს კი ძირითადად სტილისტურ-მხატვრული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული.

1. “Ἀναθεὺν δέ. ‘ως ἔχει φασεωσ τὸ θῆλυ πρὸς τὸ ἀρρηγ. ‘εἰ βούλει, ἔπισκεψάμεθα, ἵνα καὶ τὸν τῆς παρθενίας σκοπὸν ἔσκρυσῶς κατίδωμεν” 3 (PG XXX 673 B)

„და უკუეთუ გნებავს პირველითგან, გამოვიძიოთ, თუ ვითარ არს ბუნება *მამაკაცისაჲ და დედაკაცისაჲ*, რაეთა ქალწულებისაცა *ქებაჲ* განჭუმარიტებულად ვიხილოთ“...(3, 4)

ქართულად წყობა შეცვლილია “*τι θηλυ ...προς το αρρηγ*” „მამაკაცისაჲ... დედაკაცისაჲ“. ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებში გვხვდება ეს გამოთქმა სწორედ ამ წყობით, ჯერ მოიხსენიება მამა, შემდეგ კი – დედა. მაგ., გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვამცნობს, რომ გრიგოლი იყო შვილი „წარჩინებულთა მამა-დედათაჲ“ (ქართული პროზა 1981: 216). მთარგმნელი, როგორც ჩანს, ითვალისწინებს ქართულ ენაში არსებულ ნორმას და უცვლის ადგილს სიტყვებს. 2.

2. ბერძნულიდან ქართულად “*ο σκοπος*” მთარგმნელს უთარგმნია, როგორც „ქებაჲ“, ბერძნულად კი ის ნიშნავს „მიზანს“. “*εσκρυσωσ*” სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს „სათანადოდ“, მთარგმნელთან კი – „განჭუმარიტებულად“, რაც მისი ოსტატობის მაჩვენებელია.

3. ...“*τὸ δὲ ἄρρεν ποθεῖν τὸ ἀπ’ αὐτοῦ ληφθῆν*”...3 (PG XXX 676 A)

„და ეგრეთვე მამაკაცისა სურვილი თვისისა მის ასოსაჲ *შეახო ძლიერად*“... (3, 13). „*შეახო ძლიერად*“ მთარგმნელს ეკუთვნის. მან ერთი ინფინიტივისაგან “*πιθεῖν*” შექმნა შემასმენელიცა და ვითარების გარემოებაც „*შეახო ძლიერად*“.

მთარგმნელი თავისუფლად ეპყრობა სათარგმნ ტექსტს.

1. "Ὡς γὰρ τὸ ἀνετον κατὰ πάντων ἁπλως ἔδεσμάτων ἁφιέναι τῆς γεῦσι δὲ τὰ προειρημένα ἄς ἄλθως χαλεπόν. "οὐτα το" ἀποκλείσαι ταύτην εἰς τῆ ἔξ ἄσθενείας τοῦ σώματος ἀχρεσίαν παντάπασιν ἄλογώτατον. Ἄι ακοότητε γὰρ οὐτως ἄς ἔφη τις τῶν σοφῶν, καὶ κατὰ τοῦτο ἰσότητε" 8 (PG XX] 684 C- 685A)

„რამეთუ ჭეშმარიტად, ვითარცა ყოველთა ჭამადთა მიმართ უაღვროდ მი შუებაჲ გემოისხილვისაჲ ბოროტ არს ზემოთქმულთა მათთვის მიზეზთა, ეგრე თვე საჭმრისაგან ჳორცთაჲსა ჯეროვნისა, რომელი-იგი უძლურებისათვ ბუნებისა თანა-აც, განყენებაჲ და უჭმარ-ქმნა ჳორცთაჲ, სრულიად პირუტყყუე ბაჲ არს, რამეთუ ჭეშმარიტი ნარმატებაჲ, სიტყვისაებრ ბრძნისა ვისმე, ორთავ ამათ კერძოთა სწორებასა შინა გამოჩნდების“ (8, 2-3).

ზუსტი თარგმანი ასეთია: რადგან უაღვიროდ მიშვება ყოველთა ჭამადთ მიმართ გემოისხილვისა, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ჭეშმარიტად ბო როტებაჲ, ხოლო მისგან (ჭამადისაგან) თავის არიდება სხეულის დასუსტების უზმარ-ქმნამდე სრულიად პირუტყყული არის, როგორც თქვა ვინმე ბრძენმა, უკი დურესობანი ჭეშმარიტად თანაბარნი არიან.

"ἀνετον" – თავშეუკავებლად, მთარგმნელს გადმოაქვს „უაღვროდ“; წინადადე ბის II ნაწილში „თანა-აც“ მთარგმნელის დაკონკრეტებაჲ, ამ შინაარსის ზმნა ბერძ ნულში არ არის; „საჭმრისაგან ჳორცთაჲსა ჯეროვნისა“ და „ბუნებისა მთარგმნელის ჩამატებულია, "ἡ ἀχρητίας" - „უსარგებლობა“ თარგმანში გადმო დის, როგორც „უჭმარ-ქმნა“; „ἄς ἔφη τις τῶν σοφῶν“- როგორც იტყვის ბრძენ ვინმე, მთარგმნელს გადმოაქვს: „სიტყვისაებრ ბრძნისა ვისმე“; სიტყვა „ნარმატებაჲ“ ბერძნულში ანალოგი არ ექებება.

2. "Ὁς γὰρ χῆραν ἄσθη ἔξει προοισθησάση προς ἡδονῆς τὸ προσωπίο τοῦ γάμου ἰσὲς σοφισασθαι ἰσόμετι γάμου τὸν ζῶντα ἔαυτης ἄνδρα μ ἄπολευσμένη δυσήσεται, θητὸν ἔκεινον ἐπὶ μοιχικῆ πρᾶξει μετὰ τοσαύτας τα παρ' αὐτοῦ τιμὰς ἄσεβας προτιμήσασα"... 40 (PG XXX 749 B-C)

„რამეთუ ესევეითარსა მას არა აქუს ადგილი შებრკოლებისაჲ გემოთ მიმართ და გულისთქუმათა ქორწინებისათა. და ვინაჲთგან არა გან თავისუფლებულ არს ცხოველისა მისგან სიძისა, თვისისა მოპოვნეებული იგ და უჯეროჲ სახელი ქორწინებისაჲ არა შეიხოს ყოვლადვე, ვითარც მძორი საძაგელი არცა ემსგავსოს ცოფსა მას და განდგომილს ქალწულსა, რომელმან-იგი შემდგომად ესოდენტა მათ საღმრთოთა პატივთ: მრუშებაჲ შეიყუარა და უფროჲს სინმიდისა არანმიდებასა პატივ-სცა“ (40, 5).

ბერძნულში ἔξει „ექნება“ მომავალ დროშია, ქართულად - ანმყოში „აქუს“ ბერძნულში უნდა იყოს: „προοισθησάση προς ἡδονῆς“ – შებრკოლებული გუ ლისთქუმათა მიმართ (ანუ ნაბორძიკებული, დაგორებული გულითქმისაკენ მთარგმნელი კი ორიგინალის მიმღობას, რომელიც ქალწულს ეხება, შებრკოლ ბულის ადგილას იგებს. ეს ნაწილი წინადადებისა ასე უნდა ითარგმნებოდეს „რამეთუ არ ექნება ადგილად მას, ნაბორძიკებულს სიამოვნებისაკენ (გულისთ

მისაკენ)". ქორწინების სახე, *παισιον*, ანუ „წილაბი“, „სახე“ საერთოდ არ არის თარგმნილი, ხოლო *ἡδονη* გადმოდის ორი სიტყვით: „გემოთა და გულისთქუ-მათა“. წინადადების II ნაწილი ძალიან გავრცობილი და მხატვრული პასაჟით არის გადმოცემული. სიტყვასიტყვით ასე უღერს: „და არც ქორწინების სახელით მოტყუება შეეძლება მას, თავისი ცოცხალი ქმრისაგან არგანთავისუფლებულს, უჯეროდ ამჯობინა რა მის, ანუ ღმრთის ესოდენ, პატივთ მოკვდავ (აღამიანური) სიძვათა საქმეებისათვის“. ბერძნულ ორიგინალში არაა „ქორწინების“ შესატყვისის სახელის ეპითეტი „უჯეროდ“, ხოლო მისი შესატყვისის *ἀσέβας* ეკუთვნის ქალწულს, რომელმაც უჯეროდ ამჯობინა „*ἀσέβας* *πρωιμυσασα*“. მთარგმნელის ჩამატებულია „მძორი საძაგელი“ და „უმსგავსო ცოფი“. „სალმრონი“ ორიგინალში არ არის, ესეც მთარგმნელის დამატებაა. იგი აკონკრეტებს, რადგან დედანში მხოლოდ „მის პატივთა“ შესახებ არის საუბარი. ასე რომ, საკმაოდ მშრალი ბერძნული ტექსტი შინაარსი შეეხება იმას, რომ „წაბორძიკებული ქალწული მარად ცოცხალ ქმარს ამჯობინებს სიძვის (მრუშების) გამო და უღირსად განაგდება მის ღვთაებრივ პატივთ“) ქართველი მთარგმნელის მიერ გავრცობილი ექსპრესიული ინტონაციით არის შეცვლილი. ხაზგასმული ადგილები ქართულში ეკუთვნის მხოლოდ მთარგმნელს, ბერძნულში მათ ანალოგი არ ეძებნებათ.

მთარგმნელი დიდი ხელოვნებით ართმევს თავს საქმეს. მისი თარგმანი მაღალმხატვრულობის სამაგალითო ნიმუშია. მას არასდროს ავიწყდება იმ ენის ბუნება, რომელზეც გადმოაქვს ტექსტი. იგი ყოველთვის უძებნის საჭირო მნიშვნელობას სათარგმნ ლექსიკურ ერთეულს, რაც მთარგმნელის ქართული ენის უზადო ცოდნაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. *ἔνεκα τοῦ πληροφίησαι τὸν ἑρᾶμενον διὰ τοῦ ὑπακοῦσαι αὐτοῦ τοῖς τῶν ἔντολῶν ἐπιτάγμασι, καταφρονεῖν ὀφείλει*" 25 (PG XXX B-C) ბერძნულის მიხედვით ნიშნავს: „გულსავსე-ყოს მისი მცნებების ბრძანებათა დამორჩილებით“, მთარგმნელს კი ოსტატურად შეურჩევია: „რათა ტრფიალი იგი თვისი გულსავსე ყოს და ერჩდეს მცნებასა ბრძანებათა მისთასა“ (25, 9).

2. *καὶ τίς, καὶ πᾶς, καὶ ποτε ταύτην λαλεῖν πρόπον ὀρθῆταις* 20 (PG XXX 712 A). ორიგინალშია: „ვის, როდის და როგორ მიუგოს“, ქართულში კი გადმოდის: „ჟამი, ალაგი და წესი“... (20, 9)

3. *ὑπὸ γήρας παρθένων ...πισῶν*" 13 (PG XXX 687 B) სიტყვასიტყვით ნიშნავს „სიბერისაგან მოწეული სწეულებანი“, მთარგმნელს გადმოაქვს: „სიბერისაგან მოუძღურებულნი“ (13, 16).

ბასილი ანკვირელის ტრაქტატის ქართული თარგმანი არის შესრულებული ქართული და ბერძნული ენების მცოდნის მიერ, რომელსაც ქართული ენის ბუნება ზედმიწევნით დაუტავს, ისე გადმოუტანია ბერძნული ტექსტი, როგორც ამას მოითხოვდა ქართული ენა.

V ტაპი

ბიბლიური ციტაცია ბასილი ანკვრიელის თხზულებასა და მის ქართულ თარგმანში

ბასილი ანკვრიელის მიზანია, დამოძღვროს უბინოების დაცვის ყველა მსურელი. ამ მიზნისათვის იგი ბიბლიურ ციტატებსაც უხვად იყენებს თავის თხზულეში. ნაშრომში წამოჭრილი საკითხების არსმა და პრობლემატიკამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ თხზულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბიბლიური ციტაციის დამონმება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, რა ავტორი საკმაოდ ხშირად მიმართავს. ეს ციტატები არის დამხმარე საშუალებები მკითხველისა და მსმენელისათვის ტექსტის ძირითადი აზრის მინოდებისას. ტორის აზრის საილუსტრაციოდ, თვალსაჩინოებისათვის მოხმობილ მაგალით როგორც ერთი არგუმენტი რაიმე დებულების მტკიცების დროს, ან როგორც გამარტება.

ტრაქტატში 140-ჯერ არის მოხმობილი ესა თუ ის ადგილი ბიბლიიდან. ზეჯერ ეს არის დამონმება ციტატისა (ადგილისა) წმინდა წერილიდან მთხრობედ მითითებით. მაგ., „ვითარცა-იგი მოსეს მიერ მარტივად თქუა“ (57, 4), „ეგრეც ესაიას მიერ“ (57, 4). ზოგჯერ დამონმებისას მითითებულია უბრალოდ წმინდა რილი: „უხრწნელსა ქორწინებასა წინაწარმეტყუელისა მიერ გუასწავებს“ (50, ან „რომელი ესე თარგმნა მოციქულმან“ (50. 11)... და სიტყვები მოყვანილია ვლენიდან, ანდა უბრალოდ მითითებულია, რომ მოყვანილი აზრი ავტორს კი ეკუთვნის, არამედ დამონმებაა წერილისა სიტყვებით: „ვითარცა იტყვს, ვითმედ“ (50, 10), „ვითარცა თქუმულ არს“ (3, 25), „რამეთუ წერილ არს, ვითარმედ“ 1) და სხვ. წყაროს მითითებას მოჰყვება უშუალოდ ციტატა, ან ხსენება რომელ ეპიზოდისა, ან ესა თუ ის გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც გამყარებულ ბიბლიიდან მოყვანილი ეპიზოდით და მიანიშნებს თხზულებაში გამოთქმულ აზრის მსგავსებასა, ან კავშირზე წმინდა წერილთან. ტრაქტატში გვხვდება ციტატის საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთებიც. შესაძლებელია, ეს მონაკვეთი წმინწერილის მხოლოდ ერთი საკითხავიდან იყოს, შესაძლებელია, ძველი და ახალთქმის სხვადასხვა წიგნებიდან.

ტრაქტატში მოყვანილია ეპიზოდები მხოლოდ კანონიკური წიგნებიდან. ენია ადგილები ოთხივე სახარებიდან, სამოციქულოდან: საკითხავები რომაელ მიმართ, კოლასელთა მიმართ, გალატელთა მიმართ, განსაკუთრებით ბევრია ნაკვეთები პავლენიდან: საკითხავები ჰრომაელთა მიმართ, კორინთელთა მიმ

I და II, ასევე ძველი აღთქმიდან, როგორებიცაა: დაბადება, II შჯულისათა, II მეფეთა, წინასწარმეტყველთა წიგნებიდან: ზაქარიას, იერემიას, ისაიას და სხვ.

სამწუხაროდ, ავტორის მუშაობის, შემოქმედებით პროცესზე არაფერია ცნობილი, თუმცა, თხზულების მიხედვით, მისი დიდი სამწერლო ნიჭი, განათლება და უნარი დასტურდება. ეს უდავოა, რადგან მისი თხზულება ლიტერატურული ძეგლია, ხატოვანი გამოთქმებითა და შედარებებით¹. ციტატების უშუალო, ძალდაუტანებელი ჩართვა მსჯელობაში კი იმაზე უნდა მინიშნებდეს, რომ ავტორმა იცოდა ძალიან ბევრი ადგილი წმინდა წერილიდან და მას ხშირად იყენებდა. ჩვენი აზრით, ციტატების დამონმება წერისას უნდა მომხდარიყო გონებით, ზეპირად. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრაქტატის შექმნისას ბიბლია ედო წინ და მას იშველიებდა.

ძნელი სათქმელია, წმინდა წერილის რა რედაქციის ტექსტებს იყენებდა ბასილი ანკვირელი (რას ემყარებოდა მისი ცოდნა ციტატებისა). ჩვენი აზრით, ციტირებისას ის იყენებდა ბერძნულ ტექსტს, რადგან, იმ შემთხვევებში, როცა ციტაცია ზუსტია, მონაკვეთები ზუსტად მიჰყვება სახარების, პავლენის, ან ფსალმუნის, ან ძველი აღთქმის სხვა წიგნების ბერძნულ, დღეისთვის დამუშავებულ კრიტიკულ ტექსტებს.

ძნელია იმის თქმაც, გაიარა თუ არა რაიმე დამუშავება საანალიზო ძეგლის ბერძნულმა ორგინალმა, რასაც არ გამოვრიცხავთ, რადგან ეს თხზულება ბასილი დიდის ნაწარმოებებს შორის განიხილებოდა. ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანი იყო, გაგვეჩვენა, ტრაქტატში ბიბლიური ციტატების ქართულად გადმოტანის რაგვა-რობა.

ბასილი ანკვირელის თხზულება უთარგმნია გიორგი მთანმიდელს. ჩვენ ამ ვარაუდს გამოვთქვამდით, რაც რეალურად დადასტურდა კიდევ მას შემდეგ, რაც Ath-49-ში, გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფში, აღმოჩნდა იგი (შათირიშვილი, 2000: 186-200).

როგორც მასალის კვლევამ აჩვენა, გიორგი მთანმიდელის ციტატების გადმოღების თავისებურებანი ეთანხმება მის მთარგმნელობით მეთოდს. ბიბლიური ციტატის თარგმნის შემთხვევაში გიორგი მისდევს ბასილი ანკვირელის ტექსტს. საეჭვო არ არის ის ფაქტი, რომ გიორგი მთანმიდელმა, რომელმაც შეასრულა ფსალმუნის, სახარების, სამოციქულოს თარგმანები, რომელთაც ვულგატის სტატუსი მიენიჭათ, კარგად იცის, ავტორის მიერ მოყვანილი ამა თუ იმ ციტატის სიზუსტე და უზუსტობა, მაგრამ იგი იცავს ავტორის უფლებებს და თარგმნის ისე, როგორც არის ბერძნულ ორიგინალში და არა ისე, როგორც არის მოცემული წმინდა წერილის ტექსტში.

ბასილის მიერ წმინდა წერილის დამონმების მაგალითები სამ ჯგუფად დაიყო:

1. ბასილს მოჰყავს ტექსტის გარკვეული მონაკვეთი ზუსტად, რომელსაც ეწოდება პირდაპირი ციტაცია;

¹ იხ. რიტორიკული ხერხები ბასილი ანკვირელის თხზულებაში და მისი გადმოტანის საშუალებები ძეგლის ქართულ თარგმანში. III ნაწილი, თავი VII.

2. ბასილი აკეთებს პერიფრაზს, რომელიც საკმაოდ ახლოსაა ტექსტით გამოყენებულია ტექსტის ლექსიკა და ასეთ შემთხვევებს ეწოდება დაახლოებით პერიფრაზი.

3. ტექსტში მოყვანილი ბასილისეული პერიფრაზი ძალიან დაცილებულ ბიბლიის ტექსტს, უბრალოდ მისახვედრია, რა ადგილი იგულისხმება მოცემულ მონაკვეთში ან მოცემულია რეზიუმე ციტატისა. ასეთ შემთხვევებს ეწოდება ასოციაციური პერიფრაზი¹.

პირდაპირი ციტაცია:

პირდაპირი ციტაციის შემთხვევაში გამოიყოფა რამდენიმე მომენტი. ესენია:

1. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი ემთხვევა ბიბლიის ქართულ თარგმანს (თარგმანების რედაქციები ერთმანეთს ემთხვევა), მაგალითად:

ა. ბასილი: "Διὰ τοῦτο γάρ, φησὶν, ὁφείλει ἡ γυνὴ ἕξουσιν ἕχουσιν ἔκ της κεφαλῆς διὰ τοὺς ἁγγέλους" 34 (PG, XXX, 737 C-D).

გიორგი: „და რაჲთა მისთვის იტყვს, ვითარმედ: ჯერ არს დედაკაცის რაჲთა ფლობა აქუნდეს თავსა თვსსა ანგელოზთათჳს“ (34, 2).

აბ. ალექმა: „ამისათჳს ჯერ არს დედაკაცისა, რაჲთა ფლო აქუნდეს თავსა თვსსა ანგელოზთათჳს“ (I კორინთელთა, XI, 10).

ბ. ბასილი: "Θεὸς, Κύριε, ὑλακτῆ τῷ στόματι μου, καὶ θύραν περιοχῆς πνεύματος ἁγίου μου" 20 (PG XXX 712 C).

გიორგი: „იტყვას, ვითარმედ: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კანკელი-ბაგეთა ჩემთა“ (2, 15).

ძველი ალექმა: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი-ბაგე ჩემთა“ (ფსალმუნი 140, 3).

გ. ბასილი: "Καὶ ἔισιν ἑσούχοι, ὁἵτινες ἑαυτοὺς ἑσούχισαν διὰ τὴν ἰσχυρίαν τῶν ὀστέων" 61 (PG XXX, 793A).

გიორგი: „და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვსნი ისუფეველისათჳს ცათაჲსა“ (61, 1).

ახალი ალექმა: „და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა“ (მათე, XIX, 12).

2. გიორგის თარგმანი ამჟღავნებს სიახლოვეს წმინდა ნერილის ქართულ თარგმანის ადრინდელ რედაქციებთან.

ა. ბასილი: "φησὶ. Μείνατε ἐν ἑμοῖς, καγὼ ἐν ὑμῖν" 50 (PG XXX, 772 A).

გიორგი: „გუეტყვას ჩუენ: ვითარმედ დაადგერიოთ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა“ (50, 21).

აბ. ალექმა: „დაადგერიოთ თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა“ (იოვანე, XV, 4) „დაადგერიოთ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა“ (ადიშის, ჯრუჭ-პარხლის).

¹ ამ ჯგუფებიდან პირველი და მესამე, ე.ი. პირდაპირი ციტაცია და ასოციაციური პერიფრაზი გამოყოფილია მელიქიშვილმა (იხ. „რელიგია“ 1996: № 10-11-12), დაახლოებითი პერიფრაზი კი – მ. მაჭავარიანმა სადისერტაციო ნაშრომში (იხ. მაჭავარიანი 2004: 127, შენ.1).

ბ. ბასილი: "Ἐὰν πνεῦμα τοῦ ἕξουσιαζούτος ἀναβῆ ἔπι σέ, τόπου σου μὴ ἀφῆς" 49 (PG XXX, 768 A).

გიორგი: „უკუეთუ სული ველმწიფებისა აღმოვიდეს შენ ზედა, ადგილსა ნუ სცემ შენ შორის“ (49, 5). (კეკელიძე 1920, 220)

ძვ. აღთქმა: „უკუეთუ სული ველმწიფებისა მოვიდეს შენ ზედა, ადგილ ნუ სცემ“ (ეკლესიასტე, X, 4).

3. ბასილის პირდაპირი ციტაციის გიორგისეული თარგმანი განსხვავდება ბიბლიის თარგმანების ყველა რედაქციისაგან. ასეთი შემთხვევები საკმაოადა ჩვენს თხზულებაში.

ბასილი: "φαισι, Πνευματι περιπατεῖτε, καὶ ἐπιθυμίαν σαρκὸς ὄυ μὴ τελέσητε" 52 (PG. XXX 773 D).

ახ. აღთქმა: „ხოლო ამას გეტყვ: სულითა ვიდოდეთ და ბორცთა გულისთქუ-მასა ნუ აღასრულებთ“ (გალათელთა, V, 16).

4. გიორგი ამოკლებს ბასილი ანკვირელის პირდაპირ ციტატებს. ასეთი შემთხვევები საკმაოდ მცირეა. ის უბრალოდ არ თარგმნის ბერძნული ტექსტის ნაწილს, მაგ:

ბასილი: "...Ἐξέλιθε ἕκ τῆς γῆς σου, καὶ ἕκ τῆς συγγενείας σου, καὶ ἕκ τοῦ οἴκου τοῦ πατρος σου καὶ δεῦρο εἰς γῆν, "ἦν ἂν σοι δεῖξω"... 25 (PG XXX 721 D)

გიორგი: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა“ (25, 13).

ძვ. აღთქმა: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ“ (შესაქმე XII, 1).

ფრაზის – „და მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ“ – შესატყვისი ბერძნული ტექსტი არის, მთარგმნელს უბრალოდ არ გადმოუქართულებია.

5. გიორგი მთანმიდელი ტოვებს სათარგმნი წინადადებიდან სიტყვას, რადგან მისი თარგმნი განსაკუთრებულ აუცილებლობას არ წარმოადგენს. იგი ბიბლიის ტექსტით რომ არ სარგებლობს, ეს აშკარაა, რადგან ამ ამ ლექსიკურ ერთეულებს პირდაპირ გადაწერდა. მას კი, როგორც მოუხერხდა უშუალოდ თარგმნის პროცესში, ისე გადათარგმნი ტექსტი, მით უმეტეს, რომ მათი თარგმნით ან უთარგმნელობით ტექსტს ღირსება არც ემატება, არც აკლდება. მაგ.,

ა. ბასილი: "Τισὼν ἀσθράπων ἢ ἀμαρτίαι πρὸδηλοὶ εἰσι προάγουσαι εἰς κρίσις· τισὶ δὲ καὶ επακουσθῆσι" 32 (PG 30, 736A).

გიორგი: „რომელთამე ცოდვანი წინაშენარ ცხად არიან და წინა ძღვან საშჯელად, ხოლო რომელთანიმე უკუანა შეუდგან“ (32, 1).

ახ. აღთქმა: „რომელთამე კაცთა ცოდვანი წინაშენარ ცხად არიან და წინა უძღვან საშჯელთა, ხოლო რომელთამე უკუანა შეუდგან“ (ტიმოთე I, V, 24).

ბ. ბასილი: "Τὸ μυστήριον τοῦτο μέγα ἔστι λέγω δὲ εἰς Χριστὸν καὶ εἰς τὴν Ἐκκλησίαν" 50 (PG 30 769B).

გიორგი: „საიდუმლო ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ უკრისტუსთა და ეკლ სიისათს“ (50, 11).

ახ. ალექმა: „საიდუმლო ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთს და ეკლ სიისა“ (ეფესელთა მიმართ, V, 32).

დაახლოებითი პერიფრაზი:

ასეთი მაგალითები არცთუ ცოტაა ჩვენს თხზულებაში და შემთხვევათა უმრავლესობაში გიორგი მთანმიდელი მისდევს ბასილის პერიფრაზს და ტექსტის ქართულად გადმოტანისას, ცხადია, იყენებს ბიბლიის ქართული თარგმანის ლექსიკონს.

1. ბასილი: "Οὐ γὰρ ἄγγελος ἁγίων, φεσί, διὰ παντὸς βλέπουσι τὸ πρόσωπον τοῦ ἐν οὐρανῷ" 29(PG 30, 729 A).

ახ.ალექმა: "Λέγω γὰρ ὑμῖν ὅτι οὐ ἄγγελος ἁγίων ἐν οὐρανῷ διὰ παντὸς βλέπουσι τὸ πρόσωπον τοῦ πατρὸς μου τοῦ ἐν οὐρανῷ" (მათე, 18, 10)

გიორგი: „რამეთუ იტყვს, ვითარმედ: ანგელოზნი თქუენნი მარადის ხედენ პირსა მამისა თქუენისა ზეცათაჲსათა“ (29, 3).

ახ. ალექმა: „გეტყვ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარად ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა“.

2. ბასილი: "(4,25) ἀκούσαμεν τοῦ υποφασίντος· οὐ ὀφθαλμοὶ σου ὄρθα βλέψασαν. καὶ τὰ βλέφαρα σου νεύεσσαν δίκαια,(6, 25)καὶ συναρπασθῆς σὺ βλεφάροις μὴδὲ ἀφρευσθῆς σοὶς ὀφθαλμοῖς" 13 (PG 30, 697 B).

ძვ. ალექმა 4, 25. "Οὐ ὀφθαλμοὶ σου ὄρθα βλέψασαν. τὰ δὲ βλέφαρα σου νεύετω δίκαια," 6.25. "μη δε νικηση καλλους υπηθυμια, μηδε αφρευσης σὺ ὀφθαλμοῖς μεδε συναρπασθης ἀπο τῶν αὐτῆς βλεφάρων" (იგავნი სოლომონისანი)

გიორგი: „(4, 25)ამისთვისცა იტყოდა, ვითარმედ: „თუალნიმცა შენნი მართლ ხედვენ და წამნი შენნი სიმართლითმცა წამ-უყოფენ“. (6, 25) და ნუმცა თანანა: იტაცები წამთა შენთა და ნუცა მოინადირები თუალთაგან შენთა“ (13, 24).

ძვ. ალექმა: 4, 25. „თუალნი შენნი მართლად ხედვენ და წამნი შენნი სიმართლესა წამებენ“ (იგავნი სოლომონისანი). 6, 25. „შვილო, ნუ გარევიწიკეთე გარე ლისთქუმისა, ნუცა მოინადირები თუალთაგან შენთა, ნუცა შესცთები წამთა მისთა“.

3. ბასილის ტექსტს მცირედ ავრცობს მთარგმნელი. ასეთი შემთხვევა სხვა რამდენიმეა და ეს გავრცობა სინონიმური წყვილების ხარჯზე ხდება.

ა. ბასილი: "Δεῖ γὰρ αὐτὴν ἀκεραῖαν μὲν εἶναι ἄς περισθεράν, ῥομίμητον ἄς τὸν ὄφιν" 36 (PG 30,741 A).

ახ. ალექმა: "γίνεσθε ὡς ῥομίμοι ἄς ὡς ὄφεις, καὶ ἀκέραιοι ἄς ἀρισθεραῖ".

გიორგი: „რამეთუ თანა-აც მას, რაჲთა უმანკო იყოს, ვითარცა ტრედი მეცნიერ და ბრძენ, ვითარცა გუელი“ (36, 3).

ახ. ალექმა: „იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათე, X, 16).

ბ. ბასილი: "Ἄργαι γὰρ μαθηταὶς περιεπρόμενοι τὰς οἰκίας, ὅς μόνου δὲ ἄργαι, ἄλλὰ καὶ φλύαροι καὶ περιέργοι, λαοῦσαι τὰ μὴ, δέοντα" 19 (PG 30, 709 B-C).

ახ. ალექსანდრე: "ἀμα δὲ καὶ ἄργαι, μαθηταὶς περιεπρόμενοι τὰς οἰκίας ὅς μόνου δὲ ἄργαι, ἄλλὰ καὶ φλύαροι καὶ περιέργοι, λαοῦσαι τὰ μὴ, δέοντα".

გიორგი: „რამეთუ უქმობასა ისწავებენ და მიმოვლენ სახლითი სახლად და არა ხოლო თუ უქმობასა, არამედ სიჩქურესაცა და სივერაგესა და ზრახვენ უჯეროსა და ცუდსა“ (19,11)

ახ. ალექსანდრე: „და მის თანა უქმობასა ისწავებენ და მიმოსლვასა სახლითი სახლად, არა ხოლო უქმობასა, არამედ სიჩქურესა და გამონუილილვასა და იტყვდ უჯეროსა“ (ტიმოთე I, 5, 13).

ასოციაციური პერიფრაზი:

ასოციაციური პერიფრაზის შემთხვევები ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ მაინც გვხვდება მაგ.,

ა. ბასილი: "Ἄλλ' ἔν μὲν τῷ δὶὰ Μωυσεως νόμῳ καὶ ἔσλογιᾶς ἄξιον τὸ παιδοποιῆσαι ἔνομιζέτο" 55 (PG 30, 780 B).

გიორგი: „ვინაეცა მოსეს შჯულსა შინა შეილიერებაა არა ხოლო თუ დაყენებულ იყო, არამედ კურთხევადაცა შერაცხილ“ (55, 5).

ძვ. ალექსანდრე: „კურთხეულ იყვნენ ნამობნი მუცლისა შენისანი და ნაყოფი ქუეყანისა შენისა“(II სჯულისაჲ XXVIII, 4).

ბ. ბასილი: "Καὶ δὺο δὲ ἀθρῶπων ἡ μαρτυρία ἄληθῆς ἔστιν" 61 (PG 30 796 D).

გიორგი: „ვინაფთვან ორისა კაცისა ნამებაჲ ქეშმარიტ არს მრავალთათეს“ (61, 27).

ახ. ალექსანდრე: „ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მოიყვანე თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რაათა პირითა ორისა და სამისა და მონამისაათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ“. (მათე 18, 16).

ცალკეული შემთხვევები:

შესაძლებელია, რომ სხვადასხვა სახის ციტატა (პირდაპირი, დაახლოებითი და ასოციაციური) ერთად იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

ბასილი: "Ποιήσει γὰρ τις, φησὶν, ἔν κρυφαῖοις καὶ ὅς γυῶσομαι (იერემია, XXIII, 24), Καὶ πῶς Ὁ φυτεύσας τὸ σπῆς ὅςκ ἄκούσεται; ἢ ὅ πλάσας τὸν ὀφθαλμὸν, ὅς κατανοεῖ; ἢ Ὁ παιδεύσας ἔσθη ὅςχὶ ἔλέγξει; Ὁ διδάσκων ἄθρῶπων γυῶσιν (ფსალმუნი, XCIII, 9-10), ἢ πάντα γυμνὰ καὶ τετραχλισμένα τοῖς ὀφθαλμοῖς αὐτοῦ (ებრაელთა მიმართ, IV, 13)

27 (PG XXX 725 D).

გიორგი: „ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნუუკუე ქმნეს რამე ვინმე ფარულად და არა ვაგრძნაა? (იერემია, XXIII, 24) და ვითარ დაჰწერგა ყურნი, არა ესმენ? ანუ რომელმან შექმნ(ნ)ა თუალ(ნ)ი, არა იხილოსა? და რომელი სწავლის თესლებსა,

არა ამხილოსა, რომელი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა (ფსალმუნი, XCIII,9-10 რომლისა თუალთა წინაშე ყოველივე შიშველ არს და თავდადრეკილი, ვითარ უწყოდის მან ყოველივე?“ (ებრაელთა მიმართ, IV, 13) (27, 6).

ძველი და ახალი აღთქმა: „ნუ დაიმალოს კაცი სამალავსა შინა, და მე ვიხილო იგი?–იტყვს უფალი–ნუ არა ცასა და ქუეყანასა მე აღვაკვებ?“ (იერემია, XXIII,24)

„რომელმან დაჰწერგა ყური, არა ნუ ესმისა? ანუ რომელმან შექმნა თუ არა ნუ ხედავსა?“ (ფსალმუნი, XCIII, 9).

„რომელი სწავლის თესლებსა, არა ნუ ამხილოსა, რომელმან ასწავის კე მეცნიერებაჲ“ (ფსალმუნი, XCIII, 10) .

„და არარაჲ არს დაბადებული დაფარული წინაშე მისსა, არამედ ყოველ შიშველ და ქედდადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა, რომლისათვის არს სიტყვე ჩუენი“ (იერემია, XXIII, 24).

ბასილი ანკურიელი უხრწნელებისა და უბინოების ქადაგებისას ზოგჯერ მართავს ერთსა და იმავე ადგილს არაერთგზის. ეს განსაკუთრებით ითქმის ვლენის I კორინთელთა მიმართ საკითხავზე, (VII თ. 25-37). ავტორი ამ მონათიდან რამდენჯერმე იმონმებს სხვადასხვა ფრაგმენტს და, უნდა ითქვას, ყველა ის თავისებურება, რაც ახასიათებდა ციტაციის დამონმებას ავტორის (და მათ გადმოტანას მთარგმნელის მიერ, დასტურდება მოცემულ შემთხვევებზე (იხ. ქალნულ. 23,25; 43,6; 55, 2; 56,2; 56, 7-16).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბასილი ანკურიელის თხზულების გიორგი მიმდელისეულ თარგმანში ბიბლიური ციტაციის გადმოღების საკმაოდ საინტერსურათი იქმნება. უპირველესად, რაც შესამჩნევია და აშკარაა თხზულების თმანის მიხედვით, მთარგმნელი უმეტესად მიჰყვება ავტორს ისე, რომ არ იყენებ ბიბლიის კანონიკურ ტექსტს.*

* ბიბლიურ ციტატებს ვიმონმებთ ძველქართულენოვანი და ძველბერძნულენოვანი ბიბლიკურ ტექსტების გამოცემების მიხედვით (იხ. გამოყენებული ლიტერატურა).

თხზულების ქართული თარგმანის ენობრივი ანალიზი

გიორგი მთანმიდელის ორიგინალური თხზულების ენა სადაა, სხარტი და მოქნილი. ავტორი ჰყვება მომხდარ ამბავს ისე, რომ თხრობის სისადავე იოტისოდენა გავლენას ვერ ახდენს აღწერილი ამბების გამომსახველობაზე, სრულებითაც არ ამცრობს კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას, მაგრამ სხვაგვარია ვითარება, როდესაც ვეცნობით მის თარგმანებს. ისინი გართულებულია ვრცელი პერიოდებით, დიდი მოცულობის რთული წინადადებებით, რაც ზოგადად ქართულისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთარგმნელი თავს ვერ არიდებს ორიგინალის ენის თვისებებს, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს მონურ მიმბაძველობას და არ იწვევს აზრის გაბუნდოვნებას.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა თვისებებით ხასიათდება გიორგი მთანმიდელის თარგმანის ენა, რამდენად ექცევა იგი სათარგმნი ენის გავლენის ქვეშ, ემსგავსება თუ არა ჩვენი საკვლევი თხზულება ენობრივი სიახლეებით მთარგმნელის ორიგინალურ თხზულებას, რა გამომსახველობით ხერხებს იყენებს გიორგი მთანმიდელი მკითხველზე ემოციის გასაძლიერებლად და შთაბეჭდილების მოსახდენად, როგორია ტექსტის ლექსიკა.

ფონეტიკა

ძველი ქართული ენის ძეგლების მსგავსად წინაენისმიერი სისინა ს A-ში ასიმილირებულია შ-ინად ჭ-არისა და ჯ-ანის მეზობლობაში.

აღსჭურვენ (17, 1)

დაშჭირდა (23, 12)

BC ნუსხებში ამოსავალი ფორმებია: აღსჭურვენ(17, 1), დასჭირდა(23, 12).

შჯულიერად (25, 12)

განშჯად (25, 17)

უშჯულოებისაი (29, 1)

მშჯავრსა... არა შჯის (11, 13).

A ხელნაწერშიც არის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც არ არის ასიმილირებული. ძირითადად ეს ეხება სიტყვას შემსჭულულ (იხ. 25, 5; 26, 2; 57, 4).

იშვიათად გვხვდება დისიმილაციური ფორმები, მაგრამ ისინი თითზეა ჩამოსათვლელი. C-ში გვხვდება ნაკითხვა „სალბულ“ (18, 2), A-ში კი იმავე ადგილას ჩვეულებრივი ფორმაა „სალბუნ“ (მარტიროსოვი 1954: 99; ულენტი 1965: 250; ძიძიშვილი 1960: 77).

იკარგვის მ: მზითევის ნაცვლად გვაქვს ზითევი

ზმნისწინების გამარტივება (გიორგი მტანმინდელი, 1946: 69-70
ნაიშვილი 1961: 39-140):

მაგ. -ალ ზმნისწინში თანხმოვანი დაკარგულია და მხოლოდ ხმოვანი ა
დარჩენილი, მაგრამ ეს იმ ზმნებსა და მასდარის ფორმებში ხდება, რომელ
ფუძე ჳ-ზე ეწყება და ორი თანხმოვანი ერთნაირი საწარმოთქმო ადგილის
ვერ ჩერდება ერთად. მაგ:

აჰჰადის || აღჰჰადის (C) (30, 3)

აჰოცნეს - (13, 9)

აჰოცად - (13, 10)

სხვა შემთხვევებში აღ- ზმნისწინი შენარჩუნებულია, მაგ., აღსძრვი
აღსძრავს (13, 16).

წარ- ზმნისწინის გამარტივების მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს: ნაეკი
(42, 6). სხვა შემთხვევაში ეს ზმნისწინი ჩვეულებრივად, XI-XII საუკუნეების ს.
ტერატურო ნორმის მიხედვით ინარმოება.

ბგერათა განვითარება:

სიტყვაში ჩნდება ასო -ვ. მაგ.,

განაბრწყინ-ვ-ოს -2, 6;

შეიმკობ-ვ-იან - 17, 1;

მოდრა-ვ-ობასა - 27, 14;

რა-ვ-ოდენიცა - 52, 13 || რა-ვ-დენ - 53, 4;

უ-ვ-აღრესსა (A) || უაღრესსა (BC) 56, 6;

განცრუ-ვ-ნეს - 48, 9 ;

დააცხრ-ვ-ნეს - 48, 1.

სიტყვაში ჩნდება ასო -ნ:

აღაგზ-ნ-ებს - 22, 13;

აღეგზ-ნ-ების - 6, 6;

აღეგზ-ნ-ნეს - 45, 7.

ტექსტში მოიპოვება პარალელური ფორმებიც -ნ-ს გარეშე, ესენია:

აღაგზებს - 4, 3;

აღაგზებენ - 6, 7 და სხვ.

ასო მ-ს გარეშე: მლიქ-მ-ნელისა - 45, 5

ო-სა და უ-ს მონაცვლეობა ძირითად ტექსტში:

შეცვალებოლსა - 50, 16;

სა-უ-ცარნი - 31, 12 || საოცრებაჲ 52, 5;

ორი || ურთა 66, 12;

რა-უ-დენითაცა - 52, 12 || რავოდენ - 35, 1;

ამ უკანასკნელ ფორმაში ზოგჯერ ო დავინროვებულია და ვ გვხვდება
ფორმა რა-ვ-დენიცა; ზოგჯერ ო-ც შენარჩუნებულია, მის წინ კი ვ ჩნდება.

მოვლენას ძირითადი ტექსტის მიხედვითაც აქვს ადგილი და ნუსხების მიხედვითაც. რაოდენითაცაა B || რაოდენითაცაა C

ო-სა და უ-ს მონაცვლეობის შემთხვევას ნუსხებს შორის ასევე ნავენყდით ფორმაში „უდეს“, რომელსაც B-ში შეესაბამება „ოდეს“ 28, 4.

ჰ-აე შემორჩენილია:

ჰასაკი (19, 5; 22, 2); ჰამოთა (5, 9).

ვ იკარგვის -ავო, -ოვა, -ოვო, -ოვე, -ივო, -ოვი და სხვა კომპლექსებში, მაგ:

ჯეროანსამცა (22, 14);

ნაყროანნი (25, 1);

მწუანვილოანთა (14, 1);

სანოაგე (9, 6);

საგლოელი (11, 5; 53, 3);

ისწაოს (31, 12) || ისწავოს (იქვე);

ქურიობა (23, 11);

ლამეყოელ (66, 6);

ოქროსოქსოილი () (26, 4);

განმსყიდელი (1, 1) || განმსყიდველთა (1, 2);

საძულელთა (31, 16);

მხილელნი (31, 2) || მხილველთა (34, 1).

ვითარებითი ბრუნვის ფორმების გამარტივება:

მიპირუტყულამდე (3, 6)

ფრჩხილთამდე (14, 10) || ფრჩხილადმდე (56, 2).

ვითარებითი ზმნიზედის ფორმაში დაკარგულია –დ : ძნია (57, 1).

მორფოლოგია

სახელთა ბრუნება

სახელთა ბრუნების მხრივ ჩვენი საკვლევი თხზულება ძირითადად იცავს კლასიკური ქართულის ნორმებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ე აქ მტკიცე ნორმადაა ქცეული ე-ზე ფუძეგათავებული საზოგადო სახელებისა სახელობითსა და ადამიანთა ამავე დაბოლოების მქონე სახელების ნათესაობითში.

ბერძნული წარმოშობის ადამიანთა სახელები, ძველი ქართულის სხვა ძეგლების მსგავსად, ბრუნებისას აქაც ინარჩუნებენ ფუძისეულ ი-ს. ტრაქტატის სათაურში მითითებულია:

„ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელ -კაბადუკიელისაე“(1, 1) (A)

ბასილი ეპისკოპოზისა (C D).

საკუთარი სახელები ტექსტში საკმაო რაოდენობით გვხვდება. ისინი იბრუნებიან ძირითადად კლასიკური ნორმების მიხედვით.

თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები:

ადამ-ი (54, 11; 26, 4);

დავით (33, 5);

მარკიონ (33, 6);

ზირაქი (64, 2);

ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები, მაგ:

ლიტოიე (1, 2),

ევა (54, 14),

მოსე (55, 9-10-11; 57, 5; 68, 1),

პავლე (67, 1),

ესაია (57, 5-6).

ეს საკუთარი სახელები სახელობითა და მოთხრობით ბრუნვებში არ დაი-
ვენ ბრუნვის ნიშნებს. სახელობითა და ნათესაობით ბრუნვებში ე-ზე დაბო-
ბული ფუძეები ე-ს გვიჩვენებენ და არა მ. გვაქვს საკუთარ სახელზე ემფატი,
ა-ს დართვის შემთხვევა:

ბრძნისა პავლესა (67, 1).

თანხმოვანზე დამთავრებული საზოგადო სახელების ფუძეები ბრუნებ
განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენენ. მისდევენ ძველი ქართულისა
მიღებულ კლასიკურ ნორმებს.

სოფლისა (3, 5 ; 56, 11)

ბრძნისა (8, 3)

მეძვისასა (41, 8)

გარეგნით (13, 5)

ყოვლით (53, 8)

ლამპრითა (21, 6)

ისრითა (68, 3)

მოდღურად (65, 3)

საგზლად (66, 9)

პატიოსნად (20, 3, 14)

-ელ მარცვალზე დამთავრებული სიტყვები იკუმშებიან მაშინ, თუ -ელ ფ-
სეულია, ზოგჯერ მაშინაც თუ მანარმოებელია. მაგ.,

კუმშვადი:

მუცლისა (68, 2),

სამოსლისა (30, 10)

უკუმშველი:

საგრძნობელისა (4, 7)

სასუფეველისათვის(57,4).

არ კუმშება მარცვალი -არ, თუ იგი მიმდებარებს ანარმოებს. მაგ., თანამე-
რისა (5, 10), მტყუვარისა (37, 9). იკუმშება „საჭმრისა“ (20, 10), სიტყვები, რო-
შიც შედის „მოდღურ“ ფუძე, მაგ., „წინამდღურისა“ (17, 11), „ეზოისმოდღ-
და მოდღურისა“ (37, 14).

მრავლობითი რიცხვი

ძეგლისათვის ტიპურია მრავლობითი რიცხვის წარმოება **ნ/თ** სუფიქსებით. მაგ., „ერთისა ადამის მიერ მეუღლითურთ ბევრეულთა ტომთა მიერ ყოველი სოფელი განავსო, ვითარცა ინება, და ყოველთა პირუტყყუთა და ოთხფერჯთა და ქუენარ-მავალთა და მფრინველთა და თევზთა და ყოველთა მცურვალთა მიერ ზღუანი და ჯმელნი განაშუენა და აღავსო ყოველი ქუეყანაჲ და მძღავრებასა ვერძთასა დაუმორჩილნა ნეზუნი და გულისთქუმითა ჯდალთათა მოამშკდებს ხუადთა“ (3, 9-11).

თხზულებაში ერთადერთხელ გვხვდება მრავლობითის მანარმოებელი -ებ ფორმანტი. ეს შემთხვევაც არის ციტატა ბიბლიიდან. ჩვენ საკვლევ ძეგლში -ებ დაერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს, რა ჯგუფის სახელს სახელობით ბრუნვაში, ესაა : **ყან-ებ-ი** (54, 2).

ჩვენი აზრით, -ებიანი მრავლობითის პრაქტიკულად გამოუყენებლობასა და წართანინანი მრავლობითის ერთპიროვნულ გამოყენებას უნდა განაპირობებდეს ძეგლის ხასიათი, რის გამოც მთარგმნელი ცდილობს, ამგვარად გადმოსცეს დედნის ე. წ. ამაღლებული რიტორიკული სტილი.

ზ მ ნ ა

ზმნების თავისებურებანი, რაც შენიშნულია „იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებაში“, ძირითადად დასტურდება კიდევ გიორგი მთანმიდელისეულ თარგმანში „ქალწულებისათვს“ ერთი მხრივ, მტკიცეა და ცული კლასიკური ქართულის ნორმები, მეორე მხრივ, აშკარად შეიმჩნევა სიახლისაკენ მიდრეკილება.

პრეფიქსები მ- და გუ- ტექსტში

აღსანიშნავია ტექსტში ობიექტის მრავლობითობის მანარმოებლების, პრეფიქსების მ- და გუ- ხმარება. მათ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ახსნა აქვთ მოძებნილი. ეს მორფემები განარჩევენ ინკლუზივ-ექსკლუზივს ძვ. ქართულ ენაში, მაგრამ, ჩვენი საანალიზო ტექსტის მიხედვით, ისინი სინონიმური მორფემებია. განსაკუთრებით ხშირია **გუ**-პრეფიქსის გამოყენება.

გუ-მძღავრობდეს ჩუენ (8, 10) ;

აღგუყავს (50, 1);

გუემატოს, დაგუაკლდეს (12, 2);

თმანი თავისა ჩუენისანი აღგუემართიან, გუამი ჩუენი შეგკძრუნდისა (14,10);

გუეტვრთიან (47, 4);

გუეყოფის (47, 5);

გუაქუნდეს (47, 6);

გუასწავებს (50, 17);

მოგუატყუებს (50, 19);

მიგკყვანეს; **გუ**ეტყვს (50, 22);

გკრეენა (66, 11);

მ- მანარმოებელი სულ ორჯერ შეგვხვდა.

ლენიდან, (I კორინთელთა, თ. 8, 8). ტექსტის გამოცემაში ობიექტის მრავლობის პირველი პირის ნიშნად გვხვდება გუ- (თოფურია 1931: 27; შანიძე, 1976: 65.

1) შემკრებს ჩუენ (53,9).

ხოლმეობითები

ხოლმეობითების მწკრივთა წარმოებაში შეინიშნება ძველი და ახალი ფორმ უწყვეტლის ხოლმეობითი, როგორც ცნობილია, იშვიათად ხმარებული მწკრი (პაველენი 1974: 119). ამ მწკრივის ნიმუშები დადასტურდა ჩვენ ძეგლშიც. მაგ.

„... და ესრეთ ბოროტთა მათ თჳსთა შუჳა შეიგდიან უბადრუკი იგი, რამე; წინაჲსწარ ცხადნი იგი წინა-უძლოდღიან და მიზეზ-იდედიან მას საშუჳელად უჩინოთა მათ მიერ და, რომელი იგი განუყოფელ-იყვნინან მისგან, უკუანა იჭ ბნ და ვითარცა პირუტყ, იდევენებინ“... (32, 3).

I ხოლმეობითიც საკმაოდ ხშირად იხმარება. ხოლმეობითები, ტექსტის თხ ბის ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს ე და იმავე წინადადების ფარგლებში, რაც მათი ფუნქციური იგივეობით არის მოწვეული (ქართული ოთხთავის ორი ძველი კოლექცია 1945: 73-74).

„მსგავსად ცეცხლისა დამწუართა დანვის გული მისი და განასივის მწარ მით ვნებითა ტრფიალებისაჲთა შინაგან მისა დაფარულად აღძრულთა ვიდრე დულნ და ექუნ და განიჭრებინ და დაუტადებელად აურვებნ და უთქუამნ ც ვისა წუთხითა აღვსებად მყისსა შინა და ანუთუ ადრევე აღვსებულ არნ წუთხ და წალითა არანმიდებისაჲთა სიღრმეთა შინა გული იგი სავესე არნ სიმყრალი (14 7).

I კავშირებითი

-*ოდინი* ზმნების I კავშირებითის სუბიექტური მესამე პირის დაბოლოებ ოდინ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია გარდამავალ საფეხურად ზმნ უღლილებაში (ჩიქობავა 1948: 43). ეს სიახლე დასტურდება ექვთიმე ათონე თარგმანში (შანიძე 77-78). ამ ხაზს აგრძელებს გიორგი მთაწმიდელის ორიგ ლური თხზულება და მისივე თარგმანები, მათ შორის ჩვენი საკვლევი ძეგლი

„ესრეთ აღელვებოდინ... განიპებოდინ“ (17, 7).

ალორძნდებოდინ (33, 9),

უძღუებოდინ (47, 9),

ტიროდინ (56, 11),

ეკრძალებოდინ (59, 22),

იყოფებოდინ (60, 2),

უნყოდინ (66,7).

მსგავსი მაგალითები თხზულებაში არცთუ ცოტაა.

I თურმეობითი

გიორგი მთანმიდელის თარგმანი სხვაობს მისი ორიგინალური თხზულებისაგან იმიტაც, რომ I თურმეობითი ჩვეულებრივ წარმოდგენილია *-იეს* დაბოლოებით, ან ობიექტის მრავლობითობის დაბოლოებით. ახალი *-ი* დაბოლოებით შეგვხვდა ერთი ზმნა „გულს-უდგენ-ი“ (14, 9).

ვნებითი გვარი

ვნებითი გვარის ზმნების შესწავლა გვიჩვენებს პარალელიზმს ზოგიერთ ფორმათა წარმოებაში. სუფიქსიანი ვნებითის საწარმოებლად გამოიყენება *-არი*. თხზულებაში გვხვდება დონიანი ვნებითებიც და ერთი და იმავე ვნებითის ფორმების წარმოება ნართაც და დონითაც. მაგ.,

-ნარიანი ვნებითი:

აღსუბუქ-*ნ*-ების (61, 25);

დაგლახაკ-*ნ*-ებოდის (18, 5)

-დონიანი ვნებითი:

განცოცხლ-*დ*-ა (53, 3);

დამდაბლ-*დ*-ებოდის (26, 5);

განკვრ-*დ*-ებიან (1, 1);

დაბნელ-*დ*-ეს (27, 11);

დამჭირ-*დ*-ეს (2, 9);

განშუენ-*დ*-ების (2, 10);

განკვ-*დ*-ებიან (48, 11).

ერთი და იმავე ვნებითის ფორმების წარმოება ნართაც და დონითაც:

აღდულ-*ნ*-ებოდის (49, 2) || აღდულ-*დ*-ებიან (6, 7)

-დონითაა ნაწარმოები ერთი ფორმა, რომელიც ტრადიციულად ინიანი ვნებითია: განხრწნდებოდის (39, 12).

ერთპირიანი ვნებითები

ძველი ქართულის სხვა ძეგლების მსგავსად გვხვდება ერთპირიანი ვნებითის ე პრეფიქსით წარმოების ფაქტებიც (იმნაიშვილი 1961: 134).

აღ-*ე*-ტყინებოდის (49, 3);

აღ-*ე*-ტყინების (63, 5);

აღ-*ე*-სრულების (61, 21);

ე-გზების (63, 4);

განვ-*ე*-წყენეთ (68, 9).

ძეგლში გვხვდება – ოვ სუფიქსიანი დრონაკლი ზმნა „პეროის“ (61, 22), რომელშიც, როგორც ვხედავთ ე შენარჩუნებული არ არის.

გიორგი მთანმიდელის თარგმანისათვის დამახასიათებელია, რომ ძველის გვერდით იყოს ახალი ფორმებიც. თხზულებაში არის ფორმა „აქუნდა“ და არის ფორმა „ჰქონდა“.

„სახენი იგი მისნი (სიმოისანი) არა ჰქონან გამოსახულად სულსა ზედა.
...სულსა შინა ჰქონან საუცარნი იგი გულისსიტყუანი“ (31, 12).
„...უკუეთუ სხუებრ რამე ვისმე ჰქონდის...“ (32, 4).
„...სიძესა მისსა... სავანე არა აქუნდეს“... (48, 1).
„...გუაქუნდეს მისა მიმართ“ (68, 7).

ზმნისწინიანი ანმეოს წარმოება და ზმნისწინის მაპერფექტებელი უნ.

ზმნისწინის მაპერფექტებელი ფუნქცია ჩვენს საკვლევ თხზულებაში ყურად ბის მიქცევას ითხოვს იმ თვალსაზრისით, რომ გიორგი მთანმიდელის ორიგ ლურ თხზულებაში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ის ფორმები, რომლებიც თვალნათლივ მიანიშნებენ ზმნისწინის მაპერფექტებელ უნარზე. ასეთ სურათს აჩვენებს გრიგოლ ნოსელის „ქებაჲ-ქებათაჲსაჲ“ გიორგი მთანმიდელისეული თ. მანი, რომელშიც ზმნისწინიანი ანმეოს ფორმები არ შეიცავს მომავლის გაგ და არც ზმნისწინი ამჟღავნებს ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვ ნიშანწყალს, რადგან ყველა საექვო შემთხვევაში ზემოთ ხსენებული ტექს ორიგინალში დადასტურდა ანმეო (ნოზაძე 1958: 134).

ამ მხრივ დიდად განსხვავებულ სურათს არც ჩვენი საანალიზო ტექსტი ქ არც ამ თარგმანში დასტურდება ზმნისწინის ახალი თვისება. იგი ანმეო დრ და უსრული ასპექტის გაგებას შეიცავს ამ თარგმანშიც. მაგ:

„და ანუ თუ წინამდებარისა მისგანისა მიმართ ხედავს და ჰმართებს (π ἄειν) გონებასა თვსსა, ანუ თუ სხუა და უც წინაშე მისსა, და სხვთ კერძო რჰმართებს (ἀφείσα) (3. 1-2).

ბერძნულში ეს ფორმები წარსული დროის მიმღობებითაა გადმოცემული, ორივე გულისხმობს სრულ ასპექტს, ქართულში კი ერთი ზმნისწინიანი ფორ მეორე – უზმნისწინო.

„დაღაცათუ რომელთამე მიმართ თუალნი ჳორცთანი განახუნეს (ἀνεψυχ σαჭიროჲსა მისთვს ამის ცხორებისა ნათლისა, გარნა სულისანიმცა დაწუხ; არიან (ἐπαμύσει) და ჭეშმარიტისა მის ნათლისა და მისისა მის შუენიერე განცდად, და დაწუხვილიცა მოსწრაფემცა აღეხუმიან (αυοίξει)... (5. 2).

ბერძნულ ტექსტში ზმნები არის მომავალში ἔπαμύσει, αυοίξει, მაგრამ თულში ერთი გადმოდის ანმეო დროის მეშვეობით და აღწერილობითი ფორ მეორე კი – ზმნისწინიანი ფორმით. ძნელი სათქმელია, რამდენად აქვს ამ ნისწინს მოცემულ შემთხვევაში მაპერფექტებელი უნარი, ის უფრო მიმართუ ბის აღმნიშვნელად უნდა ჩაითვალოს.

„არა ხოლო თუ კეთილთა მოგებასა და აჭირვებს (ἀποστεινόμενα) მას უძლ; ბითა თვისითა, არამედ მოგებულთა მათცა შუენიერებასა მიჰპარავს ამოიჲთა დაჰსნილობითა“ (10. 3).

„მიზეზითა დამონებისა და აღკრძალვისათა ჰგონებს, თუ აჭირვებს (π ἀδέειν) მას“ (11, 3).

ორივე ფორმა – ზმნისწინიანი და უზმნისწინო – უსრულ ასპექტს გულისხმობს.

ტმესი

გიორგი მთანმიდელის თხზულებაში „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ ტმესის ერთადერთი შემთხვევა დასტურდება (კიკნაძე 1967: 102). ტმესი სამეცნიერო ლიტერატურაში იმიჩნეულია ენის უძველესი ვითარების ამსახველ მოვლენად. იგი მაჩვენებელია ზმნისწინის იმ დამოუკიდებლობისა, რომელიც მას ჰქონდა მორფემად ქცევამდე (გიორგი მთანმიდელი 1946: 7). ჩვენს ძეგლში კი მისი ხმარების არე მეტ ნაკლებად გაფართოებულია. თარგმანში ტმესის გამოყენების დაახლოებით 12 შემთხვევაა.

ზმნისწინსა და ზმნას შორის ჩართულია კავშირი, მაგ:

- მი-რაჲ-ვიდა – 31, 3
- მი-რაჲ-ვიდის – 15, 13
- გან-რაჲ-ვიდა – 33, 3
- მი-რაჲ-ვიდეთ – 50, 22
- მი-რაჲ-ინია – 53, 3
- შთა-რაჲ-ვარდენ – 14, 11
- გან-რაჲ-მწყსნენ – 23, 14
- გან-რაჲ-ვიძარცუნეთ – 30, 13
- მო-რაჲ-კუდებოდა – 59, 18

ზოგჯერ ჩართულია ნაწილაკი და ნაცვალსახელი ერთად, მაგ:

- გან-თუ-წსნილ-ხარ – 43, 6
- გამო-მე-ვინ-იკრისა – 45, 8
- მო-ლა-ვით-ირგოს – 11, 5
- გან-სამე-მცა-ემორა – 61, 15

როგორც ვხედავთ, ტმესიან ფორმებში ყველაზე ხშირად დასტურდება დამოკიდებული წინადადების კავშირი „რაჲ“, რომლებშიც ლაკონურადაა წარმოდგენილი გარემოებითი წინადადების შინაარსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ ორიგინალში, იქ, სადაც ქართულში „რაჲ“ კავშირია, უმეტესად დადასტურდა მიმლეობები, თუმცა გვხვდება ინფინიტივით გადმოცემული ერთი ფორმაც, მაგ., გან-რაჲ-მწყსნენ – ἀκίσειν (23, 14).

ტმესის გამოყენების შემთხვევები განპირობებული უნდა იყოს სათარგმნი ენობრივი მოვლენის შინაარსის გადმოსაცემად ენაში არსებულ გამომსახველობით საშუალებებთან შეგუებით.

სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები

ბასილი ანკვირელის თხზულებაში „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათვის“ ხშირად ახალი სიტყვის საწარმოებლად გამოიყენება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმანტები, ასევე თანდებულები (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა) სიტყვის მნიშვნელობის მცვლელი აფიქსების ფუნქციით (შანიძე, 1980: 259).

ახალი ლექსიკური ერთეულის სანარმოებლად აღებულია მოქმედებ ბრუნვის ფორმა:

„ერგო ღონისძიებ-ით-ი ჳორცთა უხრწნელება“
(13, 12)

„ არაბუნებ-ით-ი“ (61, 27)

„ბუნებ-ით-ი და იძულებ-ით-ი“ (68, 4)

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თხზულებაში „ბუნებით“ ფორმის სიხშირე რომელზეც სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით ნაწარმოებია ზედსარც სახელი „ბუნებითი“. ეს ფორმა ჭარბად გვხვდება ტექსტში. მას ტერმინის დ ვირთვა აქვს საკვლევ ძეგლში.

„ბუნებ-ით-ი სიყუარული“ (8, 7);

„ბუნებ-ით-ი ეტლი“ (8, 9);

„ბუნებ-ით-თა აგებულებათა“ (16, 13);

„ბუნებ-ით-ისა ტრფიალებისაგან“ (45, 5);

„ბუნებ-ით-ი მადლი“ (46, 5);

„ბუნებ-ით-ი შუენიერება“ (58, 4);

„ბუნებ-ით-ნი ბეჭედ-ნი“ (58, 8);

„ბუნებ-ით-ი უხრწნელება“ (54, 9);

„ბუნებ-ით-ი მყუდროება“ (47, 2);

„ბუნებ-ით-ი საზრდელი“ (48, 6);

„ბუნებ-ით-ი განბჭობა“ (64, 16).

ვითარებითი ბრუნვის ფორმა:

„ზოგ-ად-ი“ (65, 8);

„შობ-ად-ი“ (23, 24);

„ფრი-ად-ი“ (36, 8);

„დაშრეტ-ად-ი“ (60, 4);

„განხრწნ-ად-ი“ (39, 11);

„ქორწინებ-ად-ი“ (21, 10);

„განყოფ-ად-ი“ (53, 9);

„თავ-ად-ი“ (54, 10).

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირად გამოიყენება „ჭამად“ ტიპის I მოება თხზულების იმ მონაკვეთებში, რომლებშიც საუბარია ქალწულის კვებ მასდარის ვითარებითი ბრუნვა გამოიყენება ვნებითი გვარის მიმღეობის მნიშ ლობით (შანიძე 1980: 117). ამგვარი ტიპის წარმოება ჩვეულებრივი იყო ძველ თულში. მან განსაკუთრებით ფართო ასპარეზი მოიპოვა ფილოსოფიური ძეგ ბის ენაში და ტერმინთა შექმნის საშუალებაა დღესაც (იმნაიშვილი 1957: 755 „ჭამადთა“ (7, 7; 8, 1; 8, 2; 8, 4; 8, 10).

თანდებულიანი ფორმები

-ებრ თანდებულიანი ფორმა არცთუ ბევრია თხზულებაში, მაგ.,

„მამაკაც-ებრ-ი“ (65, 2).

-ებრ ზოგჯერ გავრცობილია -ივ ელემენტით, რომელიც წარმოშობით ბრუნვის ნიშანია (ნათაძე 1962: 127)მაგ.,

„ქალწულ-ებრ-ივ-ი“ (43, 10; 49, 6).

ზოგიერთ ფორმაში -ობრ აფიქსი იჩენს თავს. იგი -ებრ თანდებულის ბადა-
ლია და ასევეა გავრცობილი -ივ ელემენტით. მაგ.,

„დედ-ობრ-ივ-ი“ (51, 5; 54, 5; 63, 4).

„კაც-ობრ-ივ-ი“ (39, 11; 47, 12).

საკუთრივ -ივ ელემენტითაც გვხვდება ფორმები. მაგ.,

„ღმრთ-ივ-შუენიერი“ (52, 14)

„ღმრთ-ივ-ბრწყინვალე“ (49, 11; 66, 13)

„მარტ-ივ-ი“ (58, 2).

ნაწარმოებ სახელთაგან საკმაოდ დიდია აბსტრაქტულ სახელთა ხვედრითი
წონა. ეს სახელები ნაწარმოებია აფიქსების: სი-ე, სი-ო, -ეზა, -ობა-ს მეშვეო-
ბით (შანიძე 1980: 146).

სი-ე:

სი-ჭაბუკ-ე (8, 11);

სი-გრილ-ე (9, 10);

სი-წმელ-ე (9, 10);

სი-ზრქ-ე (10, 4);

სი-მრგულ-ე (15, 5);

სი-ვერაგ-ე (15, 8);

სი-ჩქურ-ე (19, 12);

სი-წმიდ-ე (5, 13);

სი-ღრმ-ე (6, 7);

სი-უზმ-ე (8, 4);

სი-მრთელ-ე (8, 8);

სი-მჭურვალ-ე (8, 11);

სი-პოხ-ე (8, 10).

საკმაოდ ხშირად ტექსტში გვხვდება ატრიბუტივები, რომლებიც, სხვა ძველი
ქართული ენის ძეგლების მსგავსად, განყენებულ მნიშვნელობას ატარებენ. ესენია
სიტყვები: სიკეთე და კეთილი. სიკეთე გვხვდება მშვენიერების, სილა-
მაზის სინონიმად. ერთმანეთის გვერდით იხმარება „ბოროტი (68, 3; 15, 7), რაც
უდრის მნიშვნელობით „ბოროტებას“ და „სიბოროტე“ (66, 9).

სი-ო:

სი-ჩჩ-ო (60, 13);

სი-წრფ-ო-ეზა (52, 1).

ეს უკანასკნელი სიტყვა ორმაგი წარმოების ნიმუშია.

-ეზა- ოზა სუფიქსიანი სახელები

განსაკუთრებით ინტენსიურია - ება და - ობა სუფიქსიანი წარმოება, რაც ეხმარება აბსტრაქტულობის სუფიქსების შესაბამის პროპორციას ძველი ქართული ენის ძეგლებში. - ება და - ობა განყენებულობის მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა აღნაგობისა და წარმოების ფუძეებს. ეს აფიქსები დაერთვის ზმნებს მასდარულ ფორმებს.

-ება:

ქალწულება (1, 1);
უხრწნელება (1, 1);
ფეროვნება (1, 4);
თვსება (60, 5);
უთესლოება (64, 3).

-ობა:

უაღრესობა (60, 6);
მოქალაქობა (7, 6);
ტრიობა (8, 4);

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ება და -ობა სუფიქსებ ერთნაირი წარმომავლობის რთული სუფიქსებია (შანიძე 130-133; ლლონტი 1964: 1 მარტიროსოვი 1965: 121-127). ამგვარი წარმოება ისტორიულად ახალი მოვლენა პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებასთან შედარებით. ამ სუფიქსების შეფარდება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულ სურათს იძლევა. ახალ ქართულში იგრძნობა -ობა სუფიქსის გაბატონების ტენდენცია (შანიძე 1980: 131-132). ძველ ქართულშიც არა არის ერთგვარობა, მაგრამ ჩვენ საკვლევ თხზულებაში -ება სუფიქსით წარმოება სჭარბობს -ობა სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებს. თუმცა სიტყვათწარმოებაში არის ფორმები, როცა ერთი დიამეტრული ფუძიდან წარმოებული ფუძეები ზოგჯერ -ება-ს დაერთავენ, ზოგჯერ კი -ობას. ეს მაინც ერთ ფორმას ეხება. ესაა ლექსემები საჭურისება, საჭურისობა, მაგ.,

საჭურის-ებ-ისაჲთა (60, 19), (62, 7);

საჭურის-ობ-აჲ, საჭურისის-ობ-ისაჲ (65, 9).

აბსტრაქტული სახელების სიუხვე ძეგლში შემთხვევითი არ არის. ამას განაპირობებს ნაწარმოების ხასიათი. ბასილი ანკვრიელის თხზულებაში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობას, რაც ბუნებრივად აპირობებს აბსტრაქტული სახელების ხმარებას ორიგინალსა თუ თარგმანში. ამასთან აბსტრაქტული სახელები ტერმინების წყაროა. ქართულმა ფილოსოფიურმა მწერლობამ აბსტრაქტული სახელები გამოიყენა ტერმინოლოგიური დანიშნულებით. იმდენად, რამდენადა გიორგი მთანმიდელი ქართულად თარგმნისას კარგად ახერხებს განყენებულ ცნებებს მოარგოს ქართული ექვივალენტი, ტერმინოლოგიური სათავეების ძიებისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გიორგი მთანმიდელის თარგმანების მონაცემებიც.

ჩვენს ძეგლშიც ტერმინოლოგიური ღირებულებისაა **-ება** და **-ობა**-თი ნაწარმოები სიტყვები:

რაბამობა (9, 10-11);
ვითარება (9, 11);
თვსება (58, 5);
არსება (3, 15);
ხატება, მსგავსება (3, 5);
აგებულება (3, 5);
ტომება (3, 5);
ერთობა (3, 13);
ორება (3, 13).

ქონების სახელები:
ქონების სახელების საწარმოებლად გამოყენებულია:
-იერ:

ნივთ-იერ-ი (58, 7; 67, 3; 68, 3);
გონ-იერ-ი (1, 4; 2, 6; 65, 9);
წეს-იერ-ი (7, 6);
სულ-იერ-ი (58, 4);
წად-იერ-ი (36, 6);
შუენ-იერ-ი (56, 3);
შჯულ-იერ-ი (38, 1).

შჯულიერი ზოგჯერ ატრიბუტივად გვხვდება. მაგ.,
„ქორწინება შჯულ-იერ-ი“ (39, 5);
„შჯულ-იერ-ი შეერთება“ (54, 5);
შობად-იერ-ებ-ა-ი (62, 5);
შვილ-იერ-ებ-ა-ი (55, 4);

-ეან:

წამლ-ეან-ი (13, 1).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქონების მანარმოებელი **-იან** სუფიქსი ძალზე იშვიათად გამოიყენება ძველ ქართულში (ჩიქობავა 1942: 238). ჩვენ საკვლევ თხზულებაში ორიოდ მაგალითი დადასტურდა. მაგ.,

-იან:

გემრ-იან (18, 2);
გესლ-იან (44, 5);

-ევან:

ნიკულ-ევან-ი (28, 1);

-ოსან:

ატი-ოსან-ი (52, 15);
რქ-ოსან-ი (63, 3).

თხზულებაში განსაკუთრებით ნაყოფიერია აფიქსი -ოვან. მაგ., ჯეროვანი (1 4) (ეს ფორმა ძალიან ხშირად გვხვდება ძეგლში), ახოვანი (4, 5), გემოვანი (5, 10), ფრთოვან-იქმნების (2, 3) (ეს უკანასკნელი აღწერილობითი ფორმის სახელადი ნაწილია).

შეინიშნება -ოვან სუფიქსის ფონეტიკურად გამარტივებული სახეც. ერთმანეთის გვერდით იხმარება ჯერ-ოვან-ი || ჯერ-ოან-ი. გამარტივებული ფორმა აგრეთვე ლერწმ-ოან-ი (67 3) და სხვ.

ბასილი ანკურიელის თხზულების ქართულ თარგმანში უხვადაა უქონელობის სახელები, რომლებიც ნაწარმოებია პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით. ესენია: უ-ურ (უ-ულ) და უ-ო.

უ-ურ (უ-ულ): უ-გემ-ურ (5, 10)

უ-გრძნ-ულ (7, 16)

უ-ო: უ-ალვრ-ო და უ-რცხვნ-ო (4, 8);

უ-ჯერ-ო (5, 3).

უქონელობის სახელები თხზულებაში ტერმინებად წარმოდგება. მაგ.,

უ-ჭორც-ო-მათ მით სულითა (4, 3).

უ-ჭორც-ო-მათა ღმრთისა საკუთრებასა (4, 3).

უ-ჭორც-ო-თა მათ ხელთა მიერ (13, 13).

უ-ნივთ-ო-სა მას სიყვარულსა (4, 3).

უცნებათა მათ მიერ უ-გუამ-ო-თა (5, 12).

ძეგლში გვხვდება უფროობითი ხარისხის ფორმები. ხარისხის საწარმოებლად ტექსტში გვხვდება უ-ეს და უ-ოას (იმნაიშვილი 1957: 434) პრეფიქს-სუფიქსები. ძველი ქართულისათვის ნორმად მიღებული უზ-ს ჩვენ ხელნაწერს უკვე აღარ მოეპოვება, ო-სთან კი შენარჩუნებულია ნათ. ბრ. ნიშანი -ას.

უ-ეს:

უ-ჩჩვლ-ეს (3, 24);

უ-მძაფრ-ეს და უ-ბრწყინვალეს (4, 3);

უ-მქანრ-ეს (4, 7);

უ-ლბილ-ეს და უ-წყლ-იან-ეს (18, 2).

ამ უკანასკნელ ფორმაში დასტურდება ქონების მანარმოებელი აფიქსი -იან.

უ-ო-ას:

უ-ფრ-ო-ას (3, 17).

ეს ფორმა გარკვეული სახშირით დასტურდება თხზულებაში და ყოველთვის შენარჩუნებულია -ას.

ძეგლში არის ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმები. მაგ.,

უ-მეტ-ეს-ი (3, 17);

უ-მწარ-ეს-ი (63, 3);

უ-ძვრ-ეს-ი (63, 4).

ტიქსტი გვხვდება უქონელობის სახელებიდან ნაწარმოები ხარისხის ფორმე-
ბი. მაგ., უ-უძღურ-ესი (3, 21). ორმაგი წარმოების ხარისხის ფორმა უ-უხუ(ც)ესნი
(24, 19).

თხზვა

ძველში გვხვდება ფუძეგაორკეცებული სიტყვები, რომელთა ორივე წევრი ვი-
თარებით ბრუნვაშია დასმული. ასეთი გაორკეცება აძლიერებს სიტყვის მნიშვნე-
ლობას (შანიძე 1976: 55-56). მაგ:

„მრავალნი, რომელნი იგინი სიძესა ჩუენსა ქრისტესა შეუდგან... მოღვანეთა
შორის ეკლესისათა პირად-პირადნი სახენი კეთილისანი იხილნეს“ (1, 1).

„შეხებაჲ ... ყოველსავე გუამსა ჩუენს პირად-პირადად შეარხევს“ (5, 13).

„მხატვარმან დაფარულსა სამე ადგილსა განავსის დაფაჲ ფერად-ფერადი-
თა მაგალითითა“ (30, 3).

პირად-პირადი / პირად-პირადნი, ფერად-ფერადი აღნიშნავს ნაირნაირს (შა-
ნიძე 1976: 56).

„კაცად-კაცადი ცოლსა მოყუასისა თვისა შეჰხვოდა“ (7, 3).

კაცად-კაცადი ითქმის მხოლოდ ადამიანზე და ნიშნავს „თვითეულს“, „ყო-
ველს“ (შანიძე 1976, 56; აბულაძე 1973: 340)

„მცირედ-მცირედ შეიყვარებენ“ (36, 6).

გაორკეცება ხდება ზმნიზედისაც. ოღონდ პირველი ნაწილი ნათ. ბრ.-შია,
მეორე კი - სახელობითში, მაგ., ზედაჲსზედა (44, 4).

ფუძეგაორკეცებულადაა მიჩნეული სიტყვები: შემდგომითი-შემდგომად (38,
3), სახლითი-სახლად (20, 12; 21, 1), დლითი-დღე (33, 8). ეს ფუძეები ერთსა და
იმავე ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენენ, რომელთაგან პირველი ნაწილი -ით
დაბოლოებას დაირთავს, მეორე კი - ვით. ბრ.-ის ნიშანს. არსებული თვალ-
საზრისით, -ით დაბოლოება ძველ ქართულში უნდა იყოს აბლატივის -ითი-ს
მანარმოებელის შეკვეცილი ფორმა, რომელიც ახალ ქართულში მიმართულების
მაჩვენებლად აღარ აღმოჩნდა საკმარისი და -გან თანდებული დაირთო (დღეს
უკვე -დან<იდგან<ითგან) (შანიძე 1976: 56; აბულაძე 1973: 193).

კო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი:

გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი პრინციპების გასათვალისწინებლად
საყურადღებოა თარგმანში დადასტურებული კომპოზიტების გადმოტანა ბერძნუ-
ლიდან ქართულად და პირიქით.

მთარგმნელი რთულ სახელებს რიგ შემთხვევებში გადმოსცემს ზედმიწევნით,
აღნაგობისა და შინაარსის ზუსტი დაცვით. ასეთ შემთხვევებში იგი იყენებს ქარ-
თულ ენაში არსებულ ერთეულებს, თვითონვე აკავშირებს სიტყვებს ქართულში
შემუშავებული ყალიბის მიხედვით და ასეთი სიტყვები არასდროს ტოვებს ხელო-
ვნურად შექმნილის შთაბეჭდილებას (შანიძე 1981: 310-317).

მაგალითად:

„ღმრთისმოყუარე“ -θεοφιλες;

„ღმრთისმსახურება“ -θεοσεβεια

„ოთხალი“ - το τετραχρον

თარგმნილ ტექსტში ზოგჯერ რთული სიტყვის შემადგენელი კომპონენტები გადაადგილებულია და სათარგმნი ერთეული ისეა გადმოტანილი. მთარგმნელის ოსტატობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ასეთი ოპერაცია ისევ და ისევ ქართული ენის სინმიზის დაცვას ემსახურება.

„სწავლის-მოყუარებით“ - φιλο-μαθως

„კეთილის-მოყუარებით“ - φιλο-καλως

„სულ-მოკლე“ - μικρο-ψυχως

„წინამორბედი, წინადამნდებელი“, სიტყვასიტყვით „მაჭანკალი“ - παρομυστηρως. მთარგმნელს დედანში არსებული კომპოზიტი კომპოზიტითვე გადმოაქვს, ან თავად ქმნის რთულ სიტყვას, ან ცდილობს, სინონიმური მნიშვნელობის კომპოზიტითვე გადმოიტანოს იგი.

φιληθισιუ ტექსტში გადმოდის „გემოთ-მოყუარება“, სიტყვასიტყვით კი ნიშნავს: სიამისმოყუარება;

παισυμορφως - ტექსტის მიხედვით, „მრავალფეროვანი“, საერთოდ კი ნიშნავს: მრავალსახოვანს.

πρωτοτυπος - აღნიშნავს „უძველეს“, მთარგმნელი მას უნაცვლებს მშვენიერ ქართულ სიტყვას „პირმშო“, რომელიც თავისი მნიშვნელობით დღესაც ნიშნავს პირველად შობილს, უფროს შვილს, მაგალითს (იორდანიშვილი 1934: 3-20).

რამდენიმე შემთხვევაში შესიტყვება ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელს გადმოაქვს კომპოზიტით. მაგალითად: „πολυ ειναγυως“ „მაცდუნებელი“ თარგმნილია, როგორც „მრავალმდღეღვარე“. „πρωτευουσ“ ტექსტში გადმოსულია, როგორც „პირველდაბადებული“. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა თავად შექმნა კომპოზიტი. ტექსტში გვხვდება: „τοις περι του επαιθμενιως“ ამ სიცოცხლის (სოფლის) მოტრფივალენი, მთარგმნელმა კი მათ „სოფლისმოყუარენი“ უწოდა.

ბერძნულ ტექსტებში დადასტურებული თუ წინსართი, რომელიც თავისი მნიშვნელობით უდრის „ერთად“, თარგმანებში გადმოტანილია „თანა“ წინსართით. რთული სიტყვების ასეთი წარმოება ჩვენს ძეგლშიც გვხვდება, მაგრამ მას არასდროს აქვს ხელოვნური, ენისთვის შეუფერებელი იერი, ისეთი, როგორც პეტრიწონისტულ მთარგმნელობით სკოლას ახასიათებს (ეტიუდები 1956: 255).

„თანა-შემნე“ - συ-εργως

„თანა-ენამების“ - συ-ηθιμα

„თანამოლუანე, თანამჭუვარი“ - συμπαισως

„თანა-ხატ-ექმნებოდის“ - συ-σχηματι εσθαι

ასეთი ფორმით ქართულად თარგმნილი ეს სიტყვა გვხვდება გრიგოლ ნოსელის „ქებათა-ქებათაჲს“ გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში. იგი ნიშნავს „დამსგავსებას“ და ნიშნავს, ერთი მხრივ, დედნისა და, მეორე მხრივ, ქართული ტრადიციების ერთგულებისა (კიკნაძე 1967: 59).

მთარგმნელს αυτο გამოაქვს როგორც „თვთ“:

„თვთ-მფლობელობა“ - αυτεξισια

„თვთ-მებრ“ - αυτοθεν

ეს ორივე ფორმა ბერძნულის კალკია, მაგრამ ამავე დროს არ ამცრობს ქართული ენის ბუნებას.

ბერძნული ტექსტის კომპოზიციები თარგმნილია ერთი მარტივი სიტყვით ან შესიტყვებით, მაგ:

„სიქველე“ - μεγαλιςχον

„სათნო“ - φιλαρეთς

„თავით თვისით“ - αυτοματο

„ნამალთა ფეროვანთა გამოხატული“ - χρωματο-
γραφημεν

„სიბრძნეთა მათ მოლუანებაჲ“ - φιλοσοφια

„სამგზის სანატრელი“ - τρισμακαρια

ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთარგმნელი იყენებს ქართულ მწერლობაში ოდითგანვე ეპითეტად დამკვიდრებულ უმშვენიერეს შესიტყვებას, რომელიც გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ორიგინალურ თხზულებაში „შუშანიკის ნამება“ (იაკობ ცურტაველი 1981: 21), სასულიერო მწერლობის სხვა ნიმუშებში, ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდის თხზულებებში.

აღსანიშნავია, რომ მთარგმნელი, კომპოზიციების თარგმნისას რთული სიტყვით გადმოაქვს იგი თუ მარტივით, ან იყენებს შესიტყვებებს, რომლებიც მნიშვნელობის მხრივ სრულ შესაბამისობაშია ბერძნულთან, ყოველთვის ერთგულია პრინციპისა, დაიცვას ქართული ენის სინმიხდე, გაითვალისწინოს ბერძნული ტექსტის ხასიათი და ის ტრადიციები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბერძნულთან ხანგრძლივი ზეპირი თუ მნიგნობრული ურთიერთობის საფუძველზე.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი

ნაგენტივარი მსაზღვრელის ვითარებით ბრუნვაში ძველი ქართულის ძეგლებში, როგორც ცნობილია, გვხვდება -ისა და -ისად დაბოლოებანი. ამასთან მეორე უფრო იშვიათად იხმარება (იმნაიშვილი 1957: 591).

შეიძლება ითქვას, ორივე დაბოლოება თანაბრადაა წარმოდგენილი ჩვენს თხზულებაში. მაგ.,

წინდად სარწმუნოებისად (24, 13)

ტექსტში მოიპოვება შემთხვევა, როდესაც ერთ ნაგენტივარ მსაზღვრელს ორზე მეტი საზღვრული უზის წინ. მაგ.,

ჯოჯოხეთად და სიკუდილად და მთხრებლად წარწყმედისად (42, 7);

ტრფიალად უფლისა (25, 15);

სახედ მტურისა (19, 1);

სძლად მისა (56, 18).

შედგენილი შემასმენელი

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი თხზულებაში ჩვეულებრივ წრფელობითია წარმოდგენილი, თუმცა წრფელობითის ფუნქციით გამოდის სახელობითი ბრუნვაც.

ა. წრფელობითი ბრუნვა:

1. „ნუცამცა ჰასაკი არს განუკითხველ და გამოუძიებელ“ (19, 5).
2. „ქალწულება არს მონაგებ ჭეშმარიტ“ (4, 4).
3. „იგი არს ნათელ და ცხორება და უხრწნელება და აღდგომა“ (42, 7).

ბ. სახელობითი ბრუნვა:

1. „მაიძულელებელთაი არს სასუფეველი ცათაი“ (4, 5).
2. „უკუეთუ უშვილოჲ ქურობასა მიეცეს, არცაღა ქალწული არს, არცა-დედაკაცი, და არცა-დედაი“ (23, 11).
3. „რომელი-იგი არს ღმერთი, შურისმაძიებელი, სათნოებისაი“ (19, 8).
4. „განყენებაი და უჭმარ-ქმნაი ჯორცთაი სრულიად პირუტყუებაი არს“ (8, 2).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შემასმენლის (კიზირია 1963: 97), ანუ თანასაერთის ბრუნვებს შორის ეს განსხვავება ქრონოლოგიურია და შესაძლებელია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის წრფელობითი და სახელობითი ბრუნვები ერთმანეთის პარალელურად არსებობდეს.

თხზულებაში გვხვდება შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ჩავარდნის შემთხვევები თანწყობილ წინადადებაში, მაგ:

„სალბუნ გულისთქუმისა მამათაისა არს დედაკაცი: და თუალითა ულბილეს არს მამაკაცისა და - უწყლიანეს, და - მიმზიდველ სახედველთა, და - ჳმითა უტკბილეს, და - მლიქნელ სასმენელთა, და - ჩჩულ ასოთა, და - ჳორცთა აგებულეებითა და - ყოვლითავე გუამითა, და - ხატითა, და - სლვითა ნანარ და გემრიან, და - აღმძრველ გულისთქუმათა“ (18, 2).

სავარაუდოდ, თანწყობის ადრეულ საფეხურზე შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ყველა წინადადებას უნდა ჰქონოდა. მსგავსი მაგალითები შეიძლება ბასილი ანკვირიელის თხზულება ვიპოვოთ, მაგ:

„და უკუეთუ არცა მამათა მიმართ და არცა დედათა, რომელთა შორის არს გრძნობაი ცოდვისა გულისთქუმათაი, შეიცვალებიან ვნებათა მიმართ სულნი მათნი და სრულქმნილ არს მათ შორის სიტყუაი იგი წერილისაი, და არ-ღარა არს მამაკაცება და დედაკაცება და არა არს ვნება და გულისთქუმა...“ (51, 8).

ზოგჯერ ასეთ წინადადებებს თიშავს თავ-თავისი დამოკიდებული წინადადებები. არს (არიან) შეიძლება ახლდეს მხოლოდ პირველ მათგანს.

„არა არიან ანგელოზ, რომელნი-იგი განხრწნადითა ამით ჳორცითა, ვითარცა ანგელოზნი, მოქალაქობენ, და ანგელოზ არა უჩინო, არამედ ფრიადცა საჩინო და პატიოსან“ (51, 1).

ასეთი მაგალითები არ გვხვდება გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ თხზულებაში, მაგრამ დასტურდება მის თარგმანებში, ესენია: „ექუსთა დღეთაი“ და გრიგოლ ნოსელის „თარგმანებაი ქებათა ქებათაისა“ (კიკნაძე 1967: 114-115).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შენებად“ ტიპის ფორმები ძველ ქართულში აღჭურვილნი იყვნენ პირდაპირი ობიექტის მართვის უნარით

სახელობითა და მიცემითში (შანიძე 1976: 168; იმნაიშვილი 1957: 421-422, შარაძენიძე 1956: 426-428. კიზირია 1963: 162-163). ამ მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა ინფინიტიური კონსტრუქციები ძველ ქართულში.

„იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებაში“ დასტურდება ერთი მაგალითი „ინფინიტიური კონსტრუქციისა“, ჩვენს საკვლევ თხზულებაში კი ასეთი მაგალითების რაოდენობა ბევრია.

ა. პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაში:

„არცალა ჳორცითა ჯერ-არს ქალწულად ნოდებაჲ“ (13, 14).

„თვნიერ ზაკუისა და ორგულებისა ესევეითართა გონებაჲ შეუძლებელ არს პოვნად“ (17, 6).

„არცა მას თანა-აც ესევეითარისა რაჲმე მოცემად“ (19, 1).

ბ. დამატება მიცემით ბრუნვაში:

„ამისათვის თანა-წარუვალად შევპრაცხე მათთვის, რომელთა-იგი სურის მიღებად ჭემმარიტსა მას გვრგვინსა ქალწულებისასა“ (2, 9).

„ვინაცა თანა-გუაც ძალსაცა განცდად“ (8, 10).

„ჯერ-არს ... განცდად წესსა ჭემმარიტისა ქალწულებისასა“ (12, 10).

„ჭემმარიტსა ქალწულსა უბინოთ გონებით... თანა-აც ყოვლითაგან ბინთა შეუხებელსა სიტყუასა კრძალულებით აღმოცენებად“ (20, 7).

„ვერ ძალ-ედვას ხილვად სიკეთესა სულისასა“ (36, 4).

„ჯეროვან არს თქუმად სიტყუასა მას მოციქულისასა“ (40, 6).

„მყუდროესა და დანყნარებულისა სულისაჲ თანა-აც ქონებად ქალწულსა“ (49, 1).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ X საუკუნეში ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარული კონსტრუქცია გამოდის ხმარებიდან. ბასილი ანკურიელის თხზულების გიორგისეული ქართული თარგმანის ამ თვალსაზრისით შენავლამ კიდევ ერთხელ ცხად-ყო, რომ ეს კონსტრუქციები XI საუკუნეშიც არსებობს ქართულ ენაში და ძირითადად გადმოსცემს ბერძნულ ინფინიტივსა და მის პირდაპირ დამატებას. ეს მოვლენა გვხვდება აგრეთვე გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში, გრიგოლ ნოსელის თხზულებაში, „ქებაჲ ქებათაჲსა“-ში (კიკნაძე 1967: 108-110).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ სრულებითაც არ არის ბერძნულ დედანში ინფინიტიური კონსტრუქცია, მაგრამ ქართულად ბერძნულის პირიანი ზმნის ფორმა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარით გადმოდის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატას მათეს სახარებიდან, რომელიც ქართულში პერიფრაზს წარმოადგენს.

„რამეთუ სიტყვსაებრ უფლისა ვერვის ძალ-უც ორთა უფალთა მონებად, არამედ ანუ თუ ერთი იგი მომოდულებად და მეორე შეყუარებად, ანუ თუ ერთისა მის გარეშისა განშუენებითა თავს-დებად და მომადლებად და შინაგანისა შეურაცხ-ყოფად“ (17, 8).

იმ პირობებშიც კი როცა, შეიძლება ითქვას, რომ თარგმნილი ტექსტი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ორიგინალს, მაინც შეიძლება გამოერიოს გადასმული სიტყვა, ან სულაც გაქართულებული კონსტრუქცია, მაგალითად:

"Ἡ μὲν γὰρ θυσίᾳ γάμα ζευχθεῖσα, τῆ δὲ 'ἑαυτῆς φρουτῖδι καὶ 'ετέραν τῆς τοῦ 'ανδρὸς προσλαβούσα, διδμαῖον τινα 'ἐκ μίας ψυχῆς τῆς τοῦ συμφύσεντος 'αυτῆ σάματος φρουτῖδα 'ψισταται. 'ουκετὶ τῷ 'εἰς κάμνοσα σάματι, ἀλλ 'εν μιᾷ ψυχῇ, πρὸς τε τὸ τοῦ 'ανδρὸς καὶ τὸ 'ἑαυτης, 'εν ταῖς νοσοῖς 'αἰ τεμνομένη" 23 (PG XXX 716 C).

„რამეთუ, რომელი მოკუდავსა ქორწილსა შეეყოს, თავისა თვისისა ზრუნვათა ზედა სხუათაცა ზრუნვათა ქმრისათვს შეიმატებს. და მიერთგან ორთა გუამთა ერთობისათვს მრჩობლთა ზრუნვათა შთავარდების. და არღარა ერთითა გუამითა იჭირვის, არამედ ერთითა სულითა ქმრისა საღმობათა და თავისა [თვისისათა მიმართ სამარადისოდ] განიკუთების“ (23, 2-4).

ერთგან მხოლოდ სიტყვებია გადასმული *διδμαῖον* და ა. შ.

ნანილაკებისა და კავშირების გამოყენება და მათი ფუნქციები თხზულებაში

ვინაეცა და ვინაეთგან კავშირები ერთმანეთის გვერდით გამოყენებულია წყვილად და ნიშნავს „იმის გამო, რომ“, „იმიტომ, რომ“, „რადგანაც.“

„ვინაეცა ვინაეთგან ესრეთ დიდ არს საუჯე ესე და ნიჭნი მომგებელთა მისთანი, უდიდებულეს მოძღურებასა უფლისასა დავემორჩილნეთ“ (ქალწულ. 59, 13).

ბერძნულში ამ წყვილს შეესაბამება კავშირი "επειδὴ".

-ცა მიმართებითი ნანილაკის ფუნქციით აღჭურვილია ნაცვალსახელი რაა. მაგ., „და ვითარიცა-რაა სახელი ენოდების, მნიკულად საბასრობელად შეჰრაცხოს“ (ქალწულ. 26, 2)

„უგულებელს ყავნ უკუე ყოველივე ხილული საოცრებაჲ სოფლისა ამის შუენიერებაჲ და რაოდენიცა-რაა სოფლისმოყუარეთა წინაშე სანადელად შერაცხილ-იყოს“ (ქალწულ. 26, 2).

-ცა ნანილაკის ფუნქციით გადმოდის კავშირი "και". ეს ფუნქცია უმეტესწილად ელინოფილური თარგმანებისათვის არის დამახასიათებელი (ბეზარაშვილი 2003: 67). ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გიორგი მთანმიდელისეული თარგმანი ელინოფილურია, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება "και" ორივე ფუნქციით, ის გადმოტანილია ერთდროულად „და“ კავშირითაც და -ც (-ცა) ნანილაკითაც, მაგ:

"Παρθένος οὖν ἔστα τῆς παρθένου καὶ ἡ 'ακοῆ καὶ τὸ βλέμμα, ἔτι δὲ ἡ 'αφῆ καὶ "ὄλον τὸ κίνημα" 15 (PG XXX 704 A).

„ქალწულმცა უკუე არს ქალწულისა და სასმენელიცა და ხედვაეცა, და ეგრეთვე შეხებაეცა და ყოველივე სლვაჲ და მოძრავობაჲ და აღძრვაჲ“ (15, 14).

"...παντὸς ἑπαίνου 'ὁ ζαγαφαῖσας οὖς καὶ 'ὁ ταύτην δεξάμενος τῆς γραφῆς τῆς ψυχῆς πίναξ "ἀξίος κρίνεται." 30 (PG XXX 732 A).

"რომელმან გამოხატა და ნიგნიცა იგი სულისაჲ, რომელმან ხატნი-იგი შეინყნარნა, სამართლად ღირს-იქმნენ ქებისა და ნეტარებისა" (ქალწულ. 30, 5).

ქართულ თარგმანში ყურადღებას იქცევს მიერ თანდებულის ხშირი გამოყენება. ეს თანდებული ბერძნული წინდებულების თარგმანის შედეგადაა მიღებული. ეს წინდებულება: δια, προς, επι, εξ, απο-απο, υπερ. δια: "Ὁν ἑκαστος δια τῆς ἰσείας τῶν ἁισθητηρίων ὀπιος"... 4 (PG XXX 677 B-C).

"რომელთაგანი თითოეული თვსთა საცნობელთა ნაკადულისა მიერ თვსსა მას... შეასხმიდეს" (ქალწულ. 4, 7).

προς: "πρὸς ἑαυτὸν ἑπισύρεται"...4 (PG XXX 677 B-C).

"თავისა მიერ თვსისა მიიზიდავს" (ქალწულ. 4, 7).

υπερ: "τοὺς ὑπέρ ἑαυτοῦ ἰδρᾶσι"... 4 (PG XXX 677 A).

"დათხეულთა მათ ოფლთა მიერ" (ქალწულ. 4, 3).

απο>απο: "'αφ' ἑνοῦ τοῦ Ἀδὰμ"... 3 (PG XXX 673 C).

"ერთისა ადამისა მიერ"... (ქალწულ. 3, 9).

εξ: "'εξ ἰσίγῃς γὰρ τῶν πρώτων ζῶων" 3 (PG XXX 673 B).

"მცირეთა უკუე ცხოველთა მიერ" (ქალწულ. 3, 5).

επι: "ἔξῃθεν ἑπ' ἑαυτῆς ἀμθῆ"... 3 (PG XXX 677 D).

"მათ ლუართა მიერ შეაინრონ" (ქალწულ. 4, 9).

ორმაგი უარყოფა

ორმაგი უარყოფის გამოყენების შემთხვევები გვხვდება ჩვენი საანალიზო ტექსტის ქართულ თარგმანში. ეს შემთხვევა ჩვენ მიერ შენიშნულ ყველა შემთხვევაში ბერძნულიდან ქართულში სიტყვასიტყვით გადმოდის.

"არა თუ ოდენ ვერარაჲ"... (ქალწულ. 11, 6).

"οὐ μόνον οὐδὲν" 11 (PG XXX 690 A).

"არა სათნოესა მისის არარაჲსი თანა-აც ქმნილად ყოვლადვე" (ქალწულ. 27, 14).

"οὐδὲν ὀφείλει τῶν μὴ ἀρεσκόντων ποιεῖν" 12 (PG XXX 728 A).

"ჯორცთა ზრუნვისა არა ყოფაჲ არა მარხვად განაჩინა მოციქულმან" (ქალწულ. 12, 1).

"Τῆς οὐκ ἰσχυρῶς πρὸς οὐκ ἰσχυρῶς ὀσυχ' ἀπλᾶν ἁπεφῆγασο" 12 (PG XXX 962 D).

რიტორიკული ხერხები ბასილი ანკურიელის თხზულებაში და ქართულ თარგმანში მათი გადმოტანის საშუალებები

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთანმიდელი ბასილი ანკურიელის თხზულების თარგმნისას ცდილობს, შეძლებისდაგვარად, არ დაშორდეს ორიგინალს, მიჰყვეს ტექსტს. საინტერესოა, ვნახოთ, თუ როგორ თარგმნის გიორგი მთანმიდელი თხზულების იმ მონაკვეთებს, რომლებშიც გამოყენებული რიტორიკული ხერხები მოიცავენ ლექსიკურ-სინტაქსურსა და შინაარსობრივ ხერხებს. მათგან პირველში იგულისხმება ე. წ. მცირე რიტორიკული ფიგურები, რომლებიც ემყარება სიტყვათა შიგნით ბგერებისა და წინადადების შიგნით სიტყვების განლაგებას. ესენია: ალიტერაცია, პარონომასია, პლეონაზმი (მაჭავარიანი 2004: 62) და ა.შ., მეორეში იგულისხმება ტროპის სახეები: შედარება, მეტაფორა, ეკფრაზისი და სხვ (მაჭავარიანი 2004: 62). ტროპის ეს სახეები ემსახურება იმას, რომ ავტორის მეტყველება გახდეს ექსპრესიული, სათქმელი – მხატვრული, აზრი კი – მრავალფეროვანი. გიორგი მთანმიდელი ცდილობს, შეინარჩუნოს ავტორის მთავარი მიზანდასახულობა – ყოველმხრივ გააშუქოს ქალწულის სულის უბინოების საკითხი. მსჯელობაში განჭვრეტილია ყოველი ნიუანსი, რამაც შეიძლება ცოდვით დასცეს უმანკობის მსურველის სული. მთარგმნელი ცდილობს, ასახოს ისინი თარგმანში, თუმცა ზოგჯერ შეიძლება მან ყურადღება გაამახვილოს მონაკვეთის შინაარსზე და არა მის ფორმალურ თავისებურებაზე.

ალიტერაცია

„...საშუვალსა გზასა სათნოებასათასა ვიდოდე და ყოვლით კერძო ხედევდ, თუ ვითარ-ღი განკრძალულად ხუალ, ნუ ვითარცა უგუნური, არამედ ვითარცა ბრძენი (ეფესელთა მიმართ, V, 15), რამეთუ შორის საბრჭყეთა ხუალ და ზედა გრძილთა ქალაქისა ზღუდისათა ნარპვლი“ (ეკლესიასტი, IX, 20)... (ქალწულ. 36, 20).

“ἀλλὰ μέστῃ ὀδεύσῃ τῆς ἀρετῆς, καὶ ἀπανταχοῦ βλέπων πᾶς ἀκριβῶς περιπατῆς, μὴ ἄς ἄσσοφος, ἀλλ’ ἄς σοφός, ὅτι ἔν μέσῳ παγίδων περιπατεῖς, καὶ ἑπάνω ἑπάλλεσῃ πόλεω διαβαίνεις”... 36 (PG XXX 744 A).

ბერძნული ტექსტის “μὴ ἄς ἄσσοφος, ἀλλ’ ἄς σοφός” ალიტერაცია არაა დაცული ალბათ იმის გამოც, რომ ეს კანონიკური ტექსტის ციტირება იყო და მთარგმნელი იქ ვერაფერს შეცვლიდა. სამაგიეროდ რამდენჯერმე გამეორებულია „ხუალ“ ფუძიდან ნაწარმოები ზმნის ფორმები, რაც, ჩვენი აზრით, იმავე ეფექტს იძლევა. ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციები ქართულში შეცვლილია ზმნური ფორმებით.

ალიტერაციის საინტერესო ნიმუშია მომდევნო მაგალითი, რადგან ბერძნულ ორიგინალში გამოყენებულ ამ ხერხს მთარგმნელი ქართულ ტექსტშიც ასახავს.

„და ამითჲა ჯერითა უკუეთუ დაფარვაჲ ჰნებაჲს ქალწულსა, ვიდრე სხუასა ვის დაეფარვის, მაშა ამათ დაეფარენ, რომელნი ესევეითარნი არიან და ესეოდენნი და ჭეშმარიტად ღირსნი ყოვლისაჲე შეკედემისანი. და ვინაჲთგან სიმრავლეთაგან ცოდვისა დაფარვაჲ სათნო იჩინა და ესენი ესეოდენნი არიან სიმრავლითა და დაფარვაჲ ამათგან შეუძლებელ არს, ამათგან დაჰფარევიდინ ყოველთაჲე განზრახვათა“ (ქალწულ. 29, 7).

Ἦστε καὶ κατὰ τοῦτου τὸν λόγον, εἰ λαιθάειν βούλεται τοὺς πολλοὺς ἡ παρθένος, πολλῶ πλέον τοῦ· τους τοσοῦτους τε καὶ τοιοῦτους ὑπάρχοντας, ἡ τους ἁιθῶπους ἄς εἰκὸς ἁιδεσθῆσεται. καὶ ἔπειδῆ λαιθάειν τὸ πλῆθος τῆν ἁμαρτίαν προέiletο, ἁδύνατον δὲ τοῦτους ὄντας πλῆθος λαιθάειν, ὁδῆποτέ τι τῶν μῆ ἐπιβαλλόντων ποιήσει" 29 (729 PG XXX B).

პარონომასია არცთუ იშვიათად გვხვდება ქართულ თარგმანში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხშირად ეს ბერძნულიდან არ მომდინარეობს და უმეტესად მთარგმნელს ეკუთვნის.

„ესრეთ განცხადებულად გამოვაცხადოთ“ (ქალწულ. 3, 3).

Ἔσπερ ἔν ἁιθρίῃ ἰδόντες" 3 (PG XXX 673 B).

„იდόντες“ ნიშნავს დამნახავს, ჩამთვლელს, გადმომცემს და არ გადმოიცემა ფორმით გამოცხადება. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ბუნებრივ მოვლენად აღიქმება ქართულისათვის.

„სამართლად და ჯეროვნად მიუწონდეს ჯეროვანსა სიყუარულსა“ (ქალწულ. 37, 12).

κατὰ τὸ δίκαιον ταλαντεύει" 37 (PG XXX 745 A).

„κατὰ τὸ δίκαιον“ ქართულში ითარგმნება ჰენდიადისით „სამართლად და ჯეროვნად“, „ჯეროვანსა სიყუარულსა“ კი მთარგმნელის კომენტარია. ამ შემთხვევაშიც პარონომასიის ეს შემთხვევა ქართულიდან მომდინარეობს.

„დასაბამი ყონ დასაბამად“ (ქალწულ. 38, 6).

τῆν ἀρχῆν προθεμένας" 38 (PG XXX 745 D).

„ἡ ἀρχῆ“ დასაბამს ნიშნავს ქართულად, პროტიმი-დან არის მიღებული „προθεμένας“, რაც სიტყვასიტყვით არის „წინდამდები სულები“. მთარგმნელმა გააქართულა ეს ფრაზა, მოგვცა „ყონ დასაბამად“ და ამგვარად მივიღეთ პარონომასია ფრაზაში.

ტექსტში გვხვდება ბერძნულიდან გადმოსული ნიმუშებიც პარონომასიისა. მაგ., „საცნობელთაგან შორად განიშორნეს“ (ქალწულ. 15, 1) ეს ფრაზა ზმნიზედითა და ინფინიტივითაა მოცემული ბერძნულში ἠορωτάτω ἔλαύσει" 15 (PG XXX 700 C) და ქართულშიც მიახლოებითი შესატყვისია მოძებნილი, უფრო ლოგიკური იქნებოდა „განშორებად განშორნეს,“ მაგრამ ეს დიდად არ ცვლის სათქმელის არსს.

ამრიგად, ბერძნულში შეიძლება არც კი იყოს პარონომასიის შემთხვევა, მაგრამ მთარგმნელი დამოუკიდებლად იყენებს მას.

ეპანაფორა არის ერთი და იმავე სიტყვის ან სიტყვების გამეორება ყოველ მომდევნო ფრაზაში. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გიორგი მთანმიდელი ცდილობს, შეინარჩუნოს ბერძნული ტექსტის მხატვრული ფორმა, ამიტომაც უძებნის ქართულ შესატყვისს ამ მხატვრულ ხერხს.

„რომელთამე ვითარებასა შევჰმატებდეთ და რომელთამე რაბამობასა მოვაკლებდეთ და რომელთამე განვაფიცებდეთ და რომელთამე მოვალბობდეთ და რომელსამე შევსცვალებდეთ და რომელსამე ბუნებითსა ზედა ვიჭირვიდეთ“... (ქალნულ. 9, 13).

“Καὶ ταῖς μὲν ἕως ποσότητα προστιθεῖς, τῶν δὲ ἑφαίρων, καὶ τῶν μὲν ἑπιτείνας, τῶν δὲ ἄναις διὰ τῆς ἄγῳγης τὰς ποσότητας, καὶ τὰς μὲν ἔξαλλάσσω, τὰς δὲ κατὰ φύσιν τηρῶν”... 9 (PG XXX 688 C).

პალილოგია არის სიტყვათა გამეორებაზე აგებული რიტორიკული ხერხი (ბეზარაშვილი 2003: 70).

„ვინაჲცა რომელთა **ესხნენ** ცოლ, ვითარმცა არა **ესხნეს**, ხოლო არათუ რომელთა არა **ესხნენ**, ვითარმცა **ესხნეს**, რამეთუ, რომელთა ქალნულებისა აღთქემისათჳს არა **ესხნენ** და ესრეთ იყოფებოდინ, ვითარცა იგინი, რომელთა **ესხნენ**, ქალნულებასა აგინებენ ეგევითარნი იგი. და რომელნი **ტიროდინ**, ვითარმცა არა **ტიროდეს**. და რომელთა **უზაროდის**, ვითარმცა არა **უზაროდა**, და რომელნი **იყიდდენ**, ვითარცა არა **იყიდდეს**, და რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა იმსახურებდეს, რამეთუ ნარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ“ (56, 11-12).

“Ἴνα καὶ ἰο ἔχουτες γυθαῖκας ἄς ἔχουτες ἄσι. Οὐχ ἰο μὴ ἔχουτες ἄς ἰο ἔχουτες. Ὡσπερ οὖν ἔσιν οὐ μὴ ἔχουτες διὰ παρθεῖας ὑπόσχεσιν, ἄς ἔχουτες τὴν παρθεῖαν ἔσυνβρίζουσι. Καὶ ἰο κλαῖοντες, ἄς μὴ κλαῖοντες· καὶ ἰο χαίροντες, ἄς μὴ χαίροντες· καὶ ἰο ἀγοράζοντες, ἄς μὴ κατέχοντες· καὶ χρώμενοι τῷ κόσμῳ τούτῳ, ἄς μὴ καταχρώμενοι. Παράγει γὰρ τὸ σχῆμα τοῦ κόσμου τούτου” 56 (PG XXX 781 D- 784 A).

ფრაზის რიტმული გამეორება

ყურადღებას იქცევს რამდენიმე შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სიტყვა მეორდება რამდენჯერმე. ეს გამეორება ქმნის რიტმის შეგრძნებას და გარკვეულწილად მუსიკალურადაც კი ჟღერს. მთარგმნელი შესანიშნავად წარმოაჩინს ქართულ ტექსტში ორიგინალის ამ ღირსებას.

„სული ცხოველ არს მათ შორის... მიეახლნენ ესევითარი იგი მსახურსაცა სიძისასა, უკუეთუ არღარა ცხოველ არს ჴორცთა შინა მისთა გულისთქუმაჲ დედათაჲ ... და **ცხოველ** არს არღარა იგი, არამედ **ცხოველ** არს ქრისტე მის შორის, ხოლო ესე ან **ცხოველ** არს სარწმუნოებითა, **ცხოველ** არს. იქმოდენ წესსა სათნოებათას, ვინაჲთგან ქრისტე ცხოველ არს მის შორის“... (ქალნულ. 51, 9 -52, 1-4).

“...τῆς ψυχῆς ... συζῶσης ἐν τούτοις. Καὶ ἀπῆσθα μὲν ἡ τοιαύτη τοῦ θεράποντος τοῦ νυμφίου· ἔι γε μὴ ἔτι ζῆ ἑαυτῆς ἐν σαρκὶ ἡ τοῦ θῆλεος ἡδονῆ... Ἐπειδὴ γὰρ ἑνέκρωσε τὰ μέλη τὰ ἐπὶ τῆς γῆς, καὶ ζῆ ὀυκέτι ἑαυτῆ,

τῆ δὲ 'ἐν 'αὐτῇ Χριστός, 'ὁ δὲ νῦν ζῆ 'ἐν σαρκί, 'ἐν πίστει ζῆ' παρτέτω
τὰ τῆς 'ἀρετῆς, Χριστοῦ μόνου ζῶντος 'ἐν 'αὐτῇ"...51-52 (PG XXX 772 D-773 A).

გიორგი მთაწმიდელი - "საჯათჳს" (რაც ნიშნავს „გადარჩება“) თარგმნის როგორც „ცხოველ არს,“ ნიუანსურად განსხვავებულია "ζῶντος", რომელიც ბერძნულში არის genetivus absolutus-ის ფორმა. იგი ქართულში, როგორც წესი, გადმოდის ზმნის პირიანი ფორმით.

შინაარსობრივი ხერხები

ბასილი ანკურიელის თხზულებაში უხვადაა მოცემული მხატვრული ხერხები, რომლებსაც ავტორი წარმატებით იყენებს თავის ნააზრევში ზნეობრივ-მორალური შეხედულებების გადმოსაცემად.

მხატვრული ხერხი, რომელზედაც აგებულია თხზულება, არის დაპირისპირება, **თეზა და ანტითეზა**. თემატიკის მიხედვით, თხზულებაში ერთმანეთს უპირისპირდება ღვთისაგან შექმნილი ორი საწყისი, ქალი და მამაკაცი, მინიერი და ზეციური ცხოვრება, ხორციელი და სულიერი ბუნება, ხრწნილება და უხრწნილება, ქალწული და ქალი¹, მაგალითად: „რამეთუ ვითარცა რომელი-იგი შეეყოს მეძავსა, ერთვორც არს მისთანა. ეგრეთვე, რომელი შეეყოს უფალსა, ერთსულ არს მისთანა“ (ქალწულ. 49, 10).

თხზულებაში დიდი დატვირთვა აქვს ტროპის სხვადასხვა სახეს, როგორებიცაა: მეტაფორა, შედარება, რიტორიკული შეკითხვები. ეს ყოველივე იმას ემსახურება, რომ ნათლად წარმოჩნდეს ასკეტური თხზულების შემეცნებითი, ესთეტიური და ემოციური დანიშნულება. ამ მხატვრული ხერხების გადმოსაცემად ბერძნულ ტექსტში უხვადაა გამოყენებული ბუნების ისეთი მოვლენები, რომლებშიც მოიაზრება მზე, ღამე, სიცხე, სიგრილე, წყალი, ცეცხლი, ფლორა, ფაუნა მოვუხმობთ მაგალითებს:

„და ესევითარსა რასმე ვნებასა მსგავს არს ვნება იგი მათი, ვითარცა-იგი, უკუეთუ ვითარცა კერეონისმოქმედთა კაცის სახენი ძეგლნი შექმნნეს ცკლისაგან ღამე. და მზე რაჲ აღმოჰჳდის, მცხინვარებისაგან მზისა, დადნეს-მცა და განილინეს, რამეთუ იგინი, ვიდრემდის ბნელ-იყოს და ღამე, აჩრდილსა ქუეშე ნიავისაგან ღამისა განყინულად ეგნიან სახესა მას ზედა, რომლითა გამოისახნეს და სიმტკიცესა რასმე აჩუენებდიან, ხოლო მზე რაჲ აღმობრწყინდის და თვსსა სრბასა წარემართის, სხუანი იგი ყოველნი ნერგნი და მცენარენი იზარდებიან და იშუებენ ძალისა მისგან და ნათლისა მისისა, ხოლო იგინი დადნიან და სახენი და ხატნი მათნი და ყოველივე აგებულებაჲ მათი განლიიან და წარწყმდიან“ (ქალწულ. 48, 12-13).

„ხოლო რაჟამს მოლუანე ვინმე კაცი და მასწავლელი სათნოებათაჲ და მოძლუარი, ვითარცა მზისთუალი, განთიად აღმობრწყინდის, სახენი იგი ყოველნი, რაოდენნიცა ღმრთისმოყუარისა და კეთილისა ცხოვრებისა მოგებად სურვიელ-იყვნინან, საღმრთოესა ტრფიალებისა ბრწყინვალეებითა მის მიერ აღივსნიან და

¹ თეზისა და ანტითეზის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ავტორისეული შეხედულება ქალწულის ცხოვრების მშვენიერებაზე ქალის ოჯახურ ცხოვრებასთან შედარებით. იხ. II ნაწილი, II თავი, 42-52.

თესლნი იგი სათნოებისანი დათესულნი მათ შორის აღზარდნიან და ნაყოფი გამოიღიან. ხოლო მოშურნეთა მათ იხილიან რაჲ ღმრთისმოყუარებაჲ იგი მისი სახედ მზისა შეუხებელი მათგან და უფროსლა, ვინაჲთგან ხედვი[დიან] მას განათლებულად საქმეთა მიერ სათნოებისათა, ვითარცა ძეგლთა ცვლისათა, სახენი იგი ჴორცთაჲ და სულთა მათთანი, ერთბამად შურითა აღვსებულნი, მყისა შინა განლინიან და განკვდიან და დადნიან და წარწყმდიან" (ქალწულ. 48, 15-16).

„და ვითარცა-იგი, უკუეთუ ქვაჲ ვინმე შთაადოს გუბსა შინა წყლისასა, არა ხოლო თუ მას ოდენ ადგილსა აღაშფოთებს, რომელსა შინა შთავარდა ქვაჲ იგი, არამედ მრავალგზის კიდით კიდემდე აღავსის იგი ღელვითა, ეგრეთვე ტრფიალებით მიხედვაჲ, ანუ თუ სიტყუაჲ, გულისთქუმათა ლიქნილი, შთა-რაჲ-ვარდენ სულსა ქალწულისასა, ვითარცა წყალსა წმიდასა სიღრმეთა შინა გონებისათა, ზედასზედათა ტრფიალებათა აღსძრვენ და შთავრდომილისა მის უცნებათა წყლულებითა ყოვლით კერძო ღელვითა აღავსებს“ (ქალწულ. 14, 11).

შედარებით მცირეა სამხედრო ხელოვნებასთან დაკავშირებული სახეების გამოყენება თხზულების ეპიზოდებში. მაგ:

„ხოლო უკუეთუ განუკრძალველად პოის სახლი იგი და შინაგან შევიდის და [ერთი რამე] საჭურველთა თვსთაგანი დამოჰკიდის სახლსა მას შინა: *ლაბუარი, გინა ჩაფხუტი, ანუთუ ფარი*. დაღაცათუ მოყუასთა მიმართ თვსთა განვიდის და საგონებელ იქმნეს, თუ გარეშე არს, არამედ ძალითა *საჭურველისა* მისისაჲთა, რომელი-იგი დადვა მას შინა, შინაგან არს და თვთ მან და მოყუასთა მისთა, რომელთაჲცა ინების მიყვანებაჲ მის თანა, განითვსიან სახლი იგი და განიკუთნიან. ეგრეთვე გულისთქუმისა და ცოდვისა მძვნარე იგი *მკედარი* მიმოვალს საცნობელთა სიმრგულესა შინა და სავანესა ეძიებს სადგურად თავისა თვისსა. და უკუეთუ პირველი შესავალი დაეწმას, სხვთ კერძო მიდრკების. ხოლო უკუეთუ საცნობელთაგანი რამე განუკრძალველად და განღებულად პოვის, და ვითარ შევიდის სულსა შინა, და ერთი რამე *საჭურველთა* თვსთაგანი დადვის მას შინა. ესე იგი არს *სახედველთა ლაბუარი* თუალთა მიერ შორით განმგურემელი, ანუ *ჩაფხუტი გულისთქუმათაჲ და სიტყუაჲ მაცთური შემაგინებელი სასმენელთაჲ, ანუ თუ შეხებაჲ, ვითარცა ფარი* რამე, რომელი-იგი ჴელთა მათ მიერ შეხებისათა ყოველსავე გუამსა გულისთქუმად აღატყინებს. დაღაცათუ გარეშე საგონებელ არნ, თუ არს ამისთვს, რამეთუ წუთლა საქმითა ცოდვისაჲთა არა განეხრწნის გუამი, გარნა ეგრეთცა შინაგანვე არს და ძალითა მით მის შორის დადებულისა საჭურველისაჲთა განხრწნის გონებასა“ (ქალწულ. 15, 4-5-6).

მთარგმნელი, საოცარი ოსტატობითა და სურვილით, ნათლად მიიტანოს სათქმელი მკითხველამდე, ქმნის ქართულად იმ მხატვრულ პასაჟებს, რომლებიც უდიდეს ესთეტიკურ გავლენას ახდენენ მკითხველზე. ამ ეპიზოდების თარგმანები მხატვრულობითა და სრულყოფილებით არ ჩამოუვარდებიან ორიგინალს. გიორგი მთანმიდელი არც ამ შემთხვევაში ღალატობს თავის მთარგმნელობით მეთოდს, გადმოაქვს ტექსტი გარკვეული თავისუფლებით, მაგრამ ისე, რომ ავტორისეული სათქმელი გასაგები გახადოს ქართველთათვის.

მეტაფორა ერთ-ერთი იმ რიტორიკულ საშუალებათაგანია, რომელიც გვხვდება თხზულებაში. ბასილი ანკვირელის ენა უსაზღვროდ მეტაფორულია. მაგ., ერთ-ერთ ეპიზოდში ავტორი საუბრობს „წორცის ცხენის“ შესახებ, რომელიც, მრავალფეროვანი საწარმოებით ამსუყებელი, გაიტაცებს თავის მხედარს და დაუოკებელი ძალით „კლდეთა და კაპანთ“ შემოარბენინებს. ასეთი თავანყვეტილი რბოლა შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს. ასევე მიუღებელია „წორცის ცხენის“ ისე დაუძღურება, რომ მისი ღვანლი უსარგებლო გახდეს. „წორცის ცხენში“, ცხადია, იგულისხმება სხეული, მხედარში კი – უბნოების მოსურნე.

„და ვითარცა არა ჯერ-არს მრავალფეროვანი სანოაგეთა მიერ განპოხება მისი, რაათა არა უნესოთა მათ კრთომათა მისთა მიერ ბოროტი შეამთხვოს მჭედარსა და წარიტაცოს მდულართა მით და მოუდრეკელითა ძალითა მისითა კლდეთა და კაპანთა, ეგრეთვე არცა ესე თანა-აც, რომელმან მოლუანებითა სარბიელსა ჯელ-ყოს სლვაჲ მის მიერ, რაათამცა სიყმილითა მოსრა, მოაშთო იგი და უჭმარ-ყო ძალი მისი“ (ქალწულ. 8, 5-6).

"Καὶ ἄσπερ ὅς τις τῆς πολλῆς τροφαῖς τοῦτον παῖνοντα, τῆς τῶν σκιρτημάτων αὐτοῦ ἁταξίαις κακοπαθεῖν τὸν ἠϊόχον, καὶ ἁπαντάχου περιφρέσθαι πρὸς τὴν ζέουσαν τε καὶ δύσκαμπτον αὐτοῦ δύναμιν παντελῶς ὅσκι ἁυτέχοντα ὄντως ὅσκι τὴν ἑπ' αρετὴν ὄσκι σὺν τοῦτ' ὄσκι πρὸς ἑμείνους, ὑπερβαλλούσῃ ἑμείνους πρὸς τὸ ἀχρεῖον αὐτοῦ. φημί, τὴν δύναμιν καταβαλεῖν." 8 (PG XXX 685 A).

"τῶν τῆς τῶν σκιρτημάτων... ἁταξίαις" ნიშნავს ნახტომთა უნესრიგობას, მთარგმნელს გადმოაქვს „უნესონი კრთომანი“. "ὁ ἠϊόχος" ამ ეპიზოდში გადმოდის როგორც მხედარი, თუმცა ბერძნულში ის უფრო მეტეს მნიშვნელობით იხმარება. ქართულში არ ჩანს "παντελῶς ὅσκι ἁυτέχοντα", რითაც ავტორი ახასიათებს ძალას – "δύναμις", რომელიც ერთიანად დაუოკებელია, მაგრამ ქართულში ჩნდება ბერძნულისათვის სავსებით უცნობი „კლდეთა და კაპანთა“.

როგორც ვხედავთ, თარგმანი სიტყვასიტყვით არ არის, მაგრამ შენარჩუნებულია ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსი და სათქმელის სულისკვეთება.

მეტაფორულია ეპიზოდები, რომლებშიც ავტორი ზეთისა და წყლის მაგალითით საუბრობს სულისა და ხორცის სინმიდით დაცვაზე (ქალწულ. 46, 3-6). თხზულებაში წარმოდგენილია გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სახე – ტაძარი, ანუ ქალწულის გვამი; დანერვილებითაა აღწერილი მეუფისა და მონის ურთიერთობა, რომელთაგან მონაში იგულისხმება სხეული, ანუ ხორცი, მეუფეში კი – სული. გიორგი მთაწმიდელის მიერ ავტორის სათქმელი სრულყოფილად არის მიტანილი მკითხველამდე.

რიტორიკული შეკითხვები თხზულების ერთ-ერთი თავისებურებაა. ამგვარი შეკითხვების ხვედრითი წილი განსაკუთრებით ბიბლიურ ციტატებზე მოდის. ავტორი უხვად იყენებს ადგილებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. მთარგმნელსაც გადმოაქვს ეს ადგილები ქართულად. ციტატებში, რომლებიც წყაროებშიც ძირითადად კითხვითი ინტონაციით ხასიათდებიან, უმეტესწილად, ბერძნულადაც

და ქართულადაც კითხვითი კილო შენარჩუნებულია, მხოლოდ თითო-ორიოლა შემთხვევა გვიჩვენებს, რომ მთარგმნელი ცვლის კილოს.

„ხოლო რა არს, რომლითა-იგი ქალწული სათნო ეყოფის ღმერთსა? ესე იგი არს, რაჲთა ბუნებითა მას სიკეთესა თვისსა მონაზონებისა მოღუანებათა მიერ სამარადისოდ განაბრწყინებდეს და განუბრწყინელად სცვიდეს მარადის“ (ქალწულ. 24, 4).

“Τὶ δὲ ἔστι τὸ ἀρέσκειν παρθένον Θεῷ ἢ τὸ φυσικὸν αὐτῆς καλλὸς ταῖς ἀρεσταῖς ἀσκετικῶς αἰεὶ ἀναλάμπων δεικνύσαι, καὶ ἀφθαρτον τοῦτο δι ὄλου φιλιάττειν” 24 (PG. XXX 720 B).

ბერძნულში მთელ ამ წინადადებას კითხვითი ინტონაცია აქვს, ქართულში ამის თქმა მხოლოდ წინადადების I ნაწილზე შეიძლება.

„ეგრეთ სახედ, უმჯობეს იყო, უკუეთუმცა პირველ ქალწულებისა აღთქუმისა განეცა ვისდამე თავი თვისი და შეყოფილ იყო და დაემონა გულისთქუმათა და ვიდრელა ან თქუმად, ვითარმედ ჯერ-არს ჩემდა ქორწინებად, ვითარცა ძისა კაცისა მიცემად, ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ გარდაჰჴდეს იგი აღთქუმათა სიძისა თვისისათა და გულისთქუმა თვისი აღისრულოს“ (ქალწულ. 41, 6-7).

როგორც ვხედავთ, ქართულ ტექსტში რიტორიკული კითხვითი ინტონაცია სრულიად იგნორირებულია, ბერძნულში კი მთელი პასაჟი კითხვითი ინტონაციითაა გადმოცემული. აი, ისიც:

“Ὁυ κατὰ τὸν ὁμοιον τρόπον ἔκριεν ἡ πρότερον τῆς παρθένιας ὑποσχόμενη, μεταθεμένη δὲ αὐτῆς ἀμφράω τινὲ ἐῖς ἡδονῆς ἀπόλαυσιν ζῆνξαι, καὶ λέγει· Δεῖ με γαμῆθῆναι, ἄς τὸν Ἰὺν τοῦ ἀμφράου δεῖ παραδοθῆναι· ἀλλὰ ὅσαί, δὶ ου ἔκεινη τὰς πρὸς τὸν ὑμφίον παρᾶβασα συσθήκας, τῆς ἑαυτῆς ἐπιθυμίαν πλήροι” 41 (PG XXX 752B).

ამრიგად, გიორგი მთანმიდელის თარგმანებში ბასილი ანკკრიელის რიტორიკული სტილის გაანალიზებამ ნათელ-ყო, რომ მთარგმნელი არ ღალატობს თავის მთარგმნელობით მეთოდს. ის მკირეოდენად ავრცობს ან ამოკლებს სათქმელს, ცვლის ზოგიერთ მონაცემს, რომ მკითხველისათვის საინტერესოდ წარმოაჩინოს სათქმელი, შეინარჩუნოს ქართული ენის ბუნება.

გიორგი მთანმიდელი კარგად იცნობს სათარგმნ მასალას, შესისხლბორცე-ბული აქვს თხზულების სტილი, მხატვრული ღირებულება. თარგმანის ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვივის, რომ მას არ სურს, მიიჩქმალოს ის მხატვრული და რიტორიკული ხერხები, რომლებსაც ავტორი იყენებს, ამიტომ მაქსიმალურად აჩვენებს ბასილი ანკკრიელის სტილისტურ თავისებურებებს თავის თარგმანებში.

ძეგლის ლექსიკა

ჩვენი საკვლევი ტექსტის ჩატარებული მთარგმნელობითი მუშაობის შეასანაველად საინტერესოა თარგმანში დადასტურებული ბერძნული ლექსიკა. დედანში არსებული ლექსიკის გადმოტანისას საინტერესოა შემთხვევები, რომლებიც უთარგმნელად ბერძნული სიტყვებით გადმოდის ქართულში, ან დედანში არსებულ სიტყვებს თარგმანში შეესაბამება სინონიმური მნიშვნელობის ბერძნულივე ნასესხობანი. ზოგჯერ ბერძნული სიტყვები ქართული ენის ნიაღში არსებული მათი ბერძნული შესატყვისებით გადმოდის.

გიორგი მთანმიდელს უთარგმნელად გადმოაქვს:

- ანგელოზი - აγγελοσ;
- ბარბაროზებრ - βαρβαρικας;
- ეპისკოპოსი - τον επισκοπον;
- ეპიტროპი - επιτροποις;
- ლამპართა - λαμπαδη;
- მალნიტი - μαλυτις;
- მოქლონთა - μοχλοις;
- ორლანოა - οργανο;
- სტრატოტი - στρατατι;
- სკნიდისი - συσδησις

ბერძნული სიტყვა ბერძნული სინონიმური ლექსიკური ერთეულითაა თარგმნილი ტექსტში:

- ემბაზი - το λουτρον
- ლიტონი - απλοσ

მთარგმნელს ბერძნულიდან ხან უთარგმნელად გადმოაქვს სიტყვა, ხანაც ქართული შესატყვისით:

λαμπαριος - ნათელი

συσδησις - გონება

ბერძნულიდან ქართულად ტექსტის გადმოტანისას ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელები. ფრიად საგულისხმოა მათი ქართულად გაფორმება ტრაქტატში. პირველი საკუთარი სახელი ბერძნული ტექსტის ბერძნული სათაურში გვხვდება. შემდეგ ავტორი მთელ თხზულებაში მსჯელობისას იმონებს ციტატებს ან მოაქვს პერიფრაზები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, უთითებს მახარებლების,

მოციქულების, ბიბლიური პერსონაჟების სახელებსაც. აი, ის საკუთარი სახელები, რომლებიც გვხვდება ბასილი ანკვირელის ნაწარმოებში:

- Χριστος – ქრისტე;
- Ληθιος – ლიტოიე;
- Αδαμ – ადამი;
- Παυλος – პავლე;
- Δαβν – დავითი;
- Μαρκιασ – მარკიონი;
- Ιωσηφ – იოსები

როგორც ითქვა, ტექსტში არსებული ყველა საკუთარი სახელი საინტერესოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად უნდა მივაპყროთ ყურადღება საკუთარ სახელს - ლიტოიე (Ληθιος) (შათირიშვილი 2001: 195). თავის თხზულებას ავტორი უძღვნის ეპისკოპოს ლიტოიეს. მისი სახელი ბერძნულ ტექსტში ორჯერ იხსენიება: პირველად ბერძნული ტექსტის სათაურში "προς Ληθιοιον επισκοπον" ... მეორედ კი მაშინ, როდესაც ავტორი მიმართავს მას "'Εγώ δὲ σοι, 'επισκόπου ' ομάρχη Ληθό'ι'ε"... 1 (PG XXX 672 A), ქართულში მხოლოდ – ერთხელ: „ხოლო მე, ეპისკოპოსთა შორის ზიარო სულისა ჩუენისაო, ლიტოიე“... (ქალნულ. 1, 2).

ბერძნული ტექსტის სათაურში ეს საკუთარი სახელი დატივიშია, ხოლო ტექსტში კი – ვოკატივიშია. მთარგმნელმა სახელი ვოკატივის ფორმით გადმოიტანა ქართულში და დაამკვიდრა. ამ შემთხვევაში მან გამოიყენა ტრადიცია იმისა, რომ -ის დაბოლოებიანი სახელები გადმოიცემა ქართულში ენ-იანი ბოლოკიდურით (ყაუხჩიშვილი 1956: 151).

საერთოდ, ენ-ით დაბოლოებული სახელების ხმარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან და ამ გავრცელების მიხედვით შემოდის საკუთარი სახელები, რომლებიც ბერძნულში -ბჯ ზეა დაბოლოებული, ქართულში კი -ე-ზე. ქართველებმა ეს სახელები ლოცვა-ვედრების მეშვეობით გაიცნეს. ბუნებრივია, ღვთისადმი და წმინდანთა მიმართვაში გამოიყენებოდა ვოკატივი, მაგ, Χριστος (nom.), Χριστε (voc.) ეს სახელები ჯერ ზეპირი გზით, შემდეგ კი წერილობითი თხზულებების მეშვეობით შემოვიდა ქართულში, შემდეგ კი -ბჯ ზე დაბოლოებულ სახელთა გადმოცემის ნორმად დამკვიდრდა. ასევე უნდა შეთვისებულიყო სახელები: პავლე, პეტრე და სხვ (ყაუხჩიშვილი 1956: 151). ჩვენ მიერ მოხმობილი მაგალითი კი ცოცხალი ნიმუშია ამ პროცესისა.

ტექსტის თარგმანი არ არის გადატირთული ბერძნობებით, გათვალისწინებულია ქართული ენის ლექსიკა და ტრადიციები, დაცულია ქართული ენის სინამინდე. მთარგმნელი ემყარება დედანს, ანგარიშს უწევს ლექსიკური ერთეულების გავრცელებასა და ტრადიციას ქართულში, იმის მიუხედავად, შესულია ეს სიტყვები ქართულში ზეპირი თუ წერილობითი გზით.

თარგმანში ბერძნული სიტყვებისა და საკუთარი სახელების გადმოტანა გარკვეულ წესებს ემორჩილება (ყაუხჩიშვილი 1926: 67-77; გიორგი მთაწმინდელი 1946: 80; კახაძე 1947: 064-067).

ბერძნული ε იძლევა ი-ს, υ კი – ვ-ს:

თქმის - სიმა

სახედიც - სჯინდისი

γ მთარგმნელისათვის არის ლ. ლ-თი გაფორმებული მრავალჯერ დასტურდება სიტყვა „ორ ლანო“, თარგმანში ასევე გვხვდება „მალნინტი“. χ-ს შემცველი სახელები წარმოდგენილია ქ-თი: μοχλιδ - მოქლონთა. - იც დაბოლოება ხან -ოს-ს შეესიტყვება, ხან -ოზ-ს: ბარბაროზებრ - βαρβαρικος, ეპისკოპოსი - του επισκοπου;

როგორც ვხედავთ, ბერძნული ტექსტის ლექსიკა და მისი გადმოტანა ქართულში მეტად საინტერესო სურათს იძლევა, მაგრამ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სინონიმების გადმოტანაზე.

სინონიმები

ძეგლის ლექსიკური მარაგის დახასიათებისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მასში უხვად მოიპოვება სინონიმური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ზოგჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობისანი არიან სხვადასხვა კონტექსტში, ხან კი ერთმანეთის გვერდით ავსებენ ბერძნულ ოდენობას და მიუთითებენ გიორგი მთაწმიდელის, როგორც ბრწყინვალე მთარგმნელის, ენის ხატოვანებასა და გამომსახველობით სიძლიერეზე.

ძეგლისთვის ნიშანდობლივია, რომ სინონიმური ნწყვილები ერთმანეთს უკავშირდებიან მაჯგუფებელი და კავშირით. მაგ., „ლოცვა და ვედრება“ (ქალწულ. 16, 5) და სხვ.

ზოგჯერ სინონიმები და ჰენდიადისები ქმნიან მაპირისპირებელკავშირთან ნწყვილებს:

და გინათუ: „გინათუ მკვეალი იყოს და გინათუ უაზნო და გინათუ მკოდავი და მთხოელი“ (ქალწულ. 26, 3).

უარყოფითი ნაცვალსახელისა და ნაწილაკის დართვის შემთხვევაში სინონიმები ერთიანდებიან „არავინ-არცა“, „ნუმცა-ნუცა“, „ყოველსავე-ყოველსავე“, „ანუ-ანუ“ კავშირებით:

არავინ-არცა: „არავინ ჰყვეს მსაჯული, არცა განმკითხველი, არცა შურისმძიებელი, არცა გამომწულიღველი ქცევათა და აღძრვათა“ (ქალწულ. 19, 8).

ანუ-ანუ: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესა? ჭირმან, ანუ ინროებამან, დევნამან, ანუ სიყმილმან, შიშულოებამან, ანუ ჭირმან, ანუ მახვილმან?“ (25, 14).

ყოველსავე-ყოველსავე: „ყოველსავე თავს იდებდ, ყოველსავე მოითმენდ“ (ქალწულ. 25, 5).

ზოგჯერ სინონიმებს აერთიანებს ამხსნელი წინადადება. ამ ხერხს გიორგი მთაწმიდელი მაშინ მიმართავს, როცა საქმე ეხება უცხო სიტყვას:

„... კომენტი ეწოდების, რომელ არს მალემწერალი“ (ქალწულ. 31, 10).

ამ ხერხს მთარგმნელი იყენებს მაშინაც, როდესაც განმარტავს ზეციური სიძის ღირსებებს: „სიძესა, ხოლო თვისა შეეყოსა, რომელი-იგი არს ღმერთი შურისმადიებელ სათნოებისა“ (ქალწულ. 19, 8).

გიორგი მთაწმიდელის თარგმანში გაერთიანებულია სხვადასხვაგვარი წარმოებისა და აღნაგობის სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც ის აღწევს დიდ გამომსახველობით ძალას. ტექსტში „ქალწულებისათვის“ წყვილად გვხვდება:

არსებითი სახელები:

- სახისა და პირისაგან განვარდების (3, 2)
- ასოჲ და კერძოჲ (3, 2)
- პირუტყუთა და ოთხფერჯთა (3, 10)
- თევზთა და ყოველთა მცურვალთა (3, 10)
- სახენი რაჲმე და ხატნი (5, 1)
- უბანთა და ფოლოცთა (19, 11)

ზედსართავები:

- უმძაფრეს და უბრწყინვალეს (4, 3)
- ტკბილთა და ჰამოთა (5, 9)
- ტკბილთა და გემოვანთა (5, 10)
- შუენიერი იგი და სახეკეთილი (16, 9)

ზედსართავი სახელებისაგან შედგენილ შესანიშნავ სინონიმურ წყვილთა ნიმუშს წარმოადგენს ნაწყვეტი ბასილი ანკკრიელის თხზულებიდან: „...სალბუნ გულისთქუმისა მამათაჲსა არს დედაკაცი; და თუალითა ულბილეს არს მამაკაცისა და – უწყლიანეს და მიმზიდველ სახედველთა, და – ჳმითა უტკბილეს_და მლიქნელ სასმენელთა, და – ჩჩვლ ასოთა და ჳორცთა აგებულებითა, და ყოველითავე გუამითა და ხატითა, და სლვითა – ნანარ და გემრიან, და – აღმძრველ გულისთქუმათა“ (18, 2).

ნაცვალსახელი:

- ესევითარნი (არიან) და ესეოდენნი (29, 7)

ზმნები:

- ხედავს და ჳმართებს (3, 2)
- შეარყევს და აღელვებს (5, 13)
- დააცხრობდეს და განჳლევდეს (8, 1)

მიმღეობები:

- შენყობილი და მორთული (9, 11)
- განუკითხველი და გამოუძიებელი (19, 5)
- დანყნარებული და მყუდროჲ (20, 16).

უაღვროდ და ურცხვოდ (4, 8)

ჩჩვლად და ნანარად (5, 9)

შიშით და ძრწოლით (20, 3)

ბასილი ანკკრიელის თხზულების თარგმანზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სინონიმურ წყვილებში სიტყვათა შერჩევის რამდენიმე სტილისტურ ხერხთან გვაქვს საქმე. შეწყვილებულია მსგავსი წარმოების სიტყვები, ზმნები ან მიმღებობები ერთნაირი ზნისწინებით. ისეთი შეწყვილება, როდესაც ხდება ნაწილების მანარმოებელთა ბგერობრივი, ალიტერაციული დამთხვევა, ემოციური ზეგავლენის შენანიშნავი საშუალებაა, რადგან ფრაზას კეთილხმოვანებას ანიჭებს, ამგვარი სინონიმური წყვილების მეშვეობით გამოთქმულ აზრს კი ექსპრესიულობა ემატება.

უ-ფრო-ა-ს და უ-მეტ-ეს (24, 4)

უ-მრავლ-ეს-ნ-ი და უ-უხუ-ეს-ნ-ი (24, 13)

უ-კრძალველ-ად და უ-რიდ-ად (14, 3)

სი-ჩქურ-ს-ა-ც-ა და სი-ვერაგე-ს-ა (19, 12)

სე-ვითარ-ნ-ი (არიან) და ესე-ოდენ-ნ-ი (29, 7)

თანა-ხატ-ექმ-ნენ და თანა-ენამ-ნენ (13, 14)

თანა-მოჰასაკე და თანა-მჭუყარი (5, 10)

მო-უ-მძველ-ებ-ს და მო-უ-მანქნ-ებ-ს (16, 7)

და-ჰსნ-ა-ე და და-რლუეე-ა-ე (8, 8)

წინა-მორბედი და წინა-დამწინდებელი (14, 4).

აბსტრაქტული ცნებების გამოხატვისას მთარგმნელი პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოების ერთ ცალთან აწყვილებს სუფიქსური წარმოების მეორე ცალს. მაგ.,

სი-მტკიც-ე და ძლიერ-ებ-ა-ე (3, 15)

სი-ლალ-ე და ზუა-ობ-ა-ე (16, 3)

სი-მწნ-ით და აჰოვნ-ად (19, 1)

სი-რცხვლ-ით-ა და ყუედრ-ებ-ით-ა (21, 7)

სი-რცხვლ-ის-ა და გან-ქიქ-ებ-ის-ა (30, 7)

ეს ბოლო მაგალითი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების სინონიმური ცალების შეწყვილების ნიმუშია. თარგმანში ვხვდებით სუფიქსური წარმოების წყვილების გაერთიანებასაც.

ლმობიერ-ებ-ა-ე და წყალ-ობ-ა-ე (3, 15)

მყუდრო-ებ-ა-ს-ა და მშვდ-ობ-ა-ს-ა (8, 11)

ზაკუ-ის-ა და ორგულ-ებ-ის-ა (17, 6)

ზოგჯერ წყვილის ერთ-ერთი წევრი არის ზმნა, ხოლო მეორე წევრი შედგენილი შემასმენელი, ან შესიტყვება, რომელიც ძირითადად იმავე შინაარსს გამოხატავს. მაგ.,

„უღელი ქმრისაგან განაგდოს და უჰმარ-ექმნეს ცხორებასა“ (19, 9).

„შეაურვებენ და ლმობიერ-იქმნებიან“ (22, 7).

„სოფლისა ზრუნვასა განეშოროს და ჯორცთა გულისთქუმისაგან უცხო-ყოს სული თვისი“ (22, 14).

„გულსავსე-ყოს და ერჩედეს“ (25, 9).

„წმიდა-ყოს იგი და განწმიდოს“ (45, 9).

„იავარ-ქმნან და წარსწყმედენ“ (46, 4).

ერთსა და იმავე ოდენობას ერთი წევრი გადმოსცემს დადებითი ფორმით,

მეორე კი – უარყოფითი ფორმით, მაგ:

უშუერ და საძაგელ (30, 7)

სინმიდით და უბინოდ (19, 1)

უჯეროსა და ცუდსა (19, 12)

ურიდობაჲ (თანა-აც) და კადნიერებაჲ (20, 10)

პატიოსნებისა და უბინოებისა (34, 4).

პატიოსნად და ქალწულად (20, 3)

ბოლო ნიმუშში სინონიმური წყვილი დადებითი ფორმით არის მოცემული.

უნესოჲ და არანმიდაჲ (15, 10)

ზემოთ მოყვანილ წყვილში მოცემულია უარყოფის ნაწილაკებით წარმოებული სინონიმები.

ზოგჯერ სინონიმებს თიშავს წინადადების სხვა წევრები. მაგ.,

„განიტკსიან სახლი იგი და განიკუთნიან“ (15, 4).

გამოყენებულია დაპირისპირების ხერხიც. მაგ., „არა ხოლო თუ უქმობასა, არამედ სიჩქურსაცა და სივერაგესა ზრახვენ“ (19, 12).

ტექსტში ქალწულებისათვის გვხვდება სინონიმური სამეულებიც. ზოგჯერ ბერძნულის ნეიტრალური შინაარსის სიტყვას მთარგმნელი სამი შესატყვისით თარგმნის და მისეული სათქმელიც გაცილებით ექსპრესიულია, ვიდრე ავტორისა.

„გემოთმოყვარებაჲ და ნაყროვანებაჲ და გულისთქუმაჲ“ εὐεργεια-ს თარგმანია (6, 1).

„მჭმუნვარენი, მგლოვარენი და ღმობიერებითა აღსავსენი“ (22, 7). ფაქტიურად ერთი ტერმინის "κατηίδας γέμουσαι"-ს თარგმანია.

აღსანიშნავია, რომ „და“ კავშირით შეერთებული წყვილები ორცნებიანი კომპოზიტების შექმნის ერთ-ერთი წყაროა. ჩვენს ტექსტში ორცნებიანი შერწყმული კომპოზიტები ძალიან ცოტაა. ესენია:

მამა-დედანი (25, 17)

„მამალ-დედლობითა“ (3, 6).

ეს ფორმები ორი ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტებია, რაც საინტერესოა კომპოზიციის ისტორიისათვის.

ამრიგად, თარგმანში გიორგი მთაწმიდელი მოხდენილად არჩევს და მრავალფეროვანი საშუალებებით უკავშირებს ერთმანეთს სინონიმურ წყვილებს, რაც კიდევ უფრო გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებს ძეგლს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

* * *

ბასილი ანკრიელის თხზულებაში „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათვის“ ყურადღებას იქცევს რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომელთაგან

ზოგი იშვიათად გამოიყენება ძველ ქართულ მწერლობაში და ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ გამოიყურება ჩვენს საკვლევ თხზულებაში. ესენია: „სიმია“, „კომენტი“, „შაბათობნ და შაბათობა“, „ეზოხსმოდლუარი“.

ტექსტის ერთ მონაკვეთში საუბარია სულისა და გონების მოძრაობაზე, გონების გავლენის შესახებ სულზე, რომელსაც შეუძლია გამოხატოს „მის ზედა (იგულისხმება სული) კეთილი გინა ბოროტი“. ამ აზრის ნათელსაყოფად ავტორი ჩვეულებრივ მანერით მოუხმობს პარალელებს, იშველიებს წერიტი ხელოვნების ერთ-ერთი სახეობის – სიმითწერის – აღმნიშვნელ ტერმინებს და იუწყება:

„ესე ყოველი, ვითარცა ფიცარსა შინა აღწერილი, გამოწულიღვით გამოჩნდეს მაშინ განცხადებულად და საცნაურად. და არა ხოლო თუ საქმით სრულ-ქმნილნი, არამედ რომელნი-იგი წუთლა საქმით ვერ სრულ-იქმნენ წიგნსა მას შინა სულისა-სა აღწერილნი გონებანი, რამეთუ არცა რაჲ არს სხუად წერილი სულისაჲ თვნიერ გონებისა რაჲსმე მის ზედა გამოსახული მოგონება“ (ქალწულ. 31, 5).

„და ვითარცა, რომელმან-იგი სიმით წერისა ჴელოვნებაჲ ისწავოს, ყოველთა მათ სიმითა სახე და სახელი და გუარი... სულსა შინა თვსსა უტვრთავს გამოსახულად...“ (ქალწულ. 31, 6).

მსჯელობისას გამოყენებული ლექსემები, სიმით წერასთან დაკავშირებული სიტყვები უკავშირდება დამწერლობათმცოდნეობის საკითხებს.

„სიმია“ ყურადღების მიპყრობას მოითხოვს თავისი მრავალნაირი მნიშვნელობის გამო. სიმია ყოფილა ქრისტეს საოცრებების, სასწაულების აღმნიშვნელი ტერმინი, რომ გამოევიწინა მისი ღვთაებრიობა; მახარებლების დროში სიმია აღნიშნავდა რწმენის გავრცელებას არამორწმუნეთა შორის. ორიგენეს მიხედვით, *სემია/სიმია* არ აღნიშნავს რაიმე არაჩვეულებრივს. სხვა მწერლები *სიმიას* განიხილავენ როგორც რაღაცის ქმედებას, რომლის ეფექტიც არის ბუნების მიღმა. თუმცა ის საშუალებები, რომელთა წყალობით იგი გამოჩენილ-იქნა, არის სასწაულებრივი (Lampe 1968: 1231).

„სიმიას“ მნიშვნელობათა ვრცელ ჩამონათვალში მითითებულია, რომ ეს ლექსიკური ერთეული აღნიშნავს ასევე საზომ ერთეულს, ასტროლოგიურსა და მათემატიკურ ნიშანს, დრომას და სხვ. სხვადასხვა ლექსიკონებიც მიუთითებენ ჩვენთვის საინტერესო ლექსემის მრავალ მნიშვნელობაზე (Lampe 1968: 1231).

ზემოთ თქმულის გარდა, სიმია არის ემბლემა, კვალი, სიგნალი (პირობითი ნიშანი), სამანი, ბეჭედი, სტენოგრამული – მალემწერლობის ნიშანი (Дворецкий 1958: 1470).

ეს ლექსემა ცნობილია ქართული დამწერლობათმცოდნეობისათვის. სიმია ეწოდებოდა სწრაფი საუბრის საგანგებო ნიშნებით წერას, სიმოგრაფოსი კი იყო ადამიანი, რომელიც ამ ნიშნებით წერდა, ე. ი. აკეთებდა ე.წ. სტენოგრამას, რომელიც გაცილებით გვიანდელია (ჯავახიშვილი 1949: 130).

ბერძნულად "το σημειον" ეწოდება ნიშანს, გამოითქმოდა „სიმიად“. ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება სიმოგრაფოსის შესატყვისობაც. ეს არის სიტყვა „სიმიათა-მწერალი“.

„სიმია“ შემოკლებული წერის აღმნიშვნელ ტერმინად არის ნახმარი „შატბერდის კრებულში“ (ყაუხჩიშვილი 1923: 184-185).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სიმია არის წერტილი“ (ორბელიანი 1993: 90), ხოლო „სიმიათამწერალი-წარსაგებლის მწერალი, გინა მონასმენის მწერალი“ (ორბელიანი 1993: 90).

ეს სიტყვები გვხვდება „რიფსიმიანეთა მარტილოპის“ ქართულ თარგმანში (აბულაძე 1960: 153). „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ შეტანილია „მალე-მწერალის“ განმარტება, რომელიც აღნიშნავს „ჩქარა მწერალს“ (აბულაძე 1960: 309). ლექსიკონში განმარტებულია ლექსიკური ერთეული „მწერალი“ (აბულაძე 1960: 391), სინონიმებით: „მალე-მწერალი“, სიმიათ-მწერალი“, ხოლო „სიმიათ-მწერალი“-ს, „სიმოგრაფი“-ს, „სემეიოგრაფი“-ს განსაზღვრისას გამოყენებულია ლექსება „მწერალი“ (აბულაძე 1960: 90). „სიმიათმწერალი“-ს ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ზ. სარჯველაძე. „სიმიათმწერალი“ არის ნიშანთა მწერალი (სწრაფად მწერალი) (აბულაძე 1960: 197), „სიმით“ კი – სწრაფად (აბულაძე 1960: 197).

„სიმია“ დასტურდება „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ტექსტში. იგი ნიშნებით წერას გულისხმობს: „წერდეს სიტყუათა მათ სიმით“ („იოანე ოქროპირის ცხოვრების“... თარგმანი 1986: 92).

„სიმეა/სიმია“ მათემატიკურ ნიშანს, წერტილს აღნიშნავს ამონიოს ერმისის ერთ-ერთ თხზულებაში. მაგ. „ლრ]ა[მმი განინიალების სიმეაესაგან“ (ამონიოს ერმისის თხზულებები 1983: 217). „ლრამი შერწყმულ არს...წერტილი“-აქ უკვე სწორი ხაზის შემაერთებელს აღნიშნავს (რაფავა 1983: 234).

„სიმია“, როგორც შემოკლებული წერის აღმნიშვნელი ტერმინი, დადასტურებულია გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქებათა-ქებათაჲსას“ გიორგი მთაწმიდელის თარგმანში, რომელიც შეტანილია XI საუკუნის კრებულში (ხეც A-55-ში 73r-165v). ამავე კრებულში დასტურდება „სიმია“, როგორც წერის აღმნიშვნელი ტერმინი: „ვიეთმე ჩუენ თანა მყოფთა სწავლისმოყუარეთა აღწერნეს სიმიათა“ (ხეც A-55, 75v)...

ეს სიტყვა ნიშნების წერის მნიშვნელობით არაერთგზის დასტურდება ჩვენს საკვლევ ტექსტში. საილუსტრაციოდ მოვუხმობთ დედანსაც და თარგმანსაც:

“Καὶ ὡς ὁ τῆν σῆμειογραφικῆν τέχνην μαθῶν, πάντων τῶν σημείων τὰ σχήματα καὶ τὰ ὀνόματα, ἅλλα καὶ τοὺς τύπους τῶν ὀκτάδων φέρει καὶ τετράδων ἐν τῇ ψυχῇ τυπωσάμενος, καὶ πρὸς τῆν χρείαν τῶν ὑπαγορευομένων διὰ τῆς χειρὸς τὰ ἐν τῇ ψυχῇ ταῖς μνήμαῖς ἔγγεγραμμένα ἐπὶ τῆς δέλτου δεικνύει” 31 (PG XXX 733 A).

“Et quemadmodum qui artem notarum didicit, omnium notarum figuras et nomina, atque etiam octadum formas et tetradum in anima impressas habet, et ad usum eorum quæ dictantur, per manum ea, quæ memoris inscripta sunt, in tabula ostendit”...31 (PG XXX 733A).

„და ვითარცა, რომელმან-იგი სიმითწერისა ჳელოვნებაჲ ისწავოს, ყოველთა მათ სიმიათა სახე და სახელი და გუარი რვაშეკობრთა მათ გინა ოთხმწეობრთა სულსა შინა თჳსსა უტკრთავს გამოსახულად საჭმარად თჳსად და მისათხრობელად და ჳსენებისამიერ სულსა შინა აღწერილთა მათ ჳელითა მიერთა აღწერითა წიგნთა შინა წარმოაჩინებს“ (ქალწულ. 31, 6).

მოყვანილი მაგალითიდან ნათელია, რომ ავტორი ვრცლად ლაპარაკობს ამ სახეობაზე და მას „სიმითწერის წელოვნებას“ უწოდებს, რომელსაც ბერძნულად შეესაბამება "της σφαιροειδούς τέχνης". ამ მაგალითში სიმით წერის ხელოვნების რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტია მითითებული.

1) სიმით წერა, როგორც ირკვევა, მოითხოვდა თითოეული ნიშნის მოხაზულობის, სახელწოდებისა და რაობის, ტიპის ცოდნას, ანუ „სახეს, სახელსა და გუარს“ (ქალწულ. 31, 6).

2) ნიშნებით, ანუ სიმით წერისას, როგორც ჩანს, ჩანაწერს თავისი გარკვეული ფორმა ჰქონდა. ნიშნები იწერებოდა „რვამწყობრად ან ოთხმწყობრად“ (ქალწულ. 31, 6).

ნიშნების რვამწყობრად და ოთხმწყობრად წერის ანალოგს ვერ წავაწყდით. მაგრამ ძველ ქართულ საიდუმლო დამწერლობათაგან ჩვენი ყურადღება მიიქცია კრიპტოგრაფიულმა ანბანმა, რომელშიც გვხვდება ერთ, ორ, სამ და ოთხ მწყობრად შესრულებული ხაზები თავზე წერტილებით.

ეს სისტემა ყველაზე გავრცელებული ყოფილა სომხურში, მას ეწოდება „სვეტოვან-ხაზოვანი“ დამწერლობა, რადგან ჩანერა ხდებოდა ვერტიკალური ხაზებისა და მათ თავზე განლაგებული წერტილების მეშვეობით. ხაზები მიუთითებდა ერთეულებზე, ათეულებზე, ასეულებსა და ათასეულებზე, მარჯვენა მხარეს დასმული წერტილები კი ასოებზე შესაბამის რიგში. „სვეტოვან-წერტილოვანი“ დამწერლობა გვხვდება ორ ხელნაწერში Q-1459 და S-436 (ათანელიშვილი 1982: 368-369; 175-177).

არსებობს სიმოგრაფის, სიმიათამწერალის, მალემწერალის კიდევ ერთი სინონიმი – ნოტარი notarios-ი, რომელიც აღნიშნავს ასევე მწერალს, მდივანს, სწრაფმწერალს, სტენოგრაფს, სასამართლო თხოვნათა შემდგენელს (გაბიძაშვილი 1978: 26; სქ.21). ეს სიტყვა დასტურდება ბასილი ანკურიელის თხზულების ლათინურ თარგმანში. ის სიმოგრაფოსის, სიმიათამწერალი-ს ეკვივალენტია თარგმანში. სპეციალური ლიტერატურაც ადასტურებს ამას. მაგ. σοταριος, ου, ο – ნოტარიუსი – σοφραεις, σφαιροειδης... – ნოტარი (Sophocles 786); მდივანი, ეპისკოპოსის მდივანი (Lampe 1965: 922-923), ლათ. notarius (Liddell 1968: 105).

საქმე ის იყო, რომ III მსოფლიო კრებიდან დაწყებული კრებათა მსვლელობის დროს დგებოდა ზუსტი „სტენოგრაფიული“ ჩანაწერები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს „მსოფლიო კრებათა აქტების“ სახით (Liddell 1968: 26 შენ. 20).

კრებას ჰყავდა მთავარი ნოტარიუსი (ქართული თარგმანით „ნოტარი“), დღევანდელი ტერმინოლოგიით არის მდივანი, რომელიც თავისი ხელქვეითი ნოტარიუსების დახმარებით აწარმოებდა კრების მსვლელობის დაწვრილებით აღწერას. გარდა ამისა, თითოეულ ეპისკოპოსს ახლდა საკუთარი ნოტარი, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენდა თავისი ეპისკოპოსის წარმოთქმული სიტყვის ზუსტი ჩანერა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელი ეპისკოპოსის ნოტარიუსს არ დაემახინჯებინა ან შეგნებულად არ გადაეკეთებინა მისი სიტყვა (Liddell 1968: 26).

საფიქრებელია, ქართულ სინამდვილეშიც არსებობდნენ ნოტარები, რომლებიც, მაგალითად, აღნუსხავდნენ რუის-ურბნისის მსველელობას. ქართულ სინამდვილეში ნოტარიუსების დამადასტურებელი შეიძლება იყოს ათონის ივერთა მონასტრის ალაპებში დაცული ცნობა: „თუესა აპრილსა კჳ ალაპი არს სვიმონ ნოტარისა ქართველისა“ (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, 1901 წ., 233) (გაბიძაშვილი 1978: 26; შენ. 21). წერა, როგორც თხზულებით ვიგებთ, ხდებოდა საგანგებო სანერი ჯოხით, ანუ „სანერელით“ („το γραφείον“) (Lampe 1961: 120). ავტორი პარალელს ავლებს სანერელით გამოსახულ სიმის ნიშნებსა და სულზე აღბეჭდილ თვისებებს შორის.

„და რომელი-იგი წარმოაჩინა, სიმიაჲ სანერელითა გამოუნერა, ხოლო რომელსა-იგი ჴელითა ვერ ენიფა აღწერად, სულსა შინა აღწერითა დაუუნჯებოეს“ (ქალწულ. 31, 8)...

“καὶ ἂ μὲν ἔδειξε σεμεία τῷ γραφείῳ χαράξας, ἂ δὲ μὴδέπω διὰ χείρος δειχθέντα, ἔν τῇ ψυχῇ ὁμας ἀπογεγραμμένα ἀπόκειται” 31 (PG XXX 733 B).

მეორე ლექსემა, რომელიც ყურადღებას იქცევს საკვლევ თხზულებაში, არის **კომენტი**. იგი მხოლოდ ერთხელ გვხვდება ტექსტში. როგორც ავტორი გვამცნობს:

„დალაცათუ არა წერდეს ჴელი სიმიასა, არამედ სახელთა მათ მიერ სიმისათა კერძო აღწერილ არს სული. და რომელმან განსძარცუნეს ჴორცნი, იხილოს, რომელსა იგი კომენტი ეწოდების, რომელ არს მალე მწერალი, ყოვლით კერძო აღწერილ და გამოსახულ სიმიათა მათ მიერ.“ (ქალწულ. 31, 10)

“Ὡς οὖν καὶ μὴ γράφῃ ἡ χεὶρ τὰ σημεῖα, ὁμας τοῖς σχήμασι τῶν σημείων ἡ ψυχῇ ὁλη ἀπανταχοῦν καταγεγραπτα· καὶ ὁ απαδύσας τὸ σῆμα ἔδει ἂν αὐτὴν τῷ λεγομένῳ κομμέντῳ πᾶσαν καταγεγραμμένην” 31 (PG XXX 733 C).

“commento inscriptam” 31 (PG XXX 733 C).

„კომენტი“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ უცნობია არა მარტო ქართულისათვის, არამედ თვით ბერძნულისათვისაც. იგი არ არის განმარტებული დღეისათვის არსებულ ძველი ქართული ენისა და ძველბერძნულ ლექსიკონებში. ამგვარი გაფორმებით, ეს სიტყვა ქართულ წერილობით წყაროებში, ბასილი ანკვირელის თხზულების გარდა, ჯერჯერობით არსად გვხვდება. როგორც ჩანს, მთარგმნელმაც კარგად უწყოდა, რომ ქართველ მკითხველს გაუჭირდებოდა ამ სიტყვის მნიშვნელობის გაგება, ამიტომაც თარგმანში მოუცია განმარტება, რომ კომენტი „...არს მალე მწერალი“. ამ შემთხვევაში უნდა ვენდოთ მას.

მართალია, კომენტი ამ გაფორმებით სხვა ტექსტებსა და ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დასტურდება ფორმა „კომენტარი“, რომელიც „მალემწერალს“ აღნიშნავს (ორბელიანი 1991: 382).

სიტყვა „კომენტარი“ გვხვდება XI-XII სს.-ებით დათარიღებულ ძველ ქართულ ტექსტებშიც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი არის სვინაქსარი H-1661, გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი, გადაწერილი 1156 წელს. მასში ვკითხულობთ:

1. „ათანასე კომენტარი (ხეც. H-1661: 95r, სტ. 24) სარწმუნოებით მოვიდა“...

2. „ამასვე დღესა წსენება წმიდისა ზოსიმე მონაზონისა და მონამისაჲ და ათა-ნასე კომენტარისაჲ“ (ხეც. H-2211: 136r, სტ. 20-21)

3. ვევედრა კომინტარსა (ხეც. H-2211; 21v;22) მას, რომელსა მიჰყვანდეს“...

XI საუკუნეში გადაწერილი, სვინაქსარში, მოიპოვება ეს სიტყვა შემდეგი გაფორმებით:

1. „მრავალნი მოიყვანნა ქრისტეს სარწმუნოვებად, რომელთაგანი იყო კომენტარისი (ხეც. H-2211: 168r; 17-18) და შემწე ელადიოს“...

2. „ვევედრა კომენტარისსა (ხეც. H-2211: 21v) მას, რომელსა მიჰყვანდეს, რათა შეჰრთოს იგიცა მათ თანა“...

XI-XII სს. მეტაფრასულ კრებულში S-384-ში ვკითხულობთ:

„ხოლო ერმან ვინმე მუნ მდგომარეთაგანმან სახელით სოფრონიოს, პატივითა კომენტარისმან (ხეც. S-384: 733v; 510) არათუ სინყალულითა რაითმე მონამისათა, არამედ ლიქნობითა მთავრისათა და ყოვლისათა, იწყოს სიტყუად წმიდისა ესრეთ“...

XII საუკუნის კრებულში S-417, რომელიც მოიცავს მეტაფრასულ ცხოვრებებს, გვხვდება ფრაზა:

„...მიმგებელმან პილასიოს კომენტარისიოსმან (ხეც. S-417: 194 სტ.3) ჰრქუა მთავრისა“...

მოცემულ ნიმუშებში ოთხი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდა ჩვენთვის საინტერესო სიტყვა. ესენია: კომენტარ-ი, კომინტარ-ი, კომენტარის-ი, კომენტარისიოსი. ამ ჩამონათვალს თუ დავუმატებთ ბასილი ანკურიელის თხზულების ფორმას კომენტი გვექნება ხუთნაირი ვარიანტი ერთი და იმავე სიტყვის წარმოებისა, რომელიც სწრაფად ჩანერის თანამდებობას აღნიშნავს. მას რომ ნამდვილად ეს მნიშვნელობა აქვს, ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს S-384 ხელნაწერის ერთ-ერთი თხზულება, რომელიც იუწყება ვინმე სოფრონიოსის შესახებ, რომელიც ყოფილა „პატივითა კომენტარისი“.

ეს სიტყვა ლათინურიდან უნდა იყოს შესული ბერძნულში და დამკვიდრებული სხვადასხვა გაფორმებით (Дворецкий 1976: 209-210). მაგ., ფორმაში კომენტარისიოს-ი შენარჩუნებულია ხელობის აღმნიშვნელი ლათინური აფიქსი -იუს-ი ბერძნული ელფერით.

სხვადასხვა გაფორმებით არის წარმოდგენილი იგი ძველ ბერძნულშიც. κομμενταριος (-αριος, -αριος), ο; κομμενταριον, το, ლათ, commentarium, რაც ნიშნავს სტენოგრაფიის სისტემას (Lampe 1961: 766; Sophocles 678; Liddell 1968: 86).

ჩვენი აზრით, ჩვენს საკვლევ თხზულებაში დადასტურებული ფორმა κομμεντα არის κομμεντου, ου το - κομμεντος დატივის ფორმაა, რომელიც მთარგმნელმა უთარგმნელად გადმოიტანა ქართულში და დაურთო სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

სიმოგრაფოსი, ანუ სიმიათამწერალი და კომენტი ნიშნავს მალემწერალს.

ამრიგად, ბერძნული წარმოშობის ფორმა სიმია აღნიშნავს ნიშანს, სიმოგრაფოსი, ანუ სიმიათამწერალი და გაბერძნულებული ლათინური კომენტი, რომლის სხვადასხვა ვარიანტები შეგვხვდა ქართული მწერლობის ნიმუშებში,

სინონიმებია, აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა, ერთმანეთის გვერდით გამოიყენება. ასევე მათ გვერდით იხმარება ნოტარი. ყველა ეს ლექსემა მნიშვნელობით არის მალემწერალი.

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ორიოდე ლექსიკურ ერთეულზე. ესენია: „ეზოესმოძღუარი“, „შაბათობნ“.

ეზოესმოძღუარი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურითაა ცნობილი, გამოყენებით სხვადასხვა უცხო ტერმინის გადმოსაცემად.

აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ იგი არამეული სიტყვაა და რეალურად შეესაბამება *επιτροπιδ*-ს (შანიძე 1941: 181-186). ქართულ ოთხთავში (იმნაიშვილი 1986: 156) „ეზოესმოძღუარი“ *“επιτροπιδ”*-ს შესტყვისადაა გამოყენებული და „მოურავი“-ს, „მზრუნველი“-ს ტოლფასია. მაგ:

მათე 20, 8 „ჰრქუა სახლისა უფროსმან ეზოეს-მოძღუარსა თვსსა...“

“Λεγει ο κυριος του αμπελαιοσ τω επιτροπω αυτου”...

ლუკა 8, 3 „და იოჰანა, ცოლი ქოზაისი, ეზოისმოძღურისა ჰეროდესი“...

“Και Ιωαννα γυνη Χουδα εποτροπου Ηρωδου”..

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეზოესმოძღუარი ეწოდებოდა მამულის, ქონების მომვლელს (ყაუხჩიშვილი 1941: 173-176). საბას მიხედვით, „ეზოესმოძღუარი“ არის „საგანგოთა განმგებელი“ (ორბელიანი 1991: 232). „ძველი ქართ. ენის ლექსიკონში“ ეს სიტყვა ნიშნავს „ათასისთავს, სასახლისმთავარს“; შდრ: „მოძღუარი“ (აბულაძე 1973: 146, 286)

ხშირად ეპიტროპი ქართულ ტექსტებში უთარგმნელად იხმარება. მაგ: გიორგი მთანმიდელი თავის ორიგინალურ თხზულებაში იყენებს სიტყვა ეპიტროპს, რომელშიც იგულისხმება მზრუნველი, შეფი (გიორგი მთანმიდელი 1946: 26).

ეს სიტყვა ერთხელ გვხვდება ბასილი ანკვირიელის თხზულებაში. იგი უთარგმნელადაა დატოვებული ტრაქტატში: „არა თუ ნუგეშინისცემაჲ ხოლო არა აქუს ბოროტთა მათოვს მოწვენულთა, არამედ ნათესავთაგანცა და მონათა და მეანდერძეთა და ეპიტროპთა, შვილთა განმგედ დატევებულთა, და თვთმებრ მრავალგზის მათვე შვილთაგან გან-რაჲ-მწყსნენ“... (ქალნულ. 23, 14)

ამ ნაწყვეტში ავტორი მსჯელობს ქალნულისა და გათხოვილი ქალის ცხოვრებაზე, იმ საფრთხეებზე, რომლებიც გათხოვილ ქალს ემუქრება დაქვრივების შემდეგ. ამ შემთხვევაში ეპიტროპში იგულისხმება, როგორც ტექსტშია მითითებული, არა სამეურნეო საქმიანობით დაკავებული მოხელე, არამედ მზრუნველი, მეურვე, რომელიც იქნება დაობლებულის მეთვალყურე მის სრულწლოვანებამდე.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ეზოესმოძღუარი აღნიშნავს პატარძლის ძმობილს, ხელისმომკიდეს (ყაუხჩიშვილი 1952: 70). მას ბერძნულში შეესაბამება *“συμφαγιοιδ”*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს პატარძლის გამცილებელს (Вайсман 1899: 853; Дворещкий 1958: 1141). ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსიკური ერთეული გიორგი მთანმიდელის „ქებათა-ქებათაჲსაჲ“-ს თარგმანში (კიკნაძე 1967: 127-131). ქორწინებასთან დაკავშირებული ტერმინია იგი ჩვენს საკვლევ ტექსტში და ტრაქტატში რამდენჯერმე გვხვდება.

1. "Ἀγαπᾶν οὖν δεῖ τοὺς πρὸς τὸν συμφίον παρακαλοῦντας, ἄλλὰ δεῖ τὴν ἀγάπην δικαίαν καὶ μὴ συγκεχυμένην ποιεῖσθαι, ἵνα μὴ τοὺς ὑπὲρτας τοῦ συμφίου, ἀπὸ τοῦ συνηχῶς ἀκούειν αὐτῶν τὰ περὶ τοῦ συμφίου λαλοῦντων, ἰσους τοῦ συμφίου ἀγαπήσασά ποτε, καθέλη μὲν τὸ ἀξίωμα τοῦ συμφίου, τοῦ δὲ συμφαγαγού", τῷ τοὺς ἰσοτίμους τῷ Δεσπότη "ἀγειν, ἀδικήσῃ τὰ μέγιστα" 37 (PG XXX, 744 B).

„ჯერ-არს სიყუარული სულიერთა მოძღუართაჲ, არამედ მართლითა სიყუარულითა და შეუმრღუეველითა, რათა არა ზედასზედა სწავლისა და სმენისა მათისაგან სიძისათჳს სწორად სიძისა შეიყუარნე იგი და დაჰსწნა პატივი სიძისა და ეზოჲს მოძღუარნი პატივისა მეფისასა აღიყვანნე და დიდი სავნებელი მოიტყუა“(ქალნულ. 37,1).

2. "Καὶ οὖν δεῖ ἀμθράπων κρυπτομένη ὄψιν, ἀγγέλου τοῦ τῆς ἐπιμέλειαν τῆς σωτηρίας ἡμῶν πεπιστευμένου καταφρονεῖν. καὶ μάλιστα τῆς παρθένου, συμφαγαγὸν ἄσπερ τῆς παρθένιας τοῦτου αὐτὸν καὶ φύλακα ἔχουσαν" 29 (PG XXX 729A).

„და ვინმცა კაცთაგანმან შეურაცხ-ყო დაფარული იგი პირი ანგელოზისაჲ, რომლისადა რწმუნებულ არს მოლუანებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ და უფროსლა ქალნულისა ეზოჲს მოძღურებისა განმგებელი და მცველი ქალნულებისა მისისაჲ“(ქალნულ. 29, 4).

3. "Ἐφ' ἑαυτὸν δὲ αὐτῆς τὸν ἔρωτα ἔκ τῆς συνηχοῦς ὀμιλίας μεταθεῖναι σπουδάζει, ἔν συμφαγαγού ἰσόμεναι τε καὶ σχήματι μοιχὸς τῆς σύμφης πανούργου γινόμενος" 37 (PG XXX 745 B).

„ზედასზედა ზრახვით მით მისითა ტრფიალებასა მას მისსა თჳსა მომართ მოცვალებად ღონე-ჰყოფს და ეზოჲს მოძღურისა და მოძღურისა სახელითა და სახითა მემრუშედ სძლისა მრავალ მანქანად და ვერაგობით გამოჩნდების“(ქალნულ. 37, 14).

ეს სიტყვა გადმოდის როგორც ეზოჲს მოძღუარი, ეზოჲს მოძღურებისა განმგებელი, ეზოჲს მოძღუარი და მოძღუარი სამივე შემთხვევაში ქორწინებას უკავშირდება. შინაარსის მიხედვით, საუბარია ქალნულისა და ღვთის კავშირზე, რომლის შუამავლადაც ეზოს მოძღვარია გამოყვანილი. საფიქრებელია, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ეზოჲს მოძღუარი ქორწინების ფაქტს უკავშირდება იმ მომენტით, რომ იგია ქორწილის განმგებელი, მოძღვარი.

ამრიგად, ცხადია, რომ მთარგმნელი შეგნებულად არ თარგმნის $\epsilon\pi\tau\rho\pi\alpha$ -ს ქართულად, ტოვებს ისე, როგორც არის ბერძნულში, რომ მკითხველი არ დააბნოს და ორივე ლექსემას თავისი ადგილი და მნიშვნელობა მიუჩინოს თავის თარგმანში.

შაბათი, შაბათობა ლექსემები „შაბათი“ (σάββατον, τὸ) (Lampe 1968: 1220) და „შაბათობა,“ „შაბათობნ“ (σαββατίζω) ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით არის ცნობილი. ბიბლიური წიგნები, ძველი და ახალი აღთქმა აშკარად მეტყველებენ ამაზე:

შაბათი დანესებულია ღვთისაგან (დაბ. 2,3; გამ. 16, 29);

ახსნილია მისი დანესების მიზეზებიც (დაბ. 2,2-3);

მეშვიდე დღე არის დანესებული შაბათისათვის. შაბათი არის ალთქმის ნიშანი, შაბათი არის ზეციური დასვენების სახე (ებრ 4, 4-9) (Lampe 1968: 1220); შაბათს არ უნდა იმუშაო (გამ. 16,29-30); არ უნდა იყიდო (ნემ. 10,31); არ უნდა ზიდო ტვირთი, არ შეიძლება სახლიდან გამოსვლა; უნდა სრულდებოდეს ღვთისმსახურება (რიცხ, 28,9; ფსალმუნი 91,1-4); უნდა იკითხებოდეს წმინდა წერილი, უნდა იქადაგებოდეს ღვთის სიტყვა. შაბათი კაცისათვის არის გაჩენილი და არა კაცი შაბათისათვის (მარკ. 2,27)

(ბიბლიის 297).

შაბათობით ნებადართულია ისეთი საქმეების კეთება, რომლებიც დაკავშირებულია ღმრთისმსახურებასთან (იოანე, 7,22-23), კეთილი საქმეების ქმნა (მათ. 12,12), აუცილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება (მათ. 12, 1-5; მარკ. 2, 20-23).

ებრაელთა შაბათი იწყებოდა იწყებოდა პარასკევს საღამოთი (მარკ. 15, 42). პირველ ეკლესიაში შაბათის დღესასწაული შეიცვალა კვირით (იოანე, 20, 19-26; I კორინთ. 16,2)(ბიბლიის 297), მაგრამ გამონათქვამი შაბათი და შაბათობა იდარჩა.

ეს ფორმები გვხვდება ბასილი ანკურიელის თხზულებაშიც. მაგ., „...ამას იტყვს უფალი, ვითარმედ საჭურისთა მათ, რომელნი იმარხვიდენ შაბათთა ჩემთა და აღმრჩეველთა მისთა, რომელი მე მნებავს და მმარხველთა შჯულისა ჩემისათა, მივსცეთ მათ სახლსა შინა ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა... სახელი საუკუნო... და არა მოაკლდეს“. ამას უფალი მხოლოდ აღუთქვამს მათ, „რომელნი იმარხვიდენ შაბათთა“ (ქალწულ. 58, 1-2).

„ხოლო შაბათი არა უქმობასა შინა, არამედ მოქმედებისა. უქმობასა შინა იხილვების, რამეთუ შაბათობა მნებავს ქალწულისა გარნა არათუ რაითა უქმებით იმარხვიდეს ქალწულებასა, არამედ რაითა უქმობასა შინა ვნებათასა და უხრწნელებასა ქალწულებისასა დაუცხრომელად შურებოდის, საქმეთა სიმართლისათა და მცნებათა უფლისათა აღასრულებდეს“ (ქალწულ. 58, 3).

„ხოლო უკუეთუ სარეცელსა თვსსა ზედა შაბათობდე, წმიდად დაიცვა ესე და ესრეთ გაქუნდეს პატიოსანი ესე საუნჯე ქალწულებისა, რამეთუ არათუ ახლითა რაითმე და უცხოთა ღონისძიებითა მოუპოვო ესე თავსა თვსსა, არამედ უკუეთუ ეგო უხრწნელად და ქალწულად, ვითარცა იმეც საშოთგან, ყოველთავე წინაშე სამარადისოდ კეთილ იყო“ (ქალწულ. 59, 10).

ზემოთ მოყვანილი ტექსტი აშკარად მიანიშნებს, რომ შაბათის დაცვაში, ანუ შაბათობაში იგულისხმება არა უქმად ყოფნა, არამედ მოქმედება, ანუ ღმრთისმსახურება, ცოდვისა და ამსოფლიური საქმეებისაგან თავის შეკავება, უხრწნელებით დაუცხრომელი შრომა მართალი საქმისათვის, უფლის მცნებათა აღსრულება.

ამრიგად, თხზულების მიხედვით, შაბათის დაცვა, ანუ შაბათობა არის უბინოებისათვის ზრუნვა ლოცვითა და ღვთის განდიდებით.

დასკვნები:

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ქართულ მეცნიერებაში სრულიად შეუსწავლელი იყო ბასილი ანკვრიელი, როგორც მოღვაწე და ავტორი, ისე მისი თხზულების – „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“ – ქართული თარგმანი.

2. წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ მთელი ძველი ტრადიციის თანახმად, ბასილი დიდის სახელით ცნობილ თხზულებაში „ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“ უნდა დავინახოთ მანამდე დაკარგულად მიჩნეული ბასილი ანკვრიელის ტრაქტატი, რაც უმრავლესობისათვის (გარდა A. Vaillant-ისა) მისაღები გახდა.

3. ისტორიულ-ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

ა. IV საუკუნის II მესამედში მოღვაწეობდა სამი ბასილი ანკვრიელის ზედწოდებით. ცხადია, სამივე ერთდროულად ანკვრიის ეპისკოპოსი ვერ იქნებოდა. სახელებისა და ზედწოდებათა დამთხვევის მიუხედავად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ისინი სხვადასხვა მოღვაწენი არიან. მათგან მხოლოდ ერთია ეპისკოპოსი, ჰომოიუსიანელთა მეთაური, ყოფილი ექიმი, თხზულების „ქალწულებისათჳს“ ავტორი, სასულიერო წრეებში ფრიად აღიარებული პირი ბასილი ანკვრიელი, რომელიც არასდროს შეურაცხავთ წმინდანად, მონამედ. მეორე ბასილი ანკვრიის ხუცესი (პრესვიტერი) არის მღვდელმონაშემ, აღსრულებული 22 მარტს (28 ივნისს), ხოლო მესამე მონამე ბასილი ხუცია, ანკვრიელ-კესარიელი, რომლის მოხსენიებაც I (2) იანვარს ხდება.

ბ. ბასილი ანკვრიელის თხზულების ავტორად ბასილი დიდის გამოცხადების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მართლმადიდებლის სახელს ამოაფარეს მოკვეთილი, გაძევებული არიანული მრწამსის ავტორის – ბასილი ანკვრიელის – ის ტრაქტატი, რომელიც დიდად იყო პოპულარული და გასანადგურებლად არ ემეტებოდათ.

გ. მეტაფრასული თხზულების – „ბასილი ანკვრიელის წამების“ – შესწავლით (მეტაფრასში აღწერილია ბასილი ხუცესის მოქალაქეობა და ღვაწლი), მასში აღნიშნული ერთი ისტორიული ფაქტის შეჯერებით ეპისკოპოს ბასილი ანკვრიელის ცხოვრებასთან და ეკლესიის ისტორიაში არსებული მოვლენების გათვალისწინებით, გაირკვა, რომ ეს ორი პიროვნება ერთმანეთის წინაშე უნდა წარმდგარიყო ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციით 335-336 წწ. გამართულ საეკლესიო კრებებზე პალესტინასა (იერუსალიმსა) და კონსტანტინოპოლში.

4. „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ შესწავლამ ბასილი ანკკრიელის მსოფლმხედველობის გასაცნობად, ნათელ-ყო, რომ მისი სამედიცინო განათლება, ფიზიოლოგიის ცოდნა, რომელიც ემყარება IV საუკუნის მონინავე და პროგრესულ შეხედულებებს, შესანიშნავადაა ასახული თხზულებაში და ემსახურება ზნეობის ქადაგებას. ავტორის პრინციპია სულიერი ჯანმრთელობის მოპოვება და შენარჩუნება სხეულის სიმრთელეზე დაყრდნობით.

5. თხზულების ისეთი ფიზიოლოგიური ცნებების შესწავლამ, როგორებიცაა: „ქალწულება“, „ქალწული“, „საჭურისობა“, „საჭურისი“ გამოავლინა, რომ მათში იგულისხმება უქორწინებლობა, უხრწნელება; „ქალწულად“ შეიძლება იწოდოს უბინოდ მცხოვრები ორივე სქესის წარმომადგენელი. ქალწულება არის:

ა. ანგელოზური ცხოვრების წესი. თუ ადამიანი დაძლევს ფიზიკურ სიამოვნებას, ნაყროვანების სიტკობებს და ამ წუთისოფელში ხორციელი ინროებით წარმართავს თავის ცხოვრებას, შესაძლებელია ლაპარაკი ანგელოზთა მიბაძვაზე.

ბ. ქალწულება უფრო სულიერი უპირატესობაა, ვიდრე ხორციელი, რის საჩვენებლადაც არის შექმნილი ეს თხზულება. ხოლო ვისაც სურს ქალწულების გვირგვინის დადგმა, მან უნდა შეიმეცნოს ჭეშმარიტება, უბინოების უდიდესი ღირსების არსი.

6. თხზულებაში მოცემული შედარება უქორწინებლობისა და ქორწინების შესახებ წარმოაჩენს ავტორის შეხედულებას, რომელიც არაერთგზის იმეორებს, რომ ქალწულების სიკეთე უფალს ყველასათვის არ დაუნესებია სავალდებულო მცნებად – იგი დაანესა პატივად სათნოებისმოყვარე სულისათვის და მორწმუნეს მისცა არჩევანის საშუალება ბუნებასა და მცნებას შორის. რჯული არ კრძალავს ქორწინებას, უფალმა ადამიანის ნებას მიანდო უხრწნელების სურვილი, რადგან ეს შესანიშნავი ღვთისმოყვარე სულისაა და განსხვავდება ქორწინებისაგან.

7. სხვადასხვა გააზრება აქვს თხზულებაში ცნებას „საჭურისობა“. „საჭურისობა“, „გამოსაჭურისება“ არსებობს სამი სახისა:

ა. დაბადებით საჭურისობა;

ბ. ღვთისათვის გონებით გამოსაჭურისება;

გ. თავის ფიზიკურად გამოსაჭურისება ღვთის სიყვარულისა და უბინოების შენარჩუნების სურვილით.

საჭურისობის ამგვარი სახეობა განსაკუთრებული გაციცხვისა და გმობის საგანი იყო ისტორიულადაც და თხზულების მიხედვითაც. საჭურისთაგან გამორჩეულად დაფასების ღირსია ის, ვინც გონების გამოსაჭურისებით, ღვთაებრივ უხრწნელებას ეზიარება. საჭურისობა, ქალწულების მსგავსად, არის ანგელოზური ცხოვრების წესი.

8. ბასილი ანკკრიელის თხზულების „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის“ ქართული თარგმანის შემცველ ხელნერთა კოდიკოლოგიურმა და ტიპოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა 4 ნუსხა (ABCD), რომლებითაც

ქართული თარგმანია მოღწეული. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ნუსხათა ამგვარი ურთიერთმიმართება:

ა. ABC ნუსხების არქტივის უნდა წარმოადგენდეს გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფი Ath-49, ანუ D ნუსხა.

ბ. ის განსხვავებანი, რომლებიც A ნუსხაში გვხვდება, შეიძლება იყოს ან გადამწერისეული, ან მომდინარე ტექსტის იმ დედნიდან, რომლითაც ის სარგებლობდა.

გ. BC ნუსხათა იკითხვისები, ვარიანტული ცვლილებები გადამწერთა შეგნებული თუ მექანიკური სწორების შედეგია.

დ. ოთხივე ნუსხაში მრავლადაა ორთოგრაფიული სხვაობანი, რაც უმთავრესად განაპირობებს კიდეც მათ განსხვავებულობას.

9. ბასილი ანკურიელის თხზულების ბერძნული რედაქციების (AT28) ნუსხებს შორის არსებული განსხვავების შესწავლამ, ქართული თარგმანის სავარაუდო ბერძნული დედნის დადგენის მიზნით, ნათელ-ყო, რომ გიორგი მთანმიდელის ხელთ არსებული ბერძნული ნუსხა არ მიეკუთვნებოდა განსხვავებული რედაქციის ტექსტს. ეს უნდა ყოფილიყო ბერძნული AT28 ჯგუფის რომელიმე ხელნაწერი, საკმაოდ კარგად გამართული პირი.

10. თხზულების მთარგმნელობითი მეთოდის კვლევამ გამოავლინა სავარაუდო მთარგმნელი – გიორგი მთანმიდელი, რაც რალურად დადასტურდა კიდეც მოგვიანებით, კერძოდ, მას შემდეგ, რაც საკვლევი ძეგლი აღმოჩნდა გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფში, Ath-49-ში.

11. კვლევისას გამოიკვეთა გიორგი მთანმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის უკვე დადასტურებული თავისებურებანი. მთარგმნელი დინამიკურ-ეკვივალენტური თარგმანის მიმდევარია. იგი ბრმად არ ემონება დედნის ყველა ელემენტს. მას შეუძლია გაავრცოს, დააზუსტოს ან შეცვალოს ბერძნული ტექსტის მონაცემი. ეს კი იმისთვის სჭირდება, რომ გასაგებად მიიტანოს მკითხველამდე თხზულების შინაარსი და ამავე დროს დაიცვას ქართული ენის ბუნება.

12. ტექსტის თარგმანში ბასილი ანკურიელის რიტორიკული სტილის გაანალიზება ნათელყოფს, რომ გიორგი მთანმიდელი არ ლალატობს თავის მთარგმნელობით მეთოდს, ის მცირეოდენად ავრცობს ან ამოკლებს ტექსტს, ცვლის ზოგიერთ მონაცემს, რომ მკითხველისათვის საინტერესოდ წარმოაჩინოს სათქმელი, დაიცვას ქართული ენის ბუნება. გიორგი მთანმიდელი კარგად იცნობს სათარგმნ მასალას, შესისხლხორცებული აქვს თხზულების სტილი, მხატვრული ღირებულება. თარგმანის ყოველი სტრიქონით ნათელი ხდება, რომ მას არ სურს, მიიჩქმლოს ის მხატვრული და რიტორიკული ხერხები, რომლებსაც ავტორი იყენებს. ამიტომ მაქსიმალურად აჩვენებს ბასილი ანკურიელის სტილისტურ თავისებურებებს თავის თარგმანებში, თუმცა ზოგჯერ ცალკეულ რიტორიკულ ხერხს (პარონომასია, რიტორიკული შეკითხვები) ბერძნულისაგან დამოუკიდებლადაც კი იყენებს.

13. ბასილი ანკურიელის თხზულების გიორგი მთანმიდელისეულ თარგმანში საინტერესო სურათს ქმნის ბიბლიური ციტაციის გადმოღება. უპირველესად, თხ-

ზულების თარგმანის მიხედვით აშკარა და თვალსაჩინოა, რომ მთარგმნელი უმეტესად მიჰყვება ავტორს, ისე, რომ არ იყენებს ბიბლიის კანონიკურ ტექსტს._

14. საკვლევი ტექსტის ენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელის თარგმანი ბასილი ანკვრიელის თხზულებისა „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტი უხრწნელებისათჳს“ არის გართულებული ვრცელი პერიოდებით, დიდი მოცულების რთული წინადადებებით, მაგრამ ეს არ იწვევს აზრის გაბუნდოვნებას. თარგმანი ძირითადად იცავს კლასიკური ენის ნორმებს, მაგრამ ამასთანავე ავლენს სიახლისადმი მიდრეკილების ნიშნებსაც (ე ხმოვანი მტკიცე ნორმადაა ქცეული ე-ზე ფუძეგათავებული საზოგადო სახელების სახელობითსა და ადამიანთა ამავე დაბოლოების მქონე სახელების ნათესაობით ბრუნვებში. ზოგჯერ გამარტივებულია ზმნისწინები: აღ-, წარ-. ერთმანეთის პარალელურად ტექსტში წარმოდგენილია ძველი და ახალი ფორმები ზმნისა „ჰქონან“, „აქუნდეს“), რაც არის ასახვა ძველი ქართული ენის ისტორიული განვითარებისა.

15. ძეგლში გამოყენებული ლექსიკა, სიტყვათწარმოების საშუალებები ეყრდნობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს, თუმცა ატარებს სიახლის ნიშნებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1982: აბულაძე ი., აგათანგელოსის „რიფსიმიანეთა მარტილოზის“ ძველი ქართულ თარგმანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, 1960.
2. აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
3. ათანელიშვილი 1982: ათანელიშვილი ლილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.
4. ათონის მრავალთავი 1999: ათონის მრავალთავი, მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, მ. ჩხენკელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1999.
5. ამონიოს ერმისის თხზულებები 1983: ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭაყმაძემ და მია რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მია რაფავამ. „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
6. ბაგრატიონი 1983: ბაგრატიონი დავით, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985.
7. ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი 1983: ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
8. ბეზარაშვილი 2003: ბეზარაშვილი ქ., ეფრემ მცირის მთარგმნელობითი ტენდენციებისათვის, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ლოგოსი, თბილისი, 2003.
9. ბიბლიის ლექსიკონი 2000: ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. II. 2000, Printed in the Netherlands.
10. გაბიძაშვილი 1978: გაბიძაშვილი ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.
11. გაბიძაშვილი 2004: გაბიძაშვილი ე., ქართული თარგმანი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004.
12. გიგინეიშვილი 1985: ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, შეადგინა კ. გიგინეიშვილმა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1985.
13. გიორგი მთაწმინდელი 1946: გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთემესი“, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილ-

მა; გიორგი მთაწმიდელის ენა „იოვანე და ეფთვმეს ცხოვრების“ მიხედვით ა. შა-
ნიძისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი, 1946.

14. დიდი სჯულის კანონი 1975: დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამ-
ზადეს ე. გაბიაძევილი, ე. გიუნაშვილი, მ. დოლაქიძე, გ. ნინუა, გამომცემლობა
„მეცნიერება“, თბილისი, 1975.

15. ზვიადაძე 2011: ზვიადაძე გიორგი (დეკანოზი), წმიდაა გრიგოლ ნოსელი –
„ქალწულებისათვის და საღმრთოესა მოქალაქობისა“ –ტექსტი გამოსაცემად მოამ-
ზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო
პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, 2011წ. გვ 18.

16. თოფურია 1931: ე. თოფურია, სვანური ენა, I, ტფილისი, საქ. სახ. პედ.
ინსტიტუტის გამოცემა, 1931.

17. იაკობ ცურტაველი 1981: იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის ნამება“, ქართუ-
ლი პროზა, ტ. I, თბილისი, 1981.

18. იმნაიშვილი 1957: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და სახელთა ფუნქციე-
ბი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1957.

19. იმნაიშვილი 1961: იმნაიშვილი ი., იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგ-
მანების ძვ. ქართული ვერსია. ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.

20. იმნაიშვილი 1963: იმნაიშვილი ი., სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა. ძვ.
ქართული ენის ქრესტ. II ტ., 1963.

21. იმნაიშვილი 1986: იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკო-
ნი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1986.

22. „იოანე ოქროპირის ცხოვრების“, ძვ. ქართ. თარგმანი 1986: „იოანე ოქრო-
პირის ცხოვრების“, ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968
წლის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ. მეცნიერება, თბილისი, 1986.

23. იორდანიშვილი 1934: იორდანიშვილი ს., ქართული სალიტერატურო ენის
ნორმების დადგენისათვის, ნაკვეთი VII, ქართულ კომპოზიტების დაწერილობისა-
თვის, სახ. გამომცემლობა, თბილისი, 1934.

24. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, I გა-
მაცემა, თბილისი, 2001.

25. კახაძე 1947: კახაძე მ., ბასილი დიდის ექუსთა დღეთა, მასალები საქარ-
თველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომ-
ცემლობა, თბილისი, 1947.

26. კეკელიძე 1920: კეკელიძე კ., თარგმანებაა ეკლესიასტისაა მიტროფანე
ზმურნელ მიტროპოლიტისაა (LXXXIII, ქართული ძეგლები), ტფილ. უნ-ტის გამო-
ცემა, I, საეკლესიო მწერლობა 1, ტფილისი, 1920.

27. კეკელიძე 1956: კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიი-
დან, ტ. I, სტალინის სახ. თსუ გამომცემლობა, 1956.

28. კეკელიძე 1957: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიიდან, ტ.V, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.

29. კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

30. კიზირია 1963: კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1963.

31. კიკნაძე 1967: კიკნაძე გ., გიორგი მთაწმიდელის თარგმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „თარგმანებაჲ ქებათა-ქებათაჲსაჲ“ (ტექსტი, გამოკვლევა თარგმანი), სადისერტაციო ნაშრომი, II ნაწილი 1967.

32. მარტიროსოვი 1958: მარტიროსოვი არ, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და სანარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე, IX-X, 1958.

33. მარტიროსოვი 1954: მარტიროსოვი არ., საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, IV, 1954.

34. მაჭავარიანი 1999: მაჭავარიანი მ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1999.

35. მელიქიშვილი 2000: მელიქიშვილი ნ., ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“, 2000.

36. მელიქიშვილი 1996: მელიქიშვილი ნ., ბიბლიური ციტაცია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებებში და მათ ქართულ თარგმანებში, „რელიგია“, 1996, 10-11-12.

37. მცხეთური ხელნაწერი 1981: მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1981.

38. მცხეთური ხელნაწერი 1982: მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV; ნემტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

39. მცხეთური ხელნაწერი 1985: მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), „მეცნიერება“, თბილისი, 1985.

40. ნათაძე 1962: ნათაძე ნ., შესაძლებლობის მიმღობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, 1962.

41. ნოზაძე 1958: ნოზაძე ლ., ინ-ენიანი ვნებითის ერთიერთობის საკითხებისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, 1958.

42. ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია 1979: ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

43. ორბელიანი 1991: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1991.

44. ორბელიანი 1993: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1993.

45. პავლენი 1974: პავლენი, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974.

46. ჟღენტი 1965: ჟღენტი ს., ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, „განათლება“, თბილისი, 1965.

47. რაფავა 1974: რაფავა მ., ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, მრავალთავი, II, 1974.

48. სარჯველაძე 2001: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.

49. უსნორო კარაბადინი 1997: უსნორო კარაბადინი, ლადო კოტეტიშვილისეული გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დარეჯან კუხიანიძემ, გამომცემლობა „ენგადი“, 1997.

50. ფსალმუნის ძველი ქართ. რედაქციები 1960: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1960.

51. ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A კოლექციისა), ტ. I. შეადგინეს და დასაბეჭდად დამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

52. ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა 1985: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. IV, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1985.

53. ქართულ ხელნაწერთა A კოლექციის აღწერილობა 1986: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A კოლექციისა), ტ. III. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986.

54. ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადების (S) კოლექციისა, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959.

55. ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1965: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. (S) კოლექცია, ტ. IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, ქრ. შარაშიძის და ც. ჭანკიევის მიერ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965.

56. ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1967: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. (S) კოლექცია, ტ. V, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1967.

57. ქართულ ხელნაწერთა S კოლექციის აღწერილობა 1969: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგა-

ძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969.

58. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია 1945: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკ. შანიძემ, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1945.

59. ქართული ძველი 1981: პროზა ქართული პროზა, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, 1981.

60. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1975: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, სპეც. სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1975.

61. ქაჯაია 1987: ქაჯაია ნ., ბასილი ანკკრელი და მისი თხზულება „ქალწულე-ბასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს“ (CPG 2827), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, 4.

62. ქაჯაია 1992: ქაჯაია ნ., ბასილი კესარიელის თხზულებათა ქართული თარგმანები. თბილისი, მეცნიერება, 1992.

63. ქსიმ: K-3 – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი: K-3

64. ქურციკიძე 1959: ქურციკიძე ც., აპოკრიფები მოციქულთა შესახებ და მათი ენა: ქართული ვერსიები, აპოკრიფების მოციქულთა შესახებ (X-XI სს.), 1959.

65. ლლონტი 1964: ლლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, „ცოდნა“, 1964.

66. ყაუხჩიშვილი 1952: ყაუხჩიშვილი თ., კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრომები, 1952.

67. ყაუხჩიშვილი 1941: ყაუხჩიშვილი ს., არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1-2 1941.

68. ყაუხჩიშვილი 1956: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული მამაკაცის სახელების გადმოცემისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956.

69. ყაუხჩიშვილი 1926: ყაუხჩიშვილი ს., გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1926.

70. ყაუხჩიშვილი 1923: ყაუხჩიშვილი ს., შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე III, ტფილისი, 1923 (ამონაბეჭდი).

71. შათირიშვილი 2001: შათირიშვილი ლ., ბასილი ანკკრიელის თხზულება და მისი ქართული თარგმანი, მრავალთავი, XIX, 2001.

72. შანიძე : შანიძე აკ., ვნებითი გვარის ზმნათა უღლებების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში: ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის თეზისები.

73. შანიძე 1945: შანიძე აკ., სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძვ. ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, 10, 1945.

74. შანიძე 1976: შანიძე აკ., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.

75. შანიძე 1980: შანიძე აკ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980.

76. შანიძე 1981: შანიძე აკ., ნელინადის ეტიმოლოგიისათვის, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

77. შანიძე 1941: შანიძე აკ., Данные греческо-пехлевской билингвы в истории термина „ეზოსმოდლუარი« в древнегрузинском. საქ.სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1-2 1941.

78. შარაძენიძე 1956: შარაძენიძე თ., მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956.

79. ჩიქობავა 1942: ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1942.

80. ჩიქობავა 1948: ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ.-ბა, 1948.

81. ძიძიშვილი 1960: ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1960.

82. წიგნი სააქიმოა 1936: წიგნი სააქიმოა, ლადო კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIIIს., სახელმწიფო გამომცემლობა, სამეცნიერო სექტორი, ტფილისი, 1936.

83. გიგინეიშვილი 1989: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვეთი I შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, „მეცნიერება“, თბილისი 1989.

84. გიგინეიშვილი 1990: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვეთი II ლევიტელთაჲ, რიცხულთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, +ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.

85. წმინდანთა ცხოვრება, წიგნი I, ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა ბაკმი, თბილისი, 2003.

86. ჭელიძე 1996: ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1996.

87. ჭელიძე 1998: ჭელიძე მ., ელინიზმის ფილოსოფია ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.

88. ხელნაწერთა აღწერილობა 1953: ხელნაწერთა აღწერილობა (ქუთაისის სახელმწიფო ისტ. მუზეუმი), ტ. I., საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

89. ხეც: A-55 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A-55

90. ხეც: A-66 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A-66

91. ხეც: A -351 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A-135

92. ხეც: A-927 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A-297

93. ხეც: H-1661.

94. ხეც: H-2211.

95. ხეც: S-384.

96. ხეც: S-417.
97. ჯავახიშვილი 1949: ჯავახიშვილი ი., ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.
98. Acta a 1865: Acta Sanctorum, Martii, Tomus I, editio Novissima, Parisiis et Rome, 1865.
99. Acta b 1865: Acta Sanctorum, Martii, Tomus III, editio Novissima, Parisiis et Rome, 1865.
100. Altaner 1980: Altaner Berthold, Stubier Alfred, Patrologie, Herder, Freiburg, Basel, Wien, 1980.
101. Barr 1979: Barr J., The Typology of Literalism in Ancient Biblical Translations (Mitteilungen des Septuaginta-Unternehmens, XV), Vorgelegt in der Sitzung vom. 12. Januar, 11, Gottingen, 1979.
102. BHG 1957: Bibliotheca Hagiographica Graeca, Tome I, par François Halkin, Bruxelles, 1957.
103. Blake 1934: Catalogue des Manuscrits Georgiens de la bibliotheque de la laure d' Iviron au mont Athos, par Robert Blake. Paris, Librairie Auguste Picard, 82, 1934
104. Brok 1979: Brok S., Aspects of Translation Technique in Antiquity, Greek-Roman and Byzantine Studies vom. 20, Spring, 1979, 1, North Carolina.
105. Brok 1992: Brok S., Towards A History of Syriac Translation, Studies in Syriac Christianity (CS 357), Great Britain, 1992, X, 1-13.
106. Cavallera 1905: Cavallera, F. « Le ' De Virginitate » de Basile d' Ancyre, Revue d' Histoire Ecclésiastique, T. VI, Louvain, 1905.
107. Chapman 1912: Chapman John, Semiarians and Semiarianism, The Catholic Encyclopedia, copyright 1912 by the Encyclopedia Press, volume XIII, Robert Appleton Company, 1.
108. Corpus Christianorum 1974: Corpus Christianorum. Clavis Patrum Graecorum, Qua Optima Quaeque Scriptorum Oatrum Graecorum Recensiones a primaevis Saeculis ad Octavum commode Rectuduntur, vol. II, cura et studio, Mauriti Geerard, Brepols – Turnhout, II, 1974.
109. Dictionnaire de Spiritualite 1937: Dictionnaire de Spiritualite, Ascétique et Mystique, doctrine et histoire, publ. sous la direct. de Marcel Viller, S.J., t. I, Gabriel Beauchesne et ses fils, Paris, 1937.
110. Dictionnaire encyclopedique 1990: Dictionnaire encyclopedique du christianisme ancien, Sous la direction de Angelo Di Berardino. Adaptation française sous la direction de François Vail, volume 1, 1990.
111. Indices 1905: Patrologiae cursus completus, accurante J.P. Migne, series Graeca, Indices digessit F. Cavallera, Turnholti (Belgium), Typographi Brepols Editores Pontificii 1905.
112. Janin 1932: Janin R., Dictionnaire de Histoire et de Geographic Ecclesiastiques, Paris –VI, 1932.
113. Garitte 1963: Le Muséon, Revue D'Études Orientales Tijdschrift voor Oriëntalisme,

114. Janini 1950: Janini Cuesta, Jose. «Dieta y virginidad: Basilio de Ancira y San Grigorio de Nisa.» *Miscelanea Comillas* 14, 1950.

115. T.76; G. Garitte, *Bibliographie De K. Kekelidze* (+1962), Louvain 1963, 132.

116. Lampe 1961: *A Patristic Greek Lexicon*, edited by G.W.H. Lampe, DD. Fascicle 1. Oxford at the Clarendon Press, 1961.

117. Lampe 1965: *A Patristic Greek Lexicon*, edited by G.W.H. Lampe, DD. Fascicle 4. Oxford at the Clarendon Press, 1965.

118. Lampe 1968: *A Patristic Greek Lexicon*, edited by G.W.H. Lampe, D. D. Fascicle 5. Oxford at the Clarendon Press, 1968.

119. Leroy 1972: Leroy F.J, « La tradition manuscrite du 'de virginitate de Basile d'Ancyre», *Orientalia Christiania Periodica*, 1972.

120. Liddell 1968: H.G. Liddell, Robert Scott, H. Stuart Jones, *Greek-English Lexicon, A Supplement*, edited by E. A. Barber, Oxford, at the Clarendon Press, 1968.

121. *Novum Testamentum Graece* 1993: *Novum Testamentum Graece*, post eberhard et Erwin Nestle editione Septima revisa, communiter ediderunt et Kurt Aland, Johannes Ksavidopoulos, Carlo M. Martini, Bruce M. Metzger, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart, 1993.

122. *The Oxford dictionary* 1958: *The Oxford dictionary of the Cristian Church*, edited by F.L. Cross, London, Oxford University Press, New-York Toronto, 1958.

123. *The Oxford Dictionary* 1991: *The Oxford dictionary of Byzantium*, volume 1, New-York Oxford, Oxford University Press, 1991.

124. PG. XXX: J.P. Mighe (ed.) *Patrologiae auras completus omnium Patrum*, Series Graeca, 91, Parsiis, 1980

125. PG. XLII: J.P. Mighe (ed.) *Patrologiae auras completus omnium Patrum*, Series Graeca, 91, Parsiis, 1980

126. PG. LXVII: J.P. Mighe (ed.) *Patrologiae auras completus omnium Patrum*, Series Graeca, 91, Parsiis, 1980

127. PL 23.

128. Peradze: Peradze. G. *Die alt-christliche Literatur in georgischen Überlieferung* (აღმ-ნაბეჭდი).

129. Ralfs 1979: *Septuaginta Id est Vetus Testamentum Graece iuxta LXX interpretes*, editit Alfred Ralfs, editio minor, Duo volumina in uno, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart, 1979.

130. Shaw 1997: Shaw T. M., *The Creation, Virginitiy and Diet in Fourth-Century Christianity: Basil of Ancyra 's "On the True Purity of Virginitiy"*, *Gender & History* 9, 1997.

131. Shaw 1998: Shaw T. M., *The Burden of the Flash, Fasting and Sexuality in Early Christianity*, 1998.

132. Sophocles: E. A. Sophocles, *Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods*, vol. II, Frederick Ungar Publishing Co, New-York.

133. Vaillant 1943: Vaillant. A. *De Virginitate de Saint Basile*, Institut d` Études Slaves, Paris, 1943.

134. Болотов 1918: Болотов В.В., Лекции по Истории Православной Церкви, т. IV (История Церкви в Период Вселенских Соборов), Петроград, третья государственная типография, 1918.
135. Булгаковъ 1993: Булгаковъ С. В. Настольная Книга для Священно-церковного служителей. Изд. отд. Московского Патриарха. 1993.
136. Брокгауз 1892: Брокгауз Ф. А и Ефронъ И. А. Энциклопедический Словарь, С.-Петербург, Типо-Литография И. А. Ефрона, Т.V ^, 1892.
137. Вейсман 1899: Вейсман А. Д., Греческо-Русский Словарь, издание Автора, С.-Петербург, 1899 (репринт V-го издания. 1899 г.).
138. Дворецкий 1958: Дворецкий И.Х. Древнегреческо-Русский Словарь. Т2. Москва, Гост. Изд. Иностранных и Национальных словарей, 1958.
- Дворецкий 1976: Дворецкий И.Х. Латинско-Русский Словарь. Москва, Издательство "Русский Язык", 1976.
139. Гипократ 1936: Гипократ, Избранные Книги, Гос. Издат. Биологической Медицинской Литературы, Москва, 1936.
140. Жордания 1901: Жордания Т. Описание Рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея, Карталино-Кахетинскаго Духовенства, книга I , издание церковнаго музея, Тифлисъ, Типография «Гутенберг», 1901.
141. Жордания 1902: Жордания Т. Описание Рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея, Карталино Кахетинскаго Духовенства, книга II , издание церковнаго музея, Тифлисъ, Типография «Гутенберг», 1902.
142. История Византии 1967: История Византии, в Трех Томах, т. 1. Редакционная коллегия: С. Д. Сказкин, В. Н. Лазарев, Н. В. Пигулевская, А. П. Каждан, Е. Э. Липшиц, Е. Ч. Скржинская, М. Я. Сюзюмов, З. В. Удальцова, Г. Г. Литаврин, К. А. Осипова, изд. "Наука", Москва, 1967.
143. Правила (а) 1996: Правила Православной Церкви, с Толкованиями Епископа Далматинско-Истрийскаго, Т. 1, Репринтное воспроизведение издание, изд. Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996.
144. Правила (б) 1996: Правила Православной Церкви, с Толкованиями Епископа Далматинско-Истрийскаго, Т. 2, Репринтное воспроизведение издание, изд. Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996.
145. Полный Месяцеслов 1901: Полный Месяцеслов Востока.Т. II. Святой Восток. Д. Б. Архиепископа Сергия. Издание второе исправленное и много восполненное. Владимир, Типо-Литография В. А. Паркова во Владимире, 1901.
146. Полный Словарь [Б. г.] : Полный Православный Богословский Энциклопедический Словарь [Б. г.].
147. Шенгелия 1984: Шенгелия. М.С. История Медицины Грузии. Изд. "Ганатлеба," Тбилиси, 1984.

დანართი

344rI(A) || თქუმული წმიდისა ბასილისი¹ მთავარეპისკოპოსისა² კესარიელ-კაბადუკიელისაჲ ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს

1. 1. მრავალნი, რომელნი-იგი სიძესა ჩუენსა ქრისტესა შეუდგან, რომელნი-იგი ზეცისა ტრფიალებამან განცდად კეთილისა მოწყუნა, რომელთა-იგი მოღუანეთა შორის ეკლესიისათა³ პირად-პირადნი სახენი კეთილისანი იხილნეს, რომელნიმე ქალწულებისა გალობითა⁴ და სხუანი მარხვითა და ჳმელსა ზედა ნოლითა ჳორცთა შემაინრებელთა შესხმასა და სხუანი კუალად უფლისათჳს მონაგებთა განმსყიდელთა სიქველესა განკვრდებიან და გრძელთა ქებათა წარმოიტყჳან. და არა ამას შეჳრაცხენ საჭიროდ, რათამცა ასწავეს, ვითარ ვჳგონებ, თუ ვითარ თანა-აც მოღუანებაჲ. თითოეულსა⁵ ზემოჳსენებულთა ამათგანსა, არამედ ქებასა ხოლო ზემოთქუმულთა მათ სათნოებათასა წარმართებად კეთილისა კმა-ყოფად ჰგონებენ.

2. ხოლო მე, ეპისკოპოსთა შორის ზიარო სულისა ჩუენისაო ლიტოიე, არა ქალწულებისა გალობასა, არცა მონაგებთა განმსყიდველთა შესხმასა, არცა მარხვითა ბორცთა განმლეველთა ქებასა, არამედ, თუ რაჲ არს თითოეული ამათი და თუ ვითარ იქმნების წარმართებელთა მათთა ჭეშმარიტ სათნოება, ვითარცა სინმიდესა ჰაერისასა და ბრწყინვალებასა მზისასა, ჩუენებად შენდა გულსმოდგინე ვიქმენ.

3. და არათუ რათა კეთილნი-იგი, რომელნი პირველითგანვე გონიერებასა შენსა შეუკრებიან, განყოფილებამცა ხედვი|| 344rII(A) სა ბუნებისა მათისაჲ გულისჳმა-გიყავ შენ.

4. არამედ რათა შენითურთ თითოეულისა მათისა ბუნებაჲ განვაცხადო, რათა არა შენდა ხოლო საცნაურ იყოს და მსგავსთა შენთა კეთილისა ტრფიალთა, რომელთა სიღრმეთა შინა სულისათა დაუნერგავს კეთილთა ამათ ჭეშმარიტი სიმდიდრე, არამედ სხუათა მათცა, რომელნი მიემთხვნენ. ვითარცა ფიცართა შინა წამალთა ფეროვნებითა გამოხატული ქალწულებისა შეუნიერებაჲ⁶, თუ ვითარ და ვინაჲ და თუ რომელთა ფერთა მიერ სათნოებისათა შეიმკვების, გამონუღიღვით

¹ ბსილი B, ბასილი CD;

² ეპისკოპოსისა BC;

³ ეკლესიისათა A;

⁴ გალობათა CD;

⁵ თვითოეულსა B, თვითოეულსა D;

⁶ შეწნიერება BC;

გულისბმა-უყო და ვასნავო, რაათა განკრძალულად მოუჭდებოდის თითოეული მათი სანადელსა მას კეთილსა და ჯეროვნითა და გონიერითა გულსმოდგინებითა.

2. 1. რამეთუ ჭეშმარიტად დიდ არს ქალწულებამ. და, რაათა სრულებით ვთქუა, უხრწნელებასა ღმრთისასა მობაძავ-ჰყოფს კაცსა და მიახმავებს.

2. ხოლო არა ჯორცთაგან მიიწევის სულთა მიმართ, არამედ უმეტესად ღმრთისმოყუარე ესე ქალწულებამ უწორცოჲსა სულისა მიერ უხრწნელებით დაიცავს ჯორცთა.

3. რამეთუ რაჟამს ჭეშმარიტისა მის სიკეთისა შუენიერება განიცადოს სულმან, ვითარცა ფრთითა რაათმე, უხრწნელებითა ფრთოვან-იქმნების მისსა მიმართ და მსგავსითა მსგავსსა, რომელ არს უხრწნელებამ, მსახურებასა ხოლო უხრწნელისა ღმრთისასა განიცდის ღირსად და ჯორცთა ქალწულებასა კეთილისა მის მსახურებისა მწველად იწმარებს¹ და სამარადისოდ ღმრთისა მიმართ ხედვისა² და წინაშე მდგომელად უმფოთველად ამისი ქონება განიზრახის და შემამფოთებელთა|| 344vI(A) მათ მისთა ჯორციელთა გულის-თქუმათა შორად წარიოტებს. რომელ არიან ნაყროვნებისა გემოვნებანი

4. და მარხვითა და მოლუანებითა მწვეალსა მას ჯორცთა ქალწულებისასა აღვრ-ასხამს და თვთმებრ მასვე მბრძოლად თავისა თვისისა აღადგენს.

5. რაათა, ვითარცა-იგი სხუათა ყოველთა, ეგრეთვე საზრდელთაცა მარხვამ და ნეშტნი-იგი მოლუანებანი თავს-ისხნეს, რომელნი-იგი ჰბრძვანან ჯორცთა ქალწულებასა განხრწნადთა მათ გემოთა მიერ და საცნობელთა განმსუენებელთა გულის-თქუმათა.

6. და თვთმებრ იგი ჯორცთა ქალწულებამ მისთვის და კუალად თვთ იგი არა სხვსა რაესათვსმე, არამედ რაათა თავისა თვისისათვს კეთილად და გონიერად იღუნიდეს, რაათა თვისი ქალწულებამ ყოველთავე არანმიდათა გულის-სიტყუათაგან დაიცვას და უხრწნელისა ღმრთისა მსგავსებამ ვითარცა განწმენდილსა სარკესა შინა გამოაჩინოს. და ნეშტთა მათ მადლთა მისთა ბრწყინვალეებამ თავსა შორის თვისსა თავით თვისით განაბრწყინვოს და შუენიერებად და საქებელად თავისა თვისისა წარმართებულნი იგი ძალნი ქალწულებისანი შეიძინნეს.

7. და ვინაათგან, ვითარცა ვთქუთ, და ჭეშმარიტი ქალწულებამ უხრწნელისა მისთვის სულისა სიკეთისა იქმნების (რომლისათვს ჯორცთაცა იგი კეთილნი მოლუანებანი სრულ-იქმნებიან).

8. და უმრავლესნი სახელსა ხოლო ქალწულებისასა განიცდიან და არარას ზრუნვენ ჭეშმარიტისა ქალწულებისათვს.

9. ამისათვს თანა-წარუვალად შევპრაცხე მათ|| 344vII (A) [თვს, რომელთა-იგი სურის მიღებად ჭეშმარიტსა მას გვრგვსა ქალწულებისასა და მოსწრაფე ვიქმენ სწავლად ჭეშმარიტისა და განზრახვად მათთვის³ უმჯობესისა, რაათა არა უმეტრებისა მიერ უაღრესისა მისგან კეთილისა უდებ-იქმნენ და მონებასა შინა მწველისასა განლიონ ყოველივე ცხოვრებამ მათი და დედოფლისა მისისა უმსახურებლობითა

¹ იწმარებს B;

² ხედვსა B;

³ მათთვის მათდაB;

და ჯორცთაცა იგი ქალწულებამ შინაგანისა მის ქალწულებისა შეუმკობლობითა შემდგომად მრავალთა ოფლთა დაშქირდეს.

10. ან უკუე რაითა¹ განცხადებულ-იქმნეს თითოეული საქმე ჭეშმარიტისა ქალწულებისა და თუ რომელთა მოლუანებათა მიერ განშუენდების, მოვედ და ვიხილოთ, თუ რომლისა პირისა მიმართ თანა-აც ქალწულსა თვისისა მის ქალწულებისა და გონებისა და მოლუანებისა წარმართება.

3. 1. რაითა ვცნათ თითოეული აღძრვამ მისი.

2. და ანუ თუ წინამდებარისა მისგანისა მიმართ ხედავს და ჰმართებს გონებასა თვისსა, ანუ თუ სხუამ დაუც წინაშე მისსა, და სხვით კერძო წარჰმართებს და თვისისა მის სახისა და პირისაგან განვარდების.

3. და ესე რამ განცხადებულად გამოვაცხადოთ, ესრეთ შეუძლოთ ცნობად ჭეშმარიტისა ქალწულებისა.

4. და უკუეთუ გნებავს, პირველითგან გამოვიძიოთ, თუ ვითარ არს ბუნება მამაკაცისა და დედაკაცისა, რაითა ქალწულებისაცა ქება განჭეშმარიტებულად ვიხილოთ.

5. მცირეთა უკუე ცხოველთა მიერ, რომელნი-იგი პირველ დაიბადნეს, ვითარცა პირმშოთა რათმე თესლთაგან, სოფლისა ამის აღვსებაჲ|| 345rI (A) ინება დამბადებელმან და თითოეულსა ცხოველსა თვისი ხატებაჲ მსგავსებაჲ, ვითარცა ძირი რაიმე და საფუძველი, პირველითგანვე შეჰმოსა და ჯორცთა აგებულებაჲ და ტომებაჲ მსგავსებისა მიერ განუკუთნა.

6. და მამაკაცობითა და დედაკაცობითა და მამალ-დედლობითა კაცთაგან მიპირუტყულამდე² განყენა და ნაწილად მამაკაცისა დედაკაცი განაჩინა და ეგრეთვე ყოველთა ცხოველთა მამალსა დედალი განუნესა და ჯდალსა – ხუადი და ნეზუსა – ვერძი და ფურსა – კურო.

7. და ყოველთა ტომთა შორის ურთიერთარს შეყოფისა აურაცხელი ტრფიალებაჲ დასთესა და თითოეულნი იგი განყოფანი ცხოველთანი ურთიერთარს შეყოფითა შეკრიბნა და თესლოვნებითა და შობითა სამარადისოდ განამრავლებს და ჰმართებს, ვიდრემდის ეგოს სოფელი ესე.

8. ვითარცა-იგი დასაბამსავე უბრძანა, ვითარმედ: „აღორძნდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანამ“.

9. და ეგრეთვე ერთისა ადამის მიერ მეუღლითურთ ბევრეულთა ტომთა მიერ ყოველი სოფელი განავსო, ვითარცა ინება.

10. და ყოველთა პირუტყუთა და ოთხფერჯთა და ქუენარმავალთა³ და მფრინველთა და თევზთა და ყოველთა მცურვალთა მიერ ზღუანი და ჯმელნი განაშუენნა და აღავსო ყოველი ქუეყანამ.

11. და მძლავრებასა ვერძთასა დაუ|| 345rII (A) მორჩილნა ნეზენი და გულის-თქუმითა ჯდალთათა⁴ მოამშკდებს ხუადთა.

¹ რაითა| რომელი B;

² მიპირუტყულამდე C;

³ ქუმნარმავალთა BC;

⁴ ჯდალთათა B;

12. ხოლო გუერდისაგან მამაკაცისა გამოღებული იგი, ვითარცა კერძო და ასო მისი, დამორჩილებად მისა ჯერ-იჩინა, რომლისაგანცა დასაბამი მისცა მას.

13. და ეგრეთვე მამაკაცსა სურვილი თვისისა მის ასოსაჲ შეახო ძლიერად და შეყოფისა მიერ თვისსავე მას ასოსა თანა შეაერთა და საჭიროთა მათ ბუნებისა იძულებათა მიერ ერთობაჲ მათი განაგო და ამით სახითა ერთისაგან ორებაჲ და ორთაგან კუალად ერთობაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ სიბრძნით წარმოაჩინა.

14. და არა ურთიერთარს შეერთებითა ხოლო, ვითარცა ვთქუთ, ერთობაჲ მათი განაგო და ერთჯორც-ყვნა ორნივე, არამედ სურვილისა და ტრფიალებისა ნათელი აღაგზნა მათ შორის და მრავალფერნი სიყუარულისა მიზეზნი და თესლნი დას-თესნა.

15. რამეთუ სიმტკიცე და ძლიერებაჲ და შრომისმოყუარებაჲ მამაკაცსა განუკუთნა, ვითარცა პირველდაბადებულსა, ხოლო ლმოიერებაჲ და ნყალობაჲ და სიყუარული ბუნებასა შინა დედაკაცისასა დაჰნერგა, ვითარცა არსებისაგან მამაკაცისა დაბადებულსა, რაითა ტომთა შემდგომებისა სიყუარული ძლიერად აღსძვიდეს სულსა მისსა.

16. და რაითა არა ჭირთათვის შობისა და ზრდისათა განეყენოს სიყუარულსა ქმრისასა. და კუალად, რაითა არა უძღურებისათვის მისისა მოიწყინოს იგი მამაკაცმან და შეუწეველად დაუტეოს.

17. ამისთვისცა ორთავე მათ შორის გამოუთქუმელი სიყუარული, || 345vI (A) გულისთქუმა¹ აღატყინოს² და ურთიერთარს სურვილითა³ შეკრნა და უფროსლა უუძღურესსა მას კერძა დედაკაცისასა უმეტესი შეწევნაჲ მიანიჭა.

18. და ყოველი⁴ იგი ყოვლითურთ გულის-სათქუმელ მამაკაცი და იძულებითა მძღაერებითა მოიზიდავს იგი მამაკაცსასა და, ვითარცა ტყუესა, დაიმონებს.

19. ვითარცა-იგი ქვასა მას მალნიტსა გამოუთქუმელი რაიმე ძალი მოუღებებს რკინისათვის ბუნებით და არა იგი მიიზიდვის რკინისა მიმართ, არამედ რკინასა მოიზიდავს თავისა თვისისა მომართ⁵.

20. ეგრეთვე ჯორცთა დედაკაცისათა უსაზღვროჲ რაიმე გულის-თქუმაჲ მიუღებებს მამაკაცისა ზედა და ვითარ-იგი არა უწყის სულმან მისმან ჯორცთა მამაკაცისათა თავით თვსით შეყოფად მისსა მიიზიდავს.

21. რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, ესრეთ ჯერ-იჩინა ლმერთმან, რაითა უუძღურესსა მას ცხოველსა უმეტესი მისცეს შეწევნა, რაითა მის შორის მყოფითა ამით გულის-თქუმითა შეჰგრძნებდეს მამაკაცსა და დაიმონებდეს, რაითა არა შვილიერებისათვის ხოლო, არამედ თვთმებრ ტრფიალებისა მისთვისცა შეყოფისა თანაშემწედ თვსა აქუნდეს მას მამაკაცი.

22. ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თვის და დედაჲ თვისი, არა დედაკაცმან, არამედ მამაკაცმან ტრფიალებისა მისთვის დედაკაცისა შეყოფისა იძულებულმან“.

¹ გულის-თქუმაჲ D;

² აღატყინა BCD;

³ სურვილითა A;

⁴ ყოველი ყო B;

⁵ თავისა თვისისა მომართ] თავისა მომართ თვისისა BCD;

23. „და შეეყოს იგი ცოლსა თვისსა“, არა დედაკაცი – მამაკაცსა და „იყვნენ ორნივე იგი ერთჴორც“.

24. და ესევითარი ესე ძლი || 345vII (A) ერებაი მინიჭა დამბადებელმან ნათესავსა დედათასა უმთავრესსა მას კერძოსა ზედა და თვთ იგი ჴორცთა აგებულეზა და სახე დედაკაცისაი უჩჩვლეს დაჰბადა, რათა და შეხებითაცა და სლვითა და მიხედვითა და ყოველთავე ასოთა ფუფუნებითა და განცდითა და შეხედვითა და ყოველთავე საცნობელთა აგებულეზითა სალბუნ გულის–თქუმისა ექმნებოდის მამაკაცსა და აღმძვრელ გემოვნებისა.

4. 1. და ესევითარსა მას მძღაზრებასა, პირველ თქუმულისა მისებრ, მიზეზისა ჴორცთა შინა ჩუენთა მყოფსა ხედვიდეს რაი ქალწული, ვინაიფან სწორი და ერთი არსებაი და ბუნებაი და სული მიცემულ არს მამაკაცისა¹ და დედაკაცისადა² და დედაკაცის მიმართ და მამაკაცისა მონღებასა ჴორცთასა და სურვილსა და ერთისა მის ნანარობაი³ და მეორისა ღვვილი და აღტყინებაი უწყოდის და ჴორცთა შორის, რომლითა შეკრულ არიან ტრფიალებისა შეყოფათა.

2. და ბევრეულთა სულისა ვენებათა სიბორგილსა და აღძრვასა განიცდიდეს, გულსმოდგინე–იქმნეს განყენებად ჴორცთა სიყუარულისაგან და მარადის გულსმოდგინებასა მას ზედა გულსმოდგინებასა შესძინებდეს. ხოლო სიყუარულისაგან მამათაისა მონყუედაი დედათაი, ჴორცთა თვისთა მტერობასა და კეთილთა მათ საუკუნეთა მოგებასა საანჯწმნო ჰყოფს და ამას რაი სათნო || 346rI (A) ებისა გზასა სლვად მოსწრაფე–იქმნეს.

3. მიერთიფან არღარა მიხედავს ჴორციელსა მას სიყუარულსა, რომელი აქუს მამაკაცისა მიმართ, არცა იგონებს, არამედ უწორცოიფთა⁴ მით სულითა, რომელი მკვდრ არს მის შორის, უწორცოიფსა ღმრთისა საკუთრებასა და სიყუარულსა ფრთხილთა თუალითა განიცდის და უნივთოსა მას სიყუარულსა და ტრფიალებასა უმძაფრეს და უბრწყინვალეს აღაგზებს მისთვს დათხეულთა მათ ოფლთა მიერ და მოსწრაფე იქმნების შიშულად და შეუხებელად ჴორცთაგან და ჴორციელთა გულს–თქუმათა თავისა თვისისა წარდგინებად წინაშე მისსა⁵.

4. ხოლო ვინაიფან უმეტეს ყოველთა კეთილთა საღმრთოისა და უხრწნელისა სულისა ქალწულეზაი არს მონაგებ ჭეშმარიტ და მამათა და დედათა ჴორცთა სიყუარული ურთიერთარს ესევითარი არს. და ვინაიფან ქალწულსა არარაი აქუნდეს სახე დედობრივთა გულის–თქუმათაი და ყოველსავე ჴორცთა შეგინებისაგან უცხო–იქმნეს და ყოველნივე ჴორცთა ვენებანი განიძარცუნეს და წმიდად წარუდგინოს⁶ თავი თვისი ღმერთსა, რომლისა–იგი სურვილი აღირჩია და რომლისა შეყუარებითა პატივცემულ–იქმნა.

¹ მამაკაცისა B;

² დედაკაცისადა B;

³ ნარნარობაი B;

⁴ უწორცოთა B;

⁵ მისა BD;

⁶ წარუდგინეს B;

5. ცხად არს, რამეთუ უწყის, ვითარმედ მაიძულებელთა¹ არს სასუფეველი ცათა² და თანა-აც, რაათა წინამდებარისა მის პირისა მიმართ თვისსა ბუნებასა აიძულებდეს და რაათა არა ქორწინებისა წესთა მიმართ მაზრზინებელთა ხოლო და მლიქნელთა ვნებათა და გულის || 346rII (A) თქუმათა ახოვნად ერეოდის და წინააღმდეგობოდის, არამედ ყოველსავე გულის-თქუმათა სახესა მოთმინებითა და საღმრთოათა სურვილითა სძლევდეს და სრულიად უჩინო-იქმოდის.

6. რამეთუ ნივთი გულის-თქუმისაჲ ერთსახე არს და ვითარცა წყაროჲ რამეჲ ჯორცთაგან აღმოდის და, ვითარცა ხუთთა ნაკადულთა მიმართ, ხუთთა საცნობელთა მიმართ განიყოფის³ და მათ მიერ შინაგან საგრძნობელთა შევალს და უხილავთა მიმართ სულისათა დის.

7. რომელთაგანი თითოეული თვისთა საცნობელთა ნაკადულისა მიერ თვისსა მას დინებასა თვისისა მის მიერ რაჲ საგრძნობელისა მძაფრიად შეასხმიდეს, რაოდენიცა რაჲ დახუდეს წინაშე, წარჰრღუნის და თავისა მიმართ⁴ თვისისა მიიზიდავს და უყითა რაჲ ჯორცთათა აღივისის და სახედ ღუარისა წინაუკუმო კუალად მათვე ჯორციელთაგან საცნობელთაჲსა ჯორცთა გულის-თქუმისა მიმართ უმქანრეს გამოეცნინან და მათ შინა მყოფსა მას სულსა ვნებათა მიერ აღელვებდიან, ვიდრემდის უსკრულთა შინა წარწყმედისათა დაანთქიან.

8. ვინაჲცა საჭიროდ თანა-აც ქალწულსა, რაათა კარსა მას ზედა საცნობელთასა მცველად გულისსიტყუაჲ ღმრთისმოშიში დაადგინოს და გარეთ კერძო განსლვასა მათსა ძლიერად აყენებდეს და ზომიერსა ხოლო და მყუდროსა გზასა გზა-უყოფდეს ოდეს ჯერ-იყოს, რაათა არა უაღვროდ და ურცხვნოდ განეფინებოდინ, ვინაჲცა ენებოს და მათ შორის მხურვალი იგი სული ღელვატეხილ-ყონ და წარწყმიდონ. || 346vI (A)

9. და კუალად რაათა არა გარეშემო[მა]ვალთა⁵ მათ ღუართა მიერ შეაინრონ იგი უყითა მით ვნებათაჲთა, რომელი ჯორცთაგან ვნებულად მოიზიდეს, შეამრღვიონ და აღაშფოთონ, არამედ რაათა ყოველსავე არანმიდებასა განაგდებდენ და ჯეროვანთა ხილვათა და გრძნობათა, ვითარცა განწურვილთა რათმე სასუმელთა და დარკუელთა ნივთთა, ესრეთ შიშით და მოწინებით შეიღებდენ მისა.

5. 1. და ესე ესრეთ გულისწმა-ყავ, რაათა არცა თუალნი განახუნეს განტევებულად ყოველთავე სახილველთა მიმართ, ნუუკუე განუკრძალველად განცდითა მათითა სახენი რამეჲ და ხატნი არანმიდანი შეიკრიბნეს თავსა შორის თვისსა და უცნებითა მათითა შემფოთნეს.

2. არამედ დაღაცათუ რომელთამე მიმართ თუალნი ჯორცთანი განახუნეს, საჭიროჲსა მისთვის ამის ცხორებისა ნათლისა, გარნა სულისანიმცა⁶ დაწუხვილ არიან

¹ მაიძულებელთა B;

² ცათა B;

³ განიყოფვის C;

⁴ მიერ A;

⁵ გარეშემავალთა C;

⁶ სულისანიმცა] სუმცა A;

და ქვემარტივისა მის ნათლისა და მისისა მის შუენიერებისა განცდად, და დაწუხ-
ვილინიცა მოსწრაფედმცა აღეხუმიან.

3. და რაათა არა სასმენელნი განუხუნეს ყოველსავე სიტყუასა განუკითხვე-
ლად, არამედ უჯეროთა სიტყუათა მიმართ, ვითარცა დამპალთა და მყრალთა
გემოხსილვათა, მოსწრაფედ დაიყვნეს იგინი,

4. ხოლო კეთილთა მათ და ჯეროვანთა და, რომელნი-იგი ტკბილად ადინებდენ
წმიდათა მათ წყალთა სათნოებისათა, სწავლისმოყუარებით მიუპყრნეს.

5. და კუალად, რაათა გემოხსილვაჲ, რომელი-იგი დამატკობელთა მათ გე-
მოთა მიმართ აღმტკობილ || 346vII (A) არს, მარადის სიტყუათა ალაგმოს, ხოლო
საჭიროთა საზრდელთა მიღებად სინმდით მარბეველ-ყოს.

6. და ეგრეთვე შეხება[ჲ],¹ ვითარცა განმცემელი უფროს ყოველთა საცნო-
ბელთაჲსა, თესითა მით ლიქნითა [გული]სთქუმათა მიერ შემგრძნებელი ყოველთაჲ
და წარმტყუენ[ველი]², ვნებათაგან შეუგ[ინე]ბელად უფროს ყოველისა დაჰმარხოხ.

7. ხოლო, რამეთუ ყოველისავე გუამსა მისწუდების³ ესე და ყოველთავე ფერ-
თა მისთა არა ხოლო თუ გარეშე სახილველთა, არამედ სიღრმეთაცა სულისათა
ვნებულთა მით შეხებითა ჰმძლავრობს და შეაგინებს, და უფროსლა ჳელთა შინა
არს უმძლავრესი იგი სიბოროტე მისი, რომელთა ზედა რაჲ მიინიოს, ვითარცა
სანადიროთა რაათმე გრძნობითა მათითა აღიჭურვის და გარეშეიცვის და შთავრ-
დომილსა მას მოინადირებს.

8. და არცა სახედველთა დაუტევებს ოჭრად თესთა სივერაგეთაგან, არამედ
განფენილთა ფერთა მიმართ და ლირლოვანთა სახეთა განფიცხნების და შეჰრევს,
ხოლო წყლტუთა და სახითა და ფეროვნებითა განშუენებულთა და საცთურად გა-
მოსახულთა შორითვე შეჰრთავს თავსა თესსა და წყლტუ-იქმნების და მოღბების
და თესსა მძლავრებასა მათ მიერცა კმა საყოფელსა აჩუენებს.

9. და კუალად სასმენელთა ფიცხელთა ჳმათაგან მიარიდებს, ხოლო ტკბილთა
და ჰამოთა და ნე || 347rI (A) ლიად და ნანარად მეტყუელთა სიღრმესა შინა შთაი-
წრედს და თესისა გულის-თქუმისა საქმეთა ამათ მიერცა აღასრულებს.

10. რამეთუ დაუტევეო გემოხსილვისათეს თქუმად, ვითარცა თანამოჰასაკისა
და თანამჭუფარისა მისისა, რამეთუ ვერ სათნოთა რათმე გემოთათეს ფიცხელთა
მომუხვილ-იქმნების და უგემურ, ხოლო ტკბილთა და გემოვანთა უძღებად⁴ შეი-
წყნარებს თავსა თესსა⁵.

11. და რაჲლა ვინ თქუას შვილის მშობელთა მათთეს ასო[თა], რომელთადა
მიცემულსა მას თესლოვნებასა შობისათეს [და] აღორძინებისა ნათესავთაჲსა, ვი-
თარ-იგი შეაყოფს მწამლველობისა თესისა გრძნებასა და ყოველითურთ იქცევის და
იძრვის მას შინა და შეხებითა მით გულის-თქუმისა მათისაჲთა დაიმონებს კაცსა
და წარსტყუენავს.

¹ შეხება[ჲ] ბუნებაჲ B;

² წარმტყუენველი BC;

³ მისწუდების C;

⁴ უძღებად+განულებს თავსა თესსა და B;

⁵ თავსა თესსა]- BC;

12. [შ]ეხებითა უკუეთუ სახედველთაათა მრავალგზის აღიძრა გული¹და შესც-თა გულის-თქუმათა მიერ. რამეთუ მიდგმითა თუალთაათა, ვითარცა უწორცოთა წელთა მიერ, რომლისააცა ენებოს, შეეხების შორით და, რომლისა-იგი წორციელ-თა წელთა მიერ შეეხებად ვერ წელ-ენიფების მას ვნებულად, თუალთა მიდგმითა შეეხების და შეიტკობოს და, სახეთა მათ მიერ, რომელნი გამოიხატნა და უცნება-თა მათ მიერ უგუამოთა ყოველსავე გუამსა თვსსა აქოთებს.

13. ხოლო სასმენელნი, ტკბილთა წმათა შეხებითა, შეამრღუევს სულსა და შფოთითა და ღელვითა აღავსებს. და რაათა მოკლედ ვთ || 347rII (A) ქუა, ვითარ-ცა ყოველნი საცნობელნი, ერთბამად გუამსა შინა იხილვებიან და ზოგებით ჰმ-ძლავრობენ მას. ეგრეთვე შეეხებად ერთი არს მათგანი და ყოველთავე საცნობელ-თა თვსსა ვნებასა მოიზიდავს და ჰმძლავრობს, და ყოველსავე გუამსა ჩუენსა პირად-პირადად შეარყევს² და აღელვებს და სინმიდესა სულისასა შეაბილნებს.

6. 1. ესრეთ უკუე ყოველთავე საცნობელთა შეეხების შეეხებად და, უფროსა ყოველთა გემოესხილვასა, დაფარულთა ასოთა ჰმძლავრობს შეხებითა.

2. და ვითარცა ჯაჭუთა ესრეთ დამოჰკიდებს ურთიერთარს და რომელთამე მიერ იმსახურების და რომელთამე ჰმსახურებს. ხოლო ყოველნივე ერთბამად დედოფლისა მის³ მიმართ⁴ ვნებათაასა აღიყვანებენ გულის-თქუმათა თვსთა, რომელ არს გემოთმოყუარებად და ნაყროვნებად და გულის-თქუმად. და უკუეთუ ღმრთისმოშოში გულისსიტიყუა არა აღვრ-ასხმიდეს მათ სრულიად, წორცად გარ-დააქცევენ სულსა.

3. ამისთვის თანა-აც ქალწულსა, რაათა ყოველთავე წორციელთა გემოთაგან განწმიდოს გონებად თვსი და შემაგინებელი იგი შეეხებად, რომელი წორცად გარ-დააქცევს სულსა, სრულიად მოიძულოს, რომელი-იგი სხუათა მათ საცნობელთა ეტლ-ექმნების.

4. რომელი-იგი უკუეთუ მოიკლას, მის თანა მოიკლვიან ყოველთავე მათ საც-ნობელთა ბოროტნი იგი ნივთნი და სახენი.

5. და რაამე არს, რომელი უფროს ყოველისა შეხებისა მიერ წორცად შეს-ცვალებს სულსა და სახეთა || 347vI (A) მათ შორის საცნობელთა მრავალსახეთა გულის-თქუმათა აღმოაცენებს?

6. ესე იგი არს გემოესხილვისა და ცოდვისა შეეხებად, რომელი-იგი აღეგზნების⁵ წორცთა შინა. და თვთმებრ მათ შორის წინა უძღვს ნაყროვნებად და უკუანა შეუდგს⁶ სიძვად, რომელი-იგი ილიქნების და იზრდების გემოთა მიერ და სუმისა მიერ განიპოხების.

7. და ესრეთ რაა განიპოხნენ წორცნი, სიღრმეთა შინა მისთა პოხილნი იგი გემონი აღდუღდებიან დაუპყრობელად და წორცთა აღძრვისა მიერ სიძვისა ტრ-

¹ გული BC;

² არყევს BC;

³ მის+გულისთქუმასა B;

⁴ მიმართ] და B;

⁵ აღეგზნების BC;

⁶ შეუთქს BC;

ფილემად ალაგზებენ, რაფთა არანმდფა იგი ნივთნი განსთხონ და ბოროტსა უბოროტესი დაურთონ.

7. 1. ვინაფცა თანა-აც, რაფთა, რომელსა ენებოს ქალწულებისა მიერ ძლე-ვაჲ სიძვისა გულის-თქუმათაჲ¹, და საჭირო არს და უღონო, რაფთა პირველად გემოჲსხილვისა და ნაყროვნებისა გემოთა და გულის-თქუმათა მძლე-ექმნეს, ვითარცა ნივთთა და აღმაგზებელთა არანმდებისათა.

2. რამეთუ პირმეტყუელებისა და პირუტყუებისაგან, მსგავსად სანარმართო-თა მათ ზღაპართაჲსა, ყოველივე აგებულეზაჲ კაცისაჲ, ვითარცა ვირდვეი, რაიმე ალაგო დამზადებელმან, ვინაფცა თავითგან ვიდრე წელთადმდე მსგავს არს კაცისა, ხოლო წელთათგან და დამართ მსგავს არს იგი² ცხენისა; ესე იგი არს, რამეთუ გემოჲსმოყუარებათა და გულის-თქუმათა სიყუარული, მსგავსად პირუტყუთაჲსა ნაყროვნებისა|| 347vII(A)და შეყოფისა მიერ აღტყინებული მცნებისა გარდასლ-ვითგან, ქუეშე კერძო მოადგა მას. არა თუ ესრეთ ენება, რაფთა[მცა] პირუტყუ-ლისა კერძოჲსა მიერ იმძღავრებ(ო)და და იყვანებოდა, არამედ პირმეტყუელებითა [პირუტყულსა მას კერძ]სა ჰმართებდეს და ბ[უ]ნებისა იძულებათა [სი]ბრძნით განაგებდეს.

3. ხოლო რაჟამს ველმწიფებაჲ იგი მისდა მოცემული ვერ ჯეროვნად იწუმოს³, [მიერ]ითგან არლარა განმგედ, არამედ განგებულად, არცა მპყრობელად, არამედ უფლებულად პირუტყ[უ]ლისა მის კერძოჲსაგან იქმნების პირმეტყუელი და ესე-ვითარსა მას მეეტლ[ესა] უგუნურებისა მისისათჲს ჯეროვნად აყუედრებს წერილი, ვითარცა პირუტყულთა გულის-თქუმათა მიერ ძლეულსა და ბოროტად ტყუექმ[მ]ნილსა და იტყვს, ვითარმედ: „ექმნეს იგინი ცხენ მცბი[ერ] და კაცად-კაცადი ცოლსა⁴ მო[ყ]უსისა თჲსისასა შეჰჰკოდა“.

4. და კუალად სხჲსა ადგილსა წელთაგან და უპისა პირუტყულსა მძღავრებასა სულისასა მოასწავენს და იტყვს, ვითარმედ: „აჰა, ესერა ძალი მისი წელთა [შინა] მისთა და მძღავრება[ჲ] მისი უპესა მუცლისა მის[ისასა]“.

5. რამეთუ განიოხებოდიან რაჲ ესე გემოჲსხილვისა მიერ მათ ქუეშე მყოფნი იგი ასონი, გარდარევითა ||348rI(A) [ნოტი]ობისაჲთა სიღრმეთა [შინა] [იძუ]ლებ-ით აღდულებულ[ნი], ბუნებითა მათ არანმი[დ]ა[სა] საქმეთა მიმართ უნებლიეთცა აღიძრვიან, რამეთუ ნაყროვნებაჲ მიადინებს მათდა ცეცხლსა მას ტრფიალებისასა და წყაროსა ბილწებათასა. ხოლო გემოთმოყუარებაჲ [და] გულის-თქუმაჲ ჭამისა მიერ [და ს]უმისა ზედაჲთ კერძო შეუ[კრე]ბს ნივთსა საწუმილისასა.

6. [ვი]ნაფცა პირველად თანა-აც ქალწულ[სა], რაფთა გემოთმოყუარებისა და ნაყროვნებისა გულის-თქუმათა წყარონი განაწმნეს და მათ მიერ სიძვისა მდინარეთა მიზეზნი გარდაჰკუეთნეს და პირველითგანვე წესიერად და სინმდით მოქალაქობაჲ შეიტკობს, რაფთა არა აღრჩევასა შინა ქალწულებისასა გემოთა

¹ სიძჲსა გულის-თქუმათა B;

² იგი კაცისა B;

³ იწუმოს B;

⁴ ცოლსა]-B;

მიმართ უკრძალველობითა სამარადისოდ¹ ისიძვიდეს [და] ესრეთ უგრძნულად სხვთა კერძოთა შუებისათა გემოთმოყუარებასა მიჰყიდოს ქალწულება.

7. რამეთუ გემოჲს—ხილვაჲცა ქალწულისაჲ ჯერ-არს, რაჲთა ქალწულივე იყოს და არცა ერთისა ჭამადთა სიტკობებისაგან ლიქნილი გულის—თქუმათა მიერ განიხრწნებოდის;

8. არამედ, რაჲთა ამათცა შინა გონიერებითა უხრწნელად დაიცვებოდის, ხოლო მსახურად სულისა განწესებულთა მათ ჴორცთა გულისხმისყოფით ჰმწყსიდეს.

8. 1. რამეთუ არცა ესე ჯერ-არს, რაჲთა დაყენებულთა მათ გემოთ—მოყუარებისა გულის—თქუმათა შთავარდეს და არცა ესე, რაჲთა ნაყროვნებისა რაჲ ვნებათა ჭამადთა განყენებითა დააცხრობდეს და განჰლევდეს, კუალად || 348rb(A) ჴორცთა პყრობაჲ და განგებაჲ წინააღმდეგომად შეცვალოს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ნუ მისდრეკები ნუცა მარჯულ, ნუცა მარცხლ“.

2. რამეთუ ჭეშმარიტად, ვითარცა ყოველთა ჭამადთა მიმართ უაღკროდ მიშუებაჲ გემოჲსხილვისაჲ ბოროტ არს ზემოთქმულთა მათთვის მიზეზთა, ეგრეთვე საჭმრისაგან ჴორცთაჲსა ჯეროვნისა, რომელი-იგი უძლურებისათვის ბუნებისა თანა-აც, განყენებაჲ და უჭმარ-ქმნა ჴორცთაჲ, სრულიად პირუტყყუებაჲ არს.

3. რამეთუ ჭეშმარიტი წარმატებაჲ, სიტყყსაებრ ბრძნისა ვისმე, ორთავე ამათ კერძოთა სწორებასა შინა გამოჩნდების.

4. რამეთუ ვითარცა-იგი სიმრავლითა ჭამადთაჲთა ტრიობად იწყებს ცხენი ჴორცთაჲ ჩუენთაჲ და წარიტაცებს ზედამჯდომელსა, ვინაჲცა. ენებოს, ეგრეთვე გარდარეულითა სიუზმითა წინამდებარისა მის სათნოებათა სრბისაგან დაიხრწნევის².

5. და ვითარცა არა ჯერ-არს მრავალფერთა სანოაგეთა მიერ განპოხებაჲ მისი, რაჲთა არა უწესოთა მათ კრთომათა მისთა მიერ ბოროტი შეამთხვოს მწედარსა და წარიტაცოს მდულართა მით და მოუდრეკელითა ძალითა მისითა კლდეთა და კაპანთა.

6. ეგრეთვე არცა ესე თანა-აც, რომელმან მოლუანებითა სარბიელსა ჴელ-ყოს სლვაჲ მის მიერ, რაჲთამცა სიყმილითა მოაშთო³ იგი და უჭმარ-ყო ძალი მისი.

7. რაჲთა არა მისთანავე დაიწსნეს და ურგებნი შრომანი თავს-ისხნეს მისთვის, რაჲამს-იგი ვერცალა აღდგინებაჲ ძალ-ედევას მისი, რაჲთა რბიოდის⁴ და ვერცა დატევებად, რაჲამს || 348vi(A) ბუნებითი სიყუარული არა შეუნდობდეს.

8. არამედ უკუეთუ ჰნებაჲს ზიარებისათვის ზრუნვაჲ მისი, სიმრთელისაცა მისისა მოლუანებაჲ საჭირო არს, ხოლო რაჲამს არა აქუნდეს ჴორცთა ძალი თვსთა მსახურებათა სრულყოფად, უგუნურებისა საქმე არს ესე და თანაშემნისა თვსისა შემწეობისაგან დაწსნაჲ და დარლუევაჲ⁵.

¹სამარადისოდ B

²დაეხრწნევის BC;

³მოაშთონ B;

⁴რბიოდინ B;

⁵დარლუშვაჲ B;

9. ამისთვისცა სიბრძნე საჭმარ არს ბუნებითისა ამის ეტლისა ჩუენისათვის, რა-თა არცა აღვრთა წარუყრიდეთ და არცა კუალად უმეტეს ზომის განვართხმიდეთ სრბათა შინა მოღუანებისათა.

10. ვინაჲცა თანა-გუაც ძალსაცა განცდად ჴორცთასა და სიპოხესა ჭამადთა-სა. და ჭაბუკ რაჲ ვიყვნეთ და ბუნებითი მჭურვალეზა გუმძლავრობდეს, არღარა შევსძინებდეთ საზრდელთა მიერსა მჭურვალეზასა გარეთ, რაჲთა არა აღვარძინოთ მდღულარებაჲ იგი სიჭაბუკისაჲ შთასხმითა ღვნისაჲთა და ცეცხლი ცეცხლსა ზედა დაურთოთ და საჭუმილი ვნებათაჲ აღვტეხოთ.

11. არამედ ჟამსა სიჭაბუკისასა, რაჟამს იგი სიმჭურვალე ჴორცთაჲ გუმძლავრობდეს, წყალსა წმიდასა წყაროთაგან დავასხმიდეთ ცეცხლსა მას ზედა სიმჭურვალისასა და დავშრეტდეთ აღსა მისსა სუმითა წყლისაჲთა და, ძალითა სიტყვსაჲთა, მყუდროებასა და მშვდობასა მოვატყუებდეთ თავთა ჩუენთა.

12. ხოლო ბერთა და უძღურთა ჭამადთა და სასუმელთა მიერ შევენეოდით და ძალ-ვსცემდეთ და [ა]რაჲთა საზომსა ხოლო ჭა|| 348vII(A) მადთასა გულისწმის-ყოფით მოვინყუედთ¹, მსგავსად ძალისა და ჰასაკისა, არამედ სიპოხესაცა ჭამად-თაჲსა სიბრძნით განვარჩევდეთ.

13. და არა გარეშესა ხოლო სახესა განვიციდიდეთ ჭამადთასა, არამედ ძალსა და ბუნებასა მათსა გულისწმა-ვჰყოფდეთ.

14. რამეთუ არა თუ თესლნი ხოლო და ცერცუნი, არამედ მახალთაგანცა არ-ამცირდენი არიან, რომელნი-იგი არა გარეშისა სახისაებრ იქმნებიან მარჯუე საზრდელად მოღუანისა, არამედ სიღრმესა გუამისასა აღაშფოთებენ და ქავილსა და ქავილის სახესა გემოვნებასა აღსძრვენ ჴორცთა შინა, რომელნი-იგი არაჲთ უნაკ-ლულეს ჴორცთა აღძრვისა აღამრღუევენ და აღაშფოთებენ ჴორცთა.

9. 1. ვინაჲცა არცა მარილი ვიჭუმით ურიდად და განუკრძალველად!

2. ვითარცა-იგი ვიხილეთ რომელთამე მოღუანეთა შორის, რომელთა-იგი ფიცხლად მოღუანებითა ყოველივე საჭმელთა ჴუმევაჲ განეშორა და მარილსა ხოლო იჭმარებდეს სანუკვარად პურსა თანა.

3. და არამე გულისწმა-ჰყოფდენა ეგვეითარნი-იგი, რამეთუ თესლმცენარე არს მარილი ბუნებით და მანებელ ჴორცთა და საქმედ ცოდვისა აღმაზრზინებელ?

4. და უკუეთუ ამათი გამოკულებეჲ თანა-აც მოღუანესა, რაოდენ² უფროჲს თანა-ედვას კრძალეჲა ხილთაგან, რომელნი-იგი ცხადად || 349rI (A) მანებელ არიან და ყოველსა შინა საჭიროჲსა.

5. ხოლო ჴორცთა საჭმრისა მიცემაჲ საპყრად³ ცხორებისა, ხოლო წუენთა [და] საჭმელთა მოპოვნებულსა მას ლიქნასა, ვითარცა გულის-თქუმათა სამჭედურსა გარემიქცევაჲ, რამეთუ უკუეთუ პური გულსა კაცისასა განამტკიცებს, არა ჯერ-არს გარეშე საჭიროჲსა ნამეტნავთა საჭმელთა ჴმარებაჲ.

¹ მოვინყუედთ| მიუნყვიდეთ BC;

² რაოდენ B, რაედენ C;

³ საპყრად| საპყრობილედ B, საპყრობელად C;

6. ხოლო ვინაიდან მარილიცა სანოაგე¹ არს, უკუეთუ წესიერ[ი]სა საქმლისა მიღებასა არა თავს-ვიდებთ, ნუცა მარილსა ვიჭუმევთ სანოაგედ.

7. ხოლო უკუეთუ სანოაგესა ვინმე შემანელებულად პურისა მიიღებდეს და არა შემსგავსებულად ნაკლულევანებასა პურისასა მიიღოს, ეგევითარი-იგი არღარა სანოაგე არს, არამედ პურ. და ესრეთ სიმრავლემან საქმელთამან, *ლონისძიებითა მოპოვნებულმან*, ნაკლულევანება-იგი პურისაა აღმოაგის და მიზეზ გემოთმოყუ-არებისა ექმნის მოლუანესა. და რამეთუ არა ხოლო თუ საქმლისა, არამედ მარ-ილისაცა ნაკლულად ჯერ-არს შეპყრობად პურსა თანა.

8. და უკუეთუ არა ესრეთ იქმოდის მოლუანე, იპოვოს მდევნელ მისა, რომლის-აგან იგი სივლტოლასა იჩემებს.

9. და რაითა მოკლედ ვთქუა, ვითარცა ოთხძალსა, კეთილად მორთულსა, ეგრეთ ჯერ-არს მორთვაა ოთხთა მათ ნივთთაჲ, რომელთა მიერ აგე-ბულ ვართ, ესე-იგი არს ქუეყანისაგან და წყლისა და ჰაერისა და ცეცხლისა, რაითა ნაკლულსა მას სამარადი || 349rII(A) სოდ საზრდელი-თა შევენოდით და ჴელსა აღუპყრობდეთ, ხოლო წარმატებულსა მას დაკლებითა ვკმარებდეთ.

10. და ნუმცა რაბამობასა ოდენ გამოვიკულებეთ ჩუენ შორის მყოფისა მჭურ-ვალებისა და სიგრილისასა, არამედ ვითარებასაცა სიჭმელისა და ნოტიისასა.

11. და რომელთამე ვითარებასა შევკმატებდეთ² და რომელთამე რაბამობასა მოვაკლებდეთ და რომელთამე განვაფიცებდეთ და რომელთამე მოვალბობდეთ და რომელსამე შევსცვალბდეთ და რომელსამე ბუნებითსა ზედა ვიმჭირვი-დეთ³, რაითა ესრეთ ყოვლისავე შეუნყობლობისაგან განშორებულთა შენყობილი და მორთული ჴმაჲ გამოსცენ ოთხძალთა მათ, რომელნი არიან ჴორცნი ჩუენნი კეთილითა მით სახიობითა სულისაათა.

12. და ესე ვთქუთ წესისათვს და სახისა გემოთ-მოყუარებისა და საცნობელი-სათვს, გემო-სხილვისა მათვს, რომელნი-იგი რბიან სარბიელსა მას ქალწულები-სასა და უფროსლა მოლუანეთა მათვს, რომელნი სათნოებათა მისთა სრულებით აღასრულებენ.

10. 1. და უჩუენეთ ვითარმედ, ვითარცა-იგი ჴორცთა სულისა მძლავრებად აღ-ჭურვაჲ კეთილთა ზიარებისა დამახრწველ-იქმნების.

2. ეგრეთვე წინაუკუმო უძღურებაჲ ჴორცთა ორღანოჲსაჲ, რაჟამს წადიერე-ბასა და ნებასა სულისასა უძღურებისაგან ვერ ეძლოს მსახურებად, კეთილად მორბედებისა დამახრწველ-იქმნების. რამეთუ არარაჲ დამოზიდავს ქუე ფრთეთა სულისათა, ვითარ ტყვეი ესე ჴორცთაჲ. || 349vI(A) რაჟამს უძღურებასა მათსა შე-ექცეს შეინრებული და არა უტევებს მას, ვითარ-იგი ენებოს ზეცად აღფრინებად.

3. და არა ხოლო თუ კეთილთა მოგებასა დააჭირვებს მას უძღურებითა თვისი-თა, არამედ მოგებულთა მათცა შეუნიერებასა მიჰპარავს ამაოთა მით დაჴსნი-ლობითა.

¹ სანოაგე B, სანოაგე C;

² შევკმატებდეთ B;

³ ვიმჭირვიდეთ B;

4. რამეთუ ვითარცა-იგი ზრქელი მუცელი არათუ აგებულებისაგან არს ზრქელ და ბუნებით, არამედ, რომელსა შინა სიზრქე ჭამადთა ნაყროვნებისა მიერ უშურველად შთადიოდის, შეამრღუევს გონებასა და განაზრქელებს. და ნმიდასა გულის-ზრახვასა ვერ მოიგებს.

5. ეგრეთვე ფრიად დაწულილებული მუცელი დაწსნილობისა მიერ უსულო-ჰყოფს გონებასა უძღურებითა ჯორცთათა და წულილად მხედველსა გონებასა და გონიერად განმკითხველსა დაშრეტს.

6. და არათუ რომელთამე ჭამადთა გარემიქცევაჲ ჯერ-არს და რომელთაგანმე ურიდად განძღომად, არამედ მათიცა ჯერ-არს სინმიდით განრაცხვაჲ, რომელნი-იგი სიმრავლითა სიმადღრისათა გარემიქცეულთა, მათვე¹ სწორთა სავენებელთა მოანევენ სულსა ზედა.

7. და სიპოხისაცა ჯერ არს გულისწმის-ყოფად. რომელნი-იგი, დაღაცათუ მცირე იყვნენ, მრავალთა მათვე სწორსა სავენებელსა შეიღებენ სრულიად და ყოვლითურთ, ვინაჲთგან მსახურნი ვართ სიტყვისანი სიტყვერად და არა პირუტყულად ჯერ-არს მოღუანებაჲ.

11. 1. და ესე ესრეთ გულისწმა-ყავ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „შეიყუარო მოყ || 349vII(A) უასი შენი, ვითარცა თავი თვისი [და] ვითარმედ შიშუელ ვიყავ [და] [შემ]მოსეთ მე და მშოდა [და] გამომზარდეთ და სნეულ [ვი]ყავ და მომხედეთ მე.“ და ნუუკუე ვინმე დაისნავებდეს მცნებათა ამათ აღსრულებად მიხედვითა [უძ] ლურთათა, ხოლო თავსა თვისსა უძღურსა უგულ[ლ]ებელს-ყოფითა განჰრყუნიდეს².

2. ცხად არს, რამეთუ ესევეითარისა მის სიყუარული ცთომილი არს, რომლითა-იგი გულმოდგიინე-იქმნების სიყუარულსა მოყუასისასა და თავისა თვისსა სიყუარული არა იცის, არა არს მის თანა სიყუარული, არამედ იჩემებს ორგულებით [და] გინა უგუნურებით.

3. რამეთუ, ვითარ აღასრულებს იგი ს[ა]უფლოსა³ მას მცნებასა სიმართლით, რომელი-იგი მონ[ა]თა ამათ ჯორცთა მიმართ მშჯავრსა თულ-უხუავსა არა შჯის, არამედ მიზეზითა დამონებისა და აღკრძალვისათა ჰგონებს თუ აჭირვებს მას? ვითარ-იგი აღუთქუამს, ხოლო განუბჭეულითა მით უწყალოებითა ბოროტად სტანჯავს და განჰლევს მას?

4. ანუ თუ ვითარლა იყოს იგი მონა მეუფისა, რაჟამს თვთ-იგი მეუფე მსახურად მოეგოს მძღავრებისა მის, რომელი მის მიერ დაითმინა? ანუ თუ ვითარლა ჰმონოს მეუფესა ძმათა ქველის-მოქმედებითა,⁴ რაჟამს ყოველნი, ქველის საქმედ შემძლებელნი, თვისსა მსახურებისა მონად მოეგნენ?

5. რამეთუ ვითარლა არა ჰმსახუროს მეუფესა საქმეთა შინა სათნოებისათა, || 350ra (A) რაჟამს [მ]დებარე უძღურება[სა შინა] სხუათა მათ ყოველთა იყოს სახე და მიზეზ ქველის საქმისა და მეუფე? აქუნდეს ყოველთა მიერ საგლოელი მის მიერ შთავრდომილი უბადრუკებასა და უკურნებელთა მათ ტანჯვათა მისთათვს

¹ მათვე მათ ვერ C;

² განჰრყუნიდეს B;

³ ს[ა]უფლოსა[ს] სამეუფოსა B;

⁴ ქველისმუქმედებითა C;

ყოველნი სწყალობდენ მონასა. რამეთუ მიერთგან ვერცალა მეუფემან შეუძლოს თვსთა საქმეთა მოლუანებად მონისა ზრუნვათა შექცევისათვს. და დალათუ მოენყინოს, არა აქუს მას ღონე თავისუფლად განტყევადად მის თანა შეყოფისაგან, რამეთუ შეკრულ არს მის თანა. არცალა მონამან, დალაცათუ მიემთხვოს მის მიერ წყალობასა, მო-ლა-ვით-იგოს შემსგავსებული მონებაი მეუფისაი?

6. არამედ ურთიერთარს უკურნებელთა ტანჯვათა მიზეზ ექმნენ და ესევეთარი შინაგან ხედვაი აქუნდეს ერთმანერთისაი, ვითარცა საპყრობილედ შემანყუდეველთა ერთმანერთისათა. და ლუანლის დამდებელისაგან და მხილველთაგან ორკერძოვე საყუედრელ იქმნენ, რამეთუ ზეცისა სარბიელსა სრბად აღინერა და შესცთა პირუტყულებითა. და არათუ ოდენ ვერარაი ილუანა სარბიელსა მას შინა, არამედ სრბისა მისცა მონად და თანაშემწედ მიცემული უმშჯავროდ დაამწუა და თავი თვისი უგუნურებით მისთანავე დააქცია.

7. ამისთვისცა, რომელნი-იგი ჭეშმარიტისა მის კეთილისა მოგებისათვს შეაინრებენ ჯორცთა თვსთა, კულადცა დაუმონმებთ მათ და ვამცნებთ: „ნუ მისდრკები || 350rb(A) მარჯუენით, გინა მარცხენით“.

8. რამეთუ, ვითარცა-იგი ნაყროვნებად მიდრეკაი ბოროტ არს, ეგრეთვე მიმდემითა ძკრისხილვითა ურგებ-ქმნაი ჯორცთაი ჭეშმარიტად პირუტყუება არს.

9. რამეთუ არა თუ მუცლისა გემოთაგან განყენებაი თავისა თვისისათვს არს კეთილ, არამედ რამეთუ მოგებად კეთილისა შეენევის.

10. ხოლო უკუეთუ რომლისათვს-იგი ჭამადთაგან განყენებასა აღვირჩევთ, უკუეთუ-იგი მიმდემისა მარხვისათვს უდებ-ვყოთ, წინაუკუმო იქმნეს ჩუენდა სარგებელი იგი მოლუანებისაი უგუნურებისა ჩუენისათვს, რამეთუ დადნობისა და მისთვის და დარღუევისა ორღანოესა ვერღარა გუეძლოს წიგნის კითხვად¹ და ლოცვად და ზრახვად უფლისა, და ვერცა ძმათა ქველის საქმისა და მსახურებისა აღსრულებად, და ვერცა მორჩილებისა კეთილთა თავს-დებად უძღურებისა მისთვის.

11. ჯერ-არს, უკუე ჯორცთაცა მოღებაი, გარნა არა ჯორცთათვს, არამედ მსახურებად მოღუანისა წესთა მოგებაი მათი, რამეთუ უკუეთუ ძალი შემძლებელი მსახურებად სიბრძნეთა მათ მოლუანებისათა არა აქუნდეს ჯორცთა, გინა თუ სარგებელისა წიგნის კითხვისასა მოსთულებად, ანუ თუ რაჟამს-იგი დაიწნასა გონებაი ჯორცთა თანა და ჯერ-ყოს განმტკიცებაი მისი ლოცვითა, ანუ თუ სხვსა რაესმე მოლუანებისა აღსრულებად თავისა თვისისათვს და ზიართა მათ ცხოვრებისათა სარგებელად, მიერთგან ურგებ არიან ჯორცნი და დაწსნილ არს წესი || 350va (A) მოლუანებისაი.

12. ამისთვის იტყვს მოციქული, ვითარმედ: „აღვიკრძალავ ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ“. ესე იგი არს, ვითარმედ რაჟამს სიჭაბუკისათვს ჯორცთაესა ზედა აღდგომაი მეუფისაი ინებონ მარხვისამიერითა აღკრძალვითა და დავიმონებ და ვაიძულებ², რაეთა უწყოდის პატივი მეუფისაი. ხოლო ესეოდენ არა ვპგუემ³, რაეთამცა

¹ წი[წ]გნის კითხვად A;

² ვაიძულებ B;

³ ვპგუემ BC;

ურიცხვთა წყლულებათა მიერ უჭმარ-ყავ იგი მონებისა მიმართ, არამედ შეინრებასა მათსა ამისთვის ვჰყოფ, რაათა დავიმონნე იგი მსახურებად მეუფისა.

13. ხოლო რომელი ესეოდენ ჰგუემდეს მონასა სიყმილითა, რაათა არა ხოლო თუ უჭმარ ოდენ იქმნეს¹ მსახურებად მეუფისა, არამედ თვისსაცა თავისა მსახურებად ვერ ეძლოს. სხუად რაა არს ესე, არამედ თავსა თვისსა მონად მონისა თვისსა გამოაჩინებს?

14. რამეთუ, ვინაითგან ვერლარა ეძლოს ჯორცთა მონებად, არამედ უძღურებისაგან დაწსნილ იყვნენ უნებლიეთ, თანა-აც მეუფესა მონებაი მისი და ესრეთ მარადის რაა მსახურებად უძღურებისა მისისა შურებოდის, არლარა ჯელ-ენიფების თავისა თვისსა საქმეთა მოწსენებად, არამედ ყოველსავე ცხორებასა თვისსა ამოსა მას მონებასა შინა მისსა განჰლევს.

12. 1. რამეთუ ჯორცთა ზრუნვისა არა-ყოფად არა მარხვად განაჩინა მოციქულმან, არამედ შესძინა, ვითარმედ გულისთქუმით, ესე იგი არს, რაათა გულისთქუმაი და გემოთმოყუარებაი ჯორცთაი მოლუანისა მიერ განიკუეთოს, ხოლო ჯეროვანი საწმარი მოგებად კეთილის და ძალად სათნოებათა აღსრულებისა არა დააყენა: „საჭმელმან ჩუენ არა წარმადგინნეს ღმრთისა“.

2. || 350vII(A) რამეთუ არა არს სასუფეველი ცათაი საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვდობაი და სიხარული სულითა წმიდითა. რომელთათვის-იგი ჭამადთაგანცა განყენებაი, გულისწმის-ყოფით ქმნილი, მიითუალვის თუ არა, თვთ თავით თვისით ჭამადთაგან ოდენ განყენებაი, უკუეთუ გამოიძიო, ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „არა თუ ვჭამოთ, არაი დაგუაკლდეს და ვჭამოთ, თუ არაივე გუემატოს“.

3. რამეთუ არცა რომელნი-იგი არა ჭამდენ, მეტი რაივე აქუს მჭამელთაი მათ. უკუეთუ ჭამაი ოდენ არს თავით თვისით სათნოებათა მათთვის და არცა რომელნი-იგი ჭამდენ, უნაკლულეს რაითმე არიან არამჭამელთაისა სიტყვთა მით, ხოლო ჭამისაათა, უკუეთუ ოდენ შინაგანნი სათნოებანი მათნი სწორ იყვნენ.

4. ვინაიცა ყოველსავე ჯორცთა მოლუანებისა სათნოებათათვის სულისათა ჯერ-არს აღსრულებაი, რამეთუ რომელი-იგი თავით თვისით არა იყოს კეთილ, მსახურებისათვის კეთილისა კეთილითა მიერ შემკობილ იქმნების.

5. და რაათა არა დაჰბრკოლდეს კეთილთა მიმართ მსახურებაი უძღურებითა ჯორცთაათა, ამისათვის იტყვს: „ღწნოი მცირედი იწუმეი სტომაქისათვის შენისა და ზედაის-ზედა უძღურებათა შენთათვის“.

6. რამეთუ, ვითარცა-იგი ჭაბუქსა ჰასაკითა და მდღულარისა ჯორცითა არა უღირს, ვითარცა-იგი ზემო ვთქუთ, ცეცხლისა ცეცხლსა ზედა შეძინებად, ეგრეთვე არცა უძღურებითა განცივებულსა თანა-აც, რაათა სიგრილე სიგრილესა ზედა || 351rI (A) შესძინოს და დაწსნილობანი² განიმრავლნეს.

7. არამედ, ვითარცა-იგი მუნ ბუნებითა მწურვალებასა გარეშეთა ნივთთა მოკლებითა განვჰლევთ³, ეგრეთვე განლეულთა სენთაგან, გინა ჰასაკისა, ანუ თუ

¹ იქმნეს B;

² დაწსნილობანი| საღმობანი B;

³ განვჰლევთ B;

სხვა რაღმე უძღურებისა გარეშეთა მჭურვალბათა მიერ შევენევით და აღვაორ-
ძინებთ.

8. რამეთუ ჴორცთაცა შინა მშვიდობისა ჯერ-არს მოგება და უძღურსა მას
ოთხთა მათ ნივთთაგან, რომელთაგან აგებულ ვართ, ყოვლით კერძო შეენევით,
რათა არა გარდაერიოს ჩუენ შორის მყოფი იგი სიმჭურვალე, გინა სიგრილე
ანუ თუ სხუათა მათ ნივთთა აგებულებად და ბრძოლითა და შეუზავებლობითა
უძღურებისა და არანმიდებისათა სულნი ჩუენნი აღავსნეს.

9. და ესე ყოველი ერთისა ხოლო საცნობელისა განმართებად წარმოვთქუთ
სულმცირედ, რომელ არს გემოხსილვად მათთვის, რომელთა-იგი ჰნებავს ჴორცითა
ქალწულებად.

10. ხოლო ამიერიტგან ჯერ-არს სხუათა საცნობელთა მიმართ მიცვალებად და
განცდად ნესსა ჭეშმარიტისა ქალწულებისასა, რომელი-იგი წინამდებარე არს.

13. 1. საცნაურ უკუე იყავნ ყოველთადა, რომელთაცა ჰნებავს მჭევალსა მას
ჭეშმარიტისა მის ქალწულებისასა განყენებითა ჭამადთათა და სხუათა მათ
ფიცხელთა მოლუანებათა მიერ ქალწულებით დამარხვად, რამეთუ შესაძლებელ
არს ქალწულებასა შინა ჴორცთასა სულისა არაქალწულისა¹ ქონებად, რამეთუ კმა
არიან სახედველნი, ხოლო ხატთა საძაგელთა გამოსახ || 351rII(A) ვად სულსა შინა
და სიტყუად ნამლეანი² გულის-თქუმათად განხრნად სასმენელთა და არანმიდები-
სა მიმართ აღზრზენად გონებისა.

2. რომლისათვის-იგი ეშინის კეთილსა მას ეზოხს-მოძღუარსა ქალ-
წულებისასა, რათა ნუუკუე განიხრნენ არა ჴორცნი, არამედ გონებანი, რო-
მელი-იგი სძალ-ქმნილ იყვენ ქრისტესა.

3. ვინაცა ჯერ-არს, რათა პირველ ჴორცთაჲსა უფროხლა სული დავიმარხ-
ოთ ქალწულად 4. და არა რომლითამე საცოთა დაცვად ესე და რომლითამე
წარწსნილად განტევებად, არამედ რათა ყოვლითავე კრძალულებითა დაიცვას
გული თვისი, რათა არცა სიტყუად შევიდეს სმენილი ჴმისა მიერ და მოწყლას გონე-
ბად იგი მსმენელისა მის, ვითარცა ისარმან ნამლეანმან, და არცა უჯეროდ რამე
გურიობად შეუჯდეს მას შინა და აღძრას გული მისი გულის-თქუმითა მსგავსად
ლელვათა.

5. და ეგრეთვე სახედველთათვის უღირს განკრძალვად, რათა არა ჩჩვლად და
წანარად და ვნებულად მიხედვითა³ მხილველთა მათ მისთა კერპნი გულის-თქუ-
მათანი გამოუხატნეს და ტრფიალებისა სახენი მიუეკლინეს და არცა გარეგნით
მისა მიმართ ტყორცებულნი ხედვანი განიწონნეს და შეიხნეს გულსა თვისსა, რა-
თა, არა ვითარცა ისართა რათმე ცეცხლისათა განგურიმონ⁴ გონება მისი და გუ-
ლის-თქუმისა ხატნი აღავზნენ მის შორის და იყოს მიერიტგან, მსგავსად თქუ-
მულდა, || 351vI(A) ვითარცა ირემი ღვძლითა მოწყლული.

¹ არექალწულისა B;

² ნამლიანი C;

³ მიხედვთა B;

⁴ განგურიმონ B;

6. არამედ გარეშეთა სახედველნი მტკიცედ და ახოვნად ხილვითა თანაწარ-
ჰჳადნეს სულსა თვსსა და თვისითა სინმიდით, ზრახვითა და სიტყვითა მხილველთა
თვსთა სინმიდე მოატყუას, რამეთუ კმა-არს წამთაცა სივერაგით შეძრვამ დაბ-
ნელებად თუალთა და აღზრზინებად გულის-თქუმათა სულისა მის შორის, რო-
მელსა წინა-უყვენეს იგინი საცთურად.

7. რამეთუ რაჟამს თუალთა მისთა ხილულსა შუენიერებასა ვნებულად მი-
ადგნეს თუალნი იგი გონებისანი და გულის-თქუმათა მიერ, მსგავსად ცვლისა,
მოაღბოს სული და სახენი იგი ხატისა მის ხილულისანი¹ თავსა თვსსა შორის გა-
მოიწერნეს.

8. იგი უკუე წარვიდა, რომელმან სახენი იგი სულსა შინა მისსა² გამოწერნა,
ხოლო დაბეჭდულნი იგი გონებასა მას ზედა მხილველისასა სახენი თვსსა საქმესა
აღასრულებენ და მარადის აოტნებენ სულსა.

9. და ამისათვის თანა-აც ქალწულსა, რაჟთა არავის განუმარტნეს თუალნი და
რაჟთა პირველითგანვე არავის მიხედნეს განუკრძალველად. და, უკუეთუ მიადგნეს
სადამე თუალნი, რაჟთა წინაუკუმოთა ძალითა ხატინი-იგი, რომელნი აიძულებდენ,
რაჟთა გამოსახნეს მის შორის, გარენარაქცინეს და ავოცნეს თავისა თვისისაგან,
რაჟთა არცა ერთი ხატი ჳორციელი, მიმყოვრებულისა ჩუეულებით მიხედვისაგან
გამოსახული, დაშთეს მის შორის.

10. ხოლო უკუეთუ სამე იქმნეს ფა || 351vII(A) რულად ჳორციელთა სახეთა
გამოხატვამ მის შორის, ზედაჲს-ზედა კეთილთა წსენებითა ავოცად მათდა თავის-
აგან თვისისა და უჩინო-ყოფად ისწრაფოს. ესე იგი არს, რაჟთა ღმრთისა მიმართ
ხედვითა გონებისაჟთა განფხურნეს³ იგინი.

11. და რომელნიმე წმიდათა ცხორებისა განცდითა და რაჟთა შრომანი იგი
მათნი და ხედვანი უნივთოთა⁴ ხედვითა⁵ გამოიწერნეს სულსა თვსსა ზედა,
ხოლო უკუეთუ გამოსახულნი იგი სახენი, ვითარცა ბეჭედსა ზედა აღუწოცელად
დაუტევენეს გონებასა თვსსა ზედა, თანა-წარუვალ არს⁶ დაბეჭდულთა მათ სახ-
ეთა შექცევამ გონებისაჲ⁷, და სხუათა ყოველთავე კეთილთა უგულებელს-ყოფამ
და სახეთა მათ საოცრებისა შემშჭულვამ⁸ და გულის-თქუმისა მათისა მიერ სა-
მარადისოდ ცოდვამ.

12. და რაჟმცა ერგო⁹ესევეითარსა მას ღონისძიებითი იგი ჳორცთა უხრწნელე-
ბამ, ვინაჟთგან სული სახედველთა მიერ მის შორის შესრულისა მის ჳორციელისა
ტრფიალებისა გემოთაგან და გულის-თქუმათა სამარადისოდ განიხრწნებოდის.

¹ ხილულისანი A

² შინა მისსა| მისსა შინა BC;

³ განჭფხურნეს C;

⁴ უნივთოთა B;

⁵ ხედვთა B;

⁶ თანრლრს B;

⁷ გონებისაჲ B;

⁸ შემშჭულვამ BC;

⁹ ერგოს B;

13. რაჟამს ანუ თუ¹ შიშითა, ანუ თუ სირცხვლითა გარემისა მის ქალწულების სახესა ორგულებით სცვიდეს, და განშიშულებასა მისგან მიზეზად კდემულებით სა შჯიდეს² და მას უნებლიეთ ჰმარხვიდეს, ხოლო უწორცოთა მათ ჴელთა მიერ გონებისა ტრფიალებათა მოიხუევდეს და ბოროტნი იგი სახენი, || 352rI(A) მის შორის გამოსახულნი, მიმოაქუნდენ მარადის და რომლისა-იგი ჴორცითა ქმნა აუგისა და განქიქებისათჳს სირცხვლ უჩნს, მისა ქმნად გონებითა არა ჰრცხუნოდის³.

14. ვინაჲცა ეგევითარისა მის არცალა ჴორცითა ჯერ-არს ქალწულად ნოდებად რამეთუ ვინაჲთგან ტრფიალი იგი მისი მარადის განუყოფელ იყოს გონებისაგან მისისა და არანმიდებით შეეყოფდის მას, უეჭუელ⁴ არს, რაჲთა ჴორცნიცა სულიცა ვნებათა თანახატ-ექმნენ და თანაენამნენ გონებითსა მას აღძრვასა მისსა. და განიხრწნებოდის რაჲ დედოფალი, მისთანავე გახრწნად მჴევალიცა, და მღკძარეცა და ძილსა შინა ტრფიალებისა სიზმართა მიერ ერთმანერთისა შეგინებად.

15. და ვინაჲთგან ესევითარი ვნებაჲ ეუფლოს სულსა, ნამეტნავ არს მიერთობა საჭამადთაცა კრძალვად და ნეშტი იგი ჴორცთა მოღუანებაჲ, რაჟამს ცხენს მჴედარი იგი თჳსთა კრთომათა მიმართ წარეტაცოს. და ეგრეთვე მჴედარი თჳსთა მათ ვნებათა მიერ ცხენსა მას ჴორცთა თჳსთასა უცბად მართებითა კაპანთა და კლდეთა შთააბნევდეს.

16. რამეთუ, ვითარცა-იგი სიბერისაგან მოუძღურებულთა ჴორცთა გონებაჲ პირველ მოწვეწულთა არანმიდებათა მიერ თჳნიერ ძალისა გულის-თქუმიცა უცნებათა მიერ აზრზენს და აღსძრავს, ეგრეთვე ვნებულთა ტრფიალებათა მიერ სულისათა ჴორცთაცა დაჴსნილთა მოღუანებითა თჳსთა გულის-თქუმათა მიერ აღსძრავს და აღაზრზინებს სული; არა თუ ჴორცთა სიჭაბუკისაგან სული || 352rII(A) სა მიმართ მიიცვალების ვნებაჲ, არამედ სული ბოროტითა მით და უჩინოთა გულის-თქუმიცა აღსძრავს და აღაშფოთებს ჴორცთა და რამცა იყოს წინაუკუმოჲსა ამის ბოროტისა უძრეს⁵?

17. და ესეოდენი ესე სახედველთა სიბოროტე უწყოდა სიბრძნემან და, თუ რაბამსა საწუმილსა აღაგზებს, ამისთჳსცა იტყოდა, ვითარმედ: „თუალნიმცა შენნი მართლად ხედვენ და წამნი შენნი სიმართლითმცა წამ-უყოფენ“. და ნუმცა თანაწარიტაცები წამთა შენთა და ნუცა მოინადირები თუალთაგან შენთა.

14. 1. და უკუეთუ, ვითარცა-იგი ზემო ვიტყოდეთ, შეხებაჲ რაჲმე არს სახედველთაჲ ჴორცთა მიმართ მიხედვითა შეხებული, ვითარცა-იგი თუალთა უძღურთა უკუეთუ ბრწყინვალესა რასმე, უმეტეს ზომისა, შეადგნენ თუალნი მათნი, საღმობასა მას განაფიცებენ და კუალად რომელთამე ადგილთა მწუანვილოანთა უკუეთუ მიხედნენ, სარგებელ-ეყოფვის.

¹ ანუ თუ| უკუეთუ BC;
² სჯიდეს C;
³ ჰრცხუნოდის BC;
⁴ უეჭუელ B, უეჭუელ C;
⁵ უძვრვრეს B;
⁶ მწუანვილოვანთა BC;

2. ეგრეთვე, უკუეთუ სახეთა რათმე გულის-თქუმისა და გემოთმოყუარებისა-თა მივხედნეთ სენითა მით გულის-თქუმისათა აღვივებთ გონებასა და კუალად, უკუეთუ ჭეშმარიტთა რათმე კეთილთა მივხედნეთ, მათგან მოსთულებულსა სარგებელსა სულთა შინა ჩუნთა შევიწყნარებთ.

3. მაშა, ვითარ არა უჯერო არს ქალწულისა შედგომად ვნებისა? კუალად სავენებლისა მის განცდათ თუალთა მიერ და რომლისა-იგი ვერ კადნიერ-იქმნების კელითა შეხებად, || 352vI(A) მისსა განცდითა თუალთათა უკრძალველად და ური-დად შეხებად?

4. რამეთუ, ვითარცა წინამორბედი და წინადამწინდებელი, იქმნების თუალთა-მიერი შეხებაჲ ჯელთა შეხებისა შორითგან მომხდელ და მერმე უგლიმი იგი მწევა-ლი კელით შეხებისა და მოხუევისაჲ.

5. უკუეთუ პირველსა მას შეხებასა თუალთასა არა ევლტოდის ეგევითარი იგი, არცა მეორესა მას განერეს, რომელ არს ჯელთა შეხებაჲ და, რომელი-იგი ამას ტრფიალებით შეეყოს, ვერ იპოვოს იგი, ვერცალა თუ შეგონებათაგან წმიდა.

6. რამეთუ, ვითარცა-იგი, უკუეთუ ცეცხლსა შეევენთ, სასწაულთა ცეცხლი-ათა დაწუვისა მიერ საცნაურ-ვჰყოფთ და უღონო არს, რომელი ცეცხლსა შეეხოს კელითა უკუეთუმცა¹ დაწუვისა² ტკივილთა თანა წარჰვდა, ეგრეთვე შეუძლებელ არს, რომელი ტრფიალებისა ცეცხლსა შეეხოს, უკუეთუმცა ბინთა მისთაგან წმი-დად დაიცვა შეხებაჲ იგი.

7. არამედ, მსგავსად ცეცხლისა, დამწუართა დანვას გული მისი და განასივ-ის³ მწარითა მით ვნებითა ტრფიალებისათა, შინაგან მისა ფარულად აღძრული-თა, ვიდრე-ლა დულნ და ექუნ და განიჭრებინ და დაუცადებულად აურვებნ და უთქუამნ ცოდვისა წუთხითა აღვსებად მყისსა შინა. და ანუ თუ ადრევე აღვსებულ არს წუთხითა და წალითა არანმიდებისათა სიღრმეთა შინა გული იგი და სავსე არს სიმყრალითა?

8. რამეთუ გულის-თქუმათ ცოდვისაჲ ცეცხლი არს მგზებარე, რომელი-იგი || 352vII(A) ეგზების ყოველთა ასოთა შინა და რომელსაცა ასოსა მიეახლოს, აღ-მოჰფხურის და წარსწყმედს.

9. და ვინათგან ყოველთა ასოთა შინა ეგზების ცეცხლი ესე, რომელთაცა კულს-უდგენია, რათა შეუწუელად დაჰმარხნეს ჯორცნი თვსნი ესევეითარისა ამის ცეცხლისაგან, ჯერ-არს მათდა, რათა ეკრძალნენ შეხებად, რომლისაცა ასოესა, რათა არა ძალი იგი შემწუელობისაჲ, რომელი ეგზების ასოესა მის შორის შეხ-ებისა მის მიერ, არა ხოლო თუ მარტოდ ასოსა მას ოდენ შემხებელსა შეედვას, არამედ ყოველსავე გუამსა და თვთ თავადსა მასცა სულსა შორის განეზავოს და აღაგზნას.

10. რამეთუ, უკუეთუ ბოლოსა ოდენ გუელისასა⁴ შეეხოს, დაღაცათუ ესოდე-ნი სიგრძე ყამისაჲ⁵ მდებარე არს შორის თავისა და ბოლოსა, არამედ, ვითარცა

უკუეთუმცა C;
დაწუისა B;
განასივის| განავის B;
გუშლისასა BC;
ყამისაჲ| გუამისაჲ B;

შეეხოს, მყის მოიქცევის. და დაღაცათუ თითსა ოდენ უცეს ფერჯისა ჩუენისასა, მყესეულად თმანიცა თავისა ჩუენისანი აღგუემართნიან¹³ და ყოველი გუამი ჩუენი შეგკძ[რწუნ]დის. ეგრეთვე ვენებული შეხეზა, დაღაცათუ ველსა ოდენ შეეხოს, გინა თუ ფერჯითა ოდენ იქმნეს, თავითგან ვიდრე ფრჩხილთამდე²⁴, ყოველსავე გუამსა შეხეზისა მის გრძნობასა განაზავებს და გულის-თქუმითა აღავზებს.

11. და ვითარცა-იგი, უკუეთუ ქვაი ვინმე შთაავდოს გუზსა შინა წყლისასა, არა ხოლო თუ მას ოდენ ადგილსა აღაშფოთებს, რომელსა შინა შთავარდა ქვაი იგი, || 353rI(A) არამედ მრავალგზის კიდით კიდემდე აღავსის იგი ღელვითა, ეგრეთვე ტრფიალებით მიხედვა, ანუ თუ სიტყუა, გულის-თქუმათა ლიქნილი, შთა-რა-ვარდენ სულსა ქალწულისასა, ვითარცა წყალსა წმიდასა სიღრმეთა შინა გონებისათა, ზედას-ზედათა ტრფიალებათა აღსძრვენ და შთავარდომილისა მის უცნებათა წყლულებითა ყოვლით კერძო ღელვითა აღავსებს.

15. 1. ვინაცა თანა-აც ქალწულსა, რაითა სახედველთა და ჳმისა ლიქნანი, ვითარცა გულის-თქუმისა წამალნი, განმხრწნელნი თვსთა საცნობელთაგან შორად განიშორნეს. და რაითა სასმენელნი შინაგან უზინოთა გულის-ზრახვათა მიერ მოიკრძაღნეს, და რაითა თუალთა გარემიაქცევდეს ყოვლისაგან ბოროტისა და განცდასა ხოლო თვისისა მეუფისასა შემსჭუალვიდეს.

2. და რაითა ჭეშმარიტად უწყოდის, ვითარმედ თუალთა მიერ და სასმენელთა, რაცა-იგი შევიდეს სიღრმედ სულისა და ველთამიერი ლიქნაი თანაშემწედ და მაზ-რზენელად მიიღონ სიგრძესა ჟამისასა, თვისი საქმე, რომლისათვის-იგი შეითქუნეს თვნიერ ყოვლისა იჭვსა, საქმით აღასრულონ.

3. რამეთუ, ვითარცა-იგი გუნდსა თანა მვედართასა მი-რა-ვიდის მვედარი რომელსამე ქალაქთაგანსა და ეძიებნ სავანესა სადგურად თვსად, და უკუეთუ სახლისა უფალმან, გინა კარისა დაწმეთა³⁵, გინა რომლითაცა სიმარჯვთა განაშორის იგი სახლისაგან თვისისა, სხუად კერძო წარვიდის.

4. ხოლო უკუეთუ განუკრძალველად პოის⁴⁶ სახლი იგი და შინაგან შე || 353rII(A) ვიდის და [ერთი რამე]⁵⁷ საჭურველთა თვსთაგანი დამოჰკიდის სახლსა მას შინა: ლახუარი, გინა ჩაფხუტი, ანუ თუ ფარი. დაღაცათუ მოყუასთა მიმართ თვსთა განვიდის და საგონებელ იქმნეს, თუ გარეშე არს, არამედ ძალითა საჭურველისა მისისათა, რომელი-იგი დადვა მას შინა, შინაგან არს და თვთ მან და მოყუასთა მისთა, რომელთაცა ინების მიყვანება მის თანა, განითვისიან სახლი იგი და განიკუთნიან.

5. ეგრეთვე გულის-თქუმისა და ცოდვისა მძვნარე იგი მვედარი მიმოვალს საცნობელთა სიმრგულესა შინა და სავანესა ეძიებს სადგურად თავისა თვისისა. და უკუეთუ პირველი შესავალი დაეწმას, სხვთ კერძო მიდრკების.

¹ აღგუემართნიან B;

² ფრჩხილთამდე BC;

³ დახშვითა A, დაწმეთა B;

⁴ პოის BC;

⁵ ერთი რამე D;

6. ხოლო უკუეთუ საცნობელთაგანი რამე განუკრძალველად და განღებულად პოვის, და ვითარ შევიდის სულსა შინა, და ერთი რამე საჭურველთა თვსთაგანი დადვის მას შინა. ესე იგი არს სახედველთა ლახუარი თუალთა მიერ შორით განმგურემელი¹, ანუ ჩაფხუტი გულის-თქუმათა და სიტყუაჲ მაცთური შემავინებელი სასმენელთაჲ, ანუ თუ შეხებაჲ, ვითარცა ფარი რამე, რომელი-იგი ჴელთა მით მიერ შეხებისათა ყოველსავე გუამსა გულისთქუმად აღატყინებს. დაღაცათუ გარეშე საგონებელ არნ, თუ არს ამისთვის, რამეთუ ნუთლა საქმითა ცოდვისათა არა განეხრნის გუამი, გარნა ეგრეთცა შინაგანვე არს და ძალითა მით მის შორის დადებულისა საჭურველისათა განხრ || 353vI(A) წნის გონებასა და მიერიტგან თვსთა გულის-თქუმათა მიერ და სხუათა მათცა მოყუასთა ვნებათა შემწყნარებელი იგი სული სავანედ გამოაჩინის და ყოვლითა ბოროტითა აღავსის.

7. ვინაჲცა ჯერ-არს დაჴშვაჲ საცნობელთა პირველისა შესავალისაჲ ბოროტისა მისთვის ჴორცთა სტრატოტისა. და ვითარცა კართა რათმე და სარკუმელთა ყოვლით კერძო საცნობელთა კრძალულებისა და მოთმინებისა მოქლონთა მიერ დაგდებად, რათა ერთისა რაჲსმე ამათგანისა მიერ არა აღმოჴდეს ჩუენდა სივერაგით და² თავისა თვისისა თანა შემოიყვანოს მოყუასი იგი თვისი სიკუდილი, რამეთუ, თქუმულ არს, ვითარმედ: „სიკუდილი შემოჴდა სარკუმელთაგან“.

8. და რამეთუ ჴემშარიტად სარკუმელ არიან სულისა საცნობელნი, რომელნი-იგი სულმან, უკუეთუ ვითარცა პატოსანმან ვინმე დედაკაცმან, გარეთ ხილულსა ამას ნათელსა განცდად ჴეროანთა რათმე საქმეთა მყუდროებით განახუნეს³, განათლების. და ყოველსავე გარეშესა უჴეროსა ხედვასა, ვითარცა ბნელსა, განიოტებს, ვითარცა-იგი მეძავი ვინმე და არანმიდაჲ, შეიგინებს. რაჴამს ყოვლითურთ უგლიმად გარდაყვის⁴ თავი თვისი და ურიდად იქცევენ ქედსა თვისსა და განიცდინ ყოველთავე განმაცხრობელთა და მახარებელთა გულის-თქუმათა.

9. ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ სარკუმელთაგან თვისისა სახლისათა გარდაიჴკრობნ⁵, რათა უკუეთუ ვინმე იხილოს უგუნურთაგანი ჴაბუკი და ნაკლულევანი ცნობითა || 353vII (A) თანანარმავალი მის, უწოდს მისა. ესე იგი არს: განუკრძალველთა და განტევებულთა საცნობელთა მიერ თავი თვისი შეწყნარებად არანმიდებისა განმზადის⁶ და შეაბილწის.

10. ხოლო პატოსანი და წმიდაჲ, მსგავსად სახლისა შემკულისა, გულსა შინა თვისსა იქცევენ და გულისჴმისყოფისა და საცნობელთა საყდარსა ჴედა მჯდომარე არნ. და უკუეთუ რამე იხილის წმიდაჲ და პატოსანი სათნოებაჲ, და უცხოჲ ყოვლისაგანვე ვნებისა, შეინწყნარის იგი სულსა თვისსა. ხოლო რაოდენიცა რა იყვის უნესოჲ და არანმიდაჲ, გონიერებისა ჴელითა გარეშე სარკუმელთაჲსა განავდის იგი გულისჴმის-ყოფით და დაუჴშნის მას კარნი.

¹ შორითგან მგურემელი C;

² და- BC;

³ განუხუნეს BC;

⁴ გარდაყვის B;

⁵ გარდაჴკრობნ B;

⁶ განმზადის| განმიზიდის B, განჴმზადის C;

11. ან უკუე უჯერო არს, რაათა უკუეთუ ვინმე საქმეთა ცოდვისათა ევლტოდის, და ესევითარი იგი ცთომილთა ამათ და არანმიდათა გულის-თქუმათა¹ მიერ შებჳრკოლდებოდის, და განიხრნებოდის. და რამეთუ სახედველთა და ჳმისამიერი² შეხებაჲ ჳელთა მიმართ მივლენ ფარულად. და ესე ყოველნი, ვითარცა ჯატჳნი, ურთიერთარს დამოკიდებულნი, საქმით ცოდვისა შეხებასა დამნინდებელ იქმნებიან.

12. ვინაჲცა არა ერთისა ხოლო განმხრნელთა შეხებათაგანისაგან თანა-აც კრძალვაჲ ქალწულსა და განუხრნელად დაცვაჲ, არამედ ყოველთავე მრავალფერთა მათ ტომთა შეხებისათა, რომელნი-იგი აღმოაცენებენ საცნობელთა მიერ პირად-პირადთა მათ შეგინებათა, ყოვლითაგანვე ჯერ-არს ყოვლითა მოღუანებითა განკრძალვაჲ და განუხრნელად დაცვაჲ სულისაჲ.

13. და რაათა თუალთაგან და ჳმათა და || 354rI (A) სხვათა[დასხუთა]³ აღძრვათა შორით ტყორცებულთა ნაბერწყალთა სინმიდით ნინაგანწყობითა დაშრეტდეს⁴ და მათგან აღტყინებულსა საჳუმილსა გონიერებით დაავსებდეს.

14. და უფროსლა ნუცა დასაბამსა შეინყნარებს გულის-თქუმათა ცეცხლისასა, ნუცა თავს-იდებს ყოვლადვე ჳორცთა შინა თვსთა აღსა მის გულის-თქუმათასა აღტყხად, ქალწულიმცა უკუე არს ქალწულისა და სასამენელიცა და ხედვაჲცა, და ეგრეთვე შეხებაჲცა და ყოველივე სლვაჲ და მოძრავობაჲ და აღძრვაჲ.

16. 1. ხოლო ყოველსავე შუენიერებასა ჳემმარიტისა ქალწულებისასა შეამკობს.

2. უკუეთუ არა, ბუნებითთა სიკეთითა განშუენდებოდის და არცა განიშუენებდეს თავსა თვსსა, უკუეთუ მისგან უნანილო იყოს.

3. რამეთუ ჳემმარიტად უშუერება არს ქალწულისა და უცხო, რომელსა აღეთჳას უხრნელებაჲ, ანუ თუ სილაღე და ზუაობაჲ დამბადებელისა მიერ მიცემულისათვს შუენიერებისა და საანჯმნო ყოფად სიკეთისა მის და ესრეთ გამოცხადებითა მით უმრავლესთა ტრფიალთა აღძრვად და ღმრთისა მიერ მიცემულსა სიკეთესა მიზეზად ცოდვისა და მომატყუებელად დაცემათა ნინადადებად დაუმტკიცებელთა.

4. ანუ თუ უკუეთუ სახე-კეთილი და აგებულებაჲ შუენიერი არა აქუნდეს შესანელებელად გულისთქუმასა მხედველთასა, განშუენებისა ღონეთა მოპოვნებად, სივერაგეთა მოვაჳრებად, რამეთუ არცა პირველი იგი აჩუენებს უბინოსა || 354rII (A) გულისსიტყუასა, ვინაჲთგან საქმისა სიტყვს-შემოქმედისა, ვითარცა თვსითა ძალითა, გინა სათნოებითა მოგებულისათვს, ესრეთ ზუაობს და ნანარობს.

5. და რომლისათვს-იგი თანა-ედვა ღოცვაჲ და ვედრებაჲ ღმრთისაჲ, ვითარმედ: „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“.

¹ გულის-თქუმათა] გულის-სიტყუათა C;

² ჳმისა მიერ C;

³ სხვათა[დასხუთა]+მათ გულის-თქუმისა BC;

⁴ დაჳშრეტდეს B;

6. ხოლო¹ თვთმებრ მას განსაცდელსა ტრფიალთა მათ მიერ, რომელთა მოიზიდავს თავსა თვსსა, განცხადებულად აჭენებს და შთაიგდებს.

7. და არცა მეორე, რამეთუ სამჭედური იგი გულის-თქუმისაჲ, რომელი არა მიილო ჴორცთა სიკეთითა ამა მორყუნილთა სახეთა მიერ და გულებათა, თავსა თვსსა მოუმანქნებს და მოუმძევლებს.

8. ხოლო ორნივე იგი უგულისწმოდ ღმრთისა მიერ მიცემულსა მას კეთილსა თვსთა ნებათა მიერ და გულის-თქუმათა უცნაურად განხრწნიან.

9. შუენიერი იგი და სახეკეთილი სიკეთესა სულისასა ჴორცთა შუენიერებითა შეაგინებს. და უსახური იგი საგონებელსა მას უშუერებასა, რომელი-იგი მცველად და შემწედ ქალწულებისა მიილო, მოპოვნებულთა ფერთა მიერ შინაგანმცემელად თვსად ბოროტად შესცვალებს.

10. რომელთადა იგი წინაუკუმო ჯერ-იყო ერთსა მას, რაჲთამცა სანუთროჲ² ესე სიკეთე შეურაცხ-ეყო და ჴორცთა შუენიერებაჲ არამცა დამახრწველად სიკეთესა სულისასა, არამედ თანაშემწედ ეჭუმიან.

11. და უკუეთუ ესრეთ ჯერ-უჩნდა, ტრფიალნი იგი ჴორცთანი სულისამცა შუენიერებისა ტრფიალებად შეეცვალნეს;

12. ხოლო მეორესა მას, რომელსა-იგი არარაჲთ უდარეს ჭეშმარიტისა მის შუე || 354vi (A) ნიერებისა აქუნდა საგონებელი იგი, უგემურებაჲ თანა-ედვა, რაჲთამცა თავისუფლებითა განსაცდელთაჲთა მყუდროებით ელუანა და უხრწნელი იგი სიკეთე უშუერებითა³ ჴორცთაჲთა მოეგო.

13. და რაჲთამცა უკუდავთა მათ სიკეთეთა თვსთა მათ ბუნებითა აგებულებათა მიერ, რომელნი ჴორცთა შინა ეტკრთნეს, ურთიერთარს მჯდომ ქმნილ-იყვნეს წარმატებითა.

14. ხოლო ჴორცთა ქმნულებაჲ, ვითარცა ჟამთა მიერ განხრწნადი, არარაჲთმცა ნამეტნავად შეერაცხა ერთმანეთისა.

17. 1. ხოლო ან თუ რაჲ არს განზრახვაჲ მათი და პირი, რომლისათვს-იგი შეიმკობვიან, არაადვილად⁴ იქმნების საცნაურ, რამეთუ უკუეთუ ქალწულებისა შემწედ შეიმკვებიან, მაშა, წინააღმდეგომ არს საქმე მათი აღთქუმისა მათისა, რამეთუ განშუენებითა მით უმრავლესთა ავაზაკთა აღმჭურვენ⁵ თავთა თვსთათვს.

2. ხოლო უკუეთუ ამისთვს იქმან, რაჲთა თვთ თავით თვსით შუენიერად ჩნდენ, ესე პირუტყყუებაჲ არს, რაჲთა საქმისა, რომლისა ჩუენებაჲ და განცდაჲ სხუათაგან არა ეჭმარების, და მისთვს-მცა ზრუნვიდეს და იმკობოდეს⁶.

¹ ხოლო- BCD;

² სანუთრო B;

³ უშუერებითა B;

⁴ არაადვილად B;

⁵ აღმჭურვენ BC;

⁶ იმკებოდეს C;

3. ხოლო უკუეთუ სათნო ყოფად ვიეთდამე¹ ისწრაფიან და წინააღმდეგომისა კერძსა მიდრეკილ არიან, უჯეროთა გულის-სიტყვთა და ესრეთ უსირცხვნოდ² განუშიშულებიან თავნი თვსნი.

4. მაშა, იგი მეძავნი არიან, არღარა ქალწულნი, და გინა თუ მრჩობლთა გულის-თქუმათაგან იმძლავრებიან და გარე || 354vII (A) შეთა[ცა ტრფიალთაგან პნე]ბავს განძლომა.

5. და ამისთვის ისწრაფიან, რათა საერთოთა გულის-თქუმისა სანუკვარად გამოაჩინონ შუენიერება თვსი.

6. და შინაგანსაცა ტრფიალსა სათნო-ეყვნენ მოპოვნებულთა მით შიშითა და სირცხვლითა აღვრ-სხმულნი, რამეთუ, თვნიერ ზაკუსა³ და ორგულეებისა, ესე-ვითართა გონება შეუძლებელ არს პოვნად, ვინაეთგან გარეშეთა ჯორცთა გან-შუენებისა ღონისძიებითა აზრზენენ და შინაგანისა ნახევარსა ზედა სათნო-ყოფად პნებავს.

7. და რაჟამს ესრეთ აღელვებოდინ, ვითარღა იყოს წრფელ გონება მათი შეტყუებულ აღთქუმისა მათისა? ორკერძო რა ბოროტად განიპებოდინ, ესე იგი არს, შინაგანისა და გარეშისა ტრფიალებისა მიმართ?

8. რამეთუ, სიტყვსაებრ უფლისა, „ვერვის ძალ-უც ორთა უფალთა მონებად, არამედ ერთი იგი მოძულებად და მეორე შეყუარებად, ანუ თუ ერთისა მის გარეშისა განშუენებითა თავს-დებად და მომადლებად და შინაგანისა შეურაცხ-ყოფად“.

9. ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა. ვითარცა იგი ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, თუ ვითარ სათნო-ეყოს ქმარსა. და განყოფილ არს დედაკაციცა იგი და ქალწული“.

10. და ჭეშმარიტად უღონო არს შინაგანისაცა ზრუნვად, თუ ვითარ სათნო-ეყოს, და გარეშეთაცა მხილველთა მიმართ, ვითარცა სამღერელსა შინა გან-შუენებად თავისა.

11. არამედ ვითარცა, რომელი მზესა || 355rI (A) [ქუშუე ზრახვდეს] მოძლუარსა, არარას ზრუნავს აჩრდილისათვს, რომელი-იგი მისდევნ მას, არამედ ყოვლითურთ ზრახვასა მას წინამძღურისა თვსისასა შემსჭუალულ არს.

12. ეგრეთვე ქალწული არარას ზრუნავს⁴ ჯორცთა აჩრდილისათვს და კერპისა, გინათუ შუენიერ იყოს იგი⁵, გინა თუ უშუერ და არცა უცნებათა მისთათვს იურვის, არამედ ყოვლითურთ წინამძღურისა და სიძისა თვსისა მიმართ შეკერტულ არს თუალითა გონებისათა.

13. და უბნოთა ცხორებითა ბრწყინვალეებასა შინა ნათლისასა გულსმოდგინედ ზრახავს მას ყოვლითა გონებითა. „რამეთუ ზრუნავს უფლისასა, თუ ვითარ-ძი სათნო ეყოს მას.“ ხოლო სათნო ესრეთ ეყოფის, რათა, ვითარცა-იგინება და დაჰბადა მას ზედა, ეგოს იგი?

¹ ვიეთმე B;

² უსირცხვლოდ BC;

³ ზაკუსა B, ზაკუვისა C;

⁴ ზრუნავს BC;

⁵ იგი]- B;

18. 1. რამეთუ არა ხოლო თუ ესე თანა-აც ქალწულსა, რაათა არა შეიმკობოდის, არცა სანელებელად სახედველთა შეჰმოსდეს სივერაგესა გულებისასა ხატსა თვსსა, არამედ რაათა ბუნებისაცა შუენიერებასა ჯორცთასა, რაოდენცა შესაძლებელ იყოს, ღონისძიებით ჰფარვიდეს.

2. ვინაითგან, ვითარცა ზემო კერძო მოვიხსენეთ, სალბენ¹ გულის-თქუმისა მამათასა არს დედაკაცი: და თუალითა ულბილეს არს მამაკაცისა და - უწყლიანეს, და - მიმზიდველ სახედველთა, და - ჳმითა უტკიბილეს, და - მლიქნელ სასმენელთა, და - ჩჩვლ ასოთა, და - ჳორცთა აგებულებითა და - ყოვლითავე გუამითა, და - ხატითა, და - სლვითა ნანარ და გემრიან, და - აღმძრველ გულის-თქუმათა || 355rII (A).

3. და არა თუ ზრახვად ოდენ დედაკაცისა და ხედვად, არამედ ჯდომაცა და სლვაცა ძალისა მისთვის, რომელი აქუს მას ბუნებით მამათა მიმართ, ვითარცა მალნიტი რკინასა, ეგრეთვე ესე შორით მოიზიდავს, ვითარცა მანქანითა, გულისთქუმასა და ნებასა მამათასა და აღაზრზენს მათ.

4. ამის უკუე ყოვლისათვს ჯერ-არს კრძალვად ქალწულისა, რაათა ერთითაცა სახითა არა შთავარდეს ბადეთა გულის-თქუმისათა, არამედ რაათა ახოვნად ეპყრნენ თუალნი და რაათა მტკიცედ გამოსცემდეს სიტყუასა და ჳმასა და სლვითა და ყოვლითავე ძრვითა ჳორცთათა დაჰყრობად გულის-თქუმათა სამჭედურსა და უჩინო-ყოფად.

5. და არათუ, რაათა უფროსლა ღონისძიებით აღაგზებდეს თავსა თვსსა და საბრვეს დაურწყმიდეს სულსა თვსსა ერთბამად და მხილველთა თვსთა გულებითა და შენელებითა თავისა თვსისათა და ჳორცთა და ხატისა განშუენებითა².

19. 1. არამედ, რაათა სათნოებათა მოლუანებითა და სიმწნით და აჯოვნად ქცევითა და სინმიდით და უბინოდ ცხორებითა დედობრივი გულის-თქუმად სრულიად უჩინო-ყოს. და მისსა მიმართ მიზიდვად მამათა სიყუარულისა სახედ მტუერისა განაბნიოს. და გასლვაცა სენაკით და მისლვად, სადა-იგი ჯერ-იყოს, ქალწულ-ვე-მცა არს და უბინო. და ნუმცა ისიძავს ზედაეს-ზედა მიმოსლვითა და ნუცამცა³ გარეშე მისა, რომელი შეჰგვანდეს ქალწულისა *წესიერებისაგან ვალს*⁴ სადამე კრებულისაგან ქალწულთასა || 355vI (A) და ყოვლისავე სათანადოსა⁵ განსლვისა ჟამად წინამძღურად და აღკრთმპყრობელად.

2. მცნებამცა აქუს უფლისა, და მისთვისმცა იქმნების განსლვად მისი. და განსლვისა მის ჟამად დლისამცა ჟამთაგან გამოირჩევიან ჯეროვანნი ჟამნი.

3. და მცნებასა⁶ მას უფლისასა, ვითარმედ: „სნეულ ვიყავ და შემდგომთა“, ნუმცა ჳყოფს გმობისა და ბრალობისა, რამეთუ არათუ ამისთვის თქუნა მცნებანი უფალმან.

¹ სალბულ C;

² განშუენებითა BC;

³ ნუცამცა| ნუმცა B;

⁴ წესიერებისაგან ვალს| წესიერებისა განვალს BC;

⁵ სათანადოსა B;

⁶ მცნებასა B;

4. რაიათა განუკითხველად და უჯეროდ ყოველსავე ჟამსა¹ კადნიერ იქმნებოდის ქალწული და ყოველთავე უბანთა და ფოლოცთა შინა საქიქელ იქმნებოდის მხილველთა, არცა რაიათა სიკეთე იგი მცნებისა მის საღმრთოთა ვერ ჯეროვნად ჯმარებითა უგუნურებით შესასმენელად თავისა თვისისა გარდააქციოს, არამედ რაიათა ჯეროვნად აღსრულებითა მათითა უფროსლა დიდებად ღმრთისად აღძრნეს ყოველნი მხილველნი თვისნი.

5. და ნუცამცა ჰასაკი არს ქალწულისა განუკითხველ და გამოუძიებელ, არამედ უკუეთუ ჭაბუკ იყოს ჰასაკითა, სახლსამცა ოდენ ღმრთისასა მივალს, და რაიათა მუნცა² არა მარტოებით მივიდეს, არამედ ღირსთა თანა და წესიერთა ქალწულთა.

6. ხოლო უკუეთუ მცნებაე უფლისაე უნებლიეთ და თანანარუვალად სამე აიძულებდეს³ მისლვად, ეგრეთვე კულად საღმრთონთამცა და უბინოთა ქალწულთა თანა აღასრულებს წესსა მას მცნებისასა.

7. და რამეთუ, არათუ ამისთვის უჯმნიეს ქალწულთა ქორწინე || 355vII (A) ბისაგან, [რაიათა თავისუფ]ალ იქმნენ და კოლტეულად კრებოდინ, სადაცა ენებოს.

8. ანუთუ ამისთვის ლტოლვილ არიან ზიარებისაგან ქმრისა, რაიათა არავინ ჰყვეს მსაჯული, არცა განმკითხველი, არცა შურისმძიებელი, არცა გამომწულიღველი⁴ ქცევათა და აღძრვათა მისთაე და ამისთვის მიმოვიდოდის ჳელმწიფებით, სადაცა ენებოს, და მიმოვარდებოდის⁵ და ინგორებოდის, არამედ რაიათა, ვინაფთაგან ჳორციელთა გულის-თქუმათაგან და შობისა საღმობათა და მრავალფერთა მათ ამის ცხორებისა ზრუნვისა ტკივილთაგან, და მიმოკუეთებათა თავისუფალ ქმნილ არს, სიძესა ხოლო თვისსა შეეყოს, რომელი-იგი არს ღმერთი შურისმძიებელი სათნობისაე და უხრწნელებაე იგი ცხორებისა თვისისაე სათნო-ყოფად მისა განაგოს.

9. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ღმერთი ვითარ შურისმძიებელი?“ და შური ვიგო მისგან, რომელმან იმრუშოს თქუენ შორის შუენიერებისა თანა, რომელი ჩემდა განკუთნივლ იყოს. უკუეთუ კულა უღელი ქმრისაე განაგდოს და უჳმარ-ექმნეს ცხორებასა, რომლისა პყრობად და შვილთა⁶ შობად დაიბადა⁷ და აღთქუმულსა მას ქალწულებას საყუედრელ ექმნეს და ყოვლით კერძო დაჭირებაე მოატყუას.

10. და სული უჯეროთა გულის-სიტყუათა მიერ განხრწნეს, და ჳორცნი დაუპყრობელთა ზრუნათა მიერ და უაღვროთა კრთომათა, ფრიად უმჯობეს იყო || 356rI (A) [ქმრისა შეყოფაე] და ცხორებისა ამის ზრუნვაე და კეთილად წარმართებაე და სახლისა განგებაე და თანანადებისა მის ჳეროვნისა შენევნისა შემოღებად და შვილთა კეთილთა სიბერისა მპყრობელთა და მკვდრთა ნათესავისათა დატყეებად;

11. და თუ არა, ესემცა უეჭუელად ქმნილ იყო, რაიათამცა შურისმძიებლობისათვის ქმრისა უნესოდ მიმოსღვისაგან დაყენებულ-იყო. და ამითმცა ჳერთა

¹ ჟამსა+განსლვად BC;

² მუნცაე B;

³ აიძულებდეს B;

⁴ არცა შურისმძიებელი, არცა გამომწულიღველი არცა გამომწულიღველი, არცა შურისმძიებელი C;

⁵ მიმოვარდებოდის+რაიათა არა ვინაფთაგან C;

⁶ შვლთა B;

⁷ დაიბადა B;

რაოდენ¹ [ძალ]-ედვა, ქალწულებად დაემარხა. რამეთუ, რომელნი-იგი უბანთა და ფოლოცთა შინა უნურთელად ვიდოდიან, არცა თუ ქალწულად უნესს მათ სიტყუად ჭეშმარიტებისა.

12. რამეთუ უქმობასა ისწავებენ და მიმოვლენ სახლითი სახლად. და არა ხოლო თუ უქმობასა, არამედ სიჩქურსაცა და სივერაგესა და ზრახვენ უჯეროსა და ცუდსა.

20. 1. და ვინაეთგან ქურისა და მამაკაცისა გამოცდილსა და მამაკაცისა თუ-ალთა-ხილვისა დაჩუეულსა² არა თანა-აც ურიდად და უკრძალველად არცა ენისა შეძრვად და არცა ფერკთად და არცა ვისი უსირცხვლოდ შემთხუევად, რათა არა ზემო თქუმულთა ამით ბრალობათა შთავარდეს.

2. რაოდენ³ უფროს თანა-აც ქალწულსა, რათა მამათა მიმართ მორცხუეობისა საბურველი ყოვლადვე არა აღიძარცოს.

3. და რათა ენაცა პატიოსნად და ქალწულად დაჰმახოს და ფერკიცა საჭიროთა საჭმართა მიმართ შიშით და ძრწოლით წარდგას?

4. ესევეთარისა უკუე სიტყვსა თანა-აც ქალწულ || 356rII (A) სა აღმოთქუმად, რომლისა ძალი ესმას რა მსმენელთა, სარგებელ ეყოს.

5. და კუალად პასუხმან მისმან, რომელი-იგი მსმენელთა მათ მიუგონ, საღმ-რთოთა გულისკმის-ყოფითა უფროსად შეამკოს სული მისი.

6. რამეთუ ენისაგან გამომავალი მდინარე, სიტყვსა წყაროსა, ვინა-იგი გამოდის, სანამებელ-იქმნების⁴, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „გულისაგან გამოვლენ გულის სიტყუანი ბოროტნი, კაცის კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, არანმიდებანი და შემდგომნი,“ რომელთა ნაყოფნი ხესა საცნაურ იქმან.

7. ვინაცა ჭეშმარიტსა ქალწულსა უბინოთ გონებით, ვითარცა წყაროთ ნმიდით, მყუდროებით თანა-აც ყოველითგან ბინთა შეუხებელსა სიტყუასა კრძალ-ულებით აღმოცენებად, რათა არა ხოლო თუ უვნებელ ოდენ იყოს ძალი მისი და უცხო ყოველთა გულის-თქუმათა და ვნებათა აღძრვისაგან, არამედ, რათა არცა უქმ-იყოს და არცა ურგებ, და არცა შემსგავსებელ პირმეტყუელისა სულისა.

8. რამეთუ ყოველივე სიტყუად, ქალწულებრივისა წყაროსაგან უხრწნელებით აღმოვსებული, ვითარცა სინმიდისა სასუმელი, ესრეთ დაათრობს გონებასა აღ-მომვსებელთასა და მადლთა მისთა სასყიდელი ქველის-მოქმედისა მის სულისა მრავალწილად უკუნ იქცევის.

9. ესევეთარი იყავნ ქალწულისა ზრახვად, უკუეთუ სამე ზრახვად საჭირო იქმნეს, რათა უწყოდის ჟამი და ალაგი და წესი სიტყვსა. და ოდეს და სადა და ვითარ, ანუ თუ ვიეთ მიმართ ჰყოფს სიტყვს-გებასა.

10. რამეთუ არა ჯერ-არს, რათგან უნახვე || 356vI (A) ლად ყოველთა მიმართ განიხრწნებოდის ქალწულისა სიტყვად, არცა კუალად სირცხვლისა ღირსთა წინაშე ურიდობად თანა-აც და კადნიერებად, არცა თვნიერ საჭმრისა ზრახვად უღირს ქალ-

¹ რაოდენ B;

² დაჩუეულსა BC;

³ რაოდენ B; რაოდენ C;

⁴ სანამებელ-იქმნების C;

ნულსა, და არცა კულად რაჟამს წესი საქმისაი აიძულებდეს ზრახვად, გარდარე-
ვაჲ ჯერ-არს ზრახვისაჲ.

11. არამედ ყოველსავე შინა გამონულილვაჲ თანა-აც და პირისა და საქმრისა
და ჟამისა და ეგრეთვე წარმოჩენაჲ სიტყვსაჲ და სმენისამცა.

12. ფრიად უმცირეს არს ზრახვაჲ, ვინაჲთგან ბუნებაჲცა ამასვე გუასწავებს,
და სმენისა მიმართ ჯეროვნად მიუზღავს საქმარსა სიტყვსასა, რამეთუ ორნი ყურ-
ნი და ერთი ენაჲ დაჰბადნა ღმერთმან ჩუენ შორის, ვინაჲცა თანა-გუაც მრჩობლ
სმენაჲ სწავლისაჲ და მარხვად მიგებაჲ სიტყვსაჲ¹.

13. და ეგრეთვე ჳმადცა ქალწულისაჲ კრძალულმცა არს და პატიოსან. და სი-
ტყუამცა ბაგეთა მისთაჲ სხუაჲ ნურარაჲ არს, არამედ რაოდენიცა-რაჲ იქმნებო-
დის სარგებელ მსმენელთა.

14. და პირველადმცა განიცდის გონებასა შინა და განიკითხავს, რომლისა-იგი
ეგულბოდის აღმოთქემად და ეგრეთლამცა აღმოიტყვს ბაგითა, რაოდენიცა-რაჲ
გამოცადოს შემკულად და პატიოსნად.

15. ხოლო სხუაჲ იგი დაფარულადვე ეგენ და უფროჲს ყოვლისა ამისთვისმცა
ილოცავს და იტყვს, ვითარმედ: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი
ძნელი ბაგეთა ჩემთა“, რაჲთა ესრეთ ლოცვითა და ვედრებითა განაკრძალოს პირი
თვისი.

16. და არა უდარეს სასმენელნი თვისნი, რაჲთა არარაჲ უჯეროჲ შთა || 356vII (A)
ვარდეს [მათ შინა გარეთ კერძო] და, რაჲთა კარისმცველად ენისა და სასმენელ-
თა დაადგინოს გონებაჲ დანყნარებული და მყუდროჲ და მარადის ევედრებოდეს
უფალსა და იტყოდის, ვითარმედ: „ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა სიტყუათა მიმართ
უკეთურებისათა მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა“.

21.1. ხოლო ფრიად უმეტეს ზემოთქუმულთაჲსა საბრალობელ არს და საგმო-
ბელ და უცხო ქალწულთა წესიერებისაგან, რაჲთა არათუ ოდენ სახლითი-სახლად
ვიდოდის ქალწული, არამედ უკუეთუ ქორწინებისაცა დამწინდებელ იქმნებოდის.

2. უწყით, რამეთუ ყოვლითურთ პატიოსან არს ქორწილი, გარნა არა ქალწულ-
თათვის, არამედ სხუათათვის!

3. არცალა ჯერ-არს, ესევეთართა ალაგთა განშორებულისაგან მებოძირთა
თანა ამის ცხოვრებისათა, რომელთაგან ჯმნულ არს სიმრავლეთა აღძრვაჲ და
კრებულთა შორის პოვნაჲ. რამეთუ სხუანი გზანი ჰქონან ქორწინებულთა და სხ-
უანი ალაგნი უპყრიან ქალწულთა. „და განყოფილ არს ქალწულიცა იგი და ქორ-
წინებულიცა“.

4. ვინაჲცა ჯერ-არს ქალწულისადა, რაჲთა განეშოროს ქორწინებისა წესთა-
გან და არცათუ დასაბამსა შეეხოს ყოვლადვე, არამედ სხუანი იგი, რომელთა
სთნდა ჳორციელთა სიძეთა შედგომაჲ, და უ ნ ი ნ დ ე ბ ე დ, ვითარცა ენებოს, და
გ ა ნ უ მ ზ ა დ ე ბ ე დ მათ ქორწილსა, და ა ჩ უ ე ნ ე ბ ე დ მათთვის მოსწრაფებასა.

5. ხოლო ქალწული თვისსა სიძესა მისდევდინ სამარადისოდ!

¹ სიტყვსა B;

და უკუეთუ ყოველადვე დანინდებაა ჯერ-უჩნს, უხრწნელნი სძალნი უხრწნელებითა მას თავადსა დაუ || 357rI (A) [წინდენინ და მსოფლიონი] იგი მოკუ-დავთასა სძალთათვს შურებოდედ;

6. ხოლო იგი ბრძენთა მათ თანა ქალწულთა აღნთებულთა ლამპრითა უფალსა უგალობდინ და ნათლითა მით ქალწულებისა თვისისაათა სხუათაცა ქალწულე-ბად მოიზიდევდინ.

7. რამეთუ ჭეშმარიტად სირცხვლითა და ყუედრებითა¹ საესე არს ესევეთარი ესე საქმე ქალწულისაა, რაჟამს შეთხზულნი იგი ქორწინებისა ბადითა, ვითარცა გამოუცდელნი მათ საბრვეთანი, რომელთა-იგი შეითხინენ² სალმობათა მათთვის ქორწინებისათა, უქორწინებელთა კეთილისმოყუარებით დაუხრ[წე]კდენ ქორწინე-ბასა, რაათა არა მითვე სალმობათა შთავარდენ, და სძალთა მათ უხრწნელისა მის სიძისათა, ამასცა ცხორებასა და მერმესაცა ჭეშმარიტებით ჰნატრიდენ და ქალწულად დადგრომასა ევედრებოდინ.

8. ხოლო ქალწული მიმორბიოდის და ქორწინებად აიძულებდეს ქალწულთა და დანინდებად უსწრაფობდეს და განაზრახებდეს.

9. და ეინმცა არა თქუა, ვითარმედ წინააღმდგომთა საქმეთა იქმს თავისა თვისისა და გამოაჩინებს, ვითარმედ საბრვედ დაეგო მას აღთქუმად იგი ქალწულებისა და სირცხვლისაგან იიძულების და რეცა პყრობად მისა უნებლიეთ თუ არა, სათნო-უჩნს და შეიტკობს ქორწინებასა, ინანის, თუ ვითარღა დააკლდა გულის-თქუმათა. და საქმეთა მათ მიერ, რომელთა იქმს, ცხად-პყოფს მისა³ მიმართ სიყუარულსა თვისსა.

10. რაათა⁴ შიშულად და უსირცხვლოდ უჩუენოს ქორწინებადთა მათ, ვითარმედ სათნო-უჩნს და თანაენამების და ჰნატრის გულის-თქუმათა მიერ⁵, [რომელთა-იგი მიემთხუევიან]. უწყოდენ უკუე ქალწულმან, რამეთუ გაყოფილ არს ქორწინებულისაგან და ცხორებითაცა და ყოველითავე ქცევითა და სახითა.

11. და ამისთვის თანა-აც, რაათა ყოველსავე საქმესა შინა სიკეთე ქალწულებისა თვისისა განურყუნელად დაიცვას.

12. და რაათა არა განუკრძალველად ერეოდის უშუერთა საქმეთა და განხრწნეს უხრწნელება იგი, რომელსა სდევს უნესოდ განგებითა თვისითა.

22. 1. არამედ თანა-აც ჭეშმარიტსა ქალწულსა, რაათა გინა თუ იტყოდის, გინა თუ დუმნეს, გინა თუ ვიდოდის, ყოველსავე ნებისაებრ ღმრთისა იქმოდის.

2. და, ვითარცა ზემო ვთქუ, უკუეთუ სამე ჯერ-იყოს განსლვაა, ნუმცა განვალს მარტოა, არამედ ცხორებითა და ჰასაკითა შემკობილთა დედათა თანა განვედინ!

3. და ნუმცა განვალს ფოლოცთა და უბანთა და სავაჭროთა განტევებულად, სადა-იგი უნესოთა კაცთა კრებული შეკრებოდის.

¹ ყუედრებითა BC;

² შთათხინეს B;

³ მისსა B;

⁴ რაათა] რომელთა B;

⁵ მიერ] მათ B;

4. და ჯეროანსამცა ჟამსა იქმს განსლვასა თვსსა. და სახე და სლვაჲ, და ძრვაჲ¹ და ყოველივე-მცა-გუარი და ქცევაჲ² მისი ესევეთარი იხილვების, რაჲთა ყოველ-ნივე, რომელნი შეემთხვნენ, ვითარცა ძეგლი საღმრთოჲ, ყოველთავემცა დიდებნი-სმეტყულებად ღმრთისად აღსძრავს.

5. და განაკრთობს-მცა ყოველთა³ სირცხვლითა და წმიდა-ჰყოფს-მცა გონება-თა მათთა წესიერებითა. და⁴ რაჲთა, ვითარცა ხატისაგან საღმრთოჲსა შეიკდიმონ და თანანარჰჴდენ.

6. რამეთუ, ვითარცა-იგი ვირდევთა და ქიათა ხატნი სიცილად აღსძრვენ მხილველთა მათთაჲ⁵.

7. და კუალად ეგრეთვე სხუანი ხატნი მჭმუნვარენი და მგლოვარენი და ღმობიერებითა აღსავსენი || 357vI (A) გუნებასა მხილველთასა და პირსა მჭუნ[ვარე] თა⁶ მით სახითა შეაურვებენ და ღმობიერ-იქმნებიან. და დაღაცათუ არარაჲ იძრვის⁷ მათი, არამედ მხილველთა მათთა სახილველთა და ხატსა თავთა მიმართ თვსთა მიიზიდვენ და უძრავითა მით სახითა ხილულნი და უსულოთა ხატითა გამობატულნი სულიერთა და ცხოველთა გონებასა აღსძრვენ და თვსთა საუცრე-ბათა მიმართ თითოეული მათი შესცვალვებს.

8. ეგრეთვე ქალწული, ვითარცა ხატი სინმიდისაჲ და ძეგლი მრავალთა მათ სათნოებათაჲ, ვითარცა გამორჩედს, მხილველთა მათ სახესა და გონებასა გულისჴმის-ყოფად საღმრთოდ⁸ და შიშად ღმრთისად მოაქცევს.

9. მოიწყალნ უკუე მეძვისა⁹ ვისმე სული სინმიდისა სიკეთითა მოჴსენებითა ქალწულისა პატიოსნებისაჲთა!

10. და სხუამან ვინმე კუალად მოიჴსენენ ღმერთი მცნებათა მისთა მოშურნისა და კეთილად მოღუანისა ხატისა ხილვითა.

11. და, რაჲთა მოკლედ ვთქუა, ყოველთავემცა მხილველთა და თანამზრახვალ-თა და თანამკვდრთა აღმობსმცა და კდემულ-ჰყოფს.

12. და ხილვაჲცა ქალწულისაჲ და სლვაჲ და ძრვაჲ და მიხედვაჲ და მოიყვანებ-სმცა განცდად კეთილისა და ყოველთავემცა გონებასა სახე კეთილის ექმნების და მომაჴსენებელ მცნებათა ღმრთისათა.

13. და ნუ-მცა-ვინ არს ქალწულთა შორის მანებელ სულისა და აღმძრველ გონებისა, და მსგავსად მეძავთა და განმაცხრომელთა, აღმზრზნენელ ცოდვისა მიმართ და გულის-თქუმისა, რამეთუ გულეზული || 357vII (A) და ზაკუ[ლილ] სახე] და გზა¹⁰ გმობისა და გულის-თქუმისა ექმნების მხილველთა და საქმედ ცოდვისა აღაგზნებს განუკრძალველთა და თავსა თვსსა უმეტესსა სა[შ]ჯელსა მოატყუებს¹¹.

¹ სლვაჲ და ძრვაჲ| ძრვაჲ და სლვაჲ BC;

² ქევაჲ A;

³ ყოველთა- C;

⁴ და- B;

⁵ მთაჲ A, მათთა B;

⁶ მჭუნვარითა B;

⁷ იძვრვის B;

⁸ სამლოდ B;

⁹ მეძვისა B;

¹⁰ და გზა| საგზალ BC;

¹¹ მოატყუებს BC;

14. ვინაიდან თანადაც ქალწულსა, ვითარცა ხატსა და მსგავსსა ღმრთისასა და ქალწულებისა მოღუანესა, რაჲთა ყოვლითურთ სოფლისა ზრუნვათა განეშოროს და ჴორცთა გულის-თქუმისაგან უცხო-იყოს სული თვისი, და ყოველივე გონებაჲ თვისი ტრფიალებად კეთილთა ზეცისათა განართხას. და ყოველნივე საშუებელნი ქუყყანისანი დათრგუნეს. და რომელნი-იგი მათ შინა იშუებდენ, ნუ თანააჰყვების გონებითა, არამედ უბადრუკებასა მათსა, რომელსა-იგი სოფელსა ამას შინა აღმოივსებენ, სწყალობდინ და ეგლოვდინ.

23. 1. და შემდგომითი-შემდგომთა მათ სიკუდილთა ქორწინებულისათა თავსა შორის თვისსა განიცდინ. და თუ რაბამთა საშუებელთა ამასვე ცხორებასა ღირს-ქმნილ არს და უეჭუელად არა აბრალოს განზრახვასა თვისსა, არამედ ცრემლით ჰმადლობდეს უფალსა, რომელმან იწსნა ესევეითართა ბოროტთაგან.

2. რამეთუ, რომელი მოკუდავსა ქორწილსა შეეყოს, თავისა თვისისა ზრუნვათა ზედა სხუათაცა ზრუნვათა ქმრისათვს შეიმატებს.

3. და მიერიტვან ორთა გუამთა ერთობისათვს მრჩობლთა ზრუნვათა შთავარდების.

4. და არლარა ერთითა გუამითა იჭირვის, არამედ ერთითა სულითა ქმრისა საღმობათა და თავისა || 358rI (A) [თვისისათა მიმართ სამარადისოდ] განიკუეთების.

5. და მერმე, უკუეთუ შვილთა მწურვალნი¹ აღმოაცენნეს, თითოეულსა შვილთა შობასა თანა განიბძარვის სულითა ნაშობთა მათ თვისთა საურავითა, რომელთა-იგი შემატებად ბოროტთა თვისთა შეიძენს.

6. და უკუეთუ კეთილ იყოს ქმარი მისი, მარადის შიშითა სიკუდილისა მისისაჲთა სიკუდილსა მიეცემის. და გინა თუ ახლოს იყოს, გინა თუ შორს, სამარადისოდ განღევაჲ მოუგონელთა შემთხუევათათვს სულსა² მისსა ზედა მოინევის და დადნების.

7. ხოლო უკუეთუ მწარე იყოს და წინააღმდეგომ, რომელსა-იგი შეეყოს, ყოველივე ცხორებაჲ მისი სატანჯველ არს მისა. და ვერცა ერთსა ბოროტთაგანსა შემძლებელ არს გამორჩევად.

8. რამეთუ სიკუდილი ქმრისაჲ ბოროტ არს მისა ჭირთათვს და სიმწარეთა ქურიობისათა და ცხორებაჲ უბოროტეს არს უგემურებიჰათვს მეუღლებისა და ულხინებელთა ამათ ურვათაგან სული მისი სამარადისოდ განიკაფების.

9. და მერმე შვილნი რაჲ ესხნენ, უკუეთუ კეთილ-იყვნენ, შობისა საღმობათა უძგრესნი ტკივილნი მოინევიან ყოველსავე ცხორებასა მისსა ზედა შიშითა სიკუდილისა მათისაჲთა.

10. ხოლო უკუეთუ ბოროტ იყვნენ, უშვილოებისა უმძიმესნი ყუედრებანი³ შეაშთობენ მას შვილიერებისათვს.

11. და უკუეთუ პირველ ბოროტთა ამათ გამოცდილებისა ერთბამად სძალცა იქმნეს და ქურივცა და უშვილოჲ ქურიობასა მიეცეს, არცალა ქალწული არს და

¹ მწურვალნი BC;

² სულთა A;

³ ყუედრებანი B, ყუედრებანი C;

არცა დედაკაცი და არცა დედა, არამედ ყოველთა მათგან საგონებე || 358rII (A) ლთა გემოვნებათა ქორწინებისათა ერთბამად დაეცა.

12. და მცირედისა გულის-თქუმისათს შუენიერება ქალწულებისა დაშქირდა¹, ესეოდენ ირგო ქორწილისაგან, რომელ სიმნარე ქურიობისა იცნა.

13. და ანუ თუ ქურიობასა შინა ობოლთა ზრდა დაესაჯა, მომაქსენებელად სალმობათა შობისათა და განმაახლებელად ტკივილთა ქმრისათა და სამარადისო-თა სულთქუმათა და ჭირთა და ცრემლთა მიერ ისურების.

14. და არა თუ ნუგეშინისცემად ხოლო არა აქუს ბოროტთა მათთვის მონევ-ნულთა, არამედ და ნათესავთაგანცა და მონათა, მეანდერძთა და ეპიტროპთა², შვილთა განმგედ დატყევებულთა.

15. და თვთმებრ მრავალგზის მათვე შვილთაგან გან-რამ-მწყსნენ და ყოველ-თაგანვე ყოველით კერძო მწარეთა ტანჯვათა თავს-იდებნ, და იავარად საწყალ-ობელად წინამდებარე არნ და არარად სხუად, არამედ ნივთად მწუხარებათა და გლოვათა ამის ცხორებისათა გამოჩნდის.

16. და რადლა საჭმარ არს უმრავლესისა წარმოთქუმად? მეუფედ უწყალოდ მოიყიდის ცოლი ქმარსა ზითევისა მიერ და მკვეალ-იქმნების აზნაურებისა წილ და თავისუფლებისა.

17. და მცირედსა მას გულისთქუმასა ქორწილისასა თვსსა თავისუფლებას მი-ჰყიდის და კარად და მიზეზად ურიცხუთა მათ სალმობათა და ტკივილთა ქორწი-ნებასა განულებს თავსა თვსსა.

18. რამეთუ ჭეშმარიტად ყოვლისავე ქორწინებისა ზედა ჰგიეს განუხეთქელად || 358vI (A) წყევად იგი საუფლო და, ვითარცა სასძლო მგალობელი, გალობს ძნო-ბითა მით საზარელითა, ვითარმედ: „მწუხარებით ჰშენე შვილი შენნი და ქმრისა-ვე შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი უფლებდეს შენ ზედა“.

19. ხოლო ქალწული, რომელმან უღელი ქმრისა განაგდო და ყოველითურთ უფალსა შეევედრა, უღლისა მის თანა განხეთქა წყევისამიერიცა იგი სალმობა.

20. და მის თანა განერა სალმობასა მასცა შვილთა შობისასა და აზნაურ-იქმნა მოკუდავისა ქმრისა მონებისაგან და ყოველთავე ქორწინებისა ბოროტთაგან.

21. და უფროსლა განერა ბევრეულთა მათგან ამის ცხორებისა ცოდვათა და მათ მიერ შეთხზულთა მათ ბადეთა.

22. და, პირველ ყოვლისა, განერა საკრველისაგან³ მეუღლებისა და თვთმებრ მის ჯორცთა ხრწნილებისა და უხრწნელებითა ჯორცთა და სულისაათა უფლისა სძალ-იქმნა.

23. და არა თავს-იდვა, რათამცა მოკუდავისა ქმრისა მიიქცეოდა, არამედ კე-თილად ცხორებითა უფლისა ხოლო სათნოება შეიყუარა.

24. რამეთუ ქორწინებისა იგი ხრწნილება და გინება განიცადა და მისთანა განიცადა ყოველივე ნივთი ქორწინებისა. და ვინათგან სიბრძნით და გონიერად პირველისა მისგან ბოროტთა მიზეზისა განერა, მისთანა განერა ყოვლისავე მის-გან, მისგან შობადისა ბოროტთა მწყობრისა.

¹ დასჭირდა C;

² იპიტროპთა C;

³ საკრველისაგან B;

25. ვინაიდან „უქორწინებელი ზრუნავს უფლისასა, თუ ვითარ სათნო-ეყო უფალსა, ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, თუ ვითარ სათნო-ეყოს ქმარსა. და განყოფილ არს დედაკაციცა იგი და უქორწინებელი || 358vII (A) რამეთუ ქალწული ზრუნავს უფლისასა, რაათა იყოს წმიდა და ჯორცითა და სულითა“.

24. 1. ესრეთ უკუე¹ სოფლისა მზრუნველისა მის მიმართ განუყოფიეს ზრუნვა და განხრწნადისა ქმრისა შეყოფილისა და განხრწნადნი ესე ზრუნვანი ამის სოფლისანი მიუთხ[ევე]ი[ან], ხოლო თავი თვისი, ვითარცა თვისი უხრწნელებისა, თვისისა სიძისადა შეუვედრებიეს.

2. ამისთვისცა არარას ზრუნავს სოფლისასა, რაათა არა ზიარ-იქმნეს ზრუნვათა მათ, რომელთა ზრუნავს მსოფლიოთა იგი, არამედ რაათა ყოველთავე მსოფლიოთა ზრუნვათაგან წმიდა ქმნილი წმიდითა და უშფოთველითა გონებითა თვისსა სიძესა შეესაკუთროს.

3. რამეთუ არცა ურწმუნო არს ღონიერისა მისთვის და საჭიროთა საჭმართა მომპოვნებელისა თვისისა ქმრისა ძლიერებისა, ვითარცა მეორე იგი, რაათამცა მსგავსად მისსა ეურვოდა და შფოთებდა.

4. არამედ სიყუარულსაცა მისსა და ყოვლისა მპყრობელსა ძლიერებასა და ყოველთა² მზრდელსა მოღუანებასა მინდობილ არს და არარას სხუასა ზრუნავს, არამედ თუ ვითარ სათნო-ეყოს მას. და ესევეთარისა ამის უზრუნველობისა მიერ უფროს და უმეტეს მზრუნველ-ჰყოფს მას თავისა თვისისა.

5. ხოლო რა არს, რომლითა-იგი ქალწული სათნო ეყოფის³ ღმერთსა? ესე იგი არს, რაათა ბუნებითა მას სიკეთესა თვისსა, მონაზონებისა მოღუანებათა მიერ, სამარადისოდ განაბრწყინებდეს და განუხრწნელად სცვიდეს⁴ მარადის.

6. და რამეთუ ჭეშმარიტად ღმრთისა სათნო-ყოფისა ნებებად სხუად არაარაა არს, არამედ, რაათა თავი თვისი საქებელ ყოს და სანატრელ, და ხატ და მსგავს მისა. და უკუეთუ⁵ ზრუნვიდეს, თუ ვითარ სათნო ეყოს || 359rI (A) უფალსა, არათუ მას რასმე შესძენს ზრუნვითა მით, რომლისათვის იგი ზრუნავს, რაათა სათნო-ეყოს, არამედ მისთვის ზრუნვითა მით თავსა თვისსა შუენიერებასა და უხრწნელებასა შეუკრებს.

7. და ვინაითგან ესოდენი ესე შეეძინების ქალწულსა და ზრუნვა იგი უფლისათვის ყოვლითურთ თავსა თვისსა სარგებელ-ეყოფის და სანატრელ ჰყოფს, არა ჯერ-არს, რაათამცა ზრუნვასა შინა სოფლისათა სადამე იპოვა ყოვლადვე.

8. რამეთუ თანა-წარუვალ არს, რაათა, რომლითა იგი სოფლისათვის ზრუნავს, მით კერძოთა უფლისათვის ზრუნვა უდებ-ყოს და თავსა თვისსა მზრუნველისა მის ურწმუნოებად შესწამოს.

¹ უკუე BC;

² ყოველთა B;

³ ეყოფის C;

⁴ სცვიდეს B;

⁵ უკეთუ B;

9. რამეთუ ესე შეუძლებელ არს, რათამცა ჰრწმენაცა¹, ვითარმედ ყოველსავე ზრუნვისა, უმაღლესს გამოაჩინებს მას მზრუნველი იგი მისი და ყოველივე ძალ-უც, და მსოფლიოთაცა საქმეთა ზრუნვად ნუჟუე რამე დააკლდეს.

10. არამედ უკუეთუ ზრუნავს, თუ ვითარ სათნო-ეყოს უფალსა, განაღა გულსავე ქმნილ არს უეჭუელად.

11. ვითარმედ უფალიცა სამე ზრუნავს მისთვის, თუ ვითარ სათნო-ეყოს მას, რომელი-იგი უნაკლულო არს ყოველთა[ვე] კეთილთაგან და არარაა ვისი თანა-აც.

12. რამეთუ უკუეთუ მოკუდავი ქმარი თავისა თვისსა მზრუნველად მოიგოს დედაკაცმან და ეგრეთვე კულად იგი მისთვის ზრუნვიდეს, ყოვლითა ძალითა თვისითა, სასყიდელად ზრუნვისა თვისსა ყოველსავე ზრუნვასა მისსა მოიზიდავს.

13. რაოდენ უფროეს, რომელმან ღმერთსა არწმუნოს ზრუნვად თვისი და მის თანა ცხოვრება აღირჩიოს, მისისა მის მისთვის ზრუნვისა, უმრავლესნი და უუხუესნი² ნიჭნი და ზრუნვანი || 359rII (A) მოიხუნეს მისგან, და ყოველითურთ უნაკლულო³ იქმნეს და უკუეთუ გნებავს, გაქუს შენ წინ და და სარწმუნოებისა და პირველქმნილი იგი მოლუანება მოლუანისა მის შენისა.

14. რამეთუ უკუეთუ ოდეს იგი არცა ერთი ზრუნვად გეჩუნა მისთვის, გიზრუნა შენ და თავი თვისი მისცა შენთვის, რათა თვისითა მით სისხლითა წმიდა გყოს შენ.

15. რაოდენ უფროეს ან ზრუნავ რად მისთვის, გიზრუნოს და ჭეშმარიტისა მის ცხოვრებისა თანა გარეშეთა მათცა საჭმართა ჯეროვანი უნაკლულეგანება მოგცეს.

25. 1. ხოლო შენ თანა-გაც, რათა არა იქმნე უმეტეს ზომისა შუებისმოყუარე და გარეშე საჭიროთა საჭმართა მიმჯდელ უფლისა, ვითარცა-იგი იქმანგემოთ-მოყუარენი იგი და ნაყროანნი დედანი და უმეტეს ზომისა ეძიებენ ქმართა მათთაგან შუებასა⁴ და ფუფუნებასა.

2. და რამეთუ არცა მას თანა-აც ესევეთარისა რამე მოცემად შენდა, რომელი მოსწყუედდეს გონებასა შენსა სათნო-ყოფისა მისისაგან და შუებასა ჯორცთასა შეგაქცევდეს.

3. არცა შენდა ჯერ-არს მოლებად, რომელი სათნო-ყოფისა მისი[საგან განაშორებდეს გონებასა] შენსა, არამედ [უმეტეს საჭიროსა[სა მის] ჯორცთა საჭმრისა არარას ეძიებდე.

4. და უკუეთუ სამე გამოცდად სიყუარულისა შენის საჭიროცა იგი ჯორცთა საჭმარი დაგაკლოს⁵, ნუ სულმოკლე იქმნები!

5. არამედ, მსგავსად სამოციქულოსა მის სიტყვსა, ყოველსავე თავს-იდებდ, ყოველსავე მოითმენდ, ყოველითავე ესევედ შემსჭუალული შეუორგულებელსა მას სიყუარულსა მისსა.

¹ ჰრწმენამცა B;

² უუხუესნი B, უუხუცესნი C;

³ უნაკლულე C;

⁴ ქმართა მათთაგან შუებასა] ქმართა მათთა განშუენებასა B;

⁵ დაგაკლონ B;

6. რამეთუ მომკუდარნი¹ ჯორცნი და ყოვლისავე შუები || 359 VI (A) საგან და განსუენებისა შორს ქმნილნი¹ ღირს იქმნებიან განძლომად საღმრთოესა მის სიკეთისაგან.

7. რამეთუ, ვითარცა რომელი-იგი განხრწნადას მას სიკეთესა ეტრფიალოს, არა ხოლო თუ საჭმართა ოდენ და სიმდიდრესა და ყოველთავე მონაგებთა თვსთა ურიდად განჰლევს მისთვის, არამედ საზრდელსაცა და ძილსა, და სამოსელსა და სახესა, და ეჭუსა და ჯორცთაცა თვსთა, და მათ შინა ცხორებასა და ყოველსავე წესსა და გუარსა შეურაცხ-ჰყოფს, რაათა ტრფიალსა მას ხოლო თვსსა მიემთხვოს, და ზღუდეთა და სახლთა, და უგლიმად სირბილთა და ხლდომათა, და მახვლთა და ყოველსავე კადნიერად და სიბორგილით შეჰკადრებს.

8. და, უკუეთუ ჯერ-იყოს, სახესაცა შეიცვალებს და სლვასა, და ვითარცა პირუტყვ, გინა მკეცი ქუეძრომასა², და ჳელთა და ფერჳთა ზედა სლვასა სიხარულით თავს-იდებს, რაათა თვსსა ხოლო გულისთქუმასა არა დააკლდეს.

9. ეგრეთვე, რომელი ეტრფიალოს საღმრთოსა მას სიყუარულსა და ზრუნ-ვიდეს, თუ ვითარ სათნო-ეყოს თვსსა მას ტრფიალსა, არა ხოლო თუ საჭმართა და სიმდიდრისა ოდენ შეურაცხებდა თანა-აც, რაათა ტრფიალი იგი თვისი გულსავსე ყოს და ერჩდეს მცნებასა ბრძანებათა მისთასა.

10. არამედ საჭიროესაცა საზრდელისა და ძილისა და გარემისა სახისა და ჳემ-მარიტად სოფლისა ამის განხრწნილისა ეჭუთაე და მერმე ჯორცთა და მათ შინა ცხორებისაცა უგულუბელს-ყოფა თანა-აც, რაათა ტრფიალებასა მას ზეცათასა მიემთხვოს და ზღუდენი || 359 VII (A) ჯორცთა და სისხლთა ტომთანი და სახლნი მამათანი, და შორის სოფლისა სლვანი და ხლდომანი, და მახვლთა მიმართ ნამე-ბისათა, უკუეთუ ოდენ ინოდოს განწყობანი.

11. და უკუეთუ სახისა შეცვალებაჲ ჯერ-იყოს, და მით სახითა, რომელსა შინა იყოს, ვერ მიემთხუოდის³ ტრფიალსა მას. სახისაცა შეცვალებაჲ და უნდოესა და საყუედრელისა ხატისა შემოსაჲ და საქიქელისა სახისა ცხორებისა მოგებაჲ, ყოვე-ლივე მადლობით მიითუალენ.

12. და, თუ ვითარ ვინ უწოდის, არა უწყი, რაათა საღმრთოესა მის ტრფი-ალებისა სიბორგილითა შჯუულიერად აღბორგდეს და ჳემმარიტითა მით სანადე-ლითა და სასურველითა შუენიერებითა, რაოდენცა ენებოს, განიშუას.

13. ესევეთარსა მას ტრფიალსა, ტრფიალი იგი მისი ქუეყანისაგან რაჲ ვნე-ბათაჲსა გამოსლვად ანუევედა⁴, ეტყოდა, ვითარმედ: „გამოვედ ქუეყანისაგან შენი-სა და ნათესავისაგან შენისა, და სახლისაგან მამისა შენისა“.

14. ხოლო რომელმან-იგი, რომლისა-იგი ტრფიალ იყო, იხილა რაჲ, ვითარმცა სრულქმნილ-იყო ნადილი მისი, გულსმოდგინედ შეუდგა და ვითარმცა ვინ თქუა, საღმრთოეთა მით ტრფიალებითა აღბორგნა და ზემოთქუმული იგი სახე ტრფი-ალებისაჲ ჳემმარიტებით სრულ-ყო. ამისთვისცა იტყოდა, ვითარმედ: „ვინ განმაშო-

¹ იქმნილნი A;

² ქუეძრომასა B;

³ მიემთხუოდის BC;

⁴ ანუწვედა B;

რნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესა ჭირმან ანუ ინროებამან, დვენამან ანუ სიყმილმან, შიშულოებამან ანუ ჭირმან, ანუ მახკლმან?"

15. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ: „რომელსა უყუარდეს მამაჲ, გინა დედაჲ უფროეს || 360rI (A) ჭეშმარიტისა მის შუენიერებისა, არა არს იგი ღირს, რაჲთა იშუებდეს¹ მის თანა“. და რომელმან არა იჯმნეს ყოველთაგან მონაგებთა თჳსთა და მერმე სულისაგანცა თჳსისა, არა არს იგი ღირს, რაჲთა ტრფიალად უფლისა² ინოდოს.

16. ამისთჳსცა რომელთა-იგი ენება, რაჲთა ჭეშმარიტი იგი სიყუარული მისი საანჯმნო-ყონ და რომელნი-იგი მის მხოლოესა ხოლო სათნო-ყოფად ისწრაფდეს და მისთჳს ზრუნვიდეს, ესრეთ იტყოდეს, ვითარმედ: „აჰა, ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ, რაჲმე იყოს ჩუენდა?"

17. ხოლო უფალმან ღირსი მისაგებელი სიყუარულისა მათისაჲ ამიერვე აუნყა და განცხადებულად უქადაგა და ჰრქუა: „ამინ, ამინ გეტყვ თქუენ, რამეთუ თქუენ რომელნი ევე შემომიდეგით მე.“ მერმესა მას მოსლვასა, რაჲამს დაჯდეს ძე კაცისაჲ³ საყდართა დიდებისა თჳსისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განშჯად⁴ ათორმეტთა ტომთა ისრაჴლისათა. და ყოველმან, რომელმან დაუტევა⁵ სახლი, გინა აგარაკნი, გინა ძმანი, გინა დანი, გინა მამა-დედანი, გინა შვილნი ჩემთჳს და სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მიიღოს და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დაიმკდროს.

18. და რამეთუ ჯერვე ეგრეთ იყო, რომელთა-იგი ყოველისთავე ცხოვრებითა მათითა საქმით აჩუენეს წმიდაჲ იგი ტრფიალებჲჲ მისი, რაჲთა ოფლთა მათ მის[თა]თჳს დათხეულთათჳს ღირსი მისაგებელი მიიღონ სახიერისა მისგან მეუფისა.

26. 1. ესევეითარივე უკუე ტრფიალებჲჲ თანა-აც, რაჲთა მოიგოს ქალწულმან და შეურაცხ-ყვნეს გულის-თქუმანი და გემოთმოყუარებანი და სიმდიდრე და საგონებელნი-იგი სოფლისა შუებანი.

2. და რაჲთა დათრგუნოს სანუთროჲ ესე ცუდი, დიდებაჲ და ვნებულნი-იგი ლიქნანი მისნი || 360rII (A) და [გარე]შეუქცეველად შეუდგნის უფალსა და იტყოდის: „ხოლო ჩემი მიახლებჲჲ ღმრთისა კეთილ არს და დადებად უფლისა მიმართ სასოებაჲ ჩემი“. და ყოველივე იგი, რაოდენცა რაჲ არს, სოფლისმოყუარეთა⁶ მიერ სოფელსა⁷ ამას შინა კეთილად საგონებელი, და, ვითარიცა რაჲ სახელი ეწოდების, მნიკულად საბასრობელად შეჰრაცხოს და ერთსა ხოლო კეთილსა ხედვიდეს თჳსად კეთილად და განმარტებულთა თუალითა მისდა შემსჭუალულ იყავნ.

3. და რამეთუ სიძემან მანცა, ყოვლად წმიდამან, ტრფიალებისა მისთჳს მისისა, რომლითა-იგი ეტრფიალა, ბევრწილად მიაგოს მას მისაგებელი მისი.

¹ იშუებდეს BC;

² უფლისა] ღმრთისა C;

³ დაჯდეს ძე კაცისაჲ] ძე კაცისა დაჯდეს B;

⁴ განსჯად BC;

⁵ დაუტევაჲ B;

⁶ სოფლისა მოყუარეთა C;

⁷ სოფლისა B;

და გინა თუ მჭევალი იყოს, გინა თუ უაზნოა,¹ და გინა თუ მკოდავი², და მთხ-
ოველი, და ცხორებისა ამისგან მსოფლიოსა განთხეული თვისითა მით ზიარებითა
აზნაურ-ყოს და დედოფლად ზეცათა გამოაჩინოს.

4. და არა ხოლო თუ უხრწნელებისა პატივითა ოდენ პატივ-სცემს³ მას, არამედ
გარეშითაცა სამკაულითა შეამკოს იგი და, ვითარცა სძალი თვისი, პირად-პირა-
დად განაშუენოს, რომლისა-იგი შუენიერება დაუკრდა მგალობელთმთავარსა და
სიძისა მიმართ იტყოდა, ვითარმედ: „დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სა-
მოსლითა ოქროსოილითა⁴ შემოსილი, და პირად-პირადად შემკული“. ვინაცა ან
ძონძითა შემოსილი და მონისა სახითა⁵ უნდოდ საგონებელი სასუფეველსა ცათა-
სა დედოფლად და მთავრობითა და შემეობითა განშუენებული მეუფისა წინაშე
მდგომარე იქმნეს || 360vI (A) და უჯერო არს, რაითამცაე სიძემან ტრფიალები-
სა მისისათვის და მთავრობაე და სიმდიდრე და სირცხვლი შეურაცხ-ყო და უკუა-
ნაესკნელი სიგლახაკე ადამისი დაითმინა, რაითა ჩუენ მისითა მით სიმდიდრითა
განემდიდრდეთ.

5. ხოლო სძალმან მან მისმან არცა თუ სწორი აჩუენოს სიყუარული [თვისისა]
უხრწნელებისათვის მას, რომელმან-იგი მისთვის სიკუდილი დაითმინა, არამედ რაე-
თა იშუებდეს და განსცხრებოდის და სოფელსა ამას თანა ხატ-ექმნებოდის და,
რაითა არა მისთვის დაგლახაკებულსა მას თანა სოფელსა ამას შინა დაგლახაკე-
ბოდის და დამდაბლდებოდის, რაითა თვისისა რაე ღმრთეებისა სიმდიდრესა აღ-
ვიდოდის, მისთვის დაგლახაკებული იგი თანაზიარ სიმდიდრისა და სუფევისა მის
ზეცათაესა იპოვოს.

6. უგულებელს ყავენ უკუე ყოველივე ხილული საოცრება⁶ სოფლისა ამის შუე-
ნიერებაე და რაოდენიცა რაე სოფლის-მოყუარეთა წინაშე სანადელად შერაცხ-
ილ-იყოს და ნუცალა-მცა⁷ დასაბამსა მისსა მი[შხ]ედავს⁸.

7. არამედ განკვრევითა რაითმე საღმრთოთა განკვრდინ მსგავსად მისა,
რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მი ვთქუ განკვრეებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი
კაცი ცრუ არს და საცნობელთაგან და სახილველთა და მისთანა მონათა ამათ და
ჯორცთაგან და სულისა და ყოველთავე წარმავალთა საქმეთაგან განკვრეებაე და
განცვრება⁹ დაითმინენ“.

8. ესე იგი არს, ყოველივე შეურაცხ-ყავენ და ბრწყინვალითა გონებითა ტრფი-
ალისა ხოლო თვისისა შუენიერებითა იშუებდინ.

9. და ნუმცა რაე იხილვების მის შორის ვნე || 360vII (A) ბული: ნუცა თუალ-
ნი, ნუცა სლვანი, ნუცა სიტყუაე, არამედ ყოველნივე ძალნი თვისნი სათნო-ყოფად
თვისისა მეუფისა აღჭურენ, რამეთუ, რომელი-იგი ყოველსავე ხედავს და ყოველ-

¹ უაზნო B;

² მკოდოვი C;

³ პატივ-სცეს B;

⁴ ოქროსოქსოილითა A;

⁵ სახითა ხატითა C;

⁶ საუცრებაე C;

⁷ ნუცაელამცე B;

⁸ მიხედავს BC;

⁹ განცვრებაე B;

სავე განიცდის, განაღა თვის ტრფიალი და თვის მოსურნე უფროს განიცადოს უეჭუელად.

27. 1. და ნუცამცა ერთითა რაით სახითა იმ რ უ შ ე ბ ს ქალწული: ნუცა ენითა, ნუცა თუალითა, ნუცა სასმენელითა, ნუცა შეხებითა და ნუცაღა სხვთა რომლითა საცნობელითა და, უფროს ყოვლისა, გონებითა.

2. არამედ ჳორცნი თვისნი, ვითარცა სასძლოე და ტაძარი მეუფისაჲ, ესრეთ აქუნდინ მომზადებულად, ხოლო სულსა მის შორის, ვითარცა სძალსა წმიდასა, შეამკობდინ.

3. რამეთუ სიძე იგი მისი არა ხედავს მსგავსად კაცთა, არამედ ყოველთავე დაფარულთა განიცდის და გულთა და გონებათა გა მ ო ე ძ ი ე ბ ს და ვერვინ მემ-რუშეთაგანი და ე ფ ა რ ვ ი ს თუალთაგან მისთა.

4. რამეთუ, რომელნი-იგი მოკუდავთა ქმართადა შეყოფილ არიან, რაჟამს უკეთურებად მიდრკენ, მრუშებისა საქმეთა იწყებენ ნივთებად და შესავალთა და გამოსავალთა მამათასა ხედავენ.

5. და თუალნი და სასმენელნი მათნი სივერაგედ და სიცილიად შე ი ც ვ ა ლ ე ბ ი - ა ნ უცნაურად. და ხედვითა და სიტყვითა და პირითა და ყოვლითავე გულითა და გონებითა მრუშებითა და სიძვითა ფარულად ა ღ ი ვ ს ე ბ ი ა ნ .

6. ხოლო სძალსა ქრისტესსა ვერ ძალ-უც დაფარვად ვერცა ხატისაგან, ვერცა სასმენელთა, ვერცა სახედველთა მისთა და ვერცა განსლვისა, || 361rI (A) გინა შემოსლვისა თანანარსლვად, გინა სივლტოლად, არამედ ყოველსავე სახილველად მისა ი ქ მ ს , და რამეთუ მისგან დაფარვაჲ შეუძლებელ არს.

7. ვინაჲცა თანა-აც, რაითა დაღაცათუ მხოლოე რასმე იტყოდის, უწყოდის, ვითარმედ: სასმენელთა სიძისათა ზრახავს და დაღაცათუ მარტოვით რასმე იქმოდის, არა უმეცარ იყოს, ვითარმედ ყოველსავე მას გამონულილვით ხედავს.

8. და დაღაცათუ იგონებდეს რასმე, ჳრწმენეს, ვითარმედ ესე ყოველი და გულადცა მოსრული გამონულილვით განიკითხვის მის მიერ და მყის ა ღ ი ნ ე ვ ი ს მის წინაშე.

9. ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნუუკუე ქმნეს რაჲმე ვინმე ფარულად და არა ვაგრძნაჲ? და ვითარ რომელმან დაჳწერგა ყურნი, არა ესმეს? ანუ რომელმან შექმნ(ნ)ა თუალ(ნი), არა იხილოსა? და რომელი სწავლის თესლებსა, არა ამხილოსა? რომელი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა, და რომლისა-იგი თუალთა წინაშე ყოველივე შიშულ არს და თავდადრეკილ, ვითარ არა უწყოდის მან ყოველივე?“

10. ამისთვისცა უკუეთუ ვინმე კაცთაგანი დამშრალ¹ იყოს ცოდვისაგან და თვისსა უგუნურებისა ესრეთ იტყვს, რაჟამს ჳმოგუნედეს თავსა თვისსა და აცთუნებდეს, ვითარმედ: „ბნელმან დამფაროს მე და კლდენი² გარემოს არიან ჩემსა და ვინ მიხილოს მე?“

11. ხოლო რომელმან ნათელი საღმრთოე თავსა შორის თვისსა ბრწყინვალედ შეიწყნაროს და სიძესა თვისსა მარადის განიცდიდეს, ღირსი გონიერებისა თვისსა

¹ დამშრალ] დამბრმალ BC;

² კლდენი] კედენი C;

ვმა აღმოუტეოს¹ და მარადის ზრახვიდეს² საღმრთოსა მას გალობასა. ვითარმედ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს და ღამე იგი, ვითარცა || 361rII (A) დღე [განათლდეს].

12. და, ვითარცა ნათელი მისი, ეგრეცა ბნელი მისი გამოცადენ³ უკუე სახედველნი თვისნი სძალმან უფლისამან და, უკუეთუ მინდობილ არს, ვითარმედ მხედველი იგი დაფარულთა⁴ სათნო-იჩენს, აღიხილენ.

13. ხოლო უკუეთუ⁵ არა სათნო-იჩენდეს, ნუ აცთუნებნ თავსა თვისსა, ვითარმედ, ვინაეთგან არავინ კაცთაგანი ხედავს, მასცა და ეფარვის.

14. ესრეთ განიხილევდინ სიტყუასა და გონებასა და თითოეულად ყოველთავე ასოთა და თითთა მოძრაობასა⁶, და უკუეთუ ჯერ-იყოს, უფალი აღსძრევდინ თითოეულსა⁷, ხოლო უკუეთუ არა, ვითარცა მხილველისაგან, ესრეთ შეიკდემდინ პირისაგან მისისა, რამეთუ უკუეთუ ზრუნავს, თუ ვითარ სათნო-იყოს უფალსა, არა სათნოესა მისისა არარაესა თანა-აც ქმნად ყოველადვე.

28. 1. ხოლო ამისათვის, თუ არავინ ხედავს მას კაცთაგანი და შეჰკადროს სიტყუასა, გინა ხედვასა, თვთმებრ იგი არს შემასმენელ თავისა თვისისა და თვთ იგი ღონე დაფარვისა შინაგან აქუს განმაქიქებელად მნიკულევანისა მის გონებისა მისისა.

2. და მერმე ცხადად იპოვების ბრმა პატივისა⁸ მიმართ უკუდავისა მის სიძისა, რამეთუ იგი უჭორცო არს და შორის საიდუმლო⁹ ზრახვისა და ხედვისა და გონებისა მდგომარე არს და ესევეითარსა მას მზაკუვარსა გონებასა გარე მიაქცევს, რომელი-იგი გარეშითა მით ქალწულებისა ეჭვთა საძულელად გამოაჩენს თავსა თვისსა.

3. რამეთუ კაცთა თუალსა აცთუნებს, ვითარმედ თავი თვისი ქალწულებისა მიერ და კეთილად || 361vI (A) [ცხორებისა სძალ-უქმნიეს მისა] და ესევეითართა მათ ბილნთა გულის-ზრახვათა მიერ არცა მისი სძალი არს და არცა განცხადებულად ცოლი კაცისა, არამედ კაცთა დიდებასა ქალწულებისათვის ქალწულებისა სახითა მიიპარავს თუალთა¹⁰ წინაშე სიძისათა.

4. და კაცთა, რომელთა-იგი ქალწულებასა თვისსა განუცხადებს, იმრუშებს მრუშებისა ცოდვითა, რომელთა-იგი სიძისა მიმართ თვისისა ცოდავს და არა ხოლო თუ ცოდავს, არამედ აგინებსცა უღმრთოებით¹¹, რამეთუ თუალსა კაცთასა უპატიოსნეს გამოაჩინებს თუალთა საღმრთოთასა, რამეთუ ამათ წინაშე ეჭვსათვის და რიდობისა საქმედ უჯეროესა ვერ იკადრებს. ხოლო მისთა, რომელი-იგი არა

¹ აღმოუტეოს B;

² ზრახვდეს B;

³ გამოიცადენ B;

⁴ დაფარულთა B;

⁵ უკუეთუ B;

⁶ მოძრაობასა B;

⁷ თითოეულსა B;

⁸ პატივისა A;

⁹ საიდუმლოდ B;

¹⁰ თუალითა B;

¹¹ უღმრთოებით B;

ოდეს¹ განემორების, ყოველსავე სიგლისპესა აჩუენებს. ესრეთმცა იქმს ქალწული ყოველსავე, ვითარმცა ესმის და ხედავს სიძე მისი.

29. 1. და ნუმცა მაშინ ოდენ ეკრძალები², რაჟამს ერთსა ვისმე ესმოდის, გინა ხედედეს, რამეთუ დაღაცათუ ერთი იყოს, რომელი-იგი ხედედეს, და არა ხოლო თუ მამაკაცი, არამედ დედაკაციცა და არა დედაკაცი ოდენ, არამედ ქალიცა³ ვინმე მსახური, შეუძლებელ არს, უკუეთუმცა არა შეიკდიმა, და დაიყენა⁴ საქმედ უჯეროესა. ესე იგი არს, გინათუ შემკობაჲ თავისაჲ, გინათუ საქმე რაჲმე ცოდვისაჲ და ტრფიალებაჲ უშჯულოებისაჲ და გინათუ ყოველივე არანმიდება, რომელი სძაგდეს უფალსა, რამეთუ არა ხოლო თუ ქალწული შეიკდემს მხილველთაგან, არამედ მეძავიცა.

2. და დაღაცათუ კაცთაგანი არავინ იყოს მის თანა, არამედ იგი ოდენ იყოს მხოლოე, || 361vII (A) ნუმცა რას თავს-იდებს ქმნად, რომელი სძაგდეს უფალსა. რამეთუ უფროეს ყოვლისა თვთ თავისა თვისსაგან თანა-აც შეკდემაჲ, რამეთუ, ვითარმცა ეგებოდა ესე, რაჲთამცა სხუათაგან, ვითარცა ღირსთა პატივისათა შეიკდიმა. და თავი თვისი, ვითარცა ღირსი, არა შეკდემებისაჲ აგინა.

3. არამედ, ვითარცა ვთქუ, დაღაცათუ მხოლოე იყოს, პირველად თავისა თვისსაგან და სვნიდისასა⁵ თვისსა შეიკდიმენ და მერმე ანგელოზისაგან, მცველისა თვისსა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ანგელოზნი თქუენნი მარადის ხედევენ პირსა მამისა თქუენისა ზეცათაჲსასა“.

4. და ვინმცა კაცთაგანმან შეურაცხ-ყო დაფარული იგი პირი ანგელოზისაჲ, რომლისადა რწმუნებულ არს მოლუანებაჲ ცხოვრებისა ჩუენისაჲ და უფროესლად ქალწულისა ეზოსმოძღურებისა⁶ განმგებელი და მცველი ქალწულებისა მისისაჲ.

5. და ანგელოზისა თანა შეიკდიმენ თვთ თავადისა მის სიძისაგან, რომელი ყოველითგან არს და ყოველსავე ხედავს და მამისაგან მისისა და სულისა წმიდისა. და არა ხოლო თუ ერთისა ანგელოზისაგან თანა-აც შეკდემაჲ, არამედ ურიცხვსა მისგან ანგელოზთა სიმრავლისა და მათ თანა სულელებისა მისგან მართალთაჲსა.

6. რამეთუ არავინ არს მათგანი, რომელი არა ყოველსავე ხედავს, დაღაცათუ ჴორციელთა თუალთაგან უხილავ არს და უფროესლად შეიკდიმენ თუალთა მათგან სამეუფოთა, ვითარცა ვთქუთ, რომელი-იგი ყოველსავე ხედავს და ყოველსავე განიცდის. და არარაჲ არს, რომელიმცა თანანარჯდა მას.

7. და ამითცა ჯერითა უკუეთუ დაფარვაჲ⁷ ჰმნებაჲს ქალწულსა, ვიდრე სხუასა ვის დაეფარვის, მაშა || 362rI (A) ამათ დაეფარენ, რომელნი⁸ ესევეითარნი არიან და ესეოდენნი და ჭეშმარიტად ღირსნი ყოვლისავე შეკდემისანი. და ვინათგან სიმრაველთაგან ცოდვისა დაფარვაჲ სათნო-იჩინა და ესენი ესეოდენნი არიან სიმ-

¹ უდეს A;

² ეკრძალებინ B;

³ ქალწულიცა A;

⁴ დაეყენა B;

⁵ სვნიდისა A;

⁶ ეზოსმოძღურებისა B;

⁷ დაჴფარვე B;

⁸ რომელნი+ესე C;

რავლითა და დაფარვაჲ ამათგან შეუძლებელ არს, ამათგან დაჰფარევედინ ყოველთავე განზრახვათა და გულის-სიტყვთა უჯეროთა. და ესერაჲ ესრეთ დაიდვას გულსა, არარაჲ უჯეროჲ და შეუმსგავსებელი მოიგონოს ყოვლადვე, არამედ თავი თჳსი მოიკრძალოს ყოვლით კერძო.

30. 1. და სამარადისოდ იწსენებდეს, ვითარმედ, ჯერ-არს ჩუენდა განცხადებად წინაშე საყდართა ღმრთისათა და ამით ესევითართა რაჲ კეთილთა იგონებდეს, არა თუმცა ქმნა რაჲმე უჯეროჲ, არამედ არცალა თუ მოიგონოს.

2. რამეთუ გონებაჲ ჩუენი, ვითარცა მხატვარი, მაგალითსა ესრეთ გამოსწერს სულსა ზედა გონებათა და განზრახვათა, ვითარნიცა ენებნენ, ვინაითგან თვთმ-ფლობელობისა მიერ თავისუფლად განტყეებულ არს და ვინაითგან უჭორცო არს, არარას მიეცემის ჭირსა წერისათჳს. და, რაოდენიცა ენებოს სივრცე ადგილისაჲ, პოოვებს და აღსწერს განზრახვათა, ვითარნიცა ენებნენ.

3. და მერმე, ვითარცა რაჲ მხატვარმან დაფარულსა სამე¹ ადგილსა განავსის დაფაჲ ფერად-ფერადითა მაგალითითა, და მყის შორის შემოილის და აჰჯადის² რაჲ საბურველი, სახილველ-ყვის იგი მრავალთა და არღარავისი უნდის თარგმნაჲ დაწერილისა მისთჳს, არამედ მუნ მყოფთა || 362rII (A) ცა და შემდგომთა მაგალი[თი იგი] სახილველად მიუტყვის³ მომავალთა ჟამთა.

4. ეგრეთვე გონებაჲ შემდგომად ამიერ განსლვისა, ვითარცა საბურველი რაჲმე, ესე იგი არიან⁴ ჳორცნი დაფასა მას სულისასა, რომელი ყოველსავე შინა ცხორება-სა თჳსსა გამოწერა, აღჳადნიან⁵ რაჲ დაფარულთა შინა, აღწერილსა მას ნათელსა შინა უჩუენებს ყოველთა. და ესრეთ იქმნების ხილვაჲ დაფისა მის სულიერისაჲ, მრავალფეროთა და პირად-პირადთა ხატთა მიერ აღვსებულად და ყოველთავე სახილველად წინაშე მდებარედ.

5. და უკუეთუ იყვნენ ხატნი იგი საღმრთო⁶ და წიგნთაგან წმიდათა და გულის-ზრახვათა სათნოთა აღწერილ, განალა უეჭუელად გონებაცა იგი, რომელმან გამოხატნა და წიგნიცა იგი სულისაჲ, რომელმან ხატნი-იგი შეიწყნარნა, სამართლად ღირს-იქმნენ ქებისა და ნეტარებისა; და ესოდენ იქმნენ სანადელ ხატნი იგი, ვიდრელა არცა თუ ენებოს მხილველთა მათ მოწყუედაჲ თუალთაჲ ხილვისა მათისაგან, არამედ უკრდეს მათ ღმრთივბრწინვალებაჲ იგი აღწერაღლთაჲ მათ შუენიერებაჲ.

6. და ადიდებდენ და შეასხმიდენ სანატრელსა მას მხატვარსა, რამეთუ კეთილად იწუმია ჳორცთა ესე ცხორებაჲ და კეთილის-მოყუართა ჳელითა ღამე და დღე ესევითარნი ესე შუენიერებანი აღწერნა.

7. ხოლო უკუეთუ უშუერ და საძაგელ იყვნენ წერილნი იგი, სირცხვლისა და განქიქებისა ღირსად გამოჩნდეს ყოველთა მიერ მხატვარი იგი. და ნუუკუე⁷ და სხ-

¹ სამე| რასმე B;

² აღჰჯადის C;

³ დაუტყვის BC;

⁴ არიან| არს B;

⁵ აჰეჰადნიან B;

⁶ სამღთო B;

⁷ ნუუკუე BC;

უადცა რამე სასობაჲ || 362vI (A) აქუნდა მათ, [ვინ უწყის], პირველ განშიშულე-
ბადმდე წიგნსა მას სულისასა. ხოლო შემდგომად საბურველისა მის ჳორცთაჲსა
აღძრცვსა, ყოველივე წინაუკუმოჲ სასობისაჲ უჩუნა¹ მხილველთა მათ.

8. სადამე უკუ დაიმალოს ესევეთარი-იგი, ანუ ვიდრე ვიდეს, რაჟამს მეორისა
მისთანა შეატყუნენ საქმენი მისნი და მსგავსად მისა განიკითხონ ყოველთა. და
შორის ურთიერთარს გულის-სიტყუანი შესამენდენ და გინა² სიტყუა-უგებდენ³.

9. ანუ თუ სადამე დაიდვას წიგნი იგი სულისაჲ, რომელმან თუალნი იგი მხილ-
ველთანი საძაგელთა მათ ხატთა ხილვითა და ყოვლითავე არანმიდებითა აღავსნა?

10. რამეთუ, ვითარცა⁴ რომელთა ჳორცთა შინა აქუნდენ ბინნი, პირველ სამოს-
ლისა განძარცუვისა დაფარულად და უცნაურად მრავალთაგან ჳქონან იგინი; და
ნუუკუე და მრავალ სასყიდლისაჲ სამოსლითა შემკულ იყვნინან და ნუუკუე და
გარეშისა მისთვის სამკაულისა შინაგანცა კეთილ და შუენიერ საგონებელ იყვნეს.

11. ხოლო განიძარცუეს⁵ რაჲ სამოსელი იგი და განშიშულდეს აბანოთა შინა,
საცინელ-იქმნა გარეშე იგი შემკობაჲ მათი და ბევრეულთა ბინთა და ძაგებათა
მიერ აღივსნეს ჳორცნი მათნი.

12. რამეთუ შემდგომად განშიშულეებისა არლარა ევმარების ჳორცთა მაუნყე-
ბელი და თარგმანი, თუ სადა, ანუ ვითარ არს ბინი იგი მათი, არამედ ვითარცა
განშიშულდენ, მეყსეულად თვთ ბინნი იგი თავთა თვსთა საცნაურ-ჳყოფენ;

13. ეგრეთცა ჩუნენ გან-რაჲ-ვიძარცუნეთ საბურველნი || 362vII(A) ესე
ჳორცთანი, ბინთა მათ სულისათა ვერცა დავჳფარავთ⁶, ვერცა დავჳბურავთ⁷, ვერ-
ცალა რაჲ ესევეთარი ძალ-გვც.

14. და რომელნი-იგი ვიდრელა ჳორცთა შინა ვიყვნით და დაფარულად
გუაქუნდეს, შიშულად უჩუნენეთ ყოველთა, რამეთუ არცალა უარყოფაჲ ეგების,
არცალა გულის-ზრახვანი იქმნებიან, რამეთუ არლარა აქუს მათ მაშინ ადგილი,
რამეთუ მაშინ თვთ საქმენი იხილვებიან და მოქმედნი მათნი ცხად-იქმნებიან.

31. 1. და რამეთუ არათუ⁸ შერეულად რამე იხილვებიან მაშინ საქმენი, არამედ
განცხადებულად, ვითარცა იყვნენ, ეგრეთ წარმოდგებიან.

2. და რაჲთა სცნა, თავს-ვიდვათ ამისიცა⁹ თქუმად, თუ ვითარ აღდგა ვინმე
სარეცელისაგან და წარემართა მრუშებად, და თუ რაბამი სლვაჲ იწუმიო, და თუ
ვითარ ეტყინებოდეს მას ჳორცნი მისნი¹⁰.

¹ უჩუნა BC;

² გინა+თუ C;

³ სიტყუას უგებდენ C;

⁴ ვითარცა+იგი C;

⁵ განიძარცუეს B;

⁶ დავფარავთ B;

⁷ დავბურავთ B;

⁸ არათუ B;

⁹ ამისიც B;

¹⁰ და თუ ვითარ ეტყინებოდეს ჳორცნი მისნი- B;

3. და თუ ვითარი სახე აჩვენა, მი-რა-ვიდა, და, თუ ვინაა შევიდა და შეეხო უცხოთა მას დედაკაცსა, ანუ თუ ვითარ მისცა დედაკაცმან მან¹ თავი თვისი საქმედ უმჯულოებისა.

4. ესე ყოველი, ვითარცა ფიცარსა შინა აღწერილი, გამოწულილვით გამოჩნდეს მაშინ განცხადებულად და საცნაურად.

5. და არა ხოლო თუ საქმით სრულ-ქმნილნი, არამედ რომელნი-იგი წუთლად საქმით ვერ სრულ-იქმნენ წიგნსა მას შინა სულისასა აღწერილნი გონებანი, რამეთუ არცა რა არს სხუად წერილი სულისა თვნიერ გონებისა რაჲსმე მის ზედა გამოსახული მოგონება. და არარა² საოცრება სიდიდეთა და სივრცე || 363rI(A) თაჲ [აღწერების მის ზედა. გიქნა უცნება³, ანუ თუ მითხრობანი⁴ და [რ]ამე წარმოთქუმანი უწყებათანი გარეშე მისა, რომელი-იგი გონებამან გამოხატოს მის ზედა კეთილი, გინა ბოროტი.

6. და ვითარცა, რომელმან-იგი სიმით წერისა ჯელოვნება ისწავოს,⁵ ყოველთა მათ სიმიათა სახე და სახელი და გუარი რვამწყობრთა მათ, გინა ოთხმწყობრთა, სულსა შინა თვისსა უტკრთავს გამოსახულად, სავმარად⁶ თვისად და მისათხრობელად.

7. და ჯსენებისა მიერ სულსა შინა აღწერილთა მათ ჯელთამიერითა აღწერილთა წიგნთა შინა წარმოაჩინებს.

8. და რომელი-იგი წარმოაჩინა სიმია, სანერელითა გამოუწერა, ხოლო რომელსა-იგი ჯელითა ვერ ეწიფა აღწერად, სულსა შინა აღწერილთა დაუწუნჯებიც; ეგრეთვე სული, გულის სიტყუათა მათ, რომელნი ჯორცთა მიერ სრულ-იყვნეს, საქმით წარმოაჩინებს.

9. ხოლო რომელთა ვერ ეწიფა ჯორცთა მიერ სრულ-ყოფითა წარმოჩინებად, თავსა შორის თვისსა გამოსახულთა ჰმარხავს ხოლო და დაღაცათუ ჯორცთა მიერ ვერ სრულ-ყვნა იგინი, არამედ თვისთა საქმითა თავით თვისით უჯორცოდ აღასრულნა.

10. რამეთუ ვითარცა საქმე ჯორცთაჲ ესე არს, რაჲთა საქმით რაჲმე აღასრულონ. ეგრეთვე საქმე სულისაჲ ესე არს, რაჲთა საუცრებანი⁷ იგი, რომელნი სთნდენ, გონებისა მიერ აღასრულნეს, ვითარცა ინებოს. ვინაჲცა გონებითა ცოდვათა არამარტივად, ვითარცა უცნებათა, ჯერ-არს განკითხვა. და შჯა⁸, არამედ ვითარცა საქმეთაჲ სულსა შინა სრულ-ქმნილთაჲ || 363rII (A) დაღაცათუ არა წერდეს ჯელი სიმიასა, არამედ სახეთა მათ მიერ სიმისათა ყოვლით კერძო აღწერილ არს სული. და რომელმან-იგი განსძარცუნეს ჯორცნი, იხილოს, რომელსა-იგი კომენტი ეწოდების, რომელ არს მალე მწერალი, ყოვლით კერძო აღწერილი და გამოსახული სიმიათა მათ მიერ.

¹ მან- B;

² არარა+არს B;

³ უცნება B;

⁴ მითხრობა B;

⁵ ისწავოს B;

⁶ სავმარად B;

⁷ საოცრებანი B;

⁸ სჯა C;

11. ეგრეთვე ჩუნენ, შემდგომად განძარცუვისა ჯორცთაჲსა, ყოველნივე გონებანი და გულის-სიტყუანი, რომელნი აღწერენით სულსა ზედა, ვითარცა აღწერენით, ეგრეთცა გამოჩნდენ.

12. და ვითარცა, რომელმან-იგი არა ისწაოს სიმიაჲ, სახენი იგი მისნი არა ჰქონან გამოსახულად სულსა ზედა. ხოლო რომელმან ისწავოს, დაღაცათუ ჳელით არა წერდეს, სწავლისა მის მიერ სახენი იგი მისნი სულსა თვისსა ზედა¹ აღწერიან. ეგრეთვე, რომელმან არა მოიგონოს ცოდვაჲ რაჲმე, არა აქუს მას სახე მისი სულსა ზედა გამოსახულად. ხოლო რომელმან მოიგონოს, დაღაცათუ საქმით ვერ ენიფოს სრულყოფად, გარნა სულსა შინა ჰქონან საუცარნი იგი გულის-სიტყუათანი, ვითარცა ფიცართა შინა გამოსახულნი.

13. და ვითარცა-იგი მუნ, რომელმან-იგი ისწავა სიმიაჲ უდებებითა წერისა მისისაჲთა, დაივიწყებს და წარსწყმედს ჳსენებასა მათსა, ვიდრელა არცაჲ თუ² ერთისა მწყობრთა მისთაგანისა ჳსენებაჲ დაშთის მის შორის, არამედ სახე და გუარი და სახელი მათი მიმყოფრებასა ჟამისასა ერთბამად წარწყმიდის.

14. ეგრეთვე რომელნი-იგი მოიგონოს უჯეროჲ რაჲმე, უკუეთუ უდებ-ყოს გონებაჲ მისი და განსთხიოს იგი გულისაგან თვისსა და სხუათა კეთილთა გულის-სიტყუ || 363VI(A) უათაგან შეაქციოს გონებაჲ თვისი, აღჰჳოცოს მას ფიცართა მათგან სულისა თვისისათა.

15. რამეთუ ჳსენებაჲ სხუად არარაჲ არს, არამედ გამოსახვაჲ გონებათაჲ სულსა შინა, ვითარცა მხატვრისა³ მიერ ფიცარსა ზედა. და ვითარ შესაძლებელ არს განრომაჲ პატიჟთაგან ეგვიეთართა მათ გონებათათჳს, რომელთა ჳსენებაჲ აქამოდ აღსძრვიდეს გონებასა? და სახენი მათნი, ვითარცა ცხოველნი, გამოსახულნი ფიცართა შინა, ესრეთ ეტკრთენ სულსა და ცხადად უჩუენებდეს მხილველთა მათთა.

16. ან უკუე, რაჲთა არა აღივსოს⁴ ფიცარი სულისა ჩუენისანი საძაგელთა გულის-ზრახვათაგან, დაივიწყებითა აღვჳოცნეთ ჳსენებანი, უჯეროთა და არანმიდათა გულისიტყუათა და გონებათანი. და კეთილთა ჳსენებაჲ გამოვსახოთ მის ზედა, რაჲთა არა დაიფაროს ან ჯორცთა საბურველითა და შემდგომად განძარცუვისა მათისა ესევეთართა მათ საძაგელთა და საძულელთა ბინთა აღწერისათჳს საძაგელად და საქიქელად და ბილნად გამოვჩნდეთ მათ ყოველთა წინაშე, რომელთადა იგი საგონებელ ვიყვენით სოფელსა ამას შინა, თუ ვართ რაჲმე.

32. 1. და ნუჳუკუე და ესე არს სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, რომელი თქუა, ვითარმედ: „რომელთაშე ცოდვანი წინაჲსწარ ცხად არიან და წინა ძღვან საშჯელად, და რომელთანიმე უკუანა შეუდგან“.

¹ სულსა თვისსა ზედა| სულსა ზედა თვისსა B;

² არცაჲა თუ A, არცა თუ B;

³ მხატვრისა A, მხატვარისა BC;

⁴ არაღივსოს A;

2. ყოველთა კაცთა მიერ წინაასწარ ცხადნი ცოდვანი და წინა წარძღუანულნი¹ ესევეთარნი არიან, რომელთა-იგი || 363vII (A) [მიერ მხილელნიცა მათნი გმო] ბად და საქმედ ცოდვისა² აღძრნეს და სცნეს და დააბრკოლნეს³ მიმსგავსებითა მათითა.

3. ხოლო კაცთაგან, უცნაურნი იგი და ფარულად აღსრულებულნი, არა დაშთებთან აქა ამისათვის, რომელ კაცთაგან უცნაურ იქმნენ, არამედ განუყოფელად შეუდგან მათ, რაათა მოქმედი იგი მათი გამოუცხადონ უცნაურთაცა და განაქიქენ დაფარულნი მათნი წინაშე აურაცხელთა მათ სიმრავლეთა და მისცენ იგი სამართალსა მას საშჯელსა⁴.

და ესრეთ ბოროტთა მათ თვსთა შუვა შეიგდიან უბადრუკი იგი, რამეთუ წინაასწარ ცხადნი იგი წინა უძლოდიან და მიზეზ-იდედიან მას საშჯელად და უჩინოთა მათ მიერ და რომელნი-იგი განუყოფელ-იყვნინ მისგან, უკუანა კერძო იქნებინ და, ვითარცა პირუტყვ, იდევენბინ.

4. და უფალმანცა ამისვე გონებისა სათარგმანებელად შესძინა სიტყუა იგი და თქუა, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინვდინ ნათელ თქუენი წინაშე კაცთა, რაათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“. ცხად არს უკუე წინაასწარ და უკუეთუ სხუებ⁵ რამე ვისმე ჰქონდის დაფარვად, ვერ ძალ-უც.

5. რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა განცხადებად მათდა, რომელთა არა უწყოდინ, თუ რომელთა, ანუ ვითართა საქმეთა ვართ მოქმედნი წინაშე საყდართა ღმრთისათა, რომელმან განანათლეს დაფა || 364rI(A) რულნი ბნელთანი⁶ და განაცხადნეს უჩინონი ზრახვანი გულთანი და მაშინ ქება იყოს კაცად-კაცადისა⁷ ღმრთისა მიერ, რაჟამს-იგი მივილებდეთ თითოეული ჯორცთა ამათგან, რაცა-იგი ვქმენით გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი.

33. 1. არცა მეორე იგი ძალი დავიდუმო სამოციქულოსა მის სიტყვსა, რამეთუ უძლიერესად ძალ-უც გონიერისა ქალწულისა თანანადებთა მათ და ლუანლთა მიმართ⁸ განმწნებად.

2. რამეთუ, ვითარცა-იგი საკვრველმან პავლე ვიდრე ჯორცთალა შინა იყო, მრავალნი და აურაცხელნი კეთილნი საქმენი წარძღუანნა წინაშე თვსსა მალლისა მის მოქალაქობისა თვისისანი და სულთა მათ მოძღურებითა მისითა ცხოვნებულთა სრულყოფა, რომელთა-იგი ოფლთა მათთვის ღმრთისათვის დათხეულთა, რომელნი-იგი საცხოვრებელად სულთა მრავალთა დასთხინა, განუმზადნეს მას ქება და პატივი წინაშე მართლისა მის შჯულისა.

¹ წინა[ით]წარძღუანულნი A, წინაძღუანულნი B;

² ცოდვისად BC;

³ დაბრკოლნეს B;

⁴ სასჯელსა C;

⁵ სხუებ BC;

⁶ ბნელისანი C;

⁷ კაცად-კაცადისა B;

⁸ მიმართ] მიერ B;

3. და სხუანი იგი, კუალად გან-რაე-ვიდა ჳორცთაგან და ქრისტესა მივიდა, ვიდრე აქამომდე შეუდგან და მიემატებიან, ესე იგი არს, მოლუანება იგი მუშაკ-თა მათ სათნოებისათა, რომელნი ეპისტოლეთა მათ მისთა მიერ სამარადისოდ განმრავლდებიან და აღორძინდებიან და გვრგვნსა და სასყიდელსა თვისსა ცხოვრე-ბისასა კეთილსა მას მოძღუარსა და მასწავლელსა ამიერ მიუძღუანებენ.

4. ეგრეთვე კუალად წინა უკუმო¹ გულისწმა-იყოფების, რამეთუ რომელთამე ცოდვანი წინა || 364rII (A) ძღვან. ესე იგი არს ბოროტთა მათ[ვს] საქმეთა მათთა და სიტყუათა მათთა მიერ ვნებულთა მათთვს, რომელნი-იგი შთაითხინეს ჯოჯობ-ეთს და მიზეზთა მათ ვნებისათა, სატანჯველთა მათ საუკუნოთა² განუმზადებენ. და რომელნიმე უკუანა³ შეუდგან, რომელნი-იგი შემდგომად სიკუდილისა მათისა სიბოროტისა მისთვს, რომლითა სოფელსა შინა დაუტევეს და მათ მიერისა ვნები-სათვს, რომლითა ივნებენ უგუნურნი, ჭირი და ტანჯვაე მათი აღემატების ჯო-ჯობეთს შინა.

5. რამეთუ, ვითარცა იგი ნეტარი დავით, ვიდრე აქამომდე ღმრთისმ-სახურებისა და დიდებისა ღმრთისა სწავლითა ურიცხუთა სარგებელ-ეყოფის. და, რომელთა-იგი ერგების სარგებელისა მათისა, მადლსა და ქებასა ამიერ მიუძღუ-ანებენ მას და აღაორძინებენ სასყიდელსა მისსა.

6. ეგრეთვე მარკიონ და შემდგომნი მისნი მწვალეებელი, რომელთა წვალუბაე სოფელსა შინა დასთესეს და სავენებელ მრავალთა იქმნეს ვნებისა მისთვს სულთაესა, დაღაცათუ ადრევე მოკუდეს, არამედ სამარადისოდ უმწარეს იქმნების სატანჯველი მათი.

7. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე⁴ ერთი მცირეთაგანი დააბრკო-ლოს, სიკუდილისა ღირს არს იგი. მაშა, რომელი ესეოდენთა სულთა მიზეზ ექმ-ნა წარწყმედისა და ბოროტი სწავლაე და განმხრწნელი სულთაე სოფელსა შინა დაუტევეოს რაოდენთამცა არა ღირს იყო⁵ სიკუდილთა, რაჟამს მის მიერ მოწყ-ლულნი იგი დღითი დღე მოისრვოდიან და საშჯელად მიეცემოდინ?“

8. და ვინაათგან ესე ესრეთ არს || 364vI (A) და რომელნიმე საქმენი წინა უძღვან და რომელნიმე უკუანა შეუდგიან და ვითარცა იგი ბოროტისა მიზეზსა დღითი დღე ვნებულთა მათთვს მის მიერ უმეტეს და უმეტეს განუმრავლდებიან⁶ ტანჯვანი, ეგრეთვე კეთილისა მიზეზსა მის მიერ რგებულთა მათთვს და მოძღუ-რებითა და სწავლითა მისითა ცხოვენებულთა ნიჭნი და მადლნი აღორძინდებიან.

9. მაშა, უეჭუელად ქალწულსაცა რაიმე აქუს ორთავე ამათგან – გინა სათნოე-ბაე, გინა სიბოროტე. ესე იგი არს, რომელნი-იგი წინა ძღვან და რომელნი უკუა-ნა შეუდგან. და საწყალობელ არს იგი უბადრუკ, რომელმან თვთ თავსა თვისსაცა მოატყუნეს ტანჯვანი უნესოდ ქცევითა და სხუათაცა ექმნეს მიზეზ ბოროტისა,

¹ წინა უკმო B, წინა უკმო C;

² საუკუნეთა B;

³ უკუან B;

⁴ ვინმე – B;

⁵ იყოს B;

⁶ განუმრავლდებიან B;

რამეთუ ორთავე მათვს უმეტეს განიმრავლნეს სატანჯველნი და უფროსლა მის მიერ ვნებულთა მათვს სამარადისოდ აღორძნდებოდინ გუემანი მისნი.

10. ხოლო სამგზის სანატრელ არს იგი, რომელი თვსთა გვრგვონოსანთა თანა მათვსცა გვრგვონოსან იქმნეს მერმესა მას საუკუნესა, რომელნი-იგი ცხოვნდეს მის მიერ, რამეთუ მიბაძვითა მით მისითა მათისა მისცა გვრგვონოსნებისა მიზეზ-იქმნა და სამარადისოდ მიზეზ-ექმნების.

34. 1. ან უკუე ვინაფთვან არარაჲ არს დაფარული, რომელიმცა არა გამოცხად-ნა და ყოელთა ამით ზემოთ თქმულთა სიტყუათათვს დაღაცათუ მარტოჲ იყოს ქალწული, თავისა თვისისა უცოდველობისათვსცა ზრუნავს. და არა ხოლო თუ სხ-უათა ოდენ ხილვისაგან, არამედ უფროსლა თავისა თვისისაგან და უფრ || 364vII (A) ოსა და უმეტეს [ყოვლით კერძო] მხილველთა მათვს ანგელოზთა შეიკდემ-დინ და ძრნოდენ.

2. და რაჲთა მისთვს იტყვს, ვითარმედ: „ჯერ-არს დედაკაცისა, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა თვსსა ზედა ანგელოზთათვს.“ რამეთუ დაღაცათუ მხოლოჲ ჯდეს თვსაგან სახლსა შინა თვსსა ქალწული, ამისათვს, რამეთუ არავინ არს მისთა-ნა კაცთაგანი, არა¹ ჯერ-არს, რაჲთამცა ურიდად რასმე განიშიშულებდა ასოთა თვსთაგანსა, რამეთუ მრავალმღელვარე არს ბუნებაჲ დედათაჲ და მრავალნი² აღძრვანი ჰქონან ბუნებისა მიმართ მამათაჲსა და მიიზიდავს მას თავისა მიმართ თვისსა.

3. და არა ამისთვს ხოლო ჯერ-არს კრძალვაჲ, არამედ სივერაგეთა მათვსცა უშმაკთაჲსა, რომელნი-იგი უხილავად სამარადისოდ გვმზირიან ჩუენ. და უფროს-ლა პატივისა მისთვს ანგელოზთაჲსა, რომელთათვს იტყვს, რაჲთა ფლობაჲ აქუნდეს თავსა თვსსა ზედა, რაჲთა არარაჲ უჯეროჲ იხილონ წმიდათა მათ ძალთა და გა-ნეშორნენ და იჯმნან მისგან.

4. რამეთუ მამაკაცი, ვითარცა არს ზიარი ანგელოზთა პატივისაჲ, ბრძანებულ არს მისდა, რაჲთა განიშიშულებდეს თავსა თვსსა, ხოლო დედაკაცი, ვითარცა უდარესი მისი, ბუნებითა დაყენებულ არს განღებად თავისა ფლობისათვს, კულა თავისა თვისისა ნუ აღზუავნებინ³, რამეთუ არა თუ მისთვს⁴ მიცემულ არს ფლო-ბაჲ, რაჲთა უგლიმ იყოს, არამედ⁵ რაჲთა უნებლიეთ იქმოდის სათნოებასა, არამედ ნებსით⁶, რაჲთა სასყიდელიცა აქუნდეს პა || 365rI (A) ტიოსნებისა და უბინოებისა მისისათვს.

5. და რამეთუ თვთმებრ ბუნებაჲმან პირველითგანვე ამისთვს დაფარა თავი დე-დაკაცისაჲ თმითა, რაჲთა უსიტყუელად ასწავოს, ვითარმედ: „არა ჯერ-არს, რაჲთა განიშიშულოს თავი“. და ვინაფთვან თავისა არა თანა-აც განიშიშულებაჲ, სხუამცა ასოთაგანი რაჲ ეგებოდა არა ხოლო თუ განიშიშულებად, არამედ მოგონებადცა.

¹ არაჲ B;
² მრავალნი B;
³ აღზუავნებინ B;
⁴ ამისთვს C;
⁵ არამედ- C;
⁶ ნეფსით B;

6. რამეთუ ვიეთნიმე¹ ვინაფთგან მამათაგანი არავინ² იყოს მხილველ, კადნი-ერ-იქმნებთან, ესევითარისა რაფსმე შეკადრებად.

7. ამისთვისა შემოიყვანა პირი უპატიოსნესი მამათა, რომელ არიან ანგელოზნი, რომელნი-იგი ყოვლით კერძო მიინვეიან და ყოველთავე საქმეთა განიცდიან.

8. ყოველნივემცა უკუე დედანი ძრნიან მათგან და, უფროს ყოველთაფსა, ქალწული, დაღაცათუ მხოლოე იყოს სახლსა შინა. და ოდეს რაამე ჯერ-იყოს მოღუანებაჲ წორცთაჲ და გინათუ თავსა იღუნიდეს, გინათუ რომელსაცა ასოთაგანსა ესრეთ ისწრაფენ, რაოდენცა ძალ-ედვას, რაათა ჰფარვიდეს ასოთა თვსთა თავისაცა თვისსა რიდობითა და ანგელოზთაფცა, და, უფროსლა თუალთა მათგან საუფლოთა, რომელნი განიკითხვენ გულსა და თირკუმელთა და თვისსა მისგანცა საყოფლისა და სენაკისა, რომელსა შინა ძრნოლით ჰმონებს უფალსა.

35. 1. და ვინაფთგან დაღაცათუ მარტოე იყოს, და არა თანა-აც ურიდად განშიშულებაჲ, რავოდენ უფროს თანა-აც კრძალვაჲ და სამოსლითა და სირცხვ || 365rII (A) [ლითა დაფარვაჲ თავისა თვისსაჲ, ეახლენენ რაჲ ქრისტე]სმიერნი დანი და სინმიდით და მორცხუედ³ შემკობაჲ. ესრეთ, რაათა არარაჲ იხილვებოდის მის თანა სავენებელი ყოვლადვე, რაათა არა იგი ხოლო ეგოს უვნებელად, არამედ რაათა მხილველთაცა მისთა არცა ერთი მიზეზი ვნებისაჲ შეემთხვოს მისგან.

2. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „იხილნეს ძეთა ღმრთისათა ასულნი კაცთანი, ვითარმედ შუენიერ არიან და მათ თანა დაეცნეს“.

რამეთუ კმა არს შუენიერებაჲცა განშიშულებული ძეთაცა ღმრთისათა გულის-თქუმითა შეგრძნებად და ამის მიერ ვითარცა კაცთა სიკუდილი და მოკუდავად გამოჩინებაჲ.

3. ვინაფცა არა ჯერ არს, რაათა თვისსა ხოლო უვნებელობასა ზრუნვიდეს და რომელთა-იგი ვნებად შემძლებელ იყოს მათისა ცხორებისა შეურაცხ-ყოფად, არამედ ყოვლით კერძო და თვისსაცა ქალწულებისა სიკეთესა წარუპარველად დაცვად და მხილველთაცა მისთა ცხორებისა შეძინებად.

4. და ნუმცა მოუვაჭრებს სიკუდილსა ცოდვისასა, რამეთუ დაღაცათუ იგი ესავს ქალწულებისა უცოდველობასა, გარნა ეგრეთცა ზრუნვაჲ ჯერ-არს, რაათა არა დაუგოს ძმასა საბრჭვე, გინა შესაბრკოლებელი, ვითარცა წერილ არს.

36. 1. და ესემცა არს საქმე ქალწულისაჲ, რაათა გონებითა და ძრვითა და სახითა და ფერთა და მხოლოე და სხუათა თანა თვისსამცა ოდენ სიძესა სინმიდით სათნო-ეყოფის⁴ და ესრეთლა || 365vI (A) მეგობართა სიძისათა სინმიდით ჰზრახვედინ.

2. რამეთუ არა თუ ამისთვის ვასწავებთ მას, რაათამცა კაცთმოძულებასა შეეყენეთ, არამედ რაათა პატიოსანთა ხატთა მიერ ყოვლითურთ თავითგან და ვიდრე

¹ ვიეთნიმე- B;

² არავინ B;

³ მორცხუედ B;

⁴ სათნო-ეყოფის C;

ფერვამდე ძეგლად საღმრთოდ გამოვხატოთ, და ესრეთლა საკუთართა და თვსთა სარწმუნოებისათა წარუდგინოთ, რაათა სახითა და სიტყვთა სძლად ქეშმარიტად ღმრთისად გამოჩნდეს და სარგებელ ეყოს თანამზრახველთა თვსთა.

3. ჰზრახვედინ უკუე, ვითარცა სძალი მსახურთა სიძისათა, ვითარცა ვთქუ, მორცხუედ¹ და მოწინებით, და ზრახვიდეს რაე ყოვლითურთმცა სიფრთხილე² და კრძალულებაე გარე მოუზლუდავს, რამეთუ თანა-აც მას, რაათა უმანკო იყოს, ვითარცა ტრედი, და მეცნიერ და ბრძენ, ვითარცა გუელი.

4. რამეთუ ვინაეთგან ჯორცთა შინა მყოფნი სულნი შემძლებელ არიან შიშულად ურთიერთარს³ ზრახვად სათნოებათათვს ჯორცთა მათ⁴, რომელთა შინა არიან, იიძულებიან, რაათა წმისა და ხილვისა ორღანოდ იწუმევედენ. და რომელსა ვერ ძალ-ედევას ხილვად სიკეთესა სულისასა შეთხზულებისათვს ჯორცთაჲსა, ანუ თუ სმენად სიტყვსა მისისა ძრვასა მას ჯორცთასა ხედავს, რომელთა⁵ შინა მკვდრ არს.

5. და წმასა მისსა მათ მიერ ისმენს და მისსა შუენიერებასა ამათ მიერ გულისწ-მა-ჰყოფს. და არა ხოლო თუ წმაე ოდენ, გინა ხედევა, ვითარცა სარკესა შინა გამაჩინებს სახესა სულისასა, არამედ მოსილობაეცა || 365vII (A) მამაკაცისაჲ და სიცილი ბაგეთაჲ და წარდგმაჲ ფერვისაჲ აუნყებს მისთვს და მიუთხრობს.

6. ხოლო ვერ ცნეს ვიეთმე წადიერად სმენისაგან სახიობის-მეტყუელისა და არღარა მსახიობელსა ამას, არამედ ხილულსა მას ორღანოსა, რომლისაგან ესმის ჯელოვნებაე იგი მსახიობელისაჲ, მცირედ-მცირედ შეიყუარებენ.

7. და ამისთვს საჭიროდ თანა-აც ქალწულსა, რაათა კრძალულებით სცვიდეს სასმენელთა და სახილველთა. ნუუკუე ვერ ცნას და სულისა წილ, რომელი იტყვს: „ორღანოე იგი მეტყუელისაჲ შეიყუაროს“.

8. რამეთუ ძნელ არს და ფრიად საკრძალველ და ფრიადი სიბრძნე საწმარ არს, რაათა სურვილსა მას ჩუენსა და სიყუარულსა სივერაგით და ღონისძიებით შევსცვალებდეთ და სავენებელისაგან სარგებელსა მოვისთულებდეთ.

9. რამეთუ ესრეთ, ვითარცა ვთქუ, ვერ აგრძენს ვიეთმე და სათნოებისა სიტყვ-თა⁶ ტკბილად სმენისაგან მეტყუელისა მის სულისა სიყუარულითა აღაორძინეს⁷.

10. და ზედაჲს-ზედა სმენითა და ხილვითა გამოიხატნეს სულთა შინა თვსთა სახენი ჯორცთანი და წმისა მის სმენილისა მიმართ სასმენელითა ტრფიალებად უჯეროდ აღეტყინნეს.

11. და არღარა სულისა მისთვს, რომელი პირველ შეიყუარეს, რომელი-იგი წმისა მიერ გამოსცემდა სიტყუასა, მისდევედეს და ერჩდეს კაცსა მას, არამედ ჯორცთა, რომელნი-იგი ჰმსახურებდეს მათ.

¹ მორცხუედ BC;

² სიფრთხილე B;

³ ურთიერთას B

⁴ ამათ B;

⁵ რომელსა C;

⁶ სიტყუათა C;

⁷ აღაორძინეს] აღიძინეს BC;

12. ამისთვის უკუე ჯერ-არს, რაათა კეთილნი სულისანი || 366rI (A) კეთილად შევიყვარნეთ¹, რამეთუ წარმართნიცა იტყვან, ვითარმედ: „მახლობელ არიან ვნებანი სათნოებათა და დამართ კარ.“

13. რამეთუ თითოეულსა სათნოებისა კარსა შუემსგავსებს სიბოროტე კარსა თვსსა და დამართებით აღუგებს ეზოსა თვსსა.

14. რამეთუ უკუეთუ ვინმე ისწრაფდეს შესლვად კარსა სათნოებისასა, წარდგის [წარდგეს] კართა წინაშე და ეგონის, ვითარმედ მას ჰრეკს.

15. და განეხუნიან რაე იმიერ და ამიერ, მსგავსებისა მისგან შესცთვის.

16. და ვითარცა სახლსა სათნოებისასა შევიდის სახლსა მას ვნებისასა და ესრეთ საცინელ-იქმნის ყოველთა მიერ ცთომისა მისთვის.

17. და ჟამისა გამოცდილებისაგან ისწავის², რამეთუ არა ხოლო თუ შორს არნ კარისა მისგან სათნოებათაჲსა, არამედ ყოველითურთ უცხო მისგან და მიუახლებელ.

18. ვინაჲცა ინებეს ვიეთმე, რაათა ახოვან იყვნენ სათნოებათა მიმართ, და აცთუნნა და თავვედად გამოაჩინნა, ხოლო სხუანი შეშინდეს თავვედობისა ბრალობათათვს და მოშიშებაჲ და სულმოკლებაჲ ამხილა.

19. და სხუანი მონყალეზად და სიტკბოებად ჰგონებდეს წარმატებასა და ვნებათა მიმართ ბოროტად აღატყინნა. და რომელნიმე ვნებულსა წყალობასა ევლტოდეს და უწყალოებაჲ და კაცთმოძულებაჲ ასწავა. ვითარცა იგი სხუანი სიყუარულისა შეუნიერებასა სდევედეს და მტყუვართა მით სიყუარულითა, ანუ თუ ჯორცთა გულისთქუმასა და ყოველთა მიერ საგმობელსა ცხორებასა უშუერად შთასთხინა, და ანუ თუ ამათ ბინთაგან შეშინდეს და ძმათ მოძულედ და კეთილად უგულისწვოდ || 366rII (A) შეცვალნა.

20. კუალადცა უკუე გეტყვ: „ნუ მისდრკები მარჯულ, გინა მარცხლ“, რაათა არა შესცთე ერთისა რაჲსმე ბოროტთა კარისაგან და დაეცე, არამედ საშუევალსა გზასა სათნოებასათასა ვიდოდე და ყოველით კერძო ხედევედ, თუ ვითარ-ძი განკრძალულად ხუალ³, ნუ ვითარცა უგუნური, არამედ ვითარცა ბრძენი, რამეთუ შორის საბრჯეთა ხუალ და ზედა გრძილთა⁴ ქალაქისა ზღუდისათა წარჰვილი⁵, ვინაჲცა ერიდებოდე, რაათა არცა⁶ საბრჯესა სამე უდებებისასა შთაჰყო ფერჯი შენი და არცა ზღუდისაგან ქალაქისა ჩუენისა გარდაიგდო თავი შენი და მოჰკუედე ბოროტად.

37. 1. ჯერ-არს სიყუარული სულიერთა მოძღუართაჲ, არამედ მართლითა სიყუარულითა და შეუმრღუეველითა,⁷ რაათა არა ზედაჲს-ზედა სწავლისა და სმენისა

¹ შევიყვარნეთ B;

² ისწავეს C;

³ ხუალ B;

⁴ გირძილთა B;

⁵ წარელი B;

⁶ არცაჲ B;

⁷ შეუმრღუეველითა BC;

მათისაგან სიძისათვის¹ სწორად სიძისა შეიყუარნე იგი და დაჰჴსნა პატივი სიძისა და ეზოსმოდღუარნი² პატივისა მეფისასა აღიყვანნე და დიდი საცნებელი მოიტყუა.

2. რამეთუ ესრეთ ვიეთნიმე შეატყუენეს³ და არასწორად სიძისა ხოლო⁴ შეიყუარნეს მსახურნი სიტყვისანი უღმრთოებით⁵, არამედ უმეტესცა და სიძე იგი, რომლისა სძალ იქმნნეს, სრულიად დაივიწყეს და ყოვლითურთ მსახურთა სიტყვისათა სძალ-იქმნნეს, უფროსლა არცა თუ მსახურთა სიძისათა, არამედ უცხოთა ვიეთმე და უცხო თესლთა ცოლად საძაგელად გამოჩნდეს.

3. რამეთუ ჴორციელი და არანმიდებისა მსახური თვისად მსახურად არა ჰყავს სიძესა ჩუენსა, არამედ ყოველნი, რომელნი სულითა ცხოველ არიან || 366vI(A) და რომელნი-იგი არა იყვნენ სულითა მსახურნი სიძისა, არამედ ჴორცთა მათთა, და ეგევითართა მათ უჯეროდ სძალ-იქმნენ. ცხად არს, რამეთუ მათცა უცხო ჰყოფენ მსახურებისაგან სიძისა და თავთა თვისთა არღარა სძლად სიძისა, არამედ უცხოთა ვიეთმე მონათა სძლად და მჴველად გამოაჩინებენ.

4. ამისთვის უკუე⁶ ვიტყვ, ვითარმედ ამათდა ესევითართა კრძალულებით და მოწინებით ჯერ-არს ზრახვაჲ, რათა ზრახვისაგან დაფარულად აღმოცენებულსა მას ჴორციელსა სიყუარულსა გონიერებით განჰჴუეთდენ⁷.

5. და რათა არა ვითარცა მსახურთა და საკუთართა სიძისათა მიედევნენ⁸ და კადნიერ იქმნენ და ურიდ და ვერ აგრძნან.

6. და ანუ თუ იგინი უჯეროებად მიდრკნენ და დასცნენ, და ანუ თუ თავნი თვისნი განსთხინენ წინამდებარისა მის სარგებელისაგან და ჴორციელთა გულით-ქუმად უჯეროდ შთასთხინენ.

7. რამეთუ დაღაცათუ სიყუარულისა ჯერ-არს მოგებად მოყუსისა მიმართ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, – და ესე⁹ მცნებად მოუცემიეს სიძესა.

8. და სათნო არს მისა და ბრძანებს შეყუარებასა, და ვითარმედ რაოდენი უყო ერთსა მცირეთა ამათგანსა, ჩემთანა ჰყოფ, სიძისა შენსა.

9. გარნა არა ჯერ-არს, რათა ვნებულ იყოს სიყუარული იგი და არცა რათა სახელი აქუნდეს მტყუვარისა სიყუარულისაჲ და საქმით ჴემმარიტისა სიყუარული-სა პატივისა შეაგინებდეს და უწყოდენ, ვითარმედ: „ვიდრემდის სიყუარულისათვის სიძისა თვისისა უყუარდეს, რომელი-იგი უყუარ || 366vII (A) დეს, გინათუ მოძღუარი იყოს, და გინათუ ძმანი სულიერნი ჰკიეს იგი მისსაცა ზედა სიყუარულსა და მათსაცა ჯეროვნად და პატიოსნად.

¹ სიძისათვის | სიძისათვის B;

² ეზოსმოდღუარნი B;

³ შეიტყუენეს B;

⁴ სიძისა ხოლო | ხოლო სიძისა B;

⁵ უღმრთობით B;

⁶ უკუე BC;

⁷ განჰჴუეთდენ BC;

⁸ მიედევნენ | მიენდვენ B;

⁹ ესემცა B;

10. ხოლო რაჟამს არღარა მისთვის, არამედ ჩვეულებისათვის და მეგობრებისა¹, და გინათუ ვნებულად გიყუარდენ იგინი, განხრწნენ მისა² მიმართცა სიყუარული, და ვნებულად შესცვალე უვნებელი და არღარა გაქუს ჭემმარიტი სიყუარული, არამედ მტყუვარი.

11. რამეთუ ჳორცთა სიყუარული ვნებათა შეეხების და არცა პირუტყული სიყუარული³, პირუტყულისა ჩუეულებისაებრ აღსრულებული, განუკითხველად და პატიოსნებისა თვისისა ჳორცთა მიმართ მიმდრეკელი შერაცხილ არს სიყუარულად.

12. არამედ სიბრძნით და პირმეტყუელებრ აღსრულებული, რომელი-იგი გონიერებით პატივისაებრ პირთაჲსა სამართლად და ჯეროვნად მიუწონდეს ჯეროვნანსა სიყუარულსა, რაჲთა მსახურთა სიძისათა მართლითა გულის-სიტყვთა პატივ-სცემდეს და თვთ მას თავადსა არა ამისთვის, რამეთუ მისთვის ასწავებენ მას და ზრახვენ, არამედ თვთ მისთვის განეკუთნოდის⁴ მას.

13. და უკუეთუ ვინმე იყოს მეგობარი მისი ესევეთარი იგი სიყუარულისათვის საღმრთოჲსა, ვითარცა ერთგულსა მონასა მისსა პატივ სცემდინ⁵. ხოლო უკუეთუ ვინმე საღმრთოჲ სიყუარული უდებ-ყოს, დაღაცათუ ჰლიქნის ქალწულსა მას და ვითარცა თვისი შეურაცხიეს, გარნა აღარარა ხედავს მას განწმედილითა გულითა, არამედ უფრ || 367I (A) ოსლა ლიქნისა მის მიერ მზაკუვარებასა თვისსა საანჯმნო-ჰყოფს.

14. რამეთუ შეურაცხ-უყოფიეს მეუფე, რომლისადა იგი დამონებულ იყო, და შინაგანცემით იჩემებს მსახურებასა მისსა, რამეთუ სძალსა მისსა აცთუნებს, ვითარცა თანამოდლუანე და თანამჭუვარი, და რეცა თუ სათნო-ყოფასა მისსა წინაუყოფს, ხოლო ზედაჲს-ზედა ზრახვით მით მისითა ტრფიალებასა მას მისსა თვისა მომართ მოცვალეზად ღონე-ჰყოფს და ეზოჲსმოდღურისა და მოძღურისა სახელითა და სახითა მემრუშედ სძლისა მრავალ მანქანად და ვერაგობით გამოჩნდების.

15. ამით უკუე ესევეთართა სახითა და სიყუარულისა სახელითა მცირედ-მცირედ ვნებულისა მეგობრებისა მიერ ჳორცთა გულის-თქუმისა მწკრესა შთათხინეს მრავალნი: და მეძავ, და მემერუშე და უცხო. არა ხოლო თუ საღმრთოჲსა სძლობისაგან, არამედ ჳორციელადცა კაცთა შორის შჯულიერისა ქორწინებისაგან განითხინეს და განიქიქნეს და ყოველთა მიერ საყუედრელ⁶ და ფერვის საცემელ-იქმნეს.

16. რამეთუ უფალსა ქალწულებაჲ აღუთქუეს⁷ და მერმე ჳორცთა გულის-თქუმითა იძლინეს და სიძვისა და მეძვობისა⁸ ცოდვაჲ სახელითა ქორწინებისაჲთა დაფარვად ინებეს.

¹ მეგობრობისა B;

² მისსა B;

³ არცა პირუტყული სიყუარული - B;

⁴ განეკუთნოდის B;

⁵ პატივ-სცემდეს B;

⁶ საყუედრელ BC;

⁷ აღუთქუმს BC;

⁸ მეძობისა B;

17. და ვითარ ვგონებ¹, არა უმეცარ არიან, დაღაცათუ უმეცრებასა იჩემებენ, რამეთუ რომელი-იგი გარდაჰჰდა სიძისა თვისისა საკუთრებასა, არცაღა მისა არს სძალი, რომელი-იგი უშჯულოდ დაუტევა და ვერცა მისსა შემძლებელ არს შჯუ-ლიერად² [მეუ || 367rII (A) ღლედ პოვნად, რომელსა-იგი ვნებისა მიერ და ბილ-ნებისა შეახო] თავი თვისი.

38. 1. რამეთუ მსგავსად და საღმრთოთა წერილთა შჯულიერი ქორწინებაჲ მაშინ იქმნების, რაჟამს გულის-თქუმისა ვნებამან არა განრყუნას წინაჲსწარ წესი ქორწინებისაჲ.

და ესევეთარი გულისსიტყუაჲ გამოაჩინებს მას პატიოსნად, რაჟამს შემწედ სა-ჭიროთა საქმეთა და მკვდ-რობისათჳს და შემდგომებისა შვილთაჲსა იქმნეს შორის შემოსლვაჲ მისი. ესრეთ დაინდების ქორწინებაჲ.

2. რაჟამს საჭიროჲ იგი წესი ქორწინებისაჲ იქმნეს წინამსროლ შეერთებისა და ხარისხი წმიდაჲ და უბინოჲ დაიდვას შჯულიერად უფლისა მიერ.

3. და ესრეთ ჯეროვნისა მის ქორწინებისა შემდგომითი-შემდგომად ურ-თიერთარს შეყოფისა გულის-თქუმაჲ ერთჯორცად გამოაჩინებს მათ.

და არღარა არიან იგინი ორ, არამედ ერთ.

4. რამეთუ ვინაეთგან გულის-სიტყუამან სულისამან სულნი მათნი საჭიროთა მათ წესთა მიერ პირველ ჯორცთა შეკრებისა შეკრიბნა.

5. და ვინაეთგან ჯეროვნად შეიყვნეს, მერმე შეერთებაჲცა იგი ჯორცთაჲ სა-მართლად შეუდგა.

6. ხოლო რაჟამს სულთა სხუაჲ რამე დასაბამი ყონ დასაბამად, ჯორცნი გუ-ლის-თქუმისა მიერ თჳსთა საქმეთა მოივაჭრებენ.

7. და მათ შინა მყოფთა სულთა თჳსთა ვნებათა დაამონებენ და ჯორცთა სი-ბოროტისა მიმდგომ იქმნებიან სულნი და უშჯულოსა³ შეყოფასა აღასრულებენ.

8. რამეთუ საქმესა, || 367vI (A) რომელსა წესი და შჯული⁴ სულისაჲ არა წინამძღუარ-ექმნეს, ეგევეთარი იგი თვნიერ ყოვლისა ცილობისა, ვითარცა უშ-ჯულოჲ, განიქიქების სწინდისისა მიერ.

9. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „ღედაკაცი შეკრულ არს შჯულითა⁵, რაოდენ ჟამ ცხოველ-იყოს ქმარი მისი, ხოლო უკუეთუ მოკუდეს, განთავისუფლებულ არს. რო-მელსა უნდეს ქორწინების და არა ლიტონად თქუა ქორწინებაჲ, არამედ, ვითარმედ უფლისა მიერ თანა-აც ქორწინებაჲ.“

10. და რაჲ არს უფლისამიერი ქორწინებაჲ, რაჲთა არა წინაჲსწარ მიიზი-დოს ჯორციელთა გულის-თქუმათაგან საქმედ ცოდვისა⁶, არამედ მშჯავრითა⁷ სიმართლისაჲთა აღირჩიოს ქორწინებაჲ, რომლისა მიერ იძულებაჲ იგი ქორწინე-ბისაჲ დამბადებელმან განუნწესა ბუნებასა.

¹ ეგონებ B;

² სჯულიერად C;

³ უსჯულოსა C;

⁴ სჯული C;

⁵ სჯულითა C;

⁶ ცოდვსა B;

⁷ მსჯავრითა BC;

39. 1. და ვინაიდან ესე ესრეთ არს, ნუ აცთუნებს თავსა თვსსა ქალწულე-ბისაგან ჳორცთა ვნებისა მიმართ მიდრეკილი.

2. თუმცა ცოდვამ იგი ქორწინებად შეერაცხა მას.

3. პირველად შეყოფისა მის და ცოდვისა ბოროტად საფუძველად დაუდვა თავ-სა თვსსა გულის-თქუმა იგი და გარდასლებისა უშჯულოებად.

4. და მერმე არა განთავისუფლებულ იყო, რამეთუ არა მომკუდარ-იყო ქმარი მისი, რათამცა ქორწინებულ იყო, რომელსაცა ენება, ხოლო ცხორებასა უკვდავისა მის ქმრისასა მემრუშედ შეირაცხვის || 367vII(A) უკუეთუ ჳორცთა ვნებისათვს სასძლოსა შინა უფლისასა მოკუდავი ქმარი შეიყვანოს.

5. და რამეთუ წესი ქორწინებისა შჯულიერისა¹ წინაიძვე მოუღებეს მეუფე-სა, საანჯმნო-ყო შეერთებამან მისმან.

6. და სახე იგი ქალწულებისა ნამებს წინამე ყოველთაჲსა და რამეთუ შეერთე-ბითა მისითა განშუენებულ იყო და მისსა მიმართ განსლვამცა ცხადად წარ-მოაჩინებს.

7. რამეთუ უკუეთუ პირველ შჯულიერისა ქორწინებისა მამულთა ეზოთაგან ვერ განვალს ქალწული, ვიდრემდის უფლად და მოღუანედ ცხორებისა თვსისა მოიგოს ქმარი თვსი და ფლობასა მისსა დაემორჩილოს და ესრეთლა განვიდის მამულით სახლით.

8. და ვინაიდან უკუე განვიდა ქალწული მამულთა მათ ეზოთაგან და დაამონა თავი თვსი შჯულიერსა მას სიძესა თვსსა და დაემორჩილა ფლობასა მისსა და განცხადებულად საანჯმნო-ჰყოფდა განსლვასა თვსსა.

9. და განსლვისა მისისა მონამე არიან მხილველნი მისნი, წამონ მათვე, თუ ვის შეეყო და ვის დაუნინდა თავი თვსი და მამულით სახლით, ვითარცა სძალი, განვიდა. და ვინაიდან ქორწინებაჲ მისი მონამეთა მიერ და სძლობისა და ერთა შორის განსლვისა ესრეთ საჩინო-იქმნა და არა მომკუდარ არს ქმარი მისი. იმრუ-შებს ეგვევითარი იგი, უკუეთუ ცხორებასა ქმრისა თვსისასა სხუასა ქმარსა შეეყოს და ყოვლითავე ცხორებითა თვსითა იმრუშებს.

10. და უფროსლა სამარადისოდ მეძვე || 368rI(A) იქმნების გემოსა² მისთვს გულის-თქუმათაჲსა სიმნართა სავსისა და ცხორებისათვს ქმრისა თვსისა უშჯუ-ლოდ და გლისჰად იმრუშებს.

11. და, თუ ვითარ უკუდავისა მის წილ სიძისა და ღმრთისა მოკუდავსა და განხრწნადსა კაცსა და საშჯულად³ თავისა თვსისა თუალთა წინამე ქმრისა თვსისათა განხრწნად და შეგინებად მისცემს ქალწულებასა თვსსა, თქუმად ვერ შემძლებელ ვარ. და სამარადისოდ უშჯულოებითა უღმრთო⁴ იქმნების მისსა მი-მართ. ანუ თუ ვითარ კაცი იგი კადნიერ-იქმნების სიბორგილით აღსლვად სარე-

¹ შჯულიერისა B, სჯულიერისა C;

² გემოსა B;

³ სასჯელად C;

⁴ უღმრთო B;

ცელთა უფლისა თვისისათა, რამეთუ კაცობრივთა საქმეთაგან ჯერ-არს განცდაც
ცოდვისა პატიჟთა.¹

12. რამეთუ ვითარისა პატიჟისა ღირს არს, რომელი აზნაურისა და წარჩინე-
ბულისა ქმრისა [წილ მონისა] თვისისა თანა განხრწნდებოდის² და სამეუფოსა სა-
რეცელსა მონასა თვისსა შინაგანცემით აღიყვანებდეს, ანუ თუ ვითარისა პატიჟისა
ღირს იყოს მონაჲ იგი, რომელი თვისსა დედოფალსა და უფლისა თვისისა სარეცელ-
თა სიბილწით შემწიკულებდეს?

40. 1. ხოლო ბორგნეულნი იგი, რომელთა ჯორცთა ნებისათჳს ესევეითართა უშ-
ჯულოებათა შეჰკადრეს, არა ტირ[ი]ან, არცა იგლოიან³, რაჲთამცა მცირედ რაჲმე
აღისუბუქეს საშჯელი, არამედ უფროჲსლა ქალწულებასა მასცა, რომელი აღეთ-
ქუა, უვარ-ჰყოფენ⁴.

2. რამეთუ, ვინაჲთგან უწყიან, ვითარმედ: უვარისყოფაჲ⁵ ქალწულებისაჲ სა-
ძაგელ არს და საყუედრელ⁷ წინაშე ყოველთაჲსა. დამონებისათჳს გულის-თქუმისა
უარის-ყოფისა⁸ უძჳ ||368rII (A) რესითა ბოროტითა ცოდვისა მის ნუგეშინი-სცე
მასა ჰგონებენ და კაცთა წინაშე გარდასლვისა მათისა განსამართლებლად უა-
რისყოფისა ბრალსა განჰფენენ, ხოლო უფლისაგან, რომელსა-იგი მისცნეს მარ-
ჯუენენი სიღრმედ ბოროტთა შთავრდომისაგან, არა ეშინის და არცა ძრწიან.

3. და არა-მე უწყიანა, რამეთუ ღმრთისაგანცა და კაცთაგანცა მრჩობლ-
სა ბრალობასა და საშჯელსა თავთა თვისთა უშჯულოდ განუმზადებენ? რამეთუ
განთქმულსა მას ქალწულებასა დაღაცათუ უარ-ჰყოფენ აღთქუმასა მისსა სი-
ბოროტით და სიციბილით⁹, რომელი-იგი ყოველთა უწყიან, გარე მიაქცევენ და
სძაგს და კეთილთა მათ, რომელთა-იგი განუდგეს¹⁰ და ქალწულებისა აღთქუმათა
სინანულისა [წილ] უარ-ჰყოფენ და ესრეთ უმწარესთა საშჯელთა თავთა თვისთა
განუმზადებენ.

4. ვინაჲცა რაჲთა არა სიყუარულისა სახელითა ესევეითართა ამათ ბოროტთა
მთხრებლსა შთავარდეს ქალწული, ულიქნელმცა არს სიყუარული მისი და წმიდა.

5. რამეთუ ესევეითარსა მას არა აქუს ადგილი შებრკოლებისაჲ გემოთა მიმართ
და გულის-თქუმათა ქორწინებისათა. და ვინაჲთგან არა განთავისუფლებულ არს
ცხოველისა მისგან სიძისა, თვისისა მოპოვნებული იგი და უჯეროჲ სახელი ქორ-
წინებისაჲ არა შეიხოს ყოვლადვე, ვითარცა მძორი საძაგელი არცა ემსგავსოს
ცოფსა მას და განდგომილსა ქალწულსა, რომელმან-იგი შემდგომად ესოდენთა

¹ პატიჟთა B;

² განიხრწნებოდის BC;

³ იგლოვიან B;

⁴ უარ-ჰყოფენ B;

⁵ უარისყოფაჲ B;

⁶ ქალწულებისა B;

⁷ საყუედრელ BC;

⁸ უვარისყოფისა C;

⁹ სიცილით C;

¹⁰ განუდგეს] განუგდეს B;

მათ საღმრთოთა პატივთა, მრუშებაჲ შეიყუარა და უფროჲს სინმიდისა არანმი-
დებასა პატივ-სცა¹. || 368vI(A)

6. [რომლისა-იგი მიმართ ჯეროვან არს თქუმად სიტყუასა მას] მოციქულისასა,
ვითარმედ: რაჟამს აღიმღერიან ქრისტესთა, მათ ქორწინებად ჰნებავენ, აქუს მათ
საშჯელი, რამეთუ პირველი სარწმუნოებაჲ უვარყვეს და არა ქორწინებასა, არა-
მედ მრუშებასა ბოროტად ნივთებენ ყოვლითავე ცხოვრებითა მათითა.

41. 1. ნუმცა ვინ უკუე მონაჲ აღბორგნების ესევითარითა უშჯულოებითა,
რაითამცა სამეუფოსა სძალსა შეეხო. ნუმცა ვინ არს ესრეთ განცოფებულ სინ-
მიდით მჭკუერველ², რაითამცა წმიდასა მას შესანირავესა საღმრთოსა მემრუშითა³
მით ჴელითა შეეხო.

2. ნუმცა ვინ არს მონა ესევითარისა მედგრობისა, რაითამცა მძიმე იგი საშჯე-
ლი სამღდელოთა მათ ჭურჭელთა ჭკუერვისაჲ თავსა ზედა თვსსა დაიკრიბა არა
ოქროსა და ვეცხლისა ნივთთაგან შექმნილთაჲ, არამედ სულიერთა მათ და ცხო-
ველთა შესანირავეთაჲ და რაითამცა ავაზაკურითა და ბილნითა ჴელითა მიეახლა.

3. და უფროსლა ნუმცა ვინ არს ესრეთ არანმიდა, რომელმანცა არა უსულონი
ტაძრისა ჭურჭელნი, არამედ თვთ იგი ტაძარი უფლისაჲ, ესე იგი არს ქალწულისა
გუამი, და თვთ პატიოსანი იგი და ქალწულებისა სიქადული – სული, საღმრთონი
იგი მსხუერპლნი, მრუშებისა ცეცხლითა ბარბაროზებრ⁴ დაწუნა.

4. არამედ უკუეთუ⁵ ნებსით⁶ თვსით განსცა თავი თვსი ქალწულმან მან და
განუდგა აღთქუმათა სიძისათა და ყოველივე ერთბამად ტაძარი და შესანირა-
ვი || 368vII (A) და საღმრთოჲ სიყუარული და სასუფევეელისა ზიარებაჲ გულის-
თქუმიტა და გემოვნებითა ცოდვისაჲთა შეამრღვა და განხრწნა და დათრგუნა. ნუ
შეეხებო⁷ ესევითარსა მას ზიარებითა ცოდვისაჲთა, ნუცა შეაბილწებ თავსა შენსა.

5. რამეთუ არცა ყოვლად შუენიერმან იოსებ შეაგინა თავი თვსი მეძავესა მას
თანა თვსსა დედოფალსა, რაჟამს-იგი აღბორგნა იგი მისა მიმართ. და დაღაცათუ
შენ არა ეზიარო ქორწინებასა მისსა, სხუასა მისცემს თავსა თვსსა.

6. მას აქუნდეს ბრალი და პატიჟი ცოდვისა მისთვს, ხოლო შენ თავი შენი წმი-
დად დაიცევ მისგან, რომელმან-იგი განაშორა თავი თვსი უფლისა თვსისაგან და
ბრალეულ-ყო უშჯულოებითა⁸, რამეთუ იტყვს: „ჯერ-იყო ძისა კაცისა⁹, ხოლო ვაჲ,
კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს, უმჯობეს იყო მისა¹⁰, უკუეთუმცა
არა შობილიყო ეგრეთ¹¹ სახედ“, უმჯობეს იყო, უკუეთუმცა, პირველ ქალწულებისა
აღთქუმისა, განეცა ვისდამე თავი თვსი და შეყოფილ იყო.

¹ პატივ-სცაჲ B;
² მჭკუერველ B;
³ მემრუშეთა B;
⁴ ბარბაროზებრ B;
⁵ უკეთუ B;
⁶ ნეფსით B;
⁷ ნუ შეეხების B;
⁸ უსჯულოებითა BC;
⁹ კაცისა+მიცემად BC;
¹⁰ მისა- B;
¹¹ ეგრეთვე B;

7. და დემონა გულის-თქუმათა და ვიდრელა ან თქუმად, ვითარმედ ჯერ- არს ჩემდა ქორწინებად, ვითარცა ძისა კაცისა მიცემად, ხოლო ვაე კაცისა მის, რომლისა მიერ გარდაჰქედეს¹ იგი აღთქუმათა სიძისა თვისისათა და გულის-თქუმა თვისი აღისრულოს.

8. უმჯობეს იყო კაცისა მის (ვიკადრო და ვთქუა), უკუეთუმცა არა შობილ იყო, ვიდრელა რამეთუ ეზიარა უშჯულოებასა ეგევითარისა მის მეძვისასა², რომელი-იგი იკადრა || 369rI(A) უფლისა მიმართ, რომლისა მიერცა დაისაჯოსა?

9. ანუ არა გესმისა, რამეთუ, რომელმან განტევებული შეირთოს, იმრუშებს? რამეთუ დაღაცათუ ბრალისა რაფსათვისმე განიტევა³, არამედ ცოცხალ არს ქმარი მისი.

42. 1. რაფსათვს არა მისცემ ჟამსა, რაფთა მანცა განჰმართოს თავი თვისი ბრალისა მისგან, რომლისათვს განტევებულ იქმნა და განმტევებელიცა მისი მონყალე ექმნეს მოქცევასა მისსა და კულად თავსავე თვისსა შეაყოს თვისი ასოა⁴? არამედ წინაფსწარ მისტაცებ ჟამსა მას განმართებისასა და ცხორებასა ქმრისა მისისასა განტევებულსა მას იქორწინებ.

2. უტევე მას, რაფთა თვისისავე ქმრისა მიიქცეს და იქმნეს იგი უმჯობეს პირველისა დედაკაც, ვიდრელა რაფთა არცა დედაკაც იყოს და არცა ქურიე მიზეზისა მისთვის განტევებისა, რომელი მისცა ქმარსა თვისსა და განიჰპატიჟა.

3. ხოლო შენ რასა იტყვ, რომელი ევე პირველ განტევებისაცა მიიტაცებ მას თვისისა მისგან სიძისა და კადნიერ-ჰყოფ უჯეროფთა მით ქორწინებითა ცოდვისა მის მიმართ და ბრალისა ბოროტისა და ცხორებასა ქმრისა მისისასა უცხოხსა დედაკაცსა თანა სამარადისოდ იმრუშებ? არა ფრიად უმჯობეს-იყო⁵, რაფთამცა შჯულიერითა ქორწინებითა შეყოფილ იყავ უბრალოდ მეუღლისადა, ვიდრელა განრყუნად სძლისა სამეუფოფსა? და მას დაღაცათუ ეკუეთა⁶ მტერი მცონარებითა მისითა, კულადმცა აღსრულ იყო განმართებისა მიერ თვისისა მის მოღუანებისა გზასა?

4. რამეთუ უკუეთუ, რომელმან მოკუდავისა ქმრისა განტევებული შეირთოს, იმრუშებს. მაშა, რომელმან უკუდა || 369rII (A) ვისა მის სიძისა სძალსა არსადა განტევებულისა განხრწნაი იკადროს და ყოველსავე ცხორებასა თვისსა მემრუშე იქმნეს და უშჯულო, რაოდენ უფროფს უძკრესი საშჯელი მიილოს?

5. რამეთუ დაღაცათუ მან თავი თვისი განუტეოს და ჯორცთა გულისთქმასა მიექცეს, გარნა შენ ნუ შეეხები, რამეთუ ცხოველ არს ქმარი მისი და არა ჰნებავს განტევებაი მისი.

6. აცადე მას, რაფთა განიხილოს თავი თვისი და ცნას, თუ რაე ნაეკიდა. და ვინ უწყის, ნუუკუე და ნარდევენოს ვნებაი იგი და განიფრთხოს ჯორცთა ტრფიალები-

¹ გარდაჰქედეს B;

² მეძვისასა B;

³ განიტევე B;

⁴ ასო B;

⁵ უმჯობეს-იყო B;

⁶ ეკუეთა BC;

საგან და გულისწმა-ყოს მიმყოვრებასა ჟამისასა, თუ რაბამსა უშჯულოებასა ჳელ-
ჳყოფს და ნუუკუე და მიაქციოს თვისისავე სიძისა.

7. რამეთუ უკუეთუ ქრისტე გუქქმნა¹ ჩუენ მიზეზ და მომატყუებელ² ყოველ-
თავე კეთილთა და იგი მხოლოე არს ნათელ და ცხორება და უხრწნელეება და აღდ-
გომა და მამისაგან ნათლისა გამოსრულ. რომელმან ქრისტესა განაშოროს თავი
თვისი, სხუამცა რაე იყო? არამედ ნათლისაგან ბნელად და ცხორებისაგან სიკუ-
დილად და უხრწნელეებისაგან ხრწნილებად და აღდგომისაგან ჯოჯოხეთად და
სიკუდილად და მთხრებლად წარწყმედისად თავი თვისი სანყალობელად შთაიგდო.

8. და ესე ყოველი, რაე განიხილოს და ცნას, თუ რაბამთა ბოროტთა საუნჯე
ქქმნა, განალა უქუელად³ შეძრწუნდეს, ვინათგან მწუხარებისა და ურვისა მო-
მატყუებელ არს წყუდიადი ცოდვისაე და ტკბილისა მის ნათლისა, რომელსა შინა
იყო, უფროეს სურვიელ იქმნეს.

9. იხილოს რაე ზარი || 369vI (A) და საშინელებაე სიკუდილისაე და მჭმუნვარე-
ბაე და საძაგელებაე ხრწნილებისაე და უმჭურვალესად კუალად ეგოს ცხორება-
სავე და უკუდავებასა და ჯოჯოხეთისა მისგან, რომელსა შთავარდა, რომელ არს
ყოვლად ბოროტი იგი ცოდვაე, უფლისა მიერ მონიჭებულისა მის აღდგომისა მიე-
ქცეს უმჭურვალესად უქუელად.

10. რამეთუ განალა არა არს ესრეთ ბორგნულ, რაეთამცა არცა მიმყოვრე-
ბამან ჟამისამან მოდრიკა იგი და მოკუდავისა ნილ უკუდავისავე სიძისა მოაქცია
და წარმწყმედელსა მას მაცხოვარი აღირჩია.

11. რაესათვის ძალ-იციემ სანყალობელისა მის შებრკოლებასა, რაესათვის განიხილ-
ვისა ჟამსა წინაესწარ მისტაცებ, რაესათვის ცოდვისა მისთვის განზრახვისა⁴ ჟამსა
ცეცხლითა დაუნუავ, რაეთა არა⁵ განტევებული უფლისაგან იქორწინო? და თავი
თვისი არა ქმრად, არამედ მემრუშედ შემავინებელად სარეცელთა უფლისა შენი-
სათა უშჯულოდ გამოაჩინო?

43. 1. შეუხებელმცა არს ყოველთა ჳელთაგან ქალწული, ვითარცა წმიდაე და
უბინოე და საღმრთოე შესანირავე და უხრწნელადმცა სცავს სულსა და ჳორცთა
თვსთა და გონებასა და კრძალულებითმცა ზრახავს ქრისტეს მიმართაცა⁶ ძმათა.

2. რამეთუ ერთგულიცა იგი მსახური ღმრთისაე ჰავლე ამის პირისათვის
იტყვს მისა მიმართ, ვითარმედ: „მნებაეს თქუენ ყოველთა,⁷ რაეთა ბრძენ იყენეთ
კეთილისათვის და უმანკო ბოროტისათვის, რამეთუ მიგათხოენ⁸ თქუენ ერთსა მა-
მაკაცსა ქალწულად წმიდად წარდგინებად ქრისტესა, ხოლო მეშინის ნუუკუე,
ვითარცა-იგი გუ || 369vII (A) [ელმან⁹ აცთუნა ევა სივერაგ]ითა თვისითა, ეგრეთვე

¹ გუქქმნა BC;

² მომატყუებელ BC;

³ უქუელად B, უქუელად C;

⁴ განზრახვა B;

⁵ არა არლა BC;

⁶ მიმართაცა მიერთა C;

⁷ ყოველთა B;

⁸ მიგათხოენ BC;

⁹ გუზღმან BC;

განხრწნენ არა ხოლო¹ ჯორცნი, არამედ გონებანიცა თქუენნი სინრფოებისაგან ქრისტესმიერისა“.

3. ვინაცა, პირველ ყოვლისა, თანა-აც, რაითა გონებაი თვისი დაიცვას ქალწულმან განუხრწნელად,

4. რამეთუ რაჟამს სული განუხრწნელად ეგოს, განუხრწნელად ჰგიან ჯორცნიცა, ხოლო უკუეთუ სული ბილნთა გულის-ზრახვათა მიერ განიხრწნებოდის, დაღაცათუ ჯორცნი უხრწნელად საგონებელ იქმნენ, გარნა არანმიდად იპოვოს უხრწნელება მათი, რაჟამს გულის-ზრახვანი შეგინებთა განიხრწნებოდინ.

5. სიყუარული ჯერ-არს გარნა განკითხვით² და განკრძალულად და რაითა გონიერებით საზომსა სიყუარულისასა აღჰრაცხედეს, რამეთუ სიყუარულსა თანა უშუერებაი არა არს.

6. გან-თუ-წსნილ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა, რამეთუ უჯერო არს. განწსნასა თუ ისწრაფდეს და სახელითა სიყუარულისაითა საკრველთა გულის-თქუმისათა ჩუეულებისა მიერ³ თავი თვისი შთაიგდოს,

7. რამეთუ მიერთგან ვერცალა სულითა და ვერცა ჯორცითა შემძლებელ არს განწსნად აღთქუმისა მისებრ.

8. და რამეთუ ესევითარისა მის არცალა სული განწსნილ არს მნიკულევანთა ვნებათაგან, ვინაითგან სიმყრალესა მას ვნებულისა სიყუარულისასა შეთხზულ არს და არცა ჯორცთა მიუღებებს თავისუფლებაი საკრველთაგან ქორწინებისა⁴ ზრუნვათაჲსა.

9. და დაღაცათუ სახელი არა ქორწინებისაი არს, არამედ ზრუნვაი ქორწინებულთაი მოხუე || 370 rI (A) ლ⁵ არს მათ ზედა და მონად ჯორციელთა ზრუნვათა, რომელნი თავთა ზედა თვსთა დაუსხმან, მსგავსად პირუტუთაჲსა, მწარედ შეკრულ არიან და საგმობელად გამოუჩინებინ თავნი თვნი.

10. და ესე ყოვლითურთ უჯერო არს, რაითამცა ქალწულებრივსა ცხორებასა სდევდეს და ქორწინებულთა მსგავსებასა სიცოფით შთაითხეოდეს და სიძისა მოლუანებისა მინდობასამცა იჩემებდეს და კაცთა მოლუანებასამცა საგმობელად თვსად⁶ განიჩემებდეს.

11. რამეთუ უკუეთუ გსურის და ტრფიალ ხარ უხილავისა მის ჭემმარიტად სასურველისა სიკეთისა, სხვსა ყოვლისავე შეურაცხებაი თანა-გაც და ყოვლისავე ძკრის-ხილვისა მისთვის თავს-დებად და შიშუელად და განმარტებულად და უზაკუველად წინაშე მისსა დავრდომად მინასა ზედა და ყოვლითავე სახითა სიგლახაკისაითა ტრფიალისა მის შენისა მიმთხუევად⁷, ხოლო უკუეთუ შუებისა და ფუფუნებისათვს გნებავს მეუღლებაი მისი და ამათ ესევითართა საჭმართა კაცთა მიერ

¹ ხოლო- B;

² განკითხვთ B;

³ ჩუეულებისა მიერ| ჩუშულებისაებრ B;

⁴ ქორწინებისა საკრველთაგან B; საკრველთაგან ქორწინებისა|

⁵ მოხუემლ BC;

⁶ თვსა B;

⁷ მიმთხუემვად BC;

მორენად, რაითა განისუენებდე¹, საღმრთოჲსა ტრფიალებიჲსა და სიყუარულისაგან დაცემულ ხარ.

12. რამეთუ ქალწული, რომელი იშუებდეს², ცოცხლივ მომკუდარ არს, ნუმცა უკუე იგმობვის კეთილი იგი სახელი ქალწულებისა თქუენისაჲ უხრწნელიჲსა მის სიყუარულიჲსა სახელითა ჯორციელთა ვნებათაგან გინებულად.

13. რამეთუ არა არს სიყუარული მომპოვნებელ ზაკულებისა და არცა ქველისმოქმედებაჲ დამონებულ გულის-თქუმათა || 370rII (A) [და წყალობაჲ პირუტყული], არამედ შეუმრღუვეელი³ ჯორცთა გულის-თქუმისაგან და [მშვდობაჲ] ვნებათაგან და სინმიდე სულითა⁴.

14. ხოლო უკუეთუ სიყუარულიჲსათჲს ძმაჲ შენი შენუხდების, არღარა ხუალ სიყუარულით, ნუ დაარღუევ⁵ სიყუარულითა შენითა საქმესა ჭეშმარიტიჲსა სიყუარულიჲსაჲსა და ნუცა მტყუვარითა სიყუარულითა წარსწყმედ ძმასა შენსა და შთაადებ მას ეჭუსა ბოროტსა და სახებოროტებასა და დააბრკოლებ მას, რომლისათჲს იგი ქრისტე მოკუდა.

15. რამეთუ უკუეთუ ვინმე გიხილოს შენ, რომელსა ეგე გაქუს ცნობაჲ ჭეშმარიტიჲსა სიყუარულიჲსაჲ საკერპოსა შინა ინაწით მჯდომარე. და ჭეშმარიტიჲსა და წმიდიჲსა უხრწნელებისა და სიყუარულიჲსა წილ კერპსა მას ჯორცთა მისთაჲს პლიქნიდე?

16. არა-მე გონებაჲ იგი მისი უძლური შეიგინოსა და აღეშენოს და შეჰკადროს საქმესა ცოდვისასა.

17. ესრეთ უკუე სცოდავთ ძმათა მიმართ და ჰგუემთ⁶ გონებასა მათსა უძლურსა და ამის მიერ ქრისტეს მიმართ სცოდავთ?

18. ვინაეცა იტყვს, ვითარმედ უკუეთუ საქმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვჭამო ჯორცი უკუნისამდე, რაითა არა ძმაჲ იგი ჩემი დავაბრკოლო.

19. ანუ არა გუაქუსა ჯელმნიფებაჲ ჭამად და სუმად?

20. ანუ არა გუაქუსა ჯელმნიფებაჲ დათა მათ დედათა მიმოყვანებად, გარნა არა ვიწუმიე ჯელმნიფებაჲ ესე, რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი, ვიდრე-ღა რაითამცა სიქადული ქალწულებისა ჩემისაჲ მიზეზმან რომელმან-მე უჯეროჲსა სიყუარულიჲსამან დაარღვა და ცუდ-ყო?

21. უყუარს⁷ უკუე და ლევისცა⁸ || 370vI (A) თავნი თჲსნი და ცოლთა მისთა თავნი თჲსნი

¹ განისუენებდე C;

² იშუებდეს BC;

³ შეუმრღუვეელი BC;

⁴ სულითა+წმიდითა B;

⁵ დაარღუევ BC;

⁶ ჰგუემთ BC;

⁷ უყუარდა C;

⁸ ლევისცა B;

44. 1. და არა თუ ამას რაე ვიტყვ,¹ სიყუარულსა ძმითასა გარე მივაქცევთ, არამედ ყოველთავე, ვითარცა ერთისა დედისა ნაშობთა, სიყუარულად შეუნდობთ და ერთისაცა დედისა ნაშობთა განკრძალულად სიყუარულსა განვაზრახებთ.

2. რამეთუ საშიშ არს, ნუჟუე თვისებისაგან და ჩუეულებისა და კადნიერებისა ჩუენისა მიზეზი მიიღოს ცოდვამან და შექმნეს ჩუენ შორის ყოველი გულის-თქუმაჲ, რამეთუ ძალ-უც და შემძლებელ არს ცოდვაჲ ჳელთა ძმისათა შეხებითა და სიყუარულით ამბორის-ყოფითა, ჳორცთა ზრახვასა აღძრვად და ფარულად გულის-თქუმათა მიმართ და აღხილვად თუალთა არანმიდებისა მიმართ,

3. ვითარცა-იგი აღეხილნეს ადამს შემდგომად გემოსხილისა² და უმრავლეს-თა გულის-თქუმათა განმრავლებად.

4. ვინაცა, დაღაცათუ ერთისა დედისა ნაშობნი იყვნენ, ნუმცა ზედაჲს-ზედა შეეხების დაჲ ჳორცთა ძმისათა და ნუცამცა განძლების ამბორის-ყოფითა მისითა. ნუჟუე მიმყოვრებასა ჟამისასა ზედაჲს-ზედაჲსი იგი შეხებაჲ, გინა შეტკობოჲა იქმნეს მიზეზ და აღმომაცენებელ ვნებისა და იფქლისა მას შინა სიყუარულისასა გამოჩნდეს ჯერკუალი იგი ლუარძლი გულის-თქუმისაჲ უფროსლა, რაჟამს-იგი ჳორცთა შუენიერებაჲ ლამპართა მათ ტრფიალებისათა თუალთა ნინაშე მათთა უმეტეს აღატყინებდეს.

5. რამეთუ ესევითარი || 370vII (A) [სა აღისაგან გარეშეცა] სიტყუაჲ განაკრძალებს და იტყვს, ვითარმედ: „შუენიერთა ამბორისყოფისა განკრძალვაჲ ჯერ-არს, ვითარცა გესლიანთა ნაკბენისაგან, რამეთუ განეზავების გესლი იგი გულის-თქუმისაჲ³ ამბორისყოფისა მიერ ყოველსავე გუამსა“.

6. ამისთვის იტყვს, ვითარმედ მოიკითხევდით ურთიერთარს ამბორის-ყოფითა ნმიდითა, ვითარცა სულსა სულნელებისასა⁴, ესრეთ შევიხებდეთ ამბორისყოფასა ჳორცთასა და სულისა ნმიდისა სულნელებითა შევანელებდეთ და ესრეთ ამბორს-უყოფდეთ ურთიერთარს.

45. 1. და ვჰგონებ, თუ არა ვართ საბრალობელ ამისცა ესევითარისა კრძალულებისათვს, რომელი ესე თავს-ვიდევით უბინოჲსა ქალწულებისათვს, რამეთუ უკუეთუმცა პირველ სნავლისა ჩუენისა არა შემოსრულ-იყო სოფლად გულის-თქუმათა მიერ ესევითარი ესე მნიკულევანებაჲ პირთა ამათ შორის ზემოჳსენებულთა, ნუჟუეუმცა და ლირს ვიყვენით⁵ ვიეთგანმე ბრალობასა, ვითარმცა უჳმართა სიტყუათა შორის შემომღებელნი.

2. ხოლო უკუეთუ ყოველივე სახე ცოდვისაჲ და დათა მიმართ და ასულთა და მშობელთა ჳორცთა გულის-თქუმისა მიერ მრავალთა შორის სრულ-იქმნა და ქუეყანაჲ შეიგინა, ვიდრელა ამნონცა განხრწნისა მისთვის დისა თვისსა განაქიქა,

¹ ვიტყუი A, ვიტყვთ B;

² გემოსხილისა B;

³ გულის-თქუმისა B;

⁴ სულნელებისასა B;

⁵ ვიყუნეთ B;

არა ვართ ღირს ბრალობისა, რაეთა უხრწნელებისათჳს ქალწულებისა ესევეითარ-
იცა ესე განკრძალვაჲ სძალსა ქრისტესა¹ მიუთხრათ.

3. რამეთუ ჴორცთა შინა მამათასა სიყუარული დედათაჲ, ვითარცა ბრჳე ||
371rI (A) ნი და სიმძიმე სასტიკი ესრეთ დადებულ არს და ყოველთაჲე მსჯავრ-
თა² სიმართლისათა დასთრგუნავს. და ვითარმცა ვინ'იტიყოდა, თავით თჳსით და
უსწავლელად და რაჟამს-იგი წინაცა აღუდგებოდინ შინაგანნი გულის სიტყუანი,
ურთიერთარს აღერევიან.

4. და რამეთუ უკუეთუ დედაკაცი დედაკაცისა ჴორცთა შეეხოს და მამაკაცი³
მამაკაცისათა, აღუძრველად ჰგიეს ბუნებითი იგი სიყუარული მათი ურთიერთარს,
გარნა თუ საოცრებაჲ რაჲმე იქმნეს ჴსენებისაჲ, რომელი-იგი პირველქმნილისა
ბუნებითისა ტრფიალებისაგან დაუნჯებულ იყო მათ შორის და უცხოჲსა ტრფი-
ალებისათჳს თჳსებისა მიმართ უშჯულოებაჲ შემოიღოს და აღატყინოს ცეცხლი
დაშრეტილი.

5. ხოლო დედაკაცისა ჴორცნი მამაკაცსა თუ შეეხნენ, ანუ თუ წინაუკუმო⁴
მამაკაცისანი დედაკაცსა, დალაცათუ სულთა მათთა გულის-სიტყუათა მიერი-
თა შეწეწითა ღონე-ყონ მლიქმნელისა⁵ მის ვნებისა აღჴსხმად, გარნა ეგრეთცა
ჴორცნი მათნი გრძნობისა რასმე მიიღებენ და დაფარულად ურთიერთარს აღე-
ტყინებიან.

6. და ვითარცა-იგი ნაძეძი ნაძეძსა თუ შეეხოს და ნაკუერცხალი ნაკუერცხალ-
სა⁶, არა აკუმოდებიან, ხოლო ნაძეძმან თუ იყნოსოს სული ცეცხლისაჲ, მეყსეუ-
ლად აღეტყინების და არად საწმარ არს შრომაჲ, არცა ბერვაჲ, რაეთამცა აღეგზნა
ცეცხლი ნაძეძისაგან, არამედ მყისსა⁷ შინა ვითარცა შეეხის ცეცხლსა, მეყსეულად
აღეტყინის.

7. ეგრეთვე ჴორცნი დედაკაცისანი მამა || 371rII (A) კაცსა რაჲ შეეხნენ,
არად საწმარ არს მრავალი შრომაჲ, არცა ცოდვისა მიმართ აღმძრველი ნიავქა-
რი ბუნებითისა მისთჳს სიყუარულისა, რომელი მკკდრ არს მათ შორის, არამედ
მეყსეულად⁸ შეეხო და მასვე ჟამსა აღეგზნნეს მისგან უცნაურნი ნაკუერცხალნი
გულის-თქუმათანი.

8. და ამისთჳს თქუმულ არს, ვითარმედ გამო-მე-ვინ-იკრისა ცეცხლი წიაღთა
და არამცა დაინუა სამოსელი მისი? ანუ თუ ვალნ-მე ვინ ნაკუერცხალთა ზედა
ცეცხლისათა და ფერწნი მისნი არა დაინუნეს? ეგრეთვე⁹ არცა¹⁰ უბრალო იყოს
ყოველი, რომელი შეეხოს დედაკაცსა.

¹ ქრისტესსა C;

² მსჯავრთა C;

³ მამაკაცი+კულად B;

⁴ წინაუკუმო B;

⁵ მლიქმნელისა B;

⁶ ნაკუერცხალი ნაკუერცხალსა B C;

⁷ მყისა C;

⁸ მეყსეულად B;

⁹ ეგრეთცა B, ეგრეთცა C;

¹⁰ არცა არა BC;

9. რამეთუ უკუეთუ თავი თვისი მისცა უფალმან სძლისათს, რაათა წმიდა ყოს იგი და განწმიდოს ემბაზითა მით წყლისათა და წარუდგინოს იგი თავსა თვსა დიდებულად, რაათა არარაჲ აქუნდეს ნაოჭ, არცა ბრძკლ, არცა სხუაჲ რამე ესე-ვითარი, არამედ რაათა იყოს წმიდა და უბინო ჯორციტა და სულითა. მაშა, ვითარ არა თანა-აც ქალწულსა ზრუნვაჲ, რაათა სათნო-ეყოს უფალსა და რაათა იყოს წმიდა სულით და ჯორციტ?

46. 1. და რაათა არა რომლითამე სახითა ეკრძალებოდის და რომლითამე კადნიერ იქმნებოდის და ურიდ და უგლიმ, არამედ რაათა ყოველნივე ბინნი და ნაბრძკლნი და ბრალთა მომატყუებელნი მიზეზნი შორითვე უჩინო ყვნეს და იქმნეს წმიდა სულით და ჯორციტ და რაათა არარას¹ შეახებდეს სულსა ბინსა ჯორცთასა და არცა გონებათა და გულის-ზრახვათა მიერ სულისათა ჯორცთა შეამრლუევდეს².

2. რამეთუ არა ხოლო თუ ჯორცთაგან ოდენ სულისა მიმართ აღვლენ ვნებანი, არამედ სულისა || 371vi (A) [განცა იწყებენ და არნ ოდესმე] და ვერ ჰმსახურიან ჯორცთა, ნებასა მას სულისასა და უცნებითა გონებისათა, ვითარცა ჯორცთა მიერ, აღასრულის საქმე უშჯულოებისაჲ.

3. რამეთუ, ვითარცა რომელნი-იგი ზეთსა და წყალსა ურთიერთარს აღამრ-ლუევდენ, ორთავე წესსა და მადლსა განჰრყუნინან. ესე იგი არს: ნათობად მიცე-მულსა მას ძალსა ზეთისასა აღრევითა მით წყლისათა დაშრეტენ და ეგრეთვე ბუნებასა წყლისასა³ შთათხევეითა მით ზეთისათა აღამრლუევენ.

4. ეგრეთვე რომელნი სულსა და ჯორცთა ვნებათა მიერ აღამრლუევდენ ორ-თავე ცხორებისა მიმართ მარჯუეობასა⁴, ბოროტად ივარ-იქმან და წარსწყმედენ, რამეთუ სულისა ნათლის-ფერებასა⁵ და ბრწყინვალებასა უყითა მით ჯორციელ-ითა გულის-თქუმითა და ვნებათათა ყოვლითურთ აღამრლუევენ და ჯორცთა სი-წმიდესა და ბრწყინვალებასა გულის-სიტყვთა მიერ აღსძრვენ და უქმარ-ჰყოფენ ცხორებისა მიმართ.

5. არამედ, ვითარცა-იგი მუნ აღიმრლუენ რაჲ ზეთი-იგი და წყალი, ბუნებით-სა მადლსა წარსწყმედენ, ხოლო და-რაჲ-სცხრენ აღმრლუევისაგან და დაყუდნენ, განიყოფვიან ურთიერთსარს და თვსავე ბუნებასა აღვლენ, რამეთუ ზეთი იგი იხილვების წმიდად მდგომარე წყალსა მას ზედა, ხოლო წყალი იგი, ეტლ მისა, იქმნების შუენიერ.

6. ეგრეთვე სული და ჯორცინი აღიმრლუენ რაჲ ვნებათა მიერ, ორნივე ურთიე || 371 vii (A) რთარს ეკუთებიან⁶ და შფოთებენ და განიხრწნებიან, ხოლო უკუეთუ

¹ ეკრძალებოდის და რომლითამე კადნიერ იქმნებოდის და ურიდ და უგლიმ, არამედ რაათა ყოველნივე ბინნი და ნაბრძკლნი და ბრალთა მომატყუებელნი მიზეზნი შორითვე უჩინო-ყვნეს და იქმნეს წმიდა სულით და ჯორციტ და რაათა არარას - C;

² შეამრლუევდეს BC;

³ წყალისასა C;

⁴ მარჯუეობასა BC;

⁵ ნათლის-ფერებასა B, ნათლის-ფერობასა C;

⁶ ეკუთებიან BC;

დამშვდნენ და დაყუდნენ, თვსსავე ბუნებასა აღვალს თითოეული¹ მათი, რამეთუ სული, ვითარცა მწედარი ელვარესა მას შუენიერებასა თვსსა, ზეგარდამო განათლებულსა, ჯორცთა გამოუბრწყინვებს, ხოლო ჯორცნი, ვითარცა ეტლნი მისნი და საყდარნი, სანუთროთა და საუკუნეთა სიმდიდრეთა მისთა მიზეზნი, თანამოლუანე და მსახურ ექმნებიან.

47. 1. და ვინაეთგან ესე უწყის ქალწულმან განკრძალვად, ჯერ-არს მისგან, რაეთა იხილოს რად ესევეთარი რადმე ბუნებასა [შინა] თვსსა, არცა ჯორცთა ვნებინა მიერ ბრწყინვალეზა სულისა აღამრღვოს და არცა სულისა ვნებათა მიერ შუენიერებაჲ ჯორცთად შეამნიკულოს.

2. არამედ რაეთა თვთოეული² მათი თვსსა წესსა და საზღვარსა და ადგილსა შინა დაჰმარხოს და ორკერძოვე თავი თვისი უშფოთველად დაიცვას, რაეთა ესრეთ ასონი თვსნი მშვდობითა შეამკენეს და სული და ჯორცნი ბუნებითა მყუდროებასა შინა მოლუანებით წარჰმართნეს. და ორთავე მიერ შეწყობილი სახე სინმიდისა წარმოაჩინოს. ესე იგი არს, რაეთა ბრწყინვალეზა სულისა, ყოვლით კერძო, უღელვოდ და შეუმრღუეველად დაჰმარხოს, ხოლო აგებულებაჲ ჯორცთა ყოვლისავე გულის-თქუმათა და გემოთა მწკრისაგან აღუძრველად და უბინოდ დაიცვას.

3. რამეთუ ჯორცნი ნაყროვნებითა და || 372rI (A) მთრვალობითა და ცოდვისა გულის-თქუმათა მდულარებითა შუენიერებასა სულისასა განხრწნიან³, ხოლო სული შურითა და ჯდომითა და რისხვითა⁴ და ორგულებითა და მტერობითა უგუნურებით აღბორგებული დაჰჰსნის და დაარღუევს⁵ სიკეთესა ჯორცთასა.

4. და არნ ოდესმე და ჯორციელთა ვნებათა შიშითა მარხვისა მიერ და მოლუანებისა თვსთა ვნებათაგან მოვაკუდინნით ჯორცნი, ხოლო სულისა ვნებანი მომკუდართა მათ ჯორცთა შინა გუეტკრთნიან⁶ ვიდრელა ცხადად გუეტკრთნიან, ვიდრელა ცხადად იხილვებინ სისრულისა მიმართ კელობად ჩუენი, რამეთუ ერთი თვნიერ მეორისა წარმართებული საქმით იმხილების, რამეთუ უსრულ არს ჭეშმარიტად და უცხო სათნოებათა სისრულისაგან.

5. რამეთუ არცა თუ ვნებანი ჯორცთანი მარხვითა და მოლუანებითა განკუეთნეთ, ხოლო სული, თვსთა ვნებათაგან აღძრული და აღმრღუეული, უგულებელს-ვყოთ, რომელ არიან შურნი და ორგულებანი და სხუანი იგი მსგავსნი ამათნი სარგებელ რასმე გუეყოფვის ჩუენ ჯორცთა იგი მოლუანებაჲ.

6. და არცა თუ სული თვსთა ვნებათაგან განვნმიდოთ, ხოლო ჯორცნი წარჰსნილ-ვყვნეთ გემოთა და გულის-თქუმათა მიმართ და ნეშტთა მათ განსუენებათა. დაღაცათუ ბრძოლად სიძვისა⁷ არა გუაქუნდეს, ვერცა ესრეთ შემძლებელ ვართ სათნოებათა მიმართ სრულისა ცხორებისა ჩუენებად.

¹ თვთოეული B;

² თითოეული C;

³ განჰხრწნიან C;

⁴ რისხვთა B;

⁵ დაარღუევს BC;

⁶ გუეტკრთნიან C;

⁷ სიძვისა B;

7. არამედ || 372rII(A) თანა-აც, რომელსა ენებოს ყოველსავე ბინისაგან სათნობათა სრბისა წმიდად ჩუენებად, რაათა სულისა შუენიერებასა კეთილნიცა იგი ჳორცთანი შესძინეს და ჳორცთა მოლუანებით შრომასა სათნობანი სულისანი მოზავებულად და მორთულად აჩუენნეს.

8. რამეთუ უზაკუველი და ჳეშმარიტი ცხორებაჲ არა წარმოიჩინების, უკუეთუ სულიერთა და ჳორციელთა ასოთა ერთი შეწყობაჲ და ერთი სახიობაჲ არა იხილვებოდის.

9. და ვითარ ვჳგონებ, უღონო არს სულისა კეთილთა წარმართებად, უკუეთუ ჳორცნი დააბრკოლებდენ და ეგრეთვე ჳორცთა მიერ სრულ-ყოფაჲ კეთილთაჲ, უკუეთუ არა წინა უძღუებოდინ¹ კეთილნი სულისანი.

10. არამედ თანა-აც სულსა, რაათა თვტცა ეწამებოდის თავსა თვსსა და რაათა ჳორცნიცა მონამედ თვსად მიიხუნეს და ესრეთ ორთავე მიერ, სულისა და ჳორცთა, ერთი სრბაჲ და ზოგადი გულსმოდგინებაჲ წარმოიჩინოს და უბინოჲ და წმიდაჲ და სამგზის ნეტარი ცხორებაჲ განაბრწყინვოს².

11. ან უკუე ქალწულსა, ვითარცა ზეთსა წყალი, ეგრეთ აქუნდინ საყდრად სულისა ჳორცნი თვსნი წმიდად და აღუმრღუეველად და ნათლითა სულისაათა ეტლსა მას თვსსა განაბრწყინვებდინ და ჳმართებდინ. და ჳორცთა უყისაგან და ვნებისა ნუმცა რას შეახებს ბინსა გულის-თქუმათა და გემოთა მიერ სულსა, რაათა არა შეამრღვოს სიკეთე მისი და შეამნიკულოს, არამედ ილუანენ, რაათა მარხვითა || 372vI (A) და ლოცვითა და მოლუანებითა აღბორგებანი იგი და აღტყინებანი ჳორცთანი დაშრიტნეს და ნივთნი იგი არანმადანი, ქუეყანისა საქმეთანი³ მრავალნი და ეკლოვანნი ცეცხლითა მით უფლისა სიყუარულისაათა დაწუნეს და უჩინო-ყვნეს.

12. და კუალად სულისა ვნებათაგან, შურისა და ორგულებისა და უგუნურებისა, ნუმცა აღაშფოთებს ჳორცთა ყოვლადვე და რისხვისა და გულისწყრომისა და გულის-თქუმისა და სხუათა მათ გონებისა შემაშფოთებელთა ვნებათაგან უცხო ყავნ და განაშორენ გონებაჲ თვსი, რაათა ესრეთ ნათელ და ელვარე იქმნეს სული მისი და ცხორებაჲ და შეუშფოთებელ ვნებათაგან სულიერთა და ჳორციელთა კაცობრივი იგი ორღანოჲ⁴ მისი.

13. და ესრეთ რაჲ ორკერძოვე ბუნებითსა წესსა ზედა დაყუდნეს თვთოეული მათი, თანა-აც, რაათა ილუანოს და ვითარცა იგი ნაყროვნებისაგან ჳორცთა მიმართ შემავალთა მრღვეთა მათ მდინარეთა გარე-მიაქცევს. ეგრეთვე სულისა მიმართ შემავალნი მართლ უკუნ აქცინეს, რაათა ესრეთ ეგოს იგი ორკერძოვე ბუნებითსა წესსა ზედა აღუმრღუეველად⁵, რამეთუ ვიდრემდის ვნებანი აურვებდენ სულსა ქალწულისასა, ვერ ძალ-უც, რაათამცა უხრწნელ იქმნა, ვითარ-იგი ჯერ-არს და უფროჲსლა არათუ ვერარას ხოლო ირგებს ჳორცთა მოლუანებისა-

¹ უძღუებოდინ BC;

² განაბრწყინოს B;

³ ქუეყანისა საქმეთანი ქუეყანისანი საქმეთა B;

⁴ ორღანო B;

⁵ აღუმრღუეველად B, აღუმრღუეველად C ;

გან, რაჟამს სული არანმიდათა ვნებათა მიერ განიხრწნებოდის, არამედ ფრიადცა სანყალობელ და უბადრუკ იქმნ || 372vII (A) ების.

48. 1. რამეთუ უკუეთუ ჯორცთაგან აღმომდინარენი¹ იგი სულისა განმხრ-
წნელნი ვნებანი მოლუანებისა მიერ და ბუნებისა იძულებისა დააცხერენეს², ხოლო
სულისა ვნებათაგან იმძლავრებოდის, რამცა ერგო მას ჯორცთა იგი სინმიდე,
ვინაჲთგან ესევეითარისა მისთჳს შფოთისა ვნებათაჲსა სიძესა მისსა სულსა შინა
მისსა სავანე არა აქუნდეს, რაჲთამცა განისუენა,³ უფროსლა დიად⁴ ავნო თავსა
თჳსსა ეგვეითარმან მან, რამეთუ ჭეშმარიტი სათნო-ყოფაჲ სიძისაჲ, ვითარ-იგი
ჯერ-არს, უნურთელობითა⁵ არა გამოიკუღია და არა ნმიდათა გულის-სიტყუა-
თათჳს ჯორციელთა მათცა შრომათა სასყიდელი თავსა თჳსსა დააჭირვა.

2. რამეთუ უკუეთუ სულისა შუენიერებისათჳს ვილუნით, ჯორცთა უხრწნელე-
ბასა ნამეტნავსა-მე იყოს საგონებელი იგი ჯორცთა უხრწნელებაჲ, რაჟამს სული
ბევრეულთა ვნებათაგან განიხრწნებოდის.

3. რამეთუ რომელთა-იგი ჯორცნი ორლანოდ ცოდვისა მიიხუნეს ეშმაკმან, მათ
მიერ იავარ-ჰყოფს სულსა;

4. ხოლო რომელთა-იგი ჯორცთა ვერ ეუფლა ფიცხლად მოლუანებისა და მარხ-
ვისათჳს, ესევეითართა მათ თვთ თავადი სული შიშულად მიილო თვნიერ ჯორცთაჲსა
და ვნებათა მათ მიერ.

5. რომელნი აღძრნა მათ შორის, თჳსი ნებაჲ აღისრულა, რამეთუ ესევეითარნი
არიან, რომელთა მარხვითა და ჳმელსა ზედა ნოლითა და სხუათა მათ ძლიერთა
ჯორციელთა მოლუანებათა მიერ ჯორცთაგან იოტეს იგი.

6. ხოლო მრისხანებითა || 373rI (A) და გულის-წყრომითა და ორგულებითა
და შურიტა და ნეშტთა მათ სულისა ვნებათა მიერ განსცნეს მას სულნი მათნი⁶
და ნარწყმიდნეს.

და რაოდენ-იგი უდარეს არიან ჯორცნი სულისა პატივითა, ეგოდენ უდარეს
არიან ჯორცთა ვნებანი და ცოდვანი შიშულად ქმნილთა მათ ცოდვათა სულისა-
თა, ვითარმე ვჰგონებ, რამეთუ მუნ ბუნებითი საზრდელი და გემოთ-მოყუარებაჲ
ნაყროვნებისა მიმართ, გინა სიძვისა გულის-თქუმათა მათ მიერ ჩუეულებისათა⁷
აღსძრავს ჯორცთა და ალაზრზენს,

7. ხოლო აქა თვნიერ ჯორციელისა რაჲსმე გულის-თქუმისა, უკეთურებითა
ნებისაჲთა,⁸ გარეშე ბუნებისა ვნებათა სულსა შინა შეიყვანებს.

8. და უკუეთუ ქალწულისა ხრწნილებაჲ ვნება არს სულისა, ვნებასა-მე იყვნენ
სულისა მრისხანებაჲცა და ჳდომაჲ და სხუანი იგი ყოველნი, რაოდენნი მოიწსენნა

¹ აღმომდინარე C;

² დააცხერენეს B;

³ განისუენა BC;

⁴ დიად| ფრიად B;

⁵ უნურთელობითა B;

⁶ მათნი| თჳსნი BC;

⁷ ჩუეულებისათა B;

⁸ ნებისათა B;

მოციქულმან და, უფროს ყოვლისა, შური, რამეთუ მოშურნე და ტრფიალი სწორ-
სა საღმობასა და ბოროტსა მიეცემიან.

9. რამეთუ ვითარცა-იგი ტრფიალისა სულსა¹ და ჯორცთა უკუეთუ განცრუ-
ვნეს გულის-თქუმამ მისი და ვერ მიემთხვოს, დაადნობს და განჰლევს ტრფიალე-
ბაე იგი.

10. ეგრეთვე მოშურნისაცა სულსა და ჯორცთა განჰლევს შური და განადნობს.

11. და არარაჲთ უმეტეს განკვდებიან ტრფიალნი იგი, უკუეთუ ვერ მიემთხ-
ვნენ გულისთქუმასა თვისსა ტრფიალებისა მისგან, რადენ იგი სულით და ჯორცით
განკვდებიან მოშურნენი, უკუეთუ ვერ მიემთხვნენ გულისთქუმასა თვისსა.

12. და ესევეთარსა რასმე ვნებასა მსგა || 373vI(A) ვს არს ვნება იგი მათი,
ვითარცა-იგი, უკუეთუ ვითარცა² კერეონის მოქმედთა კაცის სახენი ძეგლნი შე-
ქმნნეს ცკლისაგან ღამე. და მზე რაჲ აღმოჰჳდის, მცხინვარებისაგან მზისა დადნეს-
მცა და განილინეს, რამეთუ იგინი, ვიდრემდის ბნელ-იყოს და ღამე, აჩრდილსა
ქუეშე ნიავისაგან ღამისა³ განციხულად ეგნიან სახესა მას ზედა, რომლითა გამ-
ოისახნეს და სიმტკიცესა რასმე აჩუენებდიან;

13. ხოლო მზე რაჲ აღმობრწყინდის და თვისსა სრბასა წარემართის, სხუანი
იგი ყოველნი ნერგნი და მცენარენი იზარდებიან და იშუებენ⁴ ძალისა მისგან და
ნათლისა მისისა, ხოლო იგინი დადნიან და სახენი და ხატნი მათნი და ყოველივე
აგებულებაე მათი განლიიან და წარწყმდიან.

14. ეგრეთვე მოშურნენი, ვიდრემდის ბნელსა შინა ეშმაკისასა, ვითარცა ღა-
მესა შინა საქმეთა მათ შურისათა განიზრახვიდენ⁵ გონებითა და ზრახვითა⁶ და
გულის-ზრახვითა,⁷ ვითარ-იგი გამოისახნეს შურისა მიერ, რეცა მტკიცედ ერჳენ-
ებინ ურთიერთარს,⁸ ვითარ-იგი ჰგონებენ,

15. ხოლო რაჲამს მოლუანე ვინმე კაცი და მასწავლელი სათნოებათაე და
მოძღუარი, ვითარცა მზისთუალი, განთიად აღმობრწყინდის, სახენი იგი ყოველ-
ნი, რაოდენნიცა⁹ ღმრთისმოყუარისა და კეთილისა ცხორებისა მოგებად სურ-
ვიელ-იყვნიან, საღმრთოსა ტრფიალებისა ბრწყინვალებითა მის მიერ აღივსნიან
და თესლნი იგი სათნოებისანი დათესულნი მათ შორის აღზარდნიან და ნაყოფი
გამოიდიან.

16. ხოლო მოშურნეთა მათ იხილიან რაჲ ღმრთისმოყუარებაე იგი მისი სახედ
მზისა შეუხებელი მათგან და უფროსდა, ვინაეთგან ხედვი || 373rII (A) [დიან¹⁰ მას
განათლებულად საქმეთა მიერ სათნოებისათა, ვითარცა ძეგლთა ცკლისათა, სახე-

¹ ტრფიალისა სულისა B;

² ვითარცა- B;

³ ნიავითაგან ღამისათა BC;

⁴ იშუებინ B, იშუებენ C;

⁵ განიზრახვიდენ B;

⁶ ზრახვითა] სახითა BC;

⁷ გულისზრახვთა B;

⁸ ურთიერთარს BC;

⁹ რაოდენნიცა B, რადენნიცა C;

¹⁰ ჰხედვიდიან B;

ნი იგი ჯორცთა] და სულთა მათთანი, ერთბამად შურითა აღვსებულნი, მყისა შინა განლინიან და განკფდიან და დადნიან და წარწყმდიან.

49. 1. მყუდროსა და დანყნარებულისა სულისა¹ თანა-აც ქონებად ქალწულსა. და რაათა გონებისაგან, ვითარცა წმიდისა რაჲსმე წყაროსაგან, საღმრთოთა გონებათა კეთილთა ტბათა დაადგენდეს სულსა შინა თვსსა.

2. და ვითარცა ნავთსაყუდელი, უღელვო იყოს და აღუძრველ და რაათა არცა გარეშე სასმენელთაგან შთაბნეულთა ქვათა აღიმრღუეოდის² და აღდუნებოდის და არცა ხილვათა და საოცრებათაგან სახილველთა მიერ ხილულთა მყუდროებასა თვსსა პერად აღაფრქუევედეს³, რაათა, ვითარცა სარკესა შინა განწყმდილსა, თვსსაცა⁴ სახესა და სიძისაცა შუენიერებასა განიცდიდეს.

3. და ტრფიალებითა მისითა უფროჲს და უმეტეს აღეტყინებოდის, ვინაჲცა არა ჯერ-არს, რაითამცა სხუაჲ რაჲმე სახე, გინა ხატი განიცადა, ანუ მცა სხუასა რასმე სარკესა, გინა წყალსა შთახედნა, რაათა პირველ განცდილი იგი ხატი არა აღჭოცოს⁵ და უჩინო-ყოს გონებისაგან თვსისა; და ნუცამცა სხუათა მათ ვნებათაგან აღიდრვის ყოვლადვე, გინა რისხვისა, გინა მწუხარებისა, რაათა არა სხუათა და სხუათა მსგავსებათა მიერ ლელვატეხილ-იქმნეს და დაინთქას.

4. არამედ ყოვლადვე ერთსა სახესა ზედა ეგენ და საღმრთოთა მით სიხარულითა აღივსებოდენ || 373vII (A) [და უშფოთველად ცხონდებო]დენ⁶ მარადის. და ნურარასმცა სხუასა⁷ სახესა გამოსახავს თავსა შორის თვსსა თვნიერ სახისა მის სანადელისა, რომელ არს ხატი სიძისა თვსისაჲ.

5. და მისსამცა ხოლო სიკეთესა განიცდის თავსა შორის თვსსა და ეგრეთვე თვსსა მის შორის და სახითამცა ხოლო მისითა ბრწყინავს და მის მიერ შეიმკვების სამარადისოდ.

6. და რამეთუ განსაკრძალველად მისა ჰმოდღურის მას ყოვლად ბრძენი იგი სიტყუაჲ და იტყვს, ვითარმედ: უკუეთუ სული ჳელმწიფებისაჲ⁸ აღმოვიდეს შენ ზედა, ადგილსა ნუ სცემ შენ შორის, რაათა არა აღვიდეს ჳელმწიფებითა გონებისაჲთა და საოცრებათა მიერ, ვითარცა სარკესა შინა ადგილი პოვოს. და რაჲმამ არავინ გაეხლოს⁹, აღჰმართნეს¹⁰ შენ შორის კერპნი ცოდვისანი, არამედ ყოველივე-მცა ადგილი ქალწულებრივისა სულისაჲ ხატითა მიერიმცა ქრისტესთა აღვსებულ არს.

7. ნუცა-მცა ერთი ადგილი არს მის შორის მოცალედ, რომელსა-მცა აღვიდა უჯეროჲ გულისზრახვაჲ და პოვა-მცა ადგილი, რომელსა შინა გამოსახა თავი თვსი.

¹ სულისა B;

² აღიმრღუეოდის BC;

³ აღაფრქუევედეს B;

⁴ თვსსაცა B;

⁵ აღჭოცოს C;

⁶ და უშფოთველად ცხონდებოდენ- C;

⁷ სხუასა- C;

⁸ ჳელმწიფებისა B;

⁹ გაეხლოს B; 16

¹⁰ აღმართნეს B;

8. და, რაათა მოკლედ ვთქუა, გინათუ ვინ ეახლოს კაცთაგანი და გინათუ არა და ანუ თუ რაიცა ხილულთაგანი, ნუმცა ვისა ქმნილ არს სარკვე ქალწულისა სული, გარნა ხოლო წმიდისა მის ოდენ სიძისა თვისსა.

9. და ნუცამცა ერთი სხუაე ხატი იხილვების მის შორის, არამედ იგი ხოლო! და ნუცამცა ვის სხუასა განუწმედს სარკვესა სულისა თვისსასა, რაათა იგი მხოლოე¹ ხოლო ბრწყინვიდეს მის შორის და თვისსა მის შუენიერებისა ხილვითა ნეტარ-ყოს და სამგზის სანა || 374rI(A) [ტრელ.

10. რამეთუ უკუეთუ მოკუდავმან ვინმე შთაიხედნეს ამას სარკვესა შინა], საჭირო-იქმნების განცდად სახისა მისისა, მოცლაე გონებისაე და მიერიოთგან პირველი იგი სახე სიძისაე დაფარული მის შორის განსლვად მიერ და სრულად განშორებად სულისა მისისაგან, რამეთუ, ვითარცა რომელი იგი² შეეყოს მეძავსა, ერთჯორც არს მისთანა, ეგრეთვე, რომელი შეეყოს უფალსა, ერთსულ არს მისთანა.

11. ესე იგი არს, რაათა ჯორციელთა ვნებათაგან წმიდა იქმნეს და სულსა შინა თვისსა სახე იგი შუენიერებისა მისისაე დაჰბეჭდოს და ყოვლითურთ ღმრთივბრწყინვალედ გამოჩნდეს.

50. 1. ხოლო ნუმცა ვინ არს ესრეთ ბორგნეულ და განცოფებულ, რაათამცა ვინაფთგან ჭეშმარიტისა ქალწულებისა მიმართ აღგუყავს³ ქალწული სახითა მით და იგავითა სიძისაე, ვითარმცა ამის მიერ ქორწინებისა რასმე განზრახვათა მოვატყუებდით,⁴ ანუ თუ ბინსა შეეახებდით სინმიდესა, ნუ იყოფინ!

2. არამედ ქორწილისა შეერთებისაგან სიტყვიერისა სულისა ღმრთისა სიტყვსა მიმართ შეერთებასა, სიბრძნით და გონიერად უჩუენებთ, რამეთუ, ვითარცა-იგი ჯორცინი ქორწინებისა ზიარებითა გულის-თქუმისა და ვნებათა და შეყოფისა ხრწნილებასა ერთობითა საქმეთათაე ეზიარებიან, ეგრეთვე პირმეტყუელი სული ღმრთისა სიტყვსა მიმართ სძლობისა ზიარებითა სათნოებათა მიერ და უვნებლობისა და უხრწნელებისა ჭეშმარიტად განისუენებს და იშუებს.

3. და უვნებლობითა და უხრწნელებითა⁵ და შეუორგუ || 374rII (A) [ლებელთა სინმიდითა ეზოჲსმოძღურებისა მიერ სწავლათაჲსა სიტყვსა მიერ ერთ]სულ-იქმნების⁶ მის თანა.

4. ვინაეცა, რომელიცა შეეყოს ქრისტესა ქალწულებისა აღთქუმითა, ვითარცა სიბრძნისა და სიტყვსა ღმრთისა, უბინოდ ცხორებითა სძალ-ქმნილსა, თანა-აც, რაათა ბრძენ-იყოს და გონიერ. და რაათა ყოველსავე პირუტყულსა უგუნურებასა და ბინსა ზედაჲს-ზედა ნურთითა საღმრთოთა სიტყვთათა იოტებდეს, ხოლო სიბრძნისა შუენიერებითა, რომლისადა შეყოფილ არს, შეამკობდეს გონებასა და განაშუენებდეს⁷.

¹ მხოლო B;

² რომელი იგი | იგი რომელი C;

³ აღგუყავს B;

⁴ მოვატყუებდით BC;

⁵ და უვნებლობითა და უხრწნელებითა- C;

⁶ ერთსულ-იქმნების | ესრეთ სრულ-იქმნების C;

⁷ განაშუენებდეს C;

5. რამეთუ უკუეთუ სხვსა ვისმე სანატრელად საგონებელისა შეყოფასა ისწრაფის, არა უფროსად ქალწულსა ღმრთისა შეერთებაჲ თანა-აც და სძლად მისა გამოჩინებაჲ და რაათა საცნობელთა მიერ ყოველნივე ძალნი სულისანი გარეშეთაგან შინაგანთა მიმართ მოაქცინეს და რაათა სიძესა თვსსა უხილავთა შინა სასძლოთა გონებისათა, ვითარცა ღმრთისა სიტყვსა, სამარადისოდ ჰზრახვიდეს და შჯულსა მისსა დღე და ღამე იწურთილეს.

6. და სასძლოესა შემამკობელთა, რომელ არიან შჯული და სახარებაჲ, და, რომელიცა ვინ იყოს ამათი მეგობარი და საკუთარი, შეუნიერებასა მას სიძისასა მიუთხრობდეს და ადიდებდეს და სიტყუასა წმიდათა მათ ნაშობთა გონებისათა და გულის-ზრახვათა უბინოთათჳს იხარებდეს და იშუებდეს.

7. და უბრძნეს და უბრძნეს¹ იპოვბოდის², ვიდრემდის ყოვლითურთ შეერთებითა სიბრძნისაათა ერთ-იქმნეს მის თანა, რომელი სადა შეყოფილ არს || 374vI (A) და ხრწნილებისაგან უხრწნელებად შეიცვალოს და უსწავლევლობისაგან ბრძენ და გონიერ იქმნეს, ვითარცა გუერდი³ სიტყვსაჲ, რომელსა შეეყო.

8. და, რაათა მოკლედ ვთქუა, რაათა კაცებისა წილ ღმერთ-იქმნეს, და ყოველთა მიერ ცხად იქმნეს უკუდავებაჲ და განღმრთობაჲ⁴ მისი მის მიერ, რომელსა-იგი შეეყო უხრწნელებით, რამეთუ ვითარცა-იგი სიძემან მისმან დაუტევენა საყდარნი და უფლებანი და მოკუდავსა შეეყო, რაათა წყალობით მის შორის დამკვდრებითა მისითა ვნებულებისაგან უვნებელ-ყოს იგი და უხრწნელ.

9. ეგრეთვე ამან მისთვის, რომელმან-იგი განიძარცუნა მთავრობანი და ჳელმნიფებანი და თავი თვისი ხატებისაგან ღმრთისა ხატად მონისა სიყუარულისათჳს წარმოიცალიერა, შეაყოს თავი თვისი უკუდავსა მას და ერთსულ იქმნეს მისთანა, რაათა რაჟამს-იგი სასძლოსა ცათასა მამისა მიმართ აღვიდოდის, მისთანავე აღვიდეს სიხარულით.

10. და ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ამისათჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და შეეყოს იგი ცოლსა თვისსა და იყვენენ ორნივე იგი ერთჯორც“.

11. რომელი ესე თარგმნა მოციქულმან, რომელი-იგი უხრწნელებით დაუწინდებდა მას სძალსა და თქუა, ვითარმედ: „საიდუმლო⁵ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთვის და ეკლესიისათჳს.“

12. რამეთუ არა თუ ამისთვის გარდამოვდა უფალი, რაათა შეეყოს სძალსა და ქუეყანასა ზედა დაშთეს.

13. არამედ რაათა მიითუალოს იგი და ქუეყანით ზეცად აღიყვანოს და სძალსა მას ქრისტესსა არა ხოლო იე აქუს || 374vII (A) მსახურად [სასძლოსა] მის საბანელისა, არამედ ანგელოზნიცა რაათა რაჟამს აღვიდოდის⁶ სავანეთა მათ და სასძლოთა მამისათა, იგიცა აღვიდენ⁷ მისთანა და გალობდეს გალობასა საქორწინესა.

¹ და უბრძნეს + და უბრძნეს C;

² იპოვებოდის BC;

³ გუზრდი BC;

⁴ განმღობა B;

⁵ საიდუმლო B;

⁶ აღვდოდის B;

⁷ აღვდენ B;

14. უხრწნელად უკუე უწყოდენ ქალწულმან უხრწნელისა მის სიძისა შეყოფაჲ და არა ხოლო თუ შეყოფაჲ ოდენ იქმნების უხრწნელად, არამედ კუალად¹ შემდგომად შეერთებისა ქალწულადვე დაადგრების.

15. რამეთუ ესე სძლობაჲ არა მსგავსად ჯორციელთა მათ სძლობათა იქმნების, არამედ, ვითარცა-იგი მუნ ჯორციელი სიძე უხრწნელსა ქალწულსა განხრწნის და დედაკაცად შესცვალებს.

16. ეგრეთვე სიძე იგი სულთა ჩუენთაჲ არა ხოლო თუ უხრწნელსა სულსა შეერთებითა თვისითა უხრწნელად დაჰმარხავს, არამედ განხრწნილსაცა ჯორციელთა გულის-თქუმათაგან ჳელთაგან ეშმაკისათა მისტაცებს და ხრწნილებისა მიერ უჯეროსა დედაკაცად შეცვალებულსა² ზიარებითა თვისითა დედაკაცობისაგან უხრწნელად ქალწულად გამოაჩინებს.

17. და ამასვე საიდუმლოსა და უხრწნელსა ქორწინებასა წინანარმეტყუელისა მიერ გუასანვეებს და ესრეთ იტყვს სძლისა მიმართ თვისისა: „ანუ არა ვითარცა სახლსა მხადეა და წინამძღუარ ქალწულებისა შენისასა?“

18. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „წინამძღუარსა უხრწნელებისა შენისასა“.

19. რამეთუ ვითარცა-იგი მთავარ და მფლობელ მეუღლისა თვისისა ხრწნილებისა ქორწილისა მიერ იქმნების ქმარი, ეგრეთვე წინა || 375rI (A) [მძღუარ და მფლობელ] თითოეულისა ჩუენისა უხრწნელებისა იქმნების უფალი და უხრწნელებასა საუკუნესა მოგუაბტყუებს, რომლისაჲ ჯერ-არს, რაჲთა სახლადცა უწყოდით უხრწნელებისა ჩუენისა და მის შორის დავიმკვდრებდეთ და დავივანებდეთ.

20. რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ, რაჲთა ვითარცა სახლნი ყოვლისა სათნოებისა და უხრწნელებისანი, კეთილად ცხოვრებითა განშუენებულნი სავანე მისა ვიქმნეთ და იგი მხოლოე დაემკვდროს ჩუენ შორის.

21. [რამეთუ] ვითარცა-იგი დაემკვდრების და ვალს ღირსთა შორის, ეგრეთვე კუალდა ღირსნი მის შორის დაემკვდრებიან.

22. ვინაჲცა რაჟამს-იგი მოგკყვანნეს ჩუენ სოფლისა სტქმეთაგან და მი-რავიდეთ მისა და მის თანა მკვდრ-ვიქმნეთ, რაჲთა არა განვითხინეთ მისგან. თანა მზრუნველობით და წყალობით გუეტყვს³ ჩუენ, ვითარმედ: „დაადგერით ჩემ თანა და მე თქუენ თანა“.

51. 1. ესრეთ უკუე ყოვლით კერძო დიდ არს და ბრწყინვალე საქმე ქალწულებისაჲ, ვიდრე-ლა აღდგომისა მის მკუდართაჲსა და უხრწნელებით ცხოვრებისა თესლწმიდა და პატიოსან იქმნების ამიერვე, რამეთუ უკუეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებიან, არცა განჰქორწინებენ, არამედ არიან ვითარცა ანგელოზნი და ვითარცა ძენი ღმრთისანი, მაყარნი ქალწულებასა იმარხვიდენ⁴.

2. ვითარ არა არიან ანგელოზ, რომელნი-იგი გახრწნადითა ამით ჯორცითა, ვითარცა ანგელოზნი, მოქალაქობენ და ანგელოზ არა უჩინო, არამედ ფრიადცა საჩინო და პატიოსან. || 375rII (A)

¹ კუალად- C;
² შეცვალებულსა A;
³ გუეტყვს BC;
⁴ იმარხვდენ B;

3. [რამეთუ იგინი, თვნიერ ჳორცთასა,¹ ცათა შინა იმარხვენ] უხრწნელებასა, რომელთა-იგი არცა ბუნებაჲ ჰმძლავრობს, არცა ადგილი დაცეულნი, ყოველთა მეუფისა ღმრთისა წინაშე. ხოლო ესენი, ქუეყანასა ზედა იძულებულნი, ჳორცთა გულის-თქუმისაგან და ბრძოლითა ეშმაკისათა შეინრებულნი, უხრწნელებასა ანგელოზთა მობაძავსა სათნოებისათჳს უსაკრველეს მათსა ყოველთა მეუფისათჳს იმარხვენ.

4. რომელთა-იგი ქალწულებისა სიკეთე უფროესად განსაკრთომელ არს, რამეთუ დედობრივითა გუამითა მის მიერ აღძრულნი იგი საოცრებანი² ჳორცთანი მოლუანებითა ძლიერითა სულისაგან განსთხინეს და სწორ მამათა გამოჩნდეს, ვითარცა სწორისა მათისა სულისა მიმღებელნი³ და ვითარცა იგინი მოლუანებისა მიერ მამაკაცობისაგან⁴ ანგელოზთა წესსა მიიცვალნეს.

5. ეგრეთვე ესენი სწორად მათისა მოლუანებითა დედაკაცობისაგან პატივსა მათსა აღინინეს და ვითარცა-იგი სოფელსა ამას შინა სწორი მათი სული მოეგო, ხოლო დედობრივისა სამოსლისა მიერ სწორებისა მათისაგან კელობდეს.

6. ეგრეთვე საუკუნესა მას ცხორებასა ყოვლითურთ სწორ მათსა იქმნენ, რომელნი სათნოებათა მოგებითა სწორ ანგელოზთა იქმნნეს და ესენიცა მათსა მასვე პატივსა აღინინენ.

7. რამეთუ რაჟამს იგი სწორ ანგელოზთა იქმნენ, არცალა იქორწინებიან და არცა განჰქორწინებენ, რომელთა-იგი ამასვე სოფელსა შინა || 375vI (A) ესე მოლუანებისა მიერ წარჰმართეს და უბინოდ ცხორებითა თავნი თჳსნი სწორ ანგელოზთა გამოაჩინნეს და მამაკაცისა და დედაკაცისა ჳორცთა მიმართ აღტყინებისა საჯუმილი სათნოებისა მიერ დაჰრიტეს და სულითა უბინოთა ქუეყანასა ზედა და კაცთა შორის ცხოვნდებოდეს⁵.

8. და უკუეთუ არცა მამათა მიმართ და არცა დედათა, რომელთა შორის არს გრძნობაჲ ცოდვისა გულის-თქუმათაჲ⁶, შეიცვალებიან ვნებათა მიმართ სულნი მათნი და სრულქმნილ არს მათ შორის სიტყუაჲ იგი წერილისაჲ და არღარა არს მამაკაცება და დედაკაცება და არა არს ვნება და გულისთქუმა⁷, არამედ ყოველად ყოველსა შინა ქრისტე.

9. და მკუდარ⁸ არიან ჳორცნი მათნი უქმობითა გულის-თქუმათაჲთა განყოფილებისა მიმართ მამათაჲსა და დედათაჲსა. და სული ხოლო მხოლოჲ უხრწნელებითა სათნოებისათა ცხოველ არს მათ შორის.

¹ ჳორცთასა C;

² საუცრებანი C;

³ მომღებელნი C;

⁴ მამაკაცობისაგან A, მამეკცობისაგან B;

⁵ ცხოვნდებოდეს C;

⁶ გულის-თქუმათა B;

⁷ ვნება და გულის-თქუმაჲ B;

⁸ მკუდარ] მკუდრ B;

52. 1. მაშა¹ მიეახლენ² ესევითარი-იგი მსახურსაცა სიძისასა, უკუეთუ არღარა ცხოველ არს ჯორცთა შინა მისთა გულის-თქუმაჲ დედათაჲ და ნუგეშინის-ეცინ ძმათაცა მარტივად და სინრფოებით მცნებისაებრ უფლისა და დაჰბანენ ფერწნი მათნი და ილუანენ.

2. უკუეთუ სხუაჲ რამეჲ მოღუანებაჲ ევმარებოდის და მკუდართა მიერ ჳელთა ჳორცთაჲსა შეეხნენ³ მომკუდართა მათ ჳორცთა მისთა.

3. რამეთუ, ვინაჲთგან მოაკუდინნა ასონი ქუეყანისანი და ცხოველ არს არღ-არა იგი, || 375vII (A) არამედ [ცხოველ არს ქრისტე მის შორის]. ხოლო რომელ ესე ან ცხოველ არს სარწმუნოებითა, ცხოველ არს!

4. იქმოდენ⁴ წესსა სათნოებათასა, ვინაჲთგან ქრისტე⁵ ცხოველ არს მის შორის. და შურებოდენ შრომათა მათ სულიერთა ქრისტეს თანა ჯუარცუმით ცოდვისაგან. და მიმოაქუნდინ მკუდარი იგი გუამი. და იქმოდენ ყოველთავე მცნებათა სიძისა-თა, რაჲთა ყოვლით კერძო ბრწყინვალეებაჲ სულისაჲ უბრწყინვალეს⁶ გამოაჩინოს.

5. რამეთუ რაჟამს ჳორცთა შეეხებოდის და არა აგრძენს სულმან საოცრებაჲ მამაკაცისაჲ, არამედ უცხოთა რაჲთმე სახითაჲ, ვითარცა უგრძნულად შეეხოს, მკუდრად ჳგიეს მის შორის გულის-თქუმაჲ, რამეთუ ვერ ძალ-უც, გარეშითა რაჲ სახითა შეეხებოდის თვისსა ვნებისა მიმართ აღძრვაჲ მისი.

6. რამეთუ ესრეთვე ჟამსა მას დევნულებისასა სარწმუნოებისათჳს სიძისა ულ-მრთოთა კაცთა გინებად მიცემულნი ქალწულნი, რომელნი იგი ჳორცითაცა უხრ-წნელად დაიცვენს მის მიერ, რომლისათჳს-იგი გინებასა მას მიეცნეს და გინებაჲ იგი კაცთა მათ უღმრთოთაჲ ჳორცთა მიერ მათთა მკუდრად გამოაჩინეს.

7. ხოლო უხრწნელად უნეს ჳორცთა მათთა ნიშებშემოსილითა ძლიერებითა ყოვლითურთ უბინოდ დაცვულად, რომელნი-იგი დაღაცათუ იგინეს, ვინაჲთგან არა მიდრკა სული მათი გულის-თქუმისა მიმართ. ესრეთ საგონებელ იქმნეს, ვი-თარმცა მკუდარნი გუამნი ეგინეს.

8. და ვინაჲთგან არა თანა-ხატ-ექმნეს სულნი მათნი გულის || 376rI (A) თქუ-მაჲ⁷ მათ შეგინებისათა⁸ და ქალწულებაჲ და სარწმუნოებაჲ და სულით და ჳორციით უხრწნელებაჲ უბრწყინვალესი და უმარხეს სიძესა მათსა.

9. და ნუუკუე და ენება უფალსა, რაჲთა გამოაჩინოს მათ მიერ, რამეთუ აღ-საარებაჲ მისი უპატიოსნეს არს მათ წინაშე, უფროჲს ჳორცთა ქალწულებისა, ვინაჲცა არცა სული განხრწნეს უვარის-ყოფითა და არცა ჳორცნი, ვინაჲთგან არა თანა-ენამნეს გულისთქუმასა, არამედ ყოვლით კერძო უხრწნელად და წმიდად და-იცვნეს.

¹ მაშა + უკუმ B;

² მიეახლენ B;

³ შეეხენ B;

⁴ იქმოდეთ C;

⁵ ქრისტე + ხოლო C;

⁶ უბრწყინვალესად B;

⁷ გულის-თქუმათა C;

⁸ გინებისათა BC;

10. გარნა თუ ვინმე განცოფებულითა სიბორგილითა დაკლულისა ქალწულისა გინებაჲ ინებოს და მკუდრისა მის გუამისა გინებასა ხრწნილებად უწოდოს, ტანჯვად უკუე და ხუეტიად¹ შესაძლებელ არს ნოდებაჲ მისი.

11. ხოლო განხრწნად, გინა ხრწნილებად არასადა თავსა თვსსა განხრწნის და განიხრწნების, ხოლო ქალწული იგი განუხრწნელად და უბინოდ ჰგიეს მარადის, ვინაჲთგან სული არა თანაილიქნა, არცა თანაენამა.

12. ეგრეთვე მსგავსად დევნულებათა შინა და ყოველთავე განსაცდელთა მამათა მიერ იძულებულნი ჯორცითა მომკუდარნი დედანი რაოდენითაცა² ვნებითა განიცადნენ, უხრწნელებით ჰგიან სამარადისოდ, რამეთუ პირველ გარდასრულმან მან ჟამმან მოლუანებისამან არამცირედი გამოცდილებაჲ მოატყუა მათ, რაჲთა დაღაცათუ ჯორცთა შინა ცხოველ იყვნენ, არა ჯორციელად ცხოვნდებოდინ, არცა ჯორციელად საგრობდნენ. ამისთვისცა ნეშტთა მათ დედათა განაძლიერებენ და ეტყვიან, ვითარმედ სულითა ვიდოდეთ და ჯორ || 376rII (A) ცთა გულისთქუმად არა ჰყოთ.

13. ან უკუე რავოდენიცა³ ესევითარნი იყვნენ, ძმათმოყუარებასაცა აჩუენებედ, ვინაჲთგან მიერ-მცა ფერჯთა-რაჲ უფლისათა ამბორს-უყოფდა, არა ვითარცა მამაკაცისა ფერჯთა ამბორს-უყოფდა, არამედ ვითარცა უფლისათა, რამეთუ ცრემლთა მიერ საჯუმილსა ვნებათა და გულის-თქუმათასა დაშრეტდა;

14. ხოლო უფლისა სიყუარულითა და ნმიდითა მით ამბორის-ყოფითა სულსა შინა ნათელსა მას სულისასა ნმიდისასა⁴ მძაფრიად აღატყინებდა სიბრძნით და ღმრთივშუენიერად⁵.

15. რამეთუ სულითა ცხოველ იყო და სულითა ეგო და სიძისა მიმართ თვსთა ცოდვათათვს ყოველსავე ღმობიერებასა აჩუენებდა ჯეროვნად და პატიოსნად, ხოლო მკუდარ-იყო ცოდვისა მიმართ და მამაკაცისა და დედაკაცისა გონებაჲ შეხებასა შინა ფერჯთასა და ამბორის-ყოფასა ძრწოლით მოეკუდინა.

53. 1. შეეხებოდენ უკუე, ვითარცა ვთქუ, ეგევითარი-იგი უკუეთუ სადამე იყოს ვინმე ესევითარი და მცნებასა უფლისასა აღასრულებდინ, ხოლო შეეხებოდის რაჲ, ყოვლით კერძო, ფრთხილ ყავნ და გონიერ.

2. ნუუკუე ზედაჲს-ზედა შეხებითა მცირედ-მცირედ აღიძრას ჯორცთა მიერ მისა მიმართ ფარული გულის-თქუმაჲ, ვითარცა გუელი, და შეემთხვოს მას განწონითა გესლისა მისისაჲთა მოწყლვაჲ სასაკუდინე, რომელი ესე ნუ იყოფინ!

3. და მერმე თანამდებ-იქმნეს თქუმად საგლოელთა მათ და საღმობიერთა სიტყუათა, ესე იგი არს, ვითარმედ: „მო-რაჲ-ინია გულის-თქუმაჲ, ცოდვაჲ განცოცხლდა, ხოლო მე მოვკუედ“⁶.

¹ უკუე და ხუეტიად BC;

² რაოდენიცა A;

³ რაოდენიცა B, რაოდენიცა C;

⁴ სულისასა ნმიდისასა] ოსსა B;

⁵ ღმრთივშუენიერად] ღმრთივგონიერად BC;

⁶ მოვკუედ B;

4. || 376vI (A) და მეპოვა მე მცნებამ იგი სიყუარულისაჲ საცხორებელი მო-
მაკუდინებელ, რამეთუ უკუეთუ ძენი ღმრთისანი დაეცემიან, რავდენ უფროს
მოხაძავთა მათთა თანა-აც შიში, ნუუკუე ჰგონებდენ, რაჲ მიმსგავსებასა¹ მათსა.

5. მოლუანებითა ქალწულებისათა იხილნენ ასულნი კაცთანი, რამეთუ შუენი-
ერ არიან და ჳორცთა გულის-თქუმითა გარდავიდენ² მათდა და დაეცნენ.

6. და ესრეთ ითქუას მათდა მიმართცა, ვითარმედ მე ვთქუ: „ღმერთნი სამე
ხარტ და შვილნი³ მაღლისანი თქუენ ყოველნი, ხოლო თქუენ, ჳორცთა გულის-
თქუმითა მიმძლავრებულნი, ვითარცა კაცნი, მოსნდებით და, ვითარცა ერთი მთა-
ვართაგანი, დაეცემით“.

7. და ფრიად კეთილ არს ქალწულისაგან კრძალვად, რათა არცა თავსა თვსსა
იქმნის მიზეზ ზღვევისა და არცა მხილველთა თვსთა მიზეზ დაბრკოლებისა.

8. და რათა, ყოვლით კერძო, გონიერ იყოს და განმკითხველ და გულისწმის-
მყოფელ, და რათა აღირჩიოს უმჯობესისათვს ბრალობისა ტვრთვაჲ, ვიდრე-ღა
რა⁴ გულის-თქუმათა მიმართ, გინა ვნებად ვიეთდამე მიდრკეს, ვინაჲცა სხუაჲ
ყოველივემცა შეურაცხ-უქმნიეს და უფლისადამცა ხოლო შემსჭუალულ არს და
მასმცა ხედავს და მას განიცდის.

9. და რამეთუ მამათა შორის და დედათა ანგელოზთა მოხაძავსა და შუენიერსა
უხრწნელებასა ამის ცხორებისა განყოფადსა მას აღდგომასა და უხრწნელებასა⁵
მისსა აქავე წარმოაჩინებს და შემკრებს ჩუენ მას შინა || 376vII (A) უბინოჲ. იგი
ქალწულებისა ცხორებაჲ.

54. 1. რამეთუ პირველთა მათ მცირეთა თესლთა მიერ ზედაჲს-ზედა ქორ-
წინებითა ყოველი სოფელი კაცთა სიმრავლითა აღავსეს.

2. ხოლო ესე ქორწინებისა გულის-თქუმათა მიერ ყოველსა ქუეყანასა განთე-
სულთა სანუჯეთა შინა ზეცისათა შეჰკრებს და ამას განთესულთა შესაკრებელსა
უხრწნელებისა და ქალწულებისა მიერ შეკრებად განცხადებულად მოასწავებდა
უფალი და იტყოდა, ვითარმედ: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყა-
ნები, რამეთუ სპეტაკ არიან აწვე სამკალად.“

3. რამეთუ პირველ უშენისა მის სოფლისა კაცთა მიერ შობილთა მათ
თავწარსხმულთა ესრეთ განმრავლებაჲ-რაჲ და გარდაცემაჲ იხილა უფალმან,
გულისწამ-გვყო, ვითარმედ შეკრებისა მათისა ყამი მოწვენულ არს, რომელსა-იგი
ქალწულებისა ბუნებაჲ განცხადებულად გამოაჩინებს.

4. რამეთუ, ვითარცა-იგი ამის სოფლისა მცენარებაჲ თესლთა მიერ ქორწინები-
სათა დაეთესა, ეგრეთვე ქალწულებაჲ მერმისა მის ცხორებისა უხრწნელებისა
თესლთა ამიერვე თესვად ისწრაფის.

¹ მიმსგავსებასა A, მიმსგავსებისა B;

² გარდავიდნენ B;

³ შვილნი B;

⁴ რა=რათა BC;

⁵ ამის ცხორებისა განყოფადსა მას აღდგომასა და უხრწნელებასა]- B;

5. და თავისა მიერ თვისისა წმიდათა მათ მცენარეთა უუხჭნოხსა¹ მის ცხორებისათა მუშაკთ-მთავარსა მას და დამწერგველსა კეთილთასა განუმზადებდეს, რამეთუ უხრწნელებისა ჯელითა ძლიერითა უკუნ აქცევს დედობრივისა ბუნებისა მამათა მიმართ შჯულიერსა შეერთებასა და თვისითა მით შუენიერებითა უვნებელობისა ძალსა ყოფადსა მას მკუდ || 377rI (A) რეთით აღდგომისა საიდუმლოსა² დაუუნჯებს.

6. ამისთვისცა უსწრეს ქალწულთა აღდგომისა მიერ შეცვალებასა მას ჯორცთასა და ძლიერებითა საღმრთოთა ამიერვე წარჰმართეს იგი და სოფელსავე ამას შინა, ვითარცა ანგელოზნი, ცხოვდებიან³, რამეთუ არცა იქორწინებიან და არცა განჰქორწინებენ და კუალად, რამეთუ სულისა სათნობათა მიერ და ჯორცთა უხრწნელებისა სწორ ანგელოზთა არიან.

7. და რამეთუ თესლად უხრწნელისა ცხორებისა და ქუეყანით ზეცად აღმყვანებულად განანესა ქალწულებათა უფალმან.

8. უხრწნელებისა სიკეთე ამასვე სოფელსა შინა ქალწულებისა პატიოსნებასა მიჰფინა და თავისა მიერ თვისისა თუალმუედგამ-ყო დიდებაჲ მისი.

9. და ესე ცხად არს ამის მიერ და ბრწყინვალე, რამეთუ, რომელმან-იგი ყოველივე შჯული აღასრულა, ქორწინებაჲ ხოლო არა შეიხო, რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთა რომელი-იგი უხრწნელისა მის ქალწულისაგან უხრწნელებით იშვა ჯორციელად, რაჲთა არცა ქორწინებისა ხრწნილებისა მიიღოს გამოცდილებაჲ ჯორცითა და განხრწნილთა მიერ ქორწინებითა ბუნებითითა მით უხრწნელებითა ჩუენითა ჰმსახურა.

10. და ვითარცა ადამ ქორწინებისა გულის-თქუმათა მიერ ამის ცხორებისა თესლ-იქმნა, ეგრეთვე თავადი მერმისა მის საუკუნოხსა ქალწულებისა უხრწნელებასა, რაჲთა, ვითარცა-იგი მის მიერ ქორწინებისა მიერ სოფლად შემოვედით, ეგრეთვე უფლისა მიერ ქალწულებისა უხრწნელებითა უხრწ || 377rII (A) ნელსა მას ცხორებასა მივემთხვივნეთ⁴.

11. და უკუეთუ არა გარენარ არს სამოთხესა შინა ადამის ცხორებაჲ, გულისჴმა-ყავ და ჰჰოვო⁵ იგი, რამეთუ ვიდრემდის მას შინა მკვდრ იყო, არა მისცა⁶ თავი თვისი დედაკაცსა, რამეთუ არცა საჭმარ იყო მისა გულის-თქუმაჲ.

12. ხოლო შემდგომად გარდასლვისა და სიკუდილისა და სამოთხით განჯდისა, მაშინლა იცნა დედაკაცი, რაჲთა მოკუდავებასა ბუნებისასა შვილთ-სხმისა⁷ მკვდრობითა ნუგეშინი-სცეს.

13. და ეგრეთვე კუალად მიიქცეს რაჲ ქალწული სამოთხედ, იგივე ქალწულებათა და უბინოდ ცხორებაჲ შეუდგეს მას, რომელი-იგი აქავე ქალწულებისა და უხრწნელებისა სამოთხესა შინა იშუებსა და ფუფუნებს.

¹ უხჭნოხსა B;

² საიდუმლოსა B;

³ ცხოვდებიან C;

⁴ მივემთხვივნეთ B; მივემთხვივნით C;

⁵ ჰჰოო B;

⁶ მისცა B;

⁷ შვილთ-სხმისა B;

14. და ესევითარისა მის სამოთხისაგან ივლტოდა რა ევა¹, მაშინლა ესმა წყევია იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „მწუხარებითა ჰშენე შვილნი შენნი და შემდგომი“.

15. ხოლო ვიდრემდის იგი მას შინა მკვდრ იყვნეს, წყევისაგანცა იყვნეს თავისუფალ და ხრწნილებისაგანცა. და შემდგომად სამოთხით განწდისა-ლა იცნა ადამ ცოლი თვისი და ესმნეს სიტყუანი იგი საზარელნი.

55. 1. ხოლო ამას რა ვიტყვთ, არათუ ამისთვის ვიტყვთ, რათა შჯულად დაუდვით ქალწულებად სოფელსა, არამედ რათა, რომელთა-იგი ჰნებავს უსასყიდლოსა მას მარგალიტსა ქალწულებისასა მოგებად, ბრწყინვალეობა მისი ყოვლით კერძო უჩუენოთ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ქალწულთათვის ბრძანება უფლისა მიერ არა მაქუს“. ხოლო განვაზრახებ, ვითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, და არცა შჯულსა² შინა და არცა || 377vI (A) სახარებასა დაანესა ქალწულებად უფალმან შჯულად.

2. რამეთუ, რომელმან-იგი დასაბამსა მამაკაცისა და დედაკაცისა შორის ესევითარი სიყუარული დასთესა და საკრველითა ქორწინებისათა შეამტკიცნა და უკუდავებისაგან რა მოკუდავ-იქმნნეს, ამის ღონისა მიერ წყალობით უკუდავება მოკუდავებასა შინა იწელოვნა და შემდგომება ნათესავთა შეუმზადა და აღორძინება და განმრავლება უბრძანა.

3. ვითარ შესაძლებელ იყო მაშინ ქალწულებისა შჯულად დადება? და უფროსლა, რაჟამს-იგი კაცთა³ უკეთურებითა აღძრულთა მათ ბრძოლათაგან შობილთა მათ განლევისა ხედვიდა?

4. ვინაცა მოსეს შჯულსა შინა შეილიერება არა ხოლო თუ დაყენებულ-იყო, არამედ კურთხევადცა შერაცხილ.

5. ხოლო ვინათგან თვსთა ნაყოფთა მიერ ყოვლით კერძო სოფელი აღყუავნა და ესოდენი სიმრავლე კაცთა განთესა ქუეყანასა ზედა, ვიდრელა არცაღა თუ დაიტევს სიმრავლესა სოფლად შემოსრულთასა.

6. და მოინია ჟამიცა იგი მოსლვისათვის, უფლისა ჩუენისა წინანარმეტყუელე-ბული, რაჟამს-იგი მოძღურებისა მისისა მორჩილნი დაშჭირდენ მახვლთა მათთა საწნისად და ლახუართა მათთა მანგლად.

7. და არღარა აღილებდეს ნათესავი ნათესავსა ზედა მახვლსა და არღარა ისწავებდენ⁴ მერმე ბრძოლასა კეთილად.

8. ქალწულებად და წინაუკუმო⁵ ჯორცთა ხრწნილებისა ჯორცთა მიერ უხრწნელებასა აღმო || 377vII (A) აცენებს.

9. გარნა, ვითარცა ვთქუთ⁶, არცა მოსეს მიერ დაანესებს უფალი ქალწულე-ბასა შჯულად, არცა სახარებასა შინა ამცნებს, რამეთუ უწყოდა მამაკაცისა და დედაკაცისა ჯორცთა ბუნება.

¹ ევა B;

² სჯულსა C;

³ კაცთა- B;

⁴ ისწავებდენ] ისწრაფდენ C;5

⁵ წინა-უკმო B, წინა-უკმო C;

⁶ ვთქუ BC;

ზრუნავს სოფლისასა და თუ ვითარ სათნო ეყოს ცოლსა. და განყოფილ არს დედა-კაცი იგი უქორწინებელი და ქალწული. უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, რაათა იყოს იგი წმიდა სულით და ჯორცით, ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავს სოფლისასა და თუ ვითარ სათნო-ეყოს ქმარსა“.

13. ხოლო ამას ვიტყვ თქუენისა უმჯობესისათვის; || 378vII (A) არათუ რაათა საბრკვე დაგირწყუა, არამედ რაათა შუენიერად და მტკიცედ გამოგაჩინეთ თქუენ უფლისა მიმართ.

14. ხოლო უკუეთუ ვისმე უშუერება ეგონოს ქალწულისა თვისისათვის უკუეთუ მონიფებულ იყოს და ეგრეთ რაამე ჯერ-უწინდეს ყოფად, რომელიცა ენებოს, ყავენ! არა ცოდავს, იქორწინენ!

15. ხოლო ესემცა უწყის, რამეთუ სოფლისა და მოკუდავისა ქმრისა სათნო ყოფად გულის-თქუმათათვის უფლისა სათნო-ყოფისა¹ უფროჲს აღირჩია.

16. ხოლო რომლისა გულსა შინა დამტკიცებულ არს და არარაჲ ჭირს² იძულებაჲ, კელმნიფებაჲ აქუს თვისსა ნებასა ზედა და უკუეთუ³ ესრეთ საჯა გულსა შინა თვისსა და დამარხვად თვისი, ქალწული კეთილად ჰყოფს.

17. ვინაჲცა, რომელმან აქორწინოს თვისი ქალწული, კეთილად ჰყოს, რამეთუ უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განჯურვებაჲ.

18. და რომელმან არა აქორწინოს, უმჯობეს-ყოს, რამეთუ მოკუდავისა ქმრისა ნილ უფალსა დაუნინდოს იგი და სძლად მისა გამოაჩინოს.

57. 1. ხოლო უფალმან, რომელთა-იგი ცნნეს რაჲ ურვანი ქორწინებისანი და საკრველთა მათთვის დედაკაცისათა ძინა განსაჯსნელთა, სულთ-ითქუნეს და თქუეს, ვითარმედ უმჯობეს არს არა ქორწინებაჲ. ჰრქუა მათ, ვითარმედ არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს.

2. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისაჲთა საჭურისნი იშვნეს, რომელნი მძლავრებასა ბუნებისასა, რომელი-იგი აღაზრზენს საქმედ ცოდვისა, არა დამონებულ არიან, რომელნი-იგი შეურაცხ-ჰყოფენ⁴ ქო || 379rI (A) რწინებასა.

3. და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს, რომელთა მოძღურებითა და სწავლითა ქალწულებაჲ აღირჩიეს, ვითარმცა მამისა მიერ დამარხულმან მან ქალწულმან, რომლისათვის თქუმულ არს, ვითარმედ რომელმან დაამტკიცა გულსა შინა თვისსა დამარხვად თვისი ქალწული, კეთილად ჰყოფს.

4. და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის ცათაჲსა, რომელნი-იგი უმჯობეს არიან სხუათა მათ, რამეთუ არცა ბუნებისაგან აქუნდა საგზალი სინმიდისაჲ, ვითარცა-იგი პირველთა მათ, არცა კაცთაგან დაყენებულ იქმნნეს, არამედ თვთ ივინი თავით თვისით სასუფეველისათვის ცათაჲსა ქალწულებასა იმარხვენ და ქორწინებასა და მსოფლიოსა ცხორებასა ამისათვის შეურაცხ-ჰყოფენ და მოღუანებისა ოფლთა მიერ ყოვლითურთ სასუფეველისადა

¹ სათნო-ყოფისა- C;

² სჭირს C;

³ უკუეთუ თუ BC;

⁴ შეურაცხყოფენ B;

შესტუალულ არიან, რამეთუ დედის მუცლითგან საჭურისი, ვინაეთგან ბუნებით წმიდა არს ქალწულებისა სიკეთესა შინა თვსსა საქმესა ვერას¹ აჩუენებს, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, ბუნებისა მძღავრებითა და არათუ ქალწულებისა სიყურულითა თანანარჰჳდა ქორწინებასა, ვითარცა იგიცა, რომელი კაცთაგან გამოსაჭურისა, რამეთუ ქალწულებისა დამარხვად და მოლუანებად იიძულა. ვინაეცა ჩანს, რამეთუ არა თვსად სათნოებად აჩუენებს ქალწულებისა უხრწნელებასა, არამედ მათ, რომელთა იგი დამარხვად აიძულეს², ხოლო რომელმან თავი თვსი გამოსაჭურისა || 379rII(A) ცხად-ჰყოფს, რამეთუ მალალი იგი საქმე მოლუანებისა მიერ და მარხვისა და ყოველთა სათნოებათა ქალწულებისათვს წარმოაჩინა. და თვსთა მათ და არა უცხოთა მოლუანებათათვს ღირსად და სამართლად პატივ-იცემების სასუფეველსა შინა ცათასა.

5. ხოლო ნუვინ ჰგონებენ, თუ განყოფილება რამე შემოაქვს საჭურისთათვს თქუმულსა მას სიტყუასა ესაიას მიერ სიტყუათა ამათგან, ანუ თუ სახესა ამას მოძღურებისასა საჭურისისა მიმართ ქმნილსა მისგან, რამეთუ ვითარცა-იგი მოსეს მიერ მარტივად თქუა, ვითარმედ: „ნუ იმრუშებ“.

6. ხოლო სახარებისა მიერ სახეცა არამრუშებისაე განჰმარტა, ეგრეთვე ესაიას³ მიერ გამოსაჭურისებაე, ხოლო სახარებისა მიერ, თუ ვითარ და ვითარმედ არა ერთსახე არს საჭურისი, არამედ სამითა სახითა განყოფილებაე მისი გუაუნყა, ვინაეცა მუნ ზოგებით საჭურისნი ხოლო აქა განთვსებულადცა გამოგვსახა ჩუენ და არა წინა-ალუდგების მუნ თქუმულთა მათ სიტყუათა, რამეთუ არათუ საჭურისობისა წესსა ამცნებს, ანუ თუ შჯულად დასდებს გამოსაჭურისებასა ესაიას⁴ მიერ, არამედ ქადაგებს, ვითარმედ: „კეთილნი საჭურისნი პატივითა რათმე ღირს არიან.“

58. 1. ხოლო კეთილ არს, რათა თვთმებრ იგიცა სიტყუანი ვისმინნეთ, – ამას იტყვს უფალი, ვითარმედ საჭურისთა მათ, რომელნი იმარხვიდენ შაბათთა ჩემთა და აღმრჩეველთა მისთა, რომელი მე მნებავს და მმარხველთა შჯულისა ჩემისათა, მივსცეთ მათ სახლსა შინა ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა ადგილი სახელოვანი, უმჯობესი ძეთა[ესა] || 379vI (A) და ასულთაესა სახელი საუკუნო⁵ მივსცე მათ და არა მოაკლდეს.

2. ცხად არს, უკუე, რამეთუ არათუ უნებლიეთ გამოსაჭურისებულთა, არცა ლიტონთა. და მარტივთა საჭურისთა აღუთქუამს ზემოთ თქუმულთა ამათ⁶ კეთილთა, არამედ რომელნი იმარხვიდენ შაბათთა ჩემთა და აღმრჩეველთა მისთა, რომელი მე მნებავს.

3. ხოლო შაბათი არა უქმობასა შინა, არამედ მოქმედებისა. უქმობასა შინა იხილვების, რამეთუ შაბათობაე ჰნებავს ქალწულისაე გარნა არათუ რათა უქმე-

¹ ვერარას C; 6

² აიძულეს B;

³ ესაიას B;

⁴ ესაიას B;

⁵ საუკუნო B;

⁶ მათ B;

ბით იმარხვიდეს ქალწულებასა, არამედ რაათა უქმობასა შინა ვნებათასა და უხრწნელებასა ქალწულებისასა დაუცხრომელად შურებოდის¹, საქმეთა სიმართლისათა და მცნებათა უფლისათა აღასრულებდეს.

4. რამეთუ, ვითარცა ძეგლი, საღმრთოთა სულისაგან და ჯორცთა გამოსახული, ეგრეთ აღემართა ქალწული ქუეყანასა ზედა და თანა-აც, რაათა საიდუმლოდ² შაბათობდეს და ნუცამცა ჯელსა განძრავს და ნუცა ფერჯსა და ნუცა თუალსა და ნუცა სხუასა რასმე ასოთაგანსა და ნუცა გონებასა განმხრწნელად სულიერი-სა მის ბუნებითისა შუენიერების, არამედ ეგენ, ვითარცა კეთილი და კეთილთა³ გამოქანდაკებული.

5. და სულსა თვსსა, ვითარცა პირველითგან დაიბადა, ხატად ღმრთისა, ეგრეთ იმარხევდინ, ხოლო ჯორცთა თვსებისა მიმართ უძრავად აჩუენებდინ და ერიდებოდინ, ვითარცა ხატი სამეუფოთა და ყოვლისავე საოცრებისა⁴ და შეხებისაგან, ვითარცა კლდეს ზედა მდგ || 379vII(A) ომარე შეუძრავად ეგენ.

6. ნუუკუე ანუ თუ თუალთა მიერ, ანუ სასმენელთა, ანუ თუ სხვსა, რომლისამე საცნობელთაგანისა დაფარული რამე ვნება შევიდეს მის შორის. და ანუ თუ შეარყინეს⁵ სულსა შინა დაბეჭდულნი იგი ხატებისა ღმრთისა სახენი, ანუ თუ შეამრღვნეს პირმშონი იგი შუენიერებანი და თვსნი იგი უშუერნი სახენი გამოსახნეს და სულსა შუენიერება უნივთო⁶ განხრწნეს.

7. ხოლო ჯორცნი, ვითარცა ნივთიერნი, და მოშურნეთა რათმე შეხებათა და მნიკულევანთა ბინთა და უშუერებათა მიერ ყოვლით კერძო აღავსნეს.

8. ამისათვს იტყვს, ვითარმედ: „დეგინ მტკიცედ, ვითარცა ძეგლი უფლისა და ყოვლითურთ შაბათობდინ“, რაათა არცა თვსითა აღძრვითა შეარყიოს ხატი სულსა და განრყუნეს რამე ბუნებითთა ბეჭედთაგან და სახეთა, არცა გარეშეთა ჯელთა რყევისაგან განსცეს ბუნებითი შუენიერება და ნარპარულ-იქმნეს.

59. 1. და ნუუკუე შაბათობისა მიერ და, თუ ვითარ იქმნების ქალწულებისა მოგება ბუნებით და საკრველად ერთბამად მოასწავებს, რამეთუ, ვითარცა საზღვარსა ცხორებისა ჩუენისასა დაგვდებს და იტყვს, ვითარმედ: „ნუ იტყვ გულსა შენსა: „ვინ აღვიდეს⁷ ზეცად, ესე იგი არს ქრისტესი გარდამოყვანება, ანუ თუ შთავიდეს⁸ უფსკრულად, ესე არს ქრისტესი მკუდრეთით აღმოყვანება“.

2. არამედ რასა იტყვს: „მახლობელ არს შენდა სიტყუა ეგე პირსა შენსა და გულსა შენსა და არად საჭმარ || 380rI(A) არს შენდა ესრეთ შორიელთა ცისა და უფსკრულთა გამოკულევად, არამედ მახლობელი ეგე ჯეროვნითა შენევნითა სარგებელად შენდა გამოაჩინე. რამეთუ უკუეთუ აღიარო პირითა შენითა უფალი

¹ შერებოდის B;

² საიდუმლოდ B;

³ კეთილთაქ სამღთო B, საღმრთო C;

⁴ საოცრებისა C;

⁵ შეარყინეს B;

⁶ უნივთოდ B;

⁷ აღვდეს B;

⁸ შთავიდეს| შთავდეს BC;

იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, ვითარმედ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხოვნდე!“

3. ეგრეთვე უკუე ქალწულებისათვის იტყვს, ვითარმედ: „ნუ იტყვ, ვითარ აღვქდე ზეცად, რაათა მარადქალწულებისა ჩემისა უხრწნელება გარდამოვიყვანო, ანუ თუ ვითარ შთავქდე უფსკრულთა, რაათა ესე ეშმაკისა მიერ განხრწნილი, კუალად თავისა მიმართ¹ თვისისა მოვაქციო, არამედ რასა იტყვს, ესე იგი არს, ვითარმედ: „მახლობელ არს შენდა და ბუნებით შენ თანა იშვების ქალწულება“.

4. და არცა უფსკრულთა საჭმარ არს მოგებისა მისისათვის წიაღსლვამ, არცა ჰაერთა განუზომელთა აღფრენამ, არცა ალაგთა ქუეყანისათა გამოკულევა პოვნისათვის მისისა.

5. არამედ, ვითარცა ვთქუ, დაუტევე სიშორეთა გამოკულევა და თავი შენი განიხილე და ესე ბუნებით შენ შორის ჰპოვო დაფარულად.

6. და უკუეთუ გნებაეს, რაათა შენ შორის წარუპარველად დაჰმარხო, ესე შაბათობდ ყოვლითავე ცხორებითა შენითა, ესე იგი არს, ეგე მას ზედა, ვითარცა იშვე.

7. და ნუ განსძრავ ჳელსა შეხებად მამაკაცისა, ნუცა შესთხზავ შეუთხზველთა, ნუცა შეჰკრავ განწსნილთა, ნუცა განუხრწნელთა ასოთა უცხო ფერთა ჳორცთა შეყოფითა განხრწნი, არამედ ეგე სარეცელსა ზედა, რომელსა ზედა მწოლარე იყავ.

8. და ნურარას უმეტეს || 380rII (A) სა გამოიკულევ და შაბათობდ თავსა შორის თვსსა და ნუმცა რაე გიქმნიეს დამარღუეველად² ბუნებითისა მის სიკეთისა შენისა.

9. არა გიჭმს ზღუდეთა და ეზოთა და გოდოლთა გამოკულევა, რაათა ქალწულება მონადირო, არამედ ამასცა თუ იქმოდი, ნუუკუე³ და წარს-ცა-წყმიდო ქალწულება.

10. ხოლო უკუეთუ სარეცელსა თვსსა ზედა შაბათობდე, წმიდად დაიცვა ესე და ესრეთ გაქუნდეს პატიოსანი ესე საუნჯე ქალწულებისა, რამეთუ არათუ ახლითა რაათმე და უცხოთა ღონისძიებითა მოუპოვო ესე თავსა თვსსა, არამედ უკუეთუ ეგო უხრწნელად და ქალწულად, ვითარცა იშვე საშოთგან, ყოველთავე წინაშე სამარადისოდ კეთილ იყო.

11. ხოლო უკუეთუ წარსწყმიდო უხრწნელებისა ესე საუნჯე, დაღაცათუ ყოველივე იგი ჰქმნე, რომელ ვთქუ, და მოჰვლნე ცაე და ქუეყანამ და ზღუამ და უფსკრულნი და ყოველნი ჰაერნი მოირბინნე, ვერღარა რომლითა ღონითა უძლო ამისი უკუმოგება⁴,

12. რამეთუ ვითარღა იქმნეს უხრწნელ განხრწნილი, ანუ⁵ ვინაითგან გამოცდილება მამაკაცისა მთილოს, ვითარღა შეირაცხოს, ვითარცა გამოუცდელი.

13. ანუ თუ ვითარღა იყოს მონყლული გემოას-მოყუარებითა და გულის-თქუმიითა და ვნებითა, ვითარცა მოუნყლველი სასწაულნი, რაე იგი ხრწნილებისანი,

¹ მიმართი მიერ A;

² დამარღუეველად BC;

³ ნუუკუე BC;

⁴ უკუმოგება B;

⁵ ანუ+თუ B;

სულსა შინა და ჯორცთა ყოვლითურთ განწონილ იყვნენ, რამეთუ, თქუმულ არს, ვითარმედ: „სინანული ცოდვისათჳს ინანის, ხოლო განხრწნილისა კუალად უხრწნელ-ყოფა¹ შეუძლებელ არს და ყოველსავე შინა ცხორებასა || 380vI (A) თჳსსა გოდებს, ვინაჲცა ვინაჲთგან ესრეთ დიდ არს საუნჯე ესე და ნიჭნი მომგებელთა მისთანი.

14. უდიდებულეს მოძღურებასა უფლისასა დავემორჩილნეთ და ესრეთ ვშაბათობდეთ, ვითარცა დასაბამითგან და ვიდრე აღსასრულადმდე.

15. წინა-გკყო სიტყუამან და გუასწავა და ყოვლისავე მნიკულისაგან უხრწნელად და შეუხებელად დაეჰმარხოთ ბუნებითი იგი შეუნიერებაჲ საღმრთოჲსა მის ხატოვნებისაჲ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ნუ ხოლო შაბათობს ოდენ ქალწული, არამედ მას აღირჩევდინ, რომელი ესე მნებაჲს“.

16. ხოლო უფალსა სხუამცა რაჲ ენება თვნიერ ხოლო უხრწნელებისა, რომლისათჳს-იგი შაბათობაჲ და ქორწინებისა ხრწნილებისა წილ ქალწულებისა აღრჩევაჲ და შჯულსა² და მცნებათა უფლისათა დაცვაჲ მოატყუებ³ მის მიერ სახლსა შინა და ზღუდესა მისსა ადგილსა სახელოვანსა უაღრესსა⁴ ძეთა და ასულთასა, მუშაკსა მას ქალწულებისასა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „არა ხოლო თუ საჭურისთა ოდენ დამცველთა შაბთთა ჩემთასა და აღმრჩეველთა მისთა, რომელი მე მნებაჲს⁵, არამედ დამმარხველთაცა შჯულისა ჩემისათა მივსცნე ზემოწყნებულნი ესე კეთილნი“.

17. ამისთჳსცა თანა-აც ქალწულსა, რაჲთა დღე და ღამე შჯულსა სიძისასა იწყნებდეს და აღთქუმასა მისსა ინურთიდეს;

18. ხოლო რომელსა აღთქუმასა მას, რომელი-იგი მო-რაჲ-კუდებოდა მისთჳს უხრწნელებისა მისისათჳს, აღწერით დაუტევა და იგონებ⁶-მცა სიკუდილსა მისსა.

19. რამეთუ მისცა⁶ მისთჳს თავი თჳსი, რაჲთა-იგი წმიდა ყოს და || 380vII (A) და ყოველსავე უკუე შინა ცხორებასა თჳსსა შჯულსამცა და აღთქუმასა მისსა იმარხავს და იწყნებს.

20. ესე იგი არს, ნუმცა შეურაცხ-ჰყოფს სიკუდილსა მისსა და ცხორებისა მისისათჳს აღსრულებულსა მას განგებულებასა.

21. არამედ ვინაჲთგან მან განყიდა თავი⁷ თჳსი, უფლებაჲ თჳსი და აზნაურებაჲ, ხოლო ამან თჳსითა სისხლითა მოიყიდა და იგი და არა ხოლო თუ მოიყიდა, არამედ მოიყიდა რაჲ, აზნაურებითა პატივ-სცა. და არა ხოლო თუ აზნაურებითა ოდენ პატივ-სცა, არამედ სძლადცა მიითხოვა და გარდარეულთა მათ მადლთა თჳსთათჳს დედოფლად გამოაჩინა იგი.

22. ამისთჳსცა იმარხევდინ იგი შჯულსა მისსა.

23. ესე იგი არს, რაჲთა უცხადესად-რე ვთქუა, ვითარცა ზითევსა რასმე შჯულიერისა მის შეყოფისა მისისასა აღთქუმით და ჯელისწერით მიცემულსა მისდა

¹ უხრწნელ-ყოფად B;

² სჯულსა C;

³ მოატყუებ³ BC;

⁴ უაღრესსა C;

⁵ მნებაჲს B;

⁶ მოსცა B, მოსცა C;

⁷ თავი თავისუფლებაჲ BC

მის მიერ მარადის უკუე ეკრძალებოდინ, ალტეჟმათა მათცა მისთანა ცხორებისა მისისათა, რომელნი-იგი ალტეჟნა წინაშე მრავალთა მოწამეთა და ყოველსავე შინა თავსა თვსსა უბინოდ წარუდგინებდინ, რაათა ღირსად საღმრთოესა მის დიდებისა ცხოვრებოდის სოფელსა ამას შინა და მერმესა მას სოფელსა¹ საუკუნეთა, მათ კეთილთა მიემთხვოს.

60. 1. და რაათა კულადცა ვთქუა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „რომელნი იმარხვიდენ შაბათთა ჩემთა და აღმრჩეველთა მისთა, რომელი მე მნებავს და მმარხველთა || 381rI (A) ალტეჟმისა ჩემისათა მივსცე სახლსა შინა ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა ადგილი სახელოვანი, უმჯობესი ძეთა და ასულთაჲ, რაათა არა ჰგონებდენ, თუ საყუედრელ სამე იყვნენ, ვითარცა ბერწნი და უშვილონი.

2. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: ესრეთ საყუარელ და საკუთარ იყვნენ ჩემდა ვიდრე-ლა შინაგან სახლისა და ზღუდისა ჩემისა იყოფებოდინ და ესოდენისა პატივისა ღირს იქმნენ ჩემ მიერ, ვიდრელა ყოველივე პატივი შეილიერებისაჲ².

3. და წარჩინებულებაჲ შეილთაჲ³ კნინ-იყოს და უნდო პატივისა მის მათისა თანა, რამეთუ მივსცე მათ ადგილი არა თუ მკვდრობისაჲ ხოლო, არამედ წარმატებისაჲცა და წარჩინებულებისაჲ, რაათა ყოველთა მიერ სანატრელ იყვნენ და უაღრეს შეილთა მკვდრობისა და პატივითა აზნაურებისაჲთა დიდებულ.

4. და რაელა ვთქუა უმეტესი საიდუმლოთა ამათ საჭურისთათვს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მივსცე მათ სახელი საუკუნოჲ, რომელი-იგი კმა-იყოს მათ უფროეს მკვდრობისა შეილთაჲსა და არა მოაკლდეს, რამეთუ აქა ნაშობნი იგი ყორცთანი სახელსა მამათასა შეიმოსენ და, ვითარცა სიბერიითა, დაშრეტადთა ნილ ცხორებისა მკვდრობასა მიითუალვენ, და ეგრეთვე სახელსა და სიკუდილისა მიერ მოკლებისა მათისა შემდგომად უჩინო-ყოფასა მას მათსა თავთა მიერ თვსთა განაცხოველებს⁴ და ესრეთ მცირედსა, რაათა უნდოსა ჟამსა, ენაცვლნენ პაპათა⁵-მამათა მათთა ცხორებითა და სახელითა.

5. და ნუგე || 381rII(A) შინის-იციან თვსებისა შემდგომებასა მერმე მიმყოვრებასა ჟამისასა იგინიცა მოაკლდიან და უსახელოდ და ოჯრად დაუტევიან ტომებაჲ.

6. ხოლო ჩემ მიერ შემდგომად ესევითართა წარჩინებულთა ადგილთა მიეცემის საჭურისთაჲსა, უაღრეს ყოვლისა⁶ ტომთა შემდგომებისა ეგოს სახელი მათი აღუწოცელად, ვიდრელა თვთ მათ და ყოველთავე მხილველთა მათ თანა საქმით აღსრულებისაგან და გამოცდილებისა წამონ უაღრესობაჲ მათი.

7. და, რამეთუ უაღრეს არიან ძეთა და ასულთაჲსა, რომელნი-იგი მრავალგზის სირცხვლ და საგმობელ იქმნიან ტომთა და ნათესავთა და შემძინელ ბრალთა და ცოდვათა.

¹ სოფელსა] სუფევასა C;

² შეილიერებისა B;

³ შვლთა B;

⁴ განაცხოველებენ C;

⁵ პაპთა+და BC;

⁶ ყოველთა C;

8. ხოლო აქა იტყვს, ვითარმედ: „კაცობრივთა სახელთა წილ მივსცე მათ სახელი უკუდავთა ანგელოზთა და არა მოაკლდეს, რამეთუ ცანი და ცათა უალრესნი ადგილნი მიეცნენ მათ სამკვდრებელად. და ცათა უშუენიერესა, ესე იგი არს სახლსა შინა ჩემსა და ეზოთა შინა ჩემთა, დაემკვდრნენ და არა ხოლო თუ ბუნებათა ოდენ და პატივი ანგელოზთა მიეცეს უკუდავად“.

9. ვიდრელა არცათუ საჭმარ იყოს მათდა შემდგომება მკვდრობისა (ვინაჲთ-გან თვთ იგინი მარადის სამარადისოსა ცხოვრებასა მკვდრთა წილ საუკუნოდ დაემკვდრნენ, არამედ ადგილიცა წარჩინებული და სახელი აქუნდეს ანგელოზთა შორის სათნობათა მათთა სიმაღლისათჳს აღუწოცელად),

10. განკრძალვაჲ უკუე თანა-აც, რაჲთა არა ვითარცა კაცთაგან და ქუეყანით ზეცად, ანგელოზთა || 381vI(A) პატივსა აღვიდეს,¹ ეგრეთვე ანგელოზთაგან და ზეცით ქუეყანად დაცემითა განსაკრთომელითა დაეცნენ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვიხილე ოდესმე ცათა შინა განშუენებული იგი, ვითარცა ელვაჲ ზეცით გარდამოვრდომილი“.

11. რომელი ესე გუესმეს² რაჲ, ყოვლითა³ კრძალულებითა განკრძალვაჲ თანა-გუაც.

12. ესევეთართა უკუე პატივთა ღირს-იქმნენ სასუფეველსა შინა ცათასა გონებითა და გულითა საღმრთონი იგი საჭურისნი.

13. და არცა იგი უცხო იქმნენ მათგან, რომელნი-იგი სიჩჩოსა ჰასაკთა მათთასა მძლავრებისა ჳელთა იძულებით გამოისაჭურისნეს,

14. გარნა უკუეთუ უნებელსა მას ჳორცთა გამოსაჭურისვასა თანა ნებსითითა⁴ მით გონებითა გამოსაჭურისებითა თავნი თჳსნი გამოსაჭურისნენ⁵.

15. და რაჲთა ყოვლისა სიბოროტისა მიმართ შაბათობდენ და მას გამოირჩევედენ, რომელი ჰნებაჲს უფალსა და იმარხიდენ შჯულსა მცნებათა მისთასა.

16. და არა უშვილო იყვნენ სათნობათაგან სულისათა, რამეთუ აქუნდეს ესევეთართა მათ ადგილი სახლსა შინა უფლისასა უმჯობესი ძეთა და ასულთასა.

17. და ჳორცთა უშვილოებისათჳს არღარა იყვნენ, ვითარცა ხენი განჯმელნი, არამედ ვითარცა ხენი აღყუავებულნი⁶.

18. მრავალთა მათ სიმართლისა ნაყოფთა მიერ ყოვლით კერძო შემკვებოდიან და სახლსა შინა ღმრთისასა დანერგულ იქმნენ და ეზოთა შინა ღმრთისა ჩუენისათა ყუაოდიან.

19. კუალადცა უკუე ვთქუა, ვითარმედ არა დადვა || 381vII (A) შჯულად ქალწულებაჲ, არამედ თავისუფლებასა შინა თითოეულისასა დაუტევა, ვინაჲცა თუ ვითარსა პატივსა ღირს-იქმნენ⁷, რომელნი უალრეს იქმნნეს, ბუნებისა სახითა მით საიდუმლოსა⁸ მის საჭურისებისათა წარმოაჩინა.

¹ აღვდეს B; 8 9
² გუჳსმეს BC;
³ ყოვლითავე BC;
⁴ ნეფსითითა B;
⁵ გამოსაჭურისნენ ABC;
⁶ აღყუავებულნი B;
⁷ ღირს-იქმნეს C;
⁸ საიდუმლოსა B;

61. 1. ხოლო ვიეთმე სიტყუაჲ ესე ვერ გულისწმა-ყვეს:

2. ვითარმედ და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა და თავნი თჳსნი უჯეროდ ასოთა მოკუეთითა¹ მოიკლნეს და თავით თჳსით შორითვე მათ საქმეთა მიერ, რომელნი ქმნნეს თავთა თჳსთა მეძვობაჲ და არანმიდებაჲ შესწამეს.

3. რამეთუ რომელთა-იგი საჭურველი ჴორცთა ტრფიალებისაჲ განაგდეს, რაჲთა არა აქუნდეს რაჲ, აღასრულებდენ საქმესა ცოდვისასა.

4. საცნაურ არს, ვითარმედ ჰნებავს საქმეთა ცოდვისაჲ, გარნა ვინაჲთგან მოწყუნნეს თავნი თჳსნი და არათუ რამეთუ არა ჰნებავს, არამედ რამეთუ ვერ ძალუც, ამისთჳს ქალწულებენ.

5. ხოლო საღმრთოჲ² შჯული³ არა საქმესა, არამედ გონებასა განიკითხავს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ყოველმან, რომელმან არა საქმით იმრუშოს, არამედ რომელმან მიხედნეს გულისთქუმით, მუნთქუესვე იმრუშა“.

6. ხოლო ასოთა მოკუეთაჲ თუალთა გულის-თქუმისა მრუშებასა უმეტესსა შესწამებს მომკუეთელსა მას, რამეთუ ურწმუნო იყო თავისა თჳსისაჲ, თუმცა ერიდა ვითა⁴ სიძვასა და მოიკუეთა ასოჲ⁵, რომლითა გულის-თქუმისა საქმესა იქმოდა და უფროჲ || 382rI (A) [დაერწმუნა, ვითარმედ], უკუეთუ ეგოს [ასოჲ იგი], დაუჰყორობელად ისიძვიდეს.

7. ამისთჳსცა მორყუნა [მოკუდავთა]⁶ ორღანოჲ იგი სიძვსაჲ⁷, რაჲთა ჴორცითა მეძვად⁸ არღარა საგონებელ-იყოს, არამედ გულის-თქუმითა მეძვობდეს და დაუჰყორობელად იმრუშებდეს, რამეთუ შორითვე ჴმობს არანმიდებასა მისსა შეკადრებაჲ იგი მისი და ჴელ-ყოფაჲ, ვინაჲცა შემდგომად მოკუეთისა უფროჲსღამცა ვინ უწოდა მათ მეძავ.

8. და რამეთუ ესრეთცა იქმან, რამეთუ ვინაჲთგან ვერ ძალ-ედვა დამჭირვაჲ თავთა თჳსთაჲ და სიძვისათჳს განქიქებასა ეშინოდა და, რაჲთა გულისთქუმასა, ვითარცა ენებოს, ეგრეთ იწუმევდენ.

9. და ვინაჲთგან მონანი იყვენს ცოდვისანი და არა ენება დაცადებაჲ ცოდვისაჲ.

10. და ამისთჳს ჴელ-ყვეს საქმესა მას, რაჲთა სამარადისოდ და დაუსრულებლად შუებაჲ და გულის-თქუმაჲ მათი არა დაეცადოს და შემწამებელი იგი საქმეთა მათთაჲ მოიკუეთეს⁹ და თავისუფალ-იქმნნეს გლისჰად და ურიდად მეძვობად.

¹ მოკუთითა BC;

² სამღთო B;

³ სჯული C;

⁴ ვითა] თვით B;

⁵ მოიკუთა ასო B;

⁶ მოკუდავთა] მოკუთითა BC;

⁷ ორღანო იგი სიძვისა B;

⁸ მეძვად A;

⁹ მოიკუთეს BC;

11. ხოლო უკუეთუ შეჭურვილსა ვინმე უხეტენეს¹ მახვლითა, დაღაცათუ საჭურველმან დააბრკოლოს და წყლულება და კაცის კლვაი არა იქმნეს, გარნა ეგრეთცა, ვითარცა კაცის მკლველი, დაისაჯების².

12. და კუალად ეგრეთვე³ უკუეთუ ვინმე შიშულისაი ინებოს მახვლითა ხეტენება და მერმე მიელოს მახვლი ჳელთაგან მისთა, ვითარცა კაცის-მკლველი, დაისაჯების⁴ და სამართლად, რამეთუ არა საქმესა, არამედ ნებასა შჯის შჯული⁵ და ეგრეთვე სამე აღჭურვილ || 382rII(A) მან სხეულითა ჳორცთათა, დაღაცათუ ვერ უძლოს ჳელთ დებად და განხრწნად სარწმუნოებითა აღჭურვილსა ქალწულსა?

13. ვითარცა განმხრწნელი ღირს არს დაშჯისა, ვითარცა-იგი, რომელმან შიშუელი პოვოს განსახრწნელად და მიჰმართოს საქმესა და ჳელ-ყოს და მოკუეთისა მის მიერ მიელოს საჭურველი.

14. დაღაცათუ ხრწნილებად არა იქმნეს, ვითარცა ხრწნილებისა მოქმედი სამართლად დაისაჯების და ეგრეთვე და დედაკაციცა იგი მისთანა მეძვობისა მისთვის სამართლად შეისმინების.

15. რამეთუ ვითარ ვირწმუნო მისი, ვითარმედ გან-სამე-მცა-ემორა მეძვისა იგი ხრწნილებისა წყლულება, ვინათგან საჭურველი არა აქუნდა, რამეთუ სადა-იგი ბუნებისა მიერ აღჭურვილისა მიმართ უხრწნელებისათს მოთმინებით ეწყვების.

16. ცხად არს მუნ ღუანლი იგი სინმიდისა, ხოლო სადა ესე მამაკაცი უჭურველ არს და განუცხადებელ არს და უჩინო გულის-თქუმად მიდრეკილი გონება მისი.

17. ვითარ ვინ ცნას სინმიდე მისი?

18. ამისთვისცა ყოველთა მიერ, ვითარცა მეძავი, დაისაჯების.

19. და ეგრეთვე მისისა მის არანმიდებისა ზიარი მეძავი არაადვილ⁶ არს საანჯნოდ ყოფად, რამეთუ შეუძლებლობისათს საქმით ცოდვისა უნესოდ შეს-ცხრების მას და უჯეროთა სიყუარულითა არანმიდებასა თსსა განაქიქებს.

20. და ესე მათთვის ვთქუ⁷, რომელნი მარჩბივითურთ მოიკუეთენ სხეულსა ჳორცთასა ყოვლითურთ, ხოლო რომელთა-იგი შემდგომად მამაკაცობისა და შერევისა დედათაჲსა და || 382vI (A) სხეულთა აღბორგებისა მარჩბივთა ხოლო განუკუეთენ.

21. ესრეთ იტყვან მათთვის, ვითარმედ მძვნარე და დაუჰყრობელ არს სიძვისა მიმართ მდულარება მათი და არა ხოლო თუ მდულარება და აღძრვა, არამედ თვთმებრ შეყოფად იგი არანმიდებისა და განხრწნად დედათაი ფრიადითა ნებიერებითა აღესრულების მათ მიერ უჭირველად.

22. რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: «განიკუეთენ რაე მარჩბივთა ქუემე ძარლუნი იგი ნელთა და თირკუმელთაგან თესლის მაღინებელნი და მსახურნი, შემდგომად მოკუეთისა, დაბრმდებიან და დაიყოფიან სადინელნი მათნი და დულს

¹ უხეტენოს B; 2

² დაისჯების BC;

³ ეგრეთვე-C;

⁴ დაისჯების BC;

⁵ სჯის სჯული C;

⁶ არაადვლ B;

⁷ ვთქუთ BC;

თიკუმელთა შინა გულის-თქუმა მათი და თესლის მცენარება იგი ამოდ პე-როის¹ და აზრზენს მამაკაცისა შთაცვად თესლისა მის და დუღილისა მის აღსუ-ბუქებად.

23. ხოლო ვინათგან სადინელნი მისნი დაყოფილ არიან, ესე ვერ ძალ-უც-ამისთვისცა საქმედ არანმიდებისა აღშჭურავს² და უმძაფრეს და უმძაფრეს ალა-ბორგებს.

24. და ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ ეგვიპტარი იგი საჭურისი შემტყუებელ არს და სამჭედურ წარწყმედისათვის³ დედათაჲსა და უძღვებ ცოდვისა⁴ მიმართ.

25. რამეთუ მამაკაცი, რომელი ბუნებითა ზედა ეგოს, შეინყნარებენ თესლ-სა მისსა სხეულნი და განთესვენ შეყოფისა მიმართ და ეგრეთვე⁵ შემდგომად განთესვისა, აღსუბუქნების, დაელხინების და გულის-თქუმა იგი დაჭნების.

26. ხოლო საჭურისსა, ვითარცა ვთქუ, არა აქუს ღონე განცლად ზრზენისა მის მაგრგინებელისა და ამისთვის დაუცხრომელ არს სხე || 382vII (A) ულისა და გულის-თქუმისა, მისისა სიფიცხე და არა დასცხრების ბილნებისაგან, ვიდრემდის დაშურეს, ვითარცა იტყვან და მოენყინოს სიცბილი იგი.

27. და ესე არაბუნებითმან ხოლო სიტყუამან, არამედ გამოცდილებამანცა⁶ საქმისამან უნამა ცხორებასა ჩუენსა, ვითარცა-იგი აუნყა ჩუენ მოხუცებულმან ვინმე ძუელმან⁷ და პატოსანმან შემკობილმან ცხორებითა და მოქალაქობითა, რომელი-იგი დედაკაცსა ვისმე აღეარა მისდა⁸ ტირილით⁹.

28. ვითარმედ საჭურისი იგი, რომელი სადა რწმუნებულ იყო ქმრისაგან, გინა უფლისა, ვითარცა მამაკაცი მემერუშე, უძღვებად შეეყოფოდა მას და უფროსად ამისთვის კადნიერ იქმნებოდა, რამეთუ [უშიშ იყო] შვილიერებისა სიბილნესა.

29. და არათუ ამან ხოლო, არამედ სხუამანცა ვინმე საყუარელმან ჩემმან, რომელი-იგი არა ადრე აღიძრვოდა ტყუვილად¹⁰, მითხრა მე, ვითარმედ ქალწული ვინმე მოწესე ეკლესიისა გოდებდა მისა მიმართ, ვითარმედ სარეცელსა მისსა აღვიდა საჭურისი ვინმე და შეიტკობ იგი და აზმნობდა საქმესა ცოდვისასა, ხოლო ვინათგან გულის-თქუმისა თვისისა სრულყოფა ვერ უძლო¹¹, ვითარცა მწეცი, კბი-ლითა ჰკბენდა¹² მას და დულდა სიცბილითა მით შეყოფისაჲთა და, ვითარცა ცოფი, იკბინებოდა.

¹[პ]ეროს C;
²აღსჭურავს BC;
³წარწყმედისა B;
⁴ცოდვისა B;
⁵ეგრეთვე] ესრეთ B;
⁶გამოცდილებამან B;
⁷ძუელმან B;
⁸მისდა] და B;
⁹ტირილით] ტიროდა B;
¹⁰ტყუვილად B;
¹¹ეძლო BC;
¹²ჰკბენ B;

30. და ესრეთ გამოუცდელიობისათვის და უბოროტებისა, ვითარმცა საჭურის- მან შეიტყუვა ქალწული იგი და ექმნა მას განსაცდელ, დაღაცათუ შემდგომად გამოცდილებისა განიშორა იგი ქალწულმან მან || 383rI (A) და მართლუკუნ აქცია.

31. და არა ხოლო თუ მისა მიმართ ოდენ, არამედ სხუათაცა მრავალთა შე- გინებისა მისთვის გოდებდა და ვინაფთვან ორისა კაცისა წამებამა ჭეშმარიტ არს, სხუათა მრავალთათვის წარმოთქუმა დავაცადეთ, რათა თხრობამა საძულელი ჩუე- ნი არა განვაგრძოთ¹.

62. 1. და ვითარ ვჰგონე², შენდობისა ღირს ვართ ჩუენ, რომელთა არაფთუ უხუნელისა ქალწულებისა მცველად ხოლო აღენერეთ³ ესე, არამედ უფროსად ამისთვის, რათა დავაყენეთ ეკლესიისაგან უჯეროთა მათ საჭურისთა და ასოთა მომკუთეთელთა კრებულნი.

2. და თვთმებრ გამოსაჭურისებისა იგი უნესობამა დავჰსწნათ, რამეთუ ცხა- დად ეშმაკისა ღონე არს საქმე ესე, რომელი-იგი პირველად წარმართთა შორის და ან ჩუენ შორის ცხორებისა ამის ამაობამან წარმოაჩინა და უჯეროდ შორის შემოიღო.

3. და მაშინცა და ანცა⁴ ბოროტად სახელად სინმიდისად მოკუეთამ იგი ასოთამ კაცთა ბუნებასა ზედა იველოვნა, რამეთუ მძვნვარე არს ბოროტი იგი, რომელი განჰრყუნის უფლისა მიმართ სარწმუნოებასა ჩუენსა და სახითა კეთილისათა სიბოროტესა გუაქმნევს და გარდასრულთა საქმეთაგან შესაძლებელ არს ამისი გულისწმის-ყოფამ.

4. რამეთუ, ვითარცა რომელთაგან იგი ჯერ-იყო ცნობამა ღმრთისაჲ, მათ მიერ უცნაურებამა და დავინყებამა მისი შეჰმზადა წარმართთა შორის, რამეთუ სოფელი ესე შემამკობელისა მისისა მაუნყებელად წინა ძეს.

5. ხოლო მათ შუენიერებისა ამისგან დაბა || 383rII(A) დებულთაჲსა შემდგო- მად⁵ შობადიერებამ⁶ იგი დამბადებელისაჲ არა ადიდეს და არცა გულისწმა-ყვეს, არამედ უმსახურებელ იქმნეს და ჰმსახურებდეს და ჰმონებდეს დაბადებულთა დამბადებელისა წილ.

6. და რომელთა მიერ ჯერ-იყო ცნობამა ქრისტესი, მათ მიერ არა ცნობამ მისი ასწავა, ხოლო ვიტყვ წიგნთა მათ მქადაგებელთა ქრისტესთა, რომელნი შეჰრინა⁷ და მწვალებელითა გონებითა უმცერებამ მისი ბოროტად ივერაგა.

7. და ვითარცა-იგი ქრისტეს სახელისა მორწმუნესა შორის ურწმუნობამა და უვარის-ყოფამ ქრისტესი მზაკუარებით და უკეთურებით დასთესა.

8. ეგრეთვე სახელითა საიდუმლოჲსა საჭურისებისათა და სახელითა სინმიდ- ისათა წინადამოკუთილნი და საჭურისნი მემრუშენი და მსიძავნი წარმოაჩინა.

¹ განვაგრძელოთ C;

² ვჰგონებ BC;

³ აღესწერეთ B;

⁴ ანცამ B;

⁵ შემდგომად ყოვლად B;

⁶ შობადიერებამ შუენიერებამ BC;

⁷ შეჰრინა B;

9. ვინაიდან ვამცნებთ, რაათა არცა ამათ ესევეთართა მიეახლებოდის განუკრძალველად ქალწული, რამეთუ უკუეთუ ქალწული ქალწულსა შეეხოს ერთსა სარცელსა ზედა სიყუარულით და შინაგანი მათი დულდეს სიჭაბუკითა. მრავალგზის ურთიერთარს შეახლებითა მით ჯორცთაათა, ვითარცა-იგი ბუნებით დაიბადნეს¹.

10. მოწსენებითა მისითა ერთმანერთი აღაზრზინიან, რამეთუ კმა არს ცოდვისა იგი შჯულისმდებელი ასოთა შინა ჩუენთა შორის ჯორცთა მათთა² ფარულად შესლვად და ურთიერთარსითა მით სიყუარულითა და შეტკობობისა გულის || 383vI (A) თქუმითა³ მიპარვად უზაკუველისა მის სიყუარულისა და მამათა აგებულებისა და ჯორცთა მათთა სახისა სივერაგით დათესვად მათ შორის.

11. და ვინაიდან ესე ესრეთ არს, რავედენ უფროეს თანა-აც მამაკაცისა ჯორცთაგან კრძალვად ქალწულსა, დაღაცათუ საჭურისი იყოს, რამეთუ, დაღაცათუ საჭურისი არს, არამედ მამაკაცი არს ბუნებით.

63. 1. რამეთუ, ვითარცა იგი მრქენალსა ჯარსა მოეკუეთინიან რაჲ რქანი, არათუ რქათა მოკუეთითა ცხენად შეიქმნების, არამედ წუთლა ჯარივე არს, დაღაცათუ არა ასხენ რქანი.

2. ეგრეთვე და კაცმანცა⁴ დაღაცათუ ყოველნი სხეულნი მოიჭრნეს, გარნა მოჭრილითა ასოთა⁵ დედაკაცად არა შეიქმნების, არამედ მამაკაცივე არს ბუნებით.

3. დაღაცათუ არა ჰქონან სხეულნი, არამედ⁶, ვითარცა მრქენალი იგი რქა მოჭრილი, მრქენალვე არს მრისხანებითა, რამეთუ მიიდრეკს ქედსა და თავსა რქენად მოჰმზადებს და გულისწყრომისა თვისისა მზა არს ჩუენებად და მრავალგზის ეკუთაცა კერძოათა მით თავისათა და მოწყლის, ვითარცა რქოსანმანვე და მრისხანებაჲ თვისი საოცრებითა მით საქმისათა აღისრულის.

4. ეგრეთვე მამაკაცივე არს გულის-თქუმითა ვნებისათა, ვინაცა იგიცა ეგ || 383vII (A) რეთვე მსგავსად გამოსახავს საქმესა მას და რამეთუ ტრფიალებითა ეგზების იგი და უჯეროათა მით სიბორგილითა და ზმნითა მით ბილნებისათა და დაღაცათუ ვერ განხრნას, არამედ არანმიდებისა სიციბილითა შეაგინებს დედობრივსა მას ბუნებასა.

5. და იგ[ი], ვითარცა განმხრნელი, ესრეთ⁷ შერაცხილ არს საოცრებითა მით გულის-თქუმისათა, ხოლო დედაკაცი იგი უმწარეს მეძვისა განიხრნების ზრზენითა მით ბილნებისათა და გონებითა და სულითა და ჯორცითა და უჯეროათა მის საქმისა ტრფიალებად უძვრესად აღეტიენების.

¹ დაიბედნეს B;

² მათ B;

³ გულისთქმითა B;

⁴ კაცმანცა| მამაკაცმანცა BC;

⁵ მოჭრილითა ასოთა| მოჭრითა მათითა BC;

⁶ არამედ| და BC;

⁷ ესრეთ| ეგრეთ B;

64. 1. ან უკუე უკუეთუ ჯერ-უჩნს¹ ქალწულსა და ჰნებაეს შინაგანისა ქალწულებისა უხრწნელად დამარხვად, განეკრძალენ ამით ესევეითართა ზრახვისაგან² და ამის პირისათვს, ვითარცა მარგებელსა და განმაკრძალებელსა.

2. ზირაკისა სწავლასა ქალწულისათვს მივითუალავთ, რამეთუ იტყვს, ვითარცა „საჭურისმან შეიტკვის რაჲ ქალწული და სულთ-ითქუა მან მის ზედა, ხოლო განალა ამისთვს, რამეთუ ვერ ძალ-უცნ ქმნად ნებისა თვისისა.

3. და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „საჭურისი განხრწნის ქალწულსა“. ესე იგი არს, რამეთუ დაღაცათუ დედად უთესლოებისათვს ვერ შეიქმს, არამედ განხრწნის სინმიდესა მისა.

4. ნუმცა ვინ უკუე³ აქებს სინმიდისათვს სხეულთა დამკუეთელსა⁴, რამეთუ არცა ცხენთა ვაქებთ, უკუეთუ || 384rI (A) არა [ურქენდენ], არამედ ესენი ამისთვს არიან საქებელ, უკუეთუ არა წიხნიდენ, ხოლო ჳარნი, უკუეთუ არა რქენდენ, რამეთუ ამისთვს საქებელ არავინ იქმნების, უკუეთუ ვერ ძალ-ედვას, არამედ ამისთვს იქმნების საკრველ, უკუეთუ ძალ-ედვას და შეძლებაჲ თვისი უჯეროდ არა იჭუმიოს.

5. ხოლო უკუეთუ უცოდველობად სულისა შეურაცხიეს მოკუეთაჲ⁵ ასოთაჲ, აღმოიწადნედ და თუალნიცა, რამეთუ მრავალსა უწესობასა ხედვენ და დაიკუეთნედ ჳელნიცა და ფერწნიცა და დაიყვნედ სასმენელნიცა, რაჲთა არარაჲ ამათგან იქმნეს ორღანო ცოდვისა.

6. ხოლო უკუეთუ ესე პირუტყუება არს და უფროსლა სიცოფე, რაჲთა ყოველნი ასონი, ყოველით კერძო, მოიჭრნეს და მიზეზისა თანა განყარნეს⁶ ჳორცნიცა თვისნი, ვითარცა ნივთნი რაჲმე შეურაცხნი.

7. და გონებისა საოცრებითა და გულის-სიტყვთა აღძრვითა⁷ ურიდად ცოდვიდეს, რაჲლა ვინ თქუას სიბორგილე მისი-რამეთუ ეგევეითარი-იგი ცხოველსა მას ღმრთისა მიერ დაბადებულსა ავნებს და მანიქეველთა პირსა აღულებს, რომელნი-იგი მიზეზად ბოროტისა ღმერთსა იტყვან და თვთმფლობელობისა წესსა დაჰწნის.

8. რასა იქმ⁸, კაცო, ანუ ვითარ იქმნები⁹ თვთმკლველ თავისა შენისა და მონან-ილე და მეგობარ¹⁰ იუდა განმცემელისა, რომელმან-იგი შიშთვლიბა და წარწყმდა, რამეთუ არა თუ ამისთვს მოგცნა ღმერთმან ასონი, რაჲთა შჭრიდე და ჰბძარვიდე ვითარცა მწეცი? უტევენ ასონი შენნი, ვითარცა დაიბადნეს!

9. და, ზე || 384rII (A) მოთქუმულისა მისებრ სიტყვსა, უბინოთა გულის-სიტყვთა და მოლუანებითა ჰმართებდი, ვითარცა კეთილი ეტლთა მფლობელი,

¹ ჯერ-უჩნს C;

² ზრახვისაგან B;

³ უკუე B;

⁴ დამკუეთელსა C; დამკუთმთლსა B;

⁵ მოკუეთაჲ BC;

⁶ განყარნეს] განწყუნნეს C;

⁷ აღზრვითა B;

⁸ იქმს B;

⁹ იქმნების B;

¹⁰ მეგობარ B;

გინა მენავეთ-მოძღუარნი და ჰბრძოდე და წინააღუდგებოდე ქართა მათ და ლელვათა ცოდვისათა,

10. რამეთუ არა თუ იუდაჲს¹ ნანილისა მოღებაჲ და უნებლიეთ² მოშთობაჲ გუყოფს ჩუენ კეთილ, არამედ ნებსითი და ჯეროვანი მოღუანებაჲ და ღმრთის-მოყუარე და უბინოჲ გონებაჲ.

11. ხოლო ზემოთქუმულნი იგი სიტყუანი არა მარტივად ყოველთა საჭურისათჳს გვთქუმიან, არამედ მათჳს, რომელნი ჳელმნიფებასა მოივაჭრებენ და ჰნებაჲს განცდაჲ და ზრახვაჲ დედათაჲ. და რომელნი უჯეროდ მოიკუეთენ ასოთა თჳსთა შესატყუვებელად ქალწულთა და ყოველთაჲვე, რომელთა ჰნებაჲს ქცევაჲ დედათა თანა, რამეთუ უწყით, ვითარმედ, ვითარცა კაცთა წმიდათა მიეახლებიან დედანი და სინმიდით ზრახვენ³ მათდა მიმართ.

12. ეგრეთვე და საჭურისთაცა, რომელთა უნებლიეთ შემსთხუეოდის⁴ გამო-საჭურისებაჲ ჳორცთაჲ და უბინოთა გულის-სიტყუათა სულნი თჳსნი ნებსით გა-მოესაჭურისნენ.

13. არასაკვრველ არს არცა ეგევითართა მიმართ სინმიდით ზრახვაჲ დედათაჲ.

14. ხოლო უხრწნელეზისათჳს და სინმიდისა ვნამებთ ამას და უნამებთ, რამეთუ უკუეთუ, ვითარცა მამანი, თჳსაგან დედათა თანა იქცეოდინ, სამართლად აღსძრვენ თავთა თჳსთა ზედა ეჭუთა საძა || 384vI (A) ჳელთა.

15. ეგრეთვე და საჭურისნიცა, რომელნი მახლობელად დედათა იბუდებდენ⁵, ვითარცა გუელნი, არა უცხო ჳყოფენ თავთა თჳსთა ყოვლისაჲვე შესმენისა და გან-ქიქებისაგან, რამეთუ, რომელნი-იგი ზრავასა დედათასა არა ერიდებიან, არამედ ურიდად აღერევიან.

16. არა უსამართლო არს მათი ბუნებითითა განბჭობითა უფროჲს მამათაჲსა განქიქებაჲ, რამეთუ მათჳს ჳელმნიფებაჲ იგი შეძლებისაჲ წინაშე თუალთა მათთა დაუდებს აღსრულებასა ცოდვისასა და შიშისათჳს დაცემისა შეიკდემენ განქიქე-ბასა და მიჰრიდებენ ცოდვასა.

17. ხოლო აქა შეუძლებლობაჲ ცოდვისაჲ კადნიერ-ჳყოფს გემოთ-მოყუარებისა და გულის-თქუმისა მიმართ და ნებსით თჳსით ცოდვისა მიმართ მიიზიდვიან.

18. ხოლო ნუმცა ვინ აბრალეზ⁶ სიტყუასა ჩუენსა, ვითარმცა უჯეროჲ რამე გუეთქუა სწავლასა ამას შინა ქალწულებისასა და განხილვასა ბუნებისასა მა-მათათჳს და დედათა და ესრეთ ღრმად გამოძიებისათჳს პირველად ამისთჳს, რა-მეთუ არავინ არს ესრეთ ჩჩვლ ქალწულთა შორის, რაითამცა არა უწყოდა, თუ რაჲ არს ბუნებაჲ მისი, რომლისა-იგი გუერდით გამოიკუეთა, რამეთუ ვიდრემდის უს-რულ-იყვნენ და უჟამო ბუნებითთა საქმეთა მიმართ ასო[ნი] ჳორცთანი, შჯუულიცა იგი ცოდვისაჲ დუმს.

¹ იუდას B;

² უნებლიეთი B;

³ ჳზრახვენ B;

⁴ შემსთხუოდის BC;

⁵ იბოდებდენ B, იბუდებდენ იზუმბდენ C;

⁶ აბრალეზ C;

65. 1. და ნუთუქუ[ე] და თქუას ვინმე და უმეცრებაეცა || 384vII(A) ბუნებითა საქმეთა და ნუთლა ასოთა შინა მათთა დაღაცათუ თვთ თავით თვსით ბუნებაე თვსსა გზასა ვალს, ვითარცა-იგი იხილვების პირუტყყუთა შორის, რამეთუ უსწავლელად აღასრულებენ საქმესა ბუნებისათა შეუცთომელად და პირუტყყულთა მათ შეერთებათა.

2. და ყრმასაცა და ენამა უყამოსა ჰასაკსა შინა მამაკაცებრი შეყოფაე, ხოლო ვინაფთგან აღიზარდოს და თვსსა აგებულებასა მოვიდეს და ბუნებითა წესსა კუალად ეგოს, მეყსეულად შევალს შჯული იგი ცოდვისაე და ასწავებს თვთოეულსა ასოსა თვსსა საქმესა და წინა განენყყების შჯულსა მას გონებისასა და წარსტყუენავს¹ თითოეულსა² შჯულითა მით ცოდვისაათა.

3. და არავინ არს, რომელსამცა ასოთა იგი შჯული აქუნდა მოძღურად და მიზეზობდა-მცა უმეცრებასა ცოდვისასა.

4. არამედ ბაგეთაცა იციან ტრფიალებაე იგი და წესი, რომლისათვს დაბადებულ არიან და თითოეულთა ასოთა ესრეთ უწყნიან სხვსა ტომისა ასონი, რაოდენ იგი იცნის თვსისა ბუნებისანი.

5. და უკუეთუმცა არა ესრეთ იყო, არამცა გული უთქუმიდა ასოესა მის საქმესა, არა თუმცა უწყოდა ბუნებაე მისი და საქმე.

6. ვინაეცა არცა ამისთვს ვართ საბრალობელ, რაათა რომელი-იგი უწყიან ქალწულთა, გინა თუ უწყებად არიან, დაღაცათუ ან იძულებით ||385rI (A) დადუმებულ არს და რომელი-იგი ოდესმე გამოეცხადების, პირველ ჟამისა ვაუწყეთ და განუმარტეთ, რამეთუ დაღაცათუ მამაკაცისა ბუნებასა უმეცარ არიან, ხოლო რაათა არა ექმნეს მათ საცთურ ცოდვისა იგი უმეცრებაე.

7. არა უჯეროდ განვიხილეთ ბუნებაე ვითარ-იგი არს განსაკრძალველად მათდა, რაათა ვითარცა-იგი უმანკო არიან, ვითარცა ტრენი, ეგრეთვე ბრძენცა იყვნენ და მეცნიერ, ვითარცა გუელნი, რაათა ყოველივე სახე უხრწნელებისა მათდა მომატყუებელი და ყოველივე ვნებაე განმხრწნელი სინმიდისა მათისაე მოძღურებისა ამის მიერ და სწავლისა გულისჴმა-ყონ³ და თავნი თვსნი განსაკრძალნენ და უხრწნელად დაიცვნენ.

8. და ამის ყოვლისა თანა ზოგადისაცა ქალწულებისა სინმიდედ წარმოვაჩინეთ სიტყუაე ესე, რამეთუ ვითარცა-იგი ქალწულთა ზრუნვაე თანა-გუაც, ეგრეთვე და მამათაეცა და საჭურისთა და ქურივთა და ყოველთაევე ერთობით.

9. და ვითარცა-იგი მათ სავენებელი და სარგებელი წინა-უყავთ, ეგრეთვე ამათ უჩუენეთ, რაათა არა საჭურისობისა სახელსა განიცდიდენ და წინაუკუმოსა სახელისასა შთაცვენ⁴ წარსანყმედელსა, არამედ რაათა ცნან უშჯულოე იგი ცოდვაე ასოთა დაკუეთისაე და უფლისამიერი ქებული საჭურისობაე და ჭეშმარიტისა მის საჭურისობისა მიმართ წურთილ-ყონ გონებაე მათი, ხოლო პირუტყყულისა მის ასოთა მოჭრისაგან, რომელი-იგი ესეოდენტა ჟამთა უჯე || 385rII (A) როდ

¹ წარსტყუწნავს BC;

² თვთოეულსა B;

³ გულისჴმა-ჴყონ B;

⁴ შთაცვენ B;

იქმნებოდა მკსინვარებისაგან სიტყვსა, კდემულ-იქმნენ და იჯმნან და დასცხრენ გონიერად.

66. 1. და უკუეთუ ესევეითართა კრძალულებითა ცხორობდეს ჭეშმარიტი ქალწული და ყოვლისავე მამათა შეხებისაგან წმიდად სცვიდეს¹ თავსა თვსსა და დედათა თანა რაჲ მწოლარე იყოს, თავსა თვსსა განიცდიდეს და ზეცად მიმართ აქუნდეს გონება და ყოვლითურთ განაშოროს იგი ზრახვისაგან ჯორცთაჲსა.

2. იგივე სიტყუაჲ თქუას მეტყუელისა მის თანა, ვითარმედ და ვიცი თავი ჩემი გინათუ ჯორცითა, გინათუ თვნიერ ჯორცთაჲსა. არა ვიცი, ღმერთმან იცის და ვითარმედ აღვიტაცე და მივიტაცე სამოთხედ და მესმნეს² საღმრთონი სიტყუანი.

3. და უეჭუელად³ ესევეითარსა რაჲ ტრფიალებასა მისსა ხედვიდეს სიძე იგი სულთა უხრწნელებისაჲ ზეცით გარდამო.

4. და რამეთუ ბნელი ღამისაჲ არა ძალად ცოდვისა, არამედ ჟამად მისა მიმართ ღმრთისმეტყუელებისა და ზრახვისა გამოაჩინებს და ამისთვის შეცვულ არს ბნელითა ღამისაჲთა, რაჲთა არარას ხედვიდეს გარეთ შემაშფოთებელსა საცნობელთაჲსა.

5. ხოლო ნათელთა სიძისაჲთა ყოვლითურთ განათლებულ არს გონებითა და ღამპრისა მის საღმრთოჲსა.

6. ღამეყოელ ფარულად და დაუშრეტელად განმაბრწყინებელ მოლუანებითა და კეთილად ცხორებითა და სამართლად || 385vI (A) აღიტაცოს ესეცა ვიდრე მესამედ ცადმდე და სამოთხედ.

7. და თქუნეს მისა მიმართ ესევეითარნი სიტყუანი, რომელნი-იგი წუთლა ჯორცთა შინა მყოფისაგან უთქუმელ არიან, ხოლო მათ ესეოდენი პოონ⁴ წარმატებაჲ, ვიდრელა არცათუ უწყოდინ, თუ ჯორცთა შინა მყოფთა ესმიან საიდუმლონი იგი თხრობანი, გინათუ თვნიერ ჯორცთაჲსა, რომლისა მიმთხუევად⁵ მნებაჲს და ვილოცავ ყოვლისავე ქალწულთა კრებულისა, რომელთა უბინოდ და წმიდად დაცვისათვს ზემო თქუმული ესე მოძღურებაჲ წარმოვაჩინეთ.

8. და არათუ რაჲთამცა თქუმულთა ამათ მიერ სავნებელი რაჲმე ვასწავეთ, ანუ თუ ვითარ ჯერ-არს ქმნაჲ⁶ უშჯულოებისაჲ და შესაბრკოლებელისა დაგებაჲ, არამედ რაჲთა სახენი იგი შესაბრკოლებელთანი ვისწავნეთ და გულისწმა-ვყოთ, თუ ვითარ ჯერ-არს მათგან სივლტოლაჲ.

9. რამეთუ არცა რომელნი-იგი მკურნალობისა ჯელოვნებასა ისწავებენ, მაკუდინებელთა მათ მდელითა და გამხრწნელთა სამსალათა და სენის-მოქმედთა წამალთა ამისთვის ისწავებენ, რაჲთა საგზლად სიბოროტისა მიიღონ გულისწმისყოფაჲ იგი მათნი, რომელნი-იგი მკურნალთ-მოძღუართა დამწსნელად სენთა გამოცდილებისაგან ისწავეს.

¹ სცვდეს B;

² მესმნეს B;

³ უმჭუელად B, უეჭუელად C;

⁴ პოონ BC;

⁵ მიმთხუევად BC;

⁶ A- 927-ში აქ წყდება ტექსტი

10. და მკურნალთა ნიღ განმხრწნელ ცხორებისა კაცთაჲსა გამოჩნდენ, არამედ რაჲთა განმხრწნელნი ძალსა ბუნებისა ჩუენი || 385vII (A) სასა ისწავნენ და დამწსნელად სენთა შეიკრძალნენ და უკუეთუ სამე იხილონ მონევენული საღმობაჲ ჳორცთაჲ ჳელოვნებისა მიერ განწადონ¹.

11. სამნი უკუე სახენი გამოსაჭურისებისანი გჳრჳენნა² უფალმან ქალწულები-სა მიმართ მიმყვანებლნი, რომელთათჳს ბრძანებს, ვითარმედ: რომელსა ძალ-უც დატევნად, დაიტიენ.

12. და მისათუალველ არიან, რომელნიცა ერთსა, რომელთასაცა ურთა³ მათ გზათასა ვიდოდიან, ხოლო უსანატრელეს არიან, რომელნი-იგი მესამისა მის სარბიელისა მიერ რბიოდინ.

13. გარნა ყოვლინივე, რომელნიცა ამათ მიერ და გინათუ სხუათა უბიწოებისა გზათა რბიოდინ, სწორებით მოიგედ უბიწოებაჲ და სინმიდე და სათნოდ ცხორებისა იქმენინ მუშაკ, რაჲთა ყოვლისავე მნიკულისაგან შეუხებელ-იქმენ და წმიდა და ღმრთივბრწყინვალედ დაენინდენ სიძესა თჳსსა უკუდავსა და სძლად მისა გამოჩნდენ პირად-პირადად შემკულნი და მადლთა მისთა სიმდიდრითა ცათა შინა იხარებენ⁴ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა.

67. 1. ესე მოვენერე შენდა, ჳ საყუარელო ძმად და წმიდაო და პატიოსანო თავო, გულისწმის-ყოფად სიკეთესა ჳეშმარიტისა ქალწულებისასა არა [ხოლო] თუ საღმრთოთა ოდენ წერილთაგან, არამედ სიტყჳსა მისებრ ყოვლად || 386rI (A) ბრძნისა პავლესა, რაჲთა წარმოვტყუენო⁵ ყოველი გონებაჲ მორჩილებად ქრისტესა და გარეშეთაგანცა, რაჲთა ქრისტეს მონაფე ყოვლით კერძო მოლუანებად მოვიზიდო.

2. და რამეთუ ბრძენნიცა წარმართთანი მრავალფერსა მას და მრავალსახესა გულისთქუმასა და მისა მიმართ წყობასა ზღაპართა მიერ მოპოვნებულთა მოგვთხრობენ და ნოტიასა მას და მწკრის მსგავსსა გულისთქუმასა ჳორცთასა ქუენარმავალად⁶ რადმე მწყურნებსა შინა დაბუდებულად წარმოაჩენენ და მრავალსახედ და მრავალფერად⁷ ზღაპრობენ და მარტივად⁸ მოკუეთისათჳს თავისა მისისა ერთისა ნიღ სამთა თავთა აღმოცენებასა აღსწერენ, ხოლო დანუვით წარკუეთითა მოკლევასა მისსა სიბრძნის-მეტყუელებენ.

3. რამეთუ გულის-თქუმაჲ ჳორცთაჲ ნივთიერსა ბუნებასა შინა, ვითარცა ლენწმონანსა⁹ მწყურნებსა მძვნვარე მჳეცი, ესრეთ დაბუდებულ არნ და თვთოეულთა საცნობელთა მიერ განთჳსებულსა რასმე თავსა აღმოაცენებს.

¹ განწადონ B;

² გჳრჳენნა B;

³ ურთა AB;

⁴ იხარებდენ B;

⁵ წარმოვტყუენო B;

⁶ ქუენარმავალად B;

⁷ მრავალფერად B;

⁸ მარტივად B;

⁹ ლენწმონანსა B;

4. ესე იგი არს გემოაქსილვისა და ხედვისა და სხუათა მათ საცნობელთა მრავალსახესა და მრავალფერსა.

5. და უკუეთუ შუებითა და განსუენებითა და გემოთ-მოყუარებითა ჴელ-ვყოთ თავსა გულის-თქუმისასა || 386rII (A) წარკუეთაჲ. არაითუ აღმოცენებულსა მას მოვჰკუეთოთ,¹ არამედ ესევეითარიითა მით წარკუეთისა სახითა ერთისა ნილ სამ ნილად აღვაორძინებთ.

6. ხოლო უკუეთუ მარხვითა და მოლუანებითა, ვითარცა დანუვითა, მოვჰკუეთოთ² თავი იგი გულის-თქუმისაჲ, ვერღარა უძლოს ყოვლადვე კუალადცა აღმოცენებად.

7. რამეთუ უკუეთუ გემოთ-მოყუარებასა და ნაყროვანებას შეუდგე და ესრეთ გენებოს წარკუეთად თავი გულის-თქუმისაჲ, არა წარჰკუეთო, არამედ გემოთმოყუარებისა მიერ შვდ ნილად აღაორძინებ და მეძვობისა და არანმიდებისა მიერ მონა გულის-თქუმისა იქმნები.

8. ხოლო, რომელი შუებასა არა მიერჩდეს და განსუენებასა ჰბრძოდის მარხვისა და მოლუანებისა მიერ, ვითარცა ვთქუთ, ეგევეითარი-იგი, ვითარცა ცეცხლითა დასნუავსა ნივთსა მას გულის-თქუმათასა, და ჭეშმარიტად უცხო არს და განწდილ წესთაგან მოლუანებისათა შუებაჲ და ფუფუნებაჲ და ნეშტნი იგი განსუენებისა სახენი და ყოვლითურთ მუოზავებელ³ არს მოლუანეთა ცხორებისაგან.

9. და სიტყუაჲ იგი, რომელი თქუმულ არს წარმართთა მიერ, ვითარმედ გვან არს გულის-თქუმაჲ ჴელმნიფე აღსრულებად, რაჲცა-იგი ენებოს, რამეთუ ესე არს ძალი სიტყუათაჲ ამათ, რამეთუ, რომელი გულის-თქუმასა ჴელმნიფედ აღასრულებდეს, სადალა გამო ||386vI (A) ჩნდეს გვანობაჲ მისი ცოდვისა მიმართ.

10. ანუ თუ რომელი გემოთ-მოყუარებასა შეესაკუთროს, ვითარღა ჰქონდის ჴელმნიფებაჲ, რაჲთამცა წინააღუდგა გულისთქუმასა, ვინაჲცა არა ესრეთ წარკუეთებთის თავი ვნებათა, რაჲჟამს მონა მათდა ვიქმნებოდით, არამედ რაჲჟამს ახოვნითა გონებითა წინა-აღუდგებოდით და ეჰბრძოდით.⁴

11. და ესე სიტყუანი ვთქუნით სიტყვთა მათგან სანარმართოთა შემოღებითა და განმარტებითა მათითა.

68. 1. ხოლო საღმართოჲ სიტყუაჲ, რომელი მღდელისა მიერ, სიტყვსაებრ მოსესისა, ჴბოჲსა დაკლვასა აღსწერს, მრგულიად დანუვითა⁵ ასოთა მისთაჲთა ბუნებითისა მოლუანებისა სახესა განცხადებულად წარმოაჩინებს.

2. რამეთუ კერძოსა ღძღლისასა და არა ყოველსა ღძღლსა და ცმელსა, საბურველსა მუცლისასა, და არა თვთ მის მუცლისა, ხოლო თირკუმელთა⁶ არა ცმელსა, ხოლო არამედ თვთ მათცა, თირკუმელთა ცმელითურთ, მრგულიად დანუვასა ბრძანებს.

¹ მოჰკუეშით B;
² მოჰკუეშითთ AB;
³ მუოზავებელ B;
⁴ ეჰბრძოდეთ B; 5
⁵ დანუითა B;
⁶ თირკუმელთა B;

3. რამეთუ, ვინაჲთგან ღვძლი ორღანოჲ არს გულის-თქუმისაჲ, ვითარცა მოას-
ნავეებს სიტყუაჲ იგი მისთვის, რომელი განგურემულ იყოს ბოროტად გულის-თქუ-
მისა მიმართ და იტყვს; ვითარმედ იყო, ვითარცა ირემი მონყლული ღვძლსა ის-
რიოთა და ვითარცა ცოდვისა მიმართ და გულის-თქუმისა განთვსებულსა კიდისა
მის მიერ, რომელსა შინა ნავლელი დაშთების, ცეცხლითა || 386vII(A) დაწუვად
უბრძანებს. ხოლო ნეშტსა მას, ვითარცა წინა ნავლისაგან და ნივთიერისა გუ-
ლის-თქუმისა, კეთილთა გულისთქუმად ბუნებითად და დამარხვად ამცნებს.

4. ხოლო რაჲთა მუცლისა ნამეტნავსა, ვინაჲ-იგი პირუტყულად განვიპოხებით,
მოვიძურციდეთ¹ და საჭიროსა ხოლო შევიკრძალვიდეთ და კუალად თირკუმელ-
თა მიერ, რაჲთა არა განვამრავლებდეთ ცმელსა, არანმიდებისა თესლსა, არამედ
რაჲთა თვთმებრ მათცა თირკუმელთა წმიდა ვჰყოფდეთ, რომელ არს ბუნებითი
იგი და იძულებითი მჰყრობელი ცხორებისაჲ და გულის-თქუმაჲ კეთილისაჲ და
სინმიდისა და უბინოებისა მოგებაჲ.

5. რამეთუ, ვინაჲთგან თვნიერ საზრდელისა, ჳორცთა ცხორებაჲ შეუძლებელ
არს და ორღანო საზრდელისა მუცელ არს.

6. ჯერ-არს, რაჲთა ყოვლისავე ნაყროვანებისაგან განვაშიშულებდეთ და
საბურველსა მისსა ცმელსა კეთილად მოვსძარცვდეთ.

7. და კუალად ვინაჲთგან კეთილისა რაჲსმე მოგებაჲ ულონო არს, თვნიერ
ბუნებითისა გულის-თქუმისა, რომელი გუაქუნდეს მისა მიმართ, რომლისა-იგი
ძალი ვნებულსა მას გულისთქუმასა კეთილისა მისგან განჰყოფდეს, ვითარცა
ნავლიანსა² მას ღვძლისასა კიდისა, მისგან წმიდისა და წმიდასა მას სათნოებათა
გულის-თქუმასა წმიდად დაუტევებდეთ.

8. ხოლო ვინაჲთგან თირკუმელთა არცა ცხორები || 387rI (A) სა მიმართ ვხე-
დავთ საჭიროდ, ვითარცა მუცელსა, და არცა გულისთქუმისა განთვსებულსა მას,
ხოლო გულის-თქუმისა კერძსა მივითუალავთ მისგან შეილიერებისათვის, ვინაჲცა
არა ხოლო თუ ცმელსა ოდენ მათსა, არამედ თვთ მათცა მრგულიად დავსწუავთ
ცეცხლითა, რამეთუ შესაძლებელ არს თვნიერ თირკუმელთაცა, ესე იგი არს თვნი-
ერ ქორწინებისაცა ცხორებად და ანგელოზთა მობაძავისა მოქალაქობისა ამასვე
სოფელსა შინა წარმართებად.

9. და, რაჲთა ამის ყოვლისა მიერ განვბრძნდეთ და ყოვლითა სიბრძნითა გან-
სნავლულნი ყოვლისავე გულის-თქუმისა მართ, ვითარცა მრავალთავისა მის
სანარმართოსა³ ვეშაბისა, სიმწნით განვენყვნეთ⁴ და ბრძოლა ვსცეთ ახოვნად და
წარვეჰკუეთნეთ⁵ თავნი მისნი, რომელნი-იგი საცნობელთა მიერ სამარადისოდ აღ-
მოჩნდებიან.

10. გარნა ნუშცა წარვეჰკუეთთ მათ ესევითარითა სახითა წარკუეთისაჲთა,
რაჲთამცა უმრავლესთა თავთა წარმოყოფად ვაბეზლებდით, არამედ მოთმინები-
თა და მოლუანებითა და სამარადისოდ და ჯეროვნად მარხვითა ვსწუვიდეთ მათ

¹ მოვიძურციდეთ B;

² ნავლიანსა B;

³ სანარმართოსა B;

⁴ განვენყუნეთ B;

⁵ წარვეჰკუეთნეთ B;

გულსმოდგინედ, რაითა ვერღარა შეუძლოთ წარმოჩენად მრავალთა სახეთა მათ და მნიკულევანთა თავთა თვსთა, რაითა ესრეთ წარუდგინნეთ || 387rII (A) თავნი ჩუენნი ღმერთსა მსხუერპლად უბინოდ და სათნოდ, ვითარცა ჳბოჲ იგი მღდელთა მიერ და სამღდლოდ შეწირული, რაითა არანმიდათა გულის-თქუმათა, ცეცხლი-ლა მოლუანებათაითა დავსნუვიდეთ¹, ვითარცა-იგი კიდესა მას ღვძლისასა.

11. და ნემტნავსა საზრდელისასა, ვითარცა ცმელსა მას საბურველსა მუცლისასა და კულად ყოვლითურთ ქორწინებისა აღრევათა გულისთქუმასა, ვითარცა თირკუმელთა ცმელითურთ, რომელთაგან გამოვალს გრგენაჲ იგი და მცენარებაჲ თესლისაჲ, საღმრთოითა მით სიყუარულისა ღმრთისა და მოლუანებისა ცეცხლითა განვჰლევედეთ², რაითა, წესისამებრ უბინოესა ქალწულებისა, რომლისა მუშაკად ვიჩინენით, ყოვლისავე უჯეროესა გულსთქუმისა და ყოვლისავე გემოთ-მოყუარებისა და ნაყროვნებისა მოლუანებისა და მონაზონებისა მიერ უვალრეს გამოვჩნდეთ,

12. და რაითა წინაგანმზადებულთა მათ ღუანლისა ნიჭთა და უხრწნელებისა გვრგვნთა მოღებად ღირს-ვიქმნნეთ ქრისტე იესუს³ მიერ უფლისა ჩუენისა⁴, რომლისა მიერ და რომლისა თანა დიდებაჲ მამისა სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

¹ დავსნუვიდეთ B;

² განვჰლევედეთ B;

³ ქრისტეს იესოს B;

⁴ ჩუენისა B;

ლექსიკონი:

აგებულება კაცისა – φσιολογία, ἡ – სხეული, ტანი, აღნაგობა, შედგენილობა: „ყოველივე აგებულება კაცისა, ვითარცა ვირდები რაიმე ალაგო დამბადებელმან“ 7, 2.

ადრევე – πάλαι, τὸ – უნინ, ოდესღაც: „დალაცათუ ადრევე მოკუდეს, არამედ სამარადისოდ უმნარეს იქმნების სატანჯველი მათი“ 33, 6.

„აზნაური და წარჩინებული“ – ἐυγένεια, ἡ – კეთილგვარიანი, ახოვანი: „აზნაურისა და წარჩინებულისა ქმრისა [ნილ მონისა] თვისსა თანა განხრწნდებოდის“ 39, 12.

არანმიდა – 1. ἀνόσιος (α), ον – ბილნი, უნმინდური: „...უმცა ვინ არს ესრეთ არანმიდა, რომელმანცა... სული... მრუშებისა ცეცხლითა... დანუნა“ 41, 3.

2. ἄλλότριος, α, ον – „ხოლო რაოდენიცა რაე იყვის უნესოე და არანმიდაე, გონიერებისა ჳელითა გარეშე სარკუმელთაჲსა განაგდის იგი გულისჳმის-ყოფით“ 15, 10.

არანმიდება – ἀκολασία, ἡ – „ბილნება“ უნმინდურება: „...კმა არიან სახედველნი... არანმიდებისა მიმართ აღზრზენად გონებისა“ 13,1.

არსება – οὐσία, ἡ – არსება, ბუნება:

„ერთი არსებაე და ბუნებაე და სული მიცემულ არს მამაკაცისა და დედაკაცისადა“ 4,1.

ასოე, ასონი – λεφθίν, τὸ – სხეული, ტანი, სხეულის ნაწილი: „მამაკაცსა სურვილი თვისსა მის ასოჲსაჲ შეახო ძლიერად“... 4, 10.

1. μέλος, τὸ – „შეყოფისა მიერ თვისსავე მას ასოსა თანა შეაერთა“ 4, 10.

2. μοῖρη, ἡ – განიპოხებოდიან რაე ესე გემოჲსხილვისა მიერ მათ ქუეშე მყოფნი იგი ასონი“... 7,5.

ალთქუმა – 1. ἐπαγγελία, ἡ – მითხრობა, ბრძანება: „... ვერცა ჳორციტა შემძლებელ არს განჯსნად ალთქუმისა მისებრ“ 43,5.

2. συσθικαι, αἱ – „განსცა თავი.თჳსი ქალწულმან მან და განუდგა ალთქუმა-თა სიძისათა“ 41, 4. ὑποσχέσθαι – „დალაცათუ უარ-ჳყოფენ ალთქუმასა მისსა... გარე-მიაქცევენ“ 40, 3.

3. ὑπόσχεσίη, ἡ – „საბრჯედ დაეგო მას ალთქუმაე იგი ქალწულებისა. “ 21,4.

ახოვანი – θαρσαλέον, τὸ – ძლიერი მძლავრი: „...ინებეს... რაეთა ახოვან იყენენ“ 36, 12.

ბინი – μόλισμα, ατος, τὸ – ნაკლი: „ქალწულსა... თანა-აც ყოველითგან ბინთა შეუხებელსა სიტყუასა... აღმოცენებად“ 20, 4.

ბოროტი – δεισός, ἦ, ὅς – უკეთული, საძაგელი: „და უკუეთუ პირველ ბოროტთა ამათ გამოცდილებისა ერთბამად სძალცა იქმნეს და ქურივცა“... 23, 7.

ბრალობა – ψόγιος, ὁ – დადანაშაულება ბრალდება: „სხუანი შემინდეს თავველობისა ბრალობათათვს“... 36, 12.

ბუნება – φύσις, εως, ἦ – „განყოფილებაამცა ხედვისა ბუნებისა მათისა გულისწმა-გიყავ შენ“ 1,3.

ბუნებითი – φυσική, ἦ

1. ბუნებითი მჭურვალება – ἦ θερμὴ φυσική – აქ: ადამიანის აგებულებისთვის ჩვეული, დამახასიათებელი, სიმხურვალე, ენერგია, ტემპერატურა: „ჭაბუკ რა ვიყვნეთ და ბუნებითი მჭურვალება გუმძლავრობდეს“ 8, 7.

2. ბუნებითი სიკეთე – τὸ φυσικὸν κάλλος – „ბუნებითსა მას სიკეთესა თვსსა, მონაზონებისა მოღუანებათა მიერ, სამარადისოდ განაბრწყინებდეს“ 24,4.

3. ბუნებითი სიყუარული – φυσικὴ σχέσις – წინასწარ დადგენილი განსაზღვრული ზნე:

ა. „ბუნებითი სიყუარული არა შეუნდობდეს“ 8,5.

ბ. „უკუეთუ დედაკაცი დედაკაცისა ჯორცთა შეეხოს და მამაკაცი მამაკაცისათა აღუძრველად ჰგიეს, ბუნებითი იგი სიყუარული მათი ურთიერთარს, გარნა თუ საოცრება რამე იქმნეს წსენებისა“ 45,4.

4. ბუნებითი ტრფიალება – φυσικὸν τῆς ἐρωτικῆς – „პირველქმნილისა ბუნებითისა ტრფიალებისაგან დაუნჯებულ იყო მათ შორის და უცხოესა ტრფიალებისათვს თვსებისა მიმართ“ 45, 4.

5. ბუნებითი შეენიერება ჯორცთა – τὸ φυσικὸν τοῦ σώματος κάλλος – „თანა-აც ქალწულსა... რათა ბუნებითსაცა შეენიერებასა ჯორცთასა... ლონისძიებით ჰფარვიდეს 18, 1.

გამოცდილება – πείρα, ἦ – აქ: შეხებით მიღებული გამოცდილება:

1. „ჟამისა გამოცდილებისაგან ისწავის (უბინოების მსურველი)“... 36, 11.

2. „პირველ ბოროტთა ამათ გამოცდილებისა ერთბამად სძალცა იქმნეს“ 23, 7.

გამონულიღვით, კრძალულებით || მონინებით – ἀκριβῶς – ზედმინევენით, ჭეშმარიტად, განცხადებულად, განკრძალულად, მტკიცედ, გულსმოდგინებით:

1. „გამონულიღვით გულისწმა-უყო და ვასწავო“... 1, 4.

2. „ამათდა ესევეითართა კრძალულებით და მონინებით ჯერ-არს ზრახვა, რათა ზრახვისაგან დაფარულად აღმოცენებულსა მას ჯორციელსა სიყუარულსა გონიერებით განჰკუეთდენ“ 37,4.

განზრახვა – βύσλη, ἦ ἔννοια, ἦ – ზრახვა, გულისზრახვა, განგება:

1. „რასათვს ცოდვისა მისთვის განზრახვისა ჟამსა ცეცხლითა დაუნუა“... 42, 11.

2. „გონება ჩუენი, ვითარცა მხატვარი მაგალითსა, ესრეთ გამოსწერს სულსა ზედა გონებათა და განზრახვათა, ვითარნიცა ენებენ“... 30, 2.

განკრევაბა - ἔκστασις, εως, ἦ - აღფრთოვანება, შეძრწუნება, განკრთობა, ექსტაზი: „არამედ განკრევებითა რაიმე საღმრთოთა განკრდინ მსგავსად მისა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მე ვთქუ განკრევაბასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს“... 26, 7.

განსამართლებელი - ἀπολογία, ἦ - სიტყვის-გება, მიგება, პასუხისგაცემა, თავის მართლება: „კაცთა წინაშე ... განსამართლებლად უარისყოფისა ბრალსა განჰფენენ“ 40, 2.

განსლვა - παρόδος, ἦ - შესვლა: „სახე იგი ქალწულებისა ნამებს წინაშე ყოველთაჲსა და რამეთუ შეერთებითა მისითა განშუენებულ იყო და მისსა მიმართ განსლვაჲცა ცხადად წარმოაჩინებს“ 39, 3.

განუკრძალველად - ἀνιδόπως - მოურიდებლად: „ამისთვის თანა-აც, რაჲთა ყოველსავე საქმესა შინა სიკეთე ქალწულებისა თვისსა განუწყუნელად დაიცვას, და რაჲთა არა განუკრძალველად ერეოდის უშუერთა საქმეთა და განხრწნეს უხრწნელება იგი, რომელსა სდევს უწესოდ განგებითა თვისითა“ 21, 7.

განუკრძალველი - ἀναγῆγος, ὅς - უზრდელი, უტიფარი, მოურიდებელი: „განუკრძალველთა და განტევებულთა საცნობელთა მიერ თავი თვისი შეწყნარებად არანმიდებისა განმზადის და შეაბილწის“ 15, 10.

განუწყუნელად - ἀνιδόπως, ὅς - წმიდად, უბინოდ: „ამისთვის თანა-აც, რაჲთა ყოველსავე საქმესა შინა სიკეთე ქალწულებისა თვისსა განუწყუნელად დაიცვას, და რაჲთა არა განუკრძალველად ერეოდის უშუერთა საქმეთა და განხრწნეს უხრწნელება იგი, რომელსა სდევს უწესოდ განგებითა თვისითა“ 21, 7.

განყენება - 1. ἀποχή, ἦ - აქ: მარხვა (გაცლა, განდგომა):

ა. „არა არს სასუფეველი ცათაჲ საქმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშკდობა და სიხარული სულითა წმიდითა რომელთათვის-იგი ჭამადთაგანცა განყენებაჲ, გულისჰმის-ყოფით ქმნილი, მითუალვის“ 12, 2.

ბ. „საცნაურ უკუე იყავნ ყოველთადა, რომელთაცა ჰნებავს მწვეალსა მას ჭემმარიტისა მის ქალწულებისასა განყენებითა ჭამადთაჲთა და სხუათა მათ ფიცხელთა მოღუანებათა მიერ ქალწულებით დამარხვად“ 13, 1.

2. ἔγκρατεια, ας, ἦ - კრძალულება, მარხვა, მოთმინება: „რამეთუ არცა ესე ჯერ-არს... რაჲთა ნაყროვნებისა რაჲ ვნებათა ჭამადთა განყენებითა დააცხრობდეს“... 8, 1.

განშუენება - κάλλος, εως, τὸ - გამშენიერება, შემკობა: „განცხადებულ-იქმნეს... საქმე ჭემმარიტისა ქალწულებისა... თუ რომელთა მოღუანებათა მიერ განშუენების“ 2, 10.

განშუენებული - σεμνὸς, τὸ - გამშენიერებული, შემკობილი, განწმენდილი: „სახე იგი ქალწულებისა ნამებს წინაშე ყოველთაჲსა... რამეთუ შეერთებითა მისითა განშუენებულ იყო“ 39, 3.

განცდა - καταστροφή, ἦ - აქ: დანახვა, ცქერა: „ჭემმარიტად სარკუმელ არიან სულისა საცნობელნი, რომელნი-იგი სულმან, უკუეთუ ვითარცა პატიოსან-

მან ვინმე დედაკაცმან, გარეთ ხილულსა ამას ნათელსა განცდად ჯეროანთა რათმე საქმეთა მყუდროებით განახუნეს, განათლდების“ 15, 9.

განცხადებულად – καθαρᾶς – ნამდვილად: „ბილნთა გულის-ზრახვათა მიერ არცა მისი სძალი არს და არცა განცხადებულად ცოლი კაცისა“... 28, 3.

განძლომა – ἔμφορέα – აღვსება, „განძლება“: „მომკუდარ[ნი] ჳორცნი... ღირს იქმნებიან განძლომად საღმრთოესა მის სიკეთისაგან“ 25, 3.

გარდასლვა – παράβασις, εἰς, ἡ – შეცოდება: „ბოროტად საფუძველად დაუდვა (ქალწულმა) თავსა თვსსა გულის-თქუმა იგი და გარდასლვისა უშჯუ-ლოება“... 39, 1.

გემოთმოყუარება – φιλήθισσις – სიამისმოყუარება, გაუმადლობა: „ჳორც-თა ზრუნვისა არა-ყოფა არა მარხვად განაჩინა მოციქულმან, არამედ შესძინა, ვი-თარმედ... გემოთმოყუარება ჳორცთა მოლუანისა მიერ განიკუთოს“... 12, 1.

გემოასხილვა – γέμμα, ατος, τό – 1. გემო, გემოვნება, გემოს გასინჯვა: „არა სასმენელნი განუხუნეს ყოველსავე სიტყუასა განუკითხველად, არამედ უჯეროთა სიტყუათა მიმართ, ვითარცა დამპალთა და მყრალთა გემოასხილ-ვათა მოსწრაფედ დაიყვნეს იგინი“ 5, 3.

– γέμισις, εἰς, ἡ –

გინება, აგინებს – ἕψιδε – ἕψιδε, ἡ – შეურაცხყოფა, „უბატვიო-ყოფა“:

1. „...იმრუშებს (ქალწული) მრუშებისა ცოდვითა... და არა ხოლო თუ ცოდავს, არამედ აგინებსცა უღმრთოებით“ 28, 3.

2. „ქორწინებისა იგი ხრწნილება და გინება განიცადა“ 23, 14.

გონება – α. γυμάη ης, ἡ – მეცნიერება, გულისწმისყოფა:

„თვნიერ ზაკუისა და ორგულებისა, ესევითართა გონება შეუძლებელ არს პოვნად“ 17, 4.

ბ. δάσισια, ἡ – გაგონება. მოგონება, გონიერება, სიბრძნე:

„თანაწარუვალ არს დაბეჭდულთა მათ სახეთა შექცევა გონებისა“ 13, 9.

გ. ἔσισια, ἡ –

„სიტყუა... შთა-რად-ვარდენ სულსა ქალწულისასა ვითარცა წყალსა წმიდასა სიღრმეთა შინა გონებისათა, ზედაჲს-ზედათა ტრფიალებათა აღსძრვენ“ 14, 8.

დ. „გონება ჩუენი, ვითარცა მხატვარი მაგალითსა, ესრეთ გამოსწერს სულსა ზედა გონებათა და განზრახვათა... ვინათგან უჳორცო არს, არარას მიე-ცემის ჭირსა წერისათვს, და რაოდენიცა ენებოს სივრცე ადგილისა, ჰპოვებს და აღსწერს განზრახვათა, ვითარნიცა ენებენ...“ 30, 2.

ე. „უკუეთუ იყვნენ ხატნი იგი საღმრთო და წიგნთაგან წმიდათა და გულის-ზრახვათა სათნოთა აღწერილ... სამართლად ღირს-იქმნენ ქებისა“ 30, 5.

ვ. „დავინყებითა აღვკოცნეთ ვსენებანი, უჯეროთა და არანმიდათა გულის-სიტყუათა და გონებათანი...“ 31, 11.

ზ. „სული, გულის-სიტყუათა მათ, რომელნი ჳორცთა მიერ სრულ-იყვნეს, საქმით წარმოაჩინებს“... 31, 6.

თ. $\sigma\upsilon\sigma\epsilon\iota\delta\omicron\varsigma$, $\acute{\omicron}$ - „იგი არს შემასმენელ თავისა თვისისა და თვთ იგი ღონე დაფარვისაჲ შინაგან აქუს განმაქიქებელად მნიკულევანისა მის გონებისა მისისა“ 28, 1.

გონიერება - ა. $\sigma\upsilon\sigma\epsilon\iota\omicron\iota\varsigma$, $\epsilon\omega\varsigma$, η - ჭკუა, სიბრძნე, აზრი: „... გონიერებისა თვისისა ვმაჲ აღმოუტეოს“... 27, 8.

ბ. $\mu\epsilon\phi\omicron\rho\sigma\alpha$ - „სიყუარული ჯერ-არს... რაჲთა გონიერებით საზომსა სიყუარულისასა აღპრაცხდეს“ 43, 4.

გ. $\phi\omicron\rho\sigma\eta\tau\iota\varsigma$, $\epsilon\acute{\omega}$ η - „ხოლო რაოდენიცა რაჲ იყვის უნესოჲ და არანმიდაჲ, გონიერებისა ჳელითა გარეშე სარკუმელთაჲსა განაგდის“ 15, 11.

დ. $\phi\omicron\rho\sigma\mu\omicron\varsigma$, $\omicron\upsilon$, $\tau\omicron$ - „ჯერ-არს... რაჲთა... აღმოცენებულსა მას ჳორციელსა სიყუარულსა გონიერებით განჰკუთედენ“ 37, 4.

გულისთქუმა - $\pi\acute{\alpha}\theta\omicron\varsigma$, $\epsilon\omicron\varsigma$, $\tau\omicron$ - სურვილი, ნადილი: „მან თავი თვისი განუტეოს და ჳორცთა გულისთქუმასა მიექცეს“ 42, 5.

დამბადებელი - ა. $\Delta\epsilon\mu\iota\upsilon\rho\gamma\omicron\varsigma$, $\acute{\omicron}$ - სამყაროს შემქმნელი: „...სოფლისა ამის აღვსებაჲ ინება დამბადებელმან“...3, 5;

ბ. $\pi\omicron\iota\eta\tau\eta\varsigma$, $\omicron\upsilon$, $\epsilon\omega$, $\acute{\omicron}$ - „...ჭეშმარიტად უშუერება არს ქალწულისა... რომელსა აღეთქუას უხრწნელებაჲ... სილაღე და ზუაობაჲ დამბადებელისა მიერ მიცემულისათჳს შუენიერებისა და საანჯმნო ყოფად სიკეთისა მის“...16, 2.

დამპალი, მყრალი - $\delta\upsilon\sigma\acute{\alpha}\theta\eta\varsigma$, $\epsilon\varsigma$: „სასმენელნი უჯეროთა სიტყუათა მიმართ, ვითარცა დამპალთა და მყრალთა გემოჲსხილვათა მოსწრაფედ დაიყვნეს“... 5, 3.

დასაბამი - $\alpha\rho\chi\eta$, η - მთავარი, მთავრობა, პირველი, დაწყება საძირკველი: „...სულთა სხუაჲ რაჲმე დასაბამი ყონ“...38, 6.

დაფარული - $\alpha\pi\acute{\omicron}\rho\phi\eta\tau\omicron\varsigma$, $\omicron\upsilon$ გამოუთქუმელი, უთქუმელი, მიუთხრობელი, ძნელად გამოსათქუმელი, საიდუმლო, უშუერი: „...ჳორცნი... აღევადნიან რაჲ დაფარულთა შინა, აღწერილსა მას ნათელსა შინა უზუენებს ყოველთა“...30, 4.

დანულილებული მუცელი - η $\alpha\gamma\iota\alpha$ $\lambda\epsilon\pi\tau\eta$ - აქ: მშიერი:

„...დანულილებული მუცელი დაწსნილობისა მიერ უსულო-ჰყოფს გონებასა უძლურებითა ჳორცთაჲთა“...10, 6.

დიდება - $\delta\acute{\iota}\delta\epsilon\alpha$, $\eta\varsigma$, η - ცნობა, განწესება, თხრობა, სარწმუნოება:

„კაცთა დიდებასა ქალწულებისათჳს ქალწულებისა სახითა მიიპარავს“... 28, 3.

ეზოჲსმოძღუარი - $\nu\mu\phi\alpha\gamma\alpha\gamma\omicron\varsigma$, η , $\acute{\omicron}$ - ა. ეზოჲსმოძღუარი:

„ჯერ-არს სიყუარული სულიერთა მოძღუართაჲ, არამედ მართლითა სიყუარულითა და შეუმრღუეველითა, რაჲთა არა ზედაჲს-ზედა სწავლისა და სმენისა მათისაგან სიძისათჳს სწორად სიძისა შეიყუარნე იგი და დაჰწსნა პატივის სიძისა და ეზოჲსმოძღუარნი პატივისა მეფისასა აღიყვანნე და დიდი საენებელი მოიტყუა“37,1.

ბ. ქალწულისა ეზოესმოდღურებისა განმგებელი: „და ვინმცა კაცთაგანმან შეურაცხ-ყო დაფარული იგი პირი ანგელოზისაჲ, რომლისადა რწმუნებულ არს მოღუანებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ და უფროსლა ქალწულისა ეზოესმოდღურებისა განმგებელი და მცველი ქალწულებისა მისისაჲ“ 29, 4.

გ. ეზოესმოდღუარი და მოძღუარი: „ზედაჲს-ზედა ზრახვით მით მისითა ტრფია-ლებასა მას მისსა თჳსა მომართ მოცვალებად ღონე-ჰყოფს და ეზოესმოდღური-სა და მოძღურისა სახელითა და სახითა მემრუშედ სძლისა მრავალ მანქანად და ვერაგობით გამოჩნდების“ 37, 14.

ენაჲ - γλῶσσα, ἡ, ἡ - „ნუცამცა ერთითა რაჲთ სახითა იმრუშებს ქალწული: ნუცა ენითა...“ 27, 1.

ერთი დედის ნაშობი - ὁμογάστριος, ὁ, ἡ - „სიყუარულსა ძმათასა გარე მივაქცევთ, არამედ ყოველთავე, ვითარცა ერთისა დედისა ნაშობთა სიყუარულად შეუნდობთ და ერთისაცა დედისა ნაშობთა განკრძალულად სიყუარულსა განვაზრახებთ“. 44, 1.

ერთჯორც - μία σάρκα - „იყვენ ორნივე იგი ერთჯორც“... 3,26.

ესავეს - πειθω - მნამს: „იგი ესავეს ქალწულებისა უცოდველობასა“. 35, 5.

ესევითარი - ἀεμόττω - შევეტყვები, შევესატყვისები: „არცა მას თანა-აც ესევითარისა რაჲმე მოცემად შენდა“. 25, 1.

ეჭჳ - ὑπάτης, εως, ἡ - ეჭჳ, ფიქრი: „ეჭჳსათჳს და რიდობისა საქმედ უჯეროესა ვერ იკადრებს“ 28, 3.

ვირდევი - κένταυροι, οἱ - კენტავრი: „ყოველივე აგებულებაჲ კაცისაჲ, ვით-არცა ვირდევი რაიმე ალაგო დამბადებელმან“ 7, 2.

ვნებაჲ - πάθος, τὸ - ზიანი: „წარდევნოს ვნებაჲ იგი“ 42,6.

ვნებითა ტრფიალებისაჲთა - τοῦ ἕρωτος πάθε - „გული... განასივის მწა-რითა მით ვნებითა ტრფიალებისაჲთა“ 14, 5.

„ზედაჲს-ზედა“ - στυχεῖς - გამუდმებული: „ზედაჲს-ზედა კეთილთა ჳსენე-ბითა აჳოცად მათდა ...და უჩინო-ყოფად ისწრაფოს“ 13, 16.

ზიარებაჲ - κοινωσία, ἡ - „სასუფეველისა ზიარებაჲ... შეამრღვა“ 41, 4.

„დალაცათუ შენ არა ეზიარო ქორწინებასა მისსა, სხუასა მისცემს თავსა თჳსსა“ 41,5.

„ზიარი სულისა ჩუენისაჲ“ - ὁμόψυχοι, ἡ - თანამოზიარე: „ზიარო სულისა ჩუენისაო ლიტოიე“ 1, 2.

ზრახვაჲ - ὁμιλία, ἡ - ზრუნვა: „მონინებით ჯერ-არს ზრახვაჲ, რაჲთა ზრახვისაგან დაფარულად აღმოცენებულსა მას ჳორციელსა სიყუარულსა გო-ნიერებით განჳკუეთედენ“ 37, 4.

ზრუნვაჲ -

ა. μεριμνή, ἡ - „...(უფლას) რასმე შესძენს ზრუნვითა მით, რომლისათვის იგი ზრუნავს, რაითა სათნო-ეყოს, არამედ მისთვის ზრუნვითა მით თავსა თვისსა შუენიერებასა და უხრწნელებასა შეუკრებს.“ 24, 5.

ბ. παρρησία, ἡ - „...წორცთა ზრუნვისა არა-ყოფად არა მარხვად განაჩინა მოციქულმან...“ 12, 1.

გ. προστασία, ἡ - „ღმერთსა არწმუნოს ზრუნვად თვისი“... 24, 11.

„თავით თვისით“ - αὐτόματος (ἡ), οὐ - თავითი, ნეფსითი, თვისითობა, ხედო-მით: „არა უწყის სულმან მისმან (დედაკაცის), წორცთა მამაკაცისათა თავით თვისით შეყოფად მისსა მიიზიდავს“ 3, 23.

თავჯედი - θρασύς, εἶα, ὅ - „...აცთუნნა და თავჯედად გამოაჩინნა...“ 36, 12.

„თავჯედობისა ბრალობა“ - θρασυτή ψόγῳ - „...სხუანი შეშინდეს თავჯე-დობისა ბრალობათათვს“... 36, 12.

თანაზიარი - κοινάσιος - „მისთვის დაგლახაკებული იგი თანაზიარ სიმდი-დრისა და სუფევისა მის ზეცათაჲსა იპოვოს“ 26, 5.

თუალი - ὀφθαλμός, ὅ - „ნუცამცა ერთითა რაით სახითა იმრუშებს ქალწული. ... ნუცა თუალითა“... 27, 1.

„თვთმებრ“ - αὐτόθεν - თვს გამო:

„თვთმებრ იგი არს შემასმენელ თავისა თვისისა“ 28, 1.

„თვთმფლობელობა“ - αὐτεξουσίος, α, οὐ - თვთხელმწიფე, თვითმფლობელო-ბითი: „გონებაჲ ჩუენი... თვთმფლობელობისა მიერ თავისუფლად განტყე-ბულ არს“ 30, 2.

„თვსი“ - οἰκεῖος - საკუთარი:

„...თვსისა... ღმრთეებისა სიმდიდრესა აღვიდოდის“ 26, 5.

„კაცთმოძულება“ - ἀνάμνησις, οὐ - ადამიანის, კაცობრიობის სიძულვილი:

„კაცთმოძულებაჲ ასწავა“ 36, 20.

„კეთილი ზიარება“ || **„კეთილთა მოგება“**, - სიკეთის შეზიარება: καλῶν κτήσις - „სულისა მძლავრებად აღჭურვაჲ კეთილთა ზიარებისა დამახრწ-ველ-იქმნების“ 10, 1; „კეთილთა მოგებასა დააჭირვებს მას უძლურებითა თვისითა“ 10, 4.

კეთილი - καλός, ὅ - კარგი: „რომელნი-იგი ზეცისა ტრფიალებამან განცდად კეთილისა მოწყლნა“ 1, 1.

„კეთილნი მოლუანებანი“ - καλά, τὰ - კარგი საქმიანობა: „...წორცთაცა იგი კეთილნი მოლუანებანი სრულ-იქმნებიან“ 2, 7.

„კეთილისა მის მსახურება“ - κάλλος, εἰς, τὸ - სიკეთის ქმნა, სიკეთის სამსახურის განევა: „წორცთა ქალწულებასა კეთილისა მის მსახურებისა მწველად იწმარებს“ 2, 3.

„კრძალვა“ – ἔγκρατεια, ας, ἡ – კრძალულება, მარხვა, მოთმინება: „ვინაათ-გან ესევეითარი ვნებაჲ ეუფლოს სულსა ნამეტნავ არს მიერიტგან საჭამადთაცა კრძალვაჲ“... 13, 22.

„ლამპარნი ტრფიალებისანი“ – τῶν ἑροτῶς λαμπάδας – „წორცთა შუენიერებაჲ ლამპართა მათ ტრფიალებისათა თუალთა ნინაშე მათთა უმეტეს ალატყინებდეს“ 44, 3.

ლიქნა – κολακεία, ἡ – პირფერობა: „ლიქნისა მის მიერ მზაკუვარებასა თჳსსა საანჯმნო-ჰყოფს“ 37, 13.

მადლი – κατόρθωμα, ατος, τὸ – მადლობა: „...მადლსა და ქებასა ამიერ მიუძღუნებენ მას“... 33, 5.

მამ(ე)ული ეზო – θάλαμος, ὁ – მშობლიური: სახლი, ოთახი, საცხოვრებელი: „პირველ შჯულიერისა ქორწინებისა მამულთა ეზოთაგან ვერ განვალს ქალწული, ვიდრემდის უფლად და მოღუანედ ცხოვრებისა თჳსისა მოიგოს ქმარი თჳსი“... 39, 7.

მამ(ე)ული სახლი – πατρὸς οἶκος – მშობლიური სახლი: „განვიდა ქალწული მამულთა მათ ეზოთაგან და დაამონა თავი თჳსი შჯულიერსა მას სიძესა თჳსსა“... 39, 8.

„მართალი სიყუარული“ – ἡ δικαία ἀγαπή – ჭეშმარიტი, შეურყვენელი სიყვარული: „ჯერ-არს სიყუარული სულიერთა მოძღუართაჲ... მართლითა სიყუარულითა“... 37, 1.

მახალი – λάχαιον, τὸ – მწვანილი: „რამეთუ არა თუ თესლნი ხოლო და ცერცუნი, არამედ მახალთაგანცა არამცირედნი არიან, რომელნი-იგი არა გარეშისა სახისაებრ იქმნებიან მარჯუე საზრდელად მოღუანისა“... 8, 14.

„მედგრობა“ – ἀπόσιαι, ἡ – უგუნურება, უღმობელობა: „ნუშცა ვინ არს მონა ესევეითარისა მედგრობისა“ 41, 2.

„მემრუშე“ – μοιχαλς – მრუში: „უკედავისა მის ქმრისასა მემრუშედ შეირაცხვის“ 39, 4.

„მეუღლეზა“ – συμψῆσις – მეუღლეობა: „...სიკუდილი ქმრისაჲ... უბოროტეს არს უგემურებისათჳს მეუღლეებისა“ 23, 8.

მეუფე – δεσπότης, ου, ὁ – უფალი, პატრონი: „მეუფედ უწყალოდ მოიყიდის ცოლი ქმარსა ზითევისა მიერ“ 23, 16.

მეძავი – ἁκόλαστος, ου – დაუთმენელი, მემრუშე, ბილნი, არანმიდა, მნიკუღევანი: „მოიწყალნ უკუე მეძვისა ვისმე სული სინმიდისა სიკეთითა მოწსენებთა ქალწულისა პატიოსნებისათა!“ 22, 8.

მზაკუვარება – ἑπιβουλῆ, ης, ἡ – ბოროტება, ცბიერება, მტერობა, ზაკვა: „მზაკუვარებასა თჳსსა საანჯმნო-ჰყოფს...“ 37, 13.

მზაკუვარი – ἑπιβουλος – ბოროტი, ცბიერი: „მზაკუვარსა გონებასა გარე მი-აქცევს“... 28, 2.

მზრუნველი – προϊστάτης, ου, ό – წინამძღოლი, მეურვე, პატრონი: „მოკუდავი ქმარი თავისა თვისისა მზრუნველად მოიგოს დედაკაცმან“ 24, 10.

მთავრობა – εὐχέλια, ας, ή – აზნაურება, გვარკეთილობა: „ან ძონძითა შემოსილი... სასუფეველსა ცათასა დედოფლად და მთავრობითა და შემკობითა განშუენებული მეუფისა წინაშე მდგომარე იქმნეს“ 26, 6.

მთხრებლი – βάραιρον, τὸ – ორმო: „ვინაეცა რაეთა არა სიყუარულისა სახელთა ესევეითართა ამათ ბოროტთა მთხრებლსა შთავარდეს ქალწული“ 40, 4.

„მიერიტგან“ – λοιπὸν – ომ დროიდან, მერე: „ნამეტნავ არს მიერიტგან საჭამადთაცა კრძალვამ“ 13, 22.

მიზეზი – ὑπαίθεσις, εως, η – „...კარად და მიზეზად ურიცხუთა მათ საღმობათა და ტკივილთა ქორწინებასა განულებს თავსა თვისსა“ 23, 17.

„მიმდგომ“ – ἀκολουθία, ή – შემდგომობა, შეწყობილება: „წორცთა სიბოროტისა მიმდგომ იქმნებიან სულნი“ 38, 6.

„მიმყოვრებული“ – χρῆσις – დაყოვნებული: „...რაეთა არცა ერთი ხატი წორციელი, მიმყოვრებულისა ჩუეულებით მიხედვისაგან გამოსახული, დაშთეს მის შორის“ 13, 15.

„მისაგებელი“ – ἀμοιβή, ή – მისაგებელი, ნაცვალი, სანაცვლო, ნაცვლისგება, მენაცვლეობა: „უფალმან ღირსი მისაგებელი სიყუარულისა მათისა ამიერვე აუნყა“ 25, 18.

მოდრეკა – τοῦ πρηιός λοφάα – აქ: ვნების, გულისთქმის დაოკება: „არცა მიმყოვრებამან ჟამისამან მოდრიკა იგი“ 42, 10.

მოკუდავი – μετρος, ό – 1. „რომელი მოკუდავსა ქორწილსა შეეყოს, თავისა თვისისა ზრუნვათა ზედა სხუათაცა ზრუნვათა ქმრისათვს შეიმატებს“ 23, 2.

2. „განხრწნადი და მოკუდავი“ – „მოკუდავსა და განხრწნადსა კაცსა და საშჯელად თავისა თვისისა თუალთა წინაშე ქმრისა თვისისათა განხრწნად და შეგინებად მისცემს ქალწულებასა თვისსა“ 39, 11.

მოკუდავი ქმარი – ὁ μητρός ἄνθρωπος – „რომელმან მოკუდავისა ქმრისა განტევებული შეირთოს, იმრუშებს“ 42,4.

მოსწრაფება – σπιδή, ή – სწრაფვა, გულმოდგინება: „ჯერ-არს ქალწულისა-და... აჩუენებედ მათთვს მოსწრაფებასა“ 21, 4.

„მოუგონელი“ – ἀδόκιμος, ου – მოულოდებელი, განსაკრთომელი: „...განლევამ მოუგონელთა შემთხუევათათვს სულსა მისსა ზედა მოიწვევის და დადნების“ 23, 6.

მიწონვა – ταλαντέσα – მითვლა: „რომელი-იგი... სამართლად და ჯეროვნად მიუწონდეს ჯეროვანსა სიყუარულსა“ 37, 12.

„მოღება“ – ἐπιμέλεια, ας, ή – მოკვეთა, „დაპყრობა“: „ჯერ-არს, უკუე წორცთაცა მოღება“ 11, 12.

„მოღუანე“
1. (უფალი და მოღუანე) – προϊστάτης, ὁ – პატრონი, ხელმძღვანელი: „უფლად და მოღუანედ ცხოვრებისა თვისისა მოიგოს ქმარი თვისი“ 39, 7.
2. η ασκετή, οὖ, ὁ –

„თესლნი და ცერცუნი... იქმნებიან მარჯუე საზრდელად მოღუანისა“ 8, 14.

„მოღუანება“ –

3. ἀσκεισις, εως, ἡ – ლუანლი, ხელოვნება, სწავლა, მონაზონება:

„ვითარცა-იგი ვიხილეთ რომელთამე მოღუანეთა შორის“ 9, 2.

4. κηδεμοισια, ἡ – ზრუნვა:

„კაცთა მოღუანებასამცა საგმობელად თჳსად განიჩემებდეს“ 43, 10.

5. φιλοσοφια, ἡ – „სიბრძნეთა მათ მოღუანება“:

„ჯერ-არს... მსახურებად მოღუანისა ნესთა მოგება მათი, რამეთუ უკუეთუ ძალი შემძლებელი მსახურებად სიბრძნეთა მათ მოღუანებისათა არა აქუნდეს ჳორცთა“ 11, 11.

6. σκληραγωγια, ἡ – „ვინაეთგან ესევითარი ვნება ეუფლოს სულსა, ნამეტნავ არს მიერთგან საქამადთაცა კრძალვამ და ნეშტი იგი ჳორცთა მოღუანება“ 13, 15.

„მონყალება და სიტკბობა“ – „συμαθης σπουδαζομαι“ – ნყალობად და სიტკბობად:

„თანაგრძნობისაკენ მისწრაფებუნი“: „სხუანი მონყალება და სიტკბობად ჳგონებდეს წარმატებასა“ 36, 19.

მოძღუარი – διδάσκαλος ου, ὁ – მოძღუარი, მასწავლებელი: „რომელი მზესა [ქუშუე ზრახვდეს] მოძღუარსა, არარას ზრუნავს აჩრდილისათჳს“... 17, 11.

„მპყრობელი“ – δάρκης, ες – მტკიცე, განგრძობადი:

„სიყუარულსაცა მისსა და ყოვლისა მპყრობელსა ძლიერებასა... მინდობილ არს“... 24, 4.

„მრავალფერი“ – πολύμορφος – მრავალსახოვანი: „არა ერთისა ხოლო განმხრწნელთა შეხებათაგანისაგან თანა-აც კრძალვამ ქალწულსა... არამედ ყოველთავე მრავალფერთა მათ ტომთა შეხებისათა“... 15, 12.

„მრუშება“ – μοίχεια, ἡ – გარყვნილება: „რაჟამს უკეთურებად მიდრკენ, მრუშებისა საქმეთა იწყებენ ნივთებად“ 27, 4.

„მრუშება და სიძვამ“ – ἀκοιάσθης ἡδονῆς – გარყვნილება, მრუში სიამე:

„და თუალნი და სასმენელნი... მრუშებითა და სიძვითა ფარულად აღივსებიან“ 27, 5.

„მსახურება“ – ὑπερεια, ἡ – სამსახურის განევა: „...მათცა უცხო ჳყოფენ მსახურებისაგან სიძისა...“ 37, 3.

„მსგავს არს კაცისა“ – ἀμφαπόμορφος – მსგავსი: „ვირდევი... თავითგან ვიდრე ნელთადმდე მსგავს არს კაცისა...“ 7, 2.

„მსგავსება“ –

1. ἑξομοιωσις – „უხრწნელისა ღმრთისა მსგავსება ვითარცა განწმენდილსა სარკესა შინა გამოაჩინოს“ 2, 6

2. ὁμοιοτης – „განეხუნიან რამ იმიერ და ამიერ, მსგავსებისა მისგან შესცოთის“ 36, 15.

მსგავსი – ὁμοιος – „... მსგავსითა მსგავსსა, რომელ არს უხრწნელება, მსახურებასა ხოლო უხრწნელისა ღმრთისასა განიცდის ღირსად“ 2, 3. **„ხატ და**

მსგავს : „ღმრთისა სათნო-ყოფისა ნებებაჲ სხუად არაჲრაჲ არს, არამედ, რაჲთა თავი თვისი საქებელ ყოს და სანატრელ და ხატ და მსგავს მისა...“ 24, 6.

მშჯავრი – κρίσις, εως, ιος, ἥ – **მშჯავრი სიმართლისაჲ**: „მშჯავრითა სიმართლისაჲთა აღირჩიოს ქორწინებაჲ...“ 38, 10.

მშჯავრი სიმართლისანი: „ყოველთავე მშჯავრთა სიმართლისათა დასთრგუნავს“ 45, 3.

მცნებაჲ – ἐπιτολή, ἡς, ἥ – ბრძანება, კანონი: „მცნებაჲმცა აქუს უფლისაჲ და მისთვსმცა იქმნების განსლვაჲ მისი“ 19, 2.

მნიკული – ἀίσχος, εος, τὸ – სირცხვილი, ბინიანობა, საძაგელება, გარდარეულება: „მნიკულად საბასრობელად შეჰრაცხოს“ 26, 2.

„მწუერვალი“ – παρὰφασ, ἀθως – ყლორტი, რტო: „უკუეთუ შვილთა მწუერვალნი აღმოაცენნეს, თითოეულსა შვილთა შობასა თანა განიბძარვის სულითა ნაშობთა“ 23, 5.

მწყემსვა – ἡπισχῆα – „სულისა განწესებულთა მათ ჳორცთა გულისხმისყოფით ჰმწყსიდეს“ 7, 8.

ნათელი – φάτις, το – „ტკბილისა მის ნათლისა, რომელსა შინა იყო, უფროს სურვიელ იქმნეს“ 42, 8.

ნათესავი – γένος, εος, τὸ – თვისტომი, ერი: „ესევეითარი ესე ძლიერებაჲ მიანიჭა და მბადებელმან ნათესავსა დედათასა“ 3, 27.

„ნაყროვნებაჲ“ – γαστρομαργία ας, ἥ – მუცლის ამოყორვა: „სიზრქე ჭამადთაჲ ნაყროვნებისა მიერ უშურველად შთადიოდის“ 10, 5.

γῆστως, εως, ἡ – „მათ... წინა უძღვს ნაყროვნებაჲ“ 6, 6.

ნებაჲ – πάθος – აქ: ნადილი, სურვილი: „ხოლო ბორგნეულნი იგი, რომელთა ჳორცთა ნებისათვის ესევეითართა უშჯულოებათა შეჰკადრეს, არა ტირი[ი]ან, არცა იგლოიან“... 40. 1.

„ნივთი“ – 1. δρᾶμα ατος, τὸ – საგანი: „(ქალები) ნივთად მწუხარებათა და გლოვათა ამის ცხორებისათა გამოჩნდის“ 23, 15.

2. ἄλη, ἡ – მატერია, საგანი: „გემოთმოყუარებაჲ [და] გულის-თქუმაჲ ჭამისა მიერ [და ს]უმიისა ზედათკერძო შეუ[კრე]ბს ნივთსა საჭუმილისასა“ 7, 5.

„ნუგეშინისცემაჲ“ – παραμυθεῖσθαι – „უარისყოფისა უძვრესითა ბოროტითა ცოდვისა მის ნუგეშინის-სცემასა ჰგონებენ“ 40, 2.

„ოთხმწყობრი“ – τετραδων, τὸ, – ოთხი მწყრივი: „რომელმან-იგი სიმით წერისა ჳელოვნებაჲ ისწავოს, ყოველთა მათ სიმითა სახე და სახელი და გუარი რეამწყობრთა მათ, გინა ოთხმწყობრთაჲ, სულსა შინა თვსსა უტვრთავს გამოსახულად, საჭმარად თვსად და მისათხრობელად“ 31, 6.

„ოთხნი იგი ნივთნი“ – ὁ τετραῖος μέρος – ოთხი ელემენტი: „ვორცთაცა შინა მშვიდობისა ჯერ-არს მოგება და უძღურსა მას ოთხთა მათ ნივთთაგან, რომელთაგან აგებულ ვართ...“ 12, 8.

ოთხძალი – τετραχοιδιον, τὸ – ოთხი ელემენტის ერთიანობა: „ვითარცა ოთხ-ძალსა, კეთილად მორთულსა, ეგრეთ ჯერ-არს მორთვაი ოთხთა მათ ნივთთაჲ, რომელთა მიერ აგებულ ვართ...“ 9, 9. „...ყოვლისავე შეუწყობლობისაგან განშორებულთა შეწყობილი და მორთული ჳმაჲ გამოსცენ ოთხძალთა მათ, რომელნი არიან ჳორცნი...“ 9, 11.

„ორგულება“ – ἑπαρκισις, ἡ – პირფერობა:

„ქალწულებისა სახესა ორგულებით სცვიდეს“ 13, 13.

„ორღანოჲ“ – ὀργάνον, τὸ – ორგანო „დადნობისა და მისთვის და დარღუევისა ორღანოჲსა ვერღარა გუეძლოს ნიგნისკითხვად“ 11, 10.

პატივი – 1. ἁδένσιμος – „უფროსლა პატივისა მისთვის ანგელოზთაჲსა“ 34, 3

2. ἄξι, ἡ – ღირსება, დიდება, დიდებულება, მთავრობა, ნესი:

„საქმით ჭეშმარიტისა სიყუარულისა პატივისა შეაგინებდეს“ 37, 9.

3. ἀξια, ατος, τὸ – ღირსება, ვედრება, დიდება, მთავრობა, სათხოვარი:

„მამაკაცი, ვითარცა არს ზიარი ანგელოზთა პატივისაჲ, ბრძანებულ არს მისდა“ 34, 4.

4. ἰσότης, ὁ – „პატივი“ – თანაბარი პატივი: „დაჰჳსნა პატივი სიძისაჲ“ 37, 1.

პატიოსანი – σάφιας, ον – დიდებული, სარწმუნო რჩეული: „სულმან, უკუეთუ ვითარცა პატიოსანმან ვინმე დედაკაცმან, გარეთ ხილულსა ამას ნათელსა განცდად ჯეროანთა რათმე საქმეთა მყუდროებით განახუნეს, განათლების“ 15, 8. „პატიოსანი და წმიდაჲ, მსგავსად სახლისა შემკულისა, გულსა შინა თვისსა იქცევი“ 15, 10.

ακριβής τόπος – რჩეული სახეები: „რამეთუ არა თუ ამისთვის ვასწავებთ მას, რათამცა კაცთმოძულებასა შევაყენეთ, არამედ რათა პატიოსანთა ხატთა მიერ ყოვლითურთ თავითგან და ვიდრე ფერჳთამდე ძეგლად საღმრთოდ გამოვხატოთ“ 36, 2.

პატიჟი – 1. εὔθεια, ης, ἡ – სასჯელი:

„ვითარ შესაძლებელ არს განრომაჲ პატიჟთაგან“ 31, 15.

რაბამობა||ვითარება – ποιότης, ητος, ἡ – რაგვარობა: „და ნუმცა რაბამობასა ოდენ გამოვიკულებეთ ჩუენ შორის მყოფისა მჳურვალებისა და სიგრილისასა, არამედ ვითარებასაცა სიჳმელისა და ნოტიისასა“ 9, 10.

რვამწყობრი, მწყობრი – ὀκτας, οκτάδος – რვამწყობრი: „რომელმან-იგი სიმით წერისა ჳელოვნებაჲ ისწავოს, ყოველთა მათ სიმიათა სახე და სახელი და გუარი რვამწყობრთა მათ, გინა ოთხმწყობრთაჲ, სულსა შინა თვისსა უტკრთავს

გამოსახულად, საწმარად თვსად და მისათხრობელად“ 31, 6. „დაივინყებს და წარსწყმედს წსენებასა მათსა, ვიდრელა არცაჲ თუ ერთისა მწყობრთა მისთაგანისა წსენებაჲ დაშთის მის შორის“ 31, 13.

საგრძნობელი – αἰσθητικὸς εἶδος, ἢ ἡ αἰσθητικόν, τὸ – გრძნობა, გრძნობათა ორგანო: „ნივთი გულის-თქუმისაჲ ერთსახე არს და ვითარცა წყაროჲ რაჲმე წორცთაგან აღმოდის და, ვითარცა ხუთთა ნაკადულთა მიმართ, ხუთთა საცნობელთა მიმართ განიყოფის და მათ მიერ შინაგან საგრძნობელთა შევალს“ 4, 6.

საზრდელი – τροφή, ἢ – საკვები: „საზრდელთა ცა მარხვაჲ და ნეშტნი-იგი მოლუანებანი თავს-ისხნეს“ 2, 5.

სათნობაჲ – ἀρετή, ἢ – სიკეთე, სიქველე, მოსანონისობა: „სათნობისა გზასა სლვად მოსწრაფე-იქმნეს“ 4, 2.

სალმობაჲ – ὀδυσή, ἢ – ტკივილი: „შეითხინენ სალმობათა მათთვის ქორწინებისათა“ 21, 7.

„სამჭედური“ – δέλεαρ, τὸ – სატყუარა, ცდუნება, ანკესი: „ამის უკუე ყოვლისათვს ჯერ-არს კრძალვაჲ ქალწულისაჲ... რაჲთა მტკიცედ გამოსცემდეს სიტყუასა და წმასა და სლვითა და ყოვლითაჲვე ძრვითა წორცთაჲთა დაპყრობად გულის-თქუმათა სამჭედურსა“... 18, 4.

„სანატრელი“ – μακάριος – ნეტარი: „რამეთუ ჭეშმარიტად ღმრთისა სათნო-ყოფისა ნებებაჲ სხუაჲ არაჲრაჲ არს, არამედ, რაჲთა თავი თვისი საქებელ ყოს და სანატრელ“ 24, 6.

„სანაოაჲ“ – ἄρτυμα, αἶμα, τὸ – სანელებელი, საკმაზი: „მარილიცა სანაოაგე არს“ 9, 6.

„სანუკვარი“ – ἡδυσμα, τὸ – ნუგბარი, გემრიელი: „რომელთაჲმე მოლუანეთა შორის... მარილსა ხოლო იწმარებდეს სანუკვარად პურსა თანა“ 9, 2.

სასმენელი || **სმენა** – ἀκοή, ἢ – „სასმენელთა ფიცხელთა წმათაგან მიარიდებს“ 5, 9. „სათნობისა სიტყვთა ტკბილად სმენისაგან მეტყუელისა მის სულისა სიყუარულითა აღაორძინეს“ 36, 9.

„სასძლოა“ – πιαστός, ἢ – საქორწინო სარეცელი, ოთახი: „წორცნი თვისნი, ვითარცა სასძლოა და ტადარი მეუფისაჲ, ესრეთ აქუნდინ მომზადებულად“ 27, 2.

„სასძლონი მგალობელნი“ – ἑπιθαλάμιος, ὁ, ἢ – საქორწინო ჰიმინი: „სასძლო მგალობელი, გალობს ძნობითა მით საზარელითა“... 23, 17.

„საქმე ცოდვისაჲ“ || **„შეყოფაჲ და ცოდვაჲ“** || **შეერთებაჲ** – συμπλοκή, ἡ „უკუეთუ ვინმე საქმეთა ცოდვისათა ევლტოდის, და ესევეთარი იგი ცთომილთა ამათ და არანმიდათა გულის-თქუმათა მიერ შებჰრკოლდებოდის, და განიხრწნებოდის“ 15, 11.

„შეყოფისა მის და ცოდვისა ბოროტად საფუძველად დაუდვა თავსა თვისსა გულის-თქუმად იგი“ 39, 3.

„...არა ურთიერთარს შეერთებითა ხოლო, ვითარცა ვთქუთ, ერთობა მათი განაგო და ერთჯორც-ყენა ორნივე, არამედ სურვილისა და ტრფიალებისა ნათელი აღაგზნა მათ შორის“ 3, 14.

„სანერელი“ – γραφειον, ὄν, τὸ – სანერი ჯოხი:

„და რომელი-იგი წარმოაჩინა სიმიამ, სანერელითა გამოუნერა“... 31, 8.

„სივერაგე ეშმაკთაჲსა“ – τὰ τῶν δαιμόνων ἐπιχειρῆ – „ჯერ-არს კრძალვა... სივერაგეთა მათთვისცა ეშმაკთაჲსა“... 34, 3.

„სიკეთე“ – καλλος, τὸ – „არა ჯერ არს... ქალწულებისა სიკეთესა წარუპარველად დაცვად“ 35, 3.

„სიმიამ“ – τὸ σῆμειον – ნიშანი, ემბლემა, სახე: „დალაცათუ არა წერდეს ჳელი სიმიასა, არამედ სახეთა მათ მიერ სიმიისათა ყოვლით კერძო აღწერილ არს სული დალაცათუ არა წერდეს ჳელი სიმიასა, არამედ სახეთა მათ მიერ სიმიისათა ყოვლით კერძო აღწერილ არს სული“ 31, 8.

„სიმიით-წერა“ – σημειογραφικῆ – სწრაფად წერა: „რომელმან-იგი სიმიით წერისა ჳელოვნება იხნავოს, ყოველთა მათ სიმიათა სახე და სახელი და გუარი... სულსა შინა თვისსა უტკრთავს გამოსახულად“... 31, 5.

სიტყვის შემოქმედი – ποιητής, ὄν, ἑ, ὁ – „არცა პირველი იგი აჩუენებს უბინოსა გულისსიტყუასა, ვინაჲთან საქმისა სიტყვს შემოქმედისა, ვითარცა თვისთა ძალითა გინა სათნოებითა მოგებულისათვს, ესრეთ ზუაობს და ნანარობს.“ 16, 5.

სიუზმე || სიყმილი – ἔνδεια, ἄς, ἡ – ნაკლულევანება, მოკლება, უღონობა:

„გარდარეულითა სიუზმითა წინამდებარისა მის სათნობათა სრბისაგან დაიხრწევის (ცხენი ჳორცთაჲ ჩუენთაჲ)“ 8, 4. „არცა ესე თანა-აც (მხედარსა)... რაჲთამცა სიყმილითა მოაშთო იგი (ცხენი ჳორცთაჲ ჩუენთაჲ) და უჳმარ-ყო ძალი მისი“ 8, 6.

სინმიდე || წმიდა – καθαρῶς – ა. „ესემცა არს საქმე ქალწულისაჲ, რაჲთა... თვისსამცა ოდენ სიძესა სინმიდით სათნო-ეყოფის“ 36, 1.

ბ. „...ამისთვისცა არარას ზრუნავს (ქალწული) სოფლისასა, რაჲთა ყოველთავე მსოფლიოთა ზრუნვათაგან წმიდა ქმნილი წმიდითა და უშფოთველითა გონებ-ითა თვისსა სიძესა შეესაკუთროს“ 24, 2.

ტრფიალება – ὀστρος, ὁ – სიყვარული ნდომა: „დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი, არა დედაკაცმან, არამედ მამაკაცმან ტრფიალებისა მისთვის დედაკაცისა შეყოფისა იძულებულმან“ 3, 22.

ტრფიალი – ἑραστῆς, ὄν, ὁ – მტრფიალობელი:

„შინაგანსაცა ტრფიალსა სათნო-ეყვენ“ 17, 6.

„უბიწოა ქალწულება“ – τὸ ἄμαστος τῆς παρθένου – „...არა ვართ საბრალო-ბელ ამისცა ესევეითარისა კრძალულებისათჳს, რომელი ესე თავს-ვიდევით უბი-წოასა ქალწულებისათჳს“ 45, 1.

„უგემურება“ – ἀθῆνα, ἡ – ვნება, ურვა, მყრლობა, უშუერება: „ცხორება უბოროტეს არს უგემურებისათჳს მეუღლებისა“ 23, 8.

უღებება – ἀμελεία, ἡ – სიზარმაცე: „რომელმან-იგი ისწავა სიმია უღებ-ბითა წერისა მისისაათა, დაივიწყებს და წარსწყმედს წსენებასა მათსა“ 31, 13.

უვარისყოფა – παράβασις, ἑσθ, ἡ – „უვარისყოფა ქალწულებისა საძა-გელ არს და საყუედრელ“ 40, 2.

უკუდავი სიძე – ἀδελφὸς ἀνδρ, ὁ – „უკუდავისა მის სიძისა სძალსა არსადა განტევებულისა განხრწნა იკადროს“ 42, 4.

უკუდავი ქმარი – ἀδελφὸς ἀνδρ, ὁ – „უკუდავისა მის ქმრისასა მემ-რუშედ შეირაცხვის“ 39, 4.

„უფალი“ – ἀσθένεια, οὐ, ὁ – ბატონ-პატრონი: „მამულთა ეზოთაგან ვერ განვალს ქალწული, ვიდრემდის უფლად და მოლუანედ ცხორებისა თჳსისა მოი-გოს ქმარი თჳსი“ 39, 7.

„უძღურება“ – ἀσθῆνεια, ἡ – უძალობა, შეუძლებლობა: „უძღურებისათჳს ბუნებისა თანა-აც განყენება და უჭმარ-ქმნა წორცთა“ 8, 1.

უხრწნელება ქალწულებისა – ἀχράτος παρθένος – „არა ვართ ღირს ბრალობისა, რათა უხრწნელებისათჳს ქალწულებისა ესევეითარიცა ესე განკრძალვა სძალსა ქრისტესა მიუთხრათ.“ 45, 2.

„უწორცოა,“ „უნივთოა“ – ἀσάματος, οὐ – უსხეულო: „არღარა მიხედავს წორციელსა მას სიყუარულსა, რომელი აქუს მამაკაცისა მიმართ, არცა იგ-ონებს, არამედ უწორცოეთა მით სულითა, რომელი მკვდრ არს მის შორის, უწორცოესა ღმრთისა საკუთრებასა და სიყუარულსა ფრთხილითა თუალითა განიცდის და უნივთოსა მას სიყუარულსა და ტრფიალებასა უმძაფრეს და უბრწყინვალეს ალაგზებს“ 4, 3.

„ფერი“ – σχημα, τὸ – სახე, სამოსი, ქცევა: „...ესემცა არს საქმე ქალწული-სა, რათა გონებითა და ძრვითა და სახითა და ფერთა და მხოლო და სხუთა თანა თჳსსამცა ოდენ სიძესა სინმიდით სათნო-ეყოფის“ 36, 1. „სახითა და სიტყვათა სძლად ჭეშმარიტად ღმრთისად გამოჩნდეს“ 36, 2.

„ფიცხლად მოლუანება“ – ἡ ἑγκρατείας ὑπερβόλη – მეტისმეტი თავაშვე-ბა: „ვითარცა-იგი ვიხილეთ რომელთამე მოლუანეთა შორის, რომელთა-იგი ფიცხ-ლად მოლუანებითა ყოველივე საჭმელთა ჳუმევა განემორა და მარილსა ხოლო იჭმარებდეს“... 9, 2.

„ფლობა“ – πρῶστασία, ἡ – ნება, უფლება: „პირველ შჯულიერისა ქორწინები-სა მამულთა ეზოთაგან ვერ განვალს ქალწული, ვიდრემდის უფლად და მოლუანედ ცხორებისა თჳსისა მოიგოს ქმარი თჳსი და ფლობასა მისსა დაემორჩილოს“ 39, 7.

ქალწულება – παρθενία, ἡ – შეუუღლებლობა: „რომელნიმე ქალწულები საგალობითა... ჯორცთა შემაინრებელთა შესხმასა წარმოიტყვიან“...1, 1.

ქალწულებისა ეჭვ – παρθεσικης ὑπόψυς – შეუღლებლობის ფიქრი: „ქალწულებისა ეჭვთა საძულელად გამოაჩენს თავსა თვსსა“ 28, 2.

„ქალწულებრივი ცხორება“ – „ὁ παρθεσικος βίος“ – უხრწნელი ცხოვრება: „ესე ყოვლითურთ უჯერო არს, რაჲთამცა ქალწულებრივისა ცხორებასა სდევედეს“ 43, 10.

„ქება და ნეტარება“ – ἑπαισιος, οὐ, ἴο – ლოცვა, ქება:

„სამართლად ღირს-იქმნენ ქებისა და ნეტარებისა“ 30, 1.

„ღვანლის დამდებელი“ – ἁγιασθέντης, οὐ, ὶ – ორთაბრძოლის მომწყობი, მსაჯი: „ღუანლის დამდებელისაგან და მხილველთაგან ორკერძოვე საყუდრელ იქმნენ“ 11, 6.

ლონე – ἐπίσιος, ας, ἡ – ა. გონება, მოგონება, მეჭველობა, ეჭვი, მანქანება: „თთ იგი ღონე დაფარვისაჲ... აქუს განმაქიქებელად მნიკულევანისა მის გონებისა მისისა“ 28.

ბ. ღონისძიება: „ბუნებითსაცა შუენიერებასა ჯორცთასა... ღონისძიებით ჰფარვიდეს“ 18,1.

ღონისძიება – μὴχανή, ἡ – ხრიკი, საშუალება: „...გარეშეთა ჯორცთა განშუენებისა ღონისძიებითა აზრზენენ...“ 17, 5.

შეერთება – ἐνωσις, εως, ἡ – ერთობა, ერთქმნა: „შეერთებაჲცა იგი ჯორცთაჲ სამართლად შეუდგა“ 38, 5.

შეკდიშება – ἀνδρας, οὐς, ἡ – კდემა, კრძალულება, მორცხოზა, მოშიშება: „თავი თვისი, ვითარცა ღირსი არა შეკდიშებისაჲ, აგინა“ 29, 2.

შემკობა – δόξα, οὐς, ἡ – ჩაცმა, მორთვა, მოკაზმვა: „განიძარცუეს რაჲ სამოსელი იგი... საცინელ-იქმნა გარეშე იგი შემკობაჲ მათი“ 30, 10.

შესანიარავი – ἁσάθημα, ατος, τὸ – მსხვერპლი, ჭურჭელი, საღმრთო, უნჯი, სამკაული, ძღვენი, ნიჭი: „დაიკრიბა... სულიერთა მათ და ცხოველთა შესანიარავთაჲ“... 41, 2.

„შეუნყოფლობა“, „შეუზავებლობა“ – ἁσπμοστος, οὐ – შეუნყოფელი: 1. „ესრეთ ყოვლისავე შეუნყოფლობისაგან განშორებულთა შენყოფილი და მორთული წმაჲ გამოსცენ ოთხძალთა მათ“ 9, 11.

2. „შეუზავებლობითა უძღურებისა და არანმიდებისაჲთა სულნი ჩუენნი აღავსნეს“ 12, 8.

„შეყოფა“ || **„ურთიერთარს შეყოფა, –μῖζις, εως, ἡ** – „განმხრწნელი,“ სიძვა:

ა. „ურთიერთარს შეყოფისა გულის-თქუმაჲ ერთჯორცად გამოაჩინებს მათ“ 38, 3.

ბ. „არა ერთისა ხოლო განმხრწნელთა შეხებათაგანისაგან თანა-აც კრ-
ძალეჲ ქალწულსა“... 15, 12.

გ. „რომელსა ენებოს ქალწულებისა მიერ ძლევად სიძვისა გულის-თქუმა-
თად, და საჭირო არს და უღონოდ, რაჲთა პირველად გემოხსილვისა და ნაყროვნე-
ბისა გემოთა და გულის-თქუმათა მძლე-ექმნეს“...7, 1.’

შენყობილი – εὐνομοστος, ον – კეთილად შენანვერებული, შემსგავსებული:
„შენყობილი და მორთული ჳმაჲ გამოსცენ ოთხძალთა მათ“ 9, 11.

შეხებაჲ – ἀφ᾽ ἡ – შეხება, წყლულება, საღმრთა: „სახედველთა და ჳმისამიე-
რი შეხებაჲ ჳელთა მიმართ მიველენ ფარულად“ 15, 11.

„შინაგანცემი“ – ἐπιβουλῆ, ης, ἡ – ლაღატი: „სამეუფოსა სარეცელსა მონასა
თვსსა შინაგანცემით აღიყვანებდეს“ 39, 12.

„შუენიერებაჲ“ – κάλλος, τὸ – სიკეთე: „მოგებულთა მათცა შუენიერებასა
მიჰპარავს“ 10, 4.

„შჯულიერი“ – ἑπιθεσιμος, ον – კანონიერი: „საღმრთოსა მის ტრფიალებისა
სიბორგილითა შჯულიერად აღბორგდეს“ 25, 12.

ცოტუნებაჲ, – ἀπατάω- მოტყუება, შეცდენა: „ნუ აცოტუნებნ თავსა თვსსა“
27, 13.

„ცხორებაჲ“ 1. – σωτηρία, ἡ – „ვინაჲცა არა ჯერ არს, რაჲთა თვსსა ხოლო
უვნებელობასა ზრუნვიდეს და რომელთა-იგი ვნებად შემძლებელ იყოს მათისა
ცხორებისა შეურაცხ-ყოფად“ 35, 3.

2. – κέντρος ζαῖης – ცხორების სარგებელი: „არა ჯერ არს... მხილველთაცა
მისთა ცხორებისა შეძინებად“ 35, 3.

„ძალი შემწუელობისაჲ“ – εὐεργεία (ἡ, ἡ) τῆς παρὸς, – მოქმედება, საქმე,
მოდრავობა, ძლიერება, ღონიერება, ღვანლი, შენვენა: „ძალი იგი შემწუელო-
ბისაჲ... შეედვას... ყოველსავე გუამსა“ 14, 9.

ძლიერებაჲ – δύναμις, εως, ἡ – ძალი, მადლი: „არცა ურწმუნოდ არს ღონიერ-
ისა მისთვის და საჭიროთა საჭმართა მომპოვნებელისა თვსისა ქმრისა ძლიერე-
ბისა“ 24, 3.

„წესი“ – ὑπόθεσις – დადგენილება, მოსაზრება: „ჯერ-არს ქალწულისადა,
რაჲთა განეშოროს ქორწინებისა წესთაგან“ 23, 3.

„წესი და სახე“ – τρόπος, ὁ – გზა, საშუალება: „ესე ვთქუთ წესისათვს და
სახისა გემოთმოყუარებისა“ 9, 12.

წვალებაჲ – τὰ αἰρετικά δόγματα – განხეთქილება: „...წვალებაჲ სოფელსა
შინა დასთესეს...“33, 6.

ნიგნი – πινναξ, ακος, ὶο – „საქმით ვერ სრულ-იქმნენ ნიგნსა მას შინა სული-სასა“ 31, 5. δέλτος, ἠ – სანერი დაფა: „რომელმან-იგი სიმით წერისა ველოვნება ისწავოს... სულსა შინა აღწერილთა მათ ველთამიერითა აღწერითა ნიგნთა შინა წარმოაჩინებს“ 31, 6-7.

წინამძღუარი – καθιγγητης, οἷν, ὶο – „ზრახვასა მას წინამძღურისა თვისასა შემსჭუალულ არნ“ 17, 11.

წმიდა – ἀχραντος, οἷν – შეუბღალავი, სუფთა, უხრწელი: „წმიდასა მას შე-სანირავსა საღმრთოსა მემრუშითა მით ველითა შეეხო“ 41, 1.

„წმიდა და პატიოსანი“ – χρεῖστος – სასარგებლო, საამო: „იხილის წმიდა და პატიოსანი სათნობა“ 15, 10.

წმიდა ტრფიალება – ὶο καθαρως ἔρας – „აჩუენეს წმიდა იგი ტრფია-ლება მისი“ 25, 18

ჭამადი – α. ἕδεσμα, ατος, τὶο – საჭმელი, სანოვაგე: „ყოველთა ჭამადთა მიმართ უაღვროდ მიშუება გემოესხილვისა ბოროტ არს“ 8, 2.

ბ. – κατάποσις, εως, ἠ – „ჯერ-არს, რათა ქალწულივე იყოს და არცა ერთისა ჭამადთა სიტკობებისაგან ლიქნილი გულის-თქუმათა მიერ განიხრწნებოდის“ 7, 7.

ჭეშმარიტი – α. ἀληθης, ἔς – მართალი, განცხადებული: „და უმრავლესნი სახელსა ხოლო ქალწულებისასა განიცდიან და არარას ზრუნვენ ჭეშმარიტისა ქალწულებისათვს“ 2, 8.

ბ. – γυήσιος, α, οἷν – ჭეშმარიტება, თვისებითი, საკუთარი, ერთგული:

„ენება, რათა ჭეშმარიტი იგი სიყუარული მისი საანჯმნო-ყონ“ 25, 16.

– ὶο τας – „სიღრმეთა შინა სულისათა დაუნერგავს კეთილთა ამათ ჭეშმარი-ტი სიმდიდრე“ 1, 4.

ჭეშმარიტი ქალწულება – ἀλεθης παρθενία – „ხოლო ყოველსავე შუენიერე-ბასა ჭეშმარიტისა ქალწულებისასა შეამკობს“ 16, 1.

ხატება და მსგავსება – ἕδᾶ, ἠ – „თითოეულსა ცხოველსა თვისი ხატება მსგავსება ... განუკუთნა“ 3, 5.

ხატი – α. ἕδᾶ, ἠ – „სახენი იგი ხატისა მის ხილულისანი თავსა თვისა შორის გამოიწერნეს“ 13, 7.

ბ. μοιφή, ἠ – „სანელებელად სახედველთა შეჰმოსდეს სივერაგესა გულები-სასა ხატსა თვისსა“ 18, 1.

გ. χαρακτηρ, ἠρος ὶο – „უკუეთუ მიადგნეს სადამე თუალნი, რათა წინაუკუმოთა ძალითა ხატნი იგი, რომელნი აიძულებდენ, რათა გამოსახნეს მის შორის, გარენარაქცინეს და ავოცნეს თავისა თვისსაგან“... 13, 9.

დ. ἱστορία, ἡ – „ესრეთ იქმნების ხილვად დაფისა მის სულიერისად, მრავალ-ფერთა და პირად-პირადთა ხატთა მიერ აღვსებულად და ყოველთავე სახილველად წინაშე მდებარედ“ 30, 4.

ხილი – ἀκριδρα, τὰ – ნიგოზი, ვაშლი, ხეთა ნაყოფი, ხილნარი: „თანა-ედვას კრძალვად ხილთაგან“ 9, 4.

ჯეროვანი – ἐπιβάλλω – ღირსი, შესაფერი, საკადრისი: „ჯეროანთა რათმე საქმეთა“ 15, 8.

ჯეროვნად – ა. ἑικόντως – სამართლად: „ჯეროვნად შეიყენეს“ 38, 5.

ბ. ἀναλογία, ἡ – შესაბამობა, პროპორციულობა: „ჯეროვნად მიუზღავს სავმარსა სიტყვასა“ 20, 12.

კომენტარები:

აეტიოსი (Ἀέτιος) – იყო ანტიოქიის დიაკვანი, არიანელთა უკიდურესი მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი, ანომიელების ლიდერი (იხ. ანომიელები). 356 წელს იგი გამოვიდა ანომიელობის ქადაგებით. გამოირჩეოდა დიალექტიკური შესაძლებლობებით და შეხედულებათა სიმყარით და იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც არიანობას განსაკუთრებით უჭირდა. აეტიოსის დოგმატური სისტემა მთლიანად აწყობილი იყო შობილისა და უშობელის დიალექტიკურ წინააღმდეგობაზე. მისი აზრით, მამა და ძე აბსოლუტურად სხვადასხვა არსისანი (ἑτεροῦστων) იყვნენ. ის დაბეჯითებით მიიწერდა ღვთის არსის ზედმინევნით ცოდნას და ამტკიცებდა, რომ საკუთარ თავზე უკეთ იცოდა ღმერთი. ასეთი რამ გნოსტიციზმის დროსაც კი არ ყოფილა ცნობილი. აეტიოსი საკმაოდ სახიფათო გახდებოდა, თავისი მოძღვრების გავრცელებისათვის ბრძოლა რომ დაეწყო. იგი მხოლოდ კამათით კმაყოფილდებოდა იმ დროისათვის ცნობილ ადამიანებთან (მაგ., ბასილი ანკურიელთან). მისმა იდეებმა ხელი შეუწყო მართლმადიდებელთა გაერთიანებას და დაამარცხა თავად აეტიოსი და მისი მოძღვრება – ანომიელობა. 381 წლის კონსტანტინოპოლის კრებაზე აეტიოსი და მისი მოძღვრების მიმდევარნი ანათემას გადასცეს.

აეტიოს ამიდელი – (ამიდა: დღევანდელი დიარბაქირი, თურქ.) – Ἀέτιος Ἀμιδηνός; Aëtius Amidenus – ბიზანტიელი ექიმი და სამედიცინო მწერალი. გამორჩეული იყო თავისი განსწავლულობით. ისტორიკოსები დარწმუნებით ვერ ასახელებენ მისი მოღვაწეობის ზუსტ პერიოდს. მისი სახელი იხსენიება მე-4 საუკუნეების ავტორების გვერდით. ის უნდა ყოფილიყო ქრისტიანი, არიანელი აეტიოს ანტიოქიელის თანამოაზრე. მკურნალი აეტიოსი იყო იულიანეს თანამედროვე. იგი, როგორც ჩანს, არის პირველი ბერძენი სამედიცინო ქრისტიანი მწერალი; იძლევა შელოცვების ნიმუშებს, რითაც ჰბაძავს ეგვიპტელებს. მისი წიგნები არ შეიცავს ბევრ ორიგინალურ მასალას. ავტორი ეყრდნობა გალენისა და ორიბასიუსის ნაშრომებს. მიუხედავად ამისა, არის გვიანდელი ანტიკური პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ექიმი, რადგან მისი წიგნები წარმოადგენს ბევრი ავტორის ნაშრომების კომპილაციას; მათ შორის იყენებს ბევრ ინფორმაციას ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნებიდან, რომლებიც დღეს განადგურებულია და აეტიოს ამიდელის წიგნებშია გვხვდება. მისმა კომპილაციური ხასიათის სამედიცინო შრომამ (16 ტომად), რომლის ბერძნული დასახელებაა Ἱατρικα, ჩვენამდე მოაღწია კონსტანტინეპოლის პატრიარქ ფოტიოს I-ის (858-886.) ბიბლიოთეკის სახელწოდებით ცნობილი შრომიდან. აეტიოსის სამედიცინო თხზულება ამ დიდ კრებულში შესულია 221 კოდექსის სახელწოდებით. პირველი 8 წიგნი გამოცემულია ვენაში, ხოლო შემდგომი რვა დაცულია პარიზისა და ვენის ხელნაწერებში.

ათანასე დიდი, ალექსანდრიელი – Athanasios ὁ Μέγας – (295– 373)

იყო ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ხსენების დღეა 18 იანვარი. უდიდესი ავტორიტეტის ღვთისმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე. იყო ალექსანდრე ალექსანდრიის ეპისკოპოსთან დახლოებული პირი, უერთგულესი მიმდევარი. ეპისკოპოს ალექსანდრეს ახლდა იგი ნიკეის I მსოფლიო კრებაზე. ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ 45 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე, იყო ალექსანდრიის ეპისკოპოსი, მაგრამ ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილობაში გაატარა. ხუთჯერ მოუხდა საეპისკოპოსო კათედრის დატოვება და კვლავ დაბრუნება. ათანასე ალექსანდრიელის უმთავრესი საქმე და უდიდესი დამსახურება მართლმადიდებელი სარწმუნოების წინაშე ის არის, რომ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა არიანელებს, არიოზის ერესს. ჯერ კიდევ დიაკვნის ხარისხში მყოფმა 325 წლის I მსოფლიო კრებაზე ამხილა არიოზის ერესი და მოითხოვა, ევსები ნიკომედიელის მიერ შეთავაზებული ფორმულისათვის დაემატებინათ ერთადერთი, უმოკლესი განსაზღვრება: „ერთარსი მამისა“. სიტყვა მოიწონეს კრების მართლმადიდებელმა მამებმა, აშკარა და ფარული არიანელები კი ამის გამო დაუპირისპირდნენ და მრავალი დაბრკოლება შეუქმნეს... წმ. ათანასე დიდი იესო ქრისტეს ღვთაებრიობას განიხილავდა, როგორც საფუძველთსაფუძველს ქრისტიანული სარწმუნოებისა. ამაზე იყო დამოკიდებული ქრისტიანის გადარჩენა. არიანობამ დაარღვია ეს დოქტრინა.

მეორე მნიშვნელოვანი საქმე იყო შუამავლობა საეკლესიო იერარქიასა და ბერმონაზვნობას შორის. თავად იგი ცხოვრობდა როგორც ეპისკოპოსი და ასკეტი, მეგობრობდა მეუღლებნობისა და სამონასტრო ცხოვრების დამაარსებლებად აღიარებულ ანტონი დიდსა და პახუმი დიდთან.

ათანასე ალექსანდრიელი ითვლება ასევე პირველ ჰაგიოგრაფ მწერლად. დევნილობისას იგი ეგვიპტეში უდაბნოს აფარებდა თავს და ანტონი დიდთან ერთად ცხოვრობდა; სწორედ მას ეკუთვნის თხზულება „ცხოვრება ანტონი დიდისა“. თხზულების ქართული თარგმანი შემოუნახავს მე-10 საუკუნის მრავალთავესა და კრებულებს.

ანომიელები – ἀνόμοιοι – არიანელთა უკიდურესი მემარცხენე ფრთა. ისინი ასწავლიდნენ, რომ ძე არ არის მამის მსგავსი. ცალკეულ დაჯგუფებადმოგვიანებით ჩამოყალიბდნენ, როგორც შეურიგებელი არიანელები. ისინი ძალიან მტკიცედ იდგნენ თავიანთ მოსაზრებებზე, არც სხვა დაჯგუფებებთან მიდიოდნენ რაიმე მოლაპარაკებაზე და არც სამეფო კართან დაახლოებული პირების კარნახს უსმენდნენ. ანომიელებისათვის თვით არიოზიც არ იყო საკმარისად მართლმადიდებელი, რადგან მან შექმნა უფერული სიმბოლო, რომელიც კონსტანტინე იმპერატორს წარუდგინა. ამ დაჯგუფების ხელმძღვანელი იყო აეტიოსი (Ἀέτιος, ულმერთო). ანომიელების მსგავსად, უკიდურესი და შეურიგებელი არიანობის წარმომადგენლები იყვნენ ევნომიანელები (იხ. ევნომიოსი), რომლებიც მამისა და ძის მსგავსებასაც კი უარყოფდნენ.

ანტონ I – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი იესეს ძე – (1720–1788) – ვახტანგ VI-ის ძმის – მეფე იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის (ელენეს) – ვაჟი. ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1744-1756 და 1763-1788 წლებში, მწერალი, მეცნიერი.

1738 წელს ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში, 1744 წელს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. 1756-1762 წწ. იყო დევნილობაში რუსეთში; 1763 წელს ერეკლე II-მ რუსეთიდან დააბრუნა, ხოლო საეკლესიო კრებამ კვლავ აირჩია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. საქართველოში დაბრუნებისთანავე ანტონ I-მა განაგრძო ინტენსიური სახელმწიფო-საეკლესიო და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი დიდი ძალისხმევით 1762-1763 წლებში განახლდა ვახტანგ VI-ისეული სტამბა, 1782 წელს კი გარდაიქმნა ახალ სტამბად.

ანტონ I ყოველმხრივ უწყობდა ხელს კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას; განამტკიცა განათლების საქმე; მან თვითონვე მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, ამ მიზნით გამოიყენა თავისი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები — „ქართული ღრამმატიკის“ ორივე რედაქცია (1753წ., მეორე მოკლე რედაქცია — 1767წ.) და სხვადასხვა ავტორის შრომები ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკის დარგებში და სხვ.

ანტონ I-მა მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მან ახალ საფეურზე აიყვანა ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში, ხელი შეუწყო კლასიკური ხანის ტრადიციების აღორძინებას.

არიოზი – Ἀρείος (250-336 წწ.) – IV ს-ში ერესიარქი, რომელმაც შექმნა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სექტა. დაბადებული იყო ლიბიაში. მისი ცხოვრების პირველი წლების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ განათლება მიიღო ლუკიანუს ანტიოქიელის სკოლაში სადაც გაიცნო ასტერიოს კაბადოკიელი და ევსები ნიკომიდიელი. IV ს.-ის დასაწყისში ის იყო ალექსანდრიაში, დაუახლოვდა ალექსანდრიის ეპიკოპოსს პეტრეს, მისგანვე ეკურთხა დიაკონად 311 წელს, ხოლო ალექსანდრიის მომდევნო პატრიარქმა იგი ხუცესად აკურთხა. არიოზი გულმოდგინედ შეუდგა სხვადასხვა ერესთან (გნოსტიკოსები, საბელიანისტები...) ბრძოლას, მაგრამ 319 წელს კონფლიქტი მოუვიდა პატრიარქთან, რადგან თვლიდა, რომ ის, რასაც ახლად არჩეული პატრიარქი ალექსანდრე ძისა და მამის თანასწორობის შესახებ ასწავლიდა, იყო მწვალებლობა. ასე დაიწყო არიანელობის სექტის განვითარება.

არიოზი არ ცნობდა მამასთან ძის თანასწორობას, რადგან უარყოფდა დასაბამიდან ძის არსებობას. იგი მიიჩნევდა, რომ ქრისტეში სჭარბობს ადამიანური ბუნება და ქრისტე ნახევრად ღმერთია. 321 წელს ალექსანდრიის კრებამ განკვეთა არიოზი, რომელიც ამ დროს უკვე პალესტინაში იყო გაქცეული, საიდანაც სწერდა წერილს ევსები ნიკომიდიელს, რომელმაც იგი შეინყნარა. სწორედ ევსების დამსახურებაა არიანელობის მაღალი თეოლოგიური დისპუტები. ის რომ არ ყოფილიყო, არიანელობა ვერ მიაღწევდა თავის სიმაღლეებს. ამ პერიოდში ეწყობოდა ადგი-

ლობრივი კრებები, რომლებიც ევსები ნიკომიდიელის გავლენით არიოზს უჭერდნენ მხარს. მალე მართლმადიდებლებსა და არიანელებს შორის განხეთქილება იმდენად აშკარა შეიქმნა, რომ თავად იმპერატორმა გადაწყვიტა 325 წლის 20 მაისს მოეწვია პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. სხდომაზე ევსები ნიკომიდიელმა ლიად იქადაგა არიანიზმი, რამაც, რა თქმა უნდა, აღშფოთება გამოიწვია კრების მამებს შორის და ტერმინის "ἡ ὁμοιότης" (ერთარსი) მოშველიებით შექმნეს მრწამსი. არიოზი ანათემას გადასცეს, გადაასახლეს, მისი წიგნები კი დაწვეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ იგი გადასახლებიდან დაბრუნდა და თითქმის დაარწმუნა კონსტანტინე დიდი, რომ მის მრწამსში უბრალო ტერმინოლოგიური გაუგებრობა იყო და მოითხოვა ეკლესიაში დაბრუნება. მართლმადიდებლობას განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა არიოზისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. 381 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაგმო არიოზი და აღიარა მამის, ძისა და სულიწმიდის ერთარსებობა.

ბასილი დიდი, კესარიელი – Βασίλειος ὁ Μέγας, Βασίλειος Καισαρείας (330-379 წწ.) – მოხსენიების დღეა 1 (14) იანვარი. ეკლესიის მამა, კაპადოკიელ მამათაგან ერთ-ერთი, ფილოსოფოსი, ასკეტი, ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელის ძმა, დაბადებული კესარიაში. წარმოშობით იყო მდიდარი ქრისტიანული მალაღარისტოკრატიული ოჯახიდან.

ბასილი დიდმა დაწყებითი განათლება მამის ხელმძღვანელობით მიიღო. შემდეგ განაგრძო სწავლა კონსტანტინოპოლისა და ათენის აკადემიებში. მასთან ერთად სწავლობდა ათენში გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნაზიანზელი, ბასილი დიდის მეგობარი.

სწავლის დასრულების შემდეგ კესარიას დაბრუნებული მოინათლა, შემდეგ გაეშურა სამოგზაუროდ იმ ადგილებში, რომლებიც ბერ-მონაზონთა საცხოვრისებად იყო მიჩნეული ეგვიპტეში, სირიაში, მესოპოტამიაში. გაეცნო მონაზვნური ცხოვრების წესს, დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა ასკეტურ ცხოვრებას, ცდილობდა მიეზაძა განდგომილი მამებისათვის, განმარტოვდა უდაბნოში. ამსოფლიური ამაოებისაგან განრიდებული ბასილი სწავლობდა წმიდა ნერილს, ეცნობოდა მის განმარტებებს, კერძოდ, ორიგენეს ნაშრომებს.

362 წელს იგი დიაკვნად აკურთხეს, 364 წელს კი მღვდლად დაასხეს ხელი. ბასილიმ სახელი გაითქვა თავისი სიბრძნითა და სინამდით. როდესაც წმ. ბასილის შევიწროება დაიწყო, ბერები აღდგენენ მის დასაცავად. საეკლესიო განხეთქილების საფრთხე რომ მოესპო, წმიდანი უდაბნოს დაუბრუნდა და მონასტრების კეთილმონწყობას შეუდგა.

იულიანე განდგომილის შემდეგ სათავეში კვლავ არიანელი იმპერატორი ვალენტინი (364-378) მოვიდა, მოსალოდნელი დიდი ბრძოლის წინ ბასილი სასწრაფოდ დაბრუნდა კესარიაში. ამ დროიდან მოყოლებული ეკლესიის მართვა-გამგეობა ბასილი დიდის ხელში გადავიდა. ამ ხანებში შექმნა მან საღვთო ლიტურგიის ტიპიკონი; 370 წელს იგი გახდა კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი. 379 წელს იგი გარდაიცვალა.

ბასილი დიდი იყო ნიკეის კრების რწმენის დამცველი და ძალიან აქტიურად, მტკიცედ, ბრძნულად და დიპლომატიურად გამოდიოდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა შეევიწროებინა მართლმადიდებლობა და შეეცვალა იგი არიანობით. სწორედ ამ ბრძოლაში ჩამოაყალიბა მან ის საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, რომელიც ეკლესიამ სავსებით გაიზიარა. მან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა 381 წლის მსოფლიო კრების მოსამზადებლად.

ბასილი დიდის ლიტერატურული მოღვაწეობა მეტად ფართოა. ის მოიცავს დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებებს ევნომიანელების წინააღმდეგ; ამფილოქე იკონიელისადმი „სულიწმიდის შესახებ“; ჰომილეტიკურ შრომას: „ექუსთა დღეთათჳს“; 13 საუბარს ფსალმუნის შესახებ, 21 საუბარს სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბასილი დიდის წერილები, რომელთა შეკრებას უკვე გრიგოლ ღვთისმეტყველი ცდილობდა. სულ მოღწეულია 365 წერილი, მათ შორის საღვთისმეტყველო ტრაქტატები და წერილები საეკლესიო წესების შესახებ, რომლებიც კანონიკურ კრებულებშია შესული.

გალენი – Γαλιένος, Claudius Galenus (129/131- 200/217 წწ.) – ბერძნული წარმოშობის რომაელი ექიმი, ქირურგი, ფილოსოფოსი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამედიცინო დარგის სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის: ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ფარმაკოლოგიაში, ნევროლოგიაში, ასევე ფილოსოფიასა და ლოგიკაში.

გრიგოლ ნოსელი – Γρηγόριος Νύσσης, Gregorius Nyssenus (335–394) – წმინდანი, მოხსენიების დღე 10 (23) იანვარი. ეკლესიის მამა, ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ბასილი დიდის უმცროსი ძმა, კაბადოკიელ მამათაგან ერთ-ერთი. გრიგოლ ნოსელმა მიიღო როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული განათლება. იგი იყო არიანობის დიდი მოწინააღმდეგე. არიანელთა აღზევების ჟამს იგი ჩამოადგეს ნისის ეპისკოპოსობიდან და ანკურიაში გადაასახლეს. მხოლოდ იმპერატორ ვალენტის (364-378) გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნდა თავის კათედრას.

379 წელს ბასილი დიდის გარდაცვალების შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ანტიოქიის საეკლესიო კრების მუშაობაში და დაგმო მწვალებლობა, რომლის ნაწილი ღვთისმშობლის ქალწულებას უარყოფდა, ნაწილი კი ღვთაებად აღიარებდა მას. კრებამ გრიგოლს დაავალა, ემოგზაურა არაბეთსა და პალესტინაში, მოეხილა იქაური ეკლესიები და განემტკიცებინა მათში მართლმადიდებლური სწავლება ღვთისმშობელზე. სწორედ ამის შემდეგ დაწერა მან თავისი ცნობილი თხზულება „ქალწულებისათჳს“.

გრიგოლ ნოსელი იყო მონაწილე მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების, რომელიც ჩატარდა კონსტანტინოპოლში 381 წელს, რომელმაც საბოლოოდ დაგმო არიონის მწვალებლობისგან აღმოცენებული ყველა ერესი. ამ კრებაზე წმიდა გრიგოლი იცავდა ნიკეის კრების მრწამსს; მისი ინიციატივით დამატება შეიტანეს ნიკეის რწმენის სიმბოლოში.

თავის თხზულებებში წმიდანი განიხილავდა საკითხებს აღდგომის, ღვთაებრივი მადლის შესახებ, ანთროპოლოგიურ პრობლემატიკას; წერდა შრომებს ასკეტიზ-

მისა შესახებ. თავის ღვთისმეტყველებაში (განსაკუთრებით ესქატოლოგიაში) ის ორიგენეს დიდ გავლენას განიცდიდა, თუმცა მოახერხა უკიდურესი ორიგენიზმი აეცილებინა თავიდან. მის სალიტერატურო მემკვიდრეობაში მოიპოვება ქადაგებები და წერილები.

დაუდ-ხანი – (XVI საუკუნის II ნახევარი – XVII საუკუნის I ნახევარი) – გაწა-ყარაბალის ბეგლარბეგი 1625-1633 წლებში, წარმოშობით ქართველი, ალავერდი-ხანის ძე. ცოლად ჰყავდა თეიმურაზ I-ის და ელენე. 1633 წელს დაუდ-ხანი აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ I-ის მეთაურობით სეფიანთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. სეფი I-მა თეიმურაზს მოსთხოვა დაუდ-ხანის გაცემა, სანაცვლოდ პატიებას შეჰპირდა, მაგრამ თეიმურაზმა შაჰს უარი შეუთვალა. დაუდ-ხანმა ოსმალეთს შეაფარა თავი. გარდა იმისა, რომ დაუდ-ხანი ნიჭიერი მხედართმთავარი იყო, მას სააღმშენებლო საქმიანობაშიც მიუძღოდა წვლილი, ააგო ბაზრები, ქარვასლები და სხვ. მან გადაწერა ქართველთათვის ფრიად საჭირო წიგნი „იადიგარ დაუდი“ და გამოგზავნა სამშობლოში.

დიეტეტიკა იგივეა, რაც დიეტოლოგია (იხ. დიეტოლოგია).

დიეტოლოგია – კვების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების გამოყენება საკვები პროდუქტების არჩევასა და საკვებად გამოყენებაში. ბერძნული სიტყვაა: *diata* კვების რეჟიმი, *logos* მოძღვრება.

ევდოქსიოსი – Εὐδόκιος ο Ἀντιόχειας – ჰერმანიკუმის ეპისკოპოსი, შემდეგ ანტიოქიისა (გარდ. 370) – იყო არიანული ერესის მიმდევარი, შექმნა ამ ერესის ნაირსახეობა.

ევნომიუსი – Εὐνόμιος – საეპისკოპოსო კათედრა ეკავა კიზიკეში, წარმოშობით იყო კაბადოკიელი, (გარდ. 398 წ.), ერესიარხი, უკიდურესი არიანობის წარმომადგენელი. კონსტანტინეპოლში სწავლობდა რიტორიკას, შემდეგ გადასახლდა ანტიოქიაში, რომელიც მტკიცე დასაყრდენი იყო არიანელებისათვის. ევნომიუსი ცნობილი იყო, როგორც მჭვრემეტყველი ქადაგი, ანომეელი აეტიოსის უახლოესი მეგობარი და მიმდევარი, რომელიც შეუდგა არიანელთა შემეცნების თეორიის დეტალურად შემუშავებას.

ევნომიუსის თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანის ჭეშმარიტი მიზანი და სარწმუნოების დედააზრი ღვთის თეორიულ შემეცნებაში მდგომარეობდა. იგი ქადაგებდა „სახელთა თეორიას“, რომელსაც ორ ჯგუფად ყოფდა: პირველ ჯგუფს ის მიაკუთვნებდა ადამიანთა მიერ მოგონილ ცნებებს, რომლებიც არ ასახავს საგნების არსს, ხოლო მეორე ჯგუფში აერთიანებდა ე.წ. „საგნობრივ“ სახელებს, რომლებიც აჩვენებენ საგნების არსს, განუყოფელად არიან დაკავშირებული მათთან. ამ სახელებში გამოსჭვივის ღმრთის სიბრძნე, რადგან შექმნილი საგნის მარჯვედ შერჩეული სახელი იძლევა ობიექტურ ცოდნას სამყაროს შესახებ. სახელთა თეორიის მიხედვით, საგანთა სამყაროსა და ადამიანის გონებრივ სტრუქტურას შორის არსებობს ღვთისაგან დადგენილი ურთიერთშეთანხმება: ყველა საგანი იქმნება

განსაზღვრული კატეგორიების შესაბამისად და სწორედ ეს კატეგორიები სისხლ-ხორცეულად უკავშირდება ადამიანის გონებას. შემეცნების მიზანია, რომ დამყარდეს კავშირი ობიექტური სამყაროს ცნებებსა და ადამიანურ გონებას შორის. ვინაიდან ადამიანის მიზანია, რომ ღმრთის სახელთა სიმრავლიდან მოძებნოს ისეთი სახელი, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგება ღვთაებრივ ბუნებას. ევნომიოსის მიხედვით, სახელი, რომელიც მისაღებია მხოლოდ ღმრთისათვის და მიუღებელია ქმნილებისათვის, არის „არშობილი“. ანომიელების მიმდევარის აზრით, სწორედ ეს სახელი წარმოადგენდა ღვთაებრივი არსის ყველაზე უფრო სრულ გამოხატულებას. ევნომიუსი გაურბოდა ტერმინებს: „იმამა“, „ძე“, როგორც თანაარსის მიმართობელს .

მისი მოძღვრების წინააღმდეგ გამოვიდნენ ბასილი დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი. ევნომიუსი ჩამოაგდეს ტახტიდან და გააძევეს კაბადოკიაში.

ევსები ნიკომედიელი – Ευσέβιος ο Νικομηδείας (გარდ. 342 წ.) – ღვთისმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე, იხრებოდა არიანობისაკენ; იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი 338 წლიდან. ენათესავებოდა საიმპერატორო საგვარეულოს; აღზარდა იულიანე, რომელსაც შემდგომ განდგომილი ეწოდა; გამოდიოდა ათანასე დიდის (ალექსანდრიელის წინააღმდეგ); თავმჯდომარეობდა 341 წლის საეკლესიო კრებას.

„იადიგარ დაუდი“ – XVI საუკუნის ქართულ სამედიცინო ენციკლოპედიადაა მიჩნეული, ავტორია დავით ბატონიშვილი, ანუ დავით XI – დაუდ ხანი. მოიცავს იმდროინდელი მედიცინის თითქმის ყველა საკითხს.

ნიგნის ზოგად ნაწილში მოკლე ანატომიურ-ფიზიოლოგიური მონაცემების შემდეგ დეტალურადაა განხილული ჰიგიენისა და დიეტეტიკის საკითხები და დიაგნოსტიკური საშუალებები. ავტორი დაწვრილებით აღწერს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკერნალობის წესებს, „ძილისა და სიფხიზლის“ საკითხებს, საკვები პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების თვისებებს, მათს კვებითსა და სამკურნალო ღირებულებასა თუ მავნებლობას. ერთ-ერთ ნაწილში გარჩეულია პათოლოგიის და თერაპიის ძირითადი საკითხები, თანმიმდევრულადაა განხილული იმ დროს არსებული მედიცინის თითქმის ყველა დარგი: უპირველეს ყოვლისა, ნერვული და ფსიქოლოგიური დაავადებები, შემდეგ თვალის, ყურის, კბილის, სახსრებისა და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადებები, ციებ-ცხელება, მოტეხილობა, სიდამწვრე და ა. შ. „იადიგარ დაუდი“ თითქმის ყველა დაავადება ცალცალკეა დახასიათებული, აღწერილია აგრეთვე კლიმატურ-ბალნეოლოგიური და სხვა ბუნებრივი ფაქტორების სამკურნალო გამოყენება.

ნეტარი იერონიმე სტრიდონელი – Sophronius Eusebius Hieronymus – (347-420)- ნეტარი, კათოლიკური ეკლესიის მიერ შერაცხილია წმინდანად. ხსენების დღეა 15 ივლისი. მთელი თავისი ცხოვრება ესწრაფვოდა ცოდნის მიღებას და გამოიჩინოდა ღრმა ერუდიციით. რომში ის სწავლობდა საერო მეცნიერებებს: გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას. ხუთი წელი ცხოვრობდა სირიის ერთ-ერთ მონასტერში. ისმენდა აპოლინარიუსის ლექციებს წმინდა წერილის განმარტებაზე,

მკაცრი ასკეტური წესით ცხოვრობდა. საფუძვლიანად შეისწავლა ებრაული და ქალდეური ენები. შემდეგ იერონიმე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, სადაც ესაუბრა წმიდა მღვდელმთავრებს გრიგოლ ღვთისმეტყველსა და გრიგოლ ნოსელს, 381 წელს კი რომში გაემგზავრა. აქ მან სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძო. თარგმანა ორიგენეს თხზულებები, ევსები კესარიელის „ქრონიკა“, რომელიც არსებითად დაასრულა. 386 წელს კი ბეთლემში დამკვიდრდა იმ გამოქვაბულის მახლობლად, რომელშიც ქრისტე იშვა და მკაცრ ღვანლს შეუდგა, დააარსა სამონასტრო სკოლა.

თავისი დროის გამოჩენილმა მეცნიერმა ეკლესიას მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა დაუტოვა: დოგმატიკურ-პოლემიკური და ზნეობრივ-ასკეტიკური ნაწერები, წმიდა წერილის განმარტებები, ისტორიული თხზულებები. მისი უმთავრესი ნაშრომია ძველი და ახალი აღთქმის საღვთო წიგნების ხელახალი თარგმანი ლათინურ ენაზე. ეს თარგმანი, რომელსაც „ვულგატა“ უწოდეს, დასავლეთის ეკლესიაში საყოველთაოდ გამოიყენება.

ივლიანე განდგომილი – *Φάβιος Κλαύδιος Ίουλιανός* (331-363) – რომის იმპერატორი 361-363 წლებში. იგი განუდგა ქრისტიანობას და სცადა რომაული ტრადიციული რელიგიის აღორძინება, რის გამოც „განდგომილად“ იყო წოდებული. მან მოახერხა მხოლოდ დროებით გაეცოცხლებინა წარმართობა. თავდაპირველად იულიანე კეისრად დასახელდა თავისმა ბიძაშვილმა, კონსტანციუს II-მ. არმიის მიერ იულიანე დასახელებული იქნა ავგუსტუსად – უფროს იმპერატორად. კონსტანციუს II-მ მხოლოდ 361 წელს, სასიკვდილო სარეცელზე აღიარა იულიანე თავის მემკვიდრედ. ახალმა კეისარმა გამოაცხადა რწმენის თავისუფლება, რითაც იგი ფაქტობრივად განუდგა ქრისტიანობას, წარმართობას, კერპთაყვანისმცემლობას, დაუბრუნდა. აქედან მოდის მისი ზედწოდება – განდგომილი, მაგრამ მას მეორე ზედწოდებაც ჰქონდა – ფილოსოფოსი. იულიანეს სურდა რომის იმპერიის პოზიციების განმტკიცება აღმოსავლეთში, ამიტომ მან გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა, 363 წელს იმპერატორი იულიანე მოკლული იქნა უკანდახვევის დროს ქალაქ ბაღდადთან ახლოს.

იოანე ოქროპირი – *Ιωάννης ὁ Χρυσόστομος* (349-407) – ქრისტიანული ეკლესიის ბიზანტიელი მოღვაწე, კაბადოკიელ მამათაგან ერთ-ერთი. მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები პატივს მიაგებენ მას, როგორც წმინდანს, იგი ცნობილია თავისი მჭევრმეტყველებით – ქადაგებებით და საზოგადო საუბრებით; მკაცრად ამხელდა იმ საერო და სასულიერო პირებს, რომლებიც უღირსად იყენებდნენ თანამდებობას. წმინდა იოანე დაიბადა 349 წელს, ანტიოქიაში სირიულ-ბერძნულ ოჯახში. მიიღო საფუძვლიანი განათლება, ხელდასხმული იყო მედავითნედ. ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ უსაზღვრო ინტერესის გამო ხელი მიჰყო მის შესწავლას. 375 წელს შეუდგა უმკაცრეს განდევილურ ცხოვრებას. 381 წელს ეკურთხა დიაკნად, 386 წელს კი - მღვდლად. გააერთიანა ალექსანდრიისა და რომის საპატრიარქოები ანტიოქიასთან, ანტიოქიაში 12 წლის განმავლობაში (386-397) მან სახელი გაითქვა თავისი მჭევრმეტყველური ქადაგებებით. მრევლს განსაკუთრებით მოსწონდა მისეული განმარტება ბიბლიისა და მორალური სწავ-

ლების გადმოცემის უნარი. 397 წლის შემოდგომაზე წმინდა იოანე ალაზევეს კონსტანტინოპოლის პატრიარქად, 403 წელს იოანე ოქროპირს დასწამეს ცილი, რომ არ იყო გულგრილი ორიგენეს სწავლების მიმართ, რამაც განაპირობა მისი გადაყენება და გაძევება. ამან დიდი შფოთვა გამოიწვია საზოგადოებაში იგი დაუყოვნებლივ უკან დააბრუნეს, მაგრამ მალე ისევ გადაასახლეს, ახლა უკვე აფხაზეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. 438 წელს პროკლე კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მისი წმიდა ნაწილები გადაასვენა ბიზანტიის დედაქალაქში.

იოანე ოქროპირის თხზულებები თარგმნილია ქართულ ენაზე, მაგ., იოანე ოქროპირის ჟამისწირვა, ანუ კონდაკი, საქართველოში მას შემდეგ შემოვიდა, რაც ჩვენი ქვეყანა ბიზანტიას დაუახლოვდა. XI ს.-ში კი მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ლიტურგიაში და თავისი კომპაქტური ფორმულარის გამო შეცვალა ბასილი დიდის საღმრთო ჟამისწირვა, რომელმაც ხელნაწერებსა და გამოცემებში განაგრძო არსებობა.

მისი ნააზრევი მოღწეულია მრავალთავებით, ჰომილეტიკური კრებულებით. მრავალ ქადაგებათა შორის არსებობს ორი მცირე მოცულობის თხზულება ერთი და იმავე სათაურით – „ქალწულებისათვის“. ერთი საკითხავი იწყება ასე: „არა თუ ცუდად რაიმე იყო მოსლვა...“ მეორე კი – ასე: „შორის მრავალთა საბრჭყეტა სდგათ, შ, ქალწულნო, წმიდანო...“ ეს თხზულებები წინაათონური პერიოდის თარგმანებს განეკუთვნებიან. აღსანიშნავია, რომ ეს თხზულებები ათონურ მრავალთავეში ატარებენ ბასილი დიდის სახელს, პარხლისა და ტბეთის მრავალთავეში კი – იოანე ოქროპირისას.

კირილე იერუსალიმელი – Κύριλλος Α' Ἱεροσολύμων (315-386). ხსენების დღეა 18 მარტი. ეკლესიის მამამ იერუსალიმის კათედრა ჩაიბარა არიანული მრწამსის სასულიერო პირის – აკაკი კესარიელისაგან, რის გამოც შემდგომ ზოგიერთი მოღვაწე ეჭვქვეშ აყენებდა მის მართლმადიდებლობას, თუმცა იერუსალიმის ეპისკოპოსის ხარისხში მყოფი კირილე მხნედ იბრძოდა არიოზის ერესის წინააღმდეგ. ამით არიოზის მიმდევარი ეპისკოპოსების რისხვა დაიმსახურა. მათ სამგზის მოახერხეს კირილეს ტახტიდან ჩამოგდება და იერუსალიმიდან გაძევება. 379 წელს მესამედ და საბოლოოდ დაუბრუნდა წმიდა კირილე სამღვდელმთავრო მოღვაწეობას. 381 წელს მან მონაწილეობა მიიღო II მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელმაც დაგმო მაკედონიუსის ერესი და ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლო დაამტკიცა. წმიდა კირილე იერუსალიმელი იყო შესანიშნავი ორატორი. დაუნდობლად აკრიტიკებდა მარკელოსსა და ფოტონოსს. განსაკუთრებით ცნობილია მისი 23 სწავლება და ორი საუბარი სახარებისეულ თემებზე: „განღრვეულისათვის“ და „წყლის ღვინოდ გადაქცევისათვის კანას გალილეაში“. წმიდა კირილე გარდაიცვალა 386 წელს.

მაკარი ალექსანდრიელი – Μακάριος Ἀλεξανδρετικὸς (გარდ. 400) – წმინდანი, ხსენების დღე 19 თებერვალი. ეკლესიის მამა, ალექსანდრიის სასწავლებლის ხელმძღვანელი, მეთაური; განდგა უდაბნოში და ცხოვრობდა უმკაცრესი ასკეტური ცხოვრების წესით. მისი სახელით ჩვენამდე მოაღწია თხზულებებმა,

რომელთაგან ზოგიერთის ავტორობის საკითხი სადავოა. ჩვენამდე მოღწეულია მაკარი ალექსანდრიელის თხზულებათა ქართული თარგმანები.

მარკელოზ ანკურიელი – Μακάριος Ἀλεξανδρειτικός – ათანასე ალექსანდრიელის თანამოაზრე არიანობასთან ბრძოლაში. იგი 315 წელს, ნიკეის კრების გამართვამდე 10 წლით ადრე, ეკურთხა ეპისკოპოსად. 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმიდა ათანასე ალექსანდრიელთან ერთად თავი გამოაცხადა მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველად და არიანელების შეუპოვარ მოწინააღმდეგედ; მან დიდხანს შეინარჩუნა შეურიგებელი პოზიცია არიანელთა წინააღმდეგ. 335 წელს განავითარა ასტიერიოს სოფისტის საწინააღმდეგო დოქტრინა, რომელიც ნიკეის მრწამსის დასაცავად იყო მიმართული. 336 წელს მარკელოსი ჩავიდა კონსტანტინე დიდთან და გადასცა თავისი ნააზრევი. იმპერატორმა წერილი განსახილველად მიანდო კონსტანტინოპოლის კრებას, რომელიც 336 წელს ჩატარდა. კრებამ გადააყენა მარკელოსი მის ნაშრომში განვითარებული სწავლების გამო და ანკურიის ტახტზე აღსაყდრდა ბასილი ანკურიელი.

მარკელოზ ანკურელის ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. თვით ზემოხსენებული ნაშრომის, რომელმაც მას სახელიც გაუთქვა და იმავდროულად დაბრკოლებებიც შეუქმნა, ზუსტი დასახელებაც კი არ არის ჩვენთვის ცნობილი. მას იხსენიებენ წმ. ჰილარი და ეპიფანე კპრელი. ათანასე ალექსანდრიელი და რომის პაპი იულიუსი შესაძლებლად მიიჩნევდნენ მარკელოზთან ურთიერთობას, როგორც მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთან, მაგრამ მის შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა ბასილი დიდი. მარკელოზ ანკურიელის სწავლებათა შესახებ გაჩნდა არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, ამიტომ იგი იძულებული იყო დაეტოვებინა აღმოსავლეთი და გადასახლებულიყო რომში. მარკელოზი გარდაიცვალა მე-4 საუკუნის 70-იან წლებში.

მარკიონი – Μαρκίων (II ს.) – გავლენიანი მოღვაწე, შემქმნელი ერესისა, რომელიც IV საუკუნეში „მარკიონეს ერესის“ სახელით იყო ცნობილი; გნოსტიკოსი, ფილოსოფიურ საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ქრისტიანული მოძღვრების მიმართ. 139 წელს გადასახლდა რომში, სადაც გახდა წვერი ქრისტიანული საზოგადოებისა, რომელმაც მოიკვთა 144 წელს, როგორც ერესის მიმდევარი. მარკიონი განასხვავებდა იუდეურ ღმერთს, ხილული სამყაროს შემქმნელ ღმერთს, ქრისტიანების მამაღმერთისაგან, რომელმაც შექმნა სულიერი სამყარო, რომლის ძე არის იესო ქრისტე.

მარკიონის ცრუმოძღვრების შესახებ წერდა მრავალი საეკლესიო მოღვაწე, რომელთა შორისაც ყველაზე მგზნებარე მოწინააღმდეგე იყო წმიდა მონაწიე იუსტინე ფილოსოფოსი (გარდ. 166), არაერთი თხზულების ავტორი, რომელსაც დაუნერია ნიგნები: „ყველა არსებული ერესის სამხილებლად“, „მარკიონის წინააღმდეგ“ და სხვ.

ეკლესიამ კატეგორიულად უარყო მარკიონეს შეთავაზებული ახალი აღთქმა. ამის მიუხედავად, სწორედ მე-2 საუკუნის ბოლოს, მარკიონეს მცდარ შეხედულებასთან ბრძოლისას, შეიმუშავეს ახალი აღთქმის კანონი.

ორიგენე – ორიგენე (185–253/254) – ქრისტიანული სამყაროს უდიდესი მეცნიერი, ადრექრისტიანული პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღვთისმეტყველი. მას ფილოსოფოსად მიიჩნევენ და იძლევიან მის შეფასებას, როგორც ფილოსოფოსისა, მაგრამ ორიგენე, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მოაზროვნეა, ღვთისმეტყველი. მის მოძღვრებას გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთის საღვთისმეტყველო აზროვნებაზე, მართლმადიდებლებში, ერესის მიმდევრებში. იგი თავდაპირველად სწავლობდა კლიმენტი ალექსანდრიელის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი ასწავლიდა ამონიუს საკასი, რომელიც ასევე იყო პლოტინის მოძღვარი. ალექსანდრიაში რელიგიური სკოლის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ იგი მოგზაურობდა რომში, საბრძნეთში. ამ მოგზაურობის დროს აკურთხეს. შემდეგ ორიგენე გაემგზავრა კესარიაში და დააარსა სკოლა და ბიბლიოთეკა. იგი ახერხებდა შემოეკრიბა თავის გარშემო არაერთი მოწაფე არა მხოლოდ თავისი ბრწყინვალე განათლების წყალობით, არამედ ყოვლისმომცველი რელიგიური მისწრებით. მისი ბევრი მოსწავლე დიდად იყო დაინტერესებული იმავე პერიოდისთვის აქტუალური ფილოსოფიური საკითხებით. მათთვის რომ დახმარება აღმოეჩინა, ორიგენემ საგულდაგულოდ შეისწავლა სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდებოდა მისი ახალგაზრდა მოსწავლეების აზროვნება. ის ცდილობდა, დამაკმაყოფილებელი პასუხები გაეცა თავისი მოსწავლეებისთვის ფილოსოფიურ საკითხებთან დაკავშირებით. მოღვაწეობისას მან გადაიტანა დევნა, ცილისწამება, შეურაცხყოფა. მონინააღმდეგეთა აზრით, ორიგენემ ბოროტებას ჩაუყარა საფუძველი, საიდანაც ერესი აღმოცენდა. ორიგენე გარდაიცვალა 253/254 წლებში გადატანილი განცდების გამო.

მიღებული თვალსაზრისით, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა უზარმაზარი იყო, მაგრამ გადარჩა მხოლოდ მცირედი ნაწილი. ორიგენეს ნააზრევი მოიცავდა იმ დროს ქრისტიანობის მრავალ სფეროს. იყო მრავალი დოგმატიკური, სახოტბო, ეგზეგეტიკური თხზულების ავტორი. ორიგენემ შექმნა წმინდა წერილის კრიტიკული ტექსტი – „ჰეგზაპლები“ (ἑξάπλη) – ექვს პარალელურ სვეტად.

რუფიუს ეფესელი – Ῥούφος, Rufus Ephesus – ბერძენი ანატომი. ცნობილი გამოკვლევებით, რომლებიც ეხება, ტვინს, გულს, თვალს, ანუ მხედველობას, ასევე თირკმელსა და შარდის ბუშტს. იგი დაინტერესებული იყო თავის ტვინის ნათხემის შესწავლით, ასევე სამკურნალწამლო საშუალებებით.

რუფიუს ეფესელმა ჰუმორალურ სისტემაზე დაყრდნობით აღწერა მელანქოლია და დაყო სამ ტიპად. მათგან უპირველესია შავი ნალველი, რომელიც მოქმედებს ძირითადად ტვინზე; მეორე ტიპი არის გავრცელებული სისხლში, ხოლო მესამე – კუჭში. ეს პროცესი კი ავითარებს ჰიპქონდრიას.

სირმიუმი – Σίμμιο; Sirmium – ქალაქი. იგი იყო მრავალი რომაელი იმპერატორის მშობლიური ქალაქი, ხოლო გვიან ანტიკურ ხანაში იგი იმდენად მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, რომ ქალაქთა დიდებულ დედას უწოდებდნენ. 375 წელს იმპერატორმა ვალენტინე I-მა სირმიუმში გადმოიტანა თავისი რეზიდენცია. ფე-

ოდორიუს I დიდი ამ ქალაქში გამოაცხადეს იმპერატორად. სირმიუმში IV-V სს.ებში ჩატარდა ხუთი საეკლესიო კრება.

ფოტინე სირმიელი – ΦΟΤΙΝΟΣ ΣΚΟΤΕΙΝΟΣ – იყო მარკელოსის (იხ. მარკელოს ანკურიელი) მოწაფე, ანკურიის დიაკვანი. მისმა გამოჩენამ მარკელოსს დიდი დაბრკოლებები შეუქმნა, რადგან მისი სწავლება თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა მასწავლებლის მოძღვრებას. მან თავისი დოქტრინა ეპისკოპოსობისას განავითარა. ფოტინეს ქებას წარმოთქვამდა იულიანე განდომილი.

მიუხედავად იმისა, რომ ფოტინეს მოძღვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მისი კავშირი მარკელოსის შეხედულებებთან აშკარაა. უპირველესად, იგი უარყოფდა, რომ ძე ღვთისა და სიტყვა ღვთისა ერთნაირი მნიშვნელობის ცნებები იყო. მისი აზრით, განხორციელებამდე ქრისტე მხოლოდ ლოგოსი იყო და ძე მხოლოდ განკაცების შემდეგ გახდა. ფოტინესთვის ქრისტე იყო ადამიანი, რის გამოც მის მიმდევრებს რომის ეკლესიაში Homuncionitae-ს (homuncio-კაცუნა) უწოდებდნენ. ამ სწავლების მიხედვით, არ იყო საუბარი ლოგოსის ჭეშმარიტი განხორციელების შესახებ, არც ქრისტეს საუკუნო სამეფოს შესახებ, რადგან, როგორც უბრალოდ ადამიანს, ქრისტეს არ შეეძლო მარადიული ცხოვრება.

ჰიპოკრატე – Ἱπποκράτης – ძვ. წ. 460 – ძვ. წ. 377 (ძვ. წ. 356), ანტიკური მედიცინის რეფორმატორი, „მედიცინის მამა“. ჰიპოკრატემ ათენში დაასრულა სწავლა, შემდეგ ბევრი იმოგზაურა საბერძნეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, იყო სკვითებთან, კარგად გაეცნო მცირე აზიისა და ეგვიპტის მედიცინას.

იგი ავადმყოფის გამოკვლევისას იყენებდა ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: დათვალიერება, ხელით გასინჯვა, გულმკერდისა და მუცლის ღრუს მოსმენა და სხვ. ყურადღებას აქცევდა გამონაყოფებს, მათ სუნს, ფერს, შარდის ნალექს; სათავე დაუდო ავადმყოფობის მიმდინარეობის აღწერას (ავადმყოფობის ისტორია); ჰიპოკრატესა და მისი მიმდევრების შრომებში საოცარი სიზუსტით არის აღწერილი სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობა, მკურნალობის წესები. ჰიპოკრატე იზიარებდა თვალსაზრისს, რომ ექიმმა უნდა უმკურნალოს ავადმყოფს და არა ავადმყოფობას, გაითვალისწინოს სწეულის ინდივიდუალური თავისებურებანი და გარე ფაქტორების გავლენა. შინაგან ფაქტორებად მიიჩნევდა მემკვიდრეობითობას, ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების ერთობლიობას. გამოყო ადამიანის 4 ტიპი: სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატიკური და მელანქოლიკური. ჰიპოკრატე მიხვდა, რომ ეს ტიპები გარკვეული დაავადებებისადმი არიან განწყობილი.

დღემდეა შემორჩენილი „ჰიპოკრატეს ფიცი“, როგორც საექიმო პროფესიის მორალური კოდექსი.

BASIL OF ANCYRA AND THE GEORGIAN TRANSLATION OF HIS WORK "ON THE TRUE PURITY OF VIRGINITE"

Summary

4th Century ascetic work "On the True Purity of Virginity" has been erroneously ascribed to Basil the Great. At the beginning of 20th century Basil, the Bishop of Ancyra in 336-360, Leader of the Homoiousion party that is moderate Arians and a former physician, was regarded to be the author of the work.

Bishop Basil's work deals with ascetic way of life through neglecting carnal life that leads to the most important ideal – virginity. This work bases on theological and medical knowledge accumulated in those times. Therefore, its study will enable us to trace the trends developing in the ecclesiastic literature that sprang up in the early Middle Ages on the grounds of religious and practical medical science. Basil of Ancyra sympathized with the Arians. The author's world outlook reveals that some forms of moderate opposition already existed in Orthodox Christianity in his times.

George the Athonite's Georgian translation of the work will shed light not only on the certain range of problems of 11th century Georgian language and literature, but it will reveal a number of issues of Byzantine culture and medical knowledge as well as the process of adapting and implementing it in Georgian reality.

Parallel study of Greek and Georgian recension will reveal the peculiarities of George the Athonite's translation and the relation of Georgian translation schools to the Greek literary works.

Basil of Ancyra the author of the work: "On the True Purity of Virginity" has never been studied in Georgian scholarly circles. His name has been introduced by Nino Kajaia. The author of the Georgian translation was unknown. K. Kekelidze revealed two manuscripts of the Georgian translation: A-55 and A-66. N. Kajaia revealed the third one – A-927.

The aim is to represent an overwhelming study of Bishop Basil's work and life. It is interesting to represent his world outlook as of the physician and ecclesiastic figure, and to focus on the medical knowledge that is obvious from the text. The textological and philological analyzes of the Georgian translation and its publication is another aim of our work along with determining proper place to the work among other old Georgian translations in the ascetic genre.

The research bases on the existing sources known in the Byzantine scientific studies. They are mainly about the author, the Greek printed text (PG XXX) and the manuscripts (A-55, A-66, Ath-49) that are Georgian translations of the treatise: "On the True Purity of Virginity." A great number of them have been published in various volumes of PG and in the foreign publications. The method of study comprises historical-philological, source study, textological and codicological approaches.

We have studied and represented the life and work of an unknown author Basil of Ancyra and the

problem of identification of the author of the treatise among the three namesakes. We have researched on the medical knowledge of the author and the influence of his work on the formation of ideological and practical tendencies in his work.

The textological and philological study of the Georgian translation of the treatise and some information in the sources have revealed the name of the translator, the archetype of Georgian translation, its language and literary peculiarities as well as the process of replacement of certain Georgian grammar categories characteristic to the 11th-12th century Georgian literary language.

The appendix of the work comprises verified Georgian translation of the treatise: "On the True Purity of Virginity" and the glossary.

The study has enabled us to enlarge our understanding of ascetic literary work in general, the reason of translation of the treatise and its spread. Along the peculiarities of the work "On the True Purity of Virginity" it is noteworthy that the translator Giorgi Athonite shows great interest in regards the choice of the subject, thus revealing his range of knowledge and his skills of translation.

The results of the research can be applied in teaching history of old Georgian language especially when working on the issues of Byzantine-Georgian literature and when having special or optional lectures held by the specialists of the history of Georgian medicine.

Part 1. Life and work of Basil of Ancyra

Chapter 1. Three Basils of Ancyra. Three personalities were called Basil of Ancyra – two of them were martyrs and the third one was a Bishop. Historical and philological research has shown that they lived in the second half of 4th century in Byzantine in Ancyra (at present Ankara). One of them, a former physician Bishop of Ancyra in 336-360 and the leader of moderate Arians, i.e. the Homoiusians, was the author of the treatise: "On the True Purity of Virginity."

Another one was a martyr - priest Basil who is commemorated on 22 March (28 June). Very meager information about his life is preserved in a metaphrastic work: "Life and Deeds of the Martyred Priest Basil." This saintly man fought against the pagans and the Arians. Priest Basil was martyred by the order of Julian the Apostate. The study of one fact given in "The Martyrdom of Basil of Ancyra" has revealed to us that in 335-336 AD these two personalities confronted each other as the representatives of Orthodox and Arian faiths at the Church Councils in Jerusalem and Constantinople.

Third personality under the name of Basil was Priest of Ancyra-Caesarea and he is commemorated on 1 (2) January. In 363 he was martyred in Ancyra and eaten by lions in Caesarea.

Chapter 2. Basil of Ancyra – his work. The research has showed that the problem of authenticity of the author has been studied by the European scholars. According to "the entire ancient tradition", the work "On Virginity" was ascribed to Basil the Great. Nevertheless, it has been regarded as a disputable issue in the late Middle Ages. 18th century French publishers Garnier and Marani considered that the author was pseudo Basil as well as Cf. Tillemont in 19th century. In 1905 Father F. Cavallera put forward a suggestion that the author of the work must have been Basil of Ancyra, former physician and Bishop. He applied historical and philological method to study St. Jerome's life. Some more than ten years later, he repeated his theory but scholars did not challenge it.

A great many scholars (R. Janini, Jose Cuesta Janini and Bardenhaver) of early 20th century have shared the opinion except Vaillant. At present this subject is undisputable (see F. J. Leroy, Encyclopedias, Clavis Patrum Graecorum, T. M. Shaw etc).

Therefore, the work is not anonymous and its author is Basil of Ancyra.

Chapter 3. Life of Basil of Ancyra. We have represented the most important facts from the life of Basil of Ancyra basing on the existing sources and taking into consideration political and economical background of the Byzantine Empire in that period. In 336 Basil was ordained a Bishop after Marcellus. In 346 he was ousted but in 351 was again restored in his rights as Bishop. Basil became the leader of Homoioussians, the right wing Arians but soon his party fell apart and in 360 he was exiled to Iliria. He is supposed to have died in the early 360s.

Irrespective of his Arian faith, St. Athanasius did not regard Basil to be his rival. He referred to the Basilians as to his brothers and wanted them to unite with the Nikean faith.

In the research we have put the idea that his work came under threat of perishing as soon as Basil was ousted from the Church (his work written against Marcellus has not survived). His work "On Virginity" was ascribed to Basil the Great because it was very popular and they did not want it to perish.

2. Part. World outlook of Basil of Ancyra

Chapter 1. Knowledge of physiology revealed by Basil of Ancyra. We have studied the compatibility of the author's ecclesiastic and medical knowledge in regards the opinions existing in Medical science literature and the author's outlook reflected in the treatise.

It is mentioned in the treatise that a man and a woman who aim to remain virgin and resist to sins start familiarizing themselves with the earthly nature with the talks about the begetter who created the world. It is said in the treatise that according to Bible God has created every being including a human being. He has divided them into opposite sexes, has ordered them to propagate and granted them different traits and functions. The author distinguishes between the following five senses: seeing, hearing, taste, smell and touch that is divided into two - distant touch (by seeing, smelling and hearing) and bodily touch (touching physically).

The work deals with food problem and especially the kind of food that endangers the souls of those who want to remain virgin. It gives a metaphor of a centaur as a parallel to the body and soul. The human like part drives the logical side of a being whereas the horse like part serves illogical (bestly) desires.

The author reveals his attitude to the ration of a faithful person. He pays great attention to the necessity of receiving food moderately. He gives a parable of a "carnal centaur," a serf and a Bishop ending up with the moral that those who strive to be religious should eat moderately as eating too much or eating little is a true bestly approach.

The author also deals with the functions of the organs of abdomen. It is stressed that the ration of a youth and an old man must be different. The ideas represented in the work are linked with the ideology and philosophy of his epoch. There are some aspects of Plato's theories; it also provides parallel materials from the medical collections translated into Georgian in order to prove that medical knowledge

accumulated by the Byzantines and Arabs was equally known to the Georgians.

The rules of receiving food, the consistency and the choice of food to the believers according to the knowledge of four elements are a significant matter in the treatise. The widely adopted Hypocrites' humoral- pathological system is very well known to the author. According to this system the four elements: earth, water, fire and air that exist in the nature correspond to blood, yellow bile, black bile and phlegm and the increase of one or the other causes human being's illness. It provides the information that the saps can be hot, cool, moisturizing and dry. The author also deals with the widespread method of treatment that envisages resisting the illness with the counter remedy (contraria contraria).

This part of the work provides information on the power and nature of certain food used at lent. This food is grain, barley, greenery, salt (that is regarded most destructive food for human body), fruit, bread and wine.

The work ends with the point of view that flesh and body are inseparable. Spiritual perfection can only be attained through correct carnal actions. It means that those who desire to remain virgin should preserve their body in a healthy state in order to be able to care for the soul and to attain place next to Lord.

Chapter 2. On the understanding of some physiological concepts. An attempt to define and analyze the concepts of 'virginity', 'virgin', 'celibacy' and 'eunuch' is given in this chapter. Research shows, that the notions 'virginity' and 'virgin' are the synonyms of purity and a pure person and can be applied to both sexes whereas 'celibacy' and 'eunuch' are the terms of purity applied to men only. There are three kinds of 'celibacy.'

Female virginity is the subject of priority to the author.

His preaching was based on the contemporary religious doctrines that had already been worked out and existed in the Acts of the Apostles, at the local councils, at the First World Council at Nycene, in the works of Holy Fathers, in hagiographic literature. The work implies popular and advanced theological and philosophical ideas that were widely accepted in Byzantine during the creation of this work, in the second third of the 4th century and later on as well.

It is mentioned in the treatise that only after Christ came to our world and took up the sins of the mankind it became possible to find the way to purity. But neither this work alludes to the necessity of virginity likewise the Old Testament.

Basil of Ancyra explains why virginity wasn't described as a spiritual or moral phenomenon in the pre-Christian time. The author speaks of the virginity in Paradise in the times prior to Christianity and the idea of the virgin's returning back to the Paradise by means of remaining pure. The author reinforces his discussion with quotations from the Bible.

A comparison of virginity and marriage, of a virgin and a married one is given in this chapter. The term 'virgin' is associated with the concept of 'virginity'. It defines the duty of the virgin if she wants to become Our Lord's Bride. It lists the advantages she will receive from God in case of leading a pure life.

This section of the thesis also investigates the terms 'celibacy', 'eunuch', 'being eunuch'. It cites Isaiah from the Old Testament where he speaks about the eunuchs in general and gives a

quotation from Matthew's Gospel where the Saviour divides them into three categories:

- 1) being a eunuch by birth;
- 2) being mentally eunuch for the sake of God which is considered to be the greatest honour;
- 3) being eunuch physically for the love of God and chastity which had always had derogatory implication both historically and according to the treatise.

As a result we have concluded that:

1. 'virginity' and 'celibacy' stand for angelic way of life.

2. 'celibacy', 'being eunuch' can be of three kinds (by birth, for the sake of God and physical).

3. celibacy implies virginity and being mentally eunuch for the sake of God.

4. virginity is rather spiritual priority than carnal. The treatise was created in order to reveal this point.

Part 3

Textological-Philological analysis of Basil of Ancyra's work "On the True Purity of Virginity"

Chapter 1. Georgian manuscripts and their interrelations. This section of the thesis deals with the description of four manuscripts of Basil of Ancyra's treatise that have survived. They are Ath- 49 in the collection of Georgian manuscripts from Mount Athos (collection, 11th century); three manuscripts from K.Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts A fund (former collection of church museum): A-55 (collection, 11th century), A-66 (collection, 18th century), A-927 ('iTika', 12th century). The manuscripts are marked with the letters: A- A-55, B- A-66, C- A-927, D- Ath-49.

Textual comparison of the manuscripts shows different characteristic features, namely, orthographic which is revealed to a minor extent in earlier manuscripts (AD); in BC we observe the mixing up of e and ancient Georgian letter – e the 8th, in B the existence of another ancient letter called "iota" and the peculiarities of using titlos.

It is testified that A manuscript contains interpolations of some omitted phrases and minor elements (conjunctions, particles) that were done quite late in the time. The above-mentioned manuscript is a significant one as it contains semantically different readings that might be due to the change of content of these lexical units, though these differences can be ascribed to the scribe's error as well.

Different readings are revealed in B and C and they can be the scribe's errors.

The summary of this chapter is as follows:

1. The common source of the manuscripts is George thr Atonite's autograph Ath-49 or D manuscript.

2. The differences in A manuscript can be attributed to the scribe-calligraphist or they might be due to the original he had at hand.

3. The differences in BC manuscripts must be considered as deliberate corrections that the scribes made in order to emphasize the statements or they can be just errors made during copying

this or that word, phrase or word collocations.

4. The differences between ABCD manuscripts are mainly orthographic variations.

Chapter 2. Basil of Ancyra's work 'On the True Purity of Virginity' and its recensions and publications in different languages.

This section of the thesis is a study of recensions and publications of the treatise in Greek, Latin and Slav languages.

As the study of Greek recension of Basil of Ancyra's work shows, he was known as Basil the Great. Greek manuscripts are divided into A and T groups according to the recensions. The interrelation between Greek manuscripts has been studied by a French scholar F.J. Leroy. AT redactions are kept in Athens, in the Iviron Laura on Mt Athos, in the Paris National Library. There exist several metaphrastic recensions in Greek.

The first printed edition of the Greek text was made in Venice in 1535. This edition was based on Paris text 969 (with the lettering 28) that was used later in the Mavrist's edition (Garnier and Marani in Paris) 1721-1730.

In 1970s 52 Greek and Latin manuscripts were known out of which seven dated back to 10th century and eight ones - to 11th century.

Slavic translation, that belongs to the late epoch of ancient Bulgarian (the second half of the 10th century) was very popular. This version, that has a parallel French translation, does not fully correspond to the Greek text. Many passages are omitted.

There also exist two manuscripts in Russian made in 16th century that are kept in Saint-Petersburg and Moscow.

Chapter 3. An attempt to state a supposed Greek source of the Georgian translation.

This chapter deals with the divergences that were revealed by comparing the Greek manuscripts with Vulgata. These differences are sometimes reflected in the Georgian translation as well. The reason for this must be the original used by George the Athonite.

The comparison of Georgian and Greek texts shows all the differences that are based on some studied examples. These differences are not too many.

The research enables us to conclude that the translator had quite a good Greek text of a Greek redaction well known in scholarly circles.

Chapter 4. Georgian translation of Basil of Ancyra's work. We have compared the Greek original work with its Georgian translation and have concluded that it was translated by George the Athonite - the most reverent representative of the Georgian Athonite school of translators. The objective of this school was to render Greek text immensely closely to the origin and to correct discrepancies of the old translations by means of Greek texts. This school of translators did not entirely cut with the ancient tradition of translation that favoured free translation. The common picture of the method of translation enables us to consider that Georgian translation is free translation and not a dynamic one to the Greek origin.

This part of our dissertation deals with the examples that illustrate the expansion, reduction and factual changes of the text. Georgian translation contains a great number of inserted words and phrases that have no analogues in the Greek original all of which is determined by the stylistic and literary objectives.

The conclusion of this part of the study is as follows: Georgian translation of the treatise "On the True Purity of Virginity" has been performed by the translator who was in perfect command of Georgian and Greek languages. He has preserved the nature of Georgian language and Georgian syntax and morphology has remained intact.

Chapter 5. Bible quotation in Basil of Ancyra's work and its Georgian translation.

140 Bible quotations used by the author are from the Old and New Testaments. The great abundance of Bible quotations might mean that the author had inserted them by memory. The quotations can be divided into three groups:

1. **direct quotation** – Basil gives a certain quotation correctly.
2. **approximate paraphrases** – Basil's paraphrases are quite close to Bible and some words used in the episode are preserved by him.
3. **associative paraphrases** – the quotation stands far apart from biblical text and one can only guess what is meant in the given episode. We have provided the cases of these quotations.

The conclusion of this chapter is as follows: Georgian translation of the Greek origin is quite interesting: the translator follows the author without using the canonical text either.

Chapter 6. The Linguistic Analysis of the Georgian Translation of the Treatise.

The objective of our research in this chapter was to define special features of George the Athonite's language, to find out if he was influenced by the Greek language, how similar is the Georgian version with its linguistic novelties to the original, what artistic techniques were applied to impress the reader?

In this thesis we scrutinized the linguistic devices – phonetical, morphological, syntactical – according to the main manuscript or all the manuscripts containing Georgian translation.

Phonetics. In this section we outline the following: assimilation and dissimilation of sounds, simplification of prefixes, development of *v* (*v*) and *n* (*n*) sounds, replacement of *o* (*o*) and *u* (*u*) consonants (according to the main manuscript), simplification of the adverbial case.

Morphology. In this section we deal with the case of nouns and their plural number. It is noted that the formation of the plural number with *n/T* (*n/t*) suffixes is typical for this written monument. There is only one case of the plural number formation by means of *-eb* (*-eb*) suffix. The unilateral usage of the *n/T* (*n/t*) suffixes must be assigned to the translator's attempt in rendering the high rhetorical style of the work.

Verb formation is attained by the translator by means of adopting classical norms on the one hand and on the other hand, some novelties are observed. When comparing plural object forming prefixes *m* (*-m*) and *gu* (*gu-*), we have found that *gu* (*gu-*) prefix prevails over the others.

Repeated action in the past is expressed by means of tenses (I xolmeobiTi and uwyvetlis xolmeobiTi) that are interchangeable. It is determined by their similar functions. Georgian tense form called **I c o n j u n c t i v e** (I kavSirebiTi) is often represented by the ending – odin.

The study of **P a s s i v e V o i c e** has revealed alternative ways in its formation as (*n*) and (*d*) suffixes are used to form the passive. Sometimes one and the same form derives from both (*d*) and (*n*) suffixes. There are certain instances of using -en suffix for the third person singular in passive.

In the text are used the old ('aqunda') and new ('hqonda') forms of the verb 'have' ('qoneba').

Prepositional present forms differ from the corresponding forms used by George the Athonite in his translation. They do not imply future meaning and the prepositions do not have any signs of aspect that would mean shifting to a new system.

W o r d f o r m a t i o n. The research presents instrumental and adverbial case affixes for the formation of new words. Genitive, instrumental and adverbial case prepositions used in the function of affixes change the connotations of words. Emphasis lies on the great number of abstract nouns that derive from si-e (si-e), si-o (si-o), -eba/-oba (-eba/-oba) prefixes and suffixes. It is inferred that:

- a) the abundance of the abstract nouns is conditioned by the genre itself;
- b) in the Georgian philosophical writings abstract nouns are used as special terms.
- c) for the purpose of identifying the terminology of the original documents it would be useful to take into account a study of both George Athonite's translations and the above-mentioned work.

This section deals with the noun forming affixes in the sense of having or not having. The nouns of not having are used as special terms in the work.

The thesis presents the study of forming comparative degree from different parts of speeches like adjectives and participles.

There are some words with doubled roots. Both words are used in the adverbial case (kacad-kacadi). In our research we tried to give the explanation of the origin of -iT (-it) affix (saxliTi-saxlad, SemdgomiTi-Semdgomad). It must be a contracted form of the ablative case forming affix -iT (-iti) that in new Georgian was changed into postposition -gan (-gan).

C o m p o u n d s. Rendering compounds from Greek into Georgian and vice versa are studied in this thesis. It was revealed that the translator sometimes gives the precise terms of compound nouns. He uses the existing units of the Georgian language; he himself makes collocations of the words and yet these words do not make an impression that they are artificially made up ones.

The compound words given in the original are sometimes shifted and the corresponding Georgian equivalent is received in this way.

The compounds of the original are rendered by the corresponding compound into Georgian or else, the translator invents a compound or gives a synonymous one.

Greek prefixes σμ and αυτο are rendered as 'Tana' (tana) and 'TĀT' (tuit).

Greek composites are sometimes rendered with one simple word or word collocation.

The conclusion is that the choice of compounds, be it compound nouns or simple ones, is always in accordance with the Georgian language and it does not violate neither the norms of Georgian language

nor the character of Greek text.

Syntax. This section deals with the affixes of ex-genitive attribute in the adverbial case (-isa/-isad); the predicative of the compound nominal predicate is in the stammkasus and nominative cases.

It is inferred that:

a) the instances of leaving out the predicative of the compound nominal predicate in compound sentences is unusual because all the sentences must have had it.

b) the sentences are split up by the subordinate clauses.

The analyses of the material shows that adverbial case forms can affect the direct objects in the nominative and dative cases. In the Georgian language this construction used to render Greek infinitive and its direct object. It is also noted that this 'infinitive construction' sometimes occurs only in the Georgian translation as this phenomenon existed only in the Georgian language and it was not just a means of translation.

Word order. The goal of the translator is not to give a word-by-word translation of the Greek text. He does not keep to the word order of the Greek text even when he gives the word-by-word translation of the original.

The thesis deals with the use of particles and conjunctions and the cases of word-by-word translations of double negations from Greek into Georgian.

Chapter 7. Rhetoric methods used in Basil of Ancyra's treatise and the ways of their rendering into Georgian. Rhetoric methods used in the Greek source can be qualified as lexical- syntactical and is related to content. The first one implies minute rhetoric forms that base on the display of sounds within the words and the display of words within the sentences known as alliteration, paronomasia, pleonasm, palilogy and rhythmical repetition of phrases. The content related rhetoric methods imply the tropes: metaphor, comparison, rhetoric questions, thesis and antithesis.

The research provides the analysis of rendering into Georgian literary methods used in the Greek source. It becomes evident that the translator either expands or shortens the things he has to say. Sometimes he uses certain literary methods independently from the author though the aim of the translator remains unswerving: to reflect stylistic peculiarities of the author.

Chapter 8. Lexical peculiarities of the treatise. As a result of our research we have noticed the cases when Greek words are either transliterated into Georgian or other borrowed Greek synonyms are used instead in the translation.

We have paid special attention to the use of proper names and to the translation of the name Ἀητοῖος into Georgian as Ἀητοῖοე. This emphasizes the fact that Greek ending -ος was being rendered into Georgian by means of vocative case ending -e and it became a convention by then.

The spelling rules applied in the translation of proper names is also discussed in this paragraph.

Synonyms. The analysis of lexical stock of words shows abundance of words and phrases, the means of linking synonyms together and different parts of speech with varying word forming suffixes and prefixes. All of this enables the translator to achieve impressive effect in his translation.

There are some lexical units in the translation that attract our attention as they are infrequently used in ancient Georgian literary works. These words are: 'simia,' 'komenti,' 'Shabatobn,' 'Shabatobai,' 'ezoismodzguari'. The work deals with the lexical units of the aforementioned words and their possible meanings, related to certain lexemes given in the translation as well as in other significant sources wherever it was possible to trace them.

CONCLUSIONS

As a result of present research, we conclude:

1. Basil of Ancyra, as a clergyman and an author has not been studied before in Georgian scholarly circles of Georgian version of the treatise "On the True Purity of Virginity". The research of writing sources and scientific literature made it clear that treatise "On the True Purity of Virginity", traditionally, ascribed to Basil the Great, was in fact considered to be the lost treatise of Basil of Ancyra. Many researchers, except A. Valliant, accepted this point of view.

2. Historical-philological and source researches have revealed that:

In the second third of the fourth century, there were three personalities called "Basil of Ancyra". It is evident that only one of them was the Bishop of Ancyra, the author of the treatise "On the True Purity of Virginity". We can definitely say that, in spite of identical names and surnames, they were different persons. Only one of them was Bishop of Ancyra – the leader of homoiousion party, the former physician, the author of the treatise "On the True Purity of Virginity", who was a very much respected person in ecclesiastic circles, but who has never been acknowledged as a saint or a martyr. The second Basil, priest from Ancyra, was a martyr, who was martyred on March 22nd, (or June 28th). The third one was a martyred clergyman of Caesarea. He is commemorated on January 1st or 2nd.

3. The main reason for regarding Basil the Great the author of this work was the fact that Basil of Ancyra was cut off from the Church and as far as the treatise was very popular, it was decided to ascribe the treatise to the orthodox author-Basil the Great.

Basing on the metaphrastic work "The Martyrdom of Basil of Ancyra" which deals with the life and deeds of the priest Basil of Ancyra), as well as on the historical facts from the life of Bishop Basil of Ancyra and the events known from the history of Church, we have come to conclusion that these two personalities confronted each other on counter positions during the Church Councils in 335-336 in Jerusalem (Palestine) and Constantinople.

4. The study of Basil of Ancyra's work: "On the True Purity of Virginity" has revealed that his medical education and knowledge of physiology were based on advanced progressive ideas of fourth century. It is very well reflected in his work and it serves the aim of popularizing moral values. The goal of the author is to attain and maintain spiritual health basing on the principle of physical chastity.

5. Physiological terms "virginity", "virgin", "eunuch", "eunuchism" are used in the meaning of celibacy. A man or a woman leading immaculate life can be called "virgin".

a) Virginity is a angelic way of life. If a human being overcomes carnal pleasures, the delight of excessive eating and lives carnal meager life that it is close to the imitation of angelic life, then it is possible

to speak of angelic way of life.

b) Virginity is a spiritual advantage rather than carnal and the aim of this work was to demonstrate it. Those who are eager to obtain the crown of virginity, have to perceive the merit of chastity.

6. The comparison of celibacy and marriage reveals the author's point of view on virginity. He considers that virginity was not thought to be obligatory for everybody. This honor is bestowed by God upon the virtuous person and the pious soul is given a choice between the nature and the faith. Religion is not against marriage. God has entrusted upon human beings the desire of preserving chastity as it is upon the pious soul to make this sacrifice and it differs from marriage.

7. The term "being eunuch" has three meanings in this work.

a. being eunuch by birth

b. being by eunuch mentally for the sake of God

c. becoming eunuch physically, for the love of God and chastity.

The third way of becoming eunuch has always had derogatory implications, both historically and according to the treatise. The second way of becoming eunuch is the most honorable as they attain divine chastity by remaining mentally eunuchs. Being eunuch and being virgin are the ways to angelic life.

8. Codicological and typological study of the treatise "On the True Purity of Virginity" has revealed that Georgian version bases on four manuscripts (ABCD). The interrelation of these manuscripts is as follow:

a) George the Athonite's manuscript Ath 49, which contains his autograph, is the archetype of ABC manuscripts;

b) The existing discrepancies in manuscript A must be related either to the scribe or to the original text;

c) Differences in BC manuscripts are due to deliberate or mechanical mistakes made by the scribes;

d) All four manuscripts contain a great number of spelling variations that constitute the reason of these differences.

9. We have studied Greek recension of Basil of Ancyra's treatise in order to find out the Greek original of Georgian translation. Thus, we have concluded that the Greek manuscript, George the Athonite had at hand, was not a different recension. It must have been AT 28 that contained the full text.

10. The study of translation method has revealed that the translator was George the Athonite. It was proved later, when the treatise "On the True Purity of Virginity" was revealed with his autograph in the manuscript Ath 49.

11. The method of translation used by George the Athonite is the dynamic-equivalent method. He does not follow blindly all the elements of the original. He often expands, makes certain or changes Greek text to make it clear to the reader and to preserve the nature of Georgian language.

12. The study of rhetorical style used by Basil of Ancyra in the translation evidences that George the Athonite follows his translation method. He sometimes expands or shortens sentences, changes the data

to make it more legible for the reader and preserves the nature of the Georgian language. He is very well familiar with the material he has translated, the style of the work and its literary value. Every line of the translation reveals that he does not want to hide the artistic and rhetorical skills used by Basil of Ancyra, therefore revealing Basil's stylistic peculiarities. But, sometimes, he uses certain rhetorical skills (paronomasia, rhetoric questions) independently from Greek.

13. Georgian version of treatise contains an interesting episode of Bible quotation. It becomes evident from the translation that the translator follows the author at large but he does not use Georgian canonical text.

14. The language study of Georgian version of "On the True Purity of Virginity" shows that it is a bit complicated and comprises lot of long and complex sentences but it does not make the idea vague. The translation, in general, follows the norms of classical language and at the same time, shows certain tendencies to novelty (e consonant becomes hard norm in nominative (case) of general nouns with e-ending and in genitive case of proper names with the same ending. Occasionally, prefixes aR-, war- are simplified. Also suffix -mde is simplified to adverbial case suffix. In the text are used the old and new forms of verb "have" („ჰქონან“, „აქუნდეს“) which is the reflection of historical development of old Georgian language.

15. The words and the method of word-building base on lexical stock of old Georgian literary language and yet they bear some signs of novelties.

პირთა საძიებელი

ადამი 44, 45, 77, 91, 108, 117

აეტიოსი 29, 30

აეტიოსი ამიდა 42

ათანასე 15, 16, 28, 29, 32, 33, 55, 56

ამონიოს ერმისი 123

ბასილი ანკვირელი 9-11, 14, 17, 18, 20-30, 33-36, 38-54, 58, 63-65, 70, 71, 79-81, 83, 86, 95, 98, 100, 105, 109, 112, 114, 115, 117, 119-121, 124-126, 129-133

ბასილი ანკვირელი იხ. ბასილი ანკვირელ-კესარიელი

ბასილი ანკვირელ-კესარიელი 11, 14, 16-20

ბასილი კესარიელ კაბადუკიელი 21, 22, 24, 26, 27

ბასილი ანკვირის ეკლესიის ხუცესი იხ. ბასილი ხუცესი

ბასილი ხუცესი 11, 13, 14, 16, 17, 19, 130

გალენი 40, 42

გიორგი მთანმიდელი 10, 19, 55, 56, 58, 63, 67, 69-73, 75, 81-84, 86, 87, 91-95, 98, 101, 102, 104-107, 109, 111-116, 118, 119, 121, 123, 125, 127, 132, 133

გრიგოლ ნოსელი 23-27, 54-56, 58, 70, 94, 102, 104, 105, 123

დავითი 89, 117

ევგენი 13, 15, 16

ედოქსიოსი 13, 16, 17, 30, 31, 32

ივლიანე განდგომილი 11, 13, 14, 17-19, 33

ივლიანე, მეფე იხ. ივლიანე განდგომილი

იოანე ოქროპირი 54, 123

იოსები 50, 90, 117, 198

ლიტოიე 22, 23, 90, 117, 143

მაკარი 16

მაკარი შეველდომილი 13, 15

მარკიონი 24, 89, 117, 188

პავლე 12, 26, 47, 90, 117, 187, 190, 238

პეტრე 12, 117

რუფიუს ეფესელი 42

სატორნინე მთავარი 13, 14

ფელიქს არანმიდაე 13

ჰიპოკრატე 39

Athanasius, St. 275

Basil of Ancyra 273-279, 281-284

Cavallera 22-27, 33, 274

Janin 25, 26

Leroy 26, 27, 57

Shaw 27

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

0193 თბილისი, მერაბ აღუქსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS